**მოცლილო მკითხველო**, დაუფიცებლად დამიჯერე, ბევრად აჯობებდა იმას დაეწერა საკუთარი თავგადასავალი, ვის შესახებაც მე ვაპირებ გიამბო, უფრო სწორად, ვის მაგივრადაც მე მომიწევს ლაპარაკი და ალბათ შენც გაგიჭირდება ხანდახან ჩვენი გარჩევა, რაც გარკვეულ დაბნეულობასთან ერთად, დიდ შინაგან თავისუფლებასაც მოგანიჭებს კითხვისას - ვინც გენდომება, იმას წარმოიდგენ ავტორადაც და გმირადაც - არა მარტო იმიტომ, ერთ დროს, ერთ ქვეყანაში, ერთ ქალაქში, ერთსა და იმავე გარემოში რომ მოგვიწია ცხოვრება ავტორსაც და გმირსაც, არამედ იმიტომაც (და ამას ვანიჭებ გადამწყვეტ მნიშვნელობას), მისი თანამზრახველობა რომ მარგუნა ბედმა წილად, ავად თუ კარგად, მეც რომ ვიყავი მისი ჭირისა თუ ლხინის მოზიარე, მისი მესაიდუმლე, ოღონდ, ჩემგან (ჩვენგან) განსხვავებით, ის დაბადებით აველუმი გახლდათ, ჩვენ კი, იმის ახლობლები, მხოლოდ ვაველუმობდით.

რაც შეეხება თავად "აველუმს", შუმერული სიტყვაა და თავისუფალ, სრულუფლებიან მოქალაქეს ნიშნავს. თუმცა, ერთადერთი წყარო, საიდანაც ამ სიტყვის წარმომავლობა ირკვევა, ჩემივე ძველი რვეულია. მაგრამ ჩემთვისაც ძნელი დასადგენია უკვე, თავიდან რისთვის დამჭირდა ამ სიტყვის ამოწერა საიდანღაც (თუკი მართლა შუმერულია) ანდა გამოგონება (თუკი მართლა ჩემი გამოგონილია). რაც მთავარია, ამით მისი მნიშვნელობა არ იცვლება - მაინც იმას ნიშნავს, რასაც ნიშნავს, რა მნიშვნელობაც დიდმა შუმერმა თუ იმ დიდი შუმერის პატარა შთამომავალმა (ესე იგი - მე!) მიანიჭა თავის დროზე. სხვა საკითხია, რამდენად გასაგებია ამ სიტყვის მნიშვნელობა დღეს, ჩვენი გაზეთების ენით რომ ვთქვათ, რაოდენ აქტუალურია და რამდენად შეესაბამება თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებებს... მაგრამ მაინც დაბეჯითებით მინდა განვაცხადო, რომ აველუმი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ყველანაირად ცდილობდა სწორედ თავისუფალი, სწორედ სრულუფლებიანი მოქალაქე ყოფილიყო თუნდაც მარტო მის წარმოდგენაში არსებული ქვეყნისა. ეს კი, მოგეხსენებათ, არც ისე ადვილი მისაღწევია და ვერც ის მიაღწევდა (თუკი მიაღწია საერთოდ), უსიყვარულოდ რომ გაეტარებინა ერთი დღე მაინც. მხოლოდ სიყვარული ანიჭებდა თავისუფლებისა და უფლებამოსილების შეგრძნებას და ისიც თავგანწირულად და უსასრულოდ, გნებავთ, უაზროდ და უშედეგოდ იბრძოდა იმის გადასარჩენად, რასაც ჯერ კიდევ სიყვარულს ვეძახით და რაც ადამიანთა მიწიერ არსებობას ცხოვრებად გარდაქმნის ხოლმე, თუკი საერთო, საყოველთაო, მით უფრო, სავალდებულო მოთხოვნილებად კი არ იქცევა, არამედ ბოლომდე დარჩება ცალკეული, თავისებურად

დამთხვეული პიროვნებების სწრაფვად, აჩემებად, ოცნებად, ჟინად - რისი უმნიშვნელო, საცოდავი ნამცეცები ალბათ ყველა ჩვენგანის ხსოვნაშიც და ყველა ჩვენგანის გულის მიყრუებულ კუნჭულებშიც არის ჩარჩენილი, როგორც საფანტი ნადირის კუნთსა თუ სახსარში და, ამდენად, თითქმის არც არსებობს.

არც არსებობს-მეთქი, ვწერ და ჯერ თვითონვე არ ვიცი, როგორ, რანაირად შევძლებ ამ "არარსებულის" სიტყვით გადმოცემას. ეს ხომ იგივე იქნება, ქარს ხმელი ფოთლების გვირგვინი დავადგა თავზე (თუკი, რასაკვირველია, ის მაინც მეცოდინება, სადა აქვს ქარს ან თავი, ან ბოლო). ამიტომაც, ეს წერილი არც პატივმოყვარე ქალის დღიურივით საინტერესო საკითხავი აღმოჩნდება შენთვის, **მოცლილო მკითხველო**, და არც მრავალჭირნახული, ნაცხოვრები კაცის მემუარებივით გამოსადეგი. მაგრამ წერილი თავისთავად უაღრესად დამახასიათებელი ატრიბუტია საერთოდ სიყვარულისთვის. დღეს "ეპისტოლური" ურთიერთობის მრავალი სახეობა არსებობს - ტელეფონი, სელექტორი, ვიდეო თუ აუდიო ტექნიკა - მაგრამ წერილი მაინც საფუძველია ასევე უკვე ანაქრონიზმად გადაქცეული სიყვარულის იმპერიებისა. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ კაცობრიობამ მთელი თავისი სიცოცხლე დასაწერის შესანიღბი და დაწერილის ამოსაკითხი საშუალებების ძებნასა და გამოგონებას შეალია. რიღათი არ წერდნენ - რძიანასა თუ ხახვის წვენით, ლეღვის ლოპოთი თუ გომბეშოს სისხლით, ყორნის ნაღვლითა თუ ვეშაპის თესლით - უთქმელადაც ყველასათვის გასაგები "საიდუმლო" რომ დაეფარათ როგორმე და, იმავე დროს, დაუნდობლად სპობდნენ თვითონვე საკუთარი გულისთქმის კვალს, ხან სიფრთხილის, ხან სიმხდალის, ხან სიშლეგისა და ხან სიბრიყვის გამო. ასე რომ, ეპისტოლური ჟანრის საუკეთესო ნიმუშები, მოურჯულებელ მეოცნებეთა და თავისუფლების დაუოკებელ მოტრფიალეთა მსგავსად, ძირითადად კოცონზე ამთავრებდნენ სიცოცხლეს - კვალი კი არ რჩებოდა მათგან, არამედ ფერფლი. მაგრამ ეს მრავალტანჯული და დაუმსახურებლად

ათვალწუნებული ჟანრი, ჩემი ღრმა რწმენით, მაინც შეუცვლელია აქამდე და შეუცვლელია პირველ რიგში, დიახაც რომ, განსაცვიფრებელი ტევადობისა და ამტანობის წყალობით. რა უნდა ანდოთ, არ დაიტიოს და რა უნდა შეამთხვიოთ, არ აიტანოს. მეც, რაკი თუნდაც ამ ჩვეულებრივ წერილს ვწერ, ეტყობა, მჯერა კიდეც მისი, მისი სიცოცხლისუნარიანობისა და იმისაც, მართლა რომ წაიკითხავს მომავალში ვიღაც ჩემს ნაცოდვილარს. მწერლობა კი, კაცმა რომ თქვას, სწორედ ესაა, ანდა, მხოლოდ ესაა - ვიღაცისთვის ხმის მიწვდენის დაუოკებელი სურვილი - თუ ვერ გაგიგებს, მოგისმინოს მაინც - ნებაყოფლობითი გულახდილობაა, მაგრამ, ამავე დროს, მე თუ მკითხავთ, დიდი ვერაფერი ზრდილობაა, სრულიად უცხო ადამიანს თავი მოაბეზრო მისთვის ასევე სრულიად გაუგებარ სატკივარებზე წუწუნით. მართლაც, რატომ უნდა დააინტერესოს ვიღაცას, მით უფრო, ჯერ არდაბადებულ ადამიანს, თუ რატომ აკეთებდა ჩემი თანამედროვე ყოველთვის იმას, რისი გაკეთებაც არ შეეძლო?! ანდა, კიდევ უარესი - რამდენი წუმპეჩამდგარი ორმო იყო ჩემს დროს თბილისში და როგორ ახერხებდნენ ერთი და იგივე გამვლელები ერთსა და იმავე ორმოებში ჩაცვენას უსასრულოდ?!

დღეს, ღვთის ძის ნაყოფიერი ხორცშესხმიდან ათასცხრაას ოთხმოცდაცხრა წლის თავზე, მაგალითად, რამდენიმე ჩერნობილური გრიპი ერთდროულად მძვინვარებს კავკასიის ქალაქთა შორის ულამაზეს ქალაქში. თუმცა, გაზაფხულმა, ჩვეულებისამებრ, ისევ დაამახინჯა ირგვლივ ყველაფერი - ისედაც უშნო, უღიმღამო სახლებისთვის სველი თითების ანაბეჭდები შეუტოვებია, რაც გაჭიანურებულ ზამთარში მოჩიტული გოგო-ბიჭების თვალით, სკოლის საპირფარეშოების უხამსი მხატვრობისა თუ მხატვრული უხამსობის ჰიპერბოლურ ნიმუშებად აღიქმება. მიწისქვეშა გადასასვლელის კიბის საფეხურები დახეული კარტის ნაკუწებითაა მოფენილი. კიბის თავში ბოშა ქალი ქვესკნელის დიასახლისივით ეგებება მომავლის შიშით აფორიაქებულ თანამოქალაქეებს. ერთ ხელში ჟანგიანი თუნუქის პატარა მრგვალი კოლოფი უჭირავს, "ბედის წერილებით" სავსე, მეორეზე ყვითელი, მობუზული ჩიტი უზის, "ბედის გამრიგე", მოფერებით "ბორია", რომელსაც ერთბაშად (თანაც სულ ოც კაპიკად) შეუძლია გამოგიყვანოს გაურკვევლობის ბურუსიდან და "გითხრას", რა გელოდება წინ. მაგრამ ხალხს ყველაზე მეტად სწორედ ამის გაგებისა ეშინია და საქმიანად გარბი-გამორბიან ჩაბნელებულ, ვიწრო გვირაბში, ვითომ სადმე მიეჩქარებოდეთ მართლა. წარღვნამდელი, სიძველისგან გვერდზე გადაბრეცილი ტროლეიბუსები ძაგძაგით მიშლაპუნობენ ფეკალური წყლის ნიაღვრებში. გაურკვეველი წარმოშობის ორმოებიც ბინძური, ქაფიანი წყლითაა სავსე. ტროტუარის გასწვრივ დამხრჩვალი, მუცელგაბერილი და ფეხებგაფარჩხული ვირთხები ყრია. აფთიაქების წინ კი გრძელი რიგები დგას: მხდალი, ნერვული,

მოუთმენარი - მოულოდნელად ერთს შეირხევა, გაიკლაკნება მომაკვდავი ლოქოს კუდივით და ისევ გაირინდება კარგახანს. ერთმანეთის ზურგებს ამოფარებული ხალხი ერთმანეთის კიდევ უფრო დაშინებით იქცევს თავს: გაიგე? გაიგეთ? კიდევ ორმოცი კაცი მოუკლავს გუშინ. ორმოცი?! აკი თვრამეტიო? სხვა არაფერი გნებავთ? თვრამეტი კაცის გულისთვის ვინ სულელი გამოგიგზავნის გრიპს, თანაც განსაკუთრებულს, ამ სიშორეზე?! ადამიანი მკაცრდება წამლის მოლოდინში. შეიძლება, გაზაფხულის ბრალი იყოს ესეც. გაზაფხულზე ხომ ყველაფერი მართლა რთულდება, თუკი კარგად დავუკვირდებით. ჯერ მარტო სასაფლაოზე გასვლა თქვით. ფაფასავით სქელ ტალახში ფეხსაცმელი სძვრება ჭირისუფალს. ვერც ყვავილი უშოვია. რომც იშოვოს, ვერ იყიდის. ხელს დასწვავს. პლასტმასის ყვავილი უნდა გედოს ჯიბეში. მუდმივი. ცოტა ხანს დაუდებ ფერხთით მიცვალებულს, გაფერთხავ და უკანვე წამოიღებ, ისევ საძებარი რომ არ გაგიხდეს ხვალისთვის. ცხოვრება ისეთი მამაძაღლია, მკვდრის გაცურებასაც გასწავლის. მაგრამ არავინ იცის, რა მოხდება ხვალ. ხვალ კი არა, დღეს რა მოხდება, ის არ ვიცით, არ ვიცით, ერთი საათის მერე ცოცხლები ვიქნებით თუ არა საერთოდ. იმიტომაც ვლაპარაკობთ ამდენს, სასაფლაოს ტალახს ვზელთ თუ წამლის რიგში ვდგავართ. ლაპარაკით ვმალავთ უვიცობას. რამდენი წამი უნდა გავიდეს, თქვენი აზრით, ერთი საათის შემდეგ რომ იყოს უკვე? მე მეკითხებით? დიიიახ, ბატონო, სწორედ თქვენ გეკითხებით. მე თქვენს შემდეგ ვდგავარ. ეგ არაფერს ნიშნავს. თუ მიპასუხებთ, ჩემს რიგს დაგითმობთ. ალბათ ისევ სამასსამოცი. დარწმუნებული ბრძანდებით? დარწმუნებული ვიყავი, ახლა კი, რა მოგახსენოთ. მეც მანდა ვარ. არავინ

აღარაა დარწმუნებული. ამას ველოდით, მოვესწარით და... გვეშინია. არა. იმიტომ გვეშინია, ამას რომ არ ველოდით. არც გვიფიქრია ამაზე. ვინ იფიქრებდა? ერთბაშად იქცა წარსულად, რაც ჯერ კიდევ გუშინ მარადიული გვეგონა. კვარცხლბეკზე მარტო ცალი ფეხი დარჩენილა. ისიც მუხლსქვემოთ. მაგრამ ვითომ ესეც ნიშნავს რამეს?! მობრუნდება ვითომ?! ყოველ შემთხვევაში, ჩემი საკუთარი თვალით ვნახე, როგორ ჩაატარეს მთელ ქალაქზე, დევის გვამივით, წითელი საღებავით მოთხუპნილი. ბავშვები ჟივილ-ხივილით მისდევდნენ უკან. და მაინც, ეშმაკმაც არ იცის, რა იქნება ხვალ, პოეტური ან ფილოსოფიური კი არა, პირდაპირი, ჩვეულებრივი გაგებით: ხვალ, ესე იგი, დღეს, ჯერ კიდევ ჩვენს სინამდვილეში, ვთქვათ, ღამის თორმეტ საათამდე (ახალგაზრდობაში, ხანდახან, გვიანობამდე რომ შევრჩებოდით ხოლმე კაფეში, ჩვენს მეტრდოტელს არა მარტო გუნება, გარეგნობაც ეცვლებოდა - მარად მომღიმარი და გულისხმიერი მასპინძელი, ერთ დაბნეულ, ტვინგაყინულ ფსიქოპათად გადაიქცეოდა, მხოლოდ იმიტომ, ვერაფრით რომ ვერ გაერკვია, რა ექნა, რა აჯობებდა საქმისთვის, საერთო ახსნა-განმარტებით ბარათში მოეყარა თავი ჩვენი ნალაპარაკევისათვის, თუ ორად გაეყო - თორმეტ საათამდე და თორმეტს შემდეგ). ეშმაკი გატრუნული, თვალებმოჭუტული უთვალთვალებს ყველაფერს, რა დროც არ უნდა იყოს საათზე, ვიდრე არარსებულ მომავალში არარსებულ ადრესატამდე მიაღწევდეს ჩემი წერილი. მართლაც, ადვილზე ადვილია, საერთოდ არ დადგეს ეგრეთწოდებული მომავალი, ანუ, კაცობრიობის ხვალინდელი დღე, როგორც პოეტური, ისე ფილოსოფიური და, რასაკვირველია, პირდაპირი, ადამიანური გაგებით. დღევანდელობის შემყურეს, ამის

სათქმელად არა მარტო გამბედაობა (თუნდაც ნებადართული), არამედ მიზეზიც (თუნდაც სუბიექტური) საკმარისზე მეტი მომეპოვება და არაფერი დაშავდება, ერთი წუთით მაინც თუ გამოვაყოფინებ ცხვირს ბუნაგიდან (ანუ, საკუთარი გულიდან) ყველასათვის ესოდენ საზარელ ეჭვს. ვალდებულიც ვარ, ასე მოვიქცე. რაკი ნებაყოფლობით ვიკისრე გულახდილობა მომავლის წინაშე, როგორმე უნდა მოვახერხო კიდეც. რასაკვირველია, ჩემი საიდუმლო მხოლოდ და მხოლოდ ჩემი საკუთრებაა და როგორც მომესურვება ისე მოვექცევი: მინდა დავმალავ (მაინც არაფერი დააკლდება ამით კაცობრიობას), მინდა გავამჟღავნებ (ისევ ჩემი ჭიის გასახარად), მაგრამ ჩემი მთავარი საიდუმლო სწორედ ის გახლავთ, არაფერი რომ არა მაქვს დასამალი. უფრო სწორად, არაფრის მეშინია, არც აწმყოს დაუნდობლობისა და არც მომავლის გულგრილობისა. თუმცა, პირიქით რომ მეთქვა, ალბათ, უფრო მართალი ვიქნებოდი. ერთისაც მეშინია და მეორისაც. მაგრამ იმდენად აღემატება ამ ორ შიშს მესამე, საერთოდ უკვალოდ გაქრობის შიში, მგონი ძალით ვატენი ვიღაცას ჩემს საიდუმლოს, იმ პაწია, მაგრამ მილიონთა და მილიონთა გამაბრიყვებელი იმედით, იქნებ ვიღაცამ როდისმეო... და თუ მართლა ასეა, მაშინ სულგრძელად უნდა მაპატიოს ყველამ, დაუკითხავად, თავხედურად, უაღრესად პირადული ინტერესებიდან გამომდინარე, რომ ვაპირებ სხვის ცხოვრებაში შეჭრას, ანუ, ჯერ არარსებული მომავლისგან მოვითხოვ ყურადღებასა და თანაგრძნობას, როცა დღევანდელობისგან ისიც არ მომითხოვია (გინდაც მომეთხოვა, მაინც არაფერი შეიცვლებოდა), რაც ყველა ადამიანს ეკუთვნის. და მაინც უნდა ვაღიარო, გაუცნობიერებელი შიში მაქვს

აბსტრაქტული მომავლისა, თუკი, რასაკვირველია, ეს ჩემი "წერილი", როგორც გული მიგრძნობს, ზედმეტად გულახდილი და მოურიდებელი, წაკითხვამდე არ მისცეს ცეცხლს, ესე იგი, თუკი უკვალოდ გავქრი ამ ქვეყნიდან და, მხოლოდ და მხოლოდ, ერთ მუჭა ფერფლად მივემატე საკუთარი უზნეობის კოცონზე ასევე დაფერფლილ კაცობრიობას.

დიახაც, გვიახლოვდება ქვეყნის აღსასრული. პატარის სიკვდილით იწყება დიდის სიკვდილი. თუმცა ამ შემთხვევაში, უფრო თვითმკვლელობასთან გვაქვს საქმე, ვიდრე ბუნებრივ სიკვდილთან. აველუმის მიკროიმპერიის, ანუ, მისი მრავალსახა, მაგრამ ერთ სულ და ერთ ხორც სიყვარულის ჩაკვლასა და გაბიაბრუებას გადაჰყვა თან მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფო, უმკაცრესი იმპერია. პატარის მოსპობის ჟინმა დააკნინა, დააწვრილმანა - ხან ლიფტიორს მიუგზავნიდა, ხან უბნის რწმუნებულს, გული რომ გახეთქვოდა უარესად, ლუკმა ყელზე დასდგომოდა, თუკი იმ დროს სუფრასთან იჯდა თავის დულცინეასთან ერთად, ანდა, ნემსით გახვრეტილ ბუშტივით ჩაფუშულიყო თავის მანონის საწოლში, თუკი მაინცდამაინც მაშინ წაადგებოდნენ თავზე. სულ კვალში ედგა, სულ თან დასდევდა აჩრდილივით, როგორც ერთ სატრფიალო სიმღერაშია. კითხულობდა მის წერილებს, მაგნიტოფონის ფირზე იწერდა მის ნალაპარაკევს და მერე დაუსრულებლად ამეორებინებდა კაგებეს კაბინეტებსა თუ სარდაფებში. უთვალთვალებდა მის ყოველ ნაბიჯს, მისი ხელშენავლები საგნებიდან იღებდა თითის ანაბეჭდებს, ჩხრეკდა მის საცვალსაც, ალბათ იმ გრძნობის ბაცილის აღმოსაჩენად და, თავისთავად ცხადია, მოსასპობადაც, მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან აველუმის გულში რომ ჰპოვა თავშესაფარი და იქიდან ეფინებოდა მთელ ქვეყანას. მაგრამ ვერ მივართვით. აბსტრაქტულ ცნებას ვერაფერს დააკლებ ტყვია-წამლითა თუ საწამლავით, მეთვალყურეთა თუ დამსმენთა არმიებით. არადა, თუ იმ აბსტრაქტულ ცნებასაც არ მოსპობდა, ვერც თავს ჩათვლიდა ზესახელმწიფოდ, ქვეყნიერების ბატონ-პატრონად,

რადგან ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ სწორედ სიყვარულია ერთადერთი მარადიული იმპერია, რომელსაც ნებაყოფლობით, საკუთარი სურვილით ემონებოდნენ, ემონებიან და მომავალშიც დაემონებიან, თუკი საერთოდ გადარჩება ბატონი ადამი. მაგრამ ჩემი ბუნებით, მე უფრო ლირიკოსი გახლავართ, ვიდრე პოლიტიკოსი. მეორეც ერთი, რაც ჩვენს თავს ხდება, ჩემი აზრით, იმიტომ ხდება, ის რომ არ მომხდარიყო, რაც აუცილებლად მოხდებოდა, იმას თუ არ მოვახდენდით, რაც მოვახდინეთ. ამიტომ, ეპოქის სულისკვეთების გადმოცემას - რაც არც კი ვიცი, როგორ მიიღწევა - ისევ აველუმის განცდების, იგივე სიყვარულის, ანუ, მთელი მისი ცხოვრების ქაღალდზე გადატანა ვამჯობინე. ყველაფერს დაუფარავად მოვყვები, თუნდაც იმიტომ, ჩემი გულწრფელი აღსარებიდან გამომდინარე, იქნებ სხვამ, სხვამ კი არა, ჩემმა მოცლილმა მკითხველმა მაინც გაარკვიოს, დავიღუპეთ თუ გადავრჩით, ანუ ღირსნი ვიყავით თუ არა, თუკი დავიღუპეთ და საჭირო იყო თუ არა ჩვენი გადარჩენა, თუკი გადავრჩით.

ერთი კაციც თუ გადარჩება ნებისმიერი კატასტროფიდან, რასაკვირველია, ისიც დიდი ბედნიერებაა. მაგრამ სიყვარული ამ თვალსაზრისითაც განსაკუთრებული, გამორჩეული კატასტროფაა - აუცილებლად ყველა, ანუ, ორივე იღუპება, გინდაც ერთი მათგანი, თავისი ჭკუით, გადარჩეს, ანუ, გინდაც ერთ-ერთმა მათგანმა, რა თქმა უნდა, მისივე შეხედულებებიდან გამომდინარე, უფრო ზუსტად კი საყოველთაოდ მიღებული ზნეობრივი მოდელის შესაბამისად, მაინც მოახერხოს ახალი ცხოვრების "აწყობა", როგორც, მაგალითად, სონიას დაემართა. სიყვარულს რომ არ შესწირვოდა მსხვერპლად, ქმარს მიეკედლა. სხვანაირად რომ ვთქვათ, სიყვარულიდან, ანუ მომაკვდავი ზღვიდან, სახელდახელოდ შეკოწიწებულ ოჯახს, ანუ ხელოვნურ ნაპირს მიაშურა, საიდანაც მისი უკან დაბრუნება ისეთივე სისასტიკე იქნება დღეს, როგორი სისასტიკეც იმავე ზღვიდან მისი ძალით გამოთრევა იქნებოდა გუშინ.

ღვთის წყალობით, ლაპარაკზე უკეთ ალბათ წერა მეხერხება, რადგან ლაპარაკით, ამდენი ხანია, ვერავის ვერაფერი გავაგებინე, წერით კი, სხვას რომ თავი გავანებოთ, აქამდე ვინახავ ოჯახს და... ჰმ, ჰმ... არა მარტო ოჯახს. ოღონდ, მაინცდამაინც დარწმუნებული არა ვარ, მართლა რომ გამოუჩნდება ამ წერილს წამკითხავი, გინდაც მოცლილი. მაგრამ რაკი უთქვამთ, ცდა ბედის მონახევრეაო, მეც ჩემსას ვცდი, საქვეყნოდ ამოვიბერტყავ გულს, ანუ, საქვეყნოდ მოვეჭიდები ხავსს, რაც ყველა წყალწაღებულის ხვედრია და, იმავე დროს, ახიცაა ყველა წყალწაღებულზე, რადგან შეგნებულად კი არ მიისწრაფვის იმისკენ, რაც შავი დღისთვის წინასწარ დაუგულებია, არამედ ალალბედზე, ბრმად, მისდაუნებურად ებღაუჭება იმას, რაც უკიდურესმა გაჭირვებამ მოალანდა უკანასკნელ წამს. გულისამობერტყვის ჟინიც თავისებური "ხავსია" და როცა აქამდე მივა საქმე, მართლა შეგიძლია დამთავრებულად ჩათვალო ცხოვრება.

საბედნიეროდ, ყველა დიდი წიგნი უკვე დაწერილია. მე, უბრალოდ, იმ შემთხვევას ვგულისხმობ, თუნდაც იმ შემთხვევითობას, რომლის ძალითაც, მაინცდამაინც, ეს წერილი უნდა გადარჩეს და ერთ მშვენიერ დღეს მომავლის წინაშე წარდგეს, როგორც უკვე გარდასული, უკვე გაიდუმალებული, ძნელად წარმოსადგენი და ასევე ძნელად დასაჯერებელი ეპოქის უტყუარი დადასტურება, გნებავთ, მამხილებელი საბუთი. ამდენად, ეს წერილი იმ ჯოჯოხეთური კოცონიდან გადმოვარდნილ ნაღვერდლადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელიც ჩვენივე დაუდევრობითა და უზნეობით გავაჩაღეთ და რომელზედაც უკვე განურჩევლად ვიწვით ყველანი ერთად: მტყუანნიც და მართალნიც, ბოროტნიც და კეთილნიც, ავაზაკნიც და ანგელოზნიც, მგლებიც და კრავებიც - აღარავინ გვყავს მიმტევებელი, რადგან უპირველეს ყოვლისა მიმტევებელი მოვიშორეთ თავიდან, შავი თეთრად და ცოდვა მადლად რომ მოგვჩვენებოდა. ყველაფერი კი იმ დღეს დაიწყო, მელანიამ კონვერტი რომ დაუდო აველუმს მაგიდაზე (რასაკვირველია, გაუხსნელი) - წერილია, ბატონო, მოსკოვიდანო - და გახსნამდე უგრძნო აველუმს გულმა, რაღაც უნდა შეცვლილიყო მის ცხოვრებაში. თუმცა, აველუმის იმპერია პირველად ჯერ კიდევ დეკემბრის მიწისძვრამ შეარყია, ხოლო მიხვედრილი კაცი კიდევ უფრო ადრეც იგრძნობდა საფრთხეს და თუ ვერ აიცილებდა, არც პირდაღებული დახვდებოდა, როგორც ბრმა და უტვინო ბარტყი - დედაჩიტს.

ჯერ იყო და, ათი მეტრის სიმაღლე წითელი თოვლი დადო სვანეთში. ხალხი თოვლის ქვეშ ცხოვრობდა უჰაეროდ, უსინათლოდ, უწყლოდ, უპუროდ... სიცივე ინახავდათ ალბათ. ამას დიდი ზვავები მოჰყვა, სოფლები დაიტბორა და სახურავებზე გასული ხალხი ცას იყო მიჩერებული მშველელის მოლოდინში. მაგრამ დეკემბრის მიწისძვრამ მთელი საქართველო შეარყია და საკმაოდ სახიფათოდაც. აველუმი გიჟივით წამოვარდა საწოლიდან. ძილში ჩაესმა წიგნის თაროების შემზარავი, სისხლის გამყინავი წკრიალი და ჯერ ისევ ძილბურანში მყოფმა, ერთად მოუსვა ხელი თავისიანებს, ერთად დააყენა ყველანი დიდი ოთახის კარის ჭრილში, ვითომ ეს იყო ერთადერთი საშუალება მიწისძვრისაგან თავის დასაცავად. შიშით კი მერე შეეშინდა, შუაღამისას, ლამის უკვე ჩაძინებულს, როცა ერთი წამით გონება გაუნათდა და წარმოიდგინა, რა შეიძლებოდა დამართვოდა მისიანებს მისივე "საზრიანობის" წყალობით - კარის ჭრილი რამდენიმე წლის წინ, რემონტისას, გააფართოვებინა კალატოზებს და თავხე ლამის წკიპზეღა იდო შესუსტებულ საყრდენებზე. ფეხები ისე აუკანკალდა, ვერაფრით გაიჩერა, თითქოს მისი სხეულის განუყრელი ნაწილები კი არ იყვნენ, არამედ მისგან დამოუკიდებლად არსებული და რატომღაც მის საწოლში მოხვედრილი ცხოველები, რომლებსაც, თავისთავად ცხადია, დიდხანს არ შეეძლოთ უჰაეროდ გაძლება, მით უფრო საბნის ქვეშ, და გამწარებულნი ხტოდნენ, ძაგძაგებდნენ, იკრუნჩხებოდნენ ამ ყოვლად მოულოდნელი, ყოვლად გაუთვალისწინებელი სიკვდილის მოლოდინში.

მთავარი უბედურება კი ისაა, თავად რომ არის ადამიანი ყველაფერში დამნაშავე, თავად არის საკუთარი თავის მტერი, იმიტომ რომ, მთელი სიცოცხლე გაორებულია, გაორებული კი არ არის, ყველაფერი ორი აქვს მომადლებული ბუნებისგან, არა მარტო ფეხი, ხელი, თვალი თუ ყური - ფიქრიც, მიზანიც, თვალსაზრისიც, სურვილიც... მდინარესავით ორ ნაპირს შორის მიედინება სულ, გაჩენის დღიდან, და აქამდე არ იცის, ვერ დაუდგენია, რომელი ურჩევნია, რომელ ნაპირს მიეტმასნოს უფრო მეტად, რომელს მიეხეთქოს მთელი ძალით, რომელს მიეფეროს და რომელს გაულაწუნოს მღვრიე ტალღა სილასავით. მთელი სიცოცხლე ირჩევს, მაგრამ ალბათ ისე შეუერთდება ზღვას (ალბათ კი არა, შეუერთდა და ეგაა!), ანუ, ისე დაიკარგება, გაითქვიფება, გაქრება უსასრულობაში, არარაობაში, სიკვდილში - არჩევანს ვერ მოასწრებს, საშოვარზე წამოსული, ხელცარიელი დაუბრუნდება გამჩენს. მიწა ხარ და მიწად იქეციო, ანდა, წყალი იყავ და წყლად წადიო - მიაძახებს მისი მარადიული მერყეობით გულგაწყალებული ჭირისუფალი. და ალბათ, სონიაც გადაიწერს ქმრის ზურგს უკან პირჯვარს - უფალო, განანათლე ცოდვილი სული მონისა შენისაო - მაგრამ იმ "მონისა" არავის არაფერი ეცოდინება, არც ცოლს, არც საყვარლებს. არ ეცოდინებათ, რადგან ისიც იყო და ისიც. უფრო სწორად, უნდოდა, ცდილობდა, ერთიც ყოფილიყო და მეორეც - კარგიც და ცუდიც, კეთილიც და ბოროტიც, ხელმომჭირნეც და ხელგაშლილიც, შესაცოდიც და შესაშურიც, ქმარიც და საყვარელიც. ამის ბრალია ალბათ, ჩვეულებრივ ღალატს გონივრულ ნაბიჯად რომ ვთვლით, კანალიზაციის გამსკდარი მილიდან გადმონთხეული სიბინძურე მოჩუხჩუხე

ნაკადული გვგონია და კი არ გვაწუხებს, რადაცნაირად მოგვწონს კიდეც, სოფლურ იდილიას გვიქმნის რკინაბეტონით გაკავებულ ქალაქში... ამის ბრალია, ერთი და იგივე გამვლელები რომ ცვივიან ერთსა და იმავე ორმოებში, რომლებიც, ჩვენი გაზეთების ენით თუ ვიტყვით, მოძრაობას კი აფერხებენ, მაგრამ სრულებითაც არ განეკუთვნებიან ცივილიზებული სამყაროსთვის უჩვეულო და მიუღებელ მოვლენათა რიგს. მართლაც, ვისაც ორმოში ჩავარდნა არ სიამოვნებს, შინ დაეტიოს. მაგრამ რაც გვჭირს, ყველაფერი ჩვენს ორბუნებოვნებას რომ დავაბრალოთ მარტო, კიდევ ერთი უსვინდისობა იქნება და მეტი არაფერი. ყველანი დამნაშავენი ვართ ყველაფერში. აი, არსი ჩვენი არსობისა! ყველანი დამნაშავენი ვართ, მაგრამ რაკი ყველანი ვართ დამნაშავენი, არავისა აქვს უფლება, მეორე ადამიანი დაადანაშაულოს რამეში, რამეში მაინც. მხოლოდ და მხოლოდ, თითოეული ჩვენგანის სურვილზე და, რასაკვირველია, პიროვნულ თვისებებზეა დამოკიდებული, ვაღიარებთ თუ არა დანაშაულს, რომელიც შეიძლება არც ჩაგვიდენია, მაგრამ რომელმაც თავისი თავზარდამცემი მასშტაბურობისა და სისასტიკის გამო, სამუდამო დაღი დაასვა ჩვენს ნებისმიერ სურვილს, მიზანსა თუ განზრახვას... ზედმეტი უნდობლობისა არ იყოს, ზედმეტი ნდობაც აბნევს და, აქედან გამომდინარე, აცდუნებს ადამიანს. საერთოდ ადამიანი ზედმეტს ვერაფერს იტანს, ვერც ჭირს, ვერც ლხინს. კი ამბობენ, იმაზე მეტი თუ არ მიეცი, რაც ჭირდება, გაპირუტყვდებაო, მაგრამ, ეტყობა, მაინც ადამიანს გააჩნია. გააჩნია "მოხმარების საგანსაც". ზედმეტი ხურმა მუცელს გატკენს, ზედმეტმა პატივისცემამ კი, შეიძლება, გამოგატუტუცოს და იქამდეც მიგიყვანოს,

სხვებისგანაც მოითხოვო ის, რასაც შენი პატივისმცემელი საკუთარი სურვილითა და ალბათ სიამოვნებითაც აკეთებდა (თავს დააბრალოს!), მაგრამ ამ საყოფაცხოვრებო წვრილმანების გარკვევა ნამდვილად არ არის ჩვენი საქმე. გაცილებით სერიოზული ამოცანაა გადასაწყვეტი: არა მარტო თვითონ უნდა გავერკვე სხვის გრძნობებსა და განცდებში, მომავალსაც უნდა შევუნახო გასარკვევად. ასე რომ, ჩემო **მოცლილო მკითხველო**, როგორც უკვე გითხარი, ჯერ ისიც არ ვიცი წესიერად, რას შემოგთავაზებ. იქით საქვეყნოდ ცნობილი ბოროტების იმპერია იცვლის კანს, აქეთ კი აველუმის საკუთარი, უფრო სწორად, მარტო მისთვის არსებული, მის გულში დამალული სიყვარულის იმპერია ინგრევა თვალსა და ხელს შუა, რომლის შესაქმნელადაც, ვინ იცის, რამდენ ცეცხლში გავლა, რამდენ ყულფში გაძვრომა, რამდენი ხვრელისა და სოროს მონახვა დასჭირდა თავის დროზე. მაგრამ ამ ორი იმპერიის დაცემა, რა თქმა უნდა, უშუალოდ ერთმანეთზეა დამოკიდებული, მჭიდროდ არიან ისინი ერთმანეთს გადაბმულნი ჩვენთვის უხილავი ჯაჭვებით. ოღონდ, საბოლოო ჯამში, ყველამ მაინც თავისი მკვდარი უნდა იტიროს და თავისი ცოდვა მოინანიოს. პირადად მე, მზად გახლავართ საამისოდ და თავიდანვე ამ განზრახვით ავიღე კალამიც ხელში, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, თითქოს განდიდების მანიით ვიყო შეპყრობილი, უკვდავი ავტორებისთვის მინდოდეს თავის გატოლება და შენც იმიტომ მოგმართავდე ასე, იმათებურად - მოცლილო მკითხველო-მეთქი - უბრალოდ, თუკი მომავალშიც გაგრძელდება წერა-კითხვის ტრადიცია, ცოტა ვინმეს თუ ეცლება საამისოდ. არა მარტო შაქრისა და კარაქის, მწერლისა და მკითხველის რაოდენობაც დაიკლებს თანდათანობით და მართლაც, რა უნდა მისცეს

ნებისმიერმა წიგნმა (გინდაც ის წიგნი მილეტურ ყაიდაზე წნავდეს სხვადასხვა არაკს), დაკარგული დროის სანაცვლოდ, მოუცლელსა და საქმიან კაცს, რომელსაც, ვთქვათ, რუსთავის ხრიოკ ველზე, თაკარა მზის გულზე, ძეხვისა და შაშხის კოოპერატივი აქვს გახსნილი, ორთაჭალის რომელიღაც დაობებულ სარდაფში - ქალის წინდის ცეხი, ხოლო ახალდაბაში, წყნეთს გადაღმა, ერთი ქიმიური ქარხნის ხელა სათბური უდგას და ნიტრატების ჯადოსნური ზემოქმედების წყალობით, დღეში რამდენჯერმე იწევს მოსავალს. ასე რომ, თუკი ვინმეზე ითქმის მოცლილიო, სწორედ შენზე ითქმის მომავლის მკითხველო, დღევანდელი უსახელო მწერლების ერთადერთო იმედო და გამართლებავ, პატრონო და გამკითხავო - თუკი მლიქვნელობად არ ჩამითვლი შენი განდიდების, გაუკეთესების სურვილს. თუმცა, თუ საჭირო იქნება, შემიძლია მლიქვნელიც ვიყო, ოღონდ, იმიტომ კი არა, რამე მოვიგო ამით, არამედ, თუნდაც ერთი წუთით მაინც გავუღვივო სხვას, ვინც გინდა იყოს ის სხვა, საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობა, როგორც ჩვენს ახალგაზრდობაში აველუმი უღვივებდა დავუშვათ, იმავე მეტრდოტელს. იმის მაგივრად, თავი შორს დაეჭირა მისგან, "არ ეცდუნებინა" ის ჩვენი ცოდვით სავსე, ვინ იცის, უკვე რამდენგზის სულწაწყმედილი მეტრდოტელი, ყველანაირად ცდილობდა, მაინცდამაინც, თავის მაგიდასთან დაესვა, მაინცდამაინც, თვითონ გამასპინძლებოდა, მიფერებოდა და, რაც მთავარია, გულახდილად ეთქვა მისთვის ყველაფერი, რასაც ჩვენს ქვეყანაზე, ჩვენს ადათ-წესებსა თუ ზნე-ჩვეულებებზე ფიქრობდა. დილით კი, საკუთარ ლოგინში თვალის გახელისაც ეშინოდა, ადგომა აღარ უნდოდა, არაფერი აღარ

უნდოდა საერთოდ და - მოვიდნენ და წამათრიონო - იღრინებოდა გუნებაში. მაგრამ საღამოს, შეადგამდა თუ არა ფეხს კაფეში, ისევ შეაფრინდებოდა მოუშორებელი, მოურჩენელი სურვილი ვიღაცის გაადამიანებისა, გადარჩენისა, ცოდვიდან ამოყვანისა, თუნდაც საკუთარი სიცოცხლის ფასად და, შენ წარმოიდგინე, აღწევდა კიდეც გარკვეულ წარმატებას. ყოველშემთხვევაში, არავინ მოდიოდა შუაღამისას მის წასაყვანად, თუმცა, ნებისმიერი სასჯელისთვის მზად იყო უკვე, მით უფრო სიმთვრალეში, და არც გაუკვირდებოდა, მართლა რომ მოეკაკუნებინათ მისთვის უდროო დროს. სამაგიეროდ, ძალიან უკვირდა მეტრდოტელის საქციელი. უკვირდა და უხაროდა კიდეც. უფრო მეტიც, თავი მოწონდა, ასეთი ზემოქმედების უნარი რომ აღმოაჩნდა უშიშროების საიდუმლო აგენტზე (იმის აგენტობის ამბავი მთელმა თბილისმა იცოდა), რომელიც, ჩვენს წარმოდგენაში, დაუფიქრებლად, დაუნანებლად დაასმენდა საკუთარ შვილსაც, რასაკვირველია, თუკი ზემოდან დაავალებდნენ. რაც მთავარია, იმასაც აშკარად მოსწონდა აველუმის მაგიდასთან ჯდომა, აველუმის კონიაკის ყლურწვა და აველუმის შეხედულებების მოსმენა. შენისთანა კაცთან სასიამოვნოცაა მუშაობაო - ეუბნებოდა მისი გულახდილობითა და მისი კონიაკით გამთბარი, გაადამიანებული - ჩაუძიებლად და გამოუძიებლადაც ნათელია ყველაფერიო - მოკლედ, აშკარად კმაყოფილი იყო, კაცად რომ აგდებდა ვიღაც, თუნდაც მისი მორიგი მსხვერპლი, და შეძლებისდაგვარად ცდილობდა, ბოლომდე კაცად დარჩენილიყო თვითონაც, თუნდაც მარტო იმ ვიღაცის თვალში. ყოველშემთხვევაში, რაც უფრო ღრმად შევტოპავდით ხოლმე გულახდილობის თავბრუდამხვევ

მორევში, მით უფრო მეტი პატივისცემით, შეიძლება ითქვას, მოწიწებითაც კი გვეპყრობოდა, რაც, ადვილი შესაძლებელია, მისი პირადი უფროსის ტაქტიკური ჩანაფიქრი იყო და სხვა არაფერი, მაგრამ ეს სრულებითაც არ უშლიდა ხელს თავად მეტრდოტელს, უკეთესი წარმოდგენა შეჰქმნოდა საკუთარ თავზე და კონიაკით შეხურებულს, ტუალეტის სარკეში მაინც ჩაეპაჭუნებინა თვალი საკუთარი გამოსახულებისთვის, არავისზე ნაკლები ბიჭები არა ვართო. და მართლაც, რა უნდა გვეთხოვა, არ შეესრულებინა ჩვენთვის. არც ნისიაზე უთქვამს უარი, არც საათზე დაუხედავს როდისმე. და ასე იმიტომ იქცეოდა, ჩვენც რომ პატივს ვცემდით, ჩვენც რომ კაცად ვაგდებდით. მაგრამ, ეტყობა, ძირითად სამსახურშიც დიდად აფასებდნენ მის "საზრიანობასა" და "გულისხმიერებას" და ესეც გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენდა მასზე, რის შედეგადაც დღითი დღე მეტი ფასი გვედებოდა მის თვალში, რამდენადაც, ჩვეულებრივი ლოთებისგან განსხვავებით, ოფიციალურად აღიარებული მწერლებიც ვიყავით, მწერალთა კავშირის სრულუფლებიანი, წიგნაკიანი წევრები, და ჩვენს ნალაპარაკევს, მით უფრო სახელმწიფოს უშიშროების დაცვის კომიტეტისთვის, რასაკვირველია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. მაგრამ, როგორც დრომ დაგვანახვა, ამაოდ, ტყუილად, ფუჭად - დღეს აღარც ჩვენ ვითვლებით მწერლებად და, ალბათ, აღარც ის მეტრდოტელი, ანტიპო თუ ინდიგო ითვლება აგენტად. ვინ იცის, რად გარდაიქმნა, ვისი სახე მიიღო გარემოებისდა შესაფერისად.

და მაინც, როცა ქვეყანა იღუპება, უბრალოდ არ შეიძლება, იყო სოფელში და სოფლისთვის არ ზრუნავდე, ანუ, გულს მაინც არ გიკლავდეს თუნდაც კიბეებზე ჩამომსხდარი გაფიცულების ბრაზიანი გამოხედვა, სიქაგაცლილი დემონსტრანტების ღვარძლიანი შეძახილები თუ მზესუმზირის ჩენჩოში კოჭებამდე ჩამდგარი მომიტინგეების უტეხი მოთმინება. მითუმეტეს არ შეიძლება, სოფელში იყო და თავზარს არ გცემდეს, საყოველთაო უბედურების მაუწყებელ ნიშნად არ აღიქვამდე ორი დედაბრის გაუთავებელ ცეკვას, მაინცდამაინც, შენი მოპირდაპირე სახლის მეხუთე სართულის აივანზე, მთელი ქალაქის დასანახად, საქალაქო ტრანსპორტის თითქმის ყველა სახეობის ერთობლივ ღრჭიალსა და ღმუილში. საკმარისია, მხარზე დროშაგადებულმა თუნდაც ერთმა კაცმა ჩაიაროს ქუჩაში, რაც არც ისე იშვიათად ხდება ამ ბოლო დროს, ანდა, საკმარისია, წამით შეფერხდეს მოძრაობა, ანდა, რაიმე სხვა მიზეზის გამო შეჯგუფდეს, შეყოვნდეს გამვლელთა ნაწილი მაინც, ისინიც მაშინვე აივანზე გამოცვივდებიან და ცეკვავენ. უფრო სწორად, კი არ ცეკვავენ, ადგილზე ტრიალებენ, ვითომ ვცეკვავთო. შიგადაშიგ გაუბედავად ბუქნავენ კიდეც და ჭრელ ჭინჭებს იქნევენ თავს ზემოთ (აივანზე გასვლისთანავე რომ ამოაფრიალებენ ხოლმე ბამბაზიის ხალათის ჯიბეებიდან) და ასე გრძელდება იქამდე, სანამ ვიღაც უხილავი, თუკი მართლა არსებობს ასეთი ვინმე (ყოველ შემთხვევაში, მე სხვა არავინ შემიმჩნევია იმ აივანზე), არ მოუხმობთ ოთახიდან. მაგრამ სხვა აბრიყვებთ, თუ თავად იბრიყვებენ თავს, ერთი ცხადია - თავიანთი ბებრული ჭკუით, ასე უწყობენ ისინი ფეხს დაუნდობელი დროის დინებას და ასე უცხადებენ თავიანთ თანამოქალაქეებს

თანადგომას, ვითომ, ჩვენც ჩვენებურად ვიბრძვით იმპერიის დასამხობად და ჩვენც ჩვენებურად ვზეიმობთ იმპერიაზე მოსალოდნელ გამარჯვებასო. ორივე ერთნაირად ტანმორჩილია. დებივით გვანან ერთმანეთს (შეიძლება დებიც არიან). თმაც ორივეს ერთნაირად მოდაზე აქვს შეჭრილი (ერთმანეთს შეჭრეს ალბათ, სიცილ-ფხუკუნით), ტანთ ყვავილიანი ბამბაზიის ერთნაირი ხალათები აცვიათ, ფეხებიც ერთნაირ საშინაო ფლოსტებში წაუყვიათ და ცეკვავენ, ბზრიალებენ, ბუქნაობენ მთელი ქალაქის დასანახად. ხანდახან ისე გამებერება ხოლმე გული მათი საცოდაობით, აღარ ვიცი როგორ მოვიქცე - ზურგი შევაქციო სარკმელს, სანამ ცეკვას მოათავებენ, თუ ავუვარდე და ვკითხო, რა გაცეკვებთ, რა გეზეიმებათ-მეთქი. მართალია, პარიზში, პომპიდუს ცენტრის წინ, საკმაოდ ბინძურ მოედანზე, გამალებული ითვლის ელექტროსაათი ოცდამეერთე საუკუნემდე დარჩენილ წამებს, მაგრამ ჯერ საკითხავია, დადგება თუ არა საერთოდ ოცდამეერთე საუკუნე. ადვილი შესაძლებელია, კაცობრიობის უკანასკნელ წამებს ითვლიდეს ფრანგული ელექტროსაათი, მაგრამ რაკი, ჯერჯერობით, მაინც ადამიანები ვართ, თუნდაც გადაგვარების გზაზე დამდგარნი, უიმედობა არ შეგვშვენის - ხეირს არ დაგვაყრის - მით უფრო, რომ ბუნების ამოუწურავი სიკეთისა და ქიმიის ასევე ამოუწურავი სივერაგის გამო, ჯერ ისევ გრძელდება ცხოვრება, ისევ ამოდის მიწიდან ბალახი, ისევ დაფარფატებს ყვავილს პეპელა, ისევ აბამს თავის ქსელს ჯიუტი, შეუპოვარი არაქნე, ისევ ბრაზიანად დასტრიალებენ კრაზანები ადამიანის ხელშენავლებ ნივთებს, ისევ ვარდება მათლაფაში ბუზი, ღამღამობით ისევ წივის ყურთან კოღო, ისევ დასდევს ძაღლი კატას,

კატა - თაგვს და, რაც დიდად გასახარია, ჯერჯერობით, არავის უკვირს ეს ამბავი. არავის უკვირს, კიდევ ერთი (ღმერთმა იცის, მერამდენე) გაზაფხული რომ მოგვდგომია კარს. ღმერთმა იცის-მეთქი, რადგან არავინ არ ვიცით, როდის დავიწყეთ საერთოდ ცხოვრება, ანუ, რამდენი მილიონი წამის წინ მოვკალით აბელი. თავისთავად ცხადია, პირველი აბელი, თორემ, ერთი ჩვეულებრივი აბელი, ალბათ ყოველ წამში კვდება ამ ქვეყანაზე. ასე რომ, განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს ყველას, ვინც აბელად გაუჩენია ღმერთს. განსაკუთრებულად გაზაფხულზე. გაზაფხული ყველაზე დაუნდობელი დროა. ჟამი სხვლისა მოიწია, ხმა გვრიტისა ისმა ქვეყანასა შინა ჩვენსა, ლეღვმან გამოიღო ყვავილი თვისი. მაგრამ მიუხედავად მრავალი სიკეთისა, გაზაფხული უკიდურესობამდე გაამძაფრებს ხოლმე ნებისმიერ გრძნობასაც და სენსაც და, რა განსხვავებაა, სენს მოვეკვლევინებით თუ გრძნობებს. **აბელ, თოფი იფოთლება!** (წაიკითხე უკუღმა). შეფოთვლა ხომ იგივე შენიღბვაა, მაგრამ როგორც არ უნდა შეინიღბოს, თოფიც ნაყოფით იცნობა. თოფის ნაყოფი კი ტყვიაა.

**ძაღლმა- ლეკვი,**
**ძროხამ - ხბო,**
**თოფმა ტყვია მოიგო.**

მაგრამ, ლეკვისა და ხბოს მსგავსად, ტყვიასაც ხომ რძით ვერ გამოკვებავ?! ტყვიის საკვები სისხლია და სულერთია ვისი სისხლი იქნება ის, ლეკვისა, ხბოსი თუ აბელისა. აბელი პირველი ადამიანია ადამიანის ხელით მოკლული უაღრესად ადამიანური გრძნობების გამო. აბელი ადამიანობის მსხვერპლია, თანაც პირველი, და ამდენად, მარადიულიც - არც ის მოაკლდება როდისმე ქვეყანას და არც მისი მკვლელი, ვიდრე ორივეს შემქმნელი იარსებებს, ვიდრე ის არ ამოწურავს საკუთარ არსს, ანუ, ერთხელ და სამუდამოდ არ ამოუშვებს პირიდან ღმერთისგან შთაბერილ სულს და ისევ თიხად, თიხის უსულო თოჯინად, გინდაც ყავლგასულ ვნებათა ყულაბად არ იქცევა. ასე რომ, რამდენიც არ უნდა თვალოს ელექტროსაათმა, ბოლო სიტყვა მაინც ბატონ ადამზეა, ანუ, თითოეულ ჩვენგანზე, რამდენადაც ადამი ჩვენი კრებითი სახელია და მეტი არაფერი - ადამი ვარ მეც, ადამი ხარ შენც, ადამია ისიც და ერთმანეთის მიმართ თუნდაც იოტისოდენა ყურადღების გამომჟღავნებამ, შეიძლება, სასწაულები მოახდინოს, არა მარტო ჩერნობილური გრიპების ეპიდემიები, ერთმანეთიც აგვატანინოს, თუკი ზრდილობის გულისთვის მაინც მოვიკითხავთ ხოლმე ერთმანეთს. **ადამ, როგორ მადა?** (ესეც უკუღმა იკითხება და, რაც მთავარია, დიდი გასავალი აქვს დღევანდელ მწერლობაში ამგვარ ლინგვისტურ ოინბაზობებს). გმადლობთ, ცუდად. მაგრამ ამას არა აქვს არავითარი მნიშვნელობა. ღმერთმა იცის, ჭამა უფრო მაწყენარია ჩვენს დროში, თუ უჭმელობა. ზრდილობა კი ნამდვილად არავის აწყენს, არც მაძღარს და არც მშიერს. ზრდილობას ყოველთვის შვება მოჰქონდა კაცისთვის და ალბათ ამიტომაც არ ითვლებოდა უზრდელობად ზოგიერთ ქვეყანაში,

მაგალითად, გამძღარზე დაბოყინება. ყოველ შემთხვევაში, ზრდილობა ყოველთვის ეხმარებოდა ადამიანს, თავი ადამიანად ეგრძნო, ოღონდ ადრე, დიდი ხნის წინათ, როცა ნამდვილად ცხოვრობდა და როცა მის სანახევროდ ჩაბნელებულ ოთახებში სანთლის ნაღვენთის სუნი ჭარბობდა, ქუჩებში კი - ცხენის ჩონჩორიკისა. თუმცა, რაც უნდა სამწუხარო ამბავი იყოს, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ადამიანი, თვალშისაცემად მცირე, მინიატურული "ოქროს ხანების" გამოკლებით, სულ უფსკრულის პირას დგას და სულ ბეწვის ხიდზე გადის. სამწუხაროა, მაგრამ ჩვენში რომ ვთქვათ, იმედის მომცემიცაა. მართლაც, რომელი უკვდავი წიგნიც არ უნდა აიღოთ ხელში, ყველა ერთნაირად ჭირისა და და უბედურების აღწერით იწყება. ძმა ძმას კლავს, ბიძა ძმისწულს აუპატიურებს, ქმარი ცოლს ყიდის და, რაც დღევანდელი თვალსაზრისითაც ძნელი დასაჯერებელია, დასანახადაც არ უნდათ მშობლებს თავიანთი შვილები. იმიტომ რომ, ქვეყანაზე ჭირი მძვინვარებს და დამფრთხალი, გაპირუტყვებული ხალხი დუქან-დუქან დაძრწის, რა ვჭამო და რა დავლიოო, თითქოს დიდი დღე არ ედოს წინ, თითქოს მართლა მთავრდებოდეს ცხოვრება. სხვის მიტოვებულ ბინაში ისე მოკალათდება, გეგონებათ შინ მოსულაო, ნათესავის დასამარხად კი თავს არ შეიწუხებს, პირიქით, შეგნებულად აარიდებს თავს, მეც არ შემეყაროს იმისი ჭირიო. ჭირი კი მძვინვარებს, აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე მუსრს ავლებს ყველაფერს, რაც სუნთქავს და მოძრაობს. სასიკვდილოდ განწირულ ქალსა თუ კაცს საზარდულთან ან იღლიის ქვეშ ვაშლისა თუ კვერცხის ხელა სიმსივნე უჩნდება და მერე

აღარც მხურვალე ლოცვა-კურთხევა შველის, აღარც ექიმის რჩევა-დარიგება. წასკდება ცხვირიდან სისხლი და გათავებულია მისი საქმე. თუმცა, კაცი ვერ იტყვის დაბეჯითებით, თვითონ სენის ბრალია ეს, თუ იმათი, ვინც ამ სენისგან ხალხის განკურნებას ცდილობს. ასეთთა რიცხვი კი მეტისმეტად იზრდება ჟამიანობის დროს. ნასწავლ მკურნალთა გარდა, წამლობას ქალებიც მიჰყოფენ ხოლმე ხელს, თუმცა ექიმობა თავის დღეში არ უსწავლიათ (ჩვენ კი გვგონია, მარტო ჩვენს დროს არიან ასეთი ენერგიული, პრაქტიკული და, რაც მთავარია, ყველაფერში ცხვირის ჩამყოფი ქალები!), მაგრამ თავიანთი უვიცობის გამო, სენის გაჩენის მიზეზისთვის ვერ მიუგნიათ და მაშასადამე, ვერც უებარი წამალი უხმარიათ. თითქოს მართლა ჩვენზეა ნათქვამი, არადა, ეს ამბები რომ ხდება, ღვთის ძის ნაყოფიერ ხორცშესხმიდან ათასსამასორმოცდარვა წელია მხოლოდ გასული. მაგრამ ჭირი ფეხდაფეხ მოსდევს ადამიანს საუკუნიდან საუკუნეში, ერთი ეპოქიდან მეორეში. ადამიანი, რაც თავი ახსოვს, სულ ჭირს გაურბის და სიჩქარეში იმასაც კარგავს, რაც, თუნდაც, გაჩენისთვის ეკუთვნის. სიჩქარე ურევს თავგზას, სიჩქარე აბნევს და აცდუნებს... ჩვენ კი მაინც მომავალს ვესაუბრებით, რაც, ცოტა არ იყოს, თავხედობაა ჩვენი მხრიდან, თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, საერთოდ სათუო რომ გავხადეთ მომავალი. ჯერ კიდევ საკითხავია, მოევლინები თუ არა ქვეყანას ჩემო **მოცლილო მკითხველო**, ბედურასავით რომ მობუზულხარ სადღაც, უსაშველოდ შორს, გაურკვევლობის საშოში. შენს წინაშეც დამნაშავენი ვართ ყველანი, გუშინდელნიც და დღევანდელნიც; ასე უთავბოლოდ რომ ვიცხოვრეთ, შენც იმიტომ აღმოჩნდი ბედურასავით უსახლკარო, უწინაპრო, უძირფესვო;

იმიტომ გახდა სათუო საერთოდ შენი დაბადება. უთავბოლოდ კი არ ვიცხოვრეთ, საერთოდ არ იყო ჩვენს დროს ცხოვრება - არც კედელს აქეთ, არც კედელს იქით. ანდა, ცხოვრება ცალკე იყო, ადამიანი - ცალკე. ხოლო, ცალკედარჩენილებში, ჩვენ კიდევ უფრო მეტად ვიყავით გარიყულები, როგორც გეოგრაფიულად მცირე და ისტორიულად უუფლებო ქვეყნის შვილები. ჩვენი მადანი სხვის მიწაში იდო, ჩვენი ფული - სხვის ჯიბეში, ჩვენი კვერცხი - სხვის ბუდეში. ჩვენ კი მიწას ვამძიმებდით მხოლოდ. თავი ახლაც სავსე მაქვს არარსებული ცხოვრების მოგონებებით - შიგნიდან მანგრევენ, მშლიან... ბლაგვი, ჭიანი კბილებით მილოღნიან სასიცოცხლო ორგანოებს, მაგრამ რაკი სუსტი ვარ და პატარა, უნდა გავუძლო, მოვითმინო, სანამ თანდათანობით მეც მოგონებად ვიქცეოდე ვიღაცისთვის, დავუშვათ, შენთვის, და იქნებ მაშინ დავწყნარდე ცოტა (გავთავისუფლდე სიცოცხლისგან, რომელსაც შენ მოგართმევ ძღვნად უუდიდესი სიამოვნებით) და ახლა მე უნდა ვჯიჯგნო შენი ღვიძლი თუ თირკმელი. დაღამებას ისე ველოდები, როგორც სიკვდილმისჯილი - გათენებას. მაგრამ რაც სიკვდილმისჯილმა ერთხელ უნდა გადაიტანოს, მე ყოველ ღამე უსასრულოდ, გაუთავებლად ვიტან. დაღამდება თუ არა, უდაბნოს ცხელი ქარივით შემაფრინდება ყელ-კისერზე გადატანილი ცხოვრება, ამაგანგაშებს ჩადენილი თუ ჩაუდენელი შეცდომების ღიად დარჩენილ თვალებში ასისინებული წყვდიადი. თან ვიხრჩობი, თან რაღაცის მოლოდინი მაქვს სულ, რასაკვირველია, უარესის, საზარლის, რასაც აუცილებლად უნდა მოვესწრო და თუ არ ვიხრჩობი, მხოლოდ ამიტომ არ ვიხრჩობი. თითქოს, ჰა და ჰა, კარი უნდა შემომიმტვრიონ, შემომიცვივდნენ, ნაცნობ-

მეგობრები, ნათესავები, მტრები და მოყვრები, მკვდრები და ცოცხლები, ვისაც, ნებსით თუ უნებლიეთ, შეგნებულად თუ შეუგნებლად, რაღაცაში შევეცილე ამ ქვეყანაზე, რაღაც დავაკელი ჩემი არსებობით, ვთქვათ, საცხოვრებელი ფართობი, ჟანგბადი, წყალი, პური, წამალი, ჰონორარი... და არ ვიცი, როგორ დავიცვა თავი (თავის მართლებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია), რაც მთავარია, როგორ გადავარჩინო ჩემიანები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მიზეზით მოევლინენ ქვეყანას და რომლებსაც ჩემი იმედით, მშვიდად სძინავთ თავიანთ საწოლებში, სანამ მე ვიწვი და ვიხრჩობი; არც იციან, რა საფრთხე ელით, რას იმსახურებენ მოყვასისგან, თუნდაც მხოლოდ გაჩენის გამო. რაღა ჩემი ღამეული წარმოდგენები და რაღა ვიდეო-საშინელებები. ჰიჩკოკი რომ ჰიჩკოკია, იმის მეათასედსაც ვერ მოიგონებს, რაც მე თავისთავად, ყოველგვარი დაძაბულობის გარეშე მომდის თავში. დაბანისაც მეშინია, თითქოს, მაინცდამაინც, მაშინ შემომიცვივდებიან, თავგასაპნული რომ ვიდგები აბაზანაში. თვალი გინდაც გავახილო, ვერ დავინახავ, როგორ გამოიყურება ჩემი მკვლელი. ის კი მხედავს - საცოდავს, უმწეოს, სასაცილოს, საკუთარი სიშიშვლით დათრგუნვილს, დაპატარავებულს - და სრულებითაც არ ვენანები. საპნის თეთრი ქაფიდან წითლად იფეთქებს უცებ სისხლის შადრევანი. არადა, შენს მეტს ვერავის გავუმხელ ჩემს გასაჭირს, ჯერ არშობილო, იმიტომ კი არა, რომ დამცინებენ, გიჟად ჩამთვლიან, ფსიქიატრთან გამიშვებენ (ფსიქიატრთან, სხვათაშორის, ჩემით დავდივარ, ვითომ მეგობრული ვიზიტით, და მართლაც ძირითადად განყენებულ თემებზე, ხელოვნებასა თუ მწერლობაზე ვსაუბრობთ ხოლმე, რადგან იმისთვის ყველაფერი "ისედაც"

ნათელია, უთქმელადაც იცის, ყველა ხელოვანს რომ აწუხებს ძილის პრობლემა, მუცლის გვრემა თუ ინტელექტუალური გადაღლილობა), იმიტომ რომ, ცოდონი არიან, თავიანთიც ყოფნით და გინდაც ძალიან მოინდომონ, მაინც ვერ მომეხმარებიან. რასაკვირველია, ვერც შენ მომეხმარები, მაგრამ ისიც დიდი შეღავათია, თუნდაც მარტო ჩემთვის, ჩემს წარმოდგენაში რომ არსებობ. ოღონდ, ერთი კია, უფრო ადრე მოევლინე ქვეყანას (თუნდაც ჩემს ქვეყანას), ვიდრე ბუნებისგან იყო გათვალისწინებული. მე გაიძულე, გაჩენილიყავი დროზე ადრე, რადგან შენი არსებობა იმის გარანტიაცაა, გაისადაც რომ ამოვა მიწიდან ბალახი, გაისადაც რომ დაიდება ბუდეში კვერცხი, გაისადაც საქმიანად, ენაგადმოგდებულნი გადაიძუნძულებენ ხვადი მგლები ქედებსა და სერებს ძუკნას ყმუილზე. ესეც დიდი იმედია. უფრო მეტიც, ახლა ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ყოველთვის იყავი, ჩემამდეც კი, თუმცა, კარგად მახსოვს, სულ რამდენიმე დღის წინ მოგმართე პირველად, მოცლილო მკითხველო-მეთქი. ხოდა, ჩემო უცნობო ნაცნობო, უშორესო ახლობელო, უფრო ზუსტად კი, იმედის მაგიერო, იმედის შემცვლელო, ანუ ხელოვნური იმედის ფხვნილო (თუკი დედის რძესაცა აქვს შემცვლელი, ვითომ იმედმა რა დააშავა?!), ჩემი სიზმრისა და ოცნების ბრჭყვიალა ფურცლებით შეფუთვნილო (თუკი ხელოვნური რძის ფხვნილით თაობები იზრდებიან, რატომ არ შეიძლება, ერთი-ორი დღე ხელოვნური იმედის ფხვნილითაც მოიტყუოს კაცმა თავი?!), შენთან სალაპარაკოდ რომ ვემზადები, ჯერ ბოთლს უნდა გავესაუბრო, და საფუძვლიანადაც, და ასე იმიტომ ვიქცევი, უფრო თამამად, უფრო შინაურულად ვიგრძნო თავი ამ ქვეყანაზე და, ამავე დროს, ძალიან

მაინტერესებს, რას შევქმნი უკეთესს, თუკი ყველაფერს ვიტყვი, რაც ენაზე მომადგება, რასაც არასოდეს ვიტყოდი ადრე, როცა ჯერ ვწერდი და მერე ვსვამდი. იქნება მართლა ისე დამაშინა ცხოვრებამ, ტყუილს სიმართლედ ვიყენებდი, უფრო მოკლედ რომ ვთქვათ, ვტყუოდი, სიმართლე რომ არ მეთქვა. მაგრამ, პირადად მე, პირიქით მგონია, რადგან მხოლოდ სიმართლის თქმა იყო ჩემი მიზანი და არა რაიმეს თქმა ზოგადად, მით უფრო რომ, ჰონორარს ერთნაირად იხდიდა სახელმწიფო აშკარა ტყუილშიც და შენიღბულ სიმართლეშიც. ოღონდ, ტყუილის თქმა თუ უსინდისობაა, მართლისმთქმელობა უბედურებაა - შენიღბულად, ქარაგმულად, ნამცეც-ნამცეც აპარებ შენს სიმართლეს ვიღაცას, ვისიც არ იცი სახელი და ვისი გადარჩენაც მიზნად დაგისახავს, მაგრამ თავისუფლად შეიძლება, სხვადასხვანაირად გესმოდეთ თქვენ (და ეს უფრო დიდი უბედურებაა) სიმართლეცა და მართლისმთქმელობაც საერთოდ. ამისიც გეშინია. "ამისიც" კი არა, ყველაზე მეტად ამის გეშინია სწორედ, რადგან გინდა თუ არ გინდა, მოგწონს თუ არ მოგწონს, მაინც შერისხულთა, დაჭერილთა, დახვრეტილთა, დაშინებულთა და, ბოდიში მომითხოვია, დაყვერილთა შთამომავალი ხარ. პაპაშენი შიშველ-ტიტველი, მშიერ-მწყურვალი ჩავიდა საფლავში, როცა ახალგაზრდობაში იმოდენა ღვინის სარდაფები ჰქონია რიყეზე, ბოლო კასრი ლოტოს კოჭის ხელა მოჩანდა თურმე კარიდან. მამაშენს ერთ საქვეყნოდ სახელგანთქმულ დაწესებულებაში ისე დაამტვრიეს ხელ-ფეხი, სიკვდილამდე ლოგინიდან აღარ წამომდგარა (ერთი ფეხი უკვე მკვდარს გაუსწორეს სატეხითა და ჩაქუჩით, წესიერად რომ დახურულიყო კუბო), ბელადის სიკვდილამდე არც ავად

დალაპარაკებია თავისიანებს, არც კარგად. მართალია, ეს იმდროინდელი ამბებია, როცა შენ არც ჭკუა გეკითხებოდა და არც სათვალავში გაგდებდა ვინმე, მაგრამ ადამიანი ცალკე, დამოუკიდებლად არასოდეს არსებობს. ყველა ადამიანი, სულ ცოტა, სამი თაობის ჯამია: პაპისა, მამისა და საკუთარისა. ამდენად, სამგზის პასუხისმგებელია შთამომავლობის წინაშე. თვითოეული მათგანი - პაპაც, მამაც, შვილიც - სამი დამოუკიდებელი სამეულის ძირითადი წევრია, სამი სამეულის მესამედია - პაპა, მამა და თვითონ; მამა, თვითონ და შვილი; თვითონ, შვილი და შვილიშვილი - ასე რომ, ყოველი მათგანი არა მარტო ამთავრებს რომელიმე სამეულს, არამედ ახალსაც იწყებს. შენ ალბათ შეშინებულთა სამეულს ამთავრებ - პაპაშენი რომ ცოცხალი იყოს, სამალავის ძებნაში იქნებოდა უკვე, დაუნანებლად დაყრიდა ყველაფერს და გაიქცეოდა ღატაკი, დამაკნინებელი სიბერისკენ; მამაც ენაჩაყლაპული, გულხელდაკრეფილი იწვებოდა ისევ. მაგრამ, მეორე მხრივ, უშიშართა სამეულის დამწყებიცა ხარ, რამდენადაც ამ სამეულის ორი მესამედი ახალგაზრდობაზე მოდის (შვილი, შვილიშვილი). შენი ქალიშვილი თავის ოთახში ალბათ ისევ სამფეროვან დროშას კერავს და მომავალი მიტინგისთვის ემზადება. მაგრამ, გულახდილად რომ ვთქვა, პირადად მე დაშინებულების უფრო მესმის, ვიდრე უშიშრების. ღვთის წყალობით, ოფიციალურად, ჯერჯერობით, არ შემოუყვანიათ ჯარი ქალაქში, მაგრამ რუსთაველის მომიჯნავე პატარა ქუჩები უკვე სავსეა "შენიღბული" სამხედრო ტექნიკით. აქა-იქ ავად და მოულოდნელად გაიელვებს ხოლმე გამჭვირვალე ფარი და მწვანე ჩაჩქანი. უნივერსიტეტის წინ კაცი ვერ გაივლის, ისეთი ამბავია. მოდიან, მოისწრაფიან,

მოაქვთ აცაბაცა ასოებით ნაწერი, მოუთოკავი მრისხანებითა და ორთოგრაფიული შეცდომებით სავსე, ჩვენი სწავლა-განათლების სისტემის ტლანქი ხელით დახეიბრებული ლოზუნგები, მკვდრეთით აღმდგარი დროშები. სამხედრო ტექნიკა კი გასუსულა, გარინდულა პატარა, მყუდრო ქუჩებში, თითქოს ვიღაცას დავიწყნიაო. წარღვნამდელ გოლიათ კუებს გვანან ბეტეერები. უსაშველოდ გაჭიმულა ფარდაჩამოშვებული ავტობუსების მწკრივი. მხოლოდ ერთი ტანმორჩილი, მხარზე ავტომატგადაკიდული, ვიწროთვალება ჯარისჯაცი ჩექმის წვერით სცემს მუხლუხოს, თითქოს პოლიგონიდან გამოყოლილი ბალახგარეული ტალახის მოშორებით იყოს გართული და თითქოს სხვას ვერაფერს ამჩნევდეს გარშემო. არადა, აშკარად შეგნებულად არიდებს ეშმაკურ, აზიურ სახეს გამვლელების დაჟინებულ, დაეჭვებულ მზერას - მშვენივრად იცის, კარგ საქმეზე არ მოუწვევიათ აქ. ასე რომ, ვისაც ჭკუა აქვს, ქვას უნდა იცემდეს თავში, ნემსის ყუნწში უნდა ძვრებოდეს, მშვიდობიანად რომ ჩაიაროს როგორმე, დავუშვათ, დღევანდელმა დღემ. შენს დროს თუ კიდევ იქნა რუკაზე საქართველო, ირწმუნე, მართლაც ღვთისმშობლის წილხვედრი ყოფილა და ამას გადაურჩენია მხოლოდ. რომ იცოდე, რამდენი ელოდება ჩვენს სიკვდილს, მოუთმენლად თუ მოთმინებით, მეზობელი თუ გადამთიელი - გაგიკვირდება, ან აქამდე როგორ მოაღწიეთო. ერთი ფიქრი აქვს ყველას, როდის მოგვაყრიან მიწას, თავად რომ დაემკვიდრონ ჩვენი საფლავის ბორცვზე, პლასტმასის ყვავილივით. მაგრამ მე სხვა მიკვირს ახლა: მთელი სიცოცხლე ამ დღეს ველოდი, როგორც იქნა მოვესწარი და... მეშინია! ხოლო, რაკი მეშინია, ეტყობა, მთლად ისე ვერ არის

საქმე, როგორც უნდა იყოს. უფრო სწორად, ისეა, როგორც უნდა იყოს და არა ისე, როგორც უნდა ყოფილიყო, მეტი ჭკუა-გონება რომ ჩაედო ჩვენთვის თავში გამჩენს. კიდევ ერთი ფარავანის ტბა დადგებოდა, რაც ჩვენ მელანი დაგვიხარჯავს თხოვნების, საჩივრების, ხოტბების, სადღეგრძელოების წერაში, მაგრამ მაინც ყველამ ერთად მოგვაყოლა გუნებაში, წადი თქვენი სულელი დედაცო... სულელი თუ ხარ, ბოლომდე სულელად დარჩები, გინდაც ოცი საუკუნე ქრისტეს შობამდე და ოციც ქრისტეს შობიდან, ცერებზე იდგე და რვა ხმაზე უმღეროდე მსოფლიოს სამადლობელს შენი ფეხებზე დაკიდებისთვის. მაااااااადდდდდდდლლლლლლლლლოოოოოოოოო ბბბბბბბბბეეეეეელივااااარმااااااადდდდდლლლლ ოოოოობბბბეეეეეელივااااااااااარმااااااااადლოოოო ოოობელიییییი.... თუმცა, ყველაფრის სხვებისთვის გადაბრალება გამოსავალი არ არის. გადარჩენა გვინდა და ვირთხის ეშმაკობაც არ გვაქვს. გამოუვალ მდგომარეობაში რომ ჩავარდება, ჩვენსავით, ვირთხა თავს იმკვდარუნებს, ვიდრე საფრთხე გადივლიდეს. ფრანსუაზას ერთ მოსკოველ მეგობარს, ლეონ ფუშეს, "მონდის" კორესპონდენტს, ლუდმილას ქმარსა და კოლია-კლოდის მამას, ბინაში ჰყავდა ვირთხა, ოჯახის კიდევ ერთი წევრივით, და ერთხელ (პირველად) სტუმრად რომ მივედი მათთან, ჩემს დანახვაზე, ესე იგი, უცხოს დანახვაზე, ის ვირთხა მაშინვე ზურგზე დავარდა და ფეხები მკვდარივით გაფშიკა. მე მართლა მკვდარი მეგონა და სრულებითაც არ დამწყდებოდა გული, მართლა თუ მოკვდებოდა. მაგრამ, კიდევ კარგი, თავი შევიკავე, ანდა, მოულოდნელობისგან ვერ მოვასწარი გრძნობების გამოხატვა, თორემ ნამდვილად გულს ვატკენდი ჩემს კეთილ მასპინძლებს (ისინი

საერთოდ მფარველობდნენ ფრანსუაზას, რაც მთავარია, მათი მოწვევით ჩამოდიოდა ის მოსკოვში და, თავისთავად ცხადია, მეც დავალებულად ვგრძნობდი მათგან თავს, როგორც აველუმის მეგობარი), ჩემი აშკარა, შეიძლება ითქვას, ზღვარგადასული სიძულვილით ამგვარი "შინაური ცხოველების" მიმართ. როგორც მალე გამოირკვა, ფრიდრიხს (ასე ეძახდნენ ოჯახში ვირთხას), საკუთარი, საკმაოდ სიმპათიური, ფანერისგან შეკრული სახლიც ჰქონდა და საკუთარი ავეჯიცა და ჯამ-ჭურჭელიც. ასე რომ, რასაკვირველია, არ იქნებოდა ლამაზი, ოჯახში პირველად მისულ კაცს, სიხარული და აღტაცება გამომეთქვა ოჯახის ერთ-ერთი წევრის მოულოდნელი სიკვდილის გამო. მაგრამ, მისიანებმა რომ დაუტატანეს, ადე, შე მშიშარაო, ფრიდრიხი სხარტად წამოხტა და დარცხვენილი, უფრო სწორად კი, კმაყოფილი (დარცხვენილი მე ვიდექი), მის მიერ ჩატარებული სცენით, სადღაც შეიმალა. აღარ გამოჩენილა ჩემს წასვლამდე, თუმცა, სადაც რამე ჩრდილი შეირხეოდა, ყველგან ის მელანდებოდა და, მიუხედავად მასპინძლების თავგამოდებული თხოვნისა, ვერაფერს დავაკარე იმ დღეს პირი. ასეა საქმე, ბატონებო. სრული განუკითხაობა სუფევს ქვეყანასა ზედა. ვირთხები დღითი-დღე მყარად იკიდებენ ფეხს ჩვენს შეგნებაში და არა მარტო შეგნებაში. პავლე ისევ სავლედ იქცა და ხვალ და ზეგ, შეიძლება, მართლა აღიგავოს პირისაგან მიწისა ნეკრესიც და მოწამეთაც, ბაგრატიც და ალავერდიც, იყალთოც და გეგუთიც... გაანათლე უფალო, სული მონისა შენისა საქართველოსი, ქრისტეს მესიის მშობელისა (ეს ვერ გვაპატია სწორედ ჩვენმა ერთმორწმუნე მფარველმა), რუსთაველის მშობელისა, ილია მართლის მშობელისა და ილია მართლის მკვლელის მშობელისაც... ამინ.

უკუნითი უკუნისამდე. მეორედ მოსვლამდე არაფრის იმედი არ უნდა გვქონდეს. სონიასაც ასე ურჩევნია ალბათ - რაც არ არსებობს, ნაკლებად შემაწუხებელია თვალისთვისაც და სინდისისთვისაც. მაგრამ, რაც თვალს აკლდება, სულს თუ არ ემატება, მაშინ სიცოცხლე მართლა კიტრადაც აღარ ღირს...

თუ თანამიმდევრობაზეა საქმე, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, კირა უნდა ვახსენოთ - ჩვენი უბნის ჭეშმარიტი დიასახლისი, უასაკოთა და უპოვართა ერთადერთი გამგები და გამკითხავი. შესახედავად ერთი ჩვეულებრივი, ცხოვრებისგან გაძენძილ-გაწეწილი თბილისელი მეძავი, მაგრამ ბუნებით ღმერთქალთა შესაშური სიკეთითა და გულუხვობით დაჯილდოვებული ადამიანი.

კირას ბინას შესასვლელი (უფრო სწორად, ჩასასვლელი) ეზოდან ჰქონდა, მაგრამ მიწის ზედაპირს სანახევროდ ამცდარი სარკმელი ქუჩაში გამოდიოდა და ისიც (კირა), ძირითადად, სარკმლიდან იღებდა სტუმრებს, რათა მათ სიმრავლესა და მრავალფეროვნებას საბოლოოდ არ გამოეყვანა მოთმინებიდან მეზობლები. ასე რომ, საფუძვლიანად უნდა მოკუზულიყავით წელში, ნახევარსარკმელში რომ გატეულიყავით და კირას ბინაში ამოგეყოთ თავი. მეზობლების გაღიზიანებას ჩვენც ეს გზა გვერჩია და, შეშინებულ-აღელვებულნი, აღგზნებულ-აცუნდრუკებულნი, საპარაშუტო სკოლის კურსანტებივით, ტყაპა-ტყუპით, ერთმანეთის მიყოლებით ვხტებოდით ჩვენი "ბედნიერი ბავშვობის" ციდან მეძავის სანახევროდ ბნელ ბუნაგში, სადაც მოჩვენებითი დაუდევრობისა და მოურიდებლობის წილ, დაბნეული სერიოზულობა გვეუფლებოდა ყველას და გულაბაგუნებულნი შევცქეროდით, თანდათანობით როგორ გამოიკვეთებოდა ხოლმე ოთახის შორეულ კუთხეში წეროსავით მაღალსა და წვრილ ფეხებზე შემდგარი პატეფონის გვერდით ატუზული გოგო-ბიჭი - კირას შვილები - სიძულვილნარევი ცნობისმოყვარეობით რომ ადევნებდნენ თვალს ჩვენს "მიწაზე დაშვებას", რათა სარკმლის მიხურვისთანავე დაექოქათ პატეფონი და მოყურადებული მეზობლებისთვის მუსიკის მეშვეობით ჩაეხშოთ სხვა უფრო საეჭვო და გამაღიზიანებელი ხმები.

არ ვიცი, რას განიცდიდნენ სხვები, მე კი, იმ გოგო-ბიჭის შემყურეს, რატომღაც, დანაშაულის გრძნობა მეუფლებოდა ყოველთვის და უფრო მტანჯველი იძულებით ველოდებოდი ჩემს რიგს, სპერმის სუნდაკრულ ბინდბუნდში, ვიდრე სასიამოვნო მოუთმენლობით. პატეფონი კი, რა თქმა უნდა, "რიორიტას" მღეროდა და მეზობლებმაც სწორედ "რიორიტას" წყალობით, ყოველთვის უშეცდომოდ იცოდნენ, თუ როდის მოსდიოდა კირას სტუმრები.

კირა სუსტი, პატარა ტანის ქალი გახლდათ და, შეიძლება ამიტომაც, თვალშისაცემად მაღალქუსლა ფეხსაცმელს იცვამდა. ლიპებიანი პალტოს მოხურვა უყვარდა, ქუჩაშიც და ოთახშიც, და ისე არ გამოგისტუმრებდათ, ერთხელ მაინც არ წაემღერა საყვარელი ლექსი (შეიძლება, საკუთარიც).

*იმნაირი არა ვარ,*
*ველოდები ტრამვაის.*
*ტრამვაი თუ არ დადის,*
*განა ჩემი ბრალია?!*

სწორედ ტრამვაიში შევხვდით ოცდახუთი წლის მერე. ამჯერად, კონდუქტორის შავი კიტელი ეცვა. კიტელზე სქელი, ჯარისკაცული ქამარი შემოერტყა, ფულის ჩანთიანად, კისერზე კი, გაბურძგნული ძაფით, ბილეთების რულონი ეკიდა, საბავშვო ველოსიპედის ბორბლის ხელა. დაბერებულიყო. კბილი ჩასცვენოდა. კიდევ უფრო გაქუცულიყო. თუმცა, ძველებურად, პუდრიც ესვა და პომადაც. ოღონდ, ძველებურად ვინმეს "მოსაჩანგლად" კი არა, პროფესიული სიგამხდრისა და სიფითრის შესანიღბად. რასაკვირველია, ვერ მიცნო. მაგრამ ჩემმა დაჟინებულმა მზერამ, ეტყობა, მაინც მიახვედრა, ვინ შეიძლებოდა ვყოფილიყავი და სასწრაფოდ ამარიდა თვალი, თითქოს თუ გამომეცნაურებოდა, უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდებდა, თითქოს ვაგონში მსხდომთ აუცილებლად უნდა სცოდნოდათ მისი წარსული და, რაც მთავარია, სახეზე უნდა სცნობოდათ მისი პეტაფონის ყველა მსმენელი. სამაგიეროდ, მე არათუ გამოვეცნაურე, გადავკოცნე კიდეც, დიდი ხნის უნახავი და უაღრესად ახლობელი ნათესავივით, რამაც, ცოტა არ იყოს, ისე ააღელვა ჩვენი ბებერი მასწავლებელი, შესამჩნევად შეეფაკლა პუდრით გადათეთრებული ლოყები.

მალე ჩემს უკან უბილეთო ხალხი შეჯგუფდა და გასასვლელი ჩაიხერგა, თუმცა კირა ყველას ერთნაირად ანიშნებდა ხელით, არ გაჩერებულიყვნენ ბილეთისთვის. ერთი-ორჯერ დაიძახა კიდეც: დღეს უბილეთოდაა მგზავრობაო. ზოგი იცინოდა, ზოგი ბრაზობდა - ჩვეულებისამებრ, ვერ ხვდებოდა, ვერ ერკვეოდა ადამიანურ გრძნობებსა და განცდებში - ჩვენ კი, მოწაფე და მასწავლებელი, ერთმანეთს შევცქეროდით და უაზროდ ვიღიმებოდით. ამ ოცდახუთი წლის განმავლობაში ბევრჯერ წარმომიდგენია კირასთან შეხვედრა (რასაკვირველია, ასევე მოულოდნელი), სათქმელიც თითქოს ბევრი მქონდა, ბევრი რამის გამოკითხვას ვაპირებდი ფიქრში - თუნდაც მისი გოგო-ბიჭის შესახებ - მაგრამ მართლა რომ შევხვდი, ერთბაშად ისე გამომიცარიელდა თავი, წესიერად ისიც ვერ ვკითხე, როგორ ხარ, როგორ ცხოვრობ-მეთქი. "გახსოვსო - იცინოდა კირა - გახსოვსო". "როგორ არ მახსოვს-მეთქი" - ვიცინოდი მეც, ვიდრე ჩემი ჩასვლის დრო მოვიდოდა. სინამდვილეში, გაცილებით ადრე ჩავედი, ვიდრე ვაპირებდი, რადგან მაინც გამიჭირდა მარად მოძრავი, მარად ცვალებადი, მაგრამ მაინც ერთნაირად მიუხვედრელი, ერთნაირად მოუთმენარი ხალხის ნაკადთან ჭიდაობა და გაცლა ვამჯობინე, ოღონდ იქამდე, რაც ჯიბეში ფული მედო (მაინცდამაინც, ბევრი არაფერი, თუმცა, უკვე პოეტობიდან პროზაიკოსობაზე ვიყავი გადასული), ტყავის ჩანთაში ჩავუკუჭე კირას, იმან კი, არ ვიცი, როგორ მოახერხა, როგორ მომწვდა გაოფლილი სხეულების ჭეჭყვასა და ძიძგილში, რამდენჯერმე მაკოცა ხელზე, მორწმუნის მღელვარებითა და მგზნებარებით. თან უკან მომყვებოდა და მომძახოდა: ფულისთვის კი არა,

ხსოვნისთვისო. ასე მომაცილა ვაგონის კარამდე, თითქოს ისევ იმის სტუმარი ვიყავი, ის კი ჩემი მასპინძელი. როცა აძრული ტრამვაიდან როგორც იქნა ჩავხტი, ლამის მთელი ტანით გადმოეკიდა კიბეზე და ალბათ სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა უკეთესი, გრძნობების დასაოკებელი და მადლიერების გამოსახატავი, ბილეთების რულონი მოიგლიჯა კისრიდან და მესროლა. უფრო სწორად, მე კი არ მესროლა, ცაში აისროლა და რულონიც მაშინვენ გაიშალა საზეიმო სერპანტინივით, ირიბად წამოვიდა, ტრამვაის ქარს აყოლილი, გაიწელა მთელი ქუჩის სიგრძეზე, შემოეხვია ხეებს, ლამპიონებს, გამვლელებს, სხვა ტრამვაებს, ავტობუსებს, ტროლეიბუსებს, მსუბუქსა თუ სატვირთო მანქანებს, სკოლიდან მომავალ ბავშვებს, ჟივილ-ხივილით რომ გლეჯდნენ ვარდისფერი ქაღალდის ლენტს და მერე ყველა თავის ნაგლეჯს მიათრთოლ-მიაკანკალებდა მზით გაბრჭყვიალებულ ჰაერში, ურჩხულის ცოცხალ წიწილასავით. კირას ტრამვაი კი მიქროდა და, უზარმაზარი მაშხალის მსგავსად, ბღუჯა-ბღუჯა გვაყრიდა სახეში ათასფერ ნაპერწკლებს. ხოლო ნაპერწკლების ყოველი მორიგი ბღუჯა ერთდროულად ირეკლებოდა ბავშვების თვალებშიც, ვიტრინებშიც, სარკმლებშიც, ტრამვაების, ავტობუსების, ტროლეიბუსებისა და მანქანების საქარე შუშებშიც. გეგონებოდათ, მთელი ქალაქი ვარდისფერი ქაღალდის ლენტით შეუკრავთ, კარგ მაღაზიაში ნაყიდი საჩუქარივითო.

და მაინც, პირველად იყო მელანია! მელანია იყო ყოველთვის და იქნება, ვიდრე აველუმი იარსებებს ამ ქვეყანაზე. შეიცნო აველუმმა მელანია და შვა მელანიამ ეკა, იგივე ეკატერინე, იგივე კატო - ეკაეკატერინეკატო - როგორც აველუმი ეძახის ხუმრობით, სინამდვილეში კი ასე ცდილობს ოდესღაც, შორეულ ბავშვობაში გაჩუქებული დის აჩრდილის გამოხმობას არარაობის წყვდიადიდან, სადაც ის, გაჩუქებული, ნებსით თუ უნებლიეთ, აველუმის წყალობითაც აღმოჩნდა, თუნდაც აველუმის უასაკობისა და უმწეობის გამო და მოუნანიებელ ცოდვად, მოურჩენელ ჭრილობად დარჩა მისთვის ბოლომდე. სამაგიეროდ, მისი სეხნია, უმცროსი ეკაეკატერინეკატო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი "ქალაქია" აველუმის იმპერიისა - ტონის მიმცემი, მოდის დამამკვიდრებელი, პოლიტიკურ-კულტურულ-იდეოლოგიური ცენტრი - უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ხუთი პრინციპულად განსხვავებული, ერთმანეთზე უკეთესი თაყვანისმცემლის უარმყოფელი და ბოლოს უკანონო შვილის გამჩენი "დაუდგენელი პირისგან", რამდენადაც მისი ღრმა რწმენით, არათუ თბილისსა და საქართველოში, საერთოდ აღარავინაა დღეს მეუღლის, თანამეცხედრის, ქმრის ტიტულის ტარების ღირსი.

მერე იყო ფრანსუაზა - მოულოდნელი მეხი და ელდა თითქმის სამუდამოდ ჩაწყნარებულ, სამუდამოდ მოწმენდილ ცაზე. შემთხვევით, გვერდზე მიიხედა აველუმმა და გული გადაუქანდა - მაშინვე იცნო. უფრო სწორად, მაშინვე მიხვდა - ის იყო! ვანის ოქროულობას ათვალიერებდა, თავშიშველი, გაღეღილი პლაშის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი და შუშის ვიტრინაზე დახრილი. აველუმი კი სესილს ელაპარაკებოდა, გულწრფელად გახარებული და მადლიერი გახსენებისთვის, ჩამოსვლისთვის - აველუმთან გამოსამშვიდობებლად ჩამოფრინდა მოსკოვიდან ერთი დღით, ვიდრე სამუდამოდ გაემგზავრებოდა თავის სამშობლოში - არადა, მადლობა თურმე იმისთვის ეკუთვნოდა, მაინცდამაინც, ფრანსუაზა რომ გამოიყოლა თავის ბოლო დღესასწაულზე, ოღონდ, თავისი კიდევ ერთი (იმედი მაქვს) ქალური საიდუმლოს მოწმედ კი არა, თავისი ქალური გულისხმიერების, გულკეთილობის განმასახიერებლად, გამგრძელებლად, სულაც მემკვიდრედ. თავად სესილი რამდენიმე წლით ადრე ჩამოვიდა პირველად თბილისში. სუფრაზე შუასაუკუნეების ფრანგულ ხალხურ სიმღერებს მღეროდა და თოჯინასავით თვალმოუშორებლად უყურებდა აველუმს. სუფრიდან ვითომ ყავის მოსადუღებლად ადგნენ და სამზარეულოში შეიკეტნენ. ჩვენ გარედან ვუკაკუნებდით, ისინი კი ფაცაფუცით იხდიდნენ შიგნით. რამდენიც უნდათ, იმდენი გვიკაკუნონ, იყავ ბოლომდე შეუპოვარიო - აქეზებდა სესილი. უცხოელები საერთოდ თავისუფლად აღზრდილი ხალხია და, ჩვენგან განსხვავებით, ნაკლებ ყურადღებას აქცევენ პირობითობებს. ახლაც, რაკი თავად სამუდამოდ მიდიოდა აქედან და არც არავითარი იმედი აღარ არსებობდა აველუმთან შეხვედრისა,

ეტყობა, სულგრძელად გადაეწყვიტა მზარდი და პერსპექტიული ახალგაზრდისთვის გადაელოცა მისი თავი. ყოველშემთხვევაში, ბოლოს ასე გამოვიდა. შეიცნო აველუმმა ფრანსუაზა და შვა ფრანსუაზამ აველუმის მარადიული სატკივარი. მაგრამ ეს ამბები, რა თქმა უნდა, ისე იოლად არ მომხდარა, როგორც ითქმის და, თავისთავად ცხადია, ღვთის შეწევნით, კიდევ ბევრჯერ მივუბრუნდებით მომავალშიც.

მერე კი სონია იყო, ისევ მოულოდნელი ელდა და ჭექა-ქუხილი, აქამდე რომ აზრიალებს აველუმის ფუძეშერყეული იმპერიის სარკმლის მინებს. შეიცნო აველუმმა სონიაც და... იმ მართლა ანტილოპამ არც კი გააგებინა, ისე მოიშალა მუცელი. ოჯახურ საბჭოზე, დედიკოსთან ერთად გადაწყვიტა, ყოლოდა თუ არა აველუმს კიდევ ერთი შვილი. რაც მთავარია, იმდენი თავხედობაც ეყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათი "საერთო ცხოვრების" მხოლოდ ბოლო წუთას გაემხილა ეს ამბავი აველუმისათვის. "ძვირფასო, ვთხოვდები, იქნებ ჩამოხვიდე". თურმე ამის სათქმელად იბარებდა, ოღონდ, უკვე სხვისი ინტერესების დამცველი. თითქოს რაკი თავის დროზე, ანდა უკეთესი იქნება თუ ვიტყვით, რაკი თავიდანვე არ გაეჩინა აველუმისგან შვილი, ეს ამბავი ერთგვარად ნათელსაც ფენდა და ამართლებდა კიდეც მის ამჟამინდელ საქციელს, ანუ, ჩვეულებრივ ღალატს. აველუმმა რომ უთხრა (რესტორანში შესდგა ეს საუბარი, რასაკვირველია, "ცედეელში"), ზრდილობისთვის მაინც გეკითხათ, ვიდრე წერას აუგებდით ჩემს ნაშიერსო - არაო, - ჯიუტად გააქნია თავი სონიამ - რომც შემხვეწნოდი, მაინც არ დავიტოვებდიო - და ბოლოს ისეთი უსინდისო თანაგრძნობით მოაყოლა, არ აკლია მელანიას შენს ხელში საფიქრალი და საზრუნავიო, აველუმს გულიანად გაეცინა.

თუმცა, სასაცილოდ ნამდვილად არ ჰქონდა საქმე. მისი ასაკის კაცისთვის, სხვა თუ არაფერი, სამარცხვინო იყო, რაც ახლა ჭირდა. სადესანტო ნაწილის ჯარისკაცივით, სიტყვის შეუბრუნებლად, გაუაზრებლად აფრინდებოდა ნებისმიერი აეროპორტიდან ნებისმიერ აეროპორტში დასაფრენად. სონიას წყალობით, მართლაც ისეთ "განზომილებებში", ისეთ "სფეროებში" (სონიას სიტყვებია) იმყოფებოდა, სადაც ასაკის ცნება ძალიან პირობითია, ანდა საერთოდ არ არსებობს. სამაგიეროდ, ჯერ კიდევ პირველყოფილი, კლასიკური მნიშვნელობა ენიჭება ყველა გრძნობას, ყველა სიტყვას, განსაკუთრებით კი იმას, რომლის გაგონებასაც (რასაკვირველია, აველუმისგან, აველუმის პირიდან), მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ ათი წლის განმავლობაში, სულმოუთქმელად ელოდებოდა სონია. თუმცა, როგორც ჩანს, გადამწყვეტ მნიშვნელობას მაინც არ ანიჭებდა ამას, თუკი, რაღა თქმა უნდა, მაინცდამაინც აველუმისგან ელოდებოდა "გულის გახსნას" და არა ნებისმიერი მამაკაცისგან, ოცდაათიდან სამოცდაათ წლამდე, რომელიც "მეტნაკლებად ასატანი იქნებოდა ყოველდღიურ ურთიერთობებში" (ესეც მისი სიტყვებია) და, რაც მთავარია, კანონიერი ქმარი ერქმეოდა. ძვირფასო, ვთხოვდები, იქნებ ჩამოხვიდე. მოკლედ, მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო. არჩევანი უაღრესად სუბიექტური თვისებებისა და მონაცემების საფუძველზე კეთდება - ან "იმას" ირჩევ, ან "იმას". მესამე გზა არ არსებობს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ აველუმი არც "ის" აღმოჩნდა და არც "ის". აველუმი სხვა განზომილებას ეკუთვნის, მაღლა ფრენს ცაში (ვიდრე სხვები მიწიერი საქმეების მოგვარებით არიან დაკავებულნი), ცოტას

ალბათ უსტვენს კიდეც, როგორც ყველა ფრთოსანი და, შეიძლება, ამიტომაც ეგონათ, არავითარი მნიშვნელობა რომ არ ექნებოდა მისთვის თუ რა ერქმეოდათ თავად, ვისი იქნებოდნენ, ვისკენ იქნებოდნენ, ვის მკლავზე ედებოდათ თავი და ვისგან იღებდნენ მუცლად. აი, ასეთად ჰყავდა წარმოდგენილი სონიასაც აველუმი (ანდა მერე წარმოიდგინა ასეთად, უფრო ნაკლებად ხელისშემშლელი რომ ყოფილიყო მისთვის). ამიტომ, ბუნებრივია ის გაოცებაც, რაც აველუმის "არაბუნებრივმა" საქციელმა გამოიწვია გარკვეულ წრეებში. სონიას აზრით (კი მაგრამ, რატომ?!), აველუმს არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღექვა ეს ამბავი ისევე, როგორც სხვა, ანუ, მასზე "დაბლა მდგომი" (!), სინამდვილეში კი, ალბათ მასზე უფრო მიწიერი, უფრო ნორმალური ადამიანი აღიქვამდა - კი არ უნდა ტკენოდა ზურგში ჩარტყმული დანა, კი არ უნდა გაეცოფებინა მოულოდნელ ღალატს, არამედ, გახარებული, კიდევ უფრო მაღლა უნდა აფრენილიყო ცაში, კიდევ უფრო ხმამაღლა უნდა დაესტვინა და ასე გამოეხატა საკუთარი "განსაკუთრებულობა". და მაინც, ძნელი გასაგებია, რა უფლებითა და მოსაზრებით შემოსვა სონიამ აველუმი სადღაც, ქანდარაზე, "სხვა განზომილებაში" და რატომ ჩათვალა "ის", მეორე, თანაც ასე უცებ, თავისი "მიწიერი ყოფის" ერთ-ერთ შემადგენელ, აუცილებელ ნაწილად, ისეთსავე ჩვეულებრივ მოვლენად, როგორიცაა, ვთქვათ, მსუნაგ დედიკოსთან ერთად თხილის კნატუნი და მჟავე ღვინის წრუპვა; ანდა, უჯიშო, ქუჩაში ნაპოვნი ძაღლის გასეირნება ყოველ დილა-საღამოს. სხვას რომ ყველაფერს თავი გავანებოთ, გარკვეული დროა საჭირო, ჩვენი ცხოვრების შემადგენელ ნაწილად რომ იქცეს ნებისმიერი რამ, ადამიანი იქნება ის, ძაღლი,

ნივთი, საგანი, ჩვევა თუ მიდრეკილება. არადა, რა სამარცხვინოდ ცოტა დროა გასული მათი ბოლო განშორებიდან მათი ახალი "გზის" დაწყებამდე, ესე იგი, გასული წლის დეკემბრამდე, უფრო ზუსტად, მიწისძვრამდე. კიდევ უფრო ზუსტად, სონიას წერილამდე. სხვათაშორის, აველუმმა წერილის წაკითხვისთანავე გადაწყვიტა, თავი გაენებებინა სონიასთვის, დაეცლია ახალი თავშესაფრის მოწყობა. ბოლოს და ბოლოს, ეს მარტო სონიას საქმე იყო და ვერავინ ჩავერეოდით, გინდაც ჩვენი საერთო სატუსაღოს შიგნით. სატუსაღოში, შეიძლება, კიდევ უფრო გამძაფრებული ჰქონდეს ადამიანს, იგივე ტუსაღს, დამოუკიდებლობის, საკუთარი ნება-სურვილის შენარჩუნებისა და აღსრულების მოთხოვნილება. მაგრამ გადაწყვეტილების მიღება ერთია, მისი აღსრულება კი მეორე. აღსრულება გაცილებით მეტ სირთულეებთანაა დაკავშირებული. ადამიანი ათასი, ათასნაირი სისუსტეებისგან შედგება და როგორც არ უნდა მოინდომოს, ყველას ერთბაშად მაინც ვერ მოერევა. ყველაზე ძნელი სწორედ საკუთარი სისუსტის მორევაა. ყველაზე მეტად ეს ეძნელებოდა აველუმსაც. კი გადაწყვიტა, თავს გავანებებო, და ამის საუწყებლად მეორე დღესვე ჩვეულებისამებრ რიგიც დაიკავა ტელეგრაფში მოსკოვის კაბინასთან, მაგრამ ახლა იმის შეეშინდა, ვაი თუ სწორედ ვერ გამიგოს სონიამო. ვიდრე რიგი მოუწევდა, დიდი მღელვარებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ადგენდა გუნებაში სონიასთვის სათქმელ ტექსტს: აზუსტებდა ცალკეულ ადგილებს, ცვლიდა შედარებით მკაცრ სიტყვებს შედარებით რბილი სიტყვებით, შეძლებისდაგვარად ამარტივებდა ყველაფერს, რაც რთული გასაგები ეჩვენებოდა სონიასთვის. სონია, რასაკვირველია,

მხოლოდ პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე აპირებდა გათხოვებას, ეს აიძულებდა გვერდზე გახედვასაც, რის გამოც აველუმი ზედმეტი თუ არა, ხელისშემშლელი ნამდვილად გამოდიოდა მისთვის და, რაღა თქმა უნდა, თავის დამცირებას ისევ გაცლა სჯობდა. მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ ამის თქმა უჭირდა აველუმს, ენა ვერ მოუბრუნდებოდა, ვერ ეტყოდა, სამუდამოდ ვიღებ შენზე ხელსო, თითქოს სონიას გამო კი არ იქცეოდა ასე, არამედ ერთი სული ჰქონდა, როდის მიეცემოდა ამის თქმის საშუალება. მოკლედ, ისევ სონიას უფრთხილდებოდა, ისევ იმას ზოგავდა, როცა ვერავინ გაამტყუნებდა, ერთადერთი სიტყვა ეთქვა იმისთვის (ის სიტყვა ქართულში არ არსებობს, უაღრესად რუსული, უფრო ზუსტად კი, მოსკოვური სიტყვაა და ისეთ ქალზე ითქმის, ყველაფერს რომ იღებს და არაფერს იძლევა) და სამუდამოდ დაეკიდა მოსკოვის ტელეფონის ყურმილი. მაგრამ რიგმა რომ მოუწია, ვერაფრის თქმა ვერ მოახერხა საერთოდ. სონია აშკარად ნამტირალევი იყო. ხმაზეც ეტყობოდა - ცხვირპირი დასიებული ჰქონდა, მაგრამ მაინც ფეთიანივით მოვარდა ტელეფონთან, სადა ხარ აქამდეო, არ ვიცი, რა მომივიდოდა, რომ არ დაგერეკაო, და მერე, ჩვეულებისამებრ, მიედ-მოედო ყველაფერს, მათ ბედნიერ, განუმეორებელ წარსულსაც და გაურკვეველ მომავალსაც, მოსკოვური ზამთრის სისაძაგლეებსაც და დანიასაც, უფრო სწორად, იმის მართლაც რომ ძაღლურ ერთგულებას აველუმისადმი. თურმე, ისა და დანია საღამოობით ქუჩაში რომ სეირნობენ, სულ აველუმზე ლაპარაკობენ; დანიას, თურმე, სხვებზე მეტად ახსოვს და ენატრება აველუმი, იმიტომ რომ ძაღლია და შეუძლია გაიგოს და დააფასოს, არ დაივიწყოს მაინც ის, ვინც ღირსი

გახადა, განაცდევინა და აგემა, რასაც ვერასოდეს იგემებდა უიმისოდ, გინდაც ათი ძაღლური სიცოცხლე ეცხოვრა, მით უფრო მოსკოვისნაირად უჟმურ ქალაქში ("ისეთი ამინდია, სარკმელში გახედვაც არ მინდაო" - ჩიოდა თან). ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, სონიას ნალაპარაკევიდან გამომდინარე, არც აველუმზე გულკეთილი ბრიყვი არსებობდა ამ ქვეყანაზე და არც დანიასნაირი მადლიერი, გამგები და ერთგული ძაღლი. მოკლედ, ათას სისულელეზე ილაპარაკა ერთად, ერთდროულად, ერთბაშად, ხოლო, მთავარი არც თვითონ თქვა და არც აველუმს ათქმევინა. აველუმმა სიტყვა ვერ ჩაურთო საერთოდ. იდგა და უსმენდა. კაბინის კარზე უკვე რამდენჯერმე მოუკაკუნეს მოუთმენლობისგან გაოფლილი თხუთმეტკაპიკიანით. კაბინაში ცხელოდა. არ ვიცი სიცხისგან, არ ვიცი გადატანილი მღელვარებისგან, აველუმს სული ეხუთებოდა. ნერწყვის ჩაყლაპვა უჭირდა. გამწარებულმა, ფეხიც დაჰკრა კაბინის იატაკს, მაგრამ იატაკი, ეტყობა, დამპალი იყო და ჩატყდა, ისეთი მტვერი ავარდა, უარესად ჩაიხუთა იქაურობა. ის კი მაინც იდგა და უსმენდა. ხან ერთ ყურზე მიიჭერდა ყურმილს, ხან მეორეზე. ხან ერთ ფეხს მოინაცვლებდა, ხან მეორეს და ცოცხლად იხარშებოდა კაბინის მტვრიან ოხშივარში, აქ მანამდე შემოსულთა დანატოვარ სუნში, მათი დაძაბული, გაღიზიანებული სხეულებიდან ოფლთან ერთად გამოჟონილ საიდუმლოებებში, ტკივილებში, სნეულებებში, მიზნებში, განზრახვებში, იმედებში, ოცნებებში - რასაც ვერ ამბობდნენ, ანდა არ ამბობდნენ შეგნებულად, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო. ბოლოს ვეღარ მოითმინა და იყვირა: მაინც როდემდე ვიყოთ ასე, სტუდენტებივით, ტელეფონზე

ჩამოკიდებულებიო. თან ხველისგან იხრჩობოდა, თან გამწარებული ბღუჯავდა ყურმილს. მისდა გასაოცრად, ტელეფონის რიგში გაგონილი ფრაზა გაახსენდა უცებ და თვითონვე გაუკვირდა, ისე გააცეცხლა, ისე გააღიზიანა ახლა, ასე დაგვიანებით, იმ ფრაზაში დაგუბულმა უაზრობამ და ყველაფრის გადამლეკავმა უშუალობამ - "დედა ხარ, დედა? სადაა ფული?" - სონიას კი ტირილი აუვარდა ისევ. თან ცრემლს ყლაპავდა, თან ცხვირს აქსუტუნებდა, თან ლაპარაკობდა: ერთხელ გადავწყვიტე რაღაც დამოუკიდებლად, ჩემს ჭკუაზე, და იმასაც მიშლიო - სლუკუნებდა ქვეყნის მეორე ბოლოში, კავკასიის გადაღმა, თვითმფრინავით ორსაათნახევრის, მატარებლით კი ორი დღეღამის სავალზე, ერთი უფერული, ჩვეულებრივი მოსკოვური სახლის ყრუ კედლებში გამომწყვდეული, აველუმის წიგნებით, აველუმის სურათებით, აველუმის ნაჩუქარი ათასნაირი ზიზილპიპილოებითა და აველუმის ერთგული ძაღლის ბალნით სავსე ოთახში, სადაც აველუმის ყოველი გამოჩენა ერთ განუწყვეტელ, დაუქანცველ დღესასწაულში გადაიზრდებოდა ხოლმე ჯერ კიდევ გუშინ. ბოლოს, ეტყობა, საკუთარი ცრემლებისა შერცხვა, საკუთარი სისუსტის უნებლიე გამომჟღავნებამ გაამწარა და იმანაც იყვირა: თუ ჩემს მიზანს ვერ მივაღწევ, იცოდე, არასოდეს გაპატიებო. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, სიტყვით მეტის გაკეთება ნამდვილად აღარ შეიძლებოდა. აველუმიც ადგა და ჩაფრინდა მოსკოვში. სონიასთვის არ უთქვამს, მოვფრინავო, და უკვე სასტუმროდან რომ დაურეკა, სონიას ცოტა მორჩა დამბლა დაეცა. არც თვითონ იყო უკეთეს დღეში. ჯერ კიდევ თბილისში, აეროპორტშივე იცოდა, სისულელეს სჩადიოდა, მაგრამ აღარც დარჩენა

შეეძლო, წერას ჰყავდა ატანილი. თუმცა, ბოლო წუთამდე მაინც ითრია ფეხი, ვიდრე რეგისტრაციაც დამთავრდებოდა და ჩასხდომაც. მაგრამ კაცს რაც უწერია, არ ასცდება, რაც უნდა იწვნიოს, იწვნევს და რაც უნდა გადაიტანოს, გადაიტანს. ბილეთიც საზიზღარი ჰქონდა (ისიც ძლივს იშოვნა ბოლო წუთას), კუდში იჯდა, ტუალეტის სუნსა და მუყაოს ყუთებში ჩაკარგული. ვიღაც სომხებს რუსეთში ქართული მანდარინი მიჰქონდათ გასაყიდად და ერთ-ერთმა მათგანმა გაფცქვნილი მანდარინი ძალით ჩაუდო ხელში. თქვენ წარმოიდგინეთ, მართლა უშველა - ცოტა გონს მოეგო - ყოველშემთხვევაში, დარწმუნდა, თვითმფრინავში ვზივარ ნამდვლადო. თუმცა, ყელი ისე ჰქონდა შეკრული (მღელვარებისგან, ნერვიულობისგან), მანდარინის მხოლოდ წვენს ყლაპავდა, იმასაც ძლივძლივობით, ჩენჩოს კი მუჭში იგროვებდა. სომხები რაღაცას ელაპარაკებოდნენ, ალბათ მის გართობას ცდილობდნენ, სულაც ამოწმებდნენ, გონზეა თუ არაო, ის კი გაოგნებული იჯდა, საკუთარი უნებისყოფობით დათრგუნული და ყველაფერი ეზიზღებოდა - თვითმფრინავიც, რომელიც, მიუხედავად მისი ყოყმანისა, მაინც მიფრინავდა; ცაც, რომლის გულგრილ სიმშვიდესთან გამოსაჩენიც არ იყო მისი ღელვა და წუხილი; მანდარინის გამოწუწნული ჩენჩოც, რომელიც არ იცოდა სად გადაეყარა და, რასაკვირველია, პირველ რიგში საკუთარი თავი, რომელმაც იცოდა სისულელეს რომ სჩადიოდა და მაინც სჩადიოდა.

სონიას სასტუმროში მოსვლა არ უნდოდა. იცოდე, უკანასკნელად მოვდივარო - ებრძოდა თავს. სხვათაშორის, ამ ათი წლის წინაც, პირველ მოსვლაზეც, დიდხანს იომა, თითქოს ვინმე აძალებდა. რა თქმა უნდა, თანახმა იყო, მაგრამ ბოლო წუთას, მღელვარებისგან (ასე ამბობდა თვითონ), საპაემნოდ გამოპრანჭულს, საღათას ძილით ეძინებოდა თურმე სარკის წინ. "ასე ვერასოდეს გავთხოვდებიო" - ახლაც ყეფდა ტელეფონში, მაგრამ მოსვლით მაინც მოვიდა და ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი - ხვევნა-კოცნაც, ჩხუბიც, კამათიც, საყვედურებიცა და ისევ ხვევნა-კოცნა. აველუმი არყის ბოთლს იყუდებდა წარამარა, ნერვული სპაზმი რომ მოეხსნა როგორმე, მაგრამ არაყი ვერც სპაზმს ხსნიდა და ვერც ათრობდა. უფრო სწორად, სხვანაირად ათრობდა, შებრუნებულად, უკუღმა - გამხნევებისა და გამოცოცხლების ნაცვლად, კიდევ უფრო ასუსტებდა და ალენჩებდა. ცოცხალი მიცვალებულივით გულაღმა ეგდო საწოლზე, სონია კი ხმით დასტიროდა: "არა, არ შეიძლება, ასეთ რამეს საერთოდ არ პატიებენო". გასკდა ტირილით. შიგნიდან თითქოს წყალი იყო მარტო. ტირილით ადრეც ბევრჯერ უტირია, მაგრამ ამდენი არასოდეს. და მაინც, ახალი, ჯერ გაუშლელი ცხვირსახოცი რომ ჩაუდო აველუმმა ხელში (თავისი უკვე გასაწური ჰქონდა), მაინც შეათვალიერა მცოდნის თვალით და ეტყობა მოეწონა კიდეც, რადგან სხვათაშორის მოაყოლა - ამას დღევანდელი დღის სამახსოვროდ შევინახავო. მერე კი ხმამაღლა, ბავშვური მონდომებით მოიხოცა ცხვირი.

როგორც უკვე ვიცით, მათი უთავბოლო და საკმაოდ უაზრო საუბარი "ცედეელში" გაგრძელდა, მაგრამ ახალი და მნიშვნელოვანი იქაც არაფერი უთქვამთ. სადილმაც უგემურად ჩაიარა. ორივეს კრიჭა ჰქონდა შეკრული. ვერც ჭამეს, ვერც დალიეს, თუმცა, ნაცნობმა ოფიციანტმა ლიმონათის ბოთლით მოურბენინათ აკრძალული არაყი. რესტორანში ჩვეულებრივი მოწყენილობა სუფევდა, უფრო ზუსტად კი, ბოლომდე გაუთვითცნობიერებელი, ბრაზიანი, ეჭვნარევი, მხდალი კმაყოფილება გააზნაურებული მდაბიოსი - აი, ვზივარ და ვჭამ. ავად თუ კარგად, მემსახურებიან. მეც კაცი ვარ ქვეყანაზე. მაგრამ მაინც არ გვაწყენს, დროზე დავიანგარიშოთ, თუნდაც გუნებაში, რა დაგვიჯდება ეს სიამოვნება. მაშ ასე: ერთი ბორშჩი. მანეთი და ორმოცდარვა კაპიკი. არაფერიც. ორმოცდათორმეტი გამხდარა. ვერ უყურებთ! ერთიც კატლეტი მოსკოვურად. რაღა თქმა უნდა, კატლეტის ფასსაც მოუმატია. კატლეტის ფასი მატულობს, ხელფასი იგივე რჩება: კარგია, მე და ჩემმა ღმერთმა. აქედან მორალი: სჯობს დღეს ჭამო და ხვალ იმუშაო. ხე, ხე... და ა.შ. და ა.შ. რესტორნიდან პირდაპირ ეკლესიაში წავიდნენ. ეკლესიაში წასვლაც რესტორანში გადაწყვიტეს, მოულოდნელად, და ჯიბიდან უკვე სანახევროდ ამოღებული საჩუქარი აველუმმა უკანვე ჩაიბრუნა, რადგან მისი გადაცემა, თანაც მათი განშორების აღსანიშნავად, ეკლესიაში უფრო ბუნებრივად მოეჩვენა. პატარა, ლამაზი ეკლესია იყო, ყველა რუსულ ეკლესიასავით, შიგნიდან ისიც თვალისმომჭრელად გაკრიალებულ-გაბრჭყვიალებული. ხალხიც ბევრი ირეოდა და ცოტა ხანს რიგში დგომაც მოუწიათ, ვიდრე შიგნით შეაღწევდნენ. მაგრამ გინდაც გულით მოენდომებინა, აველუმი მეორეჯერ ვერაფრით ვერ

მიაგნებდა იმ ეკლესიას და არა მარტო იმიტომ, საერთოდ რომ უჭირდა მოსკოვში გზის გაგნება. მართალია, თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი მომენტები იქა აქვს გადატანილი - ხანმოკლე, ნერვიულ ვიზიტებზე რომ არაფერი ვთქვათ, ფრანსუაზამ მთელი ორი წელი იმსახურა მოსკოვში მისი გულისთვის, ვითომ, ასე უფრო ადვილად (შედარებით ადვილად) მოახერხებდნენ ერთმანეთის ნახვას, რადგან, სხვა თუ არაფერი, უკვე ორივენი მავთულხლართებს შიგნით იქნებოდნენ, ერთი ციხის ტუსაღები, და უვიზოდაც შეეძლებოდათ გადაადგილება სამყაროსგან საიმედოდ იზოლირებულ სივრცეში - მაგრამ ის ეკლესია არც იქამდე უნახავს აველუმს, არც იმის მერე და ხანდახან სერიოზულადაც ფიქრობდა, დამესიზმრაო. დაბეჯითებით მხოლოდ იმას თუ იტყოდა, დაღმართში რომ მიდიოდნენ, რაც ნამდვილად დიდი იშვიათობაა მოსკოვისთვის და, შეიძლება, იმიტომაც დაამახსოვრდა ასე ცხადად. თოვლზე ფეხი უცურდათ, მაგრამ სამუდამო განშორების შეგრძნებით აფორიაქებულნი, ხელის შეშველების მაგივრად, სიცილით უბიძგებდნენ ერთმანეთს, თითქოს კიდევ უფრო აჩქარებდნენ თავდაღმართში, ვიდრე, როგორც უკვე ვთქვით, პატარა, ხალხით სავსე და სანთლებით გაჩაღებულ ეკლესიაში არ ამოყვეს ბოლოს თავს. იქ, იმ ყრუდ აგუგუნებულ, საკმევლის სუნით გაბრუებულ ეკლესიაში, ღვთისმშობლის ხატთან, მგზნებარედ შეჰფიცა სონიამ (სირბილისგან ჯერ კიდევ უჭირდა სუნთქვა), რომ მის მოლიპულ, ძნელად ფეხმოსაკიდებელ გულში და საერთოდ მის ცხოვრებაში (რასაკვირველია, საწოლის გამოკლებით), ვერავითარი მამაკაცი, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა, რწმენისა თუ მრწამსისა, ვერასოდეს დაიკავებდა აველუმის ადგილს. აველუმმაც

იქვე, ხატის წინ, საზეიმო ფიცის მიღებისთანავე, გაუკეთა არათითზე კალინინის პროსპექტზე ოქროულობის მაღაზიაში, განშორებასთან დაკავშირებით, წინასწარ ნაყიდი საკმაოდ ძვირფასი ბეჭედი. სონიას კი, მღელვარებისგან, ანთებული სანთელი გაუვარდა ხელიდან და ახლა ამაზე დაიწყო ოხვრა და წუწუნი: ცუდი ნიშანია და ცუდი ნიშანიაო. "კი მაგრამ, კარგი რა დაიმსახურეო" - პირში მიახალა მოთმინებიდან გამოსულმა აველუმმა. მართლაც, მისი საქმრო ენაგადმოგდებული დარბის მთელს ქალაქში, საბჭოთა ოჯახის შესაქმნელად აუცილებელ საბუთებს აგროვებს გამწარებული, ვიდრე მის დამთხვეულ საცოლეს გადაუფიქრებია, ის კი, საცოლე, სასმელისგან თუ სურვილისგან თვალებაპრიალებული, საიდუმლოდ (უმღვდლოდ, უმაყრებოდ) ვითომ ჯვარს იწერს ეკლესიაში ათი, თუნდაც რვა წლის საყვარელთან, რათა საყვარელმა იქნებ ამგვარად მაინც დაიკმაყოფილოს ასე თუ ისე შელახული პატივმოყვარეობა და თავის მხრივ, სულგრძელად დართოს ნება უძღებ პატარძალს, სამოქალაქო წესითაც გამოგლიჯოს ცხოვრებას, რის გამოგლეჯასაც მოახერხებს. "მართალი ხარ, ყველაფრის ღირსი ვარ, შენ რომ გადაგეყარე, შენ რომ შეგიყვარეო" - ძლივს ამოისლუკუნა ცხედარივით გადაფითრებულმა სონიამ და ცალი თვალი უნებურად ისევ ახალი ბეჭდისკენ გაექცა. უფრო სწორად, ცერად დახედა ზემოდან ერთი წამით, თითქოს სხვის კარტში იყურებაო.

აველუმი მეორე დღეს მატარებლით გამობრუნდა უკან. უამინდობის, ანდა სულაც უბენზინობის გამო, თვითმფრინავები არ ფრენდნენ და ღმერთმა იცის, როდის განახლდებოდა საერთოდ ფრენა. გამოცდილებით, დაცდას აზრი არ ჰქონდა. ერთხელ 56 საათი იჯდა დომოდედოვოში, ტუალეტი კი, აქაოდა ვითომ რემონტი გვაქვსო, ჯვარედინად აეფიცრათ. თანაც მის მდგომარეობაში მყოფს, ისევ მატარებლის მოძრავი სიბინძურის ატანა ერჩია. მართალია, ტრადიციულად დამკვიდრებული სიბინძურეც მასთან ერთად ივლიდა, იღრჭიალებდა, იძაგძაგებდა ორი დღე-ღამის განმავლობაში, მაგრამ მაინც ივლიდნენ, რაღაციდან რაღაცისკენ, ერთ ადგილას არ იყურყუტებდნენ საკუთარ სიმყრალეში, ძალაუნებურად მაინც გაანიავებდათ დერეფანში მოულოდნელად შემოჭრილი, სტეპების უკიდეგანო სიყრუეს, შეუვალ გულგრილობას გამოქცეული და ძვალრბილში გამავალი ქარი და, ამდენად, რწმენაც მეტი ექნებოდა აველუმს და იმედიც, როდისმე მაინც რომ დაადგებოდა საშველი ამ მორიგსა და რაც მთავარია, საკუთარი სურვილით არჩეულ წამებას. სხვა თუ არაფერი, ორი დღე ცოტა გონზე მოვიდოდა, აღუდგებოდა თავდაცვის, წინააღმდეგობის გაწევის, საერთოდ გადარჩენის ინსტინქტი და ისიც დიდი შეღავათი იქნებოდა, ტელეფონს რომ ვერ დაინახავდა, ორი დღე მაინც.

მატარებელმა, რასაკვირველია, გასვლა დააგვიანა და ისინიც უკვე უაზროდ დაბორიალობდნენ უზარმაზარ დარბაზებში. რისი თქმაც შეიძლებოდა, თქვეს, რისი ყიდვაც შეიძლებოდა, იყიდეს (კოოპერატივის ნამცხვარი რომ დაინახა სონიამ, გახარებულმა შესძახა: აი, რა უყვარს დედაჩემსო, თითქოს არსებობდეს რაიმე საცმუცნავი, ქალბატონ აისოდორას რომ არ უყვარდეს) და ალბათ პირველად ამ ათი წლის განმავლობაში, გაუჭირდათ ერთად ყოფნა, რადგან ასევე პირველად, ორივეს ერიდებოდა უნებურად არ მიბრუნებოდა უკვე ათასჯერ ნათქვამს, უფრო სწორად, მათ საერთო უაზრობას, რაც თავისთავად დაბადებულიყო მათივე განუსჯელი, თამამი და თავისუფალი ათწლიანი ურთიერთობის შედეგად. და აი, ღმერთისგან ნაჩუქარი დრო, ზედმეტი და გაუთვალისწინებელი, კი არ ახარებდათ, უარესად თრგუნავდათ, ყველაზე ძნელი ასატანი აღმოჩნდა მოულოდნელად და ამის შეგრძნებამ, ეტყობა, ორივე შეაკრთო, ორივე დააბნია. ალბათ ამიტომაც ერიდებოდათ, ჩვეულებისამებრ, უბრალოდ, ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე, გამომშვიდობებოდნენ ერთმანეთს, იმის ღრმა რწმენით, უფრო ადრე რომ შეხვდებოდნენ, ვიდრე ეგონათ, ვიდრე მოსალოდნელი იყო. დადიოდნენ, დადიოდნენ "შეყვარებულებივით" ხელიხელგადახვეულნი, და ჯიუტად, გარკვეული სიძულვილითაც კი ათვალიერებდნენ ერთსა და იმავე, ერთნაირად უღიმღამო, ერთნაირად ღატაკ ვიტრინებს, კიოსკებს, დახლებს, ჯიხურებს... წამსვლელთა და მომსვლელთა ერთნაირად გაღიზიანებულ, გაბოროტებულ სახეებს. ჰაერი ძველი ზეთისა და ჭურჭლის ნარეცხის თბილ სუნს გაეჟღინთა. ერთ-ერთი კედლის ძირში საკუთარ

ბარგზე მოკალათებული ოჯახი "სადილობდა". ერთი ჩვილიც ჰყავდათ. ჩვილი დედის ძუძუს წოვდა, დედას კი კეფირის ბოთლი მოეყუდებინა. განვითარებული მესაქონლეობის ქვეყანაში რძის რეკლამად გამოდგებოდა, მაგრამ აქ კიდევ უფრო ამძაფრებდა გარემოს უღიმღამობასა და სიღატაკეს. აველუმმა სონიას მხარი გაკრა, უნდოდა დაენახვებინა "ოჯახური ტრაპეზი", მაგრამ სონიასაც შეემჩნია უკვე - თავი მხარზე ჩამოადო და კი არ უთხრა, თავისთვის თქვა: "აი, მეც ეს მინდა სწორედო". მერე უცებ გაჩერდა, ხელი გაუშვა აველუმს და ცხარედ გააგრძელა, ისევ თავისთვის: "ხომ უნდა ვიცოდე მაინც, რა შემიძლია, საკუთარ თავთანაც ხომ უნდა ვიყო მართალი, ბოლოს, სიბერეში, სიმარტოვეში, ტყუილუბრალოდ რომ აღარ ვიხეთქო გული, რატომ არ ვცადე მაინც გათხოვება, რატომ გადავყევი იმ დამთხვეულ ქართველსო". მაგრამ წესიერად არც ჰქონდა სიტყვა დამთავრებული, ისევ მიეგლისა აველუმს კატასავით, ისევ მოხვია ხელი, ისევ ჩამოადო მხარზე თავი და ისევ გაუყვნენ ყველაზე უაზრო გზას, რომელიც კი ცხოვრებაში გაუვლიათ როდესმე, გინდა ცალცალკე და გინდა ერთად.

ბარემ ახლავე ვიტყვი იმასაც, თუ რა აზრისა ვარ სონიას მიერ არჩეულ "გზაზე". უპირველეს ყოვლისა, დაე სულ იავარდებით ყოფილიყოს მოფენილი და სონიასაც იქამდე ევლოს ზედ, ვიდრე არ მობეზრდება, ვიდრე საკუთარი ნებითა და სურვილით ან მარჯვნივ არ გადაუხვევს, ან მარცხნივ, რამდენადაც უკან დაბრუნება ალბათ აღარ მოხერხდება, იმიტომ კი არა, მისგან მიტოვებულნი აღარ მიიღებენ, უბრალოდ, იმ დროისთვის აღარაფერი იქნება უკან, დრო სილასავით წაეყრება ნაფეხურებს და უკან მოხედვამ დიდი-დიდი, ისიც ერთი წამით, შეიძლება ან სასიამოვნოდ დაგვაღონოს ან უსიამოდ გაგვახაროს - ესეც მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს პირად თვისებებზეა დამოკიდებული, ჩვენს სულიერ წყობაზე. ადამიანის ბუნება ხომ მრავალნაირია: ზოგმა იცის ხის მოჭრა რომ ცუდია და, ვიდრე ნაჯახს აიღებდეს ხელში, წინასწარ ნანობს, განიცდის, ყოყმანობს, მაგრამ ბოლოს მაინც ჭრის, რადგან იძულებულია ასე მოიქცეს, თუნდაც იმიტომ, შეშა რომ ჭირდება; ზოგი კი დაუფიქრებლად, დაუნანებლად აკეთებს იმავეს და როდისმე, უკვე დიდი ხნის მერე თუ გაუჩნდება ხოლმე სინანულის მაგვარი გრძნობა, თუკი, რა თქმა უნდა, ამ ხნის განმავლობაში, სხვა ყველაფერთან ერთად, თვალსაზრისიც შეეცვლება და არა მარტო ხის მოჭრასთან დაკავშირებით, არამედ საერთოდ ცხოვრებაზე. ცოდვა ის კი არ არის, რასაც იძულებით ვაკეთებთ, არამედ მაინც რომ ვაკეთებთ იმას, რისი გაკეთებაც აუცილებელი არ იყო. აშკარად კარგი ნათქვამია, მაგრამ აველუმს უფრო შეეხება, ვიდრე სონიას. სონიამ, ანდაზისა არ იყოს, მეფის საყვარლობას მჭედლის ცოლობა არჩია, აველუმი კი, პირველსავე დაძახებაზე ("ძვირფასო, ვთხოვდები, იქნებ ჩამოხვიდე"), მაინც

ერთგული ქვეშევრდომივით ეახლა მოსკოვში, რათა დაემშვიდებინა (რაც არ უნდა იყოს, გათხოვება ყველა ქალისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა), გაემართლებინა (ბოლოს და ბოლოს, არც იმისთვის იყო ალბათ ადვილი ასე მოულოდნელად გადაჯდომა ერთი სკამიდან მეორეზე), გამოსათხოვარი საჩუქარი მიერთმია (სხვათაშორის, ასე გულითადად არასოდეს სდომების მისთვის რაიმეს ჩუქება) და ღალატის აღსანიშნავად (აბა, სხვა არაფერი ჰქონდათ იმჟამად აღსანიშნავი) მის საყვარელ რესტორანში წაეყვანა, სადაც სონიამ სავსებით გასაგებად (იმ წუთას აველუმსაც მართლა ესმოდა თითქოს) აუხსნა (თან ჩაის კოვზს ურევდა ხიზილალის ქილაში), თუ რატომ მოხდა ის, რაც მოხდა და რატომ უნდა მომხდარიყო, მაინცდამაინც ასე და არა სხვანაირად. მაგრამ ერთია, როცა გიხსნიან (მით უფრო, უკვე დანაყრებული და უკვე შემთვრალი ლიტერატორებით აჟრიამულებულ, ახორხოცებულ რესტორანში) და მეორეა, როცა ახსნილს მარტო აანალიზებ შენთვის (თუნდაც მატარებელში). რაც მართალია მართალია, აველუმი არც მაშინ (რესტორანში) შეკამათებია სონიას და არც ახლა (შედარებით დამშვიდებული, ბედს შეგუებული) ეკამათება. სონიას სურვილი, რა თქმა უნდა, უაღრესად ადამიანურია, უფრო სწორად, უაღრესად ქალური სურვილია და ვერავის მოუბრუნდება ენა გასამტყუნებლად, როგორ გაბედე და როგორ გაგიჩნდა მსგავსი სურვილიო. უფრო მეტიც: არათუ სურვილი, საქციელიც უაღრესად ადამიანურია, ღალატი უაღრესად ადამიანური თვისებაა, მაგრამ ადამიანთა ცხოვრებაში დგება ჟამი, როცა ჩვეულებრივი უჩვეულოდ გამოიყურება, ადამიანური - არაადამიანურად. განა პანაშვიდზე მოსულ ხალხს

აზრად მოუვა მრავალჟამიერი დააგუგუნოს?! ჩვენც პანაშვიდი გვიდგას ახლა - მსოფლიო მისტირის საკუთარ ადამიანობას - და ასეთ დროს ჩვეულებრივ, კლასიკურ ღალატსაც სულ სხვა სუნი უდის, უფრო გლობალურ უბედურებად აღიქმება, ვიდრე ნებისმიერ სამკუთხედში (ბერმუდის ჩათვლით) მიმდინარე პროცესები. ის (ღალატი) რომელიმე მომხიბვლელი ქალბატონის რეპუტაციას კი არ ემუქრება მხოლოდ, არამედ - საყოველთაო ზნეობას, და არაფერი აქვს საერთო არც მადამ ბოვარისა და არც ანნა კარენინას თავგანწირულ ნაბიჯთან. პირიქით, თავად დიადი მოღალატეების წინააღმდეგაა მიმართული, მათი ვნებების გასაუფასურებლად, რადგან ამ შემთხვევაში ყველაფერი შებრუნებულად ხდება: ქმარს კი არა, საყვარელს აყრიან თვალში ნაცარს, ანუ, უაზრო ნებაყოფლობით ჯდებიან სატუსაღოში (ოჯახში), უსასთუმლო, უგზოუკვლო, მშიერ-მწყურვალი, შიშველ-ტიტველი თავისუფლების შიშით. და მართლაც, ის ათიოდე წელიწადი, აველუმთან რომ გაატარა სონიამ, თითქოს თავიდანვე დროებითი, სულის მოსათქმელი "ადგილი" იყო მხოლოდ, დაახლოებით ისეთივე, როგორიც ზღვაში მოტივტივე ფიცარია გადამფრენი ჩიტებისთვის, საიდანაც დაუნანებლად, დაუზარებლად და გარკვეული სიხარულითაც კი უნდა წამოფრენილიყო, როგორც კი სუნთქვა დაუმშვიდდებოდა და გზის გაგრძელება შეეძლებოდა.

ღვთის წყალობით, აველუმი არც პირველია და არც უკანასკნელი - იშვიათად თუ წასულა ამ ქვეყნიდან ვინმე, ერთხელ მაინც არ ეღალატოთ მისთვის. მაგრამ არა მგონია, სონიას სულსწრაფობამ და, რაც კიდევ უფრო დამაფიქრებელია, ამ სულსწრაფობით განპირობებულმა მისმა საქციელმა, თუნდაც, როგორც თვითონ ეძახის, "გონივრულმა ნაბიჯმა", აღაფრთოვანოს ჩვენი მომავალი მკითხველი (ჰმ, ჰმ), თუკი, რასაკვირველია, ოცდამეერთე საუკუნეშიც სრულყოფილი, მკვეთრად გამოკვეთილი ტექნოკრატების ეპოქაშიც, ჩვეულებრივი, თანდაყოლილი გულებით იცხოვრებენ ადამიანები და გაჩენისთანავე არ გადაუნერგავენ მათ ცეცხლგამძლე, ტყვიაგაუმტარ, ყოველგვარი ცხოვრებისეული ელდისგან საიმედოდ დაცულ, ვთქვათ, კერამიკულ გულებს. ალბათ ასეც იქნება, რადგან ადამიანი, საბოლოო ჯამში, მაინც პრაქტიკული ცხოველია. განუწყვეტელი ვნებათაღელვა, შიში, მოლოდინი, ტანჯვა, მოთმენა - ყველას როდი შეუძლია. უფრო სწორად, არავის სიამოვნებს, ვისაც ცხოვრება უნდა, ვისაც წინასწარ დაპროექტებული და კანონით გარანტირებული ბედნიერებაც თავზე გადასდის...

აველუმს სონიას მიმართ ყოველთვის ჰქონდა განსაკუთრებული, ლამის "მშობლიური" მზრუნველობის გამოჩენის სურვილი, შეიძლება იმიტომ, მათი გაცნობა სონიას მშობლების განქორწინებას რომ დაემთხვა, შეიძლება, მათ შორის ერთობ თვალსაჩინო ასაკობრივი განსხვავების გამოც, მაგრამ არასოდეს შესცოდებია ისე, როგორც, ვთქვათ, ფრანსუაზა. ფრანსუაზას სამსახურში რომ მიაცილებდა (მის ბინაში მარტო დარჩენისა ეშინოდა, ყოველ წუთას შეიძლებოდა დასდგომოდა თავზე "სახლმმართველი" თუ "უბნის რწმუნებული", ლიფტიორ ქალზე რომ არაფერი ვთქვათ, და დაინტერესებულიყო, რას აკეთებდა უცხოელის ბინაში), ტაქსიდან უყურებდა ხოლმე, როგორ მიბაკუნობდა ქუჩაში, დაკარგულ ბეკეკასავით, მოსკოვური ზამთრის სისასტიკით დამფრთხალი და დათრგუნული, ვიდრე ყარაულიან სადარბაზოში გაუჩინარდებოდა და, რატომღაც, ყოველთვის ცრემლის ეკლიანი გორგალი ეჩხირებოდა ყელში, რომელიც ვეღარც "გუმის" ცხელ (გაცხელებულ) ღვეზელს ჩაჰქონდა და ვეღარც ლამის ყინულად ქცეულ, ხრაშუნა ლუდს, ანუ, აველუმის ყოველდღიურ საუზმეს, კონსპირირებული ცხოვრების პერიოდში. მაგრამ იმ დღეს, კურსკის სადგურში, სონია გაცილებით საცოდავი იყო და, რაც მთავარია, თვითონაც ხვდებოდა ამას. ამიტომაც ლაპარაკობდა ყველაფერზე ზერელედ, აგდებულად, ვითომ სხვათა შორის, ვითომ ზრდილობის გულისთვის - მათი მოულოდნელი "გათიშვა" იქნებოდა ეს, თუ მისი "მოულოდნელი" გათხოვება - "ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც დიდი სენი შემყროდესო", - აღიარა ბოლოს. მაგრამ სონია, "თითქოს" კი არა, მართლა იყო

"ავად", თანაც საკმაოდ სერიოზულად, ოღონდ, არაფრით არ უნდოდა ამის დაჯერება. უფრო სწორად, განკურნება არ უნდოდა და არ უნდოდა იმ უბრალო მიზეზის გამო, შეგნებულად რომ დაისნეულა თავი. მაგრამ აველუმს მაინც უნდა "მოევლო", მაინც უნდა "ეპატრონა" მისთვის. ყოველ შემთხვევაში, საცდელი მაინც ბოლომდე უნდა ეცადა, თუნდაც მარტო იმიტომ, პირნათელი რომ ყოფილიყო ყველასთან, ანუ, საკუთარ თავთან. სონია აჩემების ტყვეა და, ამავე დროს, ამ ტყვეობაში ყოფნა ურჩევნია ადრინდელ, დიახაც რომ შეუზღუდავ თავისუფლებას, რადგან იქ უფრო საიმედოდ იქნება დაცული, დავუშვათ, აველუმის რისხვისგან, ანდა, საკუთარი სინდისისგან, ისევე როგორც ბავშვის გამაუპატიურებელი ან ბებრის მკვლელია დაცული გამძვინვარებული ხალხისაგან მილიციაში. სონიას ამბავი რომ ვიცი, არც ისაა გამორიცხული, თვითონვე რცხვენოდეს შეცდომის აღიარება და ახლა ყველანაირად ცდილობდეს, არა მარტო თავს, ყველას დაგვიმტკიცოს, დამოუკიდებლად, უთქვენოდაც შემიძლია სწორი გადაწყვეტილების მიღებაო. რა გაეწყობა. რაკი ასე სურს, დე, იყოს ასე. მაგრამ რაც მოხდა, თავისთავად კი არ მოხდა, როგორც აველუმს ეგონა, არამედ მომზადდა, გაცილებით დიდი ხნის მანძილზე და, რაც მთავარია, აველუმის ზურგს უკან, აველუმის საწინააღმდეგოდ. აველუმმა კი მაშინ შეიტყო, როცა აღარაფერი ეშველებოდა, როცა ბუნებამაც თავისი გააკეთა. მართლაც, ისე ეშმაკურად მოხდა ყველაფერი, ალბათ თავად სონიასაც გაუჭირდება დაზუსტება: ჯერ გათხოვება გადაწყვიტა და მერე იღო მუცლად, თუ ჯერ მუცლად იღო და მერე გადაწყვიტა (ბარემ) გათხოვებაც. მოკლედ, სონიამ კი აირჩია თავისი ჭკუით მისთვის უკეთესი ვარიანტი

(თუმცა, ორი კვირით ადრე, აველუმზე ძვირფასი "არაფერი გააჩნდა ცხოვრებაში"), მაგრამ უსამართლობა და უსინდისობა ის არის, სხვას რომ საერთოდ წაართვა არჩევანის უფლება. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, მარტომ გადაწყვიტა არა თუ საკუთარი, არამედ აველუმის, მელანიას და, თავისთავად ცხადია, ფრანსუაზას მომავალიც. ისინი ხომ ყველანი ერთმანეთზე არიან გადაბმულნი უხილავი ჯაჭვებით და თუკი რომელიმე მათგანი ამას ვერ ხვდება, არა მარტო დანარჩენების, არამედ საკუთარი თავის მტერიცაა. მაგალითად, მელანიამ დიდი გამჭრიახობა გამოიჩინა თავიდანვე, როცა სინამდვილეს კი არ აუჯანყდა, დაუფიქრებლად (მოფიქრებულად) გასცა და დაუნანებლად (შეგნებული იძულებით) გაყო ის, რისი არც გაცემა შეიძლება თითქოს და არც გაყოფა. მაგრამ არათუ იყოფა თურმე, არამედ უმალ ნამატითაც დაგიბრუნდება, თუკი მარტო შენს თავზე არ იფიქრებ და სხვებსაც გაუწევ ანგარიშს. მელანიამ, რაც მართალია, მართალია, სიხარბესაც სძლია და პატივმოყვარეობაც დაიცხრო, რითაც, უპირველეს ყოვლისა, მოქიშპეთა გულები მოინადირა და ქიშპობის მიზეზი, მართალია, ათასნაირად გაძიძგნულ-გაწეწილი, მაინც ბოლომდე შეინარჩუნა. ის კი არა, მგონი თვითონაც არ იცოდა, უხაროდა თუ სწყინდა, დღითიდღე უფრო და უფრო რომ უძნელდებოდა აველუმს სოროს დიდი ხნით მიტოვება და რომელიღაც ტკბილ მოგონებაში გადავარდნილს, რომელიღაც სასიამოვნო ჩვენებისთვის თვალგაშტერებულს, მშობლიური თანაგრძნობით გამოხედავდა ხოლმე, ვითომ ქსოვით გართული. ასე რომ, არც სონიას ჰქონდა უფლება, მარტოს, უიმათოდ გადაეწყვიტა ესოდენ სერიოზული საკითხი, შეიძლება

უაღრესად პირადული, მაგრამ ასევე უაღრესად დაკავშირებული საზოგადოსთან, რამდენადაც სონიას წასვლით, თავისთავად დგება დღის წესრიგში ყველა დანარჩენის ყოფნა-არყოფნის საკითხიც, რადგან ასეთია იმპერიის სტრუქტურა, ბოროტებისა იქნება ის თუ სიყვარულის. მაგრამ არც ყველაფრის სონიასთვის გადაბრალება იქნება ჩვენგან კარგი საქციელი. სონიასაც საკუთარი ბუნება წარმართავს და არა აველუმის შეგონებები; მიუხედავად აველუმის დიდი მცდელობისა, მაინც მშობლიურ გარემოს უფრო შეეფერება ის, ვიდრე აველუმის წარმოდგენებს. აველუმის აზრით, სონიასთვის გაცილებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მასთან მეგობრობა, ვიდრე ერთი ჩვეულებრივი გათხოვება. მაგრამ სინამდვილემ სულ სხვა სურათი გადაგვიშალა თვალწინ. აშკარად არითმეტიკასთან გვაქვს საქმე, ჩვენ კი ალგებრული წესით ვცდილობთ "უცნობის" ამოხსნას. "უცნობი" ცნობილია. კაცობრიობის არსებობის მანძილზე, ათადან და ბაბადან მოყოლებული, ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, ამოუხსნელი დარჩენილიყოს. ხელმწიფის საყვარლობას მჭედლის ცოლობა სჯობსო - ამბობს ხალხური სიბრძნე. ასე რომ, არც სონიას არჩევანი გამოირჩევა დიდი ორიგინალობით. ჩვეულებისამებრ, სონიამაც მისთვის უკეთესი აირჩია ორ "ბედაურს" შორის და თუნდაც, მხოლოდ და მხოლოდ, პრაქტიკული თვალსაზრისით - აირჩია ის, ვისაც უფრო გამოიყენებდა, ვინც უფრო გამოადგებოდა, არა მარტო უფრო ახალგაზრდა, არამედ უფრო თვინიერიც, უფრო იოლად სატარებელი შენს ჭკუაზე. ბოლოს და ბოლოს, აირჩია ის, რომელიც უფრო ახლოს ეყოლებოდა, ყოველთვის საძებარი არ გაუხდებოდა და აღარც

კავკასიონის გადაფრენ-გადმოფრენა დასჭირდებოდა ერთი კოცნის გულისთვის. მაგრამ, თუ ქათინაურად არ მიიღებს, მე ყოველთვის უკეთესი მეგონა რატომღაც სონია, უკეთესი, ზნეობის თვალსაზრისით კი არა, არამედ საერთოდ, იმ ნივთიერებათა და მინერალთა ხარისხით, რომლებისგანაც შესდგება მისი არსება, სულიერიცა და ხორციელიც. უფრო გასაგებად რომ ვთქვა, ღრმად ვიყავი დარწმუნებული (ეს რა სონიას ბრალია!), სულის ამოხდომამდე, ნებისმიერი იარაღით იბრძოლებდა აველუმის გადასარჩენად და შესანარჩუნებლად. თუმცა, თავად, ეტყობა, ამ აზრისა არ იყო, ანდა ბრმად არ ემორჩილებოდა ამ აზრს. დედამისმა, ქალბატონმა აისოდორამ, მართალია სულელური ლაპარაკი იცის (ამიტომაც გაექცა ალბათ ქმარი), მაგრამ ყურადღებით თუ მოუსმენთ, ბევრ საინტერესო (და საჭირო) ცნობასაც მოგაწვდით. "ყველას ძალიან გვიყვარს აველუმი, მაგრამ არ გეგონოთ, სონია იმის ანაბარა იყოს დარჩენილიო" - აი, რა მითხრა ერთხელ ქალბატონმა აისოდორამ, მაგრამ მაშინ ის უფრო გამიკვირდა, საკმაოდ უხეშად რომ გააჩუმა სონიამ დედამისი - როგორმე მე თვითონ მოვუვლი ჩემს თავსო - და უფრო ზრდილობისთვის შევიცხადე, რას ბრძანებთ-მეთქი, რადგან, ჩვეულებისამებრ, დიდი მნიშვნელობა არ მიმიცია ცხოვრებაზე განაწყენებული, ქმრის დაუნდობლობით ღრმად დაჭრილი ქალის "მუქარისთვის". სონია, რასაკვირველია, თვითონვეა საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონი, მაგრამ ცხოვრებაცაა და ცხოვრებაც. როცა ქალი ქმარს ღალატობს საყვარელთან, ესე იგი, ჩვეულებრივი, მყარი, საიმედო გზით მიდის ცხოვრება, მაგრამ, როცა საყვარელს ღალატობს საქმროსთან, მთლად კარგად ვერ არის საქმე. ერთი პატიოსანი კაცი

ამბობს, სანამ მე ვარ, სიკვდილი არ არსებობსო. სანამ სიყვარულია, ღალატი არ არსებობს, წარმოუდგენელიცაა "გულმა სხვისკენ გაგიწიოს". ამიტომ, ნურც თავს მოვიტყუებთ, ნურც ერთმანეთის მოტყუებას შევეცდებით. სონიას "აჩემება" იმიტომ კი არ არის ანგარიშგასაწევი, მისი და აველუმის ურთიერთობა რომ "დაძველდა", "უპერსპექტივო" გახდა, როგორც არაერთხელ აღნიშნულა ადრეც "კეთილმოსურნეთა" მიერ, რასაკვირველია, იმავე ქალბატონ აისოდორას ჩათვლით, არამედ იმიტომ, მიუხედავად ყველაფრისა, ანდა სწორედ ყველაფრის გამო, "გულმა სხვისკენ რომ გაუწია", თუნდაც ერთი წამით, უნებლიეთ, ანდა სქესის სისუსტიდან გამომდინარე, და, რაც მთავარია, წინ კი არ აღუდგა, შეძრწუნებული, ამ წარმავალსა და ბუნებრივ მოთხოვნილებას, არამედ აჰყვა და გადაჰყვა კიდეც. ამდენად, სალაპარაკოც აღარაფერია თითქოს. რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, მხოლოდ იმას დავადასტურებთ, თუ რა ძნელი გასათვალისწინებელია საერთოდ ნებისმიერი საფრთხე, სწორედ იქიდან რომ გამოგვიტყვრება ხოლმე, საიდანაც არ ველოდებით. მაგრამ ყველა ნორმალური ადამიანი, თუნდაც ქვეცნობიერად, განუწყვეტლივ გრძნობს და ერიდება საფრთხეს. სონია კი პირიქით მოიქცა - "საფრთხისაგან" თავის დაღწევა კი არ სცადა, არამედ შეგნებულად, გამიზნულად მიეკედლა მას. დიახაც რომ საინტერესო მდგომარეობაა სულისა - იმიტომ კი არ იქცევი ასე, გაბრაზებული რომ ხარ ვიღაცაზე, "საფრთხე" იგრძენი და ის ვიღაცა გვერდით ვერ დაიგულე, არამედ "საფრთხე" მოულოდნელად ხსნა რომ აღმოჩნდა შენთვის და, უპირველეს ყოვლისა, იმ გაურკვევლობისა და უპერსპექტივობისგან, რაზედაც

ზემოთ ვილაპარაკეთ. სონიასთვის "საფრთხე" იგივე ხსნაა და, რაც ყველაზე სამწუხაროა, აველუმისგან ხსნაა, აველუმის მარადიული სიყვარულისგან, ანუ, თუ გნებავთ, უმომავლო კავშირისგან (ბოდიშს ვიხდი პროზაული გამოთქმისთვის), რომელიც სინამდვილეში სულ ბეწვზე ეკიდა თურმე და თუ არ წყდებოდა, მხოლოდ და მხოლოდ, იმიტომ, "არავინ რომ არ იყო ირგვლივ ღირსეული". და აი, ბოლოს და ბოლოს, "ღირსეული" მაინც გამოჩნდა. კი გიხარია (რომელ გასათხოვარ ქალს არ გაუხარდება ასეთი სასწაული), კი გგონია თავი სიზმარში, მაგრამ ცოტა დამფრთხალიცა ხარ. რაც უნდა იყოს, სულ ახლახანს, მთლიანად, მთელი არსებით ეკუთვნოდი სხვას და ათასში ერთხელ თუ გაიფიქრებდი ხოლმე ჩაძინებამდე, ისიც გაკვრით, სულ ერთი წამით, ძირითადად ბიოლოგიური შიშით შეძრული: რა მეშველება, ეს რომ მოკვდებაო. მართლაც, განა რამდენხანს ცოცხლობს ადამიანი! მაგრამ განა მართლა წლობით იზომება ნამდვილი სიცოცხლე, ნამდვილი გრძნობა, ნამდვილი ურთიერთობა საერთოდ?! არა მგონია. ეს ძალიან არაზუსტი და არასაიმედო საზომია - მერყევი, მატყუარა. მაგრამ ახლა რა აზრი აქვს ამაზე ლაპარაკს - ყველაფერი ისედაც ნათელია. უფრო მეტიც: როცა წარმოვიდგენ ხოლმე, როგორ დგას სონია. საზიარო მიწის ნაკვეთზე, კიტრის კვლებში, ბარის ტარზე ხელებგადატყაული და როგორ ეცინება თვითონვე გუნებაში - ერთი იმას (აველუმს) დაანახვა ახლა ჩემი თავიო - ლამის ღალატიც ვაპატიო. ადამიანი ცოდოა - საკუთარი ხელით იკოწიწებს თავის პატარა ჯოჯოხეთს და თვალები უკვე ეწვის ბოლისგან, მაგრამ მაინც უფრო ღრმად შედის ბოლში, თუნდაც გარანტირებული მშვიდი სიბერის გულისთვის - ხმის

გამცემი, წყლის მიმწოდებელი რომ ჰყავდეს ვინმე, უკეთეს შემთხვევაში - შვილიშვილი, რომელსაც თავისი ერთადერთი სიყვარულის სურათზე დაუკაკუნებს სიბერისგან დაკრუნჩხულ თითს და ჩიფჩიფით ეტყვის: აი, ამ კაცს ვუყვარდიო. მაგრამ ღმერთის წინაშე აველუმიც მართალია. თავისი ჭკუით, ისიც სონიასთვის ზრუნავდა და არც თავმოყვარეობას გაფრთხილებია, არც ჯანმრთელობას. არც მოსკოვში ჩაფრენას ნანობს, მიუხედავად ყველაფრისა. პირიქით, რაც დრო გავა, მით უფრო ტკბილად გაახსენდება ალბათ თვითმფრინავის კუდზე ყანყალიც, ერთმანეთზე შეწყობილი მუყაოს ყუთებიც, მუჭში მოგროვილი გამოწუწნული მანდარინის ჩენჩოც... ძალიან კარგად მოიქცა. კარგადაც და სწორადაც. სონიას ყველაფერი უნდა სცოდნოდა, ოღონდ ის კი არა, რის სანაცვლოდ რა დაკარგა, არამედ - მართლა რომ შეიძლება მასზეც შესტკიოდეს ვიღაცას გული. თუმცა, სონიამ ყოველთვის იცოდა ყველაფერი, პირველივე დღიდან, როცა მკვდარივით გადაფითრებული, ძლივს მოათრევდა ფეხებს სასტუმრო "როსიას" ლამის უსასრულო დერეფანში; როცა პალტოს იხდიდა, უფრო ზუსტად კი, ვერ იხდიდა და მღელვარებისგან ტუჩებგადალურჯებული, სიკვდილმისჯილის გაუთვითცნობიერებული ცნობისმოყვარეობით აყოლებდა თვალს აველუმის ხელების ნებისმიერ მოძრაობას, თითქოს რამე თუ გამორჩებოდა, ანდა, თითქოს როგორც კი ისინი (აველუმის ხელები) გაჩერდებოდნენ, მისი აღსასრულიც დადგებოდა; და როცა თავისი ნაბიჯის გასამართლებლად თუ აველუმის გულში უფრო ღრმად ჩასახედად, მოგონილი არხეინობით, მეძავის უტიფრობით ეუბნებოდა აველუმს: აქეთ რომ მოვდიოდი, წითელ მოედანზე ასი

მანეთი შემომაძლია ერთმა შენი ხნის კაცმაო. სხვანაირად წარმოუდგენელია მათი გუშინდელი უდარდელობაც და დღევანდელი მღელვარებაც. როგორც იტყვიან, იმათაც ჰქონდათ "ერთი დრო" და თუნდაც იმხნის განმავლობაში ისინიც ისეთივე ბუნებრივები იყვნენ ერთმანეთისთვის, ისევე შეეფერებოდნენ ერთმანეთსაც და გარემოსაც, როგორც, ვთქვათ, ბიჭვინთას - აივანზე, მზის მხარეს, გასაშრობად გაკიდული საცურაო ტრუსები, ანდა, მლაშე ქვიშის მცოხნავი, ყელზე თითბრის ეჟვანშებმული ძროხა, მოულოდნელად რომ წაადგა ერთხელ თავზე და გულები გაუხეთქა ხის ქვეშ შეყუჟულებს. იქაური ბიჭები (მათი უნებლიე მასპინძლები), ზღვის პირას ცეცხლს აჩაღებდნენ, თევზის მოსახარშად, და ვინ იცის, რაღას არ პირდებოდნენ ღმერთს გუნებაში სონიას ერთი კოცნისთვის. სონია კი მართლაც ლამაზი იყო იმ დღეს - გალიფეს თარგზე გამოჭრილი ხაკის შარვალი ეცვა და ვარდისფერი თხელი პერანგი. მაჯის სიმსხო ნაწნავი კეფაზე დაეგრაგნა, გველივით, და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, მოგონილი არხეინობითა და სიზანტით მისეირნობდა აველუმის გვერდით, მკვდარ, გავარვარებულ ქვიშაზე, ვიდრე ქვიშნარს გასცდებოდნენ და ჯუჯა ბზების ტყეში შეიმალებოდნენ, დაუსხლტებოდნენ ცეცხლთან მოფუსფუსე ბიჭების თვალებს. ტყეში პატარა საყდრის ხელა ლოდი ეგდო, მზემიშუქებული, და მის ხორკლიან ზედაპირზე დამსხვრეული სხივი თვალებში უჭვრიტინებდა აველუმს და ცა კისერში ჩასდიოდა ცივ ჟრუანტელად და მიწა თანდათანობით ეცლებოდა ფეხქვეშ და სონიას ისე გახურებოდა მზეზე თმა, სულ ტკაცატკუცი გაუდიოდა მის თითებში და ყველაფერი, რასაც იმწუთას განიცდიდა და ხედავდა, იმდენად

დიდებული იყო, სხვა რომ ვერაფერი მოახერხა, პირჯვარი გადაიწერა.

ასე იყო ეს ამბავი, მაგრამ ალბათ ისიც საინტერესოა (თუნდაც, მხოლოდ ჩემთვის), რატომ დამესიზმრა მაინცდამაინც მე ქვემოთ მოთხრობილი სიზმარი, როცა გაცილებით აჯობებდა და სავსებით ბუნებრივიც იქნებოდა, იმავე სონიას დასიზმრებოდა, ანდა თავად აველუმს. თუმცა, მეორე მხრივ, იმჟამინდელ ჩემს სულიერ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, სრულებითაც არ არის გასაკვირი, სწორედ მე რომ ვნახე სწორედ ასეთი უცნაური სიზმარი. ეტყობა, იმ დღეებში ცოტა მეც ავაფრინე, რადგან ადრე მსგავსიც არაფერი დამსიზმრებია, არც ასე გამორჩეულად უცნაური, არც ასე გამორჩეულად დაბნეული, რასაკვირველია, თუ კი მართლა მე ვნახე, რაც ვნახე, და არა, ვთქვათ, სონიამ ანდა აველუმმა. ახლავე ავხსნი ყველაფერს. რაც მთავარია, ერთ სიტყვასაც არ დავამატებ, არც მხატვრული, არც აზრობრივი კოსმეტიკის ჩასატარებლად. რაღაც-რაღაცები კი თავისთავად დააკლდება, რისი აღდგენაც უბრალოდ ვეღარ შევძელი, რამდენადაც საკმაოდ დიდი დრო გავიდა, ვიდრე აეროპორტში მანქანით გავიდოდი და, რაც მთავარია, ფეხით დავბრუნდებოდი იქიდან, ანუ ვიდრე საბოლოოდ დავადგენდი, რა იყო სიზმარი და რა ცხადი, როდის გამოვედი სიზმრიდან (როდის გამოვედით სიზმრიდან მე და სონია, ორივენი ერთად, რადგან სიზმარში ერთ-ერთი ჩვენთაგანი იყო ორივე, უფრო სწორად, სამივე, ესე იგი, აველუმიც, მაგრამ ორიდან - ანუ სამიდან - რომელი იყო ის "ერთერთი", ძნელი სათქმელია) და როდის გადავედი ცხადში (უკვე უსონიოდ). საერთოდ კი უაღრესად ნათელი სიზმარი იყო და მეც, შეძლებისდაგვარად, შევეცდები ისევე ცხადად გადმოვცე, როგორც ვნახე, ანუ როგორც აველუმმა ნახა, რადგან სინამდვილეში, მე კი არ ვნახე

რაც ვნახე, არამედ - აველუმმა (შეიძლება - სონიამაც). ანდა, აველუმის სიზმარი ვნახე მე, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სიზმარშიც მე მე ვიყავი. სიზმარი, რა თქმა უნდა, მე ვნახე, მაგრამ იმავე სიზმარში მე მე კი არ ვიყავი, უბრალოდ, მე ვანსახიერებდი ყველას, გარდა საკუთარი თავისა - აველუმსაც, სონიასაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, დანიასაც. ასე რომ, ძალიან სასიამოვნო იქნებოდა პირადად ჩემთვის, ეს სიზმარი მართლა აველუმს ანდა სონიას ენახა და არა მე. მაგრამ სჯობს, ისევ სიზმარი მოვყვე, თორემ ამდენი ახსნა-განმარტებით თვითონ დავიბენი და სხვა როგორღა გაარკვევს, ვის რა დაესიზმრა, ანდა დაესიზმრა თუ არა საერთოდ რამე.

მაშ ასე: ვითომ, ერთ მშვიენიერ დღეს, მოულოდნელად გამომეღვიძა ჩემს ლოგინში. არა, პირიქით. ვითომ, სონიას გამოეღვიძა თავის ლოგინში. რასაკვირველია, მნიშვნელობა არა აქვს, ვის ეკუთვნის ლოგინი. მთავარი იმ ლოგინის ადგილსამყოფელია. მოკლედ, სონიას მოულოდნელად გამოეღვიძა მის მშობლიურ გარემოში და დანიამაც მაშინვე ენა აუსვა სახეზე (ძაღლის ცივი ენა რომ ვიგრძენი, მთელს ტანში ჟრუანტელმა დამიარა. ძაღლი კი მეცოდება, მაგრამ ვერ ვიტან, თავისი ადგილი რომ არ იცის, გინდა ეწყინოს, გინდა არა) და დაიწკავწკავა - ადე, აღარ შემიძლია, გამასეირნეო. მაგრამ სონია ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო ბურანიდან. ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს კი არ ვიღვიძებდი, ვიძინებდი, მაგრამ რაღაცა მიშლიდა დაძინებას. რაღაცა კი არა, ვიღაცა. ოთახში აშკარად ვიღაც იყო, ძაღლის გარდა, და დაჟინებით მიყურებდა. სონიამ უნებურად საბანი წაიფარა შიშველ მკერდზე, დამალა თავისი დიდი ძუძუები, რამაც, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა, რადგან არასოდეს მორიდებია საკუთარი სიშიშვლის დემონსტრირება (მთავარია, მაყურებელი ჰყავდეს), მით უფრო საკუთარ საწოლში. ფრთხილად, გაუბედავად მოვათვალიერე ოთახი, მაგრამ, არათუ უცხო ვინმე, საერთოდ არავინ და არაფერი არ იყო ოთახში - არც წიგნების კარადა, არც მაგიდა, არც სკამები... თითქოს ბინადრები გაუსახლებიათ, ან ჯერ არ შემოუსახლებიათო. არაფერი არ იყო (სხვათა შორის, აღარც დანია) და აი, მაშინ კი იკადრა სონიამ გამოფხიზლება. "ღმერთო ჩემო, სად გაქრა იმის ("იმის" - ე.ი. აველუმის) სურათიო". (არადა, მართლა კარგი სურათია - ოცდაექვსისაა - ახალგაზრდა, დამწყები პოეტი რაღაცას ჯიუტად მისჩერებია სივრცეში, ალბათ

სონიას ჯერ დაბადებას, მერე დაქალებასა და მერე გამოჩენას თუ ელოდება) - გაიფიქრა შეშფოთებულმა და საწოლში წამოჯდა. ძუძუები მაშინვე აქეთ-იქით გადაიზნიქნენ, გაბუტულებივით, თითქოს ერთმანეთს აარიდეს თვალი. იმის, ანუ აველუმის სურათი კი არა, როგორც უკვე ვთქვი, ყველაფერი გამქრალიყო: ფარშევანგის კუდის ბუმბულიც (ბრმა გუშაგი), ასკილის ეკლიანი ტოტიც (შურიანი მოწმე), კახურ-იმერული კერამიკაც (ცარიელი სიტყვები), უნიკალური ავტოგრაფებით შემკობილი წიგნებიც (ბრიყვის აღსარება), ხევსურული პაჭიჭებიც (მორიგი "საქორწილო" მარშრუტი), კვეტერას მწვანე კრამიტის ნამტვრევიც (უმაქნისი წარსული)... ყველაფერი, რაც თავს გადახდენიათ, უგრძვნიათ, განუცდიათ. კი მაგრამ, სად, სად უნდა გამქრალიყო ამდენი რამე ასე ერთბაშად, ასე უკვალოდ, ასე უიმედოდ?! თითქოს არც ყოფილაო. არადა, იყო. მე ხომ ვიცი, სხვამ თუ არა?! შეშფოთებული წამოვარდა საწოლიდან, დედიშობილა, გრძელფეხა... და, ცოტას მორჩა, მაშინვე იატაკზე მოადინა ბრაგვანი - რაღაცაზე მოუცურდა უცებ ფეხი. "შენი დედაცო" - შეიგინა გულით, ბრაზიანად, აველუმივით, და მერეღა დაიხედა ძირს. ძირს აველუმის სურათი ეგდო პირქვე. თეთრად ქათქათებდა პრიალა ქაღალდის სწორკუთხედი. აველუმი, რასაკვირველია, არ ჩანდა - მეორე პირზე იყო აღბეჭდილი, ქვემოდან. თითქოს შეგნებულად იმალებოდა ქაღალდის ქვეშ, მაგრამ გახარებულმა სონიამ ქაღალდი რომ გადმოაბრუნა, არც იქ აღმოჩნდა. პრიალა ქაღალდის ორივე პირი ერთნაირად თეთრი (ანუ სუფთა) იყო. სონიამ მაშინვე იმას ("იმას" - ე. ი. იმას) დაურეკა და მშვიდად უთხრა (თან საკუთარ სხეულს ათვალიერებდა სარკეში): მოხარშული ვირის ყური

მაცივარში დევს, მე კი თბილისში მივფრინავ, რადგან ორს რომ ერთი გამოვაკლოთ ერთი კი დარჩება, მაგრამ ის ერთი მე ვარ თუ ის ("ის" - ე.ი. აველუმი) ძნელი დასადგენიაო. "ვიცოდი, ადრე თუ გვიან, ასე მეტყოდიო" - უპასუხა იმან. სონია კი უკვე თბილისის აეროპორტში იდგა ვითომ და აველუმის ტელეფონის ნომერს კრეფდა გამალებული (თან დარწმუნებული იყო, გვერდით ჩავლილი ყველა მამაკაცი უყურებდა). "ტელეფონზე გეძახიანო" - კარზე მომიკაკუნა ეკაეკატერინეკატომ. ვიცი, ვინც რეკავს-მეთქი - მივაძახე კარს და მეც ისევე შეშფოთებული წამოვვარდი საწოლიდან, როგორც სონია წამოვარდა წეღან, ოღონდ, აქედან ძალიან შორს, სხვა ქვეყანაში, სხვა ქალაქში, სხვა ბინაში. ისე ჩავიცვი და ისე გამოვედი შინიდან, სიტყვა არ მითქვამს არავისთვის. საბედნიეროდ, არც ჩემთვის უკითხავთ რამე, ეგაა, რომ ყველანი, დიდიან-პატარიანად, დაძაბულნი, გაშეშებულნი მადევნებდნენ თვალს, ვიდრე ჩავიცვამდი და ვიდრე კარს გამოვიკეტავდი ზურგს უკან, თითქოს მათი მარჩენალი, მათი პატრონი კი არ ვიყავი, არამედ მათ ბინაში შეჭრილი მძარცველი და თითქოს იარაღით დავმუქრებოდი, ჩემს გასვლამდე, ან თუ კრინტი დაძრა, ან თუ თავად გაინძრა რომელიმე თქვენგანი, ყველას ერთიანად ამოგჟუჟავთო. უთქმელადაც ყველაფერი ნათელი იყო. ადრეც, სონიამდე, ფრანსუაზას "ეპოქაშიც" ასეთივე დაძაბული, დამნაშავური დუმილი ჩამოვარდებოდა ხოლმე, ფრანსუაზას ნაჩუქარ რომელიმე ფრანგი მომღერლის ფირფიტას თუ დავატრიალებდი უნებურად, დავუშვათ, ადამოს. და მართლაც, ისეთი შეგრძნება მეუფლებოდა პირადად მე (დარწმუნებული ვარ, სხვებსაც), თითქოს ფრანსუაზაც ჩვენს შორის იჯდა - გატრუნული, დაძაბული - აბა,

როგორ მოიქცევიან, დამტოვებენ, მიმიღებენ თუ გამაგდებენო. "ახლა თუ ტაქსი შემხვდა, ყველაფერი სინამდვილეში ხდება-მეთქი" - გავიფიქრე ფაცა-ფუცით, გზაზე დამდგარი კაცის მღელვარებით, და იმავე წამს ტაქსმაც შემომანათა თავისი მწვანე თვალი. "ვის ელოდები-მეთქი" - დავუძახე გულაბაგუნებულმა. "ვისაც ძალიან ვჭირდებიო" - მიპასუხა ტაქსმა (მაგ სიმართლით იაროს! მარტო ამით უნდა მივმხვდარიყავი, სიზმარი რომ იყო). "აბა, საჩქაროდ აეროპორტში, მანდილოსანი მელოდება-მეთქი". - შევვარდი მანქანაში. თან მე თვითონ მეცინებოდა სონიას "მანდილოსნობაზე". მანქანაში კი შევვარდი, მაგრამ მეორე წუთას, ვითომ, კარუსელზე ვტრიალებდი თავბრუდამხვევი სიჩქარით. ჩემს წინაც სონია იჯდა მუყაოს ანტილოპაზე და ჩემს უკანაც. ხან ის მომხედავდა, ეშმაკურად ღიმილშეკავებული, ხან მე მოვხედავდი ხოლმე, ცრემლით დაბრმავებული. "თუ მართლა დამხვდა ის "მანდილოსანი" აეროპორტში, სულ სათითაოდ დავუკოცნი შენს მანქანას ტალახიან ბორბლებს-მეთქი" - დავუყვირე მძღოლს. "შენ გიჟი ხომ არ ხარ შემთხვევითო" - გააჩერა მძღოლმა მანქანა. "მართალი ბრძანდებით, გიჟი ვარ-მეთქი" - დავეთანხმე გიჟური მორჩილებით და მანქანიდან გადმოვედი. "რას შვრები, სად მიდიხარ, მოდი, რაღა დარჩა, ბარემ მიგიყვანო" - მაინც შევეცოდე მძღოლს. მე კი ხელი ავუქნიე მხოლოდ, რადგან ყელი ჩახერგილი მქონდა სიბრაზისგან, სინანულისგან, სევდისგან, სირცხვილისგან, სიყვარულისგან, სიძულვილისგან, სიკეთისგან, სიბოროტისგან, რაღა თქმა უნდა, სიმარტოვისგანაც და ყველაფერ ამას ხორხის ქრონიკული ანთებაც ემატებოდა ზედ. წინ კი მოასფალტებული, უკაცური, უსასრულო გზა

გადაჭიმულიყო. არსაიდან არსაით მიმავალი. გზას, ორივე მხრიდან, ერთნაირად გაქუცული, ერთნაირად ტრიალი მინდვრები მისდევდა. ქარს მიჰქონდა იქაურობა. ათასში ერთხელ, დამაყრუებელი გუგუნ-გრუხუნით, ავად აელვებული თვითმფრინავი გადამიფრენდა ხოლმე თავზე და, ლამის თავი წაეცლია, თითქოს მშიერი ფასკუნჯი ამოვარდა ქვესკნელიდანო. მე კი უკაცურ, მოასფალტებულ გზაზე მივდიოდი და ვითომ მე კი არ ვიყავი, არამედ დანია, უპატრონო ძაღლი, რომელსაც ჯერ კიდევ არ გადაჰყროდა სონია და მაინც არაფერი არ მინდოდა უფრო ძლიერ, ვიდრე სონიას დანახვა, ვიდრე იმისი ბრიყვულად მომღიმარი სახის ალოკვა. სხვა რომ ვერაფერი გავაწყე ჩემს ძაღლურ სიმარტოვეში, იქვე, შუაგზაზე ჩავცუცქდი, კუდზე დავჯექი, დრუნჩი ცას მივუშვირე და ავყმუვლდი.

ასე აყმუვლებულს გამომეღვიძა.

# 3

ტყუილად კი არ არის ნათქვამი, მადა ჭამაში მოდისო - რაც უფრო მეტს ვლაპარაკობ, მით უფრო მეტი სათქმელი მიჩნდება და რომ შეიძლებოდეს, საერთოდ არ მოვშორდებოდი ჩემს ტანჯულ საბეჭდ მანქანას, არც ლუკმის ჩასადებად, არც თვალის მოსატყუებლად, თუკი, რასაკვირველია, შენთვისაც სულერთია, **მოცლილო მკითხველო**, რა თანამიმდევრობით მოგიყვები ჩემს განცდებს; თუმცა, სჯობს თავიდანვე ვაღიარო, რომ ჩემს მონათხრობში განცდას მაინც განსჯა სჭარბობს, ნამოქმედარს - ნაფიქრალი, მაგრამ ესეც ალბათ კანონზომიერი მოვლენაა დღეისათვის - მიმდინარე ათწლეული ხომ გონების ათწლეულადაა გამოცხადებული - და მართლაც, ბევრი რამ არის დასაფიქრებელიცა და განსასჯელიც, რამდენადაც არა მარტო საუკუნე მთავრდება, არამედ ქრისტეს ოცსაუკუნოვანი ეპოქაც და არა მარტო ვარაუდი, არამედ შესაძლებლობაც არსებობს, მართლა უაზროდ, სულელურად მოისპოს ყველაფერი, აღიგავოს პირისაგან მიწისა, და ჩემი "შრომაც" ფუჭი აღმოჩნდეს ბოლოს; მაგრამ აღარც გაჩუმება შეიძლება - ნაყოფი რომ დაიძვრება, აუცილებლად უნდა დაიბადოს, თორემ თვითონაც დაიღუპება და მისი მტვირთველიც - თანაც, როგორც სჩანს, მართლა მოსწრებაზეა საქმე: მომავალ საუკუნეში კი არა, ხვალ რა იქნება, იმასაც ვერ ამბობს ვერავინ დაბეჯითებით. სხვათა შორის, ისიც გასარკვევია, ხვალ მე ისევ მე ვიქნები, თუ სხვა ვინმე - ადამიანი ხომ, გარკვეული თვალსაზრისით, ყოველდღე ხელახლა იბადება და ყოველდღე ერთხელ კიდევ კვდება, თუმცა, თვითონ არასოდეს იცის, ხელახლა დაიბადა თუ ერთხელ კიდევ მოკვდა. მაგრამ, იბადება თუ კვდება, ჩემი არ იყოს, დრო მაინც უნდა გაიყვანოს როგორმე, გინდაც ხელახლა დაბადებამდე, გინდაც

ხელახალ სიკვდილამდე. საამისოდ კი, გულის ამობერტყვა საუკეთესო საშუალებაა: ყელი რომ გამიშრება და ღვინის ყლუპს დავუწყებ ძებნას ერთხელ უკვე დაცლილ ბოთლებში, სულ სხვა დღე დამხვდება ხოლმე სამზარეულოშიც და, თავისთავად ცხადია, კალენდარზეც. ასე რომ, ვერცკი გაიგებ, როგორ გარბის დრო ერთი ისტორიული თარიღიდან მეორემდე. არადა, თითქოს ჩემს ჯიბრზე, ყველა მეორე დღე აღსანიშნავია - ან სამგლოვიაროა ან საზეიმო - ეტყობა, რაც უფრო პატარაა ქვეყანა, მეტი ისტორიული თარიღი აქვს, და რაც მთავარია, აღსანიშნავად ყველა ერთნაირად სახიფათოა, გინდაც საზეიმო იყოს, გინდაც სამგლოვიარო, მით უფრო დღეს, როცა ძაღლი პატრონს ვერ სცნობს და პატრონი ძაღლს, მშობლიურ ქალაქში უცხოსავით დადიხარ და სადაც არ უნდა შეიყუჟო ბოლოს, ყველგან შემაწუხებლად დაძაბული მოლოდინია გაურკვევლისა და ამოუხსნელისა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, თითქოს აღარაფერია გასარკვევი და ამოსახსნელი - ერთხელ კიდევ და ამჯერად უკვე ჩვენი თანდასწრებით, ჩვენს თვალწინ სრულდება უკეთილშობილესი აქტი ძველისა და ახლის მონაცვლეობისა, რაც ყველაზე თვალნათელი დადასტურებაა სიცოცხლის მარადიულობისა, თუნდაც მარადიული მოძრაობისა, მაგრამ როგორც სხვა ყველაფერი, ესეც გაყალბებულია იმპერიის მესვეურთა მიერ და ესეც მორიგ თავშესაქცევ სანახაობადაა ქცეული იმპერიის ქვეშევრდომთა გასაბრიყვებლად, რასაკვირველია, იმპერიის ინტერესებიდან გამომდინარე - იმპერია მხოლოდ და მხოლოდ მკვდარი, გაქვავებული მოდელია სიცოცხლისა და, ამდენად, მარადიული მოძრაობა კი არ აინტერესებს, არამედ უძრაობის მარადიულობა, ანუ, ერთ ადგილზე მბრუნავ

ბორბალში გამომწყვდეული ციყვის განუწყვეტელი და ამაო მცდელობა სივრცეში გადაადგილებისა. იმპერიის უკიდეგანო სივრცეებშიც ერთი და იგივე დრო ბრუნავს ბორბალივით, ბორბალში კი ჩვენ, იმპერიის ქვეშევრდომები, დაბადებით იმიტატორები, ვითომ ვმოძრაობთ, ვითომ ნათელი მომავლისკენ მივისწრაფით თავგამოდებულნი და, საბოლოო ჯამში, ერთნაირად გაპამპულებულნი გამოვდივართ ძველებიც და ახლებიც. უფრო სწორად, მართლა ახალი კი არ ენაცვლება ძველს, რაც იგივე სიკვდილი იქნებოდა იმპერიისთვის, თუკი ამას დაუშვებდა, არამედ, დროგამოშვებით, სახეშეცვლილი "ძველი" გვევლინება "ახლად", რაც იმპერიის უკვდავების საწინდარია. ამიტომაც მოაბიჯებენ ასე მოღუშულნი, გაფითრებულნი - გოგოებს შავი კაბები აცვიათ, კოჭებამდე, ძველებურად (მათი თვალსაზრისით, ესეც სიახლისკენ ლტოლვაა), ხელში კი თეთრი ვარდები უჭირავთ. ვარდი ძვირი კია, მაგრამ რას იზამ, განსაკუთრებული დღეა, ყველაფერი იმარხება, რაც აქამდე არსებობდა, და ვარდის სიძვირემ არ უნდა შეგვაფერხოს, დასამარხი უნდა დაიმარხოს, რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ვიდრე გვამის სუნს შევეჩვეოდეთ. მართალია, ვარდის გამყიდველი არც "მამულიშვილობის" გამო დაუკლებს ფასს თავის საქონელს, მაგრამ სხვა თუ არაფერი, იმდენი საქველმოქმედო ფონდი და საზოგადოება გაჩნდა უცებ, როგორც კი ერთი ჟუჟუნა წვიმა მოვიდა, არაფერი დაშავდება, ერთხელ მაინც, დანიშნულებისამებრ თუ მოიხმარენ შენაწირს. ბოლოს და ბოლოს, მარტო შეგროვება ხომ არ ევალებათ - კეთილი ინებონ და გაიღონ კიდეც, თუნდაც იმავე ვარდებისთვის, შავკაბიანმა გოგოებმა რომ უნდა დაიჭირონ ხელში

დღეს, ხვალ, ზეგ, მასზეგ - ბევრი რამეა დასამარხი და დროც ბევრი დასჭირდება ალბათ.

ბიჭებს შავი შარვლები და შავი კურტაკები აცვიათ. ასეთი ჩაცმულობა არა მარტო შეესაბამება დროსა და გარემოს, არამედ უფრო მოსახერხებელიცაა შესანიღბად, ვერ გაარჩევ ვინ ვინ არის, მშრომელი თუ უსაქმური, სწავლული თუ ლაზღანდარა, სოფლელი თუ ქალაქელი... ძველებს თავიანთი ახალგაზრდობა იმიტომაც ახსოვთ (მცირე გამონაკლისთა გარდა), იმას რომ იცვამდნენ, რასაც შოულობდნენ. მაგრამ ეს მაინც არ აძლევთ გვერდზე გადგომის უფლებას. პირიქით, მით უფრო არა აქვთ ნება გვერდზე გადგომისა, თუნდაც იმათი ხათრით, ვისაც არ გაუმართლა, ვინც მათთან ერთად ვერ მოაღწია დღემდე, ვერ მოესწრო ამ დიდ განსაცდელს, ბრძოლის ველზე დაეცა ყველაფერზე თვალდარჩენილი, ყველაფრით გულნაკლული, თუმცა, ყოველგვარი დამხმარე საშუალებების გარეშე, ბოლომდე ეომებოდა ცხოვრებას და ფრჩხილებით, კბილებით ღრღნიდა მის ყრუ კედელს, თუნდაც სულ უმნიშვნელო სხივის გასატევი ჭუჭრუტანა მაინც რომ გამოეჩიჩქნა როგორმე და, თუკი თავად ვერ შეაღწევდა შიგ, ჭუჭრუტანიდან მაინც შეეხედა ცხოვრებისთვის. იმათ, დღევანდელებისგან განსხვავებით, ცხოვრებიდან როგორმე გაქცევა კი არა, ცხოვრებაში როგორმე შეღწევა და ცხოვრებაში როგორმე ფეხის მოკიდება ჰქონდათ მიზნად დასახული. თუმცა, სამწუხაროდ, შედეგი ერთნაირად სავალალო აღმოჩნდა ორივე შემთხვევაში, ბევრი სიცოცხლე და სინდისი შეიწირა და თუნდაც ამ თვალსაზრისით, არ შეიძლებოდა რამეთი უკეთესები ყოფილიყვნენ გუშინდელები დღევანდელებზე, ანდა პირიქით. უბრალოდ, საერთო უბედურებისადმი დამოკიდებულება იყო გუშინ სხვანაირი; არ რცხვენოდათ უბედურებისა; იცოდნენ, უბედურები რომ იყვნენ, ერთნაირად უბედურები,

საერთო უბედურებით უბედურები, რაც კი არ თიშავდა მათ, როგორც იმპერიას სურდა, კიდევ უფრო აახლოვებდა, აკავშირებდა ერთმანეთთან, რაც სრულებითაც არ აძლევდა ხელს იმავე იმპერიას. თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, საერთო უბედურებაც განსაკუთრებული იყო ყველა ოჯახისთვის, ისევე, როგორც, ვთქვათ, ყველა მშობელია განსაკუთრებული (აველუმის მამა რომ გარდაიცვალა, დედამ თქვა: მკვდარი კაცი გვინახავდაო). ეს კი, უპირველეს ყოვლისა, პასუხისმგებლობის გრძნობას უმძაფრებდა ყველა მათგანს (თორმეტი წლის აველუმმა უმცროსი და გააჩუქა - რაკი მშობლები ჯერ ისევ გადასახლებაში ჰყავდა, თავად გაუწია დას მშობლის მაგივრობა და შიმშილით სიკვდილს გადაარჩინა, თავისი ჭკუით). ოღონდ, არც მთლად ასე იოლად აიხსნება ალბათ გუშინდელთა და დღევანდელთა ფსიქიური თუ სულიერი თავისებურებანი. მარტივად რომ ვთქვათ, დღევანდელებისგან განსხვავებით, გუშინდელები მშობლებს კი არ ავალდებულებდნენ ეზრუნათ მათ კეთილდღეობაზე, არამედ თავს თვლიდნენ დავალებულად მშობლების წინაშე. შეიძლება, ქვეცნობიერად ეცოდებოდათ ისინი - დახვრეტილნი, დაბორკილნი, დავრდომილნი - თითქოს იმათ კი არ ებარათ შვილების ბედი, არამედ შვილებს - იმათი და, წესიერები იყვნენ თუ უწესონი, ერთი წამითაც არ ტოვებდათ ამ ვალდებულების შეგრძნება და ასე იყო სულ, თავიდანვე, ჭკუაში ჩავარდნამდეც, ძვლების გამაგრებამდეც და საერთოდ დაბადებამდეც. მაგალითად, რაც უნდა მომხდარიყო, აველუმი კვირაში ორჯერ მაინც ააკითხავდა ხოლმე დავრდომილ მამას, სადღაც დიღმის ზევით, რომელიღაც პატარა თათრულ

სოფელში - სადაც მამამისი, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ, კოლმეურნეობის ბუღალტრად მუშაობდა - და ხან სუფთა საცვალს აუტანდა, ხან საჭირო წიგნებს, ხან კი დედის მორიგ წერილს, სადაც ძირითადად ისევ მასზე იყო საუბარი, უფრო სწორად, შვილის "უმადობით" შეშფოთებული, მაგრამ უმწეო და უსახსრო ადამიანი თავის გაუნელებელ შიშსა და ეჭვს შესჩიოდა ასევე უმწეო და უსახსრო ადამიანს. რაკი თავიდანვე ვერ უპატრონეს შვილს, თავს უფლებას ველარ აძლევდნენ, აშკარად გამოეყენებინათ მშობლის უფლებები. *"არ ვიცი, რა ვიღონო, მგონი ცუდ გზაზე დგას ბიჭიო"* - ერთნაირად წუხდა ყველა წერილი და აველუმიც, ვიდრე ადრესატამდე ააღწევდა, რამდენჯერმე კითხულობდა ყველა მათგანს და ასე არა მარტო გასართობად იქცეოდა, საკმაოდ გრძელსა და მოსაწყენ გზაზე დამდგარი, არამედ ეამაყებოდა კიდეც, რაღაცნაირად სიამოვნებდა, აბედნიერებდა დედის ფარული ყურადღება და მზრუნველობა, რაც, ყველა სიკეთესთან ერთად, იმის რწმენასაც უმტკიცებდა, ჯერ მთლად ხელიდან წასული რომ არ იყო თავად, ჯერ კიდევ რომ შეიძლებოდა მისი გადარჩენაც. ხოლო, რაც შეეხება "უმადობის" მიზეზს, ვერ ამხელდა, თორემ, უმალ სასაცილოდ მოეჩვენებოდა ყველას - მით უფრო, ნაციმბირალ მშობლებს - ვიდრე შემაშფოთებლად. ბოლოს და ბოლოს, ერთი მათი მეგობარი, ქართული ხალხური ბალადის გმირივით, მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა. ეგ იყო და ეგ. გნებავთ, აკლებდა იმას, ვისაც არ სჭირდებოდა და უმატებდა იმას, ვისაც აკლდა. ანდა, მიჰქონდა ის, რისი ფასიც პატრონმა არ იცოდა და ახარჯავდა იმას, ვინც უფასებდა. მოკლედ, სახელოვან მომღერალ ბებიას, სტალინური პრემიის ლაურეატს, რომელიც ფულსა და ობლიგაციას ვერ

ანსხვავებდა ერთმანეთისგან და ერთიცა და მეორეც დასტა-დასტა ეწყო თეთრეულის კარადის თაროებზე, დაუნანებლად, დაუნდობლად ძარცვავდა, რათა ძმაკაცებს ნამცხვრითა და ტკბილეულით გამასპინძლებოდა მუსკომედიისა თუ ოპერის ბუფეტში, თანაც იმ დროს, როცა მათი თანატოლების უმრავლესობას შუ და ეკლერი კი არა, ჩვეულებრივი პურის ყუა ესიზმრებოდა. მათ კი საკონდიტროს თბილი, დაშაქრული სუნი ასდიოდათ და ნამცხვრის პუდრით ყველას ერთნაირად ჰქონდა გადათეთრებული ნიკაპი და საულვაშე. ასე რომ, დღევანდელებისგან განსხვავებით, სხვა დამხმარე საშუალებანი, აღმგზნებადი თუ გამთიშველი, არაფრად სჭირდებოდათ, ნამეტანი დიდი ფუფუნება იქნებოდა მათთვის ნარკოტიკული ზმანებანი. სამაგიეროდ, არც დროზე ადრე დადგომიან მოუსავლეთის გზას ასმანეთიანი სამგლოვიარო განცხადების ამარა, სადაც ყველაზე ბოლოს მაინც გარდაცვლილია მოხსენიებული - ცოცხლებთან შედარებით, იქაც უმნიშვნელო ადგილი უკავია, ანდა, საერთოდ იმიტომაა ნახსენები, ერთხელ კიდევ რომ შესძლონ გადამოწმება მისმა ცოცხალმა ახლობლებმა, ვინ ვისზე წინ დგას, ვინ უფრო დასაფასებელია მათ პატარა სანათესავოში.

მაგრამ არც ეს ნიშნავს გუშინდელთა წესიერებას. გუშინაც შეეძლო ნებისმიერ მათგანს, ვთქვათ, ყომარში წაეგო პურის წიგნაკები, ანდა საკუთარი ბინა გაეძარცვა და რაც რამე ებადა, ერთ ამპულაში გადაეცვალა. უბრალოდ, თავად სიბრძნეს ასაკი არა აქვს, თორემ ყველა ასაკს თავისი განსაკუთრებული სიბრძნე გააჩნია. უფრო სწორად, ყველაფერს თავისი გამგები სჭირდება. ახალგაზრდობას გული ერჩის, სისხლი უჩუხჩუხებს. ღვინო რომ დუღს, კარგი გლეხი ქვევრთან ათენ-აღამებს - ადუღებულმა ღვინომ, შეიძლება, ქვევრი გახეთქოს და გაიქცეს. თანაც გაზაფხული კარსაა მომდგარი. ცოცხალს კი არა, მკვდარს აჟრჟოლებს სამარეში. რომ ამოუშვან, ამოვა. ჟამი სხვლისა მოიწია, ხმა გვრიტისა ისმა ქვეყანასა შინა ჩვენსა, ლეღვმან გამოიღო ყვავილი თვისი. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ახალგაზრდობაც პირობითი, არამყარი ცნებაა - დღევანდელი ახალგაზრდა გუშინ ყრმა იყო, ხვალ ჭარმაგი იქნება და ზეგინდელ ახალგაზრდაზე იტყვის, ასეთი არაფერი მინახავსო. მართლაც, რას აშავებენ დღევანდელები იმისთანას, რაც მათ პაპებსაც არ დაეშავებინოთ და რასაც მათი შვილიშვილებიც არ დააშავებენ! დიდი ამბავი, თუკი ერთ საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირს საკუთარმა შვილებმა პირდაპირ საწერ მაგიდაზე... მეორის ვაჟი კი ლენინგრადის რომელიღაც სასტუმროს ნომერში იპოვეს მკვდარი - შარვალჩახდილი და ვენაში ნემსგაყრილი. მესამისამ დედის შავი წინდა ჩამოიცვა თავზე, მამის მონიკელებული პისტოლეტი დაიჭირა ხელში და ბებიას დაესხა თავს - ბიბილოებიანად მოაგლიჯა ბაბუის ნაჩუქარი ბრილიანტის საყურეები. მეოთხისა და მეხუთისა შეამხანაგდნენ და მეექვსის გოგო სარდაფში გააუპატიურეს ვირთხების თვალწინ.

მაგრამ ეს ყველაფერი უმალ საერთო-საყოველთაო განწირულობის შეგრძნების ბრალია - ჩამპალ-ჩაჭაობებული სარდაფებიდან შავი ჭირივით რომ ამოიტანეს და გადაგვდეს ვირთხებმა - ვიდრე ზედმეტი გარყვნილებისა (როგორც ვთქვათ, საზღვარგარეთ) და მართლაც, განწირულისა და განწირულობისგან თავგზააბნეულის მეტი, ვინ გადაუხდის ამაგს განავლით თუნდაც ყველაზე უღირს მშობელს, ვინ მოკვდება ასე სამარცხვინოდ, ვინ გამოიჩენს ასეთ სისასტიკეს, ვინ გაიხრწნება ასე უიმედოდ... ამიტომაც მინდა ხოლმე, თუნდაც აივნიდან გადავძახო დემონსტრანტებს - ეჰეი, თქვენ, თეთრი ვარდებით ხელდამშვენებულო გოგონებო და გამომწვევად მოღუშულო ბიჭებო-მეთქი! თქვენი ხნისა აველუმიც თქვენისთანა იყო-მეთქი! ლექციაზე რა გააჩერებდა, მიზეზი თუ ექნებოდა ქუჩაში გამოსვლისა, მით უფრო - ყოველმხრივ საპატიო მიზეზი. ორმოცდათექვსმეტში, მარტის დღეები რომ მძვინვარებდა, როგორ გგონიათ, გაზეთის მაკეტს ადგენდა თუ "საქართველოს მოამბის" გადაყვითლებულ ეგზემპლიარებს ფურცლავდა მოწიწებით უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში?! არაფერიც! ისიც თავის წერას ჰყავდა ატანილი, მაგრამ ერთი კია, აღარ ესმოდა თანატოლებისა, უფრო სწორად, მარტო მას ესმოდა თითქოს, რაც ხდებოდა, რატომ ხდებოდა, რადგან თანატოლებისგან განსხვავებით, უკვე იცოდა სიმართლე და თავისი სიმართლის წყვდიადიდან ყველაფერი უფრო გარკვევით მოჩანდა სიცრუის სინათლეში. რასაკვირველია, სიმართლის გარკვეული ნაწილი დღევანდელებმაც იციან ალბათ, თორემ ასე ნაადრევად არ დაბერდებოდნენ, შეგნებულად არ დაისნეულებდნენ თავს ათასი სამამულო თუ იმპორტული სენით, მაგრამ

ის ცოდნა, რომელიც, ჯერჯერობით, გააჩნიათ, სულის გასაღიზიანებლად, ასაფორიაქებლად, ასამხედრებლადაა საკმარისი და არა დასამშვიდებლად, ანუ, სულის თვალის ასახელად, და ესეც უმალ გუშინდელების ბრალია, ვიდრე მათი: დედიკოც ენაცვალოთ და მამიკოც, მაგრამ ბევრად აჯობებდა, ჯერ თავად გარკვეულიყვნენ ისინი, სად ცხოვრობდნენ, ვისი დროშის ქვეშ იდგნენ, ნებით თუ უნებლიეთ, დროებით თუ სამუდამოდ, და მერე მიესაჯათ შვილებისთვის უზნეობით ტკბობა და ხელოვნურ, წარმოდგენილ, კლანიკისა და გამოსაფხიზლებლის სუნით დარეტიანებულ სამოთხეში ყურყუტი. იმათ კი არ იციან, გრძნობენ და ეს შეგრძნება აწუხებთ, აფორიაქებთ ყველაზე მეტად. მაგრამ ვერ უთქვამთ, სიტყვები არ ყოფნით შეგრძნებათა გამოსახატავად - ნურავიციროგორგითხრამოკლედასეარა - მაგრამ იმასაც გრძნობენ, მშობლებმაც რომ არ იციან, რა სჭირთ, როგორ უშველონ თავიანთ შვილებს და, უნებლიეთ, კიდევ უფრო ღუპავენ მათ - ხო დედიკო კი დედიკო ა შენი ჭირიმე - მშობელს ისინი მხოლოდ უყვარს, რაც სრულებითაც არ არის საკმარისი მათ გადასარჩენად. თანაც იმდენად უყვარს, მათი გაჭინთვისაც ეშინია, რამე არ გაიწყვიტონ მუცელშიო. მშობელმა მხოლოდ ის სიმართლე უთხრა, რომელსაც თავად მიაკვლია თავიდანვე მცდარ გზაზე (იმპერატორის მითითებულ გზაზე) შემდგარმა და ძირითადად ცხოველური ალღოს ამარა შეჭიდებულმა ცხოვრების ტალახიან ტალღებს, რადგან კაცი უმალ იტყვის, იქნებ მე მაინც გამიმართლოსო, ვიდრე ირწმუნებს, მასაც რომ არ გაუმართლებს სხვებივით.

მაგრამ ვიდრე ახალგაზრდა, გოგო იქნება თუ ბიჭი, სინამდვილეს ვერ ურიგდება, თუნდაც ბრმად, თუნდაც ალალბედზე მიისწრაფვის სინათლისკენ, სიახლისკენ - უკანონოდ შობილივით მიგდებული მთავრობის სასახლის ქვის კიბეებზე, ცივ ნოემბერში, სანთლის პატარა ალის ამარა - ჯერ კიდევ ყველაფერი არ დაკარგულა, ანდა, ადვილი შესაძლებელია, ყველაფერი თავიდან დაიწყოს. ამიტომაც მოდიან ასე მოღუშულნი, ასე გაფითრებულნი, ასე ერთნაირად განრისხებულნი. მაგრამ, სამწუხაროდ, თუკი ღრმად ჩაეძიები, მრისხანებაც არა აქვთ საერთო. სხვადასხვა მიზეზით არიან განრისხებულნი. იმპერიის იდეოლოგებმა ისე მოხერხებულად გადაუადგილეს სამიზნეები, არც იციან და არც აინტერესებთ, ვის მოხვდება ვისთვის განკუთვნილი ტყვია. ბრიყვს მისი უბედურების მიზეზი ჭკვიანი ჰგონია, ღარიბს - მდიდარი, უსინდისოს - პატიოსანი, სოფლელს - ქალაქელი და ქალაქელს - სოფლელი... ჯერ ცხოვრება წესიერად არც დაუწყიათ და უკვე იხრჩობიან, აღარ შეუძლიათ აქაური ჰაერის სუნთქვა. არც სწავლა უნდათ, არც მუშაობა. არაფერი არ უნდათ, "ადამიანური სითბოს" მეტი. შეიძლება, არც არასოდეს უგრძვნიათ, არც იციან, რას ნიშნავს, და მაინც "ერთი ბეწო ადამიანური სითბოს" სათხოვნელად არიან თითქოს გამოსულნი შინიდან ყველანი. ყველას ერთნაირად "ადამიანური სითბო" აკერია პირზე. ერთი მათგანი აველუმსაც მიადგა შინ. ლაპარაკისას თან ტიროდა, თან იცინოდა, თან ფრჩხილებს იღრღნიდა სახეწამონთებული, თვალებზე თმაჩამოშლილი. სახე წესიერად არც უჩანდა. "დამშვიდდი, დამენახვე ჯერო" - ეუბნებოდა აველუმი, მაგრამ იმან ვერაფრით ვერ გადაიწია სახიდან თმა. თმაც ისეთი ჰქონდა, როგორიც

თვითონ იყო - ჯიუტი, უტეხი, დაუმორჩილებელი.. "მშობლების დახოცვა მინდა და რას მირჩევთო" - სრულიად სერიოზულად უთხრა აველუმს, ხოლო აველუმმა რომ შეიცხადა, მშობლებს რას ერჩიო, იმათი ბრალია ყველაფერი, იმათმა სიმხდალემ, იმათმა სიბრიყვემ ჩაგვყარა ამ დღეშიო - მიახალა გაზეპირებულივით და აველუმი ცოტათი დამშვიდდა, მიხვდა, ტყუოდა - სიმხდალისთვის და სიბრიყვისთვის არვინ კლავს მშობელს. აველუმის შესაშფოთებლად, ზემოქმედების მოსახდენად ლაპარაკობდა ასე, რაც თვითონვე დაადასტურა, რადგან როგორც კი მათი საუბრის "საქმიანი ნაწილი" მოთავდა, მოგონილი სევდითა და სინანულით მოაყოლა: ნუთუ არ შეიძლება, მეც დამითმოთ ცოტაოდენი სითბოო, ხოლო აველუმის შეკრთომამ კიდევ უფრო გაახალისა და უფრო თამამად გადავიდა შეტევაზე: თქვენ იმდენი სითბო გაქვთ, არც შეეტყობა, მე კი სწორედ ადამიანური სითბო მჭირდება ახლა, თავი ისევ ადამიანად რომ ვიგრძნოო. საერთოდ, კაცი ფხიზლად უნდა იყოს, თვალზე თვალი და ყურზე ყური გამოიბას - თვითონაც არ იციან, როდის რას ჩაიდენენ და, იმავე დროს, ყველაფრის ჩასადენად მზად არიან ყოველ წუთას. უფრო საშიშნი არიან, ვიდრე საცოდავნი, მაგრამ აველუმს მაინც სიბრალულითა და თანაგრძნობით ეწვოდა გული. თუმცა, ღრმად იყო დარწმუნებული, მართლა პატივის მისაგებად კი არ მივიდნენ მასთან, თუნდაც, როგორც უფროსთან, არამედ მოსასინჯად, შესამოწმებლად, მისი დამცირებაც შეიძლებოდა თუ არა. ღმერთმა ქნას, მეშლებოდეს, მეჩვენებოდეს - შიშს დიდი თვალები აქვს - მაგრამ რაკი აველუმმაც ასე იფიქრა, რაკი თუნდაც ერთხელ გაჰკრა კლანჭი ამგვარმა ეჭვმა, თავს ვეღარ ერეოდა, გონებას ვეღარ იკრებდა, სიტყვას ვეღარ

იმორჩილებდა და თვითონაც არ იცოდა, რას მიედ-
მოედებოდა. თუმცა, არა - თვითონაც მშვენივრად
იცოდა, აზრი არ ჰქონდა ლაპარაკს და მაინც
ლაპარაკობდა, უკვე გაღიზიანებული საკუთარი
სიბრიყვით, მიუხვედრელობით და, უნებურად,
სიჯიუტითვე უპირისპირდებოდა სიჯიუტეს -
მგზნებარედ, მღელვარედ იმეორებდა გაცვეთილ
ჭეშმარიტებებს "ადამიანურ სითბოს" რაობაზე -
თავგამოდებული ამტკიცებდა, ეს წყეული "სითბო"
ყველა ადამიანს თანაბრად რომ ეძლევა თავიდანვე და
მისი ამოწურვა შეუძლებელია, რადგან იმდენივე
გიბრუნდება, რამდენსაც გასცემ. ოღონდ, თუ არ გაეცი,
ვერ მიიღებ და თუ ვერ მიიღებ, ვერ გასცემ, როგორც
სახელმწიფო ვერ გასცემს ხელფასს, თუკი ბანკში
ფული არ შემოუვა. ასე რომ... ასე რომ, ვინც ადამიანურ
სითბოს თხოულობს, ის ან თავს იგდებს, ან სხვას. ან
თავსაც და სხვასაც ერთნაირად, საერთოდ არ სჯერა
ადამიანისა, აბუჩად იგდებს ადამიანს საერთოდ, რაკი
იმას კი არ ფიქრობს, ამაგს თუ ვერ გადავუხდი
მშობელს, ძაღლად მაინც ჩავაგდოო - ბოლოს და
ბოლოს, სხვა თუ არაფერი, იმის ნაშიერია, იმის
შექმნილია, იმის ხატის შესატყვისად - ის აღიზიანებს,
ის ვერ უპატიებია მშობლისთვის, ცოცხალმა რომ
გამოაღწია დახვრეტილთა, შერისხულთა,
განდევნილთა, დაკნინებულთა, ღირსებააყრილთა
აჩრდილებიდან, სისხლისა და ცრემლის ტბორებიდან...
თუმცა, დანაშაული კი არ არის ეს, საერთო
ადამიანური მიდრეკილებაა სიცოცხლისკენ. ადამიანი
განუწყვეტლივ კი ფიქრობს სიკვდილზე, მაგრამ
მაშინაც, ქვეცნობიერად, უკვდავებას ესწრაფვის და
შემთხვევას არ გაუშვებს ხელიდან, თავისი თუნდაც
სავალალო ყოფა არ აღბეჭდოს სადმე, რამეზე, რაზეც

ხელი მიუწვდება, ქაღალდის ნაგლეჯი იქნება თუ ფეხსადგილის კედელი. მაგრამ გინდაც დანაშაული იყოს ესეც, სად გაგონილა, მშობლების დახოცვას აპირებდე (რაც არ უნდა უვარგისი მშობლები იყვნენ ისინი) და თან ადამიანურ სითბოს მოითხოვდე სხვებისგან?! მართლაც დაწყებულა მეორედ მოსვლა და ეგ არის! აი, ასეთ სისულელეებს მიედ-მოედებოდა და თვითონვე ეცინებოდა საკუთარ თავზე, საკუთარ უმწეობაზე, საკუთარ თავაზიანობაზე, ბოლოს და ბოლოს. ის კი, სტუმარი, ჯერ ისევ მოღუშული (სამყაროზე გამწყრალი) იჯდა სავარძელში, მაგრამ უკვე თვითონაც აშკარად ეჩოთირებოდა "ნიღაბი" და ერთი სული ჰქონდა, როდის "მოიხსნიდა", როდის გამოაჩენდა ნამდვილ სახეს, ანუ, როდის გაუშინაურდებოდა საბოლოოდ ყველაფრის მომთმენ მასპინძელს. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, ქალი ხელისგულზე დაისვი, თავზე თვითონ დაგაჯდებაო. მაგრამ არა მარტო მოსაწყენია მასთან საუბარი, არამედ შემაწუხებელიც, როგორც უნიჭო ილუზიონისტის გაწამაწია, ილუზიონისტისა, რომლის ერთადერთი მიზანიც შენი მოტყუებაა, რასაც თავად ვერ ახერხებს (უნიჭობის გამო), მაგრამ იძულებულს კი გხდის (სითავხედით, მოურიდებლობით), თვითონვე მოიტყუო თავი, ანუ, იჯდე და უყურო, რადგან ადგომა და წასვლა გერიდება, ოღონდ იმიტომ კი არა, უზრდელობად რომ ჩამოგერთმევა, უბრალოდ, გეცოდება შენი მოტყუების მსურველი, უფრო მეტიც, თავს დამნაშავედ გრძნობ იმის წინაშე, ცდილობ განაზოგადო, რაც იმისთვის პირადულია, რაკი ისიც რიგითი მსხვერპლია და თავი რევოლუციონერი ჰგონია - მშობლების მოკვლას აპირებს - ანუ "ძველს" უპირისპირდება "ახალი", უუძველესი მეთოდით. შენ კი

ერთადერთი სურვილი გამოძრავებს უკვე - როგორმე გააგებინო, ის რომ არა ხარ, ვისაც ეძებს, ვინც იმას სჭირდება. ჯერ ცხოვრება წინა აქვს, დღეს თუ არა, ხვალ იმასაც გაუმართლებს, ღვთის შეწევნით. ბოლოს და ბოლოს, მისი ტოლი ბიჭები ქალის ძებნაში ათენ-აღამებენ (ყოველ შემთხვევაში, უნდა ათენ-აღამებდნენ) და რა ღმერთი გაუწყრებათ... მაგრამ არც გაცლის სიტყვის დამთავრებას, შენზე უკეთ იცნობს იმ ბიჭებს, დანახვაც აღარ უნდა, თავი ახდილი აქვს იმათი სიბრიყვით. ფიჰ! - იმრიზება საჭმელშეზიზღებული ბავშვივით და თან ნერვიულად იცინის, უფრო უხერხულობის ბოლო მიჯნის დასაძლევად, ვიდრე სათქმელის შესარბილებლად - ფიჰ, ვიდეოს თაობა, ფიჰ, დედიკოების შვილიკოები, ფიჰ, ხელით გაკეთებულები, ხელოვნური რძით გაზრდილები. იცით, დედიკომ ძუძუ არ აჭამა. მკერდი რომ არ დაუშნოვებოდა. სამანტა ფოქსი მყავდეს ვითომ. სხვებს ეძახიან და თვითონ არიან გოიმები. ჩაჩრიან შვილს პირში იტალიურ საწოვარას, ჩააგდებენ გერმანულ საჩოჩიალოში და შეატოვებენ იაპონურ ტელევიზორს. ცემი ციკვარული. ცემი ციკვარული. თვითონ კი, ფეხი ფეხზე გადადებულნი, თავისნაირ გოიმებთან ერთად, ყავით ითუთქავენ პირს და "მარლბოროთი" იხრჩობიან. ვტყუი? ასე არ არის? ერთს რომ ხედავთ, მეორეც უნდა დაინახოთ. თქვენ ხომ მწერალი ხართ?! თქვენ სხვაზე მეტი მოგეთხოვებათ - გახსენებს შენს დანიშნულებას, მოკავშირედ გიხდის, გიბევებს მომავლისთვის, ვინძლო მართლა მიეცეს ჯავრის ამოყრის საშუალება - მშობლებს რას ერჩიო... როგორ თუ რას ვერჩი?! ძროხის ფუნას ვერ შეელივნენ, დახავსებულ ღობე-ყორეს, გაბერწებულ ვენახსა და ხეხილს... უხ მე იმათი! - თვალები ისე უბრწყინავს, აშკარად შემსრულებელია

ქადილისა. ყოველ შემთხვევაში, შენ უკვე დაგარწმუნა, ქუჩურად რომ ვთქვათ, "აგიყვანა" და დაბნეული, დამფრთხალი ფიქრობ, როგორ, რანაირად გაუნელო წლების მანძილზე მეთოდურად ჩანერგილი სიძულვილი საკუთარი სისხლისა და ხორცისა. შენს წინ თანამედროვე ელექტრას ქართული სახეობა ზის, იმპერიის იდეოლოგიურ ქურაში გამომწვარი, და მშობლებს ვინ ჩივის, არც და-ძმას დაინდობს, ვითომ სამართლიანობისა და სიყვარულის სახელით. არათუ მშობლებს, და-ძმასაც არ აპატიებს თავის სოფლელობას. მშობლების გულისთვის და-ძმას დახოცავს, და-ძმის გულისთვის - მშობლებს. "მე მომკალიო - გულწრფელად უთხრა აველუმმა - თუ კი მე სხვებზე მეტი მომეთხოვებაო - თვითონაც შეახსენა თავისი დანიშნულება - ... და შვებას თუ ვერ იგრძნობ, მერე დამაკალი ზედ მშობლებიც და და-ძმაცო" - გაუცინა შემრიგებლურად, ოღონდ, მღელვარებისგან ყბამოქცეულმა და თვალებაწრიალებულმა. თითქოს ერთმანეთს კი არ ცდიდნენ, ერთმანეთის ამოცნობას კი არ ცდილობდნენ, ერთობოდნენ, ხუმრობდნენ, იხანგრძლივებდნენ სასიამოვნო შეხვედრას. ისიც მაშინვე აჰყვა "ხუმრობაში". კიდევ უფრო გაუბრწყინდა თვალები, თუმცა, ისევ დაძაბული იჯდა სავარძელში, ისევ სავარძლის სახელურებს ჩაფრენილი დაძაბულობისგან გადათეთრებული თითებით, თითქოს ძალით უპირებდნენ სავარძლიდან აყენებას - ეგ დროც მოვა, პატივცემულო მწერალოო - შესცინა იმანაც წარბის გაუხსნელად - თქვენც მოგეკითხებათ პასუხი, თუნდაც ჩემი გაწბილებისთვისო - და მერე ისევ უბოდიშოდ გაიმეორა უკვე ბევრჯერ თქმული: "თქვენ ხომ არ იცით, როგორ გვჭირდება თქვენი თანადგომაო", და "აღარ შეიძლება ასე ცხოვრებაო" და "ძილშიც სულ

იმას ველოდები, როდის დამტუქსავს ვიღაცაო" და "ვისი რა საქმეა, მე როგორ გავივლი ქუჩაშიო" და "ის ურჩევნიათ, თავს მიხედონო" და "დუსტით გაბრუებულ ტარაკანებივით რომ დაბორიალობენო" და "ირგვლივ ისეთი სიცარიელეა, ყმუილი მოგინდება ძაღლივითო" და სხვა ათასი ამგვარი მაღალფარდოვანი, პოეტური ბრალდება გადმოაფრქვია თავზე ენაჩავარდნილ აველუმს, რომელსაც გინდაც ეთქვა, მაინც ვერ გააგებინებდა, არაფერს რომ არ ამბობდა ახალს, ისიც ძველს ახლად ასაღებდა მხოლოდ, რადგან ყველანი ასე ვართ, ყველა ჩვენგანი რახანია ძაღლივით ყმუის თავის საკუთარ "სიცარიელეში". ადამიანი ხომ იმ სიცარიელის განუყოფელი ნაწილია, რომლითაც გარემოცულია გაჩენის დღიდან, ანუ, თავადაც სიცარიელეა, ყველაფრის გამტარებელი - არა მარტო წყლისა და საკვებისა, არამედ სინათლისაც, სიბნელისაც, სიცხისაც, სიცივისაც, თოვლისაც, ქარისაც, დანისაც, ტყვიისაც, სიმხეცისაც, მატარებლისაც, თვითმფრინავისაც, ავტობუსისაც, ტროლეიბუსისაც, მეტროსიც, ყველა მარკის ავტომანქანისაც, ჩვეულებრივი გამვლელებისაც, რენტგენისაც, ლაზერისაც, დენისაც, ნებისმიერი გამოსხივებისაც, ნებისმიერი იზმისაც, მიცინისაც, ციკლინისაც... მოკლედ, ყველაფრისა, რითაც სიცარიელის, ანუ აბელის საფლავის ამოვსებას ვცდილობთ აბელის მკვლელობიდან მოყოლებული, მაგრამ ამაოდ, რადგან სიცარიელე ყველაფერს იტევს, ითავისებს, ანდა გაცილებით მეტია, ვიდრე ჩვენ ვაწარმოებთ, მოგვყავს, ვქმნით, ვაშენებთ, ვაკოწიწებთ...

მაგრამ ის უცებ წამოდგა სავარძლიდან, მოულოდნელად, შუბლზე აკოცა აველუმს, როგორც უფროსმა უმცროსს, პედაგოგმა - მოწაფეს, და კარისკენ წავიდა (მადლობა ღმერთს!). დამცინავი ღიმილი ჯერ ისევ დასთამაშებდა ტუჩებზე და ბეჭებში განგებ იხრებოდა, უფრო უშნო გამოვჩნდე, ვიდრე სინამდვილეში ვარო. მხარზე კი ჯინსის გაძენძილი ნაჭრიდან შეკერილი ჩანთა ეკიდა, ღვთის გლახასავით.

მაგრამ მაინც ძნელი დასაჯერებელია, კაცობრიობის პანაშვიდს რომ ესწრები. შეიძლება, ენა წინ გვისწრებდეს, ცოტას ვაზვიადებდეთ კიდეც, მაგრამ აშკარაა და მონდომებული კაცი შეუიარაღებული თვალითაც დაინახავს, მთელი სამყარო (უკეთესიცა და უარესიც, თავისუფალიცა და დამონებულიც) ერთი საფეხურით რომ დადაბლდა უცებ, ჩვენს თვალწინ, ერთბაშად (ერთბაშად?) და რაღაცნაირად დაგლახაკდა იმ სახელგანთქმულ პარიზელ კლოშართა შთამომავალივით, მაინცდამაინც, აველუმი რომ გადაეყარა შარვალჩახდილს, თავის სიცოცხლეში საერთოდ პირველად გასული საზღვარგარეთ, თანაც სულ რამდენიმე დღით და ორი მუდმივი მეთვალყურის თანხლებით, რომელთა შიშითაც (შეიძლება - ხათრითაც) უმალ ცნობისმოყვარე ტურისტად ცდილობდა თავის წარმოჩენას, ვიდრე უსასრულო მოლოდინით გაწამებულ და, ბოლოს და ბოლოს, საწადელაღსრულებულ მიჯნურად.

პარიზის ერთ მყუდრო, თბილისურად ჩაწყნარებულ ქუჩაზე, თანამედროვე კლოშარს საქვეყნოდ გამოემზეურებინა თავისი საოხრო, პორნოფილმების გმირივით, და მშვიდად ელოდებოდა მოწყალებას, გეგონებოდათ, ასე შარვალჩახდილს, ესე იგი, საერთოდ წამხდარსა და მათხოვრულ ღირსებაზეც ხელჩაქნეულს, უფრო თანაუგრძნობდნენ თანამოქალაქენი. მაგრამ მე თუ მკითხავთ, თავად ადამიანობა მობეზრდა ადამიანს, არ გამოადგა, ვერ მოიხმარა ბატონმა ადამმა, როგორც თავად უნდოდა, და სანაგვეზე მოისროლა ძველი ქუდივით, თითქოს პითეკანტროპად თუ იქცევა ისევ, უფრო იოლად გაიტანს თავს ჩვენს გამხეცებულ წუთისოფელში, ღვთის ძის ნაყოფიერი ხორცშესხმიდან ათასცხრაასოთხმოცდაცხრა წლის თავზე.

მოკლედ, ყველა თავისას ჭედავს კიდობანს, ანუ, ყველა თავისებურად ცდილობს გადარჩენას, ანუ, ყველა ერთნაირად ტყუის, რადგან ყველას ერთნაირად რცხვენია სიმართლის თქმისა. სიმართლე კი ნამდვილად უფრო სამარცხვინოა, ვიდრე საზარელი, გინდაც აუტანელი. როგორც თავად გაზეთები იუწყებიან (მიკერძოებაში რომ არ ჩამომერთვას, ისევ ოფიციალურ ცნობებს მოვიშველიებ მხოლოდ), ნებისმიერ ქუჩაზე, ღამის განმავლობაში, შეიძლება, რამდენიმე ადგილას ერთდროულად გაჩნდეს ერთი და იგივე ორმო და ერთი და იგივე გამვლელი ყველა მათგანში ჩავარდეს ერთსა და იმავე დროს. მაგრამ, რაც უფრო სავალალოა, მშველელი თუ გამოუჩნდა, შეიძლება, არცერთ ორმოში აღარ აღმოჩნდეს, უფრო სწორად, გაბეზრებულმა დაზარალებულმა აღარ ინდომოს ორმოდან ამოსვლა, ანუ, ისევ გადამრჩენელთა იმედზე ყოფნა განუწყვეტლივ, გაუთავებლად.

გადარჩენა, საერთოდ, ძალიან ბუნდოვანი, პირობითი ცნებაა და, რამდენადაც გამომიცდია, ვერასოდეს ვერ იტყვი დაბეჯითებით, შენ შველი თუ შენ გშველიან; ვინ გადარჩა საბოლოო ჯამში და ვინ ვერ გადარჩა. ასე რომ, მხოლოდ ღმერთმა უნდა გადაწყვიტოს, საჭიროა თუ არა ვინმეს გადარჩენა და თუ საჭიროა, ისიც მიგვანიშნოს, რა გზითა და რანაირად. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, გადასარჩენმა თავად უნდა აღიაროს, ვიღუპებიო, თავად უნდა გითხრას, გთხოვოს, მიშველეო, თორემ, ადვილი შესაძლებელია, ჩვენი კეთილშობილური განზრახვა სავალალოდ დამთავრდეს და არა მარტო გადასარჩენისთვის, არამედ გადამრჩენლისთვისაც. ვინმეს გადარჩენა იმავე დროს თავის გადარჩენაცაა. უფრო მეტიც, ჯერ თავის გადარჩენაა და მერე ვინმესი. მაგრამ ღმერთი თუ არ შეგეწია, შეიძლება, კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩააგდო ის "ვინმე", სამუდამოდ დაღუპო, როცა უშენოდ იქნებ მართლა გადარჩენილიყო. მაგრამ, ამავე დროს, თუ არ სცადე მაინც იმის გადარჩენა, სულერთია, შეგიძლია თუ არ შეგიძლია, გათავებულია შენი საქმე. აი, ასეთ სატანჯველში აგდებს ბედისწერა გადამრჩენელს და ასეთ სატანჯველში იყო ჩავარდნილი აველუმიც. ოღონდ, არა მარტო სონიასთან დაკავშირებით, არამედ საერთოდ. რაც შეეხება სონიას, თუნდაც მარტო იმიტომ ვერ გადაარჩენდა აველუმი, სწორედ აველუმის გავლენიდან, აველუმის მფარველობიდან თავის დაღწევას რომ თვლიდა ის გადარჩენად და, თავგზააბნეული, ბრმად, უნებლიეთ, აბორტზე დიდ ცოდვას სჩადიოდა - სიყვარულს იფხეკდა გულიდან - ვითომ ცხოვრების კარნახით, რადგან დედაკაცის ტანი უგრძნობდა, სასიკეთო და სასარგებლო არაფერი აღმოცენდებოდა იქიდან მისი მომავალი ოჯახისთვის.

სიყვარულის დაუწერელი კანონით, ვინც გარბის, არა მარტო დამნაშავეა, არამედ წაგებულიც. თავის დროზე, ფრანსუაზაც გაიქცა ასე, მაგრამ აქამდე ვერ უპატიებია თავისთვის (სონიასი არ იყოს, იმანაც ვერ შებედა მელანიას გვირგვინს, არ ჩათვალა თავი მელანიას ტოლად და გაცლა ამჯობინა), აქამდე იტანჯება უაველუმოდ, აქამდე წყდება გზისკენ თვალი აველუმის მოლოდინში, იმიტომ რომ... იმიტომ რომ, აველუმი შემთხვევა კი არ არის (როგორც, ვთქვათ, ქალბატონ აისოდორას ჰგონია), არამედ - ბედია! გველი ტყავს იცვლის, ქალი - კაბას, მაგრამ ბედს ვერცერთი ვერ გამოიცვლის. გარდა ამისა, აველუმს მხოლოდ შეყვარება შეუძლია ქალისა, რაც იგივე ქალის განთავისუფლებაა, მაგრამ ქალი (ნებისმიერი, ანუ, ვისაც აველუმის თავს არგუნებს ღმერთი ბედად), ამას მაშინვე ვერ ხვდება, ანდა, თუ ხვდება, ეს აღიზიანებს ყველაზე ძალიან, იმ ყოვლად გასაგები მიზეზის გამო, თავისი მიწიერი ყოფის მოსაწესრიგებლად რომ არის მოწოდებული ბუნებისგან - ცაში გაჭიმულ წეროებს საკუთარი კოჭლი ბატი ურჩევნია - ამიტომ, დიდხანს ვერ გრძნობს, ღმერთმა რომ გამოარჩია, ქმრის კომპანიონი კი არ არის, სხვა ქალებივით, ბედის მსახურია, რჩეულთა, იშვიათთა, იღბლიანთა მსგავსად. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ჯერ ამდენს ვერ ხვდება და აყვავებული ალუბლის რტოზე დაპეპლილი ჩიტივით, გაალმასებული, გაღონიერებული, გამამაცებული იშენებს ბუდეს. ხოლო, როცა ბუდეს აიშენებს, კვერცხებით ამოავსებს და ზემოდან გადაეფოფრება, მერეღა იწყებს ფიქრს (დრო მაინც ბევრი აქვს - რაკი დადო, უნდა მიხედოს კიდეც კვერცხებს, ვეღარ მიატოვებს უმეთვალყურეოდ, ასეთია მისი ბუნება), მერეღა ხვდება, მერეღა ერკვევა

რაღაც-რაღაცებში. ამ თვალსაზისით, ფრანსუაზა, რასაკვირველია, სონიაზე შორსმჭვრეტელი, სონიაზე ღირსეულიც აღმოჩნდა. აველუმი კი მიატოვა, მაგრამ ერთი დღეც არ უცხოვრია უაველუმოდ. მისი სისხლი და ხორცი წაიყოლა თან, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით - კონტრაბანდასავით გადააპარა აველუმის გენი სახელმწიფო საზღვარზე, თავის საქმეში გამობრძმედილი ათასობით ანტიპო და ინდიგო გააცურა, რადგან მისთვის აბსტრაქტული შვილის გაჩენა კი არ იყო მთავარი, დავუშვათ, სიბერის ნუგეშად, არამედ - კონკრეტულად, მაინცდამაინც, აველუმის შვილისა, სულ რომ თვალწინ ჰყოლოდა აველუმი, ვერ მოეხერხებინა მისი დავიწყება და ხან წამიერი, წარმავალი სიძულვილით ეგინებინა, ხან კი მარადიული, გაუნელებელი სიყვარულით მიალერსებოდა შორიდან. საფრანგეთში დაბრუნების დრომ რომ მოაწია, უკვე კატეგორიულად მოითხოვდა აველუმისგან შვილს, როგორც მევახშე - ვალს. ქალური ეშმაკობით კი არ ტეხდა, რა აზრისა იქნებოდა, კიდევ ერთი შვილი რომ გაეჩინა ვინმეს მისთვის, არამედ გარკვევით და ნათლად ავალდებულებდა, ყველაფერი ეღონა საამისოდ. ის კი არა, ემუქრებოდა კიდეც, ერთი ალჟირელი ნათესავი მყავს და იმას მოვაკვლევინებ შენს თავს, თუ ვერ დამაორსულებო. რასაკვირველია, არც დაცინვას ერიდებოდა, მოთმინებიდან რომ გამოეყვანა, "აემოქმედებინა", "სიფხზლის გრძნობა" დაეჩლუნგებინა თავისი შლეგი მიჯნურისთვის. ან შენი კანონიერი შვილიც არ არის კანონიერი შვილი, ანდა დამთავრებულა შენი მამლაყინწობაო - იცინოდა ყალბად, დოინჯშემოყრილი. მაგრამ ბოლოს მაინც მოიპოვა, რაც ეკუთვნოდა და რაც გულით ეწადა, რაც იგივე "გზა

ხსნისა" იყო მისთვის, რათა უაველუმოდ დარჩენილს, არა მარტო თავი, სიყვარულიც გადაერჩინა და, ომში დაღუპული მეუღლის საბრალო პენსიასავით, მთელი სიცოცხლე გამოეზოგა თავისთვისაც და შვილისთვისაც. არა მარტო პურითა, იმ სიყვარულითაც გაეზარდა თავისი ნაშიერი, ორი დიდი სახელმწიფოს ლამის განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ ჩასახული (მაინცდამაინც, იმ დროს მიუგზავნიდნენ ხოლმე ხან ლიფტიორს - ვიღაცამ გიკითხათ, მაგრამ არ თქვა, ვინ იყოო; ხან სანტექნიკოსს - აბა, მაჩვენეთ, სად მალავთ... ჰმ, ჰმ... სად წვეთავს წყალიო; ხან სახლმმართველს - იმედია, ჩაუწერლად არავინ ცხოვრობს თქვენთანო; ხან უბნის რწმუნებულს - ვალდებული ვარ გაგაფრთხილოთ, ძალიან გახშირდა შემთხვევები უცხოელთა გაძარცვისა და... ჰმ, ჰმ... უარესისაცო) და, რაც მთავარია, მათი, აველუმისა და ფრანსუაზას სითამამის, სიჯიუტის, ბედთან და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს აპარატის სისასტიკესთან, სახელმწიფო საზღვრების შეუვალობასთან შეურიგებლობის სიმბოლო. ასე რომ, აველუმისთვის ძნელი იყო უფრანსუაზოდ დარჩენა მავთულხლართების აქეთ და, რასაკვირველია, სონია რომ არ გამოჩენილიყო, კიდევ უფრო გაუჭირდებოდა. მართალია, სონიამ, ფრანსუაზას მსგავსად, გუნებაშიც ვერ შებედა მელანიას გვირგვინს, მაგრამ ფრანსუაზას ადგილი არა მარტო სიამოვნებით, არამედ გარკვეული უფლებამოსილებითაც დაიკავა. თუმცა, რასაც ათი წლის განმავლობაში ამაყად იფერებდა, ერთ დღეში უარყო, იმიტომ კი არა, შური რომ ეძია აველუმზე, თუნდაც დაგვიანებით, იმიტომ რომ ქალია, ხოლო ქართული ანდაზა ამბობს, ქალი თმა გრძელია და ჭკუა მოკლეო (რაც არ უნდა მოკლედ ჰქონდეს თმა

შეჭრილი). მაგრამ მისი მხრიდან უფრო დიდი უსინდისობა ის არის, ვითომ სულგრძელად რომ დაუბრუნა ფრანსუაზას ოდესღაც დიდი მღელვარებითა და განცდებით წართმეული ადგილი. "შენ ჩემს გარდა ფრანსუაზაც გყავს". ახალი ამბავი! ფრანსუაზა სონიამდეც ჰყავდა აველუმს, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია იმავე სონიასთვის, გაეზიარებინა მისი ბედი. უფრო მეტიც, თავად სონიას ჰყავდა ფრანსუაზა აველუმზე ადრე. იქამდეც "იცნობდა", ვიდრე აველუმს გადაეყრებოდა. ჯერ კიდევ სკოლაში, უფრო ზუსტად კი, სკოლის საპირფარეშოში ისმენდა ლეგენდებს ვიღაც ფრანგი გოგოს თავგანწირულ სიყვარულზე, თანამედროვე იზოლდას წარმოუდგენელ ერთგულებაზე, სიმტკიცეზე, სიჯიუტეზე - მარტო გრძნობების ამარა რომ ერკინებოდა, თურმე, უზარმაზარ, საზარელ სახელმწიფოს, რათა ათასში ერთხელ მაინც მოეხერხებინა თავის სიყვარულთან შეხვედრა სიყვარულისთვის ყველაზე მოუწყობელ ქვეყანაში. მაგრამ სონია იმას ვერ მიხვდა, ფრანსუაზადან რომ ამოვიდა თვითონაც, როგორც თავის დროზე ფრანსუაზა ამოვიდა მელანიადან. ჩინური თოჯინების მსგავსად, ისინიც ერთმანეთში არსებობენ და ერთმანეთიდან ამოდიან მხოლოდ. ამას ვერ მიხვდა სონია, ანდა გვიან მიხვდა და ათი წლის მერე იუკადრისა ის, რაზედაც სკოლის საპირფარეშოში პირდაღებული, გულაბაგუნებული და ყელში ცრემლმოწოლილი ოცნებობდა. სიყვარულის იმპერიის შემადგენლობაში ყოფნას, ათი წლის მერე, საკუთარი, დამოუკიდებელი ოჯახის შექმნა ამჯობინა და, უპირველეს ყოვლისა, ფრანსუაზას გამო, რადგან ფრანსუაზაა მისი მეტოქე და არა მელანია. მელანიას ადგილი სონიასთვისაც ისეთივე მიუღწეველი იყო

ყოველთვის, როგორც ფრანსუაზასთვის და ამაზე არც ერთი არ ფიქრობდა, ანდა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ორივენი უსიტყვოდ აღიარებდნენ, ყველაზე მეტად სწორედ მელანიას რომ ეკუთვნოდა ის ადგილი. ხოლო, მელანია, თავის მხრივ, არა მარტო ადასტურებდა დანარჩენი ორის სტატუსს, არამედ აუცილებლადაც მიაჩნდა საერთოდ სიყვარულის იმპერიაში ამ სტატუსის არსებობა. მელანიასთვის კლასიკური სამკუთხედი იგივე ცხოვრება იყო, ანუ ჩვეულებრივი ადამიანური ურთიერთობების მარტივი მოდელი - თვითონ, ქმარი და ქმრის საყვარელი - და არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მისთვის, "ქმრის საყვარელი" ერთს უდრიდა თუ ათასს. ამას სონია და ფრანსუაზა ანიჭებდნენ გადამეტებულ მნიშვნელობას - თუ ცოლი არა ვარ, დე საყვარელი მაინც ერთადერთი ვიყოო, დე ამაში მაინც ნუ ჩამეზიარებიანო - და აქედან გამომდინარე, სონია აველუმს კი არა, ფრანსუაზას გაექცა, რადგან, ბოლოს და ბოლოს, მიხვდა, აღიარა, ვერ მოერეოდა, ვერ აჯობებდა ვერც მოთმინებით, ვერც ღირსებით. თმაც დამარცხების აღსანიშნავად შეიჭრა. დამარცხებულად კი საბოლოოდ მაშინ ჩათვალა თავი, როცა რკინის სახელმწიფომ ოდნავ მოადუნა თავისი მარწუხები და შესაძლებლად მიიჩნია აველუმის გამგზავრება ფრანსუაზას ქვეყანაში. ამის მერე სონიაც ვეღარაფრით შეაკავებდა აველუმს და ალბათ პირველად მაშინ დაიწყო ფიქრიც გათხოვებაზე, რაც თავისთავად ყველაზე აშკარა გამოხატულებაა მისი დამარცხებისა. ასე რომ, ფრანსუაზას ქვეყნიდან დაბრუნებულ აველუმს უკვე თმაშეჭრილი დახვდა აეროპორტში. სხვა მხრივ არაფერზე შეტყობია, გასაქცევად რომ იყო გამზადებული და მხოლოდ შესაფერ შემთხვევას ელოდებოდა. მაგრამ როგორც კი მარტო დარჩა სასტუმროს ნომერში, უფრო სწორად,

როგორც კი აველუმი აბაზანაში შევიდა შხაპის გადასავლებად, მაშინვე ფეთიანივით წამოვარდა საწოლიდან და, დედიშობილამ, მაგიდაზე დაყრილ პარიზულ სურათებს ფაცაფუცით დაუწყო თვალიერება, გეგონებოდათ, მოწყურებული ძაღლი სვლეპს წვიმის დანატოვარ გუბესო. ასე რომ, სონია უფრო ადრეც გამოეყოფოდა იმპერიას, "ისიც" უფრო ადრე თუ გამოჩნდებოდა ჰორიზონტზე. მაგრამ რაკი "ის" იგვიანებდა, სონიაც იძულებული იყო ფეხი აეთრია, ანუ ძაღლური სულსწრაფობით, ფაცაფუცით, გულისხეთქვით ესვლიპა, ეთვალიერებინა, შთაენთქა ყველაფერი, რაც აველუმისა და ფრანსუაზას ერთად ყოფნას და, აქედან გამომდინარე, მის დამარცხებას ადასტურებდა, და მხოლოდ მერეღა, უკვე "იმის" გამოჩენის შემდეგ ეთქვა აველუმისთვის: შენ ჩემს გარდა ფრანსუაზაც გყავსო - ამ ბნელსა და მრავალაზროვან ფრაზაში ჩაეტია მთელი თავისი ქალური სიბრძნეც და სივერაგეც, გულისწყრომაცა და სინანულიც, ვერასოდეს რომ ვერ დაედგინა აველუმს, ამშვიდებდნენ თუ დასცინოდნენ, მეტოქის უპირატესობას აღიარებდნენ თუ ნიშნს უგებდნენ იმავე მეტოქეს, - შენ იკითხე, თორემ ჩვენ, ასე თუ ისე, უკვე ვუშველეთ თავსო. არადა, ფრანსუაზაც გააყოლა ხელს, რადგან ისინი არა მარტო ამოდიან ერთმანეთიდან, ბრუნდებიან კიდეც ერთმანეთში. ნებისმიერი მათგანი ყველა დანარჩენის განსახიერებაცაა და მხოლოდ ზომით თუ განსხვავდება წინამორბედისგან. ყოველ შემთხვევაში, აველუმისთვის ასეა და თუ არ იქნება სონია, არ იქნება ფრანსუაზა, რასაკვირველია, არც მელანია, და აველუმის ორმოცწლიანი თავგანწირული ბრძოლა სიყვარულის დროშითა და მახვილით, სიყვარულის

იმპერიის შესაქმნელად, სრული კატასტროფით დამთავრდება - სამხედრო ბოროტმოქმედივით, ანდა, თუ გნებავთ, ფრანგი უკვდავივით, ერთადგილიან საკანში გამოიკეტება სამუდამოდ, სიკვდილამდეც და სიკვდილის მერეც. განა პარიზის პანთეონის ყველა აკლდამა, რკინის ცხაურიანი კარითა და უხეში საკეტით, საკანს უფრო არ ჰგავს, ვიდრე სამარხს? იმ საკნებში კი მთელი სიკვდილის მანძილზე, ანუ, განუსაზღვრელი ვადით იხდიან სასჯელს, იგივე სიმარტოვეს, სიყვარულის საქვეყნოდ განთქმული რაინდები. მართალია, ყველა ადამიანი სიმარტოვისთვის ჩნდება საერთოდ, დედის მუცელშივე ეჩვევა სიმარტოვეს და, ამდენად სიმარტოვე მისთვის თითქოს ბუნებრივი მდგომარეობაც კია, მაგრამ ვიდრე ამას მიხვდებოდეს, სწორედ სიმარტოვისგან თავის დაღწევას ცდილობს ყველანაირად, უპირველეს ყოვლისა კი, სიყვარულის მეშვეობით, რაც გარკვეული დროის მანძილზე გამარჯვების ილუზიასაც კი უქმნის, ოღონდ მერე კიდევ უფრო ძნელი, კიდევ უფრო მტკივნეული ხდება ბუნებრივ მდგომარეობაში დაბრუნება, ანუ, სიყვარულის ანტიპოდთან შეგუება, ანუ, სასჯელის მოხდა.

აველუმის მთელი დანაშაულიც, ვიმეორებ, სიყვარულია, მხოლოდ და მხოლოდ, სიყვარული და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ერთნაირი ძალით უყვარდა რამდენიმე ქალი, თუ ერთი და იგივე ქალი უყვარდა რამდენჯერმე, სხვადასხვანაირად. მაგრამ, როგორც სჩანს, ესეც ბოროტმოქმედება ყოფილა. ყოველ შემთხვევაში, უნდა ვაღიაროთ, რომ ნებისმიერი სისხლის სამართლის დანაშაულივით, სიყვარულიც აბნევს, აფორიაქებს, სიმშვიდეს უფრთხობს არა მარტო ცალკეულ ადამიანებს, არამედ მთელ საზოგადოებას და, თქვენ წარმოიდგინეთ, სახელმწიფოებსაც კი. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, აველუმმა მაშინ დააშავა, ფეხმძიმე ფრანსუაზა რომ გაუშვა შინ. ახლაც თვალწინ მიდგას იმის გაკვირვებული თუ დაბნეული, შემცბარი თუ შემკრთალი სახე (თვითონაც არ ელოდა ალბათ, ასე თუ მოხდებოდა), ლოყებზე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა მდუღარე ცრემლი, მაგრამ მაინც გაღიმებას ცდილობდა, მაინც ბედნიერად უნდოდა მოეჩვენებინა ქვეყნისთვის თავი (მარადიული საზრუნავი ქალებისა). აეროპორტის კიბეზე რომ შემობრუნდა უკანასკნელად, ხელის დასაქნევად, ვიდრე გაუმჭვირვალე ფარდით დაგმანულ კარს უკან გაუჩინარდებოდა (მაშინ შერემეტიევოს აეროპორტი გაცილებით პატარა იყო, რადგან საზღვარგარეთ წასვლაცა და საზღვარგარეთიდან ჩამოსვლაც, იმდროინდელი თვალსაზრისით, სავსებით უჩვეულო, ლამის ანომალურ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნებოდა), პალტოს კალთა გადაეწია და მუცელი უფრო დაეტყო. "დერეფნის ბოლოს აივანზე გადით და იქიდან კიდევ დაინახავთ, ვიდრე თვითმფრინავში ჩაჯდებოდესო" - უთხრა აველუმს აეროპორტის თანამშრომელმა, თავფეხიანად ლურჯად

გამოწყობილმა გოგომ. ეტყობა, მის სახეზე ამოიკითხა, რაც მის გულში ხდებოდა. "ერთხელ კიდევ დაინახავთ". ხანდახან რა ადამიანურად ლაპარაკობენ ადამიანები, რამდენი სიხარულის მონიჭება შეუძლიათ უბრალო, ჩვეულებრივი სიტყვებით, თუკი იმ სიტყვებს ძალით, განურჩევლად კი არ მოუყრიან თავს, არამედ ბუნებრივი თანამიმდევრობით დაალაგებენ ერთმანეთის გვერდით: კიდევ ერთხელ დაინახავ! მეორე წუთას აველუმი უკვე აივანზე იდგა და აეროპორტის ვრცელ მოედანს გადაჰყურებდა. ცივი, სუსხიანი ქარი სახეში სცემდა, სუნთქვას უშლიდა და ცხარე ცრემლებით ატირებდა, მაგრამ მორჩილად ითმენდა ყველაფერს, ვიდრე ისინი გამოჩნდებოდნენ - ერთი თვითმფრინავის მგზავრები - ერთი ციხიდან მეორე ციხეში გადასაყვანი პატიმრებივით რიგში ჩამდგრები, მობუზულნი, მაღლა აწეულ საყელოებში ჩაყუჟულნი, ერთმანეთის ზურგებს ამოფარებულნი, აქ, საზღვარს აქეთ გატარებული დროის განმავლობაში უცხო ელფერდაკარგულნი, უკვე თითქმის ჩვენნაირნი და საქმიანი, გაწკეპილი, ნებისმიერი გაუგებრობისთვის მარად მზად მყოფი სტიუარდესას მეთვალყურეობით მიმავალნი დათოვლილი, ვერაგულად გატრუნული თვითმფრინავისკენ. ფრანსუაზაც მათ შორის მიაბიჯებდა - დამარცხებული, გულმოკლული, ბედს შეგუებული, ერთხელ კიდევ დამორჩილებული განგების ნებას. ფრანგები მიჩვეულნი არიან მოსკოვის ასე დატოვებას, მაგრამ არც ფრანსუაზას სწყდებოდა გული მოსკოვზე და არც აველუმი გახლდათ რუსული არმიის კიდევ ერთი ქართველი გენერალი, დაუფიქრებლად რომ მომკვდარიყო მისთვის. მასაც ჯიბეში ედო ბილეთი, ოღონდ სულ სხვა თვითმფრინავზე, ერთი საათის შემდეგ მისი

თვითმფრინავიც მოწყდებოდა მოსკოვის მიწას, ოღონდ სხვა, შინაური ტუსაღებისთვის განკუთვნილ აეროპორტში და ორივენი ლამის ერთდროულად აღმოჩნდებოდნენ უკიდეგანო, უსაზღვრო, უმიჯნო, უშლაგბაუმო, უმავთულხლართო ცაში, გარკვეული დროის მანძილზე, ოღონდ, სხვადასხვა მხარეს შებრუნებულნი: ერთი პარიზისკენ, სადაც ძველებურად უყვარს და ელოდება, მეორე კი - თბილისისკენ, სადაც დატყვევებული ნადირივით შფოთავს, ბორგავს თავის ოთახში და, რაც ყველაზე შემზარავია, გრძნობს როგორი ზედმეტია აქაც, საკუთარ ჭერქვეშ. უბრალოდ, აღარ შეუძლია ისე ცხოვრება, როგორც აქამდე ცხოვრობდა. გარდაქმნის ზარმა შემოჰკრა და ისიც უნდა ჩაყურყუმალავდეს საკუთარ სულში. უფრო სწორად, აღარ შეუძლია ბოლთას სცემდეს გემბანზე (მით უფრო რომ, გემიდან მხოლოდ ის გემბანიღა დარჩა), ზურგზე ხელებდაწყობილი, როცა მარტო გემი კი არა, სამყარო იღუპება. უფლება აღარ აქვს ძველებურად ცხოვრებისა. თუმცა, როგორ უნდა იცხოვრო ძველებურად, გინდაც შეგეძლოს, როცა აღარაფერი დარჩა ირგვლივ ძველებური, თვალმა და სულმა თავისად რომ იცნოს. ამას რომ ვწერ, ქუჩაში დიდი დემონსტრაცია მიდის, მოპირდაპირე სახლის აივანზე კი დედაბრები ცეკვავენ ჭრელი ჭინჭების ფრიალ-ფრიალით. არ ვიცი, რატომ, მაგრამ საშინლად მაფრთხობს, მაგანგაშებს საერთო კალაპოტში მოქცეული ხალხის ნიაღვრის ყრუ გუგუნი და გაურკვეველი შეძახილები. ყველა საკუთარი მიზნებისკენ მიისწრაფვის, ყველა საკუთარ განზრახვას მალავს და ყველა საკუთარ კიდობანში შეკეტვას აპირებს. ახლოვდება განსაცდელი. კარგი

არაფერი მოჰყვება ამას. ასე იყო ორმოცდათექვსმეტშიც...

ასე დუღდა და გადმოდუღდა მაშინაც ქალაქი. თავაშვებული, გალაღებული მოწაფეები მოტაცებულ სახელმწიფო მანქანებს აღმა-დაღმა დააქროლებდნენ და თან გაჰყვიროდნენ: გამოდით, გამოდით, გამოდითო... არავინ გეკითხებოდა, შენც გულზე გეხატა თუ არა ბელადი. ბრბო სიყვარულსაც გავალდებულებდა. მაგრამ აველუმმა უკვე მეტი იცოდა, ვიდრე, ვთქვათ, სამი წლის წინ, როცა თანატოლებთან ერთად ისიც საპატიო ყარაულში იდგა ძაძებში ჩასმულ სურათთან, დამწყები პოეტის სიჯიუტით იჭერდა ტუჩზე კბილს, ქვითინის შესაკავებლად, და ლეკვური აღტაცებით შესცქეროდა ჩვენი დროის ყველაზე მრისხანე რექტორს, მამაშვილურად რომ გვამხნევებდა "დიდი საერთო უბედურების ჟამს" და თავად გვაძლევდა მაგალითს ვაჟკაცური გლოვისა. მაგრამ სამი წლის შემდეგ, "საუკუნის სიკვდილით" მოგვრილი შეძრწუნება, არანაკლებ შემაძრწუნებელმა გამოფხიზლებამ შეუცვალა. გადასახლებიდან დაბრუნებულმა მშობლებმა, ეტყობა, უკვე მომზადებულად ჩათვალეს სიმართლის გასაგებად, ანდა შეეშინდათ, ვაითუ უკეთესი შემთხვევა აღარ მოგვეცესო და, შეძლებისდაგვარად (ძირითადად, ერთმანეთს უშლიდნენ, ერთმანეთს აწყვეტინებდნენ სიტყვას) გაარკვიეს, ასე და ასეა საქმე და ახლა შენ იცი და შენმა ჭკუა-გონებამო. იმასაც, საბედნიეროდ, იმდენი ჭკუა-გონება კიდევ აღმოაჩნდა, სწორი არჩევანი გაეკეთებინა (რაც, სხვათა შორის, ყველამ ვერ შესძლო ცოტა მოგვიანებითაც), დავრდომილ, დასახიჩრებულ, შიშისგან დაუძლურებულ მშობლებსა და მილიონთა გულთამპყრობელს შორის. უბედური რომ ვარ, კი არ უნდა მომატყუო, ბედნიერი ხარო, უნდა გამარკვიო, რატომ ვარ უბედური. მშობლებმა გაარკვიეს, ბელადმა

კი - ვერა. ამიტომ, ის დღეები გარეთ კი იყო ისიც (რაც მთავარია, თავის ფეხმძიმე მეუღლესთან ერთად), ხან ძეგლთან იდგა, ხან მოედანზე, მაგრამ აღარ თანაუგრძნობდა თანატოლებს, აღარ ესმოდა მათი (ალბათ ოჯახს რომ იყო უკვე მოკიდებული), პირიქით, აღიზიანებდნენ კიდეც ისინი თავიანთი ბნელი ერთგულებით, უაზრო სიმამაცით, ფანატიკური სიბეცით - რუსებს თუ არ სჭირდებათ, ჩვენ ჩამოვიყვანოთ მოლოტოვი და მეფედ დავისვათო... იმაზედაც კი ბჭობდნენ, თუ სად უნდა ეკურთხებინათ მეფედ - სიონსა თუ სვეტიცხოველში.

მაგრამ ყველაფერი მოგონილია იმასთან, რაც პირადად, მარტომ განიცადა და გადაიტანა აველუმმა იმ დღეებში. გახსენებაც ჯოჯოხეთია, მაგრამ მაინც უნდა გავიხსენო, თუნდაც იმიტომ, თქვენც რომ დარწმუნდეთ, რამდენად სწორი ვიყავი, ამდენი ხანი, თავს რომ ვარიდებდი იმ ამბების გახსენებას.

მელანია, როგორც უკვე ვთქვი, ფეხმძიმედ გახლდათ, მაგრამ სულ ცოტა, დღეში ორჯერ მაინც უნდა გამოსულიყვნენ შინიდან, ორჯერ მაინც უნდა დაეხედათ, რა ხდებოდა მოედანსა თუ სანაპიროზე. აველუმი და მელანია საერთოდ შეჩვეულნი იყვნენ ქუჩა-ქუჩა ხეტიალს, მაგრამ ახლა უკვე ცოლ-ქმარი ერქვათ და მეტი თავდაჭერილობა მოეთხოვებოდათ. თანაც, ფეხმძიმე ქალს სიფრთხილეც მეტი მართებს, დაწყნარებული იქნება ქვეყანა თუ არეული. "რა უნდა ფეხმძიმე ქალს მიტინგზეო" - სწუხდა აველუმის დედაც, მაგრამ მათ ზურგს უკან, მათ რომ არ გაეგოთ და არ სწყენოდათ. მაგრამ ისინი, თავიანთი ჭკუა-გონებითა და გუნება-განწყობილებით, ჯერ კიდევ მომთაბარენი იყვნენ, უსახლკარონი, და ერთ ადგილზე, გინდაც მართლა მათი საკუთრება ყოფილიყო ის ადგილი, ფეხის მოკიდება უჭირდათ. არც ისაა გამორიცხული, სწორედ ფეხმძიმობის გამო რომ ვერ ჩერდებოდა მელანია შინ, ერთი სული ჰქონდა, თვალნათლივ დაენახვებინა ყველასთვის, უცნობისთვისაც და ნაცნობისთვისაც, თუ როგორი ბრწყინვალე გამარჯვებით დაეგვირგვინებინა საკმაოდ გაჭიანურებული "ომი", რაც ფაქტიურად, ერთი დაუსრულებელი პაემანი იყო, ცის ქვეშ, ნებისმიერ ამინდში, რასაკვირველია, დღისით ყველაზე მყუდრო და ღამით ყველაზე ჩაბნელებულ ქუჩაზე; ერთი და იგივე ფილმი იყო, თავისთავად ცხადია, ნაალაფარი, სიყვარულზე გადაღებული და აუცილებლად მარიკა როკის, დინა დურბინის ან ჯანეტ მაკდონალდის მონაწილეობით, ოღონდ, უთვალავჯერ და ნაწყვეტ-ნაწყვეტ ნანახი ქალაქის სხვადასხვა კინოთეატრში; ერთი საერთო ჩაუწყნარებელი შიმშილი იყო, პირველ რიგში, ერთმანეთისა და მერე ყველაფრისა, რაც მათ

გარშემო არსებობდა ან არ არსებობდა საერთოდ, რასაც იმ წუთას განიცდიდნენ ანდა მომავალში უნდა განეცადათ, ჯერჯერობით, მხოლოდ მათ წარმოდგენაში არსებული, მაგრამ ისევე მძაფრად სასურველი, როგორც ქუჩის ნათურის შუქზე გადათვლილი ხურდა ფულით ნაყიდი ცხელი პური და ნივრიანი ძეხვი. გარდა ამისა, მელანიაც გრძნობდა ალბათ, მუცელი რომ უხდებოდა (რასაც ვერ ვიტყვით ფრანსუაზაზე - ქუჩაში ვერ გავსულვარ, გომბეშოს დავემსგავსეო - წერდა პარიზიდან აველუმს) და ესეც სულ გარეთ ყოფნას ავალდებულებდა. ჩქარი სიარული იცოდა, წელგამართული, თავაღერილი. თითქოს სადღაც მიეჩქარებაო. არ შეიძლებოდა, არ შეგემჩნიათ. სხვათაშორის, ერთხელ, ტრამვაიდან მოჰკრა თვალი აველუმმა და გული გადაუქანდა, ისეთი სანახავი იყო, შთამბეჭდავი, მნიშვნელოვანი, მდიდრული, ვთქვათ, ყურძნის ლამაზი, სავსე, სრულყოფილი მტევანივით კი არა, მიწაზე უხვად დახვავებული ყურძენივით. ღირსეულად ეჭირა თავი, შეშნოვებული ჰქონდა თავისი მდგომარეობა. გეგონებოდათ, საქმეზე კი არ გამოსულა შინიდან, ბისზე გამოუხმიათ კულისებიდანო. აველუმი კი, თანაკურსელ გოგოსთან ერთად, ტრამვაის უკანა ბაქანზე იდგა, სარკმლის მტვრიან მინას ცხვირმიჭყლეტილი (ტრამვაიში თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა), მგონი ცოტა მოწონდა კიდეც თავისი თანამგზავრი, მაგრამ მაშინღა გაახსენდა მისი არსებობა, სადღაც, ყურთან რომ ამოიკნავლა იმან, სევდიან-შურიანად: რა ლამაზი ცოლი გყავსო. აველუმის ლამაზ ცოლს კი ელვარე ყვითელი ნაჭრის თხელი კაბა-კოსტუმი ეცვა, ფეხმძიმობისთვის შეკერილი (ეტყობა, ეს ამბავი მარტის მერე მოხდა, მელანიას ფეხმძიმობის ბოლო ფაზაში), ხალვათად,

თავისუფლად სატარებელი და, ჩვეულებისამებრ, ამაყად წელგამართული მოაბიჯებდა, მთელი ქუჩა თან მოჰქონდა თითქოს - აი, შემომხედეთ, კანონიერადა ვარ დაორსულებული, ჩემი კანონიერი მეუღლე დამწყები პოეტი გახლავთ, მაგრამ ამჟამად რომელიღაც თავის თანაკურსელ გოგონასთან ერთად სადიპლომოზე მუშაობს და, თავისთავად ცხადია, ლექსებისთვის არ სცალიაო. მეუღლის სიამაყე და თავდაჯერებულობა აველუმსაც გადაედო რაღაცნაირად და, ერთი პირობა, ჩახტომაც დააპირა ტრამვაიდან, მაგრამ რატომღაც, მოერიდა, იმდენად უღიმღამო, იმდენად საცოდავი ეჩვენა უცებ თავისი თანამგზავრი მელანიასთან შედარებით. მელანია თითქოს საერთოდ იმიტომ გამოსულიყო იმ დღეს შინიდან, ასე "მშვიდობიანად", სიტყვის უთქმელად და თითის გაუნძრევლად გასწორებოდა თავის კიდევ ერთ შესაძლებელ მეტოქეს, უფრო სწორად, მისი თვალსაზრისით, ამ უაღრესად საპატიო წოდებისთვის კიდევ ერთ შეუფერებელ კანდიდატს. სამაგიეროდ, ღირსეულთ (არასოდეს შეშლია, სხვათაშორის), არათუ ითმენდა, ყოველთვის გულწრფელად თანაუგრძნობდა და ხელმწიფური შემწყნარებლობითაც კი იყო მათ მიმართ განწყობილი. ერთხელ - აღარ მახსოვს, როგორ აღმოვჩნდით ყველანი ერთად რესტორანში - ისა და ფრანსუაზა საპირფარეშოდან რომ მობრუნდნენ, ყოველგვარი თვალთმაქცობისა და ქვენა განზრახვის გარეშე უთხრა აველუმს: კარგი გოგო ყოფილა, მეცოდება შენს ხელშიო. აველუმი ჩახტომით არ ჩამხტარა ტრამვაიდან, მაგრამ თვალი წამითაც არ მოუშორებია მელანიასთვის, ვიდრე კიდევ შეიძლებოდა მისი გამორჩევა ხალხის ჭრელ მდინარეში. თუმცა, მერეც მთელი ქალაქი ელვარე ყვითელი ლაქებით იყო მისთვის სავსე, საითაც არ უნდა გაეხედა.

საბედნიეროდ, იმ საბედისწერო საღამოს მელანია შინ დარჩა. თვითონვე დაეზარა გამოსვლა, კარგად ვერ გრძნობდა თავს, ალბათ გაცივდა სანაპიროზე, ბელადის ძეგლთან, სადაც ხალხი დილიდან საღამომდე იდგა ფეხმოუცვლელად და კარგადაც ერთობოდა: მღეროდნენ, ცეკვავდნენ, დგამდნენ სცენებს სხვადასხვა სპექტაკლებიდან, რა თქმა უნდა, "ბელადის" მონაწილეობით, ძალით მოყვანილ გამოჩენილ ცოცხალ პოეტებს აკითხებდნენ ბელადზე დაწერილ ლექსებს და, რაც მთავარია, ლაპარაკობდნენ, ლაპარაკობდნენ გაუთავებლად (როგორც დღეს), ერთსა და იმავეს. მაგრამ, რამდენიც არ უნდა ელაპარაკათ, ბოლოს მაინც ყველა ერთნაირად მოითხოვდა მოლოტოვის ჩამოყვანას, თანაც დაუყოვნებლივ. მოკლედ, ათას რაიმეს გაიგებდა კაცი, მაგრამ მარტი მაინც მარტია და შეიძლება ისე გაცივდე, ვერც გაიგო. ტყუილად ხომ არ არის ნათქვამი, ვიდრე მარტი წინ გიდევს, ზამთარს ნურც აქებ და ნურც აძაგებო. ასე რომ, იმ საღამოს აველუმი უმელანიოდ გამოვიდა ქუჩაში, ალბათ პირველად ბოლო ხუთი წლის მანძილზე, და დაისაჯა კიდეც.

ვიდრე ტრამვაი ძნელაძეზე ჩაუხვევდა, იქამდეც იცოდა, რაღაც დიდი უბედურება მომხდარიყო ქალაქში. თვალშისაცემად უჩვეულო, არაბუნებრივი სიცარიელე და სიჩუმე გამეფებულიყო ირგვლივ - მარტო იმ ტრამვაის ხმა ისმოდა (და ის ხმაც კიდევ უარესად ამძაფრებდა, კიდევ უფრო ხელშესახებს ხდიდა საერთო სიცარიელესაც და სიჩუმესაც), რომლის ერთ-ერთი მგზავრი თვითონაც იყო, უფრო სწორად, რომლის კიბეზეც ეკიდა, მაგრამ იმიტომ კი არა, ბილეთის ფული დაეზოგა ამჯერადაც - ეს თავისთავად, დამწყები პოეტის გამოსარჩევი ნიშანი ხომ ჯერ სიღარიბეა და მერე მისი ნიჭიერება თუ უნიჭობა. - უბრალოდ, ასე ერჩია, რა წამსაც მოუნდებოდა, იმ წამს ჩახტებოდა ტრამვაიდან. ის იყო, ძნელაძეზე უნდა ჩაეხვიათ, მოედნის მხრიდან ვიღაცეები რომ გამოცვივდნენ ყვირილით: დაგვხოცეს, დაგვხოცესო, და თავად ხმამ უფრო შეზარა - ეკალმა დააყარა უცებ მთელს ტანზე, როგორც ცირკში ემართებოდა ხოლმე ბავშვობისას, რაიმე სახიფათო ნომრის წინ - ვიდრე ცნობამ, რომელიც იმ ხმამ მოიყოლა თან. ამგვარი ცნობისთვის ალბათ ყველანი მზად იყვნენ მეტნაკლებად. ბოლოს და ბოლოს, მთელი კვირა გრძელდებოდა არეულობა ქალაქში, სადაც ჯერ კიდევ გუშინ დაუკითხავად ჩიტი ვერ გადაფრინდებოდა ტოტიდან ტოტზე. ასე რომ, რაღაცის, მსგავსის მოლოდინი ქვეცნობიერად ყველას გვქონდა, ვუტყდებოდით თუ არ ვუტყდებოდით თავს. ხელისუფლებისგანაც უკვე საკმაოდ ვიყავით მომზადებულნი საამისოდ. ყოველ შემთხვევაში, ამ ცის ქვეშ და ამ მიწაზე დაბადებულ ადამიანს არაფრით არ შეიძლება არ ახასიათებდეს თუნდაც ბიოლოგიური მოლოდინი და მზადყოფნა ნებისმიერ უბედურებასთან

შესახვედრად. მაგრამ ისეთი ხმა, ტრამვაის კიბეზე ჩამოკიდებულს რომ მოესმა, აღარასოდეს გაუგონია აველუმს და როგორც არ უნდა ეცადა, მიახლოვებითაც ვერ აღწერდა ხოლმე სასოწარკვეთის, განწირულობის, სიბეჩავისა თუ შიშის იმ ამაზრზენ ნაზავს, ნარწყევივით რომ ტოვებდა ის (ხმა) გზადაგზა, ყოველი ხისა თუ ლამპიონის ძირას, ყოველ სადარბაზოსთან, ყველა სარკმელსა თუ ვიტრინაზე.

ოპერის ასახვევთან არმისული, ტრამვაიდან ჩახტა და, რომ იტყვიან, პირდაპირ ხახაში ჩაუვარდა თავის ბედისწერას. თითქოს შინიდან გამოსვლამდეც იცოდა, სად დაელოდებოდა და თითქოს საერთოდ იმიტომ გამოსულიყო შინიდან, თანაც უმელანიოდ, მაინცდამაინც, იმას რომ გადაჰყროდა. პირველად მთვრალი ეგონა. ელექტრონის ბოძს შემოხვეოდა ორივე ხელით. ლოყაც ზედ მიეჭირა და იღიმებოდა, მას უღიმოდა, ოღონდ, დამნაშავე, დამორცხვებული თუ გაწბილებული კაცის ღიმილით. თუმცა, ადვილი შესაძლებელია, აველუმს მოეჩვენა ასე, ასეთად წარმოიდგინა უფრო ადრე, ჯერ კიდევ ჰაერში, მიწაზე დახტომამდე, ვიდრე გაჩერდებოდა, დაინახავდა, აღიქვამდა და მიხვდებოდა, არავითარ სიმთვრალეზე და არავითარ ღიმილზე რომ არ შეიძლებოდა ლაპარაკი. უკვე სიკვდილს გაეჟღინთა. იმდენად ფხიზელი იყო, ლანდი გასდიოდა, გამჭვირვალე გაეხადა სიფხიზლეს. სახე არ ჰქონდა საერთოდ. სახის ნაცვლად არანორმალურად გახელილი, უფრო სწორად, თითქოს უკიდურესობამდე ძალით გაწელილი თვალებიღა დარჩენოდა, ორი უსწორმასწორო ჭრილი, ხვრელი, ორმო - აწრიალებული, ასისინებული, გათოშილი სიცარიელითა და არაფრით სავსე. მიშველეო - დაიგმინა, დაიკვნესა, დაიხრიალა ერთდროულად. თუმცა, უთქმელადაც ეტყობოდა საშველად რომ ჰქონდა საქმე. მშველელი ჭირდებოდა მხოლოდ. ცალ ფეხზე იდგა. მეორე მას აღარ ეკუთვნოდა აშკარად. რაც მთავარია, ფეხსაც აღარ გავდა. სისხლით გალუმპულ შარვლის ტოტიანად, უსიცოცხლოდ დასთრევდა მიწაზე. ეტყობა, ტყვიას ბარძაყის ძველი დაეფშხვნა და მხოლოდ გადატყაულ, გატიტვლებულ კუნთზეღა ეკიდა ხორცის მასა, რაც

ადრე ალბათ მისი მეორე ფეხი იყო. რა გქვია, რა გვარი ხარო - ჰკითხა აველუმმა რამდენჯერმე, ვიდრე ელექტრონის ბოძზე მიყინულსა თუ მიდუღებულ ხელებს ძალით გააშვებინებდა და იღლიაში შეუდგებოდა. ან აველუმის ხმა არ ესმოდა იმას, ან საჭიროდ არ თვლიდა თავისი ვინაობის გამხელას (შეიძლება, გამხელის ღირსადაც არ თვლიდა საკუთარ ვინაობას). გაოგნებული და აგანგაშებული, მისამართს იმეორებდა მხოლოდ - ორბელიანის სამი. მეორე სართული. ორბელიანის სამი. მეორე სართულიო - უკან სისხლის საკმაოდ ფართო კვალი მოსდევდა, იატაკის სარეცხი ტილო რომ ტოვებს სკოლის კიბეებსა თუ დერეფნებში. აველუმს ქოშინი აუვარდა, მაგრამ ალბათ უფრო მღელვარებისა და შიშისაგან, ვიდრე დაღლილობისაგან. მთელი არსებით კი უნდოდა მიშველებოდა, მაგრამ უკვე გრძნობდა, მარტო არ ეყოფოდა ამ საქმეს. თან, მისდა სამარცხვინოდ, ეშინოდა კიდეც მის იმედზე, მის ანაბარა დარჩენილი და ტკივილებისგან სანახევროდ ჭკუაზე გადამცდარი ბიჭისა. მისი კბილა იქნებოდა, ან ერთი-ორი წლით უმცროსი, მაგრამ სახეში ვერ შეეხედა, ერიდებოდა რატომღაც, თითქოს მისი მიზეზით ჩავარდნილიყო ამ დღეში, ანდა თითქოს მართლაც არ ჰქონდა იმას სახე, სახელისა და გვარის მსგავსად. იმ წუთას ყველაფერზე წავიდოდა, ოღონდ ის სატანჯველი აეცდინა როგორმე თავიდან და, იმავე დროს, არავინ და არაფერი აღარ ახსოვდა, იმ ბიჭის, იმ ბიჭის მისამართის და საკუთარი თავის მეტი, თითქოს მხოლოდ ისინიღა დარჩენილიყვნენ ქვეყანაზე და არა მარტო მისამართი, ყველაფერი საერთო ჰქონდათ: ელდაც, შიშიც, მიზანიც, სურვილიც, ოცნებაც, იმედიც, სიცოცხლეც, სიკვდილიც... მაგრამ იმ ორიდან რომელი იყო

გადასარჩენი და რომელი გადამრჩენელი, ბოლომდე გაურკვეველი დარჩა აველუმისთვის. უბრალოდ, ის ბიჭი უფრო ახლოს იდგა სიკვდილთან და, ამდენად, ძალაუნებურად, აველუმს უნდა ეტვირთა მშველელის მძიმე ტვირთი. უფრო ვალდებული იყო ასე მოქცეულიყო, ვიდრე მოწოდებული. დაღლითაც მალე დაიღალა, რადგან ყოველი ნაბიჯის გადადგმა დიდ სულიერ და ფიზიკურ დაძაბვას მოითხოვდა მისგან (ორივესგან). გარდა იმისა, რომ "ტვირთს" გარკვეული წონა ჰქონდა, ჯერ კიდევ ედგა სული, ჯერ კიდევ გონზე იყო, ჯერ კიდევ სტკიოდა, ჯერ კიდევ იტანჯებოდა, ჯერ კიდევ რაღაცა ეიმედებოდა ძალიან და ჯერ კიდევ ვიღაცისკენ მიისწრაფოდა მთელი არსებით. ხოლო ამის ცოდნა, უფრო ზუსტად კი, ამის შეგრძნება, კი არ ეხმარებოდა აველუმს მძიმე მოვალეობის აღსრულებაში, კიდევ უფრო აფერხებდა, ბორკავდა, კიდევ უფრო ასუსტებდა, რამდენადაც მოქმედებაზე მეტად, ფიქრსა და განსჯას ავალდებულებდა - რა ექნა, რა ეღონა, რა წყალში ჩავარდნილიყო, ზედმეტად რომ არ გაეტანჯა ის, მისი "ტვირთი". ასი მეტრიც არ ექნებოდათ გავლილი, რომელიღაც სადარბაზოში კიბეზე დასვა და დაუბარა, ნუ გეშინია, ახლავე მოვალო. იმას არაფერი უთქვამს, იოლად შეელია. ალბათ ესიამოვნა დაჯდომა. წყნარად იჯდა და აველუმივით ქოშინებდა ისიც, თვალდახუჭული, საკუთარ მხარზე თავჩამოვარდნილი.

კოლმეურნეობის მოედანთან აველუმი სამხედრო პატრულს გადაეყარა. უფრო სწორად, ისინი დაეწივნენ ეტლიანი მოტოციკლეტით. ორნი იყვნენ, ახალთ-ახალი მწვანე მუზარადები ეხურათ. სვლა შეანელეს და ცოტა ხანს გვერდით გაყვნენ. ხმა არ გაუციათ. ან დაზოგეს, ან ვერაფერი შეატყვეს რევოლუციონერობისა. თუმცა, თავად ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს თავფეხიანად სისხლში იყო ამოთხვრილი. შეიძლება, ამ შეგრძნებას ისიც უმძაფრებდა, ზურგზე რომ ეწებებოდა გაოფლილი პერანგი. ორბელიანის სამი კი ერთი პატარა, სოფლური ყაიდის, ფიცრის კიბემიდგმული სახლი აღმოჩნდა. კიბე რომ აათავა, სუნთქვა აღარ შეეძლო, ცოტაც და ფილტვები დაუსკდებოდა. კიბის თავში ჩაკუნცხული, თევზივით აბჩენდა პირს და ისევ მისამართს იმეორებდა აღგზნებული, აგანგაშებული, თითქოს გაჩუმდებოდა თუ არა, მისამართიც დაავიწყდებოდა, ხოლო, როგორც კი მისამართი დაავიწყდებოდა, სხვაც ყველაფერი დამთავრდებოდა მისთვის. კარი შუახნის კაცმა გაუღო, ალბათ იმის მამამ. იქამდე დაფრთხა, ვიდრე გაიგებდა, რა უნდოდათ მისგან. რა გინდა, ვინა ხარო - შეუღრინა უკვე წამხდარმა, შეიძლება უკვე მიხვედრილმაც. არაფრით არ უნდოდა წამოსვლა - რა ვიცი, რომ მართალს მეუბნებიო; სახელმწიფო თვითონ გაარკვევს ყველაფერსო - ებრძოდა თავს. აი, იმის სისხლიაო - ცხვირწინ უტრიალებდა აველუმი სისხლიან ხელებს. ჯერ ისევ უჭირდა ლაპარაკი, გულამოვარდნილს, აქოშინებულს, აღელვებულს. თან იმის ეშინოდა, ვაითუ არ წამომყვესო, და ლამის თვალებში ეტაკებინა ხელები, თითქოს სისხლს იცნობდა ის, თუკი მართლა მისი შვილი იყო სადღაც ქუჩაში, შარდის სუნით აქოთებულ სადარბაზოში მომაკვდავი ბიჭი.

მერე ერთად გარბოდნენ კვლავინდებურად უკაცურ ქუჩაში. საიდანღაც არეული, გაურკვეველი, შემაშფოთებელი ხმები მოდიოდა და აველუმი წარამარა უკან იყურებოდა - ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მოტოციკლეტი მოსდევდათ უკან. ბიჭი მკვდარი დაუხვდათ. ისევ ისე იჯდა, როგორც აველუმმა დატოვა, საკუთარ მხარზე თავჩამოვარდნილი, მაგრამ აღარ ქოშინებდა, დაწყნარებულიყო, უფრო სწორად, ქალაქის მკვდარი სიწყნარე დაუფლებოდა მასაც. ფეხებთან სისხლის უზარმაზარი გუბე დაეყენებინა. მამამისმა უნებურად ფეხი ჩადგა გუბეში და მერე, ასევე უნებურად, სულ იატაკზე უსვამდა ფეხს. ამაოდ ცდილობდა მოუშორებლის მოშორებას. მკვდარი შვილის დანახვამ თავზარი კი დასცა, მაგრამ ერთი პირობა, მაინც გაიბრძოლა, მაინც გაუძალიანდა ელდას, ვინძლო როგორმე გამოსცლოდა იმის დამაქცევარ სიმძიმეს, ერთბაშად არ გაეჭყლეტინებინა თავი და სწორედ მაშინ ჩადგა ფეხი შვილის სისხლში, გუბეზე გადახტომისას, რამაც კიდევ უფრო გაამწარა, კიდევ უფრო აუბნია გონება, დაუხშო განსჯის უნარი. აველუმს ეუბნებოდა - ეს რა მიყავიო - თითქოს აველუმი ადრეც იცნობდა მის შვილს, თითქოს აველუმმა აიყოლია დღესაც, აველუმმა გამოიყვანა შინიდან, აველუმმა მოკლა და მანვე მიუგდო მისი გვამი მამამისს, რათა ისიც შვილის თანამზრახველად გამოეყვანა ხელისუფლების თვალში. მაგრამ, რა თქმა უნდა, მსგავსიც არაფერი უფიქრია. უბრალოდ, მისდაუნებურად სცადა აველუმისთვის გადაებრალებინა ვიღაცის, აველუმზე ბევრად ძლიერის და აველუმზე ძნელად მოსარევის დანაშაული. რასაკვირველია, არავისზე ნაკლებად არ იცოდა ნამდვილი მკვლელის ვინაობაცა და

ადგილსამყოფელიც, მაგრამ ისიც იცოდა, ვერაფერს გახდებოდა იმასთან. ამიტომ, დამნაშავეზე მეტად, აველუმი სჭირდებოდა, შემთხვევითი მოწმე თუ მონაწილე მისი უბედურებისა, რადგან მასთან ამ უბედურების გამომჟღავნებას მაინც შესძლებდა, ანუ, იმას მაინც იტყოდა, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ იტყოდა ნამდვილი მკვლელის თანდასწრებით. თუმცა, ბევრი არაფერი უთქვამს. ერთსა და იმავეს იმეორებდა სულ - ეს რა მიყავიო - ოღონდ, ხან უმწეო სიბრაზით, ხან ბრაზიანი უმწეობით, ხან დამფრთხალი და ხან სასოწარკვეთილი, საერთოდ კი, მოულოდნელი დარტყმისგან თვალგაშტერებული, ყბაჩამოვარდნილი და თითქოს ხელოვნურად დაპატარავებული და დაუშნოვებული. მერე მკვდარი შვილის გვერდით ჩამოჯდა კიბის საფეხურზე, იდაყვებით მუხლებს დაეყრდნო, თითებგაფარჩხული ხელის მტევნები სახეზე აიფარა და აზლუქუნდა: დავიღუპე, დავიღუპეთო...

მას მერე დიდი დრო გავიდა. დიდი კი არა, განუზომელი - ქრისტეს მთელი მიწიერი ცხოვრება ჩაეტევა შიგ - მაგრამ გეგონებათ, არაფერი შეცვლილაო, სიცოცხლე ისევ ისეა ჩამკვდარი ქალაქში, ისევ ისე ჩაუჟმურებულა ყველაფერი, მიუხედავად გაუთავებელი შფოთისა და მღელვარებისა, აქეთ-იქით ხეთქებისა, დროშების უპრაგონო ფრიალისა, ლოზუნგების, მოწოდებების, პროკლამაციების, მიმართვების, მუქარების, თხოვნების, მოთხოვნების კორიანტელისა და, რაც მთავარია, ქალაქის ერთ-ერთ მთავარ ქუჩაზე, მეხუთე სართულის აივანზე, ორი საბრალო, ასაკისგან გამოჩერჩეტებული დედაბრის გულსაკლავი ზეიმისა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, მაინც რომ არ ვიტეხთ იხტიბარს, ვითომ, ჩვენც ხალხნი ვართ, ჩვენც ადამიანურ ცხოვრებასა ვართ მიჩვეულნი. ოპერაში "პორგი და ბესია", რუსთაველში - "ცარცის წრე", მარჯანიშვილში - "ვერაგობა და სიყვარული" (თითქოს აველუმის საპატივსაცემოდ), ახმეტელში კი - "შუაღამისას". მაგრამ შუაღამისას მაინც შინ ჯდომა სჯობს. სჯობს შინ იკანკალო კურდღელივით, ბეტონის სოროში. და, თქვენ წარმოიდგინეთ, ასედაც იქცევიან არა მარტო მაყურებლები, არამედ მსახიობებიც. საკუთარ სოროებში სხედან და კანკალებენ, სახიფათო სიბნელეს მიყურადებულნი. ახლა ღამით ქუჩაში რომ გახვიდე, ან სულელი უნდა იყო, ან თავზე ხელაღებული. ყოველ შემთხვევაში, წინასწარ უნდა შეეგუო იმ აზრს, ყოველ გასვლაზე, უკანასკნელად რომ გადიხარ შინიდან, შენი სურვილით ხდება ეს თუ იძულებით, თანამოქალაქეთა დაჟინებული მოთხოვნით - გამოდი, გვერდში დაგვიდექი, ნუ იმალები სოროშიო. ტელევიზორს ჩართავ და, დიქტორიც მაშინვე

შემოგჩივლებს, ესა და ეს, ასეთი და ასეთი, ამა და ამ დღეს შინიდან გავიდა და აღარ დაბრუნებულა, მაგრამ ჩვენ ვერაფრით მივაკვლიეთ და იქნებ შენ მაინც დაგვაყენო გზაზეო. ანდა, კიდევ ერთი მანქანა დაიკარგა და ისიც შენ ხომ არ გიპოვნიაო. მე მგონი, ჩვენს გასართობად იქცევა ტელევიზია ასე, გვეთამაშება, უფრო იოლად რომ განვიტვირთოთ მთელი დღის, მთელი თვის, მთელი წლის დაძაბულობისგან და, მართლაც, გაგეცინება, აბა რა იქნება, ამის მნახველსა და გამგონს. ასე რომ, ისევ შინ ჯდომა და დროგამოშვებით ტელევიზორის წინ მწარედ ჩაფხუკუნება სჯობს, გარეთ კულტურულ ღონისძიებებზე სიარულს. მაინც არაფერში გამოგვადგა კულტურა. თითქოს არც გვქონია. მართალია, ბედისწერას ვერც ბეტონი შეაჩერებს, რაც გიწერია, არ აგცდება, მაგრამ შინ თუ დავეტევით, აღარც ჩვენ გავწვალდებით ზედმეტად და აღარც სხვას გავაწვალებთ, რადგან სოროს გარეთ მოკლულნიც მაინც შინ უნდა მოგვიტანონ ბოლოს, იქამდე კი, ღმერთმა იცის, რამდენ ხანს უნდა ვეგდოთ ჯერ ქუჩაში, ვიდრე ვინმე ინებებდეს და შეგვამჩნევდეს, მერე კი - მორგში - საცხედრეში - ვიდრე რომელიმე ჩვენიანი გაბედავდეს და ამოგვიცნობდეს...

როგორც უკვე იცით, ფრანსუაზა თბილისში გაიცნო აველუმმა, შემთხვევით, მუზეუმში, სესილთან საბოლოო, სამუდამო გამოთხოვების ჟამს. მიიხედა და გული გადაუქანდა - რომელიღაც ბალახიჭამია ცხოველს ჰგავდა, ეს წუთია ხიფათს გადარჩენილი, ბუჩქებს მოფარებული, ჯერ კიდევ დაძაბული, ჯერ კიდევ ყურდაცქვეტილი, სწრაფად, ზერელედ, აქა-იქ რომ წიწკნის ნეკერს, უფრო ჩვეულებას აყოლილი, ვიდრე მოთხოვნილებას. შავი პლაშჩი ეცვა, საყელო აწეული, ყველა ღილზე გახსნილი. ხელები ჯიბეებში ჩაეწყო და შუშის ყუთზე დახრილი, ვანის ოქროულობას ათვალიერებდა; გულისყური კი აქეთ ჰქონდა, ჩვენსკენ, ცხოვრებისკენ. თავიდან ისიც ერთი ბედნიერი შემთხვევა გვეგონა, რასაკვირველია, უფრო საამაყოც და უფრო დასაფასებელიც, რამდენადაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ისიც ნამდვილი უცხოელი იყო, სესილივით, თანაც ფრანგი, თანაც პარიზელი (სესილისგან განსხვავებით) და არა, ვთქვათ, მოსკოველი ებრაელი, კიეველი თათარი, ბაქოელი რუსი თუ თბილისელი ბერძენი.

პირველად რომ დაბრუნდა შინ (საფრანგეთში), დიდი ამბით გააცილა აველუმმა, დიდი სიამოვნებითაც, რადგან გარკვეული თვალსაზრისით, ბუნებრივ სინანულთან ერთად, ასევე სრულიად ბუნებრივი შვებაც იგრძნო და საერთოდ, ძნელი სათქმელია, მათი ურთიერთობის პირველ ეტაპზე, რა უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებდა აველუმს, იმასთან ყოფნა, თუ კიდევ ერთხელ მშვიდობიანად დაბრუნება იმისგან. მართალია, ახალგაზრდები ვიყავით და ჯერ თავსაც არ ვუტყდებოდით, მაგრამ, გვინდოდა თუ არა, მიჩქმალული, თუნდაც უგულებელყოფილი შიში მაინც თავისას აკეთებდა. ამის გაგება ახლა ბევრისთვის ძნელია და თვითონაც მეცინება, თვითონაც სამარცხვინოდ მიმაჩნია შიშსა და სიყვარულზე ერთდროულად ლაპარაკი, მაგრამ თუკი წარმოვიდგენთ სამოციანი წლების თბილისს, ზოგადად საბჭოთა კავშირს, დამეთანხმებით, რა დიდ რისკთან იყო დაკავშირებული ნებისმიერი საბჭოთა მოქალაქისთვის ნებისმიერ უცხოელთან ურთიერთობა, მით უფრო საბჭოეთის კუთვნილ ტერიტორიაზე - არხანგელსკიდან ჩიტამდე და გაგრიდან მაგადანამდე. აველუმი და მისი მეგობარი გიჟებივით გაცვივდნენ მოსკოვში ფრანსუაზას გასაცილებლად. გიჟებს კი ნამდვილად ჰგავდნენ ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ჯერ ერთი, სეზონისთვის ყოვლად შეუფერებლად ეცვათ და არა მარტო სიღარიბის გამო - უცებ ვერ გაითვალისწინეს (ახალგაზრდები იყვნენ), რა შეიძლებოდა დახვედროდათ იქ. მართალია, რაღაც-რაღაცები (ყურებიანი ქუდები თუ ხელთათმანები) ნაცნობ-მეგობრებმა ადგილზე ათხოვეს, მაგრამ აველუმს ერთ ფეხზე ნეკა თითი მაინც მოეყინა და

გინდაც მოენდომებინა, მარტო ამის გამო ვეღარასოდეს დაივიწყებდა ფრანსუაზას.

მათ გარდა, ფრანსუაზა რედაქციის თანამშრომლებმაც გააცილეს, იგივე უშიშროების მუშაკებმა, რომლებიც, ყველა სიკეთესთან ერთად, აქ რჩებოდნენ და ფრანსუაზას წასვლის შემდეგ, თავისთავად ცხადია, მეტი გულისყურით, მეტი მონდომებით გაიხსენებდნენ ნებისმიერ წვრილმანს, რაც კი ფრანსუაზასთან იქნებოდა დაკავშირებული რაღაცით მაინც. მაგრამ უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. ოღონდ, თავიანთი ჭკუით, ყველაფერი იღონეს, ნაკლებად რომ მიექციათ ყურადღება. აველუმი ვარდების უზარმაზარი თაიგულით მოვიდა, მისმა მეგობარმა კი ჟურნალისტთა სახლის რესტორნის ოფიციანტი ქალი მოიყოლა თან, ვითომ იმას მოჰყვა საერთოდ და სხვა არაფერი აინტერესებდა. დიდის ამბით გამოვიდნენ ბაქანზე. ხელკავით მოჰყავდა, ემანდ ვინმემ ცუდი არაფერი იფიქროს, ფრიად ღირსეული ქალბატონი გახლავთო. მოსული ქალი იყო, ზონზროხა. თმა მოსკოვურად ჰქონდა დახვეული, გეგონებოდათ პარიკი ახურავსო. ლომონოსოვს ჰგავდა რაღაცით. ორივენი (ისა და აველუმის მეგობარი) კონიაკით იყვნენ ნასაუზმევი, საფუძვლიანადაც, და ამის გამო უფრო მედიდურად, უფრო გოროზად, უფრო სერიოზულად ეჭირათ თავი, ალბათ თბილი, ხავერდოვანი სიმთვრალის მოსათოკადაც. მაგრამ განშორების დრომ რომ მოაწია და შამპანურიც ჩამორიგდა ქაღალდის ჭიქებით, ყველაზე მეტს ის ქალი კოცნიდა ფრანსუაზას. კოცნიდა და თან ცრემლით ტიროდა, ალბათ საუზმეზე აველუმის მეგობრისგან მოსმენილით მოხიბლული და გულაჩუყებული. სერიოზულად შეწუხდნენ ყველანი, სერიოზულად დაინტერესდნენ მისი ვინაობით, რადგან მიუხედავად მათი პროფესიული მოვალეობისა, ნამდვილად არ

იცოდნენ ასეთი ახლობელი ადამიანი თუ ჰყავდა ფრანსუაზას მოსკოვში. მაგრამ ყველაზე მეტად თავად ფრანსუაზამ არ იცოდა ეს - მართალია, ჩვეულებისამებრ, ყველას უღიმოდა, ყველას მადლობას უხდიდა ყურადღებისთვის, შამპანურსაც ყველა მსურველთან ერთად ყლურწავდა ვახტანგურად, მაგრამ როგორც კი აველუმის თვალებს წააწყდებოდა, მაშინვე მხრებს აიჩეჩავდა ხოლმე გაკვირვებული.

ფრანსუაზა ყოველთვის ებრალებოდა აველუმს, პირველივე დღიდან, როგორც კი დაინახა, ანტიკური ხანის ძვირფასეულობის დასათვალიერებლად დახრილი საქართველოს საგანძურის შუშის ვიტრინებზე და მაინც უფრო თანამედროვე, დღევანდელი საფიქრალით შეპყრობილი, დაძაბული, რომელიღაც მხდალი, ლამაზი ცხოველივით, რომელსაც თავისი ცხოველური ბუნების გამო, წესიერად აღარც ახსოვს ალბათ, რა განსაცდელს დააღწია ეს წუთია თავი და ვიდრე მორიგი განსაცდელი დაატყდებოდეს თავს, ნეკერს შეექცევა - კეთილსინდისიერად იცავს, კეთილსინდისიერად ასრულებს ბუნების წესს. შეიძლება ამიტომაც, როცა მის წარმოდგენას ვცდილობ ხოლმე, ან ტაქსში ზის, აველუმთან ერთად, დილაუთენია, თითქმის სრულ სიბნელეში, და სიცივეზე მეტად, ნერვიულობისგან აძაგძაგებული, წარამარა საათს ეკითხება აველუმს (აველუმსაც ეკითხება და თავისასაც დასცქერის) - ეშინია, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ ეშინია სამსახურში დაგვიანებისა... ან ბეწვის ქუდსა და ქურქში ჩაკარგული, უსახლკაროსავით მორიდებული დგას ნოვოდევიჩევის მონასტრის ეზოში, დაბნეული იყურება აქეთ-იქით, თითქოს არ იცის, სად არის, როგორ აღმოჩნდა აქ, და ერთნაირად გაოცებული შესცქერის ზამთრის მზეზე თვალისმომჭრელად აბრჭყვიალებულ გუმბათებსაც და ჭილყვავებით გადაშავებულ ხეებსაც; ან - სტუმრებს ელოდება, ყველაფერი მზადა აქვს, ტახტის წინ, პატარა საჟურნალე მაგიდაზე, ცარიელ, ცივად მოკრიალე ჭიქებს შორის უკვე დგას ვისკის გაუხსნელი ბოთლი. მაგრამ თავად ადგილს ვერ პოულობს, ძლივს ერევა თავს, იმავე სტუმრების ხათრით (შეიძლება, შიშითაც),

და მაინც ჯიუტად ცდილობს გააგებინოს აველუმსაც, რომ ყველანაირი (საბჭოური) ყველის გამოტანა არ შეიძლება სუფრაზე. როშფორი კი, მაინცდამაინც, დღეს გაწყდა ამოდენა ქალაქში, ელისეევის მაღაზიის ჩათვლით.

ამას იმიტომ ვამბობ, ფრანსუაზას თვითონვე რომ შეეძლო დიდ განსაცდელად გადაქცევა ნებისმიერი ყოველდღიური წვრილმანისა, რის გამოც, სამწუხაროდ, უპირველეს ყოვლისა, თავად იტანჯებოდა - სულ გადასარჩენად ჰქონდა თითქოს საქმე... ხოდა, თუ როგორ გადაარჩინა აველუმმა, ქვემოთ დაინახავთ, თუკი მოთმინება გეყოფათ და ჩემთან ერთად ზერელედ მაინც გადაიკითხავთ მის წერილებს. მით უფრო რომ, ეს წერილები არც თავის დროზე ყოფილა მიუწვდომელი - ყოველი მათგანის ასლი თავიდანვე, მოსკოვში ჩამოსვლისთანავე, იდებოდა იქ, სადაც ჯერ არს და სადაც ახლაც უნდა იდოს წესით, თუკი "პერესტროიკამ" ისინიც არ გააუფასურა, როგორც სხვა ყველაფერი.

ფრანსუაზას წერილებს ჯერ აველუმის მოსკოველი კოლეგა, მოსკოველი ესტონელი, იანი იღებდა, რა თქმა უნდა, აველუმის თხოვნითა და დავალებით. აველუმმა კი იმიტომ სთხოვა და დაავალა იანს მისი სატრფიალო ბარათების მიღება, მხოლოდ ასე რომ შეიტყობდა, საერთოდ შესაძლებელი იყო თუ არა, თუნდაც წერილობითი ურთიერთობის დამყარება ფრანსუაზასთან. იანი, თავისთავად ცხადია, ყველა წერილს კითხულობდა და საფუძვლიანადაც "ამუშავებდა" (ასლი, მოკლე ანოტაცია და ა.შ.), იმისდა მიხედვით, თუ რამდენად საინტერესო შეიძლებოდა ყოფილიყო იქ მოთხრობილი ამბები გარკვეული სამსახურებისთვის. ასე რომ, იანმა ყოველთვის აველუმზე ადრე იცოდა, რა ედო ფრანსუაზას გულში, რის თქმას აპირებდა აველუმისთვის. "დამუშავებულ" წერილებს იანი ახალ, ახლა უკვე საბჭოურ კონვერტში დებდა და ისე უგზავნიდა აველუმს თბილისში. იანი არ უმალავდა აველუმს, "იქაც" რომ იცოდნენ ამ უიღბლო სიყვარულის შესახებ და უფრო მეტიც - თუკი, რასაკვირველია, აველუმს თავში არ აუვარდებოდა ეს ამბავი - უმალ თანაუგრძნობდნენ ("იქაც" ადამიანები მსახურობდნენ, ბოლოს და ბოლოს), ვიდრე კიცხავდნენ და ამტყუნებდნენ. გასაგებია? ხოდა, თუ გასაგებია, ჩამოასხი. ნუ იბღვირები. თითოც დავლიოთ და გვეყოფა. შენ დროს ატარებ, ძმაო, რა გენაღვლება, მე კი სამუშაო მაქვს. "განსაკუთრებით შენზე არიან კარგი აზრისაო" - მოაყოლებდა ბოლოს. იანის თქმით, "ისინი" აველუმს თურმე გულწრფელ, პატიოსან კაცად თვლიდნენ, მიუხედავად მისი ზოგიერთი ყოვლად მიუღებელი და, რაც მთავარია, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული შეხედულებისა. აველუმი კი უფრო და უფრო ღიზიანდებოდა, იბნეოდა, საგონებელში

ვარდებოდა, რადგან არ იცოდა, რას ნიშნავდა "იმათი" ქება, შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო მისთვის, თუ დამამშვიდებელი, თუ ერთიცა და მეორეც ერთსა და იმავე დროს. უფრო გულახდილები თუ ვიქნებით, მშვენივრად იცოდა, რასაც ნიშნავდა და იმიტომაც ღიზიანდებოდა ასე. იანის თქმით, "ისინი" დასჯას კი არ უპირებდნენ თურმე, არამედ - შველას, გადარჩენას. უფრო სწორად, დიდი იმედი ჰქონდათ, დროთა განმავლობაში, თანდათანობით, თვითონვე განიკურნებოდა ამ სენისგან. დრო მოიყვანდა ჭკუაზე, დრო აუხელდა თვალს საკუთარი სიბრიყვისა და უმეცრების დასანახად და ისიც მერეღა მიხვდებოდა, ბეწვის ხიდზე რომ მდგარა სულ, განუწყვეტლივ... მერეღა დააფასებდა იმასაც, ვინც ბეწვის ხიდზე შემდგარს, კი არ შეუყვირა, ხელი კი არ ჰკრა - თვალი მოუხუჭა, ყური მოუყრუა, დააცადა "მშვიდობიანად" გასულიყო გაღმა ნაპირზე, ანუ, ოჯახს დაბრუნებოდა, შინ დატეულიყო და რამდენიც უნდოდა იმდენი ეწერა ლექსებიცა და პოემებიც, პიესებიცა და რომანებიც - გნებავთ, უიდეო, გნებავთ, იდეური, რამდენადაც სახელმწიფოსთვის ნამდვილად სულერთი იყო ეს, მისთვის კი - არა. სახელმწიფოს არც ერთით მეტი მაქებარი ააშენებდა და არც ერთით მეტი მაგინებელი დააქცევდა, მისთვის და მისი ოჯახისთვის კი ამას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა. "დიდი მადლობა გადაეცი შენს მეგობრებს, ასეთი ყურადღებისთვის, ასეთი მზრუნველობისთვისო" - იგესლებოდა აველუმი, იანი კი, ვითომ ვერც ამჩნევდა მის მრისხანებას, სერიოზულად პირდებოდა, აუცილებლად რომ გადასცემდა აველუმის დანაბარებს დანიშნულებისამებრ, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემოდა.

რაკი თავიდანვე, ჩვენი სათქმელის უკეთ გადმოსაცემად (ჩვენი აზრით, რასაკვირველია), ეპისტოლური ჟანრი ავირჩიეთ, არათუ კარგი, ხანდახან აუცილებელიც იქნება ალბათ, ამ ჟანრის უკვე არსებული (ჩვენს ხელთ არსებული) და არც მთლად უინტერესო ნიმუშების გამოყენებაც. მართალია, ნებისმიერ მკითხველს (მათ შორის მომავლის მკითხველსაც, ანუ, მოცლილსაც და მოუცლელსაც), ამბავიცა და განცდაც გამოგონილი ურჩევნია, მაგრამ ფრანსუაზას წერილებზე უფრო "გამონაგონი" ძნელი წარმოსადგენია, ვერავითარი გამონაგონი ვერ შეედრება ვერც მიუღწევლისკენ სწრაფვითა და ვერც დაუჯერებლის დაჯერებით. სიყვარული კი მხოლოდ ეს არის - ჯიუტი, განუწყვეტელი სწრაფვა მიუღწევლისკენ და უსიტყვოდ, უყოყმანოდ დაჯერება დაუჯერებლისა. მათი მეშვეობით (ფრანსუაზას წერილებს ვგულისხმობ), გაცილებით უკეთ და სრულყოფილად შეგვიძლია აღვადგინოთ ორი სრულიად განსხვავებული, თითქმის ერთმანეთის საპირისპირო ცხოვრება ღმერთისგან აშკარად ერთმანეთისთვის გაჩენილი ორი ადამიანისა, რომლებსაც ერთად ცხოვრება თითქოს იმიტომ არ შეეძლოთ, მხოლოდ ერთად ყოფნა რომ უნდოდათ, მხოლოდ და მხოლოდ, ამას რომ ესწრაფოდნენ მიუხედავად ყველაფრისა. რაც მთავარია, ამ წერილების მეშვეობით შეგვიძლია აღვადგინოთ პრაქტიკული თვალსაზრისით ყოვლად უაზრო, კლინიკურად თითქმის მკვდარი, მაგრამ ყველა ადამიანური გრძნობით, განცდით, ვნებით, ტკივილით, შვებით, იმედით, უიმედობით, სიზმრით, ჩვენებით, ოცნებით, განსაკუთრებით კი მოლოდინით, ყველაფრის გაუთავებელი მოლოდინით, მაგალითად, წერილისა,

შეხვედრისა, დანახვისა, ხმის გაგონებისა, ზამთრისა, გაზაფხულისა, ზაფხულისა, შემოდგომისა, დაღამებისა, გათენებისა, დასჯისა, დაღუპვისა, დასმენისა, გამოაშკარავებისა, ღალატისა, სადილისა, ვახშმისა, ლიფტისა, ტაქსისა, მატარებლისა, თვითმფრინავისა, გადარჩენისა, მიტევებისა, ნებართვისა, ვიზისა, პასპორტისა - მოკლედ, ყველა სახისა და ყველანაირი მოლოდინით უთავბოლოდ, ფაციფუცით, გულისხეთქვით ამოვსებული დრო (ასე ალალბედზე მხოლოდ ხანძრით ან მიწისძვრით დამფრთხალი, დაბნეული, აზროვნების უნარდაკარგული და ცხოველური გუმანის ამარაღა დარჩენილი ადამიანი ავსებს ჩანთას ხელში უცებ მოხვედრილი და შეიძლება სრულიად გამოუსადეგარი, სრულიად უსარგებლო ნივთებით) - დროის საკმაოდ დიდი მონაკვეთი, საუკუნის მეოთხედი - დაუდევრად, დაუნანებლად და უშედეგოდ გაფლანგული, როგორც უკვე ვთქვით, ორი სავსებით განსხვავებული, თითქმის ერთმანეთის საპირისპირო ცხოვრების შესარწყმელად, შესადუღებლად, შესახმატკბილებლად.

ახლა ალბათ ისიც უნდა ითქვას, თუ რატომ არ გაეყარა აველუმი მელანიას და რატომ არ შეირთო ფრანსუაზა (თუკი ასე სიგიჟემდე შეუყვარდათ ერთმანეთი), რატომ არ ისარგებლა ბედნიერი შემთხვევით და რატომ არ წავიდა ემიგრაციაში, როგორც ყველა ჭკუათამყოფელი საბჭოელი მოიქცეოდა. დავიწყოთ იმით, რომ ზოგიერთი საბჭოთა დისიდენტისა არ იყოს, საბჭოთა ემიგრანტიც განსაკუთრებული ფენომენია. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, საბჭოთა სინამდვილეში დისიდენტი არათუ შეიძლებოდა მდგარიყო ხელისუფლების სამსახურში, არამედ მყარადაც იდგა, საპატიო თანამდებობაც ეჭირა და პერსონალური მანქანაც (ზოგჯერ აბრეშუმის ფარდებიანიც) ემსახურებოდა. ემიგრაციაში კი ძირითადად იმას უშვებდნენ, ვისაც ერთნაირად იცნობდნენ და, თქვენ წარმოიდგინეთ, ერთნაირად აფასებდნენ კიდეც, როგორც შინ, ისევე გარეთ; ვინც შეიძლებოდა შინ "საპატიო მოქალაქე" ყოფილიყო, გარეთ კი "სიმართლისთვის წამებული რაინდი", რომელსაც ერთ ჯიბეში "ლენინი" ედო, მეორეში "ვაშინგტონი" და თუკი შინ სპეცმაღაზიაში ყიდულობდა პროდუქტებს, გარეთ თითის გაუნძრევლად, წლების მანძილზე შეეძლო ფეხიფეხზე გადადებული მჯდარიყო რომელიმე ღია კაფეში, აყვავებული წაბლების სურნელში, სახეზე გაზაფხულის მზემიშუქებული (და კაგებეს საიდუმლო არხების მეშვეობით ჩვენთვისაც გაეზიარებინა ემიგრანტული ცხოვრების ჭირვარამი), როცა ფრანსუაზას წელებზე ფეხი უნდა დაედგა, სამგზავრო ფული რომ მოეგროვებინა მოსკოვში ჩამოსასვლელად. აველუმი, რა თქმა უნდა, არც შინ წარმოადგენდა რამეს და არც გარეთ და, თუნდაც ამიტომ, სხვის კმაყოფაზე

დაფუძნებულ თავისუფლებას, ისევ დაუმადლებელი, ბედით დამსახურებული ტუსაღობა ერჩია ყოველთვის. გარდა ამისა, თავისი ბუნებით, უფრო მცენარე იყო, ვიდრე ცხოველი ან ფრინველი. ამით იმის თქმა მინდა, რომ დროსა და სივრცეში გადაადგილებას ცუდად იტანდა, ძნელად ეგუებოდა, ძალიან უჭირდა და, შეიძლებოდა, ერთ მშვენიერ დღეს სიცოცხლის ფასადაც დასჯდომოდა. მასზე თუ იქნებოდა დამოკიდებული, ამჯობინებდა იქ მდგარიყო სულ, სადაც განგებამ გააჩინა, მხოლოდ და მხოლოდ, ანდა, მაინცდამაინც, იქაური ამინდის ჭირვეულობათა გათვალისწინებით. უფრო მეტიც, მთელი მისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, ოდესღაც დაკარგული ცოდნისა თუ განზრახ დამარხული საიდუმლოს საფლავზე (ალბათ, ადგილის დასამახსოვრებლად) დარგულ ხედ აღიქვამდა საკუთარ არსებას და ეს მიაჩნდა ერთადერთ დანიშნულებად, მოწოდებად, მისი ამქვეყნიური - როგორც ხორციელი, ისევე სულიერი - ცხოვრების გასამართლებლად. მეორეც ერთი, მისი და მელანიას ურთიერთობა სრულებითაც არ გამორიცხავდა მისი და ფრანსუაზას ურთიერთობას, პირიქით, შეიძლება განაპირობებდა კიდეც, და მაინც, არჩევანზე თუ მიდგებოდა საქმე, უმალ ფრანსუაზას შეელეოდა, ვიდრე მელანიას. ფრანსუაზას (თუკი საბაჟოს გაცურებას შესძლებდა), ძირფესვიანად მოგლეჯილი უნდა გაეტანა აველუმი აქედან, ხოლო მელანია თავად იყო იმ მიწის ნაწილი, რომელშიაც ფესვი ჰქონდა გადგმული აველუმს. მელანია საკუთარი სისხლით კვებავდა აველუმის ფესვებს, რათა იმას ეცოცხლა, თუ გნებავთ, რათა ფრანსუაზა ყვარებოდა, ანუ, ჩვენს პირობებში, შედარებით თავისუფალ, საკუთარი

სურვილების აღმსრულებელ, თავისი სიტყვის გამტარებელ კაცად ჩაეთვალა (თუნდაც წარმოედგინა) თავი. მელანიას გარეშე ეს ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა, რამდენადაც მელანია, თავისი შორსმჭვრეტელობისა თუ ქალური სიბრძნის წყალობით, როგორღაც ახერხებდა ჩვენს საერთო, უზარმაზარ საპყრობილეში შედარებით პატარა, მხოლოდ და მხოლოდ აველუმისთვის განკუთვნილი, ფაქტიურად ერთადგილიანი საპყრობილეს შექმნას, რომლის უცვლელი ზედამხედველი თვითონვე იყო და ათასში ერთხელ, მაგრამ ყოველთვის საჭირო დროს, შეგნებულად ბრმავდებოდა, შეგნებულად ყრუვდებოდა, თავის დაღწევის საშუალება რომ მიეცა ქმრისთვის ამ პატარა სატუსაღოდან, რაც, თავისთავად, საერთო თავისუფლების ილუზიას უქმნიდა აველუმს, თუნდაც გარკვეული დროის განმავლობაში.

მაშ ასე! ფრანსუაზას პირველი წერილი იმდენად პატარაა, შეიძლება მთლიანად მოვიყვანოთ აქ, მით უფრო რომ, ისაა პირველი ნიშანიც ახალი ეპოქის დაწყებისა აველუმის ცხოვრებაში და ისაა პირველი მერცხალიც, რომელმაც მართალია ვერ მოიყვანა, მაგრამ გაზაფხულის არსებობა შეძლებისდაგვარად მაინც გაახსენა საბჭოეთის ბინადრებს, რომელთა კალენდარზეც წელიწადის ერთადერთი დრო - პირქუში ზამთარი - იდგა განუწყვეტლივ, ფეხმოუცვლელად. *ყველაფერი მახსოვს. გკოცნი. ფრანსუაზა.* წერილი კი არა, დეპეშაა, ისიც შეკუმშული, მაგრამ ვერ ამოწურა, ვერ ამოხაპა აველუმმა ვერაფრით. ჯიბით დაატარებდა, ვიდრე სხვა მოუვიდოდა, კიდევ უფრო ამაღელვებელი. *შეიძლება ივლისში ჩამოვიდე. ერთად მოვიფიქროთ, როგორ შევხვდეთ.* *და კიდევ ერთი, ფეხდაფეხ:* *მიიღე ჩემი წერილი? თუ არ მიგიღია, გაგიმეორებ - ზუსტად ერთი თვის მერე ჩამოვდივარ. ათი დღით. ტურისტულ ჯგუფთან ერთად. ჩემი ადგილსამყოფელი ჩემს ძველ სამსახურში ეცოდინებათ. იმედია, ჯერ კიდევ გახსოვს ტელეფონი. თუ არა და, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. იქნებ შენ მოიფიქრო რამე.* ნუ გეშინია, მოიფიქრებს! შენ ჩამოდი და შენი მონახვა ჩვენზე იყოს. მთავარია, გაჭირვების ტალკვესი - იანი კარგად გვყავდეს. *ივნისის ბოლოს ბებიის სანახავად წავალ. ავადაა. იქიდან ისევ პარიზში მოვბრუნდები, ჩავლაგდები და ჰაიდა მოსკოვისკენ. ასე რომ, ნახვამდის. თავს გაუფრთხილდი და ყველაფერი კარგად იქნება.* მართლაც კარგად იყო ყველაფერი. ყოველ შემთხვევაში - უჩვეულოდ, ახლებურად. იმპერია რაღაცის, გაურკვევლის მოლოდინს შეეპყრო. რა თქმა უნდა, ალეგორიული ლექსებიც იწერებოდა და ალეგორიული სპექტაკლებიც იდგმებოდა, მაგრამ

პირდაპირ ჯერ კიდევ ვერავინ იტყოდა, რა გრძნობები ტანჯავდა და რისი მოლოდინი ჰქონდა. იტყოდა, დაიჭერდნენ. სულ ცოტა, საგიჟეთში მაინც უკრავდნენ თავს. ყველაზე ძალიან საგიჟეთში მოხვედრისა ეშინოდა აველუმსაც. ვერასოდეს ვერ პოულობდა საერთო ენას გიჟებთან და, თუ ფხიზელი იყო თვითონ, ვერც მთვრალებთან. რაც მთავარია, ხალხს იმედი გასჩენოდა, მაგრამ რისი იმედი იყო ეს იმედი, რას პირდებოდა, რას შესცვლიდა ან რას მოიტანდა - ჯერ არავინ იცოდა და არც ასე შორს ბედავდა ოცნების ზღვაში შეტოპვას. უბრალოდ, იმედი გასჩენოდა მოულოდნელად, როგორც უშვილო ოჯახს გაუჩნდება ხოლმე ბავშვი. ესეც ახალი გრძნობა იყო საბჭოელისთვის და არ იცოდა, როგორ გამოეხატა, ანდა გამოეხატა თუ არა საერთოდ, რადგან ტანი უგრძნობდა, არავინ გადაუსვამდა ამისთვის თავზე ხელს. იმედი კი, რახან გაჩენილიყო, იზრდებოდა კიდეც, აღარც კედლებს ეპუებოდა, არც მავთულხლართებს - იზრდებოდა, იზრდებოდა და საბჭოეთის ყველა ქალაქს ერთნაირად იხუტებდა გულში. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, იმედი დიდი ვერაფერი შვილია: ბევრს გპირდება, არაფერს კი გაძლევს; ბევრს გელაპარაკება, არაფერს კი გეუბნება; ბევრს გაჩვენებს, შენ კი ვერაფერს ხედავ, რადგან წინ ცარიელი სივრცეა; შეუჩერებლად მიყავხარ, არადა გზა აღარაა. მაგრამ შენ მაინც მიჰყვები, რადგან იმედის დანაპირები სულზე მეტად გჭირდება, მისი ნალაპარაკევი სატრფოს ალერსზე მეტად გსიამოვნებს, ხოლო ცარიელ სივრცეში, რაც შენ გინდა იმას ხედავ. ამიტომ, იმედი ერთდროულად კაცის მეგობარიცაა და მტერიც: ხანდახან, გაწბილებული იმედი უფრო ძნელი გადასატანია, ვიდრე უიმედობა. საბჭოელებიც

მრავალმნიშვნელოვნად უპაჭუნებდნენ ერთმანეთს თვალს, თითქოს გრძნობდნენ, არაფრით რომ არ იმსახურებდნენ იმედს, მაგრამ მაინც ყველანაირად ცდილობდნენ შეეშნოვებინათ, სხვისთვისაც არ ეთქმევინებინათ, მართლა არ ყოფილან ღირსნიო. მოკლედ, ისევე ცხოვრობდნენ, როგორც იქამდე ეცხოვრათ და როგორც მომავალში იცხოვრებდნენ, რაც არ უნდა მომხდარიყო. რომ გეკითხათ, ყალთაბანდებივით თვალს რატომ უკრავთ ერთმანეთსო, გაუკვირდებოდათ, მაგრამ თავიანთი საქციელი კი არა, თქვენი შეკითხვა. თუმცა, ასევე დაიფიცებდნენ ღმერთის წინაშე, რომ არ იცოდნენ, რა ამოძრავებდათ, რა აზრს დებდნენ თვალის უნებლიე ჩაპაჭუნებაში. უბრალოდ, რასაც ახლა გრძნობდნენ, ადრე არასოდეს ეგრძნოთ და არც სხვისგან გაეგონათ. არც მიზეზი იცოდნენ, არც მიზანი ამ ახალი შეგრძნებისა, არც ზნე და არც ხასიათი. ეგ არის რომ, ღიმილისგან განუწყვეტლივ ექავებოდათ ტუჩები და დარწმუნებულნი იყვნენ, ქვასავით კი არ დაენარცხებოდნენ მიწაზე, დავუშვათ და კლდიდან გადაეჩეხა ისინი ვიღაცას, არამედ ბუმბულივით ალივლივდებოდნენ ჰაერში. ეს ახალი გრძნობა თუ შეგრძნება, მართალია, აკრთობდათ, მაგრამ აბედნიერებდათ კიდეც, როგორც ფეხმძიმე ქალს პირველად შეძრული ნაყოფი, მისი არსებისთვის უდიდესი ცვლილებებისა და გარდაქმნების მაუწყებელი, ჯერ კიდევ ბუნდოვანი, შორეული, ძნელი დასაჯერებელი, მაგრამ გარდუვალი, დღევანდელი ენით რომ ვთქვათ, შეუქცევადი, და უფრო მეტიც - მისი სიცოცხლის გამგრძელებელი. არ იცის, გოგო ეყოლება თუ ბიჭი, ლამაზი თუ მახინჯი, ნიჭიერი თუ უნიჭო, მარჩენალი თუ დამაქცევარი, მაგრამ უკვე უყვარს,

წინასწარ, ყოველგვარი პირობის გარეშე, ხოლო რაკი უყვარს და, რაც მთავარია, ეამაყება კიდეც ეს სიყვარული, ვერაფერი ვეღარ მოერევა. ისე მოდის, თითქოს მთელმა ქვეყანამ იცის, ან თუ არ იცის, უნდა შეიტყოს, დედა რომ გახდება მალე. მელანიამ იცოდა ასეთი სიარული ფეხმძიმობისას - ამაყი, წელგამართული მოაფრიალებდა ხალვათად შეკერილ კაბას. და მაინც, ადამიანი გულუბრყვილო ცხოველია: დარწმუნებულია, მთელი ქვეყანა ისე უნდა ფიქრობდეს, როგორც თვითონ ფიქრობს და გულწრფელად ბრაზდება, თუკი მისი და ქვეყნის ფიქრი ერთმანეთს არ ემთხვევა.

იმ ზაფხულს მოსკოვში საერთაშორისო კინოფესტივალი ტარდებოდა და პრესბარში, ანუ, სასტუმრო "მოსკვას" მეშვიდე სართულზე მოხვედრა დიდ პატივად ითვლებოდა. უკეთეს ადგილას, მართლაც, ვერსად წაიყვანდა კაცი "საპატიო სტუმარს" ამ უზარმაზარ ქალაქში. ისინიც, პირველსავე დღეს, იქ წაიყვანა იანმა. უფრო ზუსტად, ერთი ნაცნობი ქალის დახმარებით, რომელიც, იანის თქმით, "საკმაოდ უნიჭო მსახიობი" გახლდათ, რაც სრულებითაც არ უშლიდა ხელს თავის გემოზე ეტარებინა დრო, "ნაწილნაწილ", ანუ, სათითაოდ შეაპარა "კინოს სამყაროში". იქ, საღამოობით, არა მარტო ადგილობრივი კინოსა და პრესის მუშაკები, არამედ უცხოელი რეჟისორები და მსახიობებიც იკრიბებოდნენ, თუმცა იქაც, რასაკვირველია, ჩვეულებრივი მოსკოვური რესტორნის ქაოსი სუფევდა. მაგალითად, იმათ სუფრაზე ვიღაც იტალიელი კომერსანტი და ადგილობრივი პედერასტი ოპერატორიც ისხდნენ და საცეკვაო მოედნიდან მობრუნებული აველუმი, რატომღაც, სულ იმას შიშობდა, მე ხომ არ ვჯდები სხვის სუფრაზეო. არადა, ყოველი ცეკვის შემდეგ, ნებისმიერ სუფრაზე იცვლებოდა თანამეინახეთა შემადგენლობა. საერთოდ არ არსებობდა სხვისი სუფრა, სხვისი ჭიქა, სხვისი თეფში, სხვისი დანა და ჩანგალი. ვისაც სად მოეპრიანებოდა, იქ მოიკლავდა წყურვილს ვიღაცის ჭიქიდან და იქ ჩაასობდა ვიღაცის ჩანგალს ორთქლში მოხარშული თართის (მაშინ კიდევ არსებობდა ამგვარი რამეები) მოთეთრო-მოყვითალო ნაჭერს, პირშუშხაში ამოწებულს, სულ სხვა ვიღაცისთვის შეკვეთილს სულ სხვა ვიღაცის მიერ. ყველა იმასთან ცეკვავდა, ვის პირისპირაც აღმოჩნდებოდა შემთხვევით, სასმელისგან უარესად აცუნდრუკებულ, ახტუნავებულ,

აბუქნავებულ ჯოგში. აველუმი, მაგალითად, ანა კარინას ეცეკვებოდა და თვითონვე ეცინებოდა, იმდენად მაღალი იყო კინოვარსკვლავი მასთან შედარებით. ალბათ ფრანსუაზაც იცინოდა მათი შემხედვარე. თუმცა, რას დაინახავდა, როცა თავად საერთოდ მეორე დარბაზში ცეკვავდა, უფრო სწორად, ცეკვის გაკვეთილს უტარებდა აბორიგენ ინტელექტუალებს. წარამარა ტაშით აჯილდოვებდნენ. აველუმი კინოვარსკვლავს კი ეცეკვებოდა (შემთხვევით, სიმთვრალით, სიბრიყვით), მაგრამ გულისყური მაინც იქითკენ ჰქონდა, საკუთარი ღამის ამომავალი ვარსკვლავისკენ. არ ვიცი, ადგილობრივები ცდილობდნენ დაემტკიცებინათ უცხოელებისთვის, არაფრის გვეშინიაო, თუ უცხოელებს ეშინოდათ, თავის შეკავება ქედმაღლობაში, ყოყლოჩინობაში არ ჩამოგვერთვასო - დაუნდობელი, დაუზოგავი ღრეობა მიდიოდა. წიოდა, კიოდა, ხარხარებდა მეხანძრის მუზარადივით ალაპლაპებული და სტუმრებზე უარესად მთვრალი ორკესტრი. მაგრამ უცხოელები მაინც გამოირჩეოდნენ ამ ორომტრიალში, თუნდაც იმით, თავიანთი მთვრალი გოგოები სათუთად მხარზე გადაკიდებულნი რომ გაჰყავდათ პრესბარიდან, ანუ, ერთმანეთს დაპირისპირებული ორი სამყაროს მორიგი ბრძოლის ველიდან.

იქიდან ელლამ (ასე ერქვა "საკმაოდ უნიჭო მსახიობ ქალს") ყველანი თავისთან წაიყვანა, იტალიელ კომერსანტიან და ადგილობრივ პედერასტიანად. იქაც საკმაოდ ბევრმა ხალხმა მოიყარა თავი. ერთი მათგანი საერთოდ არ ენახა აველუმს, არც რესტორნამდე, არც რესტორანში, მაგრამ მოსკოვისთვის ფართოდ გავრცელებული ტიპი გახლდათ - არცერთ კამპანიას რომ არ ეკუთვნის მთლიანად და ყველა კამპანიაში შინაურულად გრძნობს თავს. უკვე დილა იყო. ფრანსუაზა ზეზეურად თვლემდა, კინწი ჰქონდა მოწყვეტილი. სამაგიეროდ, ელლა კიდევ უფრო ენერგიული, კიდევ უფრო დაუდგრომელი გაეხადა სასმელს, კიდევ უფრო შედიოდა მფარველის, დიასახლისის, მსახურის როლში - ალბათ უცხოელების ხათრით - და რაღას არ იგონებდა მათ გასართობად. ბოლოს გაშიშვლდა კიდეც და ზეწარმოხურული, მიამიტად სახედაცქვეტილი გამოვიდა "სცენაზე" სტუმრებთან გამოსამშვიდობებლად. ასეთი წარმატება ალბათ მართლა არასოდეს ღირსებია თეატრში. იტალიელი კომერსანტი ხომ საერთოდ გაცოფდა ტაშის კვრითა და ბრავოს ძახილით.

მოკლედ, ტურისტული ათი დღე ისე ჩაადნა ფრანსუაზას ხელში, გონზე მოსვლაც ვერ მოასწრო. წესიერად არც დალაპარაკებიან ერთმანეთს. დაფეთებულნი აწყდებოდნენ აქეთ-იქით, როგორც ოთახში შემთხვევით შემოფრენილი ჩიტები, და მაინცდამაინც იქ ამოყოფდნენ ხოლმე თავს, სადაც ყველაზე ნაკლებად უნდოდათ ყოფნა, და რაკი ვერ აკეთებდნენ, რისი გაკეთებაც გულით სურდათ, იძულებით აკეთებდნენ, რის გაკეთებასაც გარემო სთავაზობდათ. ეს კი ორივეს უარესად აღიზიანებდა, აბრაზებდა, აცოფებდა და, შედეგად კიდევ უფრო სწრაფად, კიდევ უფრო უაზროდ გადიოდა დრო.

აველუმი იანის ერთ-ერთ ქარიტასთან, ვთქვათ, ეფროსინესთან, იგივე სანდრა სანდროვნასთან იდგა მდგმურად, გამოჩენილი საბჭოთა მწერლის ქვრივთან, რომელიც რასაკვირველია, "გაყვანილი იყო საქმეში" და დიდადაც თანაუგრძნობდა გარდაცვლილი მეუღლის ახალგაზრდა კოლეგას. ფრანსუაზა ღამითაც თუ ახერხებდა დარჩენას, სულგრძელად უთმობდა თავის საძილე ოთახს, როცა აველუმს, უფრანსუაზოდ, ყოველთვის გარდაცვლილი ქმრის კაბინეტში უშლიდა ლოგინს. ფრანსუაზა, რა თქმა უნდა, ახერხებდა ღამე დარჩენას, მაგრამ იქამდე ისე იღლებოდა უკვე ათასჯერ დათვალიერებულის დათვალიერებით (რაკი სატუსაღოში იყვნენ ტურისტებად ჩამოსულები, მათი აღრიცხვაც ისევე ხდებოდა გიდის მიერ, დილა-საღამოს, როგორც ჩვეულებრივი პატიმრებისა), ერთბაშად მოუღებდა ხოლმე ბოლოს მთელი დღის დაძაბულობა და ნერვიულობა, მანქანაშივე ეძინებოდა და ლიფტშიც ზეზეურად ეძინა, აველუმის მკერდზე მიყუდებულს. მაგრამ შეიძლებოდა უარესადაც ყოფილიყო საქმე, სალაპარაკოდაც ძლივს ენახათ ერთმანეთი, ბედად, ანი-ლუიზა რომ არ მოვლენოდათ მფარველ ანგელოზად, ფრანსუაზას თანამემამულე, დედის ტოლი ქალი, რომელიც ფრანსუაზასთან ერთად ცხოვრობდა ნომერში და ყველანაირად ცდილობდა, შეუმჩნეველი გაეხადა მოდარაჯე თვალისთვის ფრანსუაზას სატრფიალო პაემნები. ფრანსუაზასი არ იყოს, ისიც სიყვარულს დაეყენებინა ამსიგრძე გზაზე, ძველისძველი, ომისდროინდელი მეგობრის სანახავად ჩამოსულიყო შორეულ ქალაქში, რაკი ლამის უკანასკნელ წამს, ღრმა სიბერეში შესახლებამდე, მისცემოდა ამის შესაძლებლობა. სხვათაშორის,

აველუმი და ანი-ლუიზას მეგობარი ერთდროულად გამოცხადდნენ პაემანზე პირველსავე დღეს და ეს ხელაცახცახებული, ყბაჩამოვარდნილი კაცი რომ დაინახა სასტუმროს წინ, აველუმს გულმა რეჩხი უყო - თუ მოგზავნილი არ არის, აუცილებლად ფრანსუაზასთან იქნება რაღაცით დაკავშირებულიო. ტყვეობაგამოვლილი და ციმბირმოხდილი კაცის კვალობაზე კიდევ არა უშავდა, მაგრამ შეყვარებულს დაცინვით თუ დაუძახებდა ვინმე. რა თქმა უნდა, აველუმს თავისი ელდა და შიში კლავდა, ბუზი აქლემად ეჩვენებოდა, მაგრამ ბოლოს მაინც უტყუარი აღმოჩნდა მისი გუმანი, მისი ცხოველური ალღო - ფრანსუაზა და ანი-ლუიზაც ერთად გამოვიდნენ სასტუმროდან.

და მაინც, ეს შეხვედრა უფრო "ნიადაგის მოსასინჯი", საკუთარი გრძნობების შესამოწმებელი შეხვედრა იყო და ამდენად უფრო მნიშვნელოვანიც არა მარტო წინამორბედ, არამედ შემდგომ შეხვედრებზეც. ჯერ კიდევ შეიძლებოდა თავის გადარჩენა-მეთქი - ვამბობ ფრანსუაზას გასაგებად. თუმცა, ფრანსუაზაც გრძნობდა ალბათ ამას. აეროპორტში ძალიან ნერვიულობდა, შეგნებულად არიდებდა აველუმს თვალს და, ამის გამო, განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდა ყველაფერს, მტკივნეულად განიცდიდა ნებისმიერ წვრილმანს. რასაკვირველია, გრძნობდა ცალი ფეხი მახეში რომ ჰქონდა უკვე ჩავარდნილი, საფუძველი რომ ეყრებოდა მის უაზრო წანწალს წინ და უკან, პარიზსა და მოსკოვს შორის, როცა იმავე მანძილის გავლა ნებისმიერ ორ წერტილს შორისაც შეეძლო. ბრაზობდა, იღრინებოდა, მიზეზობდა (გაკვირვებული, შეწუხებული საკუთარი უზნეობით) და, თავისთავად ცხადია, ტიროდა, ტიროდა, ტიროდა... ოღონდ, უხმოდ, თავისთვის. ანდა, პირიქით - თითქოს უიმისოდ, მასთან შეუთანხმებლად მოედინებოდა მისივე თვალებიდან სიყვარულის უძველესი, მარადიული, დაულეველი, ყინულივით მდუღარე, ბადაგივით მდორე ცრემლი - დგებოდა ჟამი დიდი სიყვარულისა, ანუ დიდი განსაცდელისა, დიდი გამოცდისა (არაფრის გამო და არაფრის გულისთვის), ჟამი მწარე იმედისა და ტკბილი შხამისა.

იმავე დღეს პარიზიდან წერდა აველუმს: ორი საათიც არ არის რაც დავბრუნდი და უკვე მაგიდას ვუზივარ, უკვე გწერ, ერთი სული მაქვს, როდის მოგიხდი ბოდიშს, აეროპორტში ჩემი უმსგავსო საქციელისთვისო. ***ასე რომ, ბოდიშს გიხდი. მაპატიე. ძალიან გთხოვ. ცუდად ვიყავი და მეტი არაფერი. იმედი მაქვს, დროზე მიხვედი ვნუკოვოზე.*** აველუმი ყოველთვის იმავე დღეს მოფრინავდა (ან მოდიოდა) მოსკოვიდან. ერთი საათიც აღარ შეეძლო ხოლმე იქ უიმისოდ გაჩერება. ***ერთდროულად საკმაოდ დიდხანს ვიფრინეთ ალბათ. ალბათ მთელი საათი, რადგან ჩვენმა თვითმფრინავმა გაფრენა დააგვიანა.*** ეს ჯერ კიდევ საკითხავია, მართლა იფრინეს თუ არა ერთდროულად - იმ ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია საგარეო თვითმფრინავი მთელი საათით შეყოვნდეს, საშინაო რა დღეში იქნება! მაგრამ ეს ნაკლებად მნიშვნელოვანია იმათთვის, რადგან ისინი ისედაც ერთად იქნებიან სულ, ცაშიც და მიწაზეც, ცალ-ცალკე და მაინც ერთად, უფრო სწორად, ცხოვრებაში - ცალ-ცალკე, ერთმანეთის სულსა და გონებაში - ერთად. ამას ფრანსუაზაც გრძნობდა უკვე და იმიტომაც ბრაზობდა, ნერვიულობდა, ტიროდა აეროპორტში - იქიდან მიდიოდა, სადაც მისი ადგილი იყო და მიდიოდა იქ, სადაც აღარ ჰქონდა ადგილი, სადაც ყველაფერი ეუცხოვებოდა უკვე, ეხამუშებოდა, როგორც უწვრთნელ ცხენს - აღვირი. აღვირი კი ეგრეთწოდებული თავისუფალი სამყარო გახლდათ - იქ შეძენილი ჩვევები - განსაკუთრებით კი ძვალრბილში გამჯდარი პასუხისმგებლობის გრძნობა საკუთარი მოთხოვნილებებისა და მიდრეკილებების მიმართ, რაც ყველაზე მეტად უშლიდა ხელს, მშვიდად, გონიერი არსებისთვის დამახასიათებელი მოთმინებით

გარკვეულიყო ახალ, მოულოდნელ და, ამდენად, დამაფრთხობელ მოთხოვნილებებსა და მიდრეკილებებში, ანუ, დიდ, საერთაშორისო უსამართლობად და ასევე დიდ, პირად უბედურებად ჩაეთვალა ხალხთა საპყრობილედან, გნებავთ, ბოროტების იმპერიიდან შინ მშვიდობით დაბრუნება და სანატრელი გაეხადა იქაური, ჯანმრთელობისთვის ყოვლად მავნე, სახიფათო ჰაერის ჩასუნთქვა, ანდა საათობით ყურყუტი, ვთქვათ, საპნის, კბილის პასტისა თუ ტუალეტის ქაღალდის რიგში... მლიქვნელობა და თავის დამდაბლება ყოველ წამსა და ყველას წინაშე, ვისზედაც შეიძლებოდა ყოფილიყო დამოკიდებული მისი ბედი, თუნდაც, დროის გარკვეულ მონაკვეთში, ჩვეულებრივი მოლარე იქნებოდა ის, ნოქარი, დალაქი, სახლმმართველი, ლიფტიორი, მილიციელი, ტაქსის მძღოლი, ადმინისტრაციული თუ პარტიული მუშაკი - მოკლედ, მთელი ფაუნა მისთვის უკვე უძვირფასესი ციხისა, ჭიანჭველიდან ვირთხამდე და ვირთხიდან ჭიანჭველამდე, სადაც დიდი სიამოვნებით გატუსაღდებოდა თვითონაც, ნებაყოფლობით, რადგან იმ ციხის ნებაყოფლობითი ტუსაღობა ბედნიერება ანდა უბედურება კი არ იქნებოდა მისთვის, არამედ ნორმალური, ბუნებრივი, ადამიანური ცხოვრება - ერთ საკანში თუ არა, საერთო ჭერქვეშ და საერთო კედლებს შორის მაინც იცხოვრებდა იმასთან ერთად, ვის გარეშეც "ცუდად იყო და სხვა არაფერი", ესე იგი, ვეღარც კი წარმოედგინა ცხოვრება. აქედან გამომდინარე, პარიზში ჩაფრენისთანავე, მართლა მაგიდას კი არ მიუჯდა სატრფიალო უსტარის დასაწერად, ჯერ თავის ბავშვობის მეგობარს დაურეკა - მართლა დამთავრებულა ჩვენს შორის ყველაფერი, მე უკვე დიდი ქალი ვარო - და მერე დაჯდა წერად. ეს ის

მეგობარი გახლავთ, რომლის გამოც გაიქცა საერთოდ თავიდან საბჭოეთში, უფრო რაღაცაზე გაბუტული, ვიდრე საფუძვლიანად განრისხებული; უფრო ასაკს აყოლილი, ვიდრე გრძნობას, რადგან კი არ გადაიყვარა, კი არ შეიძულა, ვინც იქამდე ბავშვურად წრფელი სიყვარულით უყვარდა - მისთვისაც მოულოდნელად მოყირჭდა, ერთ მშვენიერ დღეს, ბავშვობაში აჩემებული რომელიღაც ნამცხვრის, ნაყინისა თუ ლიმონათის მსგავსად. ბავშვობის სიყვარული სავარჯიშო სიყვარული აღმოჩნდა, სიყვარულის "აი ია" და სიყვარულის "დო რე მი ფა სოლ ლა სი", ის კი, ფრანსუაზა, მწარე იმედისა და ტკბილი შხამის პირველი ყლუპით უკვე გულმუცელდათუთქული, დაბნეული აწყდებოდა ესწუთია მისივე არსებიდან ამოზრდილი წუხილისა და გაურკვევლობის ხორკლიან კედლებს, ზედ ემსხვრეოდა ცარიელ ბოთლივით, და ენით უთქმელ შვებასა და ნეტარებას ანიჭებდა საკუთარ ნამსხვრევებზე შიშველი ფეხებით სიარული: *დავბორიალობ ცარიელ ბინაში და, ცოტა არ იყოს, მეშინია. ნაცნობებიც აღარავინ დარჩა პარიზში. სასწრაფოდ უნდა წავიდე აქედან, თორემ გავგიჟდები.* ჯერ სად ხარ! გაგიჟება მერე ნახე, როცა მიხვდები, დარწმუნდები, კი არ მივცურავ, ჩაყლაპული ანკესი მიმათრევს ნაპირისკენო. *ვერ წარმოიდგენ, როგორი მადლობელი ვარ შენი. მართალია ცუდად ისმოდა, მაგრამ მაინც კარგად მოვიქეცი, რომ დაგირეკე. სრულებითაც არ განვიცდი სინდისის ქენჯნას. მაგრამ მაინც მაპატიე. რამდენადაც ვიცი, ამ დროს თქვენები თბილისში არ არიან.* მართალია, არ არიან. ან ბადენ-ბადენში ისვენებენ ან კანში. *ათი საათი ვუცადე შენი ხმის გაგონებას. დილის ოთხ საათზე დავიძინე. მაგრამ რატომ მითხარი, ხშირად იფიქრე ჩემზეო? რა უფლება*

*გაქვს? ვინ მოგცა ნება, დამიდგინო, დამიკანონო ვისზე ვიფიქრო და ვისზე არა? ცოტა თუ ბევრი? ხშირად თუ ხანდახან? ეს მხოლოდ ჩემი უფლებაა, გესმის?* მესმის, მაგრამ მახეში ხარ უკვე გაბმული. *მე თუ მკითხავ, ზედმეტად ბევრს ვფიქრობ შენზე. მარტო ველარ დავრჩენილვარ, მაშინვე წინ ამეტუზები, გულხელდაკრეფილი, ეშმაკურად მომღიმარი, თვალმოწკურული. გამანებე, გთხოვ, თავი. ხომ ხედავ, არ მცალია. ვრეცხავ. ვემზადები. პარასკევს მივდივარ კუნძულზე. ეგ არ გიშველის. ჩვენები უკვე ყველანი იქ არიან. მელოდებიან. ჩვენც იქ ვილაპარაკოთ, რამდენიც გინდა. ავფოფხდები ჩემს ლოდზე, ხვლიკივით მივეფიცხები მზეს და ერთხელ კიდევ (ღმერთმა იცის მერამდენედ), წარმოვიდგენ ყველაფერს, ნაბიჯ-ნაბიჯ, ნამცეც-ნამცეც, თავიდან ბოლომდე და ბოლოდან თავამდე. გკოცნი. მიყვარხარ. ნახვამდის.* ნახვამდის, მაგრამ არაფერი გეტკინოს იქამდე. თუმცა, შენ რა გენაღვლება - როგორც თვითონ ამბობ, წახვალ შენს კუნძულზე და გავარვარებულ ლოდებზე ხვლიკივით გაუყუჩდები მზეს, ანდა დედიშობილა იტანტალებ ბუნების წიაღში, ბუნების შვილივით, ცივილიზებული ეშუ, და მართლაც, რამდენიც გენდომება, იმდენს იოცნებებ იმ ბედნიერ დღეზე, როცა შენი კაციჭამია ქართველი, ბოლოს და ბოლოს, გაადამიანდება, ეზიარება ცივილიზაციას, კულტურას და თავადაც დედიშობილა გამოგეცხადება მზის ამოსვლის კუნძულზე, სადაც ჩაცმულ კაცს არათუ ვერ დაინახავ თურმე, ვერც წარმოიდგენ, ისეა თვალი გარყვნილი... უკაცრავად, გარყვნილი კი არა, მიჩვეული ბუნებრივ, უფრო სწორად კი, ესთეტიკურ სიშიშვლეს. სხვათა შორის, შიშვლად სიარული ფრანსუაზას ბებიამ და მისმა მეგობარმა დაამკვიდრეს თურმე იმ კუნძულზე.

მაშინ კუნძული ჯერ კიდევ უკაცური ყოფილა თითქმის - მავთულხლართებით შემოღობილი სამხედრო-საზღვაო ბაზის გარდა, სულ რამდენიმე ქოხმახი მდგარა და ერთ მათგანში ფრანსუაზას ბებიას უცხოვრია - ქმრისგან ნაღალატევი, იქ გადასახლებულა ვიღაც რუს ემიგრანტთან ერთად, კროპოტკინის უახლოეს თანამებრძოლთან და საკმაოდ უჟმურ კაცთან, რომელსაც სიცოცხლის ბოლო წლებში ვეღარავინ ელაპარაკებოდა თურმე და, მანსარდაში შეკეტილი, ფრანსუაზას მეტს არავის უშვებდა თავისთან. იმასაც იმიტომ უშვებდა, დედის გინება და უწმაწური სიტყვები რომ ესწავლებინა თავის მშობლიურ ენაზე, მაგრამ, რასაკვირველია, მარტო ამის ბრალი არ უნდა იყოს ფრანსუაზას მიდრეკილება როგორც რუსული ენის, ისე უწმაწური სიტყვებისადმი საერთოდ. თუმცა, გენეტიკური თუ არა, გარკვეული ფსიქოლოგიური მნიშვნელობა ალბათ მაინც ჰქონდა ფრანსუაზასთვის იმ სახლის კედლებს შორის ჩასახვას, სადაც, ასე თუ ისე, მაინც სუფევდა რუსი მეამბოხის ემიგრანტული სული. მაგრამ ეს არ არის ჩვენთვის მთავარი, ჩვენთვის მთავარია, მაინცდამაინც, ისინი რომ აღმოჩნდნენ პირველი ცივილიზებული ველურები - ფრანგი და რუსი - ფრანსუაზას ბებია და კროპოტკინის მეგობარი - ჩვენი დროის რობინზონი და პარასკევა, თუკი, რაღა თქმა უნდა, შესაძლებელია, საპირისპირო სქესისა იყოს ან რობინზონი ან პარასკევა. თუმცა, ჩვენში რომ ვთქვათ, რატომ არ შეიძლება? რამდენადაც იმავე ფრანსუაზასგან ვიცი, საფრანგეთში ამ თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს სქესობრივ სხვაობას, ესე იგი, ნებისმიერ ორ ვაჟბატონს შორის, შეიძლება, ერთ-ერთი მათგანი ქალბატონი კლავდია და ნებისმიერ ორ ქალბატონს შორის, ერთ-ერთი მათგანი ბატონი

ავგუსტი აღმოჩნდეს მოულოდნელად. მაგრამ ეს უკვე სხვა თემაა და, საბედნიეროდ, ნაკლებად შეეხება ფრანსუაზას. მოკლედ, იმათ დაუმკვიდრებიათ კუნძულზე ტანშიშველა სიარული, რაც მათგან თავისებური პროტესტი უფრო იყო, ვიდრე უზნეობა, კიდევ ერთი სახეობა ბებრული ცელქობისა. ქალი მოღალატე ქმარზე იყო გამწყრალი, კაცი უმადურ სამშობლოზე და ორივენი ერთად, როგორც შეეძლოთ, ისე უგებდნენ ნიშნს, არაფრად აგდებდნენ საერთოდ ცხოვრებას, ადამიანურ ურთიერთობებს, ზნე-ჩვეულებებს, ადათ-წესებს. ერთი ნავი ჰქონდათ თურმე, შავად გაკუპრული, და ერთიც ხრინწიანი გრამოფონი - ხან ნავზე იხრინწებოდა, თუ ზღვაზე გადიოდნენ სათევზაოდ ანდა სასეირნოდ, ხან კი - ნაპირზე, სადაც ტიტვლები ეყარნენ სილაზე დილიდან საღამომდე (ღამით ალბათ იფარებდნენ რაღაცას, თუნდაც სიცივისგან თავის დასაცავად), ტიტვლები იმზადებდნენ საჭმელს, ტიტვლები ჭამდნენ, ტიტვლებს სძულდათ და ტიტვლებს უყვარდათ ერთმანეთი. ერთხელ ფრანსუაზას მომავალმა მშობლებმა, სხვა მეგობრებთან ერთად, ჩააკითხეს საზაფხულო არდადეგებზე და ისინი გახდნენ მათი პირველი მიმბაძველები. მერე კი ყველაფერი თავისთავად მოხდა. ადამიანი ხომ დანახვის ხატია და მალე იქაურობა ტიტველი ხალხით გავსებულა, საითაც არ უნდა გაგეხედათ, ტიტველი ადამიანი მოგხვდებოდათ თურმე თვალში, რასაკვირველია, პირველ რიგში, ყველაზე უფრო საინტერესო ადგილები მისი სხეულისა. ახლა კი, ჩაცმულ სტუმარს საერთოდ არ ჩამოგიშვებენ გემიდან, ფეხს არ დაგადგმევინებენ მიწაზე. ხოლო, სამხედრო-საზღვაო ბაზის მეზღვაურები ზღვას კი არ უთვალთვალებენ მთელი დღე, ტიტველ ქალებს

ათვალიერებენ დურბინდებით. თუმცა, ისევე მიუღებელია აქ სხვისი სიშიშვლისთვის ყურადღების მიქცევა, როგორც ტანგაუხდელი სიარული. რასაკვირველია, ძალით არავინ გაგხდით, მაგრამ თეთრი ვირივით გამორჩეული კი იქნებით სულ, ახლოს არავინ გაგიკარებთ, რადგან შენი ჩაცმულობა, უპირველეს ყოვლისა, მათი სიშიშვლის გამომჟღავნებას ნიშნავს. მარილი კი სწორედ სიშიშვლის არშემჩნევაა, მისთვის ყურადღების არმიქცევაა და არა პირიქით, როგორც ვთქვათ, ჩვენთან, საბჭოეთში, შედარებით (გაცილებით) ჩამორჩენილ, განუვითარებელ ქვეყანაშია მიღებული. წარმოგიდგენიათ, ვიღა არ იყრის თავს იმ კუნძულზე, თუნდაც მხოლოდ შინაგანი თავისუფლების გამოსავლენად, არაფერი რომ არ ვთქვათ განსაკუთრებულ ფიზიკურ მონაცემთა დემონსტრირების შესაძლებლობაზე, მაგრამ ჰომოსექსუალი იქნება, ბისექსუალი თუ უბრალოდ სექსუალი, უფლება არა აქვს, ასე ვთქვათ, აღიქვას, აითვისოს სხვისი სიშიშვლე, თავისთავად ცხადია, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე (პლიაჟი, კაფე, საცეკვაო მოედანი, ფოსტა-ტელეგრაფი და ა.შ. ა.შ.), თუმცა, უფლება ალბათ აქვს, რაც არ უნდა იყოს, ის კუნძულიც საფრანგეთია, ვინ აგიკრძალავს იმის აღქმასა და ათვისებას, რასაც უყურებ, ხედავ და ამჩნევ (შეიძლება, გრძნობ კიდეც, თუნდაც უნებლიე შეხებისას), მაგრამ ამის გამომჟღავნება ყოვლად დაუშვებელია, ყოველ შემთხვევაში, სამარცხვინოა, უკულტურობად, ველურობად ითვლება და ღმერთმა დაგიფაროთ, თუკი თქვენდა უნებურად, თქვენმა სარცხვინელმა, სარცხვინელმა კი არა - სარცხვინელი სწორედაც რომ შეუფერებელი სახელია ამ

შემთხვევაში - თქვენმა საოხრემ - თუმცა, საოხრე ნამეტანი მდაბიურია - თქვენმა ფალოსმა - ფალოსი კი უაღრესად არქაული გახლავთ - თქვენმა საბიძალმა, რაბლეს ენით რომ ვთქვათ, უფრო ცივილიზებულად კი, თქვენმა პენისმა ოდნავ მაინც წამოყო თავი, რასაკვირველია, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას - თავი უმალ თავად მოგეჭრებათ - ვეღარც დანა-ჩანგლის კოპწიად დაჭერა, ვეღარც ხელსახოცის დაუდევრად მუხლზე გადაფენა, ვეღარც ჭიქების დანიშნულებისამებრ შენაცვლება ვეღარ გადაარჩენს თქვენს რეპუტაციას, სტვენითა და სიცილ-ხარხარით გამოგაპანღურებენ მზის ამოსვლის კუნძულიდან და არც გაემტყუნებათ - ნებისმიერ კულტურულსა და ცივილიზებულ ადამიანს უნდა შეეძლოს ნებისმიერი ცხოველური მოთხოვნილების მოთოკვა ნებისმიერ ვითარებაში. მოკლედ, სჯობს იმპოტენტი იყო, ვიდრე ველური. და რაკი შენ პირიქით გირჩევნია, იმიტომაც ზიხარ ხალხთა საპყრობილეში და არა მზის ამოსვლის კუნძულზე. მაგრამ ადამიანს როდისმე მაინც რომ შესძლებოდა მოუთოკავის მოთოკვა, არათუ ეს საბრალო, უკბილო აღსარება ბებერი რომეოსი, ის მარადიული, დიდებული წიგნებიც ხომ არ დაიწერებოდა, რომელთა სიძველისგან გაცრეცილსა და ადამიანური დაუდევრობით დალაქულ ფურცლებს ჩვენი ნათითარიცა და ნაცრემლარიც ამჩნევია ალბათ. და მაინც, ნავსი თუ გატყდა და როდისმე შენც გახდი იქ ჩასვლის ღირსი, თანაც ზღვის პირას, ცხელ სილაზე კარტის თამაშიც თუ მოგიწია შენსავით დედიშობილა და გათქვირულ, შხვართ გოგოებთან, იმაზე კი არ იფიქრო გუნებაში, პირველად რომელს დავეძგერებოდი, ჩემზე რომ იყოს დამოკიდებულიო, არამედ იმაზე იფიქრე, რომელი კარტი როდის

ჩამოხვიდე, კოზირი გამოუყენებელი რომ შერჩეს ხელში, ვთქვათ, იმ ტუჩებდაბუშტულ ცუგრუმელას, ძუძუები რომ ასკდება მკერდზე და ჭიპის ფოსოში ჯერ კიდევ უბრწყინავს ზღვის წყალი. *გუშინ მამას ვეჩხუბე. უფრო სწორად, ის მეჩხუბა. არკი ვიცი, რატომ. რამე რომ მცმოდა, ზედ შემოვიხევდი, ისე გავბრაზდი. მამაზე კი არა - შენზე. ალბათ მეტყობა, მარტო შენით რომ ვარ სავსე, ყველანი რომ გამოაძევე ჩემი არსებიდან. ალბათ მართლა აუტანელი სანახავი ვარ - მარტო შენით გავსებული, გასიებული, გაბერილი.* რამდენადაც მე ვიცი, ჩემო ძვირფასო ფრანსუაზა, აველუმი ვერაფრის დიდებით ვერ გაშიშვლდებოდა დედამისის წინ. *საერთოდ მშვიდად ვცხოვრობ, მშვიდად და ჩუმად, გუშინდელ გაუგებრობას თუ არ მივიღებთ მხედველობაში. განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ თითქოს, მაგრამ ყოველ ღამე მაინც გვიან ვწვები. ან გიტარას ვუსმენ, ან კაფეში ვზივარ* - ტიტველი? - *ან ვკითხულობ. პარიზის გახსენებაზე ტანში მზრინავს. არავითარი სურვილი არა მაქვს მუშაობისა. ძალიან ცუდია?* აბა, როგორ გითხრა?! მე ვიცი, რომ უსაქმურობა მონობის პირველი ნიშანია. *ძალიან ცუდია, რა თქმა უნდა. დღეს ისე ცხელა, ზღვაზეც არ გავსულვარ, დამეზარა. თავი მტკივა. მაგრამ ეტყობა მაინც მომიწევს - ჩავყვინთავ და დავრჩები წყალქვეშ - ზღვის ფსკერს რომ ვხედავ, ვმშვიდდები. შენ? შენ როგორ ხარ?* ვარ რა. *თუმცა, მაინც არ მეტყვი. ვიცი, გიცნობ.* აკი გითხარი, ვარ მეთქი! *თუ მომწერ, პარიზში მომწერე, იმ დროისათვის უკვე იქ ვიქნები. რაღაც ძალიან უაზრო, აბნეული წერილი გამომდის მგონი. აკი ვამბობ, ძალიან ცხელა მეთქი. წინა წერილი მიიღე?* ან მიიღებდა ან არა. ეგ იანს უფრო ეცოდინება. ფრანსუაზას ათი წერილი რომ გამოეგზავნა

ერთდროულად, იანი მაინც იმდენს გამოაჩენდა რამდენის გამოჩენასაც მიიჩნევდა მიზანშეწონილად. *გკოცნი, გკოცნი და გელოდები.* ელოდები?! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე. სად? მანდ? როდის? რა ჩაიცვას? უკაცრავად, რა გაიხადოს პირველად? ხანდახან ისე გაცოფდებოდა ხოლმე აველუმი, ისე მოულოდნელად წაეკიდებოდა უსაფუძვლო სიბრაზე, ახლოს რომ ყოფილიყო ფრანსუაზა, შეიძლება დაეხრჩო კიდეც. თავს არ უტყდებოდა, მაგრამ უკვე შემჯდარი ჰყავდა ეჭვის ჭია, სიყვარულის მარადიული თანამგზავრი. შეგნებულად ამახინჯებდა, აუხამსებდა ვითომ ფრანსუაზასთვის სათქმელ სიტყვებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, გარკვეულ შვებასაც ანიჭებდა ეს უმარტივესი და უსინდისო მეთოდი შურისძიებისა. ათასი სისულელე და სისაძაგლე ადგებოდა ენაზე ქვეყნის მეორე ბოლოს საკუთარ სიბრაზეში დაყურსულს, დანთქმულს, დაკარგულს საკუთარი თავისთვისაც, და ამავე დროს, ეს იყო ჟამი ძილში საზარელი და ცხადში სასაცილო, უაზრო, სულელური სიზმრებისა, რომლებსაც, რასაკვირველია, უპირველეს ყოვლისა, ეჭვიანობა განაპირობებდა, ეჭვი აწოვებდა თავის შხამიან რძეს და ისინიც, ბუნებრივია, შხამიანები იყვნენ, ტკბილად შხამიანები - ვერაფრით ვერ მოსწყვეტდით პირს, ვერ მოეშვებოდით - და აველუმიც მთელი ღამე, ღამეები დაფეთებული დაეძებდა, ვითომ, ფრანსუაზას, ხან თბილისში, ხან მოსკოვში - უთავბოლოდ, უსასრულოდ აწყდებოდა აქეთ-იქით და ასევე უთავბოლოდ, უსასრულოდ ენაცვლებოდნენ ერთმანეთს ის ადგილები, სადაც უანგარო, უკიდეგანო სიყვარული დაუმტკიცებიათ ერთმანეთისთვის, სადაც კი ერთად ყოფილან როდისმე, მაგრამ ყველაფერი ისე იყო ერთმანეთში

არეულდარეული, ქაჯი დაიდგამდა კუდზე ფეხს. მაგალითად, მათთვის რაღაცით ძვირფასი, რაღაცით მათთან დაკავშირებული ესა თუ ის მოსკოვური სახლი, რესტორანი ან სასტუმრო, ვითომ თბილისში იდგა, თბილისური კი - მოსკოვში. მაგრამ ეს კი არ აკვირვებდა სიზმრის შხამით აღგზნებულსა და გამოთაყვანებულ აველუმს, არამედ - მასთან შეუთანხმელად, მისუჩუმრა რომ ჩამოსულიყო, ვითომ, ფრანსუაზა საბჭოთა კავშირში. გულაფრიალებული შეაღებდა, შეგლეჯდა ხოლმე მორიგ კარს, მაგრამ ყველა კარს იქით ერთნაირი სიცარიელე სუფევდა. დაქანცულსა და გაბითურებულს ეღვიძებოდა გაოფლილ საწოლში. თვალის გახელაც ესიკვდილებოდა. თმაგაჩეჩილი, ფეხშიშველი, მთვარეულივით ხელისცეცებით შედიოდა სამზარეულოში და, კარგამოღებული მაცივრის სინათლეში შავად ასვეტილი, პირდაპირ ქილიდან ისხამდა გამომშრალ პირში ყინულივით ცივ მაწონს (თუკი, ბედად, დახვდებოდა, რა თქმა უნდა).

აი, კიდევ ერთი, იმდროისათვის უაღრესად დამახასიათებელი სიზმარი: ვითომ, ფრანსუაზას მშობლები თბილისში ჩამოსულან ტურისტებად და, რატომღაც, მარტო ისინი კი არა, ტურისტების მთელი ჯგუფი (რასაკვირველია, გარდა მოსკოველი გიდისა), დედიშობილა დასეირნობს რუსთაველზე. ფრანსუაზას მამას კისერზე ფოტოაპარატი ჰკიდია, მხარზე კი პეპლის საჭერი გაუდია. დედას ფართო ფარფლებიანი ქუდი ახურავს და პეპლის ფრთასავით მოხატული ქოლგა უჭირავს. ტიტველი უცხოელების დანახვაზე თბილისელი უსაქმურები საერთოდ გვერდზე ატრიალებენ თავებს, საერთოდ ვერ ამჩნევენ თითქოს და ისეთი ინტერესით ათვალიერებენ ლამის მათთან ერთად გაზრდილ ჭადრებს, გეგონებათ, მსგავსიც არაფერი უნახავთ თავიანთ სიცოცხლეშიო. აველუმი სცნობს ფრანსუაზას მშობლებს, ისინი კი, რა თქმა უნდა, ვერ ცნობენ, არასოდეს უნახავთ აველუმი, მაგრამ აშკარად ხვდებიან რაღაცას და დაძაბულნი, დაეჭვებულნი, შეიძლება, დამფრთხლებიც იხედებიან უკან. მერე, ვითომ, ფრანსუაზას მამა შეუმჩნევლად ჩამორჩება ჯგუფს, აველუმს რომ გამოელაპარაკოს როგორმე, და აველუმიც მის სიახლოვეს შეჩერდება - გვერდულად დგას, ვითომ არავითარი საქმე არა აქვს მასთან, ვითომ თავისთვის დგას თავის ქალაქში და ვითომ, ოთხად გაკეცილსა და პირზე აფარებულ გაზეთს ებუტბუტება: გამარჯობათ. ნუ მიყურებთ. მე თქვენ გიცნობთ. თქვენ ხომ ბატონი პოლი ბრძანდებითო. ვუი, ვუი, ვუიო - ვითომ ფრანგულად შეიცხადებს ბატონი პოლი. მე კი თქვენი ქალიშვილი მიყვარსო - არ დაიცლის სულის მოთქმას აველუმი. ااااო - ვითომ ცოტათი მოეშვება გულზე ბატონ პოლს - მეც არა ვთქვიო, ვუი, ვუიო, რასაკვირველია, მეც

გიცნობთო - და სახელითაც მიმართავს აველუმს, ოღონდ ფრანსუაზას ბავშვობის მეგობრის სახელით, რომლის გამეორება სიზმარშიც არ უნდა აველუმს - არა, არა, არაო - ახლა ის შეიცხადებს ქართულად და გაკეცილ გაზეთს რამდენჯერმე მწარედ მიირტყამს ტუჩებზე. თან ცდილობს, როგორმე გააგებინოს ბატონ პოლს სულ სხვანაირად რომ გამოითქმის მისი სახელი, რომელიღაც ფრანგული კონიაკის სახელის მსგავსად. კონიაკი არ მიყვარს, მე მხოლოდ რომსა ვსვამო - ევროპული სინანულით მხრებს იჩეჩავს ბატონი პოლი, არ ესმის აველუმისა და, ყოველ შემთხვევისთვის, მაინც აჩხაკუნებს აპარატს - ტურისტია და ქალაქის ღირსშესანიშნაობებს იღებს სამახსოვროდ. ვისი რა საქმეა?! ხოლო, რაც შეეხება ამ კაცს (აველუმს), შემთხვევით გადაეყარა, მისი ქალიშვილისა არ იყოს - მაინცდამაინც, იქ გაჩერდა სურათის გადასაღებად, სადაც ის იდგა თავისთვის, პირზე გაზეთაფარებული. ეგ არის და ეგ. ვუი, ვუი, ვუი. მაგრამ ამ დროს, მოულოდნელად ფრანსუაზას დედაც ჩაერევათ საუბარში. არა, ჯერ დაუფარავად, მოურიდებლად გადაეხვევა აველუმს და მერე იტყვის: უკვე ყველგან ვიყავით, მთაწმინდაზეც, ჯვარზეც, მაგრამ ფრანსუაზას ვერსად მივაკვლიეთო. ფრანსუაზა ხომ ბოშად იქცა და რახანია კარავში ცხოვრობსო - თავისი ჭკუით, დაამშვიდებს ასეთი გულითადი შეხვედრით, ცოტა არ იყოს, შემცბარი და აღელვებული აველუმი. განა არა, მეც სულ ამის შიში მქონდაო - ამოიოხრებს, ვითომ, ფრანსუაზას დედა, ქალბატონი მადლენი და უცებ, სამივენი რესტორანში აღმოჩნდებიან, თანაც თბილისში კი არა, მოსკოვში. რესტორნის საკმაოდ ვრცელ დარბაზში ნახევარკუნძულივით შემოჭრილი ესტრადა ჯერ ცარიელია. ინსტრუმენტებსა და სკამებს

თეთრი აბრეშუმის მბზინავი შალითები აცვია. ასე რომ, ჯერჯერობით, კიდევ შეიძლება ერთმანეთის ნალაპარაკევის გაგება. მაგრამ, უნებურად, ყველანი მაინც ხმამაღლა და ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობენ, დაშინებულნი არიან ესტრადისგან. მათ მაგიდას, ვითომ ფრანსუაზა ემსახურება, მაგრამ მშობლები მაინც ვერ სცნობენ თავიანთ ქალიშვილს. აველუმი კი, მშობლებმა არ შეამჩნიონო, თვალით ანიშნებს, მუნჯურად უნიშნავს პაემანს ფრანსუაზას. ფრანსუაზას კი პატარა, მაქმანიანი წინსაფრის ჯიბიდან უზარმაზარი, სატელეფონო ცნობარივით სქელი წიგნი ამოაქვს, ყურადღებით ფურცლავს და თან შეწუხებული ლაპარაკობს თავისთვის: არ მცალია, არ მცალია, მეღდ, მეღდ, ეს დღეები სულ დაკავებული ვარო. გოგონა, საქართველოში თუ ხარ ნამყოფიო - ეკითხება ბატონი პოლი. თქვენ რა, არ მოგწონთ აქაური მწვადიო - ბრაზდება დოინჯშემოყრილი ფრანსუაზა. ჩვენს ქალიშვილს მიგამსგავსეთ, იმას კი სიგიჟემდე უყვარს საქართველო, თუმცა დაბეჯითებით თვითონაც არ იცის, მართლა თუ არსებობს ასეთი ქვეყანაო - ამშვიდებს ქალბატონი მადლენი. მაგრამ ფრანსუაზა მარტო აველუმს უყურებს, ვითომ თვალში თვალს უყრის და ეუბნება: რა გაეწყობა, რახან ასეა, მომავალ კვირისთვის ჩაგწერო. მადლობელი ვარ, ნუ წუხდები, სრულებითაც არ მინდა შენს ბინძურ წიგნში მოხვედრაო - ყვირის, ვითომ, აველუმი, მაგრამ მაშინვე მშვიდდება, ეშინია, სხვა მაგიდების ყურადღებაც არ მიიქციოს და, უკვე შემრიგებლურად მომღიმარი ამატებს: ხომ ხედავ, უცხოელი სტუმრები მყავს, სად მცალია შენთან საღლაბუცოდო. ჩემი წიგნი თუ არ მოგწონს, შენ თვითონ დაწერე შენთვის უკეთესიო - ტუჩს უბზუებს, ვითომ, ფრანსუაზა (და ამ სიზმარში

აველუმისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ეს რეპლიკაა, ყველაზე გამაღიზიანებელიც, რადგან სიზმარში - სხვათაშორის, ცხადშიც - ღრმადაა დარწმუნებული, ფრანსუაზა იმ წიგნს გულისხმობს, რომლის დაწერასაც თვითონ აპირებს, უფრო ზუსტად, ნატრულობს, რომლის შესახებაც მხურვალედ, მგზნებარედ და, თავისთავად ცხადია, უსაზღვრო ნდობით უყვება ხოლმე ფრანსუაზას მათი ხანმოკლე შეხვედრების დროს და, რომელშიაც, მისი ჭკუით, ყველასათვის მისახვედრად, რასაკვირველია, მარადიული სიმბოლოების მოშველიებით, ერთხელ კიდევ ამხელს იმპერიულ სივერაგესა და სისასტიკეს, ანუ, დავუშვათ, მინოსისა და დედალუსის ურთიერთობის ფონზე, მარადისობის შუქში გაატარებს წარმავალ დღევანდელობას, გინდაც საერთოდ ფეხებზე ეკიდოს ეს საკუთარი სიმდაბლითა და უზნეობით შემზარავად დასახიჩრებულ ადამიანს). სარკმელში კი, ვითომ, ბეტონის უზარმაზარი, თვალუწვდენელი კოშკი მოჩანს და ფრანსუაზაზე გაბრაზებული აველუმი მის ტიტველ მშობლებს მშვიდად (მოგონილი სიმშვიდით) უხსნის: აი, ის კოშკი ყველაზე მაღალია მთელს მსოფლიოში, მაგრამ არავინ არ იცის, რა დანიშნულებას ასრულებსო.

5

ამის მერე, ყველა წერილი თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს წინამორბედს და თავადაც მეორდება მომდევნოში. სიყვარული თავის საქმეს აკეთებს - დაუნდობლად იპყრობს გულებს, ოღონდ სხვადასხვანაირად: თუკი ერთს (აველუმს) კიდევ უფრო უმძაფრებს არარსებული თავისუფლებისკენ სწრაფვის ჟინს, მეორეს (ფრანსუაზას) საერთოდ უჩლუნგებს არსებული თავისუფლების აღქმის უნარს. ასე რომ, შეიძლება, ეპოქის საუკეთესო წარმომადგენლებადაც ჩაითვალონ ისინი. ეს ის დროა, როცა დედამიწის ერთ მეექვსედზე, ეგრეთწოდებულ ხალხთა საპყრობილეში, ძირითადად ზედამხედველთა დაუდევრობისა და წინდაუხედაობის წყალობით, იწყება ახალი, არანაკლებ საზარელი ეპიდემია - ვინ იცის, რა გზით შემოღწეული ვირუსი თავისუფლებისა დღითი დღე იპყრობს სატუსაღოს კუთხე-კუნჭულებს, რაც არა მარტო სატუსაღოს ხელისუფალთათვისაა სახიფათო, არამედ ტუსაღებისთვისაც. თუმცა, ხელისუფალთ ალბათ ხელსაც აძლევს ამგვარი "თავისუფლება", რაც სინამდვილეში თავისუფლების იმიტაციაა და მეტი არაფერი, ანუ, იგივე მონობაა, ოღონდ გაუფასურებული, უფრო ზუსტად, გაპამპულებული, აბუჩად აგდებული ისევ მონათა სასეიროდ - სამზეოზე გამოტანილი და მორთულ-მოკაზმული გასამკაულებული ჯაჭვებითა და ბორკილებით, სხვათა შორის, ისევ უცხოური ფილმების მიბაძვით. ეს ჯერ მიბაძვის სურვილია და არა სულიერი მოთხოვნილება. საპყრობილეში კი ჯერ არც იციან, რას წარმოადგენს ის, რაც უნდათ, რასაც ბაძავენ. ის რომ დაინახონ, ჯერ უნდა იგრძნონ - ისე ვერ დაინახავენ ვერასოდეს - უფრო სულისთვისაა განკუთვნილი, ვიდრე ხორცისთვის. ამასობაში კი მიწისქვეშა გადასასვლელები

მუსიკალური ხულიგნებით ივსება (თავისუფლების პირველი, ოღონდ ბრმა და ფრთაშეჭრილი მერცხლებით). ურჩხულის ქერცლივით გაბრწყინდება ხოლმე სიბნელეში მოსადაფებული ელექტროგიტარა. თითქმის ყველა დასახლებულ პუნქტში, უმცირესი დაბიდან უდიდეს ქალაქამდე, იწყება ჯინსის ციებ-ცხელება. მეექვსე-მეშვიდე კლასელი ბიჭები სკოლის ეზოში, მასწავლებლის თვალწინ, დანით კლავენ თანაკლასელს, ჯინსის შარვლისა თუ კურტაკის გულისთვის. მონადშობილ საბჭოთა ახალგაზრდობას სიგიჟემდე სურს ჩაცმულობით მაინც დაემსგავსოს "იმქვეყნიურ" თანატოლებს, რომლებსაც ჯერჯერობით, მხოლოდ ფილმების მეშვეობით იცნობს. მაგრამ ეს ყოვლად შეუძლებელია სატუსაღოს პირობებში. ამიტომ, არა მარტო სიბრალულის აღმძვრელია მათი გაწამაწია, არამედ ამაზრზენიც.

- ბიჭუნა, რატომ მოკალი შენი თანატოლი? გშიოდა? - კითხულობს უწიგნური პედაგოგი ან უპასუხისმგებლო მშობელი (ამას არა აქვს მნიშვნელობა), ცოტა არ იყოს, შემცბარი, შეწუხებული საკუთარი უწიგნურობისა და უპასუხისმგებლობის ამ უაღრესად თვალნათელი შედეგით, თუმცა, საცა სამართალია, თვითონ ნამდვილად არ იცოდა, ამის გამო თუ უხუჭავდა თვალს ხელისუფლება მის უწიგნურობასა და უპასუხისმგებლობას.

- არა! - მკაფიოდ, მკვეთრად, ბრაზიანად პასუხობს ქართველი, რუსი, სომეხი, უზბეკი, ლიტველი თუ მოლდაველი ბავშვი.

- ერთი და იგივე გოგო გიყვარდათ ორივეს?

- ფიჰ!

- აბა?!

- არ ვიცი. ისე.

ერთმანეთში კი მხოლოდ "ამერიკულად" ლაპარაკობენ. უფრო სწორად, ისევ ეკრანიდან გადმოღებული რიტმითა და დიქციით წარმოთქვამენ იმპროვიზირებულ "ინგლისურ სიტყვებს", ფონეტიკურ უაზრობებს, ლაპარაკისას, გზადაგზა გამოგონილს და, თქვენ წარმოიდგინეთ, აგებინებენ კიდეც ერთმანეთს, ოღონდ მხოლოდ ერთმანეთს და არავითარ შემთხვევაში სხვას, მით უფრო მართლა უცხოელს, მართლა ამერიკელს. გოგონებს მარსელელი მეძავებივით აცვიათ, თვალში საცემად, გამომწვევად. რაც მთავარია - მარტივად. თითქმის არაფერი უფარავთ სიშიშვლეს. ასეთი ჩაცმულობა, სხვა თუ არაფერი, პრაქტიკულიცაა და ადვილად ხელმისაწვდომიც, მაგრამ გააჩნია, რა მიზნით. უმაღლეს სასწავლებელთა აუდიტორიები ასე უნებლიეთ გამეძავებული გოგოებითაა გამოვსებული. სახეწამონთებული ლექტორები ბლუკუნით, დაბნეული სერიოზულობით კითხულობენ ლექციებს. იქ კი, დედამიწის ხუთმეექვსედზე, საპირისპირო პროცესი მიმდინარეობს. თუმცა არა, პროცესი იგივეა, ოღონდ სხვადასხვა მიზეზითაა განპირობებული. იქაურ ახალგაზრდობას თავისუფლება ამოსდის ყელში. ასე ჩანს გარედან, თორემ სინამდვილეში, იქაური ახალგაზრდობაც საკუთარ უმწეობას უმხედრდება - ვეღარ უძლებს ფარულ, მოუშორებელ დაძაბულობას, რომელსაც გაჩენის დღიდან გრძნობს და რომელსაც დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული ლაბირინთის მარადიული მეზობლობა იწვევს; მაგრამ თავად ასე არ ფიქრობს, არ უნდა ასე რომ იფიქროს და არათუ აწუხებს, უხარია კიდეც, თანდათანობით თვითონაც იმ ლაბირინთის ბინადარს რომ ემსგავსება (შიში შეიქმს სიყვარულსა), არა მარტო სახით, სულითაც, თუმცა,

ჯერ თვალით არ უნახავს ისინი და თუკი რამე იცის იმათ შესახებ, ყურმოკრულად, ჭორად გაუგია, ან სადმე ამოუკითხავს, როგორც მითიურ მინოტავრზე. მაგრამ გენეტიურად მიღებული შიში მომავლისა, თავისთავად ცხადია, იმ პირქუში ლაბირინთიდან გამოჟონილი, მისდაუნებურად აიძულებს განუწყვეტლივ ემზადებოდეს გარდუვალი პატიმრობისათვის, როგორც ველუმი ემზადებოდა ბავშვობიდანვე დაკითხვისთვის, ცემისთვის, სიცივისა თუ შიმშილის ასატანად. იმასაც სხვა რაღა დარჩენია?! ემზადება მინოტავრთან შესახვედრად და, ნებაყოფლობით დაბორკილი, დაჟღარუნობს პარიზის ქუჩებში, ანდა ღვთისმშობლის ტაძრის კედლის ძირას მზეს მიფიცხებია, საყდრის გლახასავით, ყელზე ჯაჭვშებმული და თავზე რკინის სალტეჩამოცმული. იმათხოვრებს, რათა არ იმუშაოს. იშიმშილებს, ოღონდ მშობლის კმაყოფაზე არ იყოს. ისიც მშობელს აბრალებს ყველაფერს. თითქოს მშობლის ბრალია მარადიული ლაბირინთის არსებობაცა და იმ ლაბირინთის მიერ აღძრული ჩვენებებიც. ამიტომ, თავქუდმოგლეჯილი გამორბის მშობლიური გარემოდან, დაქირავებულ წალოში ცხოვრობს, უტუალეტოდ, უაბაზანოდ. სანახევროდ მშიერი, მთელი დღე წრუპავს კოკა-კოლას პლასტმასის "ლერწმით", ცეკვავს წაქცევამდე და, თავისუფლებისგან დამფრთხალი, ხსნას დამოუკიდებლობაში ხედავს, თუმცა, იძულებულია კვირაში ორჯერ მაინც შეირბინოს უარყოფილ მშობლებთან, ვითომ რომელიღაც დავიწყებული ნივთის წამოსაღებად, სინამდვილეში კი, მშობლის ზურგს უკან სასწრაფოდ აწაპნული კატლეტისა თუ ძეხვის ნაჭრის შესასანსლად, კიბეზევე, სადარბაზოდან გამოსვლამდე. დამოუკიდებლობის

გულისთვის ნებისმიერ დამცირებას აიტანს, ოღონდ თავად მოიპოვოს ჰამბურგერი მისი არსობისა, დისკოთეკა მისი სულისა; ოღონდ არავინ იკითხოს მისი ამბავი, არც დედამ, არც მამამ, - სად დადის, რას აკეთებს, რას ჭამს. მის მიმართ გამოჩენილი ნებისმიერი ყურადღება აფრთხობს, რადგან უპიროველეს ყოვლისა, მისნაირთა ჯოგიდან გამოცალკევებასა და მართლაც დამოუკიდებლად აზროვნებას, დამოუკიდებლად მოქმედებას ავალდებულებს. ის კი დამოუკიდებლობას თამაშობს (ძირითადად მშობლის ჯიბრით, რომელმაც სამინოტავროდ გაიმეტა, ჯერ კიდევ ჩასახვამდე) და ამითაც კმაყოფილია, როგორც რიგითი მსახიობი - ნებისმიერი როლით, თუკი ანდობენ, თუკი რამედ ჩააგდებენ თეატრის მესვეურები. მაგრამ მათი კმაყოფილებაც მოჩვენებითია და, ამდენად, გამაღიზიანებელიც, როგორც აქაურთა უკმაყოფილება, რადგან თავადაც გრძნობენ, ვერაფერს რომ ვერ შექმნიან იმაზე უკეთესს, რასაც გაურბიან, რაც ყელში ამოუვიდათ, ტკბილივით მოყირჭდათ უცებ. ფრანსუაზაც ერთი იმათთაგანია, ოღონდ, იმათგან განსხვავებით, იმათი თვალსაზრისით უკვე ყოვლად დრომოჭმული, სამუზეუმო, უფრო მეტიც, სუსუნაკსა და ტრიქომოიდზე ბევრად საჩოთირო სენითაცაა შეპყრობილი და თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნილებათა შესაბამისად, წამიერი და მძაფრი შეგრძნებებით კი არ კმაყოფილდება შემთხვევიდან შემთხვევამდე, არამედ ერთადერთსა და მთელი დანარჩენი სიცოცხლის გადამწონავ შემთხვევას ეწირება შეგნებულად, საკუთარი ნება-სურვილით. ფრანსუაზას უკვე ნაყლაპი აქვს მარადიული სატუსაღოს დამყაყებული ჰაერი და უკვე უჭირს თავისუფლად სუნთქვა, ანუ, მიზანდასახული

სიჯიუტით ეთიშება მშობლიურ გარემოს, რადგან მისი ერთადერთი სურვილი სატუსაღოში დაბრუნებაა და არაფერს ერიდება საამისოდ, დღე და ღამე გასწორებული აქვს, კიდეც სწავლობს, კიდეც მუშაობს, უფრო სწორად, ვეღარც სწავლობს და ვეღარც მუშაობს. გამოუძინარი, დაღლილი, ხან გამოცდის ჩასაბარებლად გარბის უნივერსიტეტში, ხან გიდად დაყვება საბჭოთა ტურისტების ჯგუფს. კაპიკს კაპიკზე აწებებს, მოსკოვში ჩამოსასვლელი ფული რომ შეაგროვოს როგორმე. დილაუთენია, დაუნდობელი, კაპასი მაღვიძარას ზარით წამოგდებული, სულ ძილს ებრძვის, ტრანსპორტშიც, მაგიდასთანაც, ტუალეტშიც. არადა, ყველას კვერცხი უნდა უგოროს, ყველას ფიანდაზად უნდა გაეგოს ფეხქვეშ, რათა აპატიონ ეს მოურეველი სურვილი, მიეხმარონ, ხელი შეუწყონ, აღასრულებინონ აღუსრულებელი, ანუ, პარიზიდან, სენას ხავერდოვანი ნაპირებიდან, აყვავებული წაბლების დამათრობელი ფშვინვიდან, ისევ პირქუში ლაბირინთის მარადიულ ნესტსა და სიცივეში შეაღწევინონ, ჩაასუნთქვინონ უკვე ფუნქციადაკარგული, გაბლანტებული, ძნელად ჩასასუნთქი ჰაერი. *იქნებ ამ წერილმა მაინც მოაღწიოს შენამდე.* ეტყობა, ზედმეტად გულახდილი წერილი იყო და აქამდე "ამუშავებენ", სადაც ჯერ არს. *შეგიძლია მომილოცო - ჩავაბარე ბოლო გამოცდა და მოვიპოვე ეგრეთ წოდებული "ლისენსი" - თქვენებურად ალბათ დიპლომი. კიდევ ერთი წელი და მოგჭამა სწავლამ ჭირი. აღარც გავიხედავ სორბონასკენ.* არადა, მაინცდამაინც, სორბონა უნდოდა ეჩვენებინა აველუმისთვის, მაგრამ უშედეგოდ. ორჯერ მიეცა აველუმს შესაძლებლობა და ვერც ერთხელ ვერ მიაღწია იქამდე, ცალი თვალით მაინც რომ შეეჭყიტა,

შორიდან მაინც დაენახა, როგორ ლოღნის პურის ყუას ცარიელ აუდიტორიაში მისი სულიერი თანამესუფრის აწ განსვენებული მაგისტრის ალკოფრიბას ნაზიეს აჩრდილი. *თან მთარგმნელად ვმუშაობ საბჭოელ ტურისტებთან. ახლა ოცდაათკაციანი ჯგუფი მყავს. ჩვენში რომ ვთქვათ, საკმაოდ ძნელი სამუშაოა, მაგრამ რა გაეწყობა - ეს ვიცი მხოლოდ. როგორც არ უნდა გაგიკვირდეს, კარგი ხალხია - წყნარი, დამჯერი.* ცოტა ხანს აცალე, ჯერ ხამად არიან. *მარტო ის არ სჯერათ, მართლა რომ ფრანგი ვარ. ალბათ რუსი ემიგრანტის შვილი ხართ და იმიტომ იცით რუსულიო. არ სჯერათ, რომ შეიძლება არარუსმაც ისწავლოს რუსული. მით უფრო თავისი სურვილით. ვისაც ვაძალებთ, ისინი არ სწავლობენ და თქვენ რა გრჯითო - მიღიმიან უნდობლად. ხომ არ ვეტყვი გაჩენის დღიდანვე ვიცოდი, მაინცდამაინც თქვენს ქვეყანაში რომ გადავეყრებოდი ჩემს ბედისწერას-მეთქი; ვიდრე ფრანგულად მადლობის თქმას ვისწავლიდი, რუსულად დედას ვიგინებოდი მეთქი. მაინც არ დამიჯერებენ. პირიქით, უარესად დაფრთხებიან მხოლოდ. ამ წერილს პროვინციულ ქალაქ პუატვენში ვწერ, მაგრამ რომელი ქალაქიდან გამოგიგზავნი ჯერ არ ვიცი. აღარ შემიძლია. საშინლად დავიღალე. რამდენჯერ შეიძლება მაინც დაათვალიეროს ადამიანმა საკუთარი სამშობლო. ფეხები ისე მტკივა, თითქოს მთელი დღე თიხას ვზელდე. ცოტა გავცივდი კიდეც. ეს კი ძალიან ცუდია. მე თხასავით ვაცხიკინებ, თქვენებურები კი გულიანად იცინიან. იმათ ჰგონიათ, ასეა საჭირო: გიდმა უნდა აცემინოს, ტურისტმა იცინოს. ძალიან მენატრები. ერთი მხრივ კარგიცაა ამდენი სამუშაო რომ მაქვს. გთხოვ, ნუ ინერვიულებ, წერილი თუ დაიგვიანებს. ბოლოს და ბოლოს, რა ჩემი ბრალია, თუკი ჩემი*

*წერილები ვერ აღწევენ დანიშნულ ადგილამდე.* დანიშნულ ადგილამდე ალბათ აღწევენ, ადრესატამდე კი ვერა. ეს სხვადასხვა ცნებებია. მაგრამ ზედმეტი გულისხეთქვა საჭირო არ არის. მაინც ვერ გაიგებს ჯერჯერობით ამგვარ საბჭოურ მაქინაციებს. ამის დროც მოვა. კიდეც გაიგებს, კიდეც მიხვდება, კიდეც ირწმუნებს. *უკვე მესამე წერილს გიგზავნი. როგორც სჩანს, წინა ორი არ მიგიღია. აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე. მაინც სად ქრება ჩემი წერილები შენი აზრით?!* იანის ჯიბეში. *ყოველთვის ხომ ვერ ჩამოვლენ ნაცნობები საბჭოეთში?! სხვას ვის ვანდო? ქარსა თუ წყალს? გუშინ წავიდნენ ჩემი ტურისტები. ძალიან დამწყდა გული. ერთმა კომკავშირის სამკერდე ნიშანი მაჩუქა, მეორემ - ციმბირული ქვის ნამტვრევი. მესამემ - საკუთარი ცოლის ფოტოსურათი. რომელიღაც დიდი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ყოფილა. მე რა უნდა მეჩუქებინა სანაცვლოდ?! ავდექი და მთელი ჯგუფი ჩვენებურ ღვინოზე დავპატიჟე (შენც ხომ ასე მოიქცეოდი?!). ძალიან ისიამოვნეს. ეგაა რომ, ცოტა სიმაგრე აკლიაო. კაცია და გუნება. მოკლედ, ძალიან დამწყდა გული. სანამ აქ იყვნენ, ასე მეგონა, შენთანაც მქონდა რაღაც კავშირი და აი, ბოლო ძაფიც გაწყდა... ამბობენ, ნოემბრის ბოლოს ქართველების ჯგუფი ჩამოდისო. ეს კი ნამდვილად დიდი ბედნიერება იქნება, ოღონდ არ გეტყვი, რატომ. გკოცნი. ველი შენგან ახალ ამბებს. ველოდები წიგნს.* რომელ წიგნს?! მინოსის ღორები ერთმანეთს პირიდან რომ გლეჯენ ბავშვის თავ-ფეხს?! შენ გგონია, ის წიგნი როდისმე იხილავს დღის სინათლეს?! *ეტყობა, ჩემი წერილი ისევ დაიკარგა. იქნებ ეს მაინც მიიღო.* ეს იანის საქმეა. ის გადაწყვეტს, მიიღებს თუ არა. *რაც შეეხება ჩემს ჩამოსვლას, ჯერჯერობით, გაურკვეველია. არაფერი*

*არ ვიცი. რაკი ფული არა მაქვს, ვერც წინასწარ ვიტყვი რამეს. თანაც, აქ უნდა ვიყო აუცილებლად აპრილის დამდეგამდე, თუ მინდა რომ საერთოდ დავამთავრო უნივერსიტეტი. თითქოს ვსწავლობ, მაგრამ მაინც არაფერი ვიცი. თითქოს ვმუშაობ, მაგრამ ფული მაინც არა მაქვს.* ამის მერე ყველა წერილი მართლა ტყუპისცალივით ემსგავსება დანარჩენებს. სულ სწავლობს, სულ მუშაობს, სულ გამოცდაზე ჩაჭრის ეშინია და სულ უფულობას უჩივის. *ბევრს ვმუშაობ. დამთქნარების დროც არა მაქვს. არადა ვერაფერს ვასწრებ და ფულსაც ცოტას მაძლევენ. ერთი ჩემი მეგობარი მეპატიჟება (მოსკოვშია გათხოვილი), მაგრამ ალბათ ვერ მოვახერხებ. თავს ზემოთ ძალა არ არის. ვნახოთ, რა იქნება ხვალ. სხვათა შორის, იანი უფრო მეტს მწერს, ვიდრე შენ. გუშინ ორი წერილი ერთად მომივიდა. შენზე ამბობს, ნერვიულობსო და რაც შეიძლება ხშირად, რაც შეიძლება ბევრი მოიწერე მაქაური ამბებიო. იმედი მაქვს აღარ ნერვიულობ, თუკი, რასაკვირველია, ეს წერილი მაინც მიიღე. ბოლო დროს პარიზი პირდაპირ წალეკეს საბჭოელებმა. მგონი გამართლდეს შენი წინასწარმეტყველება. თუმცა ჩემი თანამემამულეები, შენგან განსხვავებით, საშიშს ვერაფერს ხედავენ ამ ამბავში. ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით. მათ შორის - მეც. შენთან შედარებით ჩვენ უფრო საბჭოელები ვართ. მაგალითად, ჩემი ერთი და ლენინელია, მეორე მაოისტი, მესამე კი ტროცკისტი. ვმუშაობდი წითელდროშოვან ანსამბლთან. მთელ თეატრში ჩექმის სუნი იდგა. დიდი ანსამბლია. ახლა აზერბაიჯანელ დირიჟორთან ვმუშაობ. იყო მწერლების რამდენიმე დელეგაციაც (შენ არ გთვლიან მწერლად?). ერთს, სხვათაშორის, ქართული გვარი ჰქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ გვარით აღმოჩნდა ქართველი.*

საქართველოს ამბები ჩემზე ცუდად იცოდა. მეც გვარმა შემაცდინა თავიდან. ვიფიქრე გამოველაპარაკები და იქნებ თვითონვე ახსენოს-მეთქი, სიტყვას მოაყოლოს მეთქი. ბოლოს კი ჩემი ნებით ჩავუვარდი ურჩხულს ხახაში. ქართველისა რა მოგახსენო, ურჩხული კი ნამდვილადაა - გესლიანი, საშიში. მე კი შესაფერ შემთხვევას ველოდებოდი, გულითადი საუბარი რომ გამება იმასთან და როგორც კი დრო ვიხელთე, მაშინვე მივახალე: დღეს ვინ არიან თქვენთან გამოჩენილი მწერლები მეთქი. თან გული ამოვარდნაზე მაქვს, ველოდები როდის გავიგებ შენს სახელს, როდის მეტყვის, რასაკვირველია, პირველ რიგში ესა და ესაო. საქმეში ხარ! იმანაც ის ხალხი დაასახელა, ვისაც ყველა საბჭოელი ტურისტი ასახელებს, დარიგებულივით:

ახმადულინა
ვოზნესენსკი
ევტუშენკო
როჟდესტვენსკი

*რომელიღაც იმათგანის ლექსივით აქვს ყველას დაზეპირებული. არადა, საცაა გამისკდება გული, ბაგაბუგი გაუდის, შენს სახელს გაჰკივის მთელი ხმით. მიკვირდა კიდეც, როგორ არ ესმოდა იმასაც. არადა, მშვენივრად ესმოდა თურმე. აშკარად სწყინს და ტუჩაბზუებული მეუბნება, მე ქართველი არა ვარ, საიდან მოიტანე ჩემი ქართველობაო. შეიძლება ჩემი შორეული წინაპარი მართლა იყო ქართველი, მაგრამ მე თუ ვინმე არა ვარ, სწორედ ქართველი არა ვარო. გვარი ეროვნებას არ განსაზღვრავს და ამის უამრავი მაგალითი არსებობს მსოფლიო ლიტერატურაშიო. მოკლედ, ძალიან გამიბრაზდა. კი მაგრამ, თქვენ რა კავშირი გაქვთ საქართველოსთანო - მეკითხება ცოტა ხნის მერე - რატომ გაინტერესებთ მაინცდამაინც ქართველი მწერლებიო - იღიმება დამცინავად. შემეშინდა, მაგრამ რა შემეშინდა! შენი სახე დამიდგა მაშინვე თვალწინ. ენა ჩამივარდა. არა, პირიქით, ენად გავიკრიფე, მივედ-მოვედე ღობე-ყორეს, მივუკიბ-მოვუკიბე ათასი სისულელე. ნამყოფი ვარ საქართველოში მეთქი. რუსთაველის იუბილეს დავესწარი და იქაური მწერლებიც მაშინ გავიცანი მეთქი. მაინც რომლებიო, მე, პირადად, არ მეგულება იმ დონის ქართველო მწერალი, თქვენი ყურადღების ღირსი იყოსო - იტყლარჭება უშნოდ. ღვარძლი სახეზე ჩამოსდის. რა შეემთხვა ასეთი, საცოდავს? ალბათ მძიმე ცხოვრება აქვს გამოვლილი. ცოდოა, რასაკვირველია. მაგრამ ახლა იმის შემეშინდა, არ ჩამაცივდეს, როგორღაც არ დაადგინოს შენი ვინაობა და რამე უსიამოვნება არ შეგამთხვიოს მეთქი. ყველაფერია მოსალოდნელი ასეთი უბედური ადამიანისგან (სხვათა შორის, სულ ავადმყოფობდა, სულ სასტუმროში იჯდა). მწერლობა საერთოდ*

ნაკლებად მაინტერესებს, უბრალოდ ქართველი მეგონეთ და მხოლოდ იმიტომ დავიწყე ამ თემაზე საუბარი მეთქი. ვატყუებ ჩემი ჭკუით. ის კი ისევ ისე იღიმება, თვალები ზეთის გუბეებივით უბზინავს და ქირქილებს - თქვენ ალბათ ესა და ეს კაცი გაინტერესებთო (მაინც ახსენა შენი სახელი!). არა მეთქი - ვიყვირე, გავასავსავე ხელები. რაღა მაინცდამაინც ეს კაცი მეთქი. თქვენ რა იცით, საიდან იცით, ანდა რატომ უნდა იცოდეთ მე ვინ მაინტერესებს მეთქი. ველარ ვსუნთქავ. გულიც აღარ მიფეთქავს. მკვდარი ვდგავარ ფეხზე და სულელურად ვიღიმები. იმას ვუღიმი. იმას ველაქუცები. იმის მოთაფვლას ვცდილობ. მწერლობაზე სხვა დროს გავაგრძელოთ საუბარი მეთქი, არც თითო ჭიქა კარგი ფრანგული ღვინო გვაწყენს მეთქი. მოკლედ, რაც არ უნდა მითხრას, თანახმა ვარ, რასაკვირველია, შენი გულისთვის (მიაქციე ამას ყურადღება, სცენები რომ არ გამიმართო მერე, როგორც გჩვევია). საბედნიეროდ, მშვიდობიანად დავშორდით მაინც. თავისი წიგნი მაჩუქა, წარწერით. ცამდე ამიყვანა ქათინაურებით. ფრანგულ მშვენიერებას რუსული მადლიერებითო. რა ჩემი ბრალია?! წიგნს რომ მაძლევდა (სხვათა შორის, ყველამ მაჩუქა წიგნი და ყველამ დანარჩენთა უჩუმრად), მაშინ მითხრა სწორედ, ის არის ჩვენში მეტნაკლებად ცნობილი ქართველი, მაგრამ არა როგორც მწერალი, არამედ როგორც დიდი მუსუსიო. აი, ეგ კი ნამდვილად არ მაინტერესებს მეთქი - ავიფარე ყურებზე ხელი. ის კი თავისას მიერეკება, მიყვება და მიყვება შენს სასიყვარულო თავგადასავლებს. რატომ უსმენ, რატომ ითმენ, რატომ არ ბრაზდები მეთქი, ვუყვირი გუნებაში ჩემს თავს, მაგრამ კი არ ვბრაზდები, უარესად ვფრთხები. ხომ შეიძლება ჩვენი ამბავიც იცოდეს?! რა

*გასაკვირია?! სხვათაშორის, ბევრი რამ უიმისოდაც ვიცოდი, ადრეც მქონდა გაგებული სხვებისგან. ასე რომ, ყველაფერს როდი ტყუოდა შენი ყოფილი თანამემამულე. სიამოვნებისგან ხელებს იფშვნეტდა ჩემი შემხედვარე. ეგ არის, რომ აშკარად ვერ გიტანს. რაღაც პირადი ანგარიში უნდა ჰქონდეს შენთან. ხვდები, ვის ზე გეუბნები? იცნობ? ლამაზი ცოლი ჰყავს? და მაინც საშინელი მოწყენილობაა უშენოდ. მადლობა ღმერთს, ბევრი სამუშაო მაქვს, ბევრს ვმეცადინეობ. რატომ შენზე არ მწერ არაფერს? გკოცნი. მართლა აპირებ ჩამოსვლას?* ეგ ვიღამ უთხრა? ისევ ჩვენმა საბჭოელმა კოლეგებმა გააშაყირეს ალბათ, ვირეშმაკა პოეტებმა. ჩვენთან ერთად არ იკადრა წამოსვლა და ცალკე მოდის სტალინის ვაგონითო. იმანაც დაიჯერა. რა ქნას, პატარაა ჯერ, თანაც ევროპელი. ბევრს მუშაობს, ბევრს მეცადინეობს, მაგრამ ფული მაინც არა აქვს, არაფერი იცის, ძილიც აკლია და, რაც მთავარია, შეყვარებულია. *მიყვარხარ. ეს წუთია დავბრუნდი ჩემი დიდი ქვეყნის სამხრეთიდან და ბედნიერი ვარ - დამხვდა შენი წერილი. უღრმესი მადლობა. არ ვიქნები პარიზში 20 თებერვალამდე. ოლიმპიურ თამაშებზე მივდივარ (რა თქმა უნდა, თარჯიმნად). მაგრამ შენ მაინც მომწერე, ვიდრე შენი წერილი ჩამოაღწევს, მეც დავბრუნდები. სასრიალოდ და საგუნდაოდ არ მივდივარ, შენც ხვდები ალბათ. გშორდები, რათა მოგიახლოვდე. სხვა მხრივ ყველაფერი ძველებურადაა. შენთან? ჩვეულებისამებრ, ახლაც არაფერს ამბობ შენზე. მუშაობ? სვამ? გძინავს? სხვა რა შეიძლება გკითხო? გილოცავ ახალ წელს. არაფერი არ მავიწყდება. შემიძლია ჩვენი განშორების წლისთავიც მოგილოცო. აი, უკვე მთელი წელია... გამარჯობა. როგორც იცი, თვენახევარი გრენობლში ვიყავი. სხვათა*

შორის ელლა ვნახე იქ. არ ვიცი, მსახიობად როგორია, მაგრამ საკმაოდ უცნაური ქალია. ჯერ ვერ მიცნო (რაც სრულებით არ გამკვირვებია), მერე კი, ცოტას მორჩა, თმით მათრია, როგორ ვერ მიცანიო. მაინცდამაინც, კარგად ვერ უნდა ჰქონდეს საქმე. ერთ წელიწადში მეხუთედ გავთხოვდიო. მართლა დიდი ცვლილებები მომხდარა მის ცხოვრებაში. მითხრა, მოვალ, ვილაპარაკოთო, მაგრამ აღარ გამოჩენილა. შეიძლება, რამე ეწყინა. შეიძლება, დავავიწყდი. არ ვიცი. შენ უფრო გაარკვევ მანდ. აი, ასეა საქმე. დღეში ერთი საათით მაინც რომ შემეშვებოდე, დიდი შეღავათი იქნებოდა, ცოტათი მაინც მოვითქვამდი სულს. მაპატიე, შენ რომ გეუბნები ამას, მაგრამ ვის ვუთხრა? ვიცი მალე ვერ გნახავ და იმიტომ ვიღრინები. ალბათ ზამთრამდე არაფერი არ გამოვა. ისევ უფულობის გამო. გადავდივარ ახალ ბინაში. სრულიად ცარიელია. სკამიც არ მაქვს. მომწყინდა. ასეთია ჩვენთან დამოუკიდებელი ცხოვრება. სესილი და მისი ქმარი პარიზში გადმოვიდნენ სამუშაოდ. ოთხი წლით. მოსკოვში რომ არ ემუშავა სესილის ქმარს, ვერასოდეს გაგიცნობდი. ადამიანები უფრო მეტად არიან ერთმანეთზე დამოკიდებულნი, ვიდრე ჰგონიათ, ანდა ამჩნევენ. სესილს ყველაფერი გულახდილად მოვუყევი და იმანაც ყველაფერი მშვენივრად გაიგო. სხვა არაფერია ახალი. ეგ არის რომ საშინლად მიყვარხარ და გკოცნი. იმედია მიიღე ჩემი წერილი, ანდა მალე მიიღებ. კოშმარები არ მაკლია, მაგრამ კოშმარებისთვისაც მადლობელი ვარ. ხანდახან ისეთი საზარელი ფიქრები მომდის თავში, თვითონვე მეშინია. სრულიად შემთხვევით შევიტყვე, რომ ადამიანებმა, რომლებიც პირადად არ მიცნობენ, ბევრი რამ იციან ჩვენს შესახებ. ალბათ შენ გიცნობენ, თორემ

სხვანაირად... არ ვიცოდი, ასეთი ვარსკვლავი თუ იყავი. ჩავაბარე არცთუ ძალიან სერიოზული გამოცდა და უკვე უფლებამოსილი ვარ, თავი გიდად ჩავთვალო. ბებია გარდამეცვალა კიბოთი. მე და დედა მეორე ბებიასთან წავედით ათი დღით, სამხრეთში, ჩვენს კუნძულზე. სასაცილოა, მაგრამ ფული მაინც არა მაქვს. არ ვიცი, როგორ ვიშოვო... ფიქრისაც მეშინია... გამოსავალს ვერ ვხედავ... მაგრამ მაინც არ გავტყდები. ჩემი ერთადერთი სურვილი მანდ ჩამოსვლაა და ჩამოვალ კიდეც. აი, ნახავ! გკოცნი. არ დამივიწყო. მომწერე. დღეს მივიღე შენი წერილი. დიდი მადლობა. ცოტათი დავმშვიდდი. რაც მართალია, მართალია, მოულოდნელი და უცნაური დღეები გადავიტანეთ. ალბათ თქვენც გაიგებდით. ცოტათი თითქოს ჩაწყნარდა ყველაფერი. მაგრამ წინ რა გველოდება, ჯერ არავინ იცის. ასე რომ, მშვიდად ცხოვრება პარიზში უბრალოდ შეუძლებელია. მშვიდად თქვენ ცხოვრობთ მანდ - ყველაფრისგან იზოლირებულნი საიმედოდ. მშურს თქვენი და მენატრებით. გარდა ამისა, უფულოდ ვარ. ვერც სწავლის საქმეა, მაინცდამაინც, კარგად. მაისსა და ივნისში ვერაფერი მოვახერხე და, სიცოცხლეში პირველად, ალბათ პარიზში მომიწევს ზაფხულის გატარება. თუმცა, რაკი საბჭოეთში ვერ მივდივარ, ყველაფერი სულერთია. შენ რას იტყვი. იყავი მოსკოვში? ნახე ელლა? თუმცა მაინც არაფერს იტყვი. გკოცნი. მიყვარხარ. პირველად აღმოჩნდნენ ჩემს ჯგუფში ქართველები. საქართველოდან. მაგრამ მაინც შეძლებისდაგვარად ვიკავებდი თავს. ხომ გაგიგია, რძით შეშინებული დოს უბერავდაო. ყველანაირად შევეცდები ზამთარში ჩამოვიდე. როგორ მიდის წიგნის საქმე? გმირი მართლა ტიტველია? კი მაგრამ, შეიძლება საბჭოეთში ასეთი რამ? ძალიან დავიღალე. თვის

*ბოლოს იქნებ მშობლებს ჩავაკითხო ორი კვირით. ცარიელი პარიზის მეშინია. შენ მიდიხარ აგარაკზე?* (ჰმ, ჰმ...). *გკოცნი. ველი შენგან ახალ ამბებს. მიყვარხარ. ამწინებზე ლეონ ფუშე და მისი ცოლი შემხვდნენ. წავედით რესტორანში. ბევრი ვილაპარაკეთ შენზე. მეპატიჟებიან. ვნახოთ. წინასწარ მეშინია რამის თქმა. გადავედი ახალ ბინაში. შხაპიც მაქვს და ტელეფონიც. განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გუშინ გამოცდა ჩავაბარე. ჯერჯერობით ვმუშაობ. არ ვიცი როგორ იქნება ჩვენი საქმე, სამი თვე თუ სჭირდება წერილს მანდ ჩამოსაღწევად.* და უცებ: *ძალიან ვღელავ. უკვე დავიწყე საბუთების შეგროვება. იანვარში ან თებერვალში. აუცილებლად უნდა ვიცოდე, შევხვდებით თუ არა იქ. სწავლისთვის დრო აღარ მრჩება. მშობლებთან ვცხოვრობ. მარტო რომ ვიყო, ვერავითარ შემთხვევაში ვერ გავიღვიძებდი. გკოცნი და ნახვამდის. ღმერთო! ღმერთო! ეტყობა, ჩემი ორი წერილი სადღაც დაიკარგა.* იანის ჯიბეში. *ერთი თვის მერე, შეიძლება უფრო ადრეც, მოსკოვში ვიქნები. ყველაფერი ეცოდინება ლეონ ფუშეს... უკვე ვიწყებ ღელვას. ვთქვათ და ვერ მოვახერხე... ვთქვათ და თვითმფრინავი... ვთქვათ და ატომური ომი დაიწყო!!! მიყვარხარ. გკოცნი და მალე მენახო.* წარმოიდგინეთ, რა დღეში იყო აველუმი! ვიდრე ლეონ ფუშე და მისი ვაჟიშვილი კოლია-კლოდი სპეციალური უცხოური ჯაგრისებით მანქანის სახურავიდან თოვლსა ყრიდნენ, ის სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა, თუმცა, წუხანდელ ნაბახუსევს პირი ისედაც გამოთუთქული ჰქონდა. თოვლის მტვერი სახეზე უსიამოდ ეწებებოდა, ის კი მაინც არ იცვლიდა ფეხს, თითქოს ორი ნაბიჯითაც თუ მოშორდებოდა იქაურობას, უიმისოდ წავიდოდნენ, არ დაუცდიდნენ, ვერ მოასწრებდა მანქანაში ჩაჯდომას.

სასა წებოვანი ნერწყვით ამოგლესვოდა. თავი ლამის გასკდომოდა. მაგრამ რაკი დამსახურებულად იტანჯებოდა, მორჩილად იტანდა ყველაფერს. გუშინდელი დღეც (ერთი დღით ადრე ჩამოფრინდა მაინც, ყოველ შემთხვევისთვის), უაღრესად მოსკოვური, ანუ ერთი გაუთავებელი ღრეობა აღმოჩნდა და მეტი არაფერი (თუმცა, წესით, თითქოს ვერც უნდა მოეცალა საამისოდ), საიდანაც, ღვთის წყალობით, ცოცხალს კი გამოეღწია, მაგრამ სულიერადაც და ხორციელადაც ისე იყო ნაგვემი, ისე აწამებდა სინდისის ქენჯნა, თქვენ წარმოიდგინეთ, თავის აუტანელი ტკივილიცა და გულისრევის განუწყვეტელი შეგრძნებაც, გარკვეულ შვებას ანიჭებდა, როგორც ბოროტმოქმედს - სასჯელი.

ისა და იანი გუშინ ჯერ "იაკორში" დათვრნენ - ვითომ, თევზის კარგი წვნიანი იციან იქაო - მაგრამ აველუმს ნერვიულობისაგან კრიჭა ჰქონდა შეკრული. საერთოდ ვერ შეჭამა ვერაფერი და ძირითადად სასმელს მიეძალა. სმაში არც იანი ჩამორჩენია. წარამარა თვალს უპაჭუნებდა, ახსენებდა მესაიდუმლე რომ იყო მისი, თევზეულით გასისინებული და სასმელისგან სახეწამოჭარხლებული. მე მგონი არ შემშლია, აქ რომ წამოგიყვანეო - ამადლიდა მშიერ კუჭზე ერთბაშად დამთვრალ აველუმს. ის კი გულწრფელად იყო მადლობელი იანისა, შინ რომ დახვდა და ბინის საქმე მოაგვარებინა, აქ რომ ისხდნენ ახლა და ოფიციანტ გოგოს ეარშიყებოდნენ ზერელედ, ზრდილობისათვის, დროს გასაყვანად. აველუმმა სახელიც კი ჰკითხა ოფიციანტს და იმანაც მაშინვე ხალისით უპასუხა, არ შეუღრენია წესისამებრ. საერთოდ გულიანი გოგო იყო, მოწადინებული ემსახურებოდათ. გაღიმებისას თავისთავად ეხუჭებოდა თვალები. ლიდა ერქვა. უბინაოდ დავრჩი და ამაღამ შენთან უნდა წამოვიდეო - მშვიდად, თითქოს სხვათაშორის უთხრა აველუმმა. სამწუხაროდ, მეც უბინაო ვარო - თვალები მოუჭუტა ლიდამ. აბა, ერთად ვეძებოთ ღამის გასათევიო - გაუღიმა აველუმმაც. ვითომდა ხუმრობდა, სინამდვილეში კი, ასე ცდილობდა შინაგანი მღელვარების ჩაწყნარებას. თავს არ უტყდებოდა, თორემ ყველაზე ძალიან მარტო დარჩენისა ეშინოდა განთავისუფლების წინა ღამეს. თუ მართლა გინდა, ჩემთან წამოიყვანეო - გადაუჩურჩულა იანმა და, შეთქმულივით, ერთხელ კიდევ ჩაუპაჭუნა თვალი. აველუმმა უარის ნიშნად თავი გააქნია. უნდოდა, რაღაც ამაღლებული, საზეიმო ეთქვა, მაგრამ იგრძნო ხმას ვერ დაიმორჩილებდა, ისე აუჩუყდა უცებ გული.

იქიდან, ვითომ ყავის დასაყოლებლად, "პეკინში" წავიდნენ. ახლოც იყო და ასე გვიან მარტო იქ თუ იშოვნიდნენ ადგილს. ჯერ ერთი ბოთლი კონიაკი შეუკვეთეს და მერე ყავა, ისიც ზრდილობისათვის. "პეკინში" კი, ჩვეულებისამებრ, არასასიამოვნო სუნი იდგა. ორკესტრი მთელი ხმით გაჰკიოდა. ოფიციატნს ქართველის დანახვაზე, უარესად დაუმრგვალდა ისედაც მრგვალი, ტიტველი, დაფუფქულივით ალაპლაპებული სახე. მუშტი მიკროფონივით მიიტანა პირთან და ღიმილით თქვა: სპეციალურად თქვენთვის შევინახე ერთი კოლოფი უცხოური სიგარეტიო. მთვრალი გოგოები წურბელებივით მიჰკვროდნენ არყისგან გამოლენჩებულ კავალრებს. ლამაზები კი იყვნენ, მაგრამ უშნოდ ცეკვავდნენ, ყველანი თავისებურად, თითქოს ცეცხლწაკიდებულ თაგვს დასდევდნენ დასაჭერად რესტორნის აღმუვლებულ ბუღში. დასაჭერად კი არა, ადგილზე გასასრესად. თითქოს თაგვს აჩვენებდნენ, თუ დაგიჭირეთ, აი, ასე გაგსრესავთო. ის გოგო უნდა წამოგვეყვანაო - თქვა იანმა. ახლა მეც ვნანობო - უპასუხა აველუმმა. ძირითადად ამით ამოიწურა მათი იმჟამინდელი საუბარი. ხოლო, რესტორნიდან რომ გამოვიდნენ, ტაქსის რიგში, ადგილობრივ პოეტს გადააწყდნენ (იანი იცნობდა შორიდან) და, რატომღაც, ძალიან გამოიდეს თავი, გინდა თუ არა, ჩვენთან უნდა წამოხვიდეო, თითქოს თავად იყვნენ მასპინძლები და არა ის, ადგილობრივი, მოსკოველი. უფრო სწორად, იანი არ მოეშვა - არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ჩვენი შეხვედრაო - თითქოს მონატრებული ჰყავდათ ერთმანეთი. შეიძლება იმის გამო მოიქცა იანი ასე, ჯერ კიდევ პირველი დღეები რომ იდგა ახალი წლისა და შინ ვიღაცის მორთმეული ღვინო ეგულებოდა; შეიძლება

იმის გამოც, იმას, მოსკოველს, გაგებული რომ ჰქონდა აველუმის სახელი, რაც დიდ პატივად ჩათვალა, არა მარტო აველუმისთვის, არამედ თავისთვისაც. მაგრამ ალბათ მაინც იმ დაუწერელი კანონის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა, რომლის ძალითაც მოსკოველი პოეტი ყველგან და ყოველთვის საპატიო სტუმარია საბჭოეთის მასშტაბით. აველუმი ლაპარაკში არ ჩარეულა, იმიტომ კი არა, სხვა ჭკუაზე რომ იყო თავად იმწუთას, უბრალოდ ეშინოდა, რამე არ წამოსცდენოდა ზედმეტი, ვინმე არ გაენაწყენებინა უნებლიეთ - სულ ცუდის მოლოდინი ჰქონდა, მთვრალსაც კი, თითქოს დააბეზღებდნენ, ეგ უცხოელთან შესახვედრად არის ჩამოსული მოსკოვში და ჩვენც თუ გველაპარაკება, მხოლოდ თავისი განზრახვის შესანიღბადო; ან კიდევ უარესი, ფრანსუაზა არ ჩამოვიდოდა, ბოლო წამს რაღაცა მოხდებოდა გაუთვალისწინებელი და ამდენი ხნის მშფოთვარე მოლოდინი კვლავ უშედეგოდ დამთავრდებოდა.

მოსკოველმა პოეტმა ბოლომდე მაინც ვერ გაუძლო ცდუნებას, აჰყვა ეროვნულ უმცირესობათა მღელვარე გულითადობას და - რა გაეწყობა, თქვენი ვარ, ოღონდ, ჯერ ცოლსაც შევეკითხებიო - გაშალა ხელები, გულმოწყალედ მომღიმარმა. ცოლი თურმე სასტუმროს ფოიეში ელოდებოდა, გაციებული, ხმადაკარგული. ერთი სტუმრობა უკვე მოეთავებინათ, შუა აზიის რომელიღაც რესპუბლიკის მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან ევახშმათ ნომერში და შინ აპირებდნენ წასვლას. იანი და აველუმი ქმრის ახლობლებად ჩათვალა და, რა თქმა უნდა, აღარ გაპრანჭულა, შეიშნოვა პატივისცემა. ასე რომ, ყველანი იანთან წავიდნენ ქეიფის გასაგრძელებლად (თუ დასამთავრებლად). უცებ გაიშალა სახელდახელო სუფრა - პური აველუმმა დაჭრა, ყველი და ძეხვი მოსკოველი პოეტის მეუღლემ. იანმა კი მაცივრიდან გადმოღებული მისი საფირმო კერძი, უნგრული გულიაშისა და ფრანგული რაგუს ნაზავი, გაზის ქურაზე შემოდგა გასაცხელებლად. თან უსაქმურად მომღიმარსა და ზურგზე ხელებდაწყობილ მოსკოველ პოეტს ასწავლიდა ამ კულინარული საოცრების დამზადების წესს. რაც მთავარია, არ უნდა დაზოგოთ ქართული ბალახებიო - ამბობდა როლში შესული. კი ბატონო, ვიცი, საქართველოში ბალახიც იჭმევაო - იღიმებოდა მოსკოველი პოეტი. რასაკვირველია, გეცოდინებათ, ჩვენ და ფრანგები ხომ თქვენთვის, რუსებისათვის, ბალახიჭამია ხალხები ვართო - მაინც ვერ შეიკავა თავი აველუმმა - მაგრამ, ჯერჯერობით, თქვენთვისაც ძნელი დასადგენია, ეს ფრანგების ღირსებაზე მეტყველებს, თუ ქართველების ნაკლზეო. ჩანგლის წკრიალზე, კარის მეზობელი, რადიოს დიქტორი, ვალოდია შემოვიდა, მოღუშული და

დარცხვენილი მიესალმა ყველას, დაგვიანებისთვის მოუბოდიშათ თითქოს, და ხუთლიტრიან ბოცოდან მაშინვე გრაფინში ჩამოასხა ღვინო. იცის თავისი საქმეო - გაიცინა იანმა. უკვე მაგიდასთან ისხდნენ, მეორე მეზობელი, ამჯერად მდედრობითი სქესის პოეტი (საბავშვო პოეტი), ლიანა კრუბერი რომ შემოემატათ. მთელი კვირა მპირდება და ბოლოს ლამის მაინც უჩემოდ შეჭამა, რაგუა თუ გულიაშიო - შესჩივლა სტუმრებს, ვითომ იანზე გაბუტულმა. სინამდვილეში, თავისი უფლებამოსილება დაუმტკიცათ ქარაგმულად. მოთხილამურის შარვალი და ლურჯი, გრძელბეწვიანი სვიტრი ეცვა. აველუმი ადრეც შეხვედრია ლიანას, რასაკვირველია, აქვე, მაგრამ ახლა განსაკუთრებული მოკრძალებითა და პატივისცემით შეეგება - თითქოს საკუთარი თავი გააფრთხილა, ცუდი არაფერი ჩაიდო გულში, დღეს საერთოდ არ არსებობს შენთვის ქალიო. არადა, უკვე იმ დონეზე იყო მისული, როცა ზედმეტად უტყვი და უკარება, ენაგაკრეფილ ყბედად და ღრეობის წარმმართველად იქცეოდა ხოლმე. სასმელი არა მარტო ენას უხსნიდა, ათმაგი ძალითაც ავსებდა და შეეძლო მთელი კვირა ესვა, ემღერა, ეცეკვა, ელაპარაკა... ემრუშა კიდეც. მაგრამ ახლა ყველანაირად ცდილობდა, არ აჰყოლოდა საკუთარ თავს, საერთოდ არ მიექცია მისთვის ყურადღება, ვითომ აქ არ იყო, მაგრამ როცა იანს სკამზე ჩამოეძინა და ლიანამ ყველანი თავისთან ჩაიპატიჟა საახალწლო ნაძვის ხეზე, ვაშაო, იყვირა პირველმა და თითქმის ძირამდე დაყვანილ ბოცოს დასტაცა მაშინვე ხელი.

ლიანა სართულით ქვემოთ ცხოვრობდა და ზუსტად ისეთივე ბინა ჰქონდა, როგორიც იანს, როგორიც საერთოდ ხელისუფლებისგან იყო გათვალისწინებული შემოქმედებითი ორგანიზაციების უოჯახო წევრებისთვის. კიბეზე ფეხაკრეფით ჩავიდნენ, მეზობლებს ძილი არ დავუფრთხოთო, მაგრამ რატომღაც თვითონვე ეცინებოდათ თავიანთ წესიერებაზე და ფხუკუნით აწყდებოდნენ ერთმანეთს. ყველაზე მეტს რადიოს დიქტორი ვალოდია იცინოდა - დავლევ, არ დავლევ, მაინც ცხვირიდან წამომადენს ჩემი ცოლიო. აველუმს ბოცო აეტატებინა, სტუმრად ჩაძინებული ბავშვივით, თუმცა ბოცოში ჩარჩენილი ღვინო ცოცხალ, მოუსვენარ, დაუდგრომელ არსებასავით აწყდებაოდა შუშის გალიის კედლებს. ლიანასთან მართლა დახვდათ ნაძვის ხე, მორთულ-მოკაზმული, რამაც კიდევ უფრო გაუმძაფრათ საზეიმო გუნება-განწყობილება. ლიანამ ნაძვის ხის სანთლები აანთო და თვითონ სამზარეულოში გავიდა, "ნამდვილი" ყავის მოსადუღებლად. ვალოდია ტახტზე მიწვა - გაშეშებული თვალები შუშის ნამტვრევებივით უბრჭყვიალებდა აპარპარებული სანთლების შუქზე. მოსკოველი პოეტი იატაკზე დაჯდა, ცოლს მიუჯდა ფეხებთან. აველუმს კი უჩინარი თოკი სამზარეულოსკენ ექაჩებოდა მთელი ძალით, მაგრამ, ჯერჯერობით, უძალიანდებოდა და მოსკოველი პოეტის ხმადაკარგულ ცოლს ეარშიყებოდა ვითომ, ოღონდ, ხაზგასმული თავაზიანობით, რაც ჩვეულებრივი, სავალდებულო ყურადღების გამოხატულება უფრო იყო, ვიდრე გრძნობისა, ან სურვილისა. რამდენიმე იაფფასიანი ქათინაურიც უთხრა - შეიძლება, ჯობდეს კიდეც ხმა თუ არ დაგიბრუნდებათო; ძალიან იდუმალი, სასიამოვნოდ ამაფორიაქებელი ხმა გაქვთო და სხვა

ამგვარი სისულელეები. მოსკოველი პოეტი მათკენ არც იხედებოდა, მაგრამ აშკარად უსმენდათ, თავისთვის მომღიმარი, და თანხმობისა თუ კმაყოფილების ნიშნად, მისდა უნებურად, თავსაც აკანტურებდა. მერე აველუმი სამზარეულოში შევიდა და ზურგს უკან მიკეტილ კართან გულხელდაკრეფილი გაჩერდა. ლიანა გაზის ქურასთან იდგა და ყავადანში სუფრის კოვზით ყრიდა ყავას თუნუქის ძველებური ყუთიდან. მაშინვე მოხედა და გაუღიმა. თავი რომ მოაბრუნა, ცალ მხარეს ჩამოშლილ თმიდან ყურის ბიბილომ გამოაჭყიტა. შუახნის ქალი იყო, მაგრამ ძველი მომხიბვლელობა ჯერ კიდევ შერჩენოდა. რაც მთავარია, ჯერჯერობით, თვითონაც ახალგაზრდულად ეჭირა თავი. აველუმი ნელა მიუახლოვდა. ლიანაც, ეტყობა, ელოდებოდა, რადგან აღარ მოუხედავს უკან. აველუმმა ხელები მხრებზე ჩამოადო და ყურის ბიბილოზე აკოცა. არც ახლა მოუხედავს ლიანას. ეგ იყო რომ, ყურზე მხარი მოისვა და ყავის ყუთი ხელში შეაჩეჩა აველუმს. "გათავდაო" - რატომღაც გაიფიქრა აველუმმა.

ყავის სმას რომ მორჩნენ, მოსკოველ პოეტს მისმა ხმადაკარგულმა მეუღლემ სთხოვა, რამე წაგვიკითხეო. მოსკოველ პოეტს აშკარად ესიამოვნა მეუღლის ყურადღება - წამოდგა, მარცხენა ხელი მეუღლეს დაადო თავზე, ალბათ მადლიერების გამოსახატავად, და ზედიზედ წაიკითხა რამდენიმე ლექსი. სანამ კითხულობდა, ცოლს თვალი არ მოუშორებია მისთვის, დაძაბული აჰყურებდა ქვემოდან, როგორც ტურისტი ქანდაკებას და მღელვარებისგან ქვედა ტუჩს იკვნეტდა, თითქოს საზოგადოებას კი არ ართობდა მისი ქმარი, არამედ გადამწყვეტ გამოცდას აბარებდა. მოსკოველმა პოეტმა კითხვა რომ დაამთავრა, ცარიელი ჭიქა რატომღაც აველუმს გაუწოდა და ქართულად თქვა - ტუ შეიდზლება ტამადაო. აველუმმა სხვებსაც სასწრაფოდ შეუვსო ჭიქები და დიასახლისი ადღეგრძელა, დანარჩენთა სახელითაც გადაუხადა მადლობა ასეთი "სასიამოვნოდ მოულოდნელი" და "მოულოდნელად სასიამოვნო" საღამოსთვის. ლიანასთან მარტო დარჩენა მოუნდა უცებ და ყველაფერი ერთბაშად მობეზრდა: ღვინოც, ნაძვის ხეც, ვალოდიაც, მოსკოველი პოეტიცა და მისი ხმაწასული მეუღლეც. სხვები რომ წამოიშალნენ, სკამის საზურგეზე გადაკიდებული პიჯაკისკენ არც გაუხედავს, მასპინძელივით ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, ოთახშივე დაემშვიდობა ყველას და ვიდრე ლიანა შემობრუნდებოდა, ორი თითით ჩააქრო მკვდარი ნაძვის მოდუნებულ ტოტებზე აპარპარებული სანთლები.

მეორე დღეს, აეროპორტში წასასვლელად რომ ემზადებოდა, თვალი ვერ გაესწორებინა საკუთარი თავისთვის სარკეში. რამდენჯერმე მიაფურთხა კიდეც სარკეს და თვითონვე მოწმინდა იდაყვით საკუთარი ნაფურთხი, ვითომ ჰალსტუხის განასკვით გაწვალებულმა. ჰალსტუხის გაკეთება კი მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, ასე რომ შეენიღბა, ასე რომ დაემალა, თუნდაც იანისათვის, გუშინდელი სიმთვრალის დანატოვარი სევდა-წუხილი, შხამი და გესლი. მართალია, მთელი საათი იდგა მდუღარე წყლის ქვეშ, მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს თავფეხიანად სიბინძურეში ამოგანგლული, დამყაყებული ჭაობიდან ამოეთრიათ ეს წუთია და ვერაფრით მოეშორებინა მწვანედ დაბუშტული ჭაობის ლორწოვანი ქაფი. კიდევ კარგი, იანიც ვერ იყო ლაპარაკის გუნებაზე და, პირსახოცით თავწაკრული, შორიდან უთვალთვალებდა მის გაწამაწიას. სიძულვილისგან, მრისხანებისგან თითები ისე უცახცახებდა, ჰალსტუხი ვერ გაენასკვა. ისეთი მღელვარებით, ისეთი ფაციფუცით ცდილობდა მის განასკვას (ალბათ მემილიონეჯერ), თითქოს ყულფს იკეთებდა თავის ჩამოსახრჩობად, დრო კი განსაზღვრული ჰქონდა. მთელს სამყაროში არ ეგულებოდა უფრო მდაბალი, უფრო ამაზრზენი, უფრო უმნიშვნელო არსება, ვიდრე თვითონ იყო და, მისი ღრმა რწმენით, დაუფიქრებლად იმსახურებდა ყველანაირ სასჯელს, როგორიც კი ოდესმე მოუგონია და აღუსრულებია ადამიანს - ჩაქოლვასაც, ცოცხლად გატყავებასაც, დაწვასაც, დანაყვასაც, აკუწვასაც, დახრჩობასაც, თავის მოკვეთასაც, ცხენის კუდზე გამობმასაც, დახვრეტასაც, ელექტრონის სკამზე დაფერფვლასაც და მაინც ერთი სული ჰქონდა, როდის

დაინახავდა ფრანსუაზას. რადგან თუკი ვინმე მიუტევებდა, მხოლოდ ფრანსუაზა მიუტევებდა და თუკი მისი განწმენდა საერთოდ შესაძლებელი იყო, მხოლოდ ფრანსუაზა შესძლებდა ამასაც. დაინახავდა თუ არა ფრანსუაზას, გაიგონებდა თუ არა მის ხმას ("კი, რასაკვირველია, ეს შენა ხარ"), მოიმწყვდევდა თუ არა მუჭში ფრანსუაზას დრეკად თითებს, მაშინვე ხელახლა დაიბადებოდა და, თავისთავად ცხადია, ხელახლა დაიბრუნებდა ახალშობილის უბიწოებასაც და უდანაშაულობასაც.

დერეფანში რომ გავიდა, ვალოდიას ბინიდან აღელვებული, ლამის ყვირილში გადაზრდილი ხმები შემოესმა და უარესად დაიძაბა. ტანმა უგრძნო, ეს უსიამო ხმებიც მასთან იყო დაკავშირებული რაღაცით. ფეხაკრეფით გაიარა დერეფანი და ლიფტის ღილაკს მთელი ძალით დააჭირა თითი. სადღაც, ძალიან ქვევით, თითქმის ქვესკნელში, რკინის ურჩხული ერთბაშად შეკრთა, საღათას ძილიდან გამოერევა და სიბრაზისგან ახრიალებული წამოვიდა მისკენ. თვითონ კი ისევ უკან შებრუნდა დერეფანში, თითქოს ურჩხულის შეეშინდაო, და ვალოდიას კარს მიაყურადა. ჯერ საკუთარი გულის ბაგაბუგის მეტი ვერაფერი გაიგონა. მერე კი ქალის გაწიწმატებული ხმაც გამოიკვეთა. პირწავარდნილი ლოთი ხარ და წესიერი ადამიანი არც უნდა გელაპარაკებოდესო - ამბობდა ქალი (ალბათ ვალოდიას მეუღლე).. ვალოდიამაც რაღაც ჩაიბურტყუნა პასუხად, მაგრამ აველუმმა ვერ გაარკვია. ვინც გინდა ის იყოს, ჩემთვის სულერთიაო - მიახალა ქალმა. ამ სიტყვებმა განსაკუთრებულად შეაწუხა აველუმი. ტანმა უგრძნო, მისი მისამართით იყო ნათქვამი, მას გულისხმობდნენ, მისი არსებობა აღიზიანებდა ვიღაცას, მისთვის სრულიად უცნობ ადამიანს, და სავსებით სამართლიანადაც, რადგან თვითონ რომ არ გაჩენილიყო საერთოდ, არც ამ უცხო ქალის ლოთი ქმარი დათვრებოდა გუშინ ზედმეტად, რიგგარეშე, და თუნდაც მარტო ერთ დღეს სიმშვიდე იქნებოდა მათ უღიმღამო, მარად მოწყენილ ოჯახში. მართალია, ვალოდია უაველუმოდაც მშვენივრად ყლურწავდა ღვინოსა თუ არაყს და ისეთი ცუდი სიმთვრალე ჰქონდა, არაფრით არ შეიძლებოდა კარგი დიქტორი ყოფილიყო, მაგრამ ეს სრულებითაც არ აქარწყლებდა აველუმის წუხანდელ დანაშაულს.

უცოდველს შეაცდენ თუ ცოდვილს მიუმატებ ცოდვას, პასუხი ერთნაირად მოგეკითხება. ლამის ცოლ-ქმარი გაჰყარა, ერთი ღამე მარტო რომ არ დარჩენილიყო თავად. "ღმერთო, რამდენი ცოდვა მაქვს ჩადენილი თუნდაც ამ ერთ სახლშიო" - გაიფიქრა ყურმოკრული საუბრით უარესად გუნებაწამხდარმა და ისევ ფეხაკრეფით კი არ გამობრუნდა უკან, გამოიქცა ლიფტისკენ, როგორც ერთადერთი თავშესაფრისკენ, და მართლაც, როგორც კი გამოაღო ლიფტის კარი, კაბინაში შუქი აინთო, თითქოს ურჩხულმა ცეცხლოვანი ხახა დააღოო, და თავფეხიანად გადაყლაპა აველუმი.

ახლა კი ერთი სული აქვს, როდის გადაწმენდს მამაშვილი დათოვლილ მანქანას და როდის ჩაჯდება მანქანაში. კოლია-კლოდმა აიჩემა, გინდა თუ არა, მეც უნდა წამოვიდე, არყის ტყე უნდა ვნახო აეროპორტის გზაზეო, მაგრამ სინამდვილეში იმასაც ფრანსუაზას ნახვა ეჩქარება. არაჩვეულებრივად გონებაგახსნილი და ამიტომაც მუდამ არანორმალურად აღგზნებული ეს რვა წლის ბავშვიც ფრანსუაზაზეა შეყვარებული და არც მალავს. ფრანსუაზა კი მიყვარს, მაგრამ ვიცი, ცოლად ვერ შევირთავო - განაცხადა წელანაც, როცა მანქანის საბარგულიდან თოვლის საწმენდ ჯაგრისებს იღებდნენ. მოსკოვში დიდი ზამთარია. ყინვა ოცდათხუთმეტამდე ადის. ქუჩების გასწვრივ აფხეკილი და ყინულად ქცეული თოვლის ზვინები ავად ბზინავენ. სახლებიდან გამოზლაზნილი ორთქლისა და ნასუნთქის ბურუსში მოჩვენებებს ჰგვანან საგულდაგულოდ შეფუთვნილი ადამიანები. ქალაქში ჰონკონგური გრიპი მძვინვარებს. აველუმი კი სრულებითაც არ არის მომზადებული ამგვარი ზამთრისათვის: ძველი, გაქექილი პალტო და თხელი კოსტუმი აცვია. საზამთრო კოსტუმის ყიდვა თბილისში ვერ მოასწრო. თუმცა, არც იმდენი ფული ჰქონდა, ორმაგი და სამმაგი გადაეხადა იქ, რა თქმა უნდა, თუკი იშოვიდა. აქ კი, შეიძლება ნახევარი ლიტრა არყის დამატება დასჭირდეს მხოლოდ. მაგრამ ახლა ისე აიტანა სიცივემ, გამწარებული აბაკუნებს ფეხებს ადგილზე და არავითარ ყურადღებას არ აქცევს კოლია-კლოდის დამცინავ გამოხედვას. სხვათაშორის, ჰონკონგური გრიპის ბრალია ისიც, ამჯერად, ისა და ფრანსუაზა არბატზე რომ იცხოვრებენ, კრივოარბატის შესახვევში, პუშკინისდროინდელ პატარა სახლში და არა საბჭოთა კლასიკოსის თანამედროვე,

კეთილმოწყობილ ბინაში, რადგან ქალბატონი ეფროსინე ჰონკონგური გრიპით გახლავთ ავად და ძალიან ეშინია, ამ "აზიური სისაძაგლით" არ დაამთავროს თავისი მოსკოვური არდადეგები ფრანგმა მადმუაზელმაც. ასე რომ, ხუთოთახიანი ბინის ნაცვლად თავისი ერთოთახიანი ბინა დაუთმო აველუმს იანის მეორე ქარიტამ, თეთრგვარდიელი გენერლის ქვრივმა, ქალბატონმა თალიამ, რაკი ამ უზარმაზარ ქალაქში სხვა ვერაფერი გამონახეს უფრო სანდო და უფრო მოსახერხებელი საერთაშორისო სიყვარულისთვის. სამაგიეროდ, მესამე ქარიტამ, ქალბატონმა აგლაიმ, ჯერ კიდევ უხსოვარ დროს, ანტანტამდე, არაფრით არშემდგარი თავისი ქორწილისთვის საგანგებოდ შეკერილი თეთრეული მოართვა და თავად დაუგო ტანჯულ, წამებულ შეყვარებულებს "საქორწილო სარეცელი". ამ სამ ქალბატონს საკუთარი არაფერი დარჩენია, გარდა მოგონებებისა, და ძირითადად სხვათა ცხოვრებით ცხოვრობენ. კერძოდ, პირად მოვალეობად მიაჩნიათ ქართველი პოეტისა და ფრანგი მადმუაზელის სიყვარულის სამსახური და ისე გასაიდუმლოებული აქვთ ეს ამბავი, თითქოს კონტრრევოლუციას ეხმარებიან. აველუმს ისინი ადრეც იცნობდნენ, ადრეც სცემდნენ პატივს, როგორც იანის მეგობარს, მაგრამ ახლა უფრო ფრანსუაზას მფარველებად თვლიან თავს, ფრანსუაზა უფრო ეცოდებათ აქაურ გარემოში და ყველანაირად ცდილობენ მეტნაკლებად ასატანი პირობები მაინც შეუქმნან საფრანგეთის წარმოგზავნილს, რამდენადაც გარკვეული თვალსაზრისით, თვითონაც დაკავშირებულნი არიან ამ ზღაპრულ, ახალგაზრდობასავით მარადიულსა და საუკეთესო ასაკივით მათთვის უკვე ჩავლილ, უკვე მიუღწეველ ქვეყანასთან: ერთი - იქ გატარებული

ქალიშვილობის წლებით, მეორე - იქ გადახვეწილი უთვალავი ახლობლით, მეუღლის ჩათვლით, მესამე კი - ფრანგული ენის ბრწყინვალე ცოდნითა და ხელოვნების უსაზღვრო სიყვარულით. ახლა კი, ბებრული გამბედაობით თანაუგრძნობენ და შეძლებისდაგვარად ეხმარებიან რომანს, რომელსაც რომანტიკულ ბურუსთან ერთად, დანაშაულის სუნიც ასდის, მაგრამ ამის გამო კიდევ უფრო საინტერესო და კიდევ უფრო მიმზიდველი ხდება მათთვის. ეს რომანი მათ ცხოვრებასაც მატებს აზრსა და ხალისს.

ქალბატონ თალიას ორად გატიხრული ოთახი ფოტოატელიეს ანდა ანტიკვარულ მაღაზიას უფრო ჰგავს, ვიდრე ბინას, მაგრამ ადამიანური გულგრილობის ოკეანეში ერთადერთი კუნძულია ამჟამად, მზის ამოსვლისაც და მზის ჩასვლისაც, სადაც აველუმსა და ფრანსუაზას ერთად ყოფნა შეუძლიათ. საერთოდ სახლში სულ სამი ასეთი ოთახია და სამი ოჯახი ცხოვრობს: ერთში - მოლდაველი გარი და მისი საყვარელი რაისა; მეორეში - საბჭოთა პოლკოვნიკის ქვრივი და მისი ალკოჰოლიკი შვილი სლავა; მესამეში კი, ქალბატონ თალიას ნაცვლად, რომელიც ქალბატონ აგლაისთან გადასახლდება დროებით, აველუმი და ფრანსუაზა იცხოვრებენ. სამივე ოჯახს ტუალეტიც, აბაზანაცა და სამზარეულოც საერთო აქვს, ბინძური, შავად გაბურძგნული კატისა არ იყოს, რომელიც უფლებამოსილია სამივე ოჯახისგან თანაბრად მოითხოვოს საზრდოცა და ყურადღებაც, უფრო სწორად, თვითონ აირჩიოს, ვის ქვაბში როდის ჩაყოს ცხვირი და ვის როდის მოუფსას საწოლზე (რამდენი გაეღვიძებოდა აველუმს, ის კატა ეჯდა ყოველთვის გულზე. იმ კატის აქოთებული სიმძიმე აღვიძებდა ალბათ, და აღარ იცოდა, რა ეღონა, როგორ მოეშორებინა თავიდან ეს ეშმაკის ნაშიერი, რომელმაც თავიდანვე აითვალწუნა რატომღაც - შეიძლება, ფრანსუაზაზე ეჭვიანობდა ისიც, - პირველსავე საღამოს ჩაუსაფრდა ბნელ დერეფანში და, საპირფარეშოდან გამოსულს, პეტრესდროინდელი ზარბაზნის მრგვალი ჭურვივით დაეძგერა მკერდში - სახის ჩამობღორტნა უნდოდა ალბათ მისთვის, მაგრამ აველუმმა ბედად მოასწრო თავის უკან გადაწევა და ბოროტ კატას ნახტომი გაუცუდდა. სამაგიეროდ, იმის შემდეგ, ღამე არ გამოუტოვებია, ბალიშზე რომ არ

დაეფსა და კატის ფსლის ამაზრზენი სუნი ასდიოდა ყველაფერს. ფრანსუაზა საბნის ქვეშ ფხუკუნებდა, მაგრამ მაინც ძნელად ასატანი იყო ეს ამბავი). გარი და რაისა ტაქსომოტორში მუშაობენ. ოთახის გსაღები ორივესა აქვს და რომელიც ადრე ბრუნდება შინ, ის დიასახლისობს. გარი ერთი კეთილი, ღონიერი ბიჭია, ცხვირგატეხილი და სახენაიარევი. ცუდად გაკერილი ჭრილობის კვალი მთელ სახეზე გასდევს, საფეთქლიდან ტუჩის კუთხემდე. რაისაც წყნარი ქალია, ცოლივით უფრო უჭირავს თავი, ვიდრე საყვარელივით. საღამოს ტელევიზორს მიუსხდებიან ხოლმე და მათ პატარა ოთახში იდილიური სიმშვიდე მკვიდრდება. ერთი-ორჯერ ახალ მეზობლებსაც მიიპატიჟებენ ტელევიზორის საყურებლად და დიდ პატივადაც ჩათვლიან ქართველი მწერლისა (თუნდაც უცნობისა) და მისი მეგობრის (ნამდვილი უცხოელი ქალის) სტუმრობას. პოლკოვნიკის ქვრივი მწოლიარე ავადმყოფია - სანთელივით დალეული, სანთლისფერი ქალი, შვილისა და კეთილი მეზობლების შემყურე. სლავაც ბუნებით წყნარი კაცია, ქარხანაში მუშაობს ზეინკლად, მაგრამ შესვენებაზე აუცილებლად შემოირბენს ხოლმე დედის დასაპურებლად. საერთოდ, ავადმყოფი დედის მოვლის გარდა, არაფერი აინტერესებს. ურეცხავს საცვალს, უმზადებს სადილს, გააქვს მისი ქოთანი და ღამეც მის გვერდით წევს, იატაკზე, თუმცა, ეს ოთახის სივიწროვით უფროა გამოწვეული, ვიდრე დედა-შვილური სიყვარულით. მათ ოთახში, უბრალოდ, ყოვლად შეუძლებელია მეორე საწოლის დადგმა. მაგრამ დედის მოყვარული და პატივისმცემელი სლავა კვირაში ერთხელ უგონოდ თვრება და მისი მონურად მორჩილი, მონურად მხდალი ბუნება ერთბაშად თავისუფლდება ყოველგვარი

ბორკილისგან. წყნარი, მორიდებული სლავა (განსაკუთრებით, თუ გარი არ არის შინ), მთელ სახლში კბილატკივებული დათვივით ბობოქრობს და არა მარტო ჭურჭელს ამტვრევს, არა მარტო ტანსაცმელს იხევს ზედ, ავადმყოფ დედასაც მაგრად მიბეგვავს ხოლმე. თან ყელგამოჭრილივით ხრიალებს: ამიხსენით, გამაგებინეთ, რატომ დახვრიტეს მამაჩემიო. გარის მეტს არავის შეუძლია მისი დამშვიდება. გარის არ უყვარს ბევრი ლაილაი, წაავლებს ქეჩოში ხელს და მაშინვე ეზოში უკრავს ხოლმე თავს, გინდაც გარეთ ორმოცი გრადუსი ყინვა იყოს. სლავას, რა თქმა უნდა, ეშინია გარისა, მაგრამ არაყსა და შიგ გახსნილ ნარკოტიკს (ძირითადად დედამისის წამლებს), მაინც თავისი გააქვს. დედა ტირის, ეხვეწება - გაჩუმდი, ორივეს დაგვიჭერენო - მაგრამ სლავას არაფერი ეყურება, ვიდრე გონებას არ დაკარგავს. უცებ მობოშდება, გაშავდება და პირზე დუჟმორეული იატაკზე გაიშხლართება მკვდარივით. დედა კი ახლა მეზობლებს ემუდარება საწოლიდან, შიშისაგან უარესად დალეული - ნუ გაგვამხელთ, ცოდოა, ცემით მომიკლავენ, ისედაც მალე მოკვდება ეგ უბედურიო - და რაკი არც ერთი მეზობელი არ აპირებს სლავას დაბეზღებას, მილიცია კი არა, სასწრაფო დახმარებაც ვერ გამოუძახიათ. სლავაც გვამივით გდია ისედაც ვიწრო, ჩაბნელებული დერეფნის იატაკზე და ყველანი იძულებულნი არიან ზედ გადააბოტონ, ვიდრე შხამი გამონელდებოდეს და თავისით წამოდგებოდეს.

წესით, ფრანსუაზას ფუშეების კომფორტაბელურ ბინაში უნდა ეცხოვრა, როგორც მათ ოფიციალურ სტუმარს, აველუმს კი - იანთან, ჩვეულებრივ საბჭოურ პირობებში, მაგრამ ზემოთ აღწერილ სახლზე უარესი ადგილიც რომ ყოფილიყო, უმალ იქ დარჩენას ამჯობინებდნენ ორივენი, თუკი ერთად იქნებოდნენ, ერთ ჭერქვეშ და ერთ კედლებს შორის.

მანქანაში ცივა. აველუმი და კოლია-კლოდი უკან სხედან. სიბნელე ჯიუტად მკვიდრდება. მანქანის მბჟუტავ შუქზე წვრილი ფიფქები ირევა, როგორც მიკროსკოპის ლინზაში - ბაცილები. კოლია-კლოდს ცხვირი სარკმლის მინაზე მიუჭყლეტია, წყვდიადს გაჰყურებს და სევდიანად ამბობს: არაფერი არ ჩანსო. არა უშავს, ტყის სანახავად დღისით წამოვიდეთო - ამშვიდებს მამა. დღისით შენ არ გცალიაო - ისევ სევდიანად აგრძელებს კოლია-კლოდი. ზედმეტად წინ გადახრილი ლეონ ფუშე ხელის ზურგით წმენდს საქარე მინას - არ ენდობა სინათლეს. კოლია-კლოდი ახლა ცხვირს იჩიჩქნის. ასე იცის ხოლმე, როცა ახალ კვიმატურ შეკითხვას ამზადებს. პირველად რომ მივიდა მათთან აველუმი, კარებშივე ჰკითხა, აბა, თუ გახსოვთ, რა ერქვა მაკედონელის ცხენსო. აველუმი კი თავის საფიქრალში ჩაფლულა, ჩამარხულა, ჩაკარგულა. წუხანდელი სიმთვრალე და უძილობა დაძაბულ სიცარიელედ გასჯდომია სხეულში. შიშს მაინც თავისი გააქვს - მოურიდებლად დააბოტებს ამ სიცარიელეში და სულის გათოშილ კედლებზე გამაფრთხილებელ პლაკატებს აკრავს. საღებავისა და სველი ქაღალდის სუნი ყელიდან ამოსდის აველუმს და უნებურად სუნთქვას იკავებს - სხვებიც რომ არ შეაწუხოს ამაზრზენმა, გულისამრევმა სუნმა. წელიწადნახევარი უცდიდა დღევანდელ დღეს, მხოლოდ ამ დღეზე ფიქრობდა და ოცნებობდა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ როცა ეს დღე დადგა, შიში დაეუფლა მხოლოდ. თვითონაც ვერ იტყვის, რისი ეშინია კონკრეტულად, რა იწვევს ამ დამამცირებელ შეგრძნებას და ამიტომაც კიდევ უარესად ნერვიულობს, კიდევ უფრო ეზიზღება საკუთარი თავი, მაგრამ, ამავე დროს, მტკიცედ სჯერა, ვერავითარი

ძალა ვერ ააღებინებს განზრახვაზე ხელს, მოკვდება და მაინც შეხვდება ფრანსუაზას, სიკვდილის წინ მაინც მოკრავს თვალს მისკენ, მასთან შესახვედრად მომავალს. მაგრამ ეს უკვე ძვალრბილში გამჯდარი, ლამის თვისებად ქცეული შეგრძნებაა და ეს ამშვიდებს ცოტათი. უკვე იმდენჯერ უთხრეს, გააფრთხილეს, სთხოვეს კიდეც, მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გამოეჩინა ადამიანების მიმართ, ნუ გაუხსნიდა ყველას გულს (განსაკუთრებით სიმთვრალეში), თანდათანობით თვითონაც დაფრთხა, ეჭვიანი და გულჩათხრობილი გახდა თვითონაც, თუმცა ბოლომდე მაინც ვერ შეიცვალა ხასიათი, პირიქით, ახლა უფრო გაცხარებული ლაპარაკი დასჩემდა, სრულიად უცხო ხალხთანაც კი, თითქოს განუწყვეტლივ მის პატიოსნებას აყენებდნენ ეჭვის ქვეშ და თუ თავად არ დაიცავდა თავს, რასაკვირველია, სხვას არავის შეაწუხებდა ეს ამბავი. ერთ მშვენიერ დღეს (უფრო მოსალოდნელია, ერთ მშვენიერ ღამეს), მართლა რომ დასდგომოდა ვინმე და ეთქვა, დაპატიმრებული ხარო, სრულებითაც არ გაუკვირდებოდა. გახარებით კი შეიძლება გახარებოდა, რადგან გაურკვევლობა უფრო ძნელი ასატანია, ვიდრე ნებისმიერი, გინდაც დაუმსახურებელი სასჯელი. ყოველ შემთხვევაში, გაიგებდა მაინც, რაში ედებოდა ბრალი თითქმის გაჩენის დღიდანვე.

აეროპორტის სინათლეებმა ძლივს გამოარღვიეს ბურუსი. თავად აეროპორტი საბავშვო ფილმის წყალქვეშა სასახლესა ჰგავს, ბურუსის სიმძიმის ქვეშ ათასნაირად ჩაზნექილ-დაბრეცილი. მის წინ იმდენი მანქანა ირევა, ლეონ ფუშე ძლივს პოულობს გასაჩერებელ ადგილს. სუსხიანი, სველი ქარი გარედან აწვება მანქანის კარს, თითქოს შეგნებულად უშლის აველუმს მანქანიდან გადმოსვლას. ქარიც მის წინააღმდეგაა. ქარი კი არა, ყინულის წვრილი ნემსების გზააბნეული ქარავანი. თუმცა, როგორც ბევრი სხვა რამ, ესეც გაურკვეველია აველუმისთვის - მართლა მის წინააღმდეგაა ქარიც, თუ პირიქით, მისკენაა და როგორც შეუძლია ისე აფრთხილებს, გაეცალოს იქაურობას, სანამ ჯერ კიდევ დროა, როგორმე აარიდოს თავი მისთვის ესოდენ სახიფათო შეხვედრას. ძლივს გადმოდიან მანქანიდან. სამაგიეროდ, შენობაში თბილა. მაგრამ იქაც უსიამოდ თბილი სუნი დგას, გაფუჭებული ზეთისა თუ ჭურჭლის ნარეცხისა. რასაკვირველია, აქ უფრო იგრძნობა საერთაშორისო აეროპორტის ყოვლისმხილველი, ყველაფრის შემმოწმებელი თვალიც. აველუმი უკვე აშკარად ღელავს, თითქოს მოულოდნელად, წინასწარი შეთანხმების გარეშე, სცენაზე მოუხმეს ლექსის წასაკითხად. აქეთ-იქით იხედება. წარამარა ისწორებს ძლივს განასკვულ ჰალსტუხს - ცდილობს როგორმე მოიშოროს უჩინარი მოთვალთვალის შემაწუხებელი მზერა. თუმცა, რასაკვირველია, არავის აინტერესებს ის, ანდა, უკვე იციან, რა მიზნითაა აქ მოსული და შეგნებულად არ ამჩნევენ, არაფრად აგდებენ ვითომ, არ აფრთხობენ, აცლიან ბოლომდე გამოამჟღავნოს თავი. ეს მღელვარებაც (კიდევ უფრო გამძაფრებული საერთო რიტმიდან ამოვარდნილი მოძრაობებით), ისევ და ისევ

იმ თანდაყოლილი და ამოუხსნელი შიშის გამოძახილია, ასე რომ აწამებს მთელი ცხოვრების მანძილზე, გამოცდას რომ უწყობს ყოველ ნაბიჯზე და, რა თქმა უნდა, შეგნებულად - გასალაჩრებლად, დასაჩოქებლად. "არავითარ შემთხვევაშიო" - ამბობს ხმამაღლა, პალტოს ღილებს იხსნის და, შარვლის ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, თამამად, დაუდევრად მიაბიჯებს ბუფეტისკენ, აზუზუნებულ მაგიდებს შორის. მიყურეთ, რამდენიც გნებავთ. დიახ, ეს მე ვარ, აველუმი! ახლა ყავასა და ბუტერბროდებს ვიყიდი და დავნაყრდები გემოზე. დილიდან ხემსი არ ჩამსვლია პირში. მანქანაშიც საკმაოდ გავიყინე. ბოლოს და ბოლოს, დღესასწაულზე ვარ ჩამოსული და არა სატირალში. კანკალი და გულის ხეთქვა მერეც მეყოფა. დიახ, სამი ყავა და ყველანაირი ბუტერბროდი სამ-სამი ცალი - ყველიანიც, ძეხვიანიც, შაშხიანიც, ხიზილალიანიც. თუმცა, რა თქმა უნდა, არაფრის ჭამა არ შეუძლია თავად. ხორხი ისევ წებოვანი ნერწყვითა აქვს ამოვსებული. ცხელი ყავა კი სიამოვნებს. ყავის ყოველ ყლუპს (ეგეც თქვენი ალიტერაცია) ღრმა, თურქულ ნაფაზს აყოლებს და ამით ცდილობს აკანკალებული ყბის გაჩერებას. სამაგიეროდ, მამა-შვილი პირწმინდად ნთქავს ბუტერბროდების პირამიდას. ეტყობა, გზამ და სიცივემ მოამშიათ. ლეონ ფუშე ლაპარაკის გუნებაზე დგება. მთელი გზა თითქმის უბრად ისხდნენ მანქანაში. ახლა ცოტათი მოითქვეს სული, გათბნენ კიდეც და შეუძლიათ, თავიანთი ადამიანობაც გამოამჟღავნონ, სიტყვითაც დაადასტურონ ადამიანები რომ არიან, ანუ, ტკბილი სიტყვა უთხრან ერთმანეთს - გასამხნევებელი გაამხნევონ, დასაფასებელი დააფასონ - აბა, სხვა რაა ადამიანობა?! არაფერი. მხოლოდ და მხოლოდ, საჭირო,

დროული სიტყვის გამონახვისა და თქმის უნარი. ლეონ ფუშესაც სურს ერთი ასეთი სიტყვა გამონახოს და აველუმს მიეხმაროს მღელვარების დაძლევაში. თითქოს უკვე ენაზეც ადგას ასეთი სიტყვა, საცაა იტყვის კიდეც, მაგრამ ბოლო წამს, დაბნეული, ნირწამხდარი ამჩნევს, მისდაუნებურად, მასაც რომ გადასდებია აველუმის მღელვარება. ამჩნევს, მაგრამ არაფერი გაეგება ამ მღელვარებისა, არც მისი გამომწვევი მიზეზი იცის, არც მისი საბოლოო მიზანი. უფრო სწორად (და ამის აღიარება უჭირს ყველაზე მეტად), ლეონ ფუშეს ჩვეულებრივი, ყბადაღებული ადამიანური შურით შურს აველუმისა და, ჯერჯერობით ვერ გარკვეულა ბოლომდე, რა შეიძლება შურდეს იმისი - ვინც უნდა, ის ჰყავს ცოლად და იქ ჰყავს, სადაც თვითონ არის. მისი შვილი აშკარად ნიჭიერია (ნერვიული და აღგზნებული ახლა ყველა ბავშვია), უკვე სამ ენას ფლობს. აქედან ორი - რუსული და ფრანგული - მშობლიურია, მესამე კი - საერთაშორისო. ძაღლსა და კატას დღეს ყოველ მეორე ოჯახში შეხვდებით, მას კი გაწვრთნილი ვირთხა უზის შინ, ვირთხების ფრიდრიხი. თავად თავისუფალი, დიდებული ქვეყნის ქვეშევრდომია, უბატონოდ ვერავინ გასცემს ხმას; აქაც კი, საყინულეში, კარგი სამსახური აქვს, პრესტიჟული; მოკლედ, კაცია ქვეყანაზე; ასე რომ, პირიქით უნდა იყოს თითქოს, აველუმს უნდა შურდეს მისი და არა მას აველუმისა, რომელსაც ცოლი თბილისში ჰყავს, საყვარელი პარიზში; არც ძაღლი უყვარს, არც კატა და, რასაკვირველია, არც ვირთხა. უყვარს კი არა, ფეხით გასრესს, ვთქვათ, ჩემს ფრიდრიხს, ჩემი რომ არ ერიდებოდეს. უმუშევარია, გნებავთ, თავისუფალი შემოქმედი, მწერალი, ოღონდ, არარსებული სახელმწიფოსი; მოკლედ, რამდენიც არ

უნდა წეროს, მაინც ვერავის გააგებინებს თავისას, იმ უბრალო მიზეზის გამო, არავის რომ არ ესმის მისი არარსებული სახელმწიფოს ენა. "დასწყევლოს" - იცინის გუნებაში ნაძალადევად, მაგრამ დატუქსული, უგულებელყოფილი შურის გრძნობა ერთბაშად ასევდიანებს. მუცლის ღრუდან, თუ საიდანღაც, უფრო ქვემოდან ამოხოხებული სიმძიმე ზედ სასასთან ეჩხირება საყლაპავ მილში. ლეონ ფუშეს ესეც უკვირს - რა მომდისო - იცინის ისევ ნაძალადევად, მაგრამ სევდის მუხლუხო ჯიუტია, ვერც ყავის ყლუპს ჩააქვს, ვერც სიგარეტის ბოლს. "წავალ, გავიგებ, რას შვრება ჩვენი თვითმფრინავიო" - ამბობს ბოლოს და უხალისოდ დგება. სიგარეტს საფერფლეზე აგდებს და ცნობათა ბიუროსკენ მიდის. ქუდი ხელში უჭირავს. აველუმი მადლიერებით სავსე მზერას აყოლებს. მართალია, ლეონ ფუშემ თავიდანვე მოხიბლა თავისი უბრალოებითა და უშუალობით- პირველად რომ ესტუმრა, ფრანგული კონიაკით, რუსული ჭვავის პურითა და ქართული აჯიკით გაუმასპინძლდა - მაგრამ ახლა, ამ წუთას გრძნობს ყველაზე მძაფრად, თუ როგორაა დავალებული მისგან; ახლა, ამ წუთასაა პირველად შეძრული მისი გულისხმიერებით, მისი სიკეთით. და მართლაც, რა სჯის ლეონ ფუშეს, გარდა სიკეთისა და გულისხმიერებისა? რატომ უნდა დაუპატიჟოს პარიზიდან მოსკოვში ვიღაც ქართველ მელექსეს საყვარელი?! "ვიდრე ასეთი ადამიანები არსებობენ, ქვეყანა არ დაიღუპებაო" - ფიქრობს აღელვებული, დავალებული და დამოკიდებული კაცის პათეტიკურობით. "გინდა, შოკოლადს გიყიდიო" - ეუბნება უცებ კოლია-კლოდს, თითქოს ასე იოლად გადაუხდის შვილს მამის ვალს. კოლია-კლოდი, თუკი აქამდე კოვზს აწკრიალებდა ცარიელ ფინჯანში და

უინტერესოდ ათვალიერებდა დარბაზს, ახლა თვალს თვალში უყრის აველუმს, დაინტერესებული, ყურადღებად ქცეული, თითქოს ვერ გაიგო, რა უთხრეს, ანდა, პირიქით, მშვენივრად გაიგო, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ ელოდებოდა, აველუმის პირიდანაც თუ ამოვიდოდა ამგვარი რამ. თუმცა, ვინ იცის, რა ფიქრები ტრიალებს რვა წლის ბიჭის თავში, რომელსაც მასზე ბევრად უფროსი ქალი შეჰყვარებია უიმედოდ და რომელიც, ბოლოს და ბოლოს, პირისპირ დარჩენილა მეტოქესთან, რომლისთვისაც ვერაფერი შეუგნებინებია სწორედ მათი ასაკობრივი სხვაობის გამო. "შოკოლადი, იცოცხლე, კარგია, მაგრამ არ მეჭმევა, ეს დღეები ფაღარათი მქონდაო" - ამბობს ბოლოს და მადიანად ლოკავს ცარიელ კოვზს. აველუმს რატომღაც უსიამოდ ხვდება თვალში ბავშვის გრძელი, წითელი ენა და კოვზის ვერცხლისფერი მუცელი. "ციგურებზე თუ დადიხარო" - ეკითხება ახლა კოლია-კლოდი. იმის ხელა რომ იყო, მართლა დადიოდა აველუმი ციგურებით, ოღონდ, თვითნაკეთი ციგურებით, მაგრამ ეს რომ გაუმჟღავნოს, გათავდა, ვერაფრით ვეღარ მოიშორებს, ვიდრე დაწვრილებით არ მოუყვება ყველაფერს - როგორ ამზადებდნენ, როგორ იმაგრებდნენ ფეხზე და ასე შემდეგ - მაგრამ ახლა ნამდვილად არ ეციგურება, თავისი გასჭირვებია. "აბა რა იცით უფროსებმა, რითი ერთობითო" - არ ეშვება კოლია-კლოდი. "მე მხოლოდ წერა-კითხვა ვიცი და ისიც ქართულად, მეტი ვერაფერი ვისწავლეო" - პასუხობს აველუმი სავსებით სერიოზულად. "თუ გინდათ, გასწავლით. არ მეზარება. დედაჩემსაც მე ვასწავლე. თუ გინდათ ჰკითხეთ. გუშინ ისეთი გაწუწულები დავბრუნდით ორივენი, ერთმანეთი გავწურეთ" - იცინის კოლია-კლოდი გულიანად. ალბათ

წარმოიდგინა, როგორ დგანან ისა და დედამისი სააბაზანოში ტიტვლები, და როგორ ამშრალებენ ერთმანეთს სქელი, ღუნღულა პირსახოცებით. თან, დროდადრო, კოვზის ვერცხლისფერ მუცელს გრძელსა და წითელ ენას აუსვამს ხოლმე. მერე ეშმაკურად თვალმოჭუტული, კოვზს წინა კბილებზე იკაკუნებს და უფროსივით ეუბნება აველუმს: წამიკითხეთ თქვენი რომელიმე ლექსიო. "გერიდებათ? თუ არ გახსოვთ? - გადადის შეტევაზე, უკვე აღგზნებული, უკვე აყოლილი მოულოდნელად დაბადებულ განზრახვას - კარგი. თუ არ გინდათ, ნუ იტყვით. მაინც ვერ გავიგებ. თქვენ ხომ ქართულად წერთ მხოლოდ. აი, მე კი არ მერიდება. მე წაგიკითხავთ ჩემს ლექსს. გინდათ? რომელ ენაზე გნებავთ? გნებავთ რუსულად, გნებავთ ფრანგულად, გნებავთ ინგლისურად. გნებავთ? გაინტერესებთ? თქვენ გგონიათ, მარტო თქვენ წერთ ლექსებს? - იცინის ყალბად და მაშინვე აგრძელებს:

**რუსი დედა ფრანგ მამიკოს**
**ინგლისურად უწვავს ბიფშტექსს**
**ოლალა! ოლ-ლა-ლა!**

როგორია? მოგწონთ?". აველუმი მოღუშული შესცქერის. არ იცის, როგორ მოიქცეს, რა უთხრას. გაუყადროს თუ არ გაუყადროს თავი, ანუ, ტოლად ჩათვალოს თუ ბავშვად. თავისთავად ცხადია, კოლია-კლოდი "დუელში" იწვევს, რაღაცას უმტკიცებს, მაგრამ იმდენად გასაიდუმლოებული აქვს ენა, ბავშვური, უფრო ზუსტად კი, ასაკობრივი გრძნობებისა თუ მოთხოვნილებების შესანიღბად, მსმენელთათვის გზა-კვალის ასარევად, დასაბნევად - მართლაც დიდი წინდახედულება და მოთმინებაა საჭირო, სასაცილო, შენთვის ყოვლად შეუფერებელ მდგომარეობაში რომ არ ჩაიგდო თავი. "მაშინ, იქნებ ის მაინც მითხრათ, ვინა ვარ? - არ ეშვება კოლია-კლოდი - ნაპოლეონი? ალექსანდრე? თუ, მხოლოდ და მხოლოდ ინგლისური ბიფშტექსი, რომელსაც ციმბირული კატა ცხვირწინ ააცლის ფრანგ მამიკოს და სიამოვნებისგან დაკუზიანებული, წამსვე შესანსლავს. მშიაააუ. "შენ, ჩემო ძმაო, მინიატურული ბოროდინო ხარ" - უღიმის აველუმი. "ესე იგი?!" - თვალები უდიდდება კოლია-კლოდს. "ესე იგი, ბრძოლის ველი. ორი განსხვავებული ბუნების, ენის, კულტურის ნაძალადევი შერწყმის, გაერთიანების, გაერთნაირების ასპარეზი". "საინტერესოა! - ვერ მალავს გაოცებას კოლია-კლოდი, მაგრამ მაინც ძველი მეთოდით, აგდებული სერიოზულობით აგრძელებს ბრძოლას - გეტყობათ, რომ მართლა პოეტი ხართ. თქვენი ლექსების წაკითხვა არ შემიძლია, ენის უცოდინრობის გამო, მაგრამ მჯერა თქვენი შეხედულებებიდან გამომდინარე. ესე იგი, ფრანსუაზა თქვენგან შვილს რომ გააჩენს, ისიც მინიატურული ბოროდინო იქნება? კი მაგრამ, თქვენ ხომ რუსი არ ხართ?" "არ ვარ! - სხარტად პასუხობს აველუმი - და არც ფრანსუაზას შვილი იქნება

მინიატურული ბოროდინო, თუკი, თავისავად ცხადია, ჩემგან ეყოლება შვილი". "თქვენგან ეყოლება. თქვენგან ეყოლება. თქვენგან ეყოლება". - ყვირის კოლია-კლოდი და თან კოვზს აკაკუნებს ყავის ცარიელ ფინჯანზე. მეზობელი მაგიდიდან გაოცებულნი იხედებიან. საერთო ზუზუნში, დროგამოშვებით, ადგილობრივი დიქტორის მოთენთილი, დამამადლებელი ხმა შემოიჭრება ხოლმე. "კი მაგრამ, შენ რა იციო" - უკვე ბრაზიანად უღიმის აველუმი. "ვიცი, ზინამ მითხრა (ზინა დეიდამისია). ზინა შინაბერაა და ყველაფერი იცის. იცით, კიდევ რა მითხრა?! მამაკაცთან არასოდეს ვყოფილვარ, მაგრამ ჩემზე უკეთ ვერავინ აღწერს ამ საზიზღარ განცდასო. ვერც პოეტიო. ისიც მითხრა, არავის უთხრაო, მაგრამ თქვენთან ყველაფრის თქმა შეიძლება. თქვენ სხვა ხართ. თქვენ ისიც იცით, მე რომ მეჯავრებით, მაგრამ მაინც შოკოლადს მთავაზობთ. მაინც მელაქუცებით. აბა რა იქნება ფრანსუაზას შვილი" - უბრუნდება მთავარ საკითხს. "რა იქნება და... - განგებ აყოვნებს აველუმი, ნირწამხდარი, გულმოკლული, შეწუხებული, შეყვარებული ბავშვის დაუნდობელი გულახდილობით - რა იქნება და, ღატაკის ძღვენი, მდიდრისთვის მირთმეული. არა, არ ვარგა. რა იქნება და, ბრიყვის გადაგდებული და ჭკვიანის აღებული ცერცვის მარცვალი". თვითმფრინავი დროზე მოდისო - ამბობს ლეონ ფუშე და თავის სკამზე ჯდება. საფერფლეში ჯერ კიდევ ბოლავს მისი დატოვებული სიგარეტი. აველუმი ერთხელ კიდევ ემადლიერება გუნებაში ლეონ ფუშეს - ნამდვილად რომ ბედზე მოუსწრო, თორემ მისი ვაჟიშვილი მთელ აეროპორტს შეუყრიდა, გამოაჭენებდა საქვეყნოდ და ბავშვური სიმკაცრითა და სისასტიკით მოუთავებდა ხელს თავის მეტოქეს. როცა

ადგილობრივი დიქტორი თვითმფრინავის მშვიდობიან დაფრენას იუწყება, აველუმი უკვე დარბაზის მეორე ბოლოში სცემს ბოლთას. ლეონ ფუშე შორიდან უქნევს ხელს და უღიმის. ცოტა ხანში პირველი მგზავრებიც გამოჩნდებიან - საქმიანნი, კმაყოფილნი და ოდნავ ნირშეცვლილნი ცაში გადატანილი ფარული მღელვარებით. აველუმი შუშის კედელთან მიდის და ფარდებს შორის დარჩენილ სიცარიელეში იხედება. ფრანსუაზა საკონტროლო მაგიდასთან დგას და რაღაცას უხსნის საბაჟოს მოხელეს. ზუსტად ისეთია, როგორიც აველუმს ახსოვდა. სრულებით არ შეცვლილა. თუმცა წელიწადი და რვა თვეა გასული მათი ბოლო განშორებიდან. სხვათაშორის, იგივე ქურქი აცვია და იგივე ყურებიანი ქუდი ახურავს (საგანგებოდ შეძენილი აქ ჩამოსასვლელად) და აველუმს, რატომღაც, გული სიბრალულით ეწურება. თუმცა, შესაბრალი მაშინ იქნებოდა ფრანსუაზა, უქურქოდ და უქუდოდ თუ ჩამოვიდოდა ამ საყინულეში. გრძნობს, როგორ ამოსდგომია ზურგს უკან ლეონ ფუშე, მაგრამ ახლა თანაგრძნობით რომ ჩამოადოს იმან მხარზე ხელი, ანდა რამე უთხრას, შეიძლება, მართლა ვეღარ შეიკავოს ფრანსუაზას სიბრალულით აღძრული ცრემლი. დაძაბული, სახეგავარვარებული დგას შუშის კედლის წინ და, ამჯერად, საკუთარ გამოსახულებას ხედავს მხოლოდ, უშნოდ გაბერილს, გასიებულს, ალბათ ყელში მაგრად წაჭერილი ჰალსტუხის გამო. ფაცა-ფუცით იხსნის ჰალსტუხს და პალტოს ჯიბეში იტენის. კისერში ლეონ ფუშეს თბილი, ყავისსურნელოვანი და ღიმილგამოყოლილი ამონასუნთქი უღიტინებს. მაგრამ, თითქმის მაშინვე, უკვე მანქანაში ზის, ფრანსუაზას სუსტი, დრეკადი თითები მუჭში მოუმწყვდევია და უკიდეგანო იმპერიის

ჯიბრით, იმის გულის გასახეთქად, მთელი ძალით წურავს, როგორც ნაცარქექია - ყველის ნაჭერს. ფრანსუაზა კი იღიმება და ლეონ ფუშეს ელაპარაკება. პარიზის ამბებს უყვება. საერთოდ, მარტო ისა და ლეონ ფუშე საუბრობენ მანქანაში. კოლია-კლოდი ვითომ თვლემს ფრანსუაზას მეორე მხარზე თავჩამოდებული. აველუმს კი ხუთი ერთმანეთზე სუსტი და პატარა ცხოველი მოუმწყვდევია მუჭში და თავი ქვეყნის პატრონი ჰგონია. კოლია-კლოდს სახლთან ჩამოსვამენ გზად. რაც არ უნდა იყოს, მაინც ბავშვია, ძილის დრო აქვს უკვე. ბაიბაი, კოლია. ძილინებისა, კლოდ. ეს მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი განშორება ფრანსუაზასთან, კოლია-კლოდს უარესად გააღიზიანებს და მანქანიდან გამოსამშვიდობებლად გადმოსულ აველუმს უკმეხად შეაქცევს ზურგს. ლეონ ფუშე მის მაგივრად მოიბოდიშებს - ნერვიული ბავშვიაო - და დაძაბულობის განსამუხტავად, მანქანის კაპოტს ახდის, მოტორს ჩახედავს. ფრანსუაზა კოლია-კლოდს წაყვება, გააცილებს, რათა გზადაგზა დაამშვიდოს, მიეფეროს, რაღაცას დაპირდეს. ასეთია ევროპული ეთიკა. აველუმს არ ესიამოვნება ეს ამბავი - ჯერ არ ჩამოსულა და უკვე მარტო ტოვებს, თუნდაც ათი წუთით, თუნდაც ბავშვის გულისთვის. თუმცა, ფრანსუაზას საქციელი მისთვისაც ყოველმხრივ ბუნებრივი და გამართლებულია. შეიძლება, ამიტომაც ბრაზდება. მისი გულისათვის ფრანსუაზამ სწორედ არაბუნებრივი, გაუმართლებელი ნაბიჯი უნდა გადადგას. მაგრამ აველუმს მართლა ფრანსუაზას საქციელი კი არ სწყინს, კოლია-კლოდზე ეჭვიანობს. აი, უკვე ლიფტში არიან. კოლია-კლოდი ორივე ხელით წელზე შემოხვევია ფრანსუაზას და აჰყურებს ქვემოდან ზემოთ, როგორც... როგორც მოსკოველ პოეტს მისი

ხმაწასული მეუღლე. ფრანსუაზა თავზე ხელს უსვამს და პირობას აძლევს, მალე გნახავო. აი, უკვე ავიდნენ მეშვიდეზე. კოლია-კლოდი თითის წვერებზე იწევა და ზარს რეკავს. თავს აწონებს ფრანსუაზას, ვითომ, არც ისეთი პატარა ვარ, შენ რომ გგონიაო. ფრანსუაზა საკოცნელად იხრება და კოლია-კლოდი ახლა კისერზე ეხვევა ფრანსუაზას. ფანსუაზას ჩამოშლილი თმა ლოყაზე უღიტინებს და ისიც უფრო ჟინიანად, უფრო აღგზნებული კოცნის ფრანსუაზას, სადაც მიწვდება - შუბლზე, ლოყაზე, ტუჩებში, მკერდზე, მუცელზე... კი მაგრამ, ფრანსუაზას ხომ ქუდი ახურავს?! თმა როგორ ჩამოეშლებოდა?! ქუდს ლიფტში მოიხდიდა. ლიფტში ცხელა. მანქანის კარი ღიაა და ტყავის სავარძელი ყინულის ლოდადაა ქცეული. მაგრამ აველუმი მაინც არ აპირებს კარის დახურვას, თითქოს ასე უფრო მალე დაბრუნდება ფრანსუაზა. ლეონ ფუშე ისევ მოტორს უკირკიტებს. მანქანას ბიჭები ჩაუვლიან. მხრებზე დაუდევრად გადაუკიდიათ დანებივით ბასრი ციგურები. ციგურებს თასმებზე თოვლი მიჰყინვია. ხმამაღლა საუბრობენ თავიანთ სამყაროში, მაგრამ მაინც არ გამოეპარებათ უცხოური მარკის მანქანა. მცოდნეს თვალით შეათვალიერებენ. თან მისაუბრობენ. წვრილად თოვს. ქუჩის პირას მიხვეტილ თოვლის ბორცვებს ახალი თოვლი ემატება და ნათურის გაბაცებულ შუქზე ცხიმივით ბზინავს. ქალაქი უკაცურსა ჰგავს, ალბათ იმ ბნელი სიჩუმის გამო, თოვას რომ ახლავს თან. აველუმს სცივა, ტუსაღივით, უიმედოდ, უსაშველოდ. განძრევისაც ეშინია, რათა ჯიუტად მოხრილ სახსრებში მომწყვდეული სითბოც არ დააფრთხოს. ერთ ხელში სიგარეტი უჭირავს, მეორეთი ჯიბეშივე ანთებს ასანთს და, ოინბაზივით, ჯიბიდან ანთებული ღერი ამოაქვს.

*გამარჯობა აველუმო! აი უკვე მეხუთე დღეა პარიზში ვარ და ჯერ კიდევ ვერ მოვსულვარ ჭკუაზე. მე მგონი, ცოტა შევიშალე. არც იქნება გასაკვირი. ღმერთო, რომ იცოდე, როგორი მადლობელი ვარ შენი! სამოთხეში ვიყავი, ალბათ ამას ჰქვია ბედნიერება.* დილაობით, მხარზე პირსახოცგადაგდებულნი, ცალ ფეხზე ხტოდნენ, ყანჩებივით, აბაზანისა თუ საპირფარეშოს რიგის მოლოდინში - ხან ვინ შეასწრებდათ და ხან ვინ, აქაურობის უკეთ მცოდნე, მათზე გამოცდილი. სამოთხისა რა მოგახსენოთ, არ ვიცი, არ ვყოფილვარ, მაგრამ კრივოარბატის შესახვევში გატარებული ზამთარი ნამდვილად დიდი გამოცდა იყო მათი სიყვარულისა. გადაწყვეტით, შეიძლება, არც ამ შეხვედრას გადაუწყვეტია რამე, მაგრამ ცხოვრების წესი, უფრო სწორად კი, შეყვარებულთა მარადიული, კლასიკური განრიგი მათაც რომ დაუდგინა, ერთხელ და სამუდამოდ, აშკარაა. ამის მერე, მართლაც, ჩვეულებრივ მოვლენად, გნებავთ, აუცილებლობად იქცა, სულიერ მოთხოვნილებაშიც კი გადაიზარდა (რაც აველუმის შემოქმედებაშიც აისახა) განუწყვეტელი მოლოდინი, შემთხვევითი, დროებითი შეხვედრები, მძიმე, ხშირად ისტერიამდე მისული განშორებები და კვლავ მოლოდინი, მოლოდინი, მოლოდინი. ფრანსუაზა, როგორც თვითონვე ამბობს, ჭკუიდან არის გადამცდარი. ყოველ შემთხვევაში, ჯერ ვერ დამშვიდებულა, ვერ დაბრუნებია სინამდვილეს. ახლობლები, მეგობრები წარამარა ურეკავენ, ეხვეწებიან, დაგვენახე, მოგვიყევი, რა იყო, როგორ იყოო (პატარა ამბავია?! "იმქვეყნიდანაა" დაბრუნებული), მაგრამ იმას არავის ნახვა არ უნდა, ჯერ კიდევ იქ არის, საბჭოეთში, ქალბატონ თალიას აშმორებულ ოთახში, მომჟავო-მოტკბო ჰაერს

სუნთქავს, სლავას ნარწყევს წმენდს ბნელ დერეფანში, ანდა ტელევიზორზეა დაპატიჟებული მეზობელთან, გაზეთს ახოცავს დამარილებული ქაშაყით გაწებილ თითებს. ტომატის ქილიდან ხვრეპს ჩამოსასხმელ ლუდს (ნახევარი ზედ ეწუწება) და აღფრთოვანებული, გაოგნებული უსმენს მასპინძლის "ბრძნულ" საუბარს - მართლაც რა არის ჩვენი ცხოვრება, ქალბატონო, ჰმ, ჰმ, ქალიშვილო, ასე ვთქვათ, მადმაზელ, ნაგავი და განავალი, მაგრამ ნაგავიცა და განავალიც უნდა დავიცვათ, რაკი ჩვენია - აველუმი კი ისევ მოულოდნელი შეხვედრის, წამიერი შვების, დროებითი გადარჩენის განუწყვეტელი, გაუნელებელი მოლოდინით ცხოვრობს. ჰაერში გაზაფხულის სუნი ტრიალებს. ბუნება დიადი ცვლილებებისთვის ემზადება. ხალხიც მომავალსაა მიჩერებული. მხოლოდ მომავლის იმედზეღაა დარჩენილი. წარსულიცა და აწმყოც ჟამთასვლის მძიმე ხელითაა გადახაზული. არავის ახსოვს, რა იყო გუშინ. უფრო სწორად, გახსენებაც არ უნდათ გუშინდელი დღისა და, ამიტომაც, გაურკვევლობისა და მოლოდინის სასიამოვნოდ მტანჯველი გრძნობით არიან მხოლოდ შეპყრობილნი. ესღა დარჩენიათ, ესღა შეუძლიათ ამაო ბრძოლით, ფუჭი შრომითა და უმიზნო შფოთვით დასაჭურისებულებს. ესეც უნდა სცადონ, რაკი სხვა ყველაფერი სცადეს და... დამარცხდნენ. რას ვიზამთ, ეს ყოფილა მათი ხვედრი, ოღონდ, სხვებისაგან განსხვავებით, აველუმს უაღრესად კონკრეტული, აშკარად გამოკვეთილი მოლოდინი აქვს - სატრფოს წერილს ელოდება საზღვარგარეთიდან, რომელიც საერთაშორისო ფოსტას კი არ მოაქვს, თავისით მოფრინავს თითქოს, აველუმის გმირივით, ხელოვნური ფრთები გამოუბამს, ოღონდ ლაბირინთიდან თავის

დასაღწევად კი არა, ლაბირინთში როგორმე შესაღწევად. მოფრინავს იდეოლოგიის სუსხიან ქარში გაბასრებული, გაუხეშებული; სახელმწიფოთა გამყოფ მავთულხლართებზე დაფლეთილი, რადიაციული წვიმით გაჟღენთილი და, ამავე დროს, ჩიტივით სუსტი, გაწბილებული ბავშვის ღიმილივით მოწყენილი, ცრემლით მდიდარი და კიდურივით მგრძნობიარე. აველუმი, დღე და ღამე, იმის გამოჩენას ელოდება და ავი წინათგრძნობით შეძრული, ღმერთმა იცის, რაღას არ წარმოიდგენს ხოლმე: ის წერილი, მისი გმირივით ფრთებგამობმული, თითქოს უკვე მოღწეული, საზღვარს გადმომცდარი, ხან ვითომ ბელორუსიის ჭაობებში იძირება, ხან უკიდეგანო რუსულ ტრამალზე ღაფავს ვითომ სულს, სიბნელეში ხმის ჩამხშობ ანძას წამოდებული; ხან კი ვიღაცის (ინდიგოს, იანის... ვისიც გნებავთ) მოუთმენლობისაგან, ცნობისმოყვარეობისაგან აბრჭყვიალებული სათვალის ქვეშ გარინდულა თითქოს, როგორც კატასტროფაში მოყოლილი მგზავრი - საოპერაციო მაგიდაზე, და თვითონაც არ იცის, რას ამოაჭრიან ნარკოზით გაბრუებულს. რაც ყველაზე უცნაურია, აქედან გაქცევას კი არ ცდილობს აველუმი, თუნდაც თავის ფიქრებში, როგორც ალბათ ნებისმიერი საბჭოელი მოიქცეოდა, არამედ ფრანსუაზას დაბრუნებაზე ოცნებობს, ფრანსუაზას ჩამოყვანა უნდა საბჭოეთში, ანუ, მისი გადარჩენა, რადგან ვერცკი წარმოუდგენია, სხვაგანაც თუ შეუძლიათ ერთად ყოფნა მას და ფრანსუაზას, რაც თავისთავად უკვე დიდი უბედურებაა და მისი გონებრივი, სულიერი თუ ზნეობრივი დეგრადაციის დადასტურებაა მხოლოდ. მართლაც, კაცი, ბოლოს და ბოლოს, მოკვდე, ესე იგი, განთავისუფლდე, გააღწიო აქედან და ისევ უკან, ისევ

ამ აშმორებულ დილეგში დაგიპირონ დაბრუნება, რასაკვირველია, არც სიკეთედ ჩაეთვლება ვინმეს, არც კეთილშობილებად, რადგან ეს მკვდრეთით აღმდგარი კაცის ცოცხლად დამარხვა უფრო იქნება, ვიდრე... ვიდრე სიკვდილისგან გადარჩენა იმავე კაცისა. უფრო მეტიც, კრივოარბატის შესახვევში მდგარი პატარა სახლი აველუმს უკვე მშობლიურივით უყვარს და ხანდახან ეჭვიც ეპარება, მართლა თუ ცხოვრობდა იქ ფრანსუაზასთან ერთად, თუნდაც დროის გარკვეულ მონაკვეთში, ვიდრე ფრანსუაზა იძულებული შეიქმნებოდა შინ დაბრუნებულიყო, პარიზში, მშობლებთან, დებთან, ნაცნობ-მეგობრებთან... იმ სახლის სიპირქუშისა და სიყრუის წარმოდგენაზე ახლაც სევდანარევი სიხარულითა და სიამაყით ევსება ხოლმე გული და, მოგონებებში გადავარდნილი, თვალდახუჭული უღიმის სარკმლის გაბზარულ მინასა თუ ზეზეურად ჩამომპალ, ჩაბინძურებულ კიბეს, რომელზედაც სახლის ბინადრები ადი-ჩამოდიან, ან ავადმყოფი დედის დასაპურებლად მიიჩქარიან, ან ავადმყოფი დედის საცემრად; ან სამსახურში, ან სამსახურიდან; ან ნაგავს ეზიდებიან თავიანთი სოროებიდან, ან პურსა და კარტოფილს - თავიანთ სოროებში. გაბზარული მინა კი განუწყვეტლივ ზრიალებს ქუჩაში ჩავლილი მანქანების ხმაზე, მაგრამ აველუმის გონებაში, მინას ის უფრო აზრიალებს, რასაც უქუთუთო, მარად ღია თვალივით შესცქერის გაჩენის დღიდან, ჩარჩოში (საკანში) ჩამწყვდეული. მინის განუწყვეტელი ზრიალი ჩარჩოდან (საკნიდან) თავის დაღწევის სურვილის, ჟინის, მოთხოვნილების გამოხატულებაა. იმასაც კი, უსულო, უგრძნობელ საგანსაც, უჭირს ჩარჩოში (საკანში) ცხოვრება და აველუმისაგან განსხვავებით, აქედან გაფრენა სურს

მხოლოდ. აველუმი კი უაზრო ნებაყოფლობით ზის კედლებდაწყლულებულ სატუსაღოში, რადგან მხოლოდ აქ შეუძლია ფრანსუაზასთან ყოფნა. ამდენად, მხოლოდ აქ შეუძლია საერთოდ ცხოვრებაც. მათთვის არც არსებობს უკეთესი ადგილი - გულუბრყვილო წიწილებივით, დაუცხრომელი ხალისითაც ადი-ჩადიან დახავსებულ, ფუძემორყეულ კიბეზე, კბილებივით რომ ჩასცვენია რიკულები და დალაქული, დაწილული ნათურის მბჟუტავ შუქზე, გარინდული ურჩხულის დაკბილულ ზურგსაც ჰგავს უცებ. თუმცა, საერთოდ, ძნელი სათქმელია, რას ჰგავს, რა არის სინამდვილეში - ჩვეულებრივი რიგი საფეხურებისა, ყოველდღიურ ცხოვრებასთან დამაკავშირებელი საშუალება თუ რაღაცის, ბევრად უფრო მნიშვნელოვანის სიმბოლო, მიმანიშნებელი, გამახსენებელი მარადიულისა, დიადისა, მიუღწეველისა, რაც თავის მხრივ, ფიქრის უნარს უჩენს ადამიანს, მაღლა ახედვას ასწავლის, ანუ აიძულებს უკეთესი გახდეს, ვიდრე არის და საკუთარ სიმდაბლეზე მაინც ამაღლდეს. ისინიც, ყოველ ღამე, ერთმანეთს ჩახუტებულნი, ერთარსებად ქცეულნი მათთვის უცხო გარემოში, მათ გაჩენამდე და სრულიად სხვათა (შეიძლება, დახვრეტილ თეთრგვარდიელთა) საქორწილო სარეცლისთვის შეკერილ თეთრეულში ჩაკარგულნი, გაუბედავად (მეზობლებს რომ არ დაუფრთხონ ძილი), მაგრამ ჯიუტად მიუყვებიან იმ კიბის უხილავ ნაწილს, რომელიც სახლის კედლებს სცდება და უსაზღვრო სივრცეს ერწყმის, ოღონდ თბილისისკენ ანდა პარიზისკენ კი არა, ცისკენ, ვარსკვლავებისკენ, მარადისობისკენ მიემართება, მაღლა და მაღლა. მაგრამ ცხოვრებაც (იგივე გველი) ფხიზლადაა, ვერავის შეელევა ასე იოლად, ბებრის საწოლის გაფაჩუნებაც არ გამოეპარება მის სმენას და

დიდხანს არავის გააჩერებს იქ, სადაც მისი ადგილი არ არის. *ვერ ვიტან პარიზს. სარკმელში გახედვაც არ მინდა. ნეტავი დამაძინა და დიდხანს, დიდხანს, დიდხანს, მეძინოს. თუნდაც მეორედ მოსვლამდე. საჩუქრებისთვის ყველასგან დიდი მადლობა. აქ უკვე ყველას უყვარხარ (რასაკვირველია, საჩუქრებისთვის არა). დიდი წარმატება აქვს შენს ფოტოს. ზოგს ჰამურაბი ჰგონია, ზოგს ეგვიპტის რომელიღაც ფარაონი, ზოგს კი ინდიელი ბელადი. რაც მთავარია, გულგრილი არავინ დარჩენილა. ასე რომ, თამამად შეგიძლია ჩამოხვიდე.* აგაშენა ღმერთმა! აველუმსაც ეგ აფერხებდა მხოლოდ. *როგორ იმგზავრე? მე ჯერ კიდევ შენთან ვარ. მართალი ხარ, ბედნიერებაა შენ რომ მიყვარხარ, თუმცა, ცოტა ხნის შემდეგ ალბათ სხვანაირად ვიფიქრებ. ვყბედობ, ვყბედობ, ნუ მომაქცევ ყურადღებას. რაკი თავის დროზე ვერ გამოვაგზავნე ეს წერილი, ბარემ დაბადების დღესაც მოგილოცავ. ნუ ვიტყვით, რამდენის გახდი, რა მნიშვნელობა აქვს?!* არადა, ოცდაჩვიდმეტისაა მხოლოდ. ჯერ განუსჯელად ხარჯავს, რისი დახარჯვაც შეიძლება, ანუ, სიამოვნებით თესავს სინანულის, სიმწრის პურს, რომელიც ტანჯვით უნდა მოიმკას. *თუ შეიძლება, ბევრს ნუ დალევ. ჯანმრთელობა ჯანმრთელობად და ახალ საათსაც დაამტვრევ, თვალსა და ხელს შუა გაგეპარება დრო.* მართალს ამბობს. აველუმმა სიმთვრალეში, რაღაცაზე გულმოსულმა, საათი იატაკზე დაანარცხა და ისე დააქუცმაცა, მთლიანად ვეღარ მოუყარა ნაწილებს თავი, გეგონებოდათ, ზოგი ნაწილი თავიდანვე აკლდაო, კვალსაც ვერ მიაგნეს, თუმცა ოთხზე დამდგრებმა, ბევრი იხოხიალეს იატაკზე. მეორე დღეს ახალი იყიდეს, იქვე, არბატზე, მაგრამ, რაც მთავარია, აველუმმა ვეღარ გაიხსენა,

რაზე გაბრაზდა: თავისთავად ცხადია, კითხვაც მოერიდა - გინდაც შეყვარებულისთვის გიკითხავს, გუშინ რაზე გეჩხუბეო და გინდაც შუა კარტის თამაშში კოზირი მიგიცია მოწინააღმდეგისთვის. გარდა ამისა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ჩვეულებრივი უმსგავსობაა ნებისმიერი საათის დამტვრევა იმის გამო, რაც თავად არ გეხსომება მეორე დღეს. მაგრამ მე თუ მკითხავთ, სიყვარული სწორედ უაზრო მრისხანებისა და გადამრჩენელი გულმავიწყობის განუწყვეტელი მონაცვლეობაა მხოლოდ. წერილი კი იგვიანებს, იგვიანებს, იგვიანებს და შენც ისღა დაგრჩენია, მართლა დაიჯერო, ღრუბლად რომ იქცა ისიც, ახალი ფერივით მიემატა ლაჟვარდს... ქალაქი ჭადრის მფრინავი თესლითაა სავსე. გაფუყული, გაბურძგნული ფთილებით თმაგადაპენტილი, უცხოსავით დახეტიალობ მშობლიურ ქალაქში. ქალაქის მძიმე ჩრდილი მხარზე გადევს უჩინარი მსაჯულის ხელივით. წვიმის ლაქები კედლებზე ურჩხულებივით გარინდულან. მდინარესავით ადიდებული ვნება სხეულს წალეკვით ემუქრება. საერთოდ, წარღვნის წინა დღეა თითქოს. ხეზე კოდალა აკაკუნებს. კიდობანში თაგვი ფხაკუნობს. განსაცდელით, ელდით, გაურკვევლობითაა ჰაერი დამუხტული. გადარჩენილიც შველას ითხოვს, გადასარჩენზე რომ არაფერი ვთქვათ. ნაწილი ნაწილს დაეძებს ბრმად, ალალბედზე. ყველას, ყველაფერს ეშინია სიმარტოვისა, მარტო დარჩენისა და მაინც ყველას იმედი აქვს, ყველას ერთნაირად სჯერა, თუ ვინმე გადარჩება საერთოდ, თვითონ გადარჩება აუცილებლად. ერთი წამით ყველას ავიწყდება თავისი უბედურება, სადარდელი, სატკივარი, მანკი - უძლურს უძლურობა, მხდალს სიმხდალე, ბოროტს ბოროტება და ყველანი, კაციც და მხეციც, ფრინველიცა და

ქვეწარმავალიც, ერთხელ კიდევ, ერთნაირი სიხარბით, ერთნაირი მოუთმენლობით ეწაფება ბუნების ძუძუს, რომელიც ერთხელ კიდევ ივსება შენს თვალწინ ბავშვობის რძით, ყრმობის თაფლით, სიჭაბუკის ღვინითა და სიბერის შხამით. შენ კი დადიხარ, დაეხეტები მშობლიურ ქალაქში, როგორც მინოსის ლაბირინთში, და სიყვარულის დროშით სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნის გადამლახავს, პირველად ახლა გწყდება გული ყველაფერზე, რითაც აქამდე ცხოვრობდი, მაგრამ ადამიანური სიბეცის, უყურადღებობის გამო, ვერ ამჩნევდი... დადის, დაბორიალობს აშმორებულ ტალანებში, დამყაყებულ წუმპეებში. გაოფლილ სახეზე მუმლი მიგლესვია, აბლაბუდის ნაფლეთები აჰკვრია. გამწარებულია სულის მოუშუშებელი ჭრილობით, დაუძლურებულია ადამიანის გესლით, სიბნელით, გულგრილობით... და, თუმცა ჯიუტად დუმს, მაინც უკვირს, არავის რომ არ ესმის მისი, არავინ რომ არ გამოდის აივანზე, არავინ რომ არ კითხულობს - ვინ არის, რა ემღერებაო. ადრე მოხეტიალე მომღერლებს ხურდა ფულს მაინც უყრიდნენ აივნიდან. ახლა ვერც კი ამჩნევენ. ერთნაირადაა ამოღამებული სახლის სარკმელიცა და სახლის ბინადრის გულიც. თუმცა არა, როგორ თუ ვერ ამჩნევენ! ჩასაფრებულნი ყოფილან ფარდებს უკან, შარდის სუნით აქოთებულ სადარბაზოებშიც, და ერთბაშად გამოცვივდებიან სამალავებიდან, ხელებს ზურგსუკან გადაუტრიალებენ მოხეტიალე მომღერალს და ძალით გაათრევენ ქალაქის მთავარ მოედანზე, რომელიც, სხვათა შორის, ისევე იცვლის სახელებს, როგორც ზოგიერთი ქალი, ვთქვათ, ხელთათმანებს. ვისაც რა უშოვნია, იმით სცემს - ზოგი ქამრით, ზოგი კეტით, ზოგი თოკისა თუ ჯაჭვის ნაგლეჯით. ის კი

აქეთ-იქით აწყდება, სახედასისხლიანებული, ზურგზე კანდამსკდარი, საცაა გონებას დაკარგავს, გული შეუღონდება, თუ არ დაიხჩრო იქამდე, მაგრამ ბედად, გაცოფებულ, გაპირუტყვებულ ბრბოს იანი გამოეყოფა და შესძახებს - გაჩერდით, უკეთეს გასართობს გამოგიჩენთ ახლავეო - თან მუცელზე გამობერილ პერანგს იჩეჩავს შარვლიდან და ბერტყავს. მოდის და მოდის მოლურჯო-მონაცრისფრო ნიაღვარი მოპარული, გადამალული, მითვისებული წერილებისა, ზვინად დგება მოედანზე, როგორც თავთავი - კალოზე. გალეწვაღა აკლია, კევრის გადატარება. აჰათ, ნახეთ, რა სისულელეებს სწერდნენ ერთმანეთს ესა და მისი შეყვარებულიო - იყვირებს იანი და ხალხიც ყიჟინით მიესევა წერილების ზვინს, გასალეწად, კევრის გადასატარებლად. ფაციფუცით ხსნიან, ხევენ, ვინ იცის მერამდენედ დაწებებულ კონვერტებს. ხელიდან გლეჯენ, ხელში აფხრეწენ ერთმანეთს, ვინ იცის, რა სასოებით, რა გრძნობებით დაკეცილსა და დაბინავებულ ფურცლებს და ნაგლეჯებს ხმამაღლა, სიცილ-ხარხარით კითხულობენ, რასაკვირველია, უხამსი, უწმაწური კომენტარების თანხლებით. დიახაც, მაგისთანებმა მოსპეს ქვეყანა. მაგისნაირებმა. აქაოდა, ლექსის წერა გვეხერხებაო, ყველაფრის უფლებას აძლევენ თავს. პარიზელ კახპებზე ამოსდით მზე და მთვარე. აფსუს, ქართველო ქალო! არა, არა, ერთი აქეთაც მოუსმინეთ. მიყვარხარ. არ დამივიწყო. გკოცნი. სად კოცნი, გენაცვალე? იქნებ დაგვიზუსტოთ. გაზაფხული კი მშიერი მგელივით დასდევს მოკვდავს ფეხდაფეხ, ცხოვრებისგან ისედაც გამწარებულს, დაღლილს, გაბეზრებულს ათასი სენითა და განსაცდელით. აიძულებს ერთხელ კიდევ აჩქარდეს, ერთხელ კიდევ გაინძრეს, მიდგეს-მოდგეს, სცადოს,

გაბედოს, გააღწიოს, გადარჩეს. შფოთავს დედამიწაც - ყველაზე დიადი ცოდვილი - ყველა ცოდვილის დედა. უფრო მეტიც - საკუთარი ქმრის გამჩენი და საკუთარი შვილის ცოლი. ისევ მოსალოგინებელია. ერთხელ კიდევ უნდა გააჩინოს ახალი სიცოცხლე, ძველის მემკვიდრე და მემკვიდრის ჩამსახავი. სხვანაირად არ შეუძლია, ესაა მისი ერთადერთი მოვალეობა, ამით ადასტურებს მხოლოდ თავის მარადიულ დედობასაც და ცოლობასაც. სარკმლის მინაზე კი გამდნარი ოქროს წვეთივით მოცოცავს ყვავილის წვენით მთვრალი ფუტკარი. ფუტკარში ღმერთის გამზრდელი ძალაა ჩაბუდებული. თავად ღმერთი კი, უგულებელყოფილი და დავიწყებული, უსახო ბრბოში ჩამდგარა, როგორც სარდაფში - სანთელი, მაგრამ სარდაფიდან უკვე დიდი ხნის წინ გაუტანიათ, თუკი რამე იყო გასატანი, გასანათებელი, მისაკვლევი. ხოლო აველუმის წიგნში, აველუმისგან განსხვავებით, გმირი უკვე გაფრენაზე ფიქრობს, უკვე ხელოვნურ ფრთებს აკოწიწებს გამალებული - ფიქრის სინამდვილეში ანხორციელებს იმას, რისი წარმოდგენაც შეუძლებელია არსებულ სინამდვილეში. მალე მისი ნაფიქრალი მთელ კუნძულზე ვრცელდება შავი ჭირივით. მარადიული შიშისა და მონობისგან დაბეჩავებული ხალხის სიზმრები ახალი, უცნაური, აშკარად სახიფათო ჩვენებებით ივსება. ამ ჩვენებებს უახლოესი ადამიანებიც კი უმალავენ ერთმანეთს, რადგან ყველა დარწმუნებულია, მარტო თვითონაა ამ დღეში, მარტო მას შეჰყრია ეს ახალი ჭირი. და აი, ერთ მშვენიერ დღეს, ადამიანის ბნელი წიაღიდან ადამიანისავე თესლს სააშკარაოზე გამოაქვს მისი დიადი საიდუმლო: ოთხმოცდაათქალაქიანი კუნძულის ერთ ჩვეულებრივ ოჯახში ფრთიანი ბავშვი იბადება. წლობით ნაფიქრი

და ნაოცნებარი თესლის თვისებად ქცეულა, რაც, თავისთავად ცხადია, სრულებითაც არ ესიამოვნება კრეტასნაირ სახელმწიფოს. შეშინებული მშობლები, რასაკვირველია, სასწრაფოდ აჭრიან ჩვილს ვაზის ფოთლის ხელა, ვაზის ფოთოლივით დაჭმუჭნულ ფრთებს, მაგრამ ფრთების გადანაჭრებიდან ორ ნაკადად ამოხეთქილმა სისხლმა ლამის წალეკოს იქაურობა (სხვათა შორის, ამ ეპიზოდმა იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ფრანსუაზაზე, თვითონაც ფრთიანი ბავშვი გააჩინა სიზმარში. ხოლო ცენზურამ ორმოცდათექვსმეტი წლის ტრაგედიის მხატვრულ ინტერპრეტაციად ჩაუთვალა ეს ადგილი აველუმს და არც მთლად უსაფუძვლოდ). ფრთიანი ბავშვის გაჩენის შემდეგ, რასაკვირველია, ქალაქში საგანგებო წესები ცხადდება. გზები იკეტება. უკვე მოლოგინებულსა თუ ჯერ კიდევ მოსალოგინებელ ქალებს ერთად უყრიან თავს. დილიდან საღამომდე იჩხრიკება სახლები და ეზოები, სხვენები და სარდაფები, ბოსლები და გომურები, სადაც კი შესაძლებელია ადამიანის დამალვა, და თუკი სადმე ჩვილს ანდა ფეხმძიმე ქალს აღმოაჩენენ, მთელ ოჯახს ხოცავენ დედაწულიანად. გვამებს კი "მინოსის თეატრში" აგზავნიან. რაც შეეხება მინოსის თეატრს, ჩვეულებრივი თეატრია ისიც, გასართობი, სასეირო, ოღონდ, მსახიობების მოვალეობას იქ საგანგებოდ დაგეშილი ღორები ასრულებენ. თანაც ბევრი არაფერი ევალებათ: "სცენაზე" სხვადასხვა ადგილას წინასწარ ჩამარხული გვამის ნაწილები უნდა ამოჩიჩქნონ დინგებით. ღორებს, რა თქმა უნდა, არაფერი რჩებათ მიუკვლეველი, თუმცა თავიდან არც "მსახიობებმა" და არც მაყურებლებმა არ იციან, სად რა არის ჩამარხული, რა თანმიმდევრობით ამოიყრება მიწიდან ადამიანის სხეულის ნაწილები.

არის ერთი ბჭობა და კამათი, იდება სანაძლეოები, ვიდრე მინოსი და მისი ამალა სავარძლებში მოკალათდებოდეს და თეატრისა და ღორების სადგომის გამყოფი კედელი გრუხუნ-ღრჭიალით წავიდოდეს მაღლა. სადგომის აშმორებული წყვდიადიდან თვალებჩასისხლიანებული, ჯაგარაშლილი, შიმშილისგან აჭყვირებული ღორები გამოდიან სცენაზე და ჯერ ერთმანეთს კბენენ, ანდა თეატრის მსახურებს ეტანებიან საკბენად, რაც არანაკლებ ამხიარულებს მაყურებელს, რომელიც ტაშითა და სტვენით ეგებება ღორების გამოჩენას. ხოლო როცა ღორის დინგით ამოტრიალებულ მიწას ადამიანის სხეულის რომელიმე ნაწილიც ამოჰყვება ხოლმე, იარუსები ყურისწამღებად ღრიალებენ, იგინებიან, არწყევენ და ისევ ღრიალებენ, ისევ იგინებიან და ისევ არწყევენ, ვიდრე შიმშილისგან გაგიჟებული ღორები ერთმანეთს პირიდან გლეჯენ ადამიანის თავ-ფეხსა თუ გულ-ღვიძლს. მაგრამ ეს თავისთავად უზნეო და ამაზრზენი სანახაობა, კიდევ უფრო უზნეო და ამაზრზენი ხდება უკვე სიზმრად გარდაქმნილი. ძილიც წამებად გადაქცევია ხალხს. გმინვითა და ოხვრით თენდება უსაშველოდ გაწელილი ღამეები. სიზმრიდან, ვინ იცის, მერამდენად გამოქცეულნი, ძლივს ითქვამენ სულს, საკუთარი გულების გამალებულ ფეთქვას მიყურადებულნი. მაგრამ რამდენჯერაც არ უნდა მოიცვალონ საწოლში გვერდი, როგორც არ უნდა გაუძალიანდნენ, სანახევროდ მაინც იქ არიან, სიზმარში, და სისხლით გაზინთული კალათიდან ხან ვიღაცის ხელი წაეტანებათ მოულოდნელად, ხან ვიღაცის გაყინული თვალი მოაშტერდებათ ჯიუტად. შიშისაგან წამხდარი კაცები უარს ამბობენ შვილებზე. ათასნაირ სისაძაგლეს, მრუშობასა და ღალატს სწამებენ

ფეხმძიმე ცოლებს, რათა როგორმე აიცილონ თავიდან ფრთოსანი ადამიანის მამობა და, აქედან გამომდინარე, ამ საქმეში თანამონაწილეობისათვის დადგენილი სასჯელიც. მაგრამ გაჩენამდე შეძულებული შვილები, ცხადია, მაინც იბადებიან და იბადებიან პირველ რიგში მშობლების რისხვად, მშობლების მსაჯულებად, გულღრძო შურისმაძიებლებად ამ წინდაუხედავი, ბრიყვული ნაბიჯისათვის. ხოლო შემაძრწუნებელი, გამრყვნელი, დამაგლახაკავებელი შიშითა და მოლოდინით გულგაყინული მშობლები დაუდევრად, ტლანქად ატრიალებენ ხელში ჯერ კიდევ საშოს დორბლით მოთხვრილ არსებებს, რომლებმაც უნდა გადაწყვიტონ მათი ყოფნა-არყოფნის საკითხი - თუკი ჩვილს საფრთე კვირტები, ან რაიმე საეჭვო მეჭეჭი და ხალი ეტყობა ზურგზე, გათავებულია მათი ამბავი, ვერაფერი ვეღარ უშველით. ამიტომაც მატულობს დღითი-დღე მკვლელობის, თვითმკვლელობისა და, რაც კიდევ უფრო სამწუხაროა, ძალით დაყვერვის შემთხვევები. გამწარებული, გამხეცებული ცოლი მძინარე ქმარს საწოლზე აბამს და მიუხედავად თავგანწირული წინააღმდეგობისა, ხვეწნა-მუდარისა, ბასრი დანით - რომელსაც დიდხანს ლესავდა ქმრის ზურგს უკან - განზრახულით აღგზნებული და გაკერპებული, თვალის დახამხამებაში აცლის სათესლე ჯირკვლებს. მოკლედ, ხალხს ცხოვრებისა ეშინია, სიცოცხლე ეჯავრება. *დღეს გენერალური გაფიცვაა და, მადლობა ღმერთს, ცოტა დაწყნარდა ქალაქი. ელექტრონიც გამორთულია - დაისვენა თვალმაც და ყურმაც - გარეთ კი წვიმს. ძლივს გავიგე წვიმის ხმა. აღარ მახსოვდა. დედა და დები სტუმრად არიან. მამა აფრიკაშია, პეპლების კოლექციას აგროვებს. ერთი ჩემი მეგობარი კი საკმაოდ*

*სერიოზულად შეიშალა, საავადმყოფოში მოათავსეს, ვერ აბამენ თურმე. პარანოია დაუდგინეს. აჩემებული აქვს, ვიღაც მითვალთვალებს განუწყვეტლივო.* ეძებეთ ქალი. ეს ის მეგობარია, საბჭოეთში რომ გამოექცა, რათა აველუმს ჩავარდნოდა კლანჭებში. კი არ შეიშალა, საბოლოოდ დარწმუნდა, მართლა რომ დაკარგა ფრანსუაზა და პირველად ახლა გაიგო სიყვარულის ჭეშმარიტი ძალა, როგორც ერთ სიმღერაში ამბობენ, ახლა გაიგო რა ყოფილა სიყვარული, რომელიც თანამედროვე განმანათლებლებს უკვე ერთხელ და სამუდამოდ დამარცხებული, მოშორებული სენი ეგონათ, ციებასავით, ჭლექივით, მაგრამ ნურას უკაცრავად! სიყვარული არ შეიძლება თავისუფალი იყოს თანამედროვე, ცივილიზებული სამყაროს გაგებით, რადგან სიყვარული თავისუფლებისკენ სწრაფვაა და ამდენად მარადიული მოვლენაცაა, რაკი ადამიანი თავისუფლებას სამოთხეში ტოვებს, ანუ, გაჩენამდე, გნებავთ, გაჩენისთანავე კარგავს და მთელი მისი დანარჩენი ცხოვრება (მიწიერი არსებობა) სამუდამოდ, უიმედოდ დაკარგული თავისუფლების შემაწუხებელი შეგრძნებაა მხოლოდ. შეიძლება, ამიტომაც უმალავენ კეთილმოსურნენი დღევანდელ ახალგაზრდობას სიყვარულს, ანუ, უკლავენ სწრაფვას თავისუფლებისკენ, რომლის მიცემაც არ შეუძლიათ იმ უბრალო, მაგრამ უაღრესად ტრაგიკული მიზეზის გამო, საერთოდ რომ არ არსებობს ბუნებაში, ანდა არსებობს მხოლოდ ჩვენი თვალსაწიერის, ჩვენთვის მეტნაკლებად მისაწვდომი, ჩვენგან მეტნაკლებად აღქმული სამყაროს საზღვრებს მიღმა, რაც ისევ სიყვარულის მეშვეობით დასტურდება აქამდე, ჩვენ კი ამ ერთადერთი დამადასტურებლის უგულებელყოფით,

გაუფასურებით ვცდილობთ შევქმნათ თუნდაც უაღრესად მომხიბლავი, სრულყოფილი მოდელი არარსებულისა, რომელსაც სამოთხისეული ცდუნების სიტკბოც ექნება და ჯოჯოხეთური სასჯელის სიმწარეც. და აი, გაძევებული სიყვარულის დანატოვარ სიცარიელეს სექსუალური სანახაობანი, სექსუალური მაღაზიები ავსებენ ბეატრიჩეს, ლაურას, ემმას სამშობლოში, რასაკვირველია, დღევანდელ ბეატრიჩეთა, ლაურათა და ემმათა საკეთილდღეოდ (სინამდვილეში - საზიანოდ, რადგან ბევრად სჯობს, აღიარო სიყვარული და შეგნებულად, შენი ნებით მოკვდე, ვთქვათ, რომეოსავით, ვიდრე თავის დროზე ზურგი შეაქციო, არაფრად ჩააგდო, მერე კი გიჟის ხალათი გადაგაცვან, როგორც ფრანსუაზას ბავშვობის მეგობრისათვის გადაუცმევიათ ამწინებზე), მაგრამ სიყვარულის ყავლგასული, დაობებული, ათასი ჯადოქრის შელოცვილი, ათასი ექიმბაშის ნამკურნალევი, ათასი მკითხავის გაუვნებელყოფილი ტანჯვანი მაინც საკუთარი ხორცისა და საკუთარი სულის უკეთესი ნაწილის აღმოჩენაში შველოდა ადამიანს, უძილო, უიმედო, უღონო, უბოლოო ღამეებით გასპეტაკებულსა და გაკაჟებულს, როცა სწორედ უკეთესის, უწმინდესის, უსპეტაკესის წინააღმდეგაა მიმართული, თავისი არსითა და ბუნებით, სექსუალური სანახაობებიც (რაც უნდა მაღალ დონეზე, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვისა და უმდიდრესი რეკვიზიტის მოშველიებით იყოს წარმოდგენილი) და ფეშენებელური სექსუალური მაღაზიებიც (რაც უნდა ფართო ასორტიმენტი გამოფინონ იქ). შეხე, მიშელ, რა სიმპათიური ჩაჩია პენისისთვის. მაგრამ ორესტს, მე მგონი, დიდი მოუვა. რა იცი? მაინც ჰკითხე ზომა. თვალი ხარბია. სიყვარული კი, ყველა

კვარცხლბეკიდან ჩამოგდებული, ყველა ტაძრიდან გამოდევნილი, შერისხული, შეგინებული, ადამიანური უზნეობის ლაფში ამოგანგლული, სამარცხვინო სისუსტედ, სულელ წინაპართა გულუბრყვილო თამაშად, ასაკობრივ მიდრეკილებად, ჩვეულებრივ ხელმრუშობად მონათლული - უსაბუთოდ, უნებართვოდ დაეხეტება მსოფლიოს დიდ შარაგზებზე, კონტინენტთა დამაკავშირებელ საზღვაო თუ საჰაერო მაგისტრალებზე, რადგან ადვილზე ადვილი შესაძლებელია, ერთსა და იმავე სოფელში, ერთსა და იმავე დაბაში, ერთსა და იმავე ქალაქში, ერთსა და იმავე ქვეყანაში, ბოლოს და ბოლოს, ერთსა და იმავე კონტინენტზე, არ აღმოჩნდეს ორი საპირისპირო სქესის თუნდაც თითო წარმომადგენელი, ერთდროულად, ერთნაირად რომ იგრძნოს მისი ძალა და არა მარტო იგრძნოს, არ შეეშინდეს, არ მოერიდოს აღიარებისა, ანუ, არ გააღიზიანოს საკუთარმა სისუსტემ, სულიერმა ჩამორჩენილობამ, გონებრივმა ნაკლოვანებამ და დაუფარავად, გარკვევით, გასაგონად თქვას - მიყვარსო - როგორც ნებისმიერი ნორმალური ბავშვი ეუბნება დედას, აი, აქ მტკივა რაღაცაო. სიყვარული გრძნობათა გავარვარებული ჯაჭვია, რომელსაც შენი ნებით იხვევ კისერზე, რადგან აღარ შეგიძლია უიმჯაჭვოდ გაძლება და, ზედ ტუჩებმიმწვარი, ისევ ხარბად კოცნი იმის წითლად გაღვივებულ რგოლებს, უფრო და უფრო ეფლობი მის მოუხეშავ, მოჟღარუნე სიმძიმეში და კი არ გრცხვენია, გეამაყება დამწვარ-დაწყლულებული ხორცის გამოჩენა - გინდა, ყველას ეცოდებოდე, ყველა გითანაგრძნობდეს, კაციც და ღმერთიც, თითქოს იმათი ხათრით, იმათ მაგივრად იტან ამ არაადამიანურ ტანჯვა-წვალებას, თუმცა, თვითონ არ იცი წესიერად, რა გჭირს, რატომ ხარ ამ დღეში, რადგან შენივე

გრძნობების ჯაჭვი ხან სიცილ-ტირილით გეხვევა და გეჩურჩულება - არ მიმატოვოო - ხან კი მართლაც ლითონის უგრძნობლობით, ლითონის სიცივითა და სიმძიმით გაწევს გულზე. *ძალიან, ძალიან მომწონს. გკოცნი. მომწერე. მიყვარხარ.* დიახ, უყვარს ფრანსუაზას და არც მალავს. მისი საკითხი გადაწყვეტილია. ის უკვე ჩვეულებრივი მეამბოხეა - საკუთარ დროსა და გარემოს უჯანყდება, ანუ, ბედნიერია ტანჯვით, მოხიბლულია ტკივილით და კმაყოფილია არაფრითაც. მისი ცხოვრების წესი უიმისოდაა დადგენილი ცაში და ის მხოლოდ ამ წესის გამტარებელია მიწაზე - შრომობს, რათა თვითმფრინავის ბილეთის ფული შეაგროვოს როგორმე; ნებისმიერ სურვილსა და მოთხოვნილებას იკლავს, რათა ერთადერთი აუსრულდეს ერთხელ კიდევ, თუნდაც, ერთხელაც, უკანასკნელად. არაფრის არ რცხვენია, არაფრის არ ეშინია, რადგან ყველაფრისთვის მზადაა წინასწარ. შეგნებულად დგას ამ გზაზე, ანუ, არავითარ წინააღმდეგობას არ უწევს გრძნობას, რომელიც ბრმად, მოულოდნელად, შემთხვევით დაეუფლა და რომელმაც თვალი კი აუხილა, მაგრამ შესამჩნევი აღარაფერი დაუტოვა გარშემო, ყნოსვა კი გაუმძაფრა, მაგრამ სურნელება დაუკარგა ყველაფერს, სმენა კი გაუხსნა, მაგრამ მზეზე შემჩნეული უდიდესი აფეთქებების მსგავსად, მისთვის მაინც ჩუმად, მაინც უხმოდ ხდება მოსახდენი. *უნდა ჩავაბარო გიდებისთვის აუცილებელი კიდევ ერთი გამოცდა, თორემ მუშაობას ამიკრძალავენ. ესლა მაკლდა! დედა და დები სამხრეთში წავიდნენ. მამაც იქ ჩავა აფრიკიდან, თავის პეპლებიანად. პარიზში მარტო მელა ვრჩები, რათა ვიმუშაო. ბევრი ჩემი ნაცნობი მსახურობს მოსკოვში. ერთი ჩემი დობილის მამა*

*ამჟამად თბილისშია. ყველასი მშურს, მაგრამ შურით რას გააწყობ. ალბათ ზაფხულში ვერ ჩამოვალ. არ დაგავიწყდეს რაც დამპირდი!* რას დაჰპირდა ნეტავ?! თუმცა, იმედი უნდა ვიქონიოთ, არ დაავიწყდებოდა, შეუსრულებდა დანაპირებს. *კარგია რომ ცოტას სვამ. როგორ არა! მეც იმ წუთას დავიჯერე! როგორც თევზი ვერ გადაეჩვევა ცურვას... აი, მე კი ნამდვილად ბევრი მძინავს და ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, საერთოდ აღარ გავიღვიძებდი.* უკვე დალეული აქვს ჯადოსნური ყვავილების ნახარში, ჯულიეტას წამალი, და სასიამოვნოდ ეწვის, ეგლიჯება გულმუცელი. ვერაფრით ვეღარ ამოაბრუნებს უკან, სულ ასე სასიამოვნოდ უნდა იტანჯოს და ელოდოს ბედნიერ აღსასრულს. *ძალიან დავიღალე. რასაკვირველია, გაგინებ. მაგრამ მიყვარხარ. უფრო სწორად, გაგინებ, რადგან მიყვარხარ. მშვენივრად გაგიგია ყველაფერი. ასე რომ, ძალიან კარგად მოიქცევი უფრო ხშირად თუ მომწერ. დიდი ხანია, არაფერი ისმის შენგან. დეპეშისთვის გმადლობთ. პარიზში არ ვიყავი და დედაჩემი დამფრთხალა, ვაი თუ ჩამოდისო. მაგრამ, სამწუხაროდ, ტყუილი განგაში აღმოჩნდა ესეც.* მაინც ვერ აუღეს ალღო საბჭოთა იმპერიას; თითქოს ყველაფერი ესმით, მაგრამ მაინც არაფერი იციან. ვერანაირად ვერ დაუჯერებიათ, მართლა რომ შეიძლება ისე იცხოვროს ვინმემ, როგორც ორასი მილიონი საბჭოელი ცხოვრობს. *მთელი თვე ვიმუშავე შეუსვენებლივ. ფული კი ვერ ვიშოვე. ახლა უნდა ვიმეცადინო, თორემ ვერაფერს ვერ მოვასწრებ. რასაკვირველია, ვიყავი ფიროსმანის გამოფენაზე. განა ამას კითხვა უნდა? შეიძლება მეჩვენება, მაგრამ მგონი საერთოდ დაგავიწყდი. ძალიან გთხოვ, ნაკლები სვი ჩემი სადღეგრძელო და მეტი მომწერე ხოლმე. აღარ*

*მიმატოვო ასე დიდხანს უყურადღებოდ. ძალიან ძნელია. როგორც იქნა, პარიზში დაცხა, ბოლოს და ბოლოს. ზაფხულში ვერ ჩამოვალ. შეიძლება შენთან დარეკვა? თბილისში იქნები? მე ალბათ მშობლებს ჩავაკითხავ კუნძულზე. იმათი მეგობარი წამიყვანს მანქანით. შენც იცნობ.* სხვათაშორის, მეც ვიცნობ. მოსკოვში გავიცანი. მგონი "პრადაში" ვიყავით ერთად. სადილობისას, გაქათქათებული პერანგის საყელოდან დიდი, წითელი ტარაკანი გამოუძვრა. ვერც თვითონ შეამჩნია და არც ჩვენ შევიმჩნიეთ, რომ შევამჩნიეთ. ტარაკანმაც უაზროდ იტრიალა აქეთ-იქით, როგორც გზააბნეულმა ტანკმა თოვლით გადათეთრებულ მინდორზე და რაკი მტერს ვერ მიაგნო, ისევ პერანგში გაუჩინარდა. ცოტას მორჩა, სახეში შევარწყიეთ საპატიო სტუმარს. არადა, შეიძლება, გაწვრთნილიც ჰყავდა ის ტარაკანი. ფრანგებისაგან არაფერი გაგიკვირდეთ. თუკი შეუძლიათ ვირთხა იყოლიონ შინ, ასვან და აჭამონ, უხვეტონ და უწმინდონ, ვითომ რა დაუშლით, ტარაკანი გაწვრთნან, შეიჩვიონ და თან ატარონ, სადაც წავლენ, სამსახურში თუ სტუმრად. *შენი ტელეფონი, რა თქმა უნდა, მაქვს. არ დამიკარგავს ნუ ღელავ, მაგრამ რატომღაც ერთი ციფრი აკლია.* ესე იგი არ გქონია და ეგაა. ერთი ციფრი წყვეტს ყველაფერს. როგორც საათს აღარ ძალუძს აღნუსხოს ჩვენი კუთვნილი დრო (არც ნაპარევი), თუკი რომელიმე ისარი აკლია, ისევე არ ძალუძს ვინმესთან დაკავშირება ტელეფონის ციფრნაკლულ ნომერს. *რაც შეეხება ჩემს ჩამოსვლას, ჯერ ვერაფერს ვიტყვი.* მთავარი კი ეს არის! ამის სათქმელადაა საერთოდ ეს წერილიცა და წერილების მთელი ციკლი დაწერილი. შეყვარებულები ბევრს ლაპარაკობენ წვრილმანებზე, მთავარი რომ არ თქვან. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ცრუმორწმუნეები

არიან ისინი. ღრმად სჯერათ, აუცილებლად დაითარსებიან, აუცილებლად საწინააღმდეგოდ აუსრულდებათ ოცნებაცა და ნატვრაც, თუკი დროზე ადრე წამოსცდებათ. ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე მაინც არ იტყვიან, რას ელტვიან, რას ნატრულობენ დღე და ღამ. ფრანსუაზაც ყველანაირად მალავს სანუკვარ მიზანს და თითქოს იმას განიცდის, ხანდახან ისევ მშობლების კმაყოფაზე რომ უწევს ცხოვრება. "უკაპიკოდ ვარ, მშობლები მინახავენო" - ებოდიშება აველუმს. აბა, ვინ უნდა ინახავდნენო - ალბათ იკითხავ შენ, **მოცლილო მკითხველო!**, მაგრამ ამ თავისუფალ სამყაროში სხვანაირად ფიქრობენ. თავისუფლება თუ გინდა, კეთილი ინებე და თავიც თვითონ შეინახე. ჩემს პურს თუ შეჭამ, ჩემს ჭკუაზეც უნდა იარო. ასე კი არ ივარგებს ჩვენთვის, მონებისთვის, რადგან ფრანსუაზამ მშობლების ჭკუაზე თუ იარა, მოსკოვისკენ არც გამოიხედავს. ფრანსუაზას კი სულ მოსკოვისკენ გაურბის თვალი, სულ მოსკოვისკენ მიუწევს გული და კვლავინდებურად შრომობს, კვლავინდებურად ზელს სააგურე თიხას, თავი რომ მოუყაროს როგორმე სამგზავრო ფულს. კვლავინდებურად დაჰქრის ტურისტული ავტობუსით თავის მშვენიერ, თვალუწვდენელ სამშობლოში და უკვე მექანიკურად, ალალბედზე იმეორებს ათასჯერ ნათქვამს, განიცდის ათასჯერ განცდილსა და აღიქვამს ათასჯერ აღქმულს. ოცი წლის შემდეგ, როცა ბოლოს და ბოლოს, აველუმთან ერთად მოუწევს, ვთქვათ, შარტრის ტაძრის სანახავად წასვლა, გულწრფელად აღიარებს, დანახვაც აღარ შემიძლია აქაურობისო. ოცი წლის მერე უკვე გაუფასურებული, გაწბილებული, ძალადაკარგული იქნება ყველა სურვილი, ყველა ოცნება, ყველა მიზანი, მაგრამ ჯერ ყველაფერი

პირველყოფილი ძალით ფეთქავს, არ ეგუება დროსა და სივრცეს, თავგანწირულად იბრძვის კუთვნილისთვის და დარწმუნებულიცაა, აუცილებლად მიაღწევს საწადელს. მაღვიძარას ამაზრზენი, ყინულოვანი ხმით დაფეთებული ფრანსუაზა ისევ უთენია დგება სიმარტოვის საწოლიდან, ისევ სანახევროდ მძინარე სვამს ცხელ ყავას, ძილს რომ მოერიოს როგორმე, და ისევ თავქუდმოგლეჯილი გარბის რომელიღაც ძველი ქალაქის, ციხესიმაგრის, მონასტრისა თუ ეკლესიის სანახავად, საბჭოთა ტურისტების ახალ ჯგუფთან ერთად, რომლებიც "მძინარე მზეთუნახავს" ეძახიან, საბჭოურად ემლიქვნელებიან, ელაქუცებიან, ეარშიყებიან, ანდა სულაც მონური ეშმაკობით ალაპარაკებენ, აბრიყვებენ, ვიდრე საბოლოოდ გამოერკვეოდეს ძილიდან, და ისიც, გიდის სკამზე საცოდავად ჩამომჯდარი, ქარის ჩამოგდებულ ჩიტივით ითქვამს სულს, გონზე მოდის, უბრუნდება სინამდვილეს, ცხოვრებას, და კოზეტას უმცროსი დის სიჯიუტით იკრებს ძალას უფრო დიდი, უფრო შორეული მგზავრობისთვის. მოიკრებს კიდეც და არა ერთხელ და ორჯერ. ბევრჯერ. რამდენჯერაც შესაძლებელი იქნება საბჭოეთში ჩამოსვლა. შემთხვევას არ გაუშვებს ხელიდან. შეგიძლიათ, სიტყვაზე მენდოთ, როგორც ამ ამბების უშუალო მოწმესა და მონაწილეს. მალე ფრანსუაზა ისე დაამახსოვრებს თავს საბჭოთა საბაჟოს განსაკუთრებულად ფხიზელ მოხელეებს, იმის ყურებიანი ქუდისა და უკვე საკმაოდ გაქექილი ქურქის დანახვაზე, ტუჩებს მოუპრუწავენ ერთმანეთს - ვერ უყურებთ, კიდევ ჩამოფრენილაო. მალე მთელ სატუსაღოს, დედამიწის ერთმეექვსედზე, ძაღლსა და მამაძაღლს ეცოდინება მისი "დიდი სიყვარულის"

შესახებ. ყველას დააინტერესებს ეს ახალი, თუ კარგად, საფუძვლიანად დავიწყებული საოცრება. შეეხება თუ არ შეეხება, ყველა თავს ვალდებულად ჩათვლის, საკუთარი, განსხვავებული მოსაზრება ჰქონდეს ამ სიყვარულის თაობაზე. ზოგი გაიკვირვებს, ზოგი გაბრაზდება, ზოგი დაემალებათ, ზოგი - პირიქით, თავად შესთავაზებს თანადგომას, თანამზრახველობას - ზოგი უანგაროდ, ზოგი ანგარებით, ზოგიც, მხოლოდ და მხოლოდ, თავისი უფერული, უინტერესო ცხოვრების ოდნავ მაინც გასახალისებლად, თუნდაც, სერიოზული, პოლიტიკური უსიამოვნების წილ (მაგალითად, იანის ქარიტები). მაგრამ თავად ფრანსუაზას არ ეცოდინება, რამდენად სწორია მისი საქციელი, არ ეცოდინება, რას ავალდებულებს, რას მოითხოვს მისგან საერთოდ სიყვარული - სულ სხვისი სატუსაღოს კართან ატუზვას, სულ სხვის სატუსაღოში შეღწევას, ნებისმიერი გზით, თუ დროულად გამოტანას იმ სატუსაღოდან, რისი გამოტანაც კიდევ შეიძლება - თვალებით, სმენით, მახსოვრობით, გულით... საშოთი - და საკუთარ სატუსაღოში, ანუ, საკუთარი უბედურების ზღვის ფსკერზე საკუთარი ნერწყვითა და ცრემლით შეკოწიწებულ ნიჟარაში დაბინავებას დასაკარგად, დასაღუპად, დასავიწყებლად განწირული "განძისა", სამუდამოდ, საიმედოდ, რათა ყოველთვის ხელთ ჰქონდეს და ნიჟარის მშვიდად მოგუგუნე, ვარდისფრად დაბინდულ წიაღში შეყუჟულს, გადატანილის გახსენებაც შეეძლოს და გადატანილით თავის მოწონებაც საკუთარი თავის წინაშე, თუკი მართლა ესაა მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარულის საფასური - ამაყი სიმარტოვე სამარცხვინო სიცარიელისგან განსხვავებით, რომელსაც ნაადრევად

უგულებელყოფილი, ანგარებით დათრგუნული სიყვარული ტოვებს და რომლის ამოვსება არც კანონიერ ქმარს შეუძლია, არც კანონიერ შვილს. პირიქით, ნებისმიერი ურთიერთობა მათთან ისევ და ისევ ახალ უფსკრულებს ავლენს ამ სიცარიელეში. მაგრამ არ ყოფილა შემთხვევა, ვინმეს თავიდანვე ამაყი სიმარტოვე ემჯობინებინოს და არ ეცადოს მაინც სამარცხვინო სიცარიელის მოპოვება, ანუ, დაკანონება უკანონობისა. ფრანსუაზაც, ჯერჯერობით, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ბრმად თუ გამიზნულად, სამარცხვინო სიცარიელის მოპოვებას ცდილობს, როცა ერთნაირი მღელვარებით მიისწრაფვის საბჭოეთის ნებისმიერ ქალაქისკენ (გარდა თბილისისა), სადაც ბედი გადაისვრის, უფრო სწორად კი, სადაც პარიზიდან გააყოლებენ გიდად რომელიმე ტურისტულ ჯგუფს, რადგან ღრმადაა დარწმუნებული, ეჭვიც არ ეპარება, აუცილებლად დაუხვდება იქ მისი აველუმი, ფუძემდებელი და წარმმართველი, მიზეზი და მიზანი მისი თავგანწირული სულისკვეთებისა, და დაიწყება კიდევ ერთი მომთაბარე ცხოვრება, ჩანთებითა და ჩემოდნებით ხეტიალი უცხო ქალაქის უცხო ქუჩებში, უბნიდან უბანში, ბინიდან ბინაში, რადგან იანის ქარიტების მსგავსად, ყველა როდი მოიხიბლება მათი რომანტიკული სიყვარულით, ბევრს დააფრთხობს ფრანსუაზას უცხოელობა, საბჭოელისა და უცხოელის უკანონო ურთიერთობა, მით უფრო, მათ ჭერქვეშ, მათი ხელშეწყობითა და თანდასწრებით. ბევრი, პირიქით, იქით შეაშინებს მათ, ისარგებლებს ბედნიერი შემთხვევით და ხან რას გამოსძალავთ, ხან რას, პატარ-პატარა ყოველდღიური პროვოკაციებით - არა, რა ჩემი საქმეა, ვის ემალებით, ან რატომ იმალებით საერთოდ.

ღმერთმა ხელი მოგიმართოთ. გამიგეთ? მაგრამ მეც ხომ უნდა მქონდეს ლუკმა მომზადებული, იმ შობელძაღლ სახლმმართველს რომ ჩავჩარო პირში სასწრაფოდ, როცა მოვა და მეტყვის, აბა, ერთი პასპორტები გამომიტანე, ვინ არიან, საიდან არიან შენი მდგმურებიო. გამიგეთ? - გაგიგეთ და ეგრე! ფრანსუაზა ლამის მთელ გარდერობს დატოვებს მარტოხელა პენსიონერი დედაბრების ერთნაირად გამოყრუებულ ბინებში. ზოგ რამეს თავად გააჩუქებს, ზოგს მოპარავენ, ზოგი კი დაავიწყდება, დარჩება განშორების ფაცა-ფუცში. მაგალითად, გასარეცხად ტაშტში ჩამბალი საცვალი, ანდა, გასაშრობად რადიატორზე გადაფენილი კოლგოტკები (ერთმა კეთილმა დიასახლისმა ფრანსუაზას კოლგოტკები თბილისში გადაუგზავნა აველუმს თავისი კეთილსინდისიერების დასამტკიცებლად და თან პატარა ახსნა-განმარტებითი ბარათიც მოაყოლა, ყოველ შემთხვევისათვის, ვინიცობაა აველუმი შინ არ იყოს და მის მეუღლეს ჩაუვარდეს ხელშიო - გიგზავნით თქვენი პარეზილი მეგობრის... ხომ იცით, რა რთულია აქედან უცხოეთში... იქნებ თქვენი მეშვეობით და აუცილებლად, როცა მოსკოვში იქნებით...) - ისინი კი მაინც ერთმანეთს დაეძებენ ცხადშიც და ძილშიც. ცდილობენ მიიმხრონ, მოისყიდონ ნებისმიერი ვიგინდარა, ვისაც მათი დასმენა შეუძლია, ძალუძს თუნდაც უმნიშვნელო ზიანი მიაყენოს მათ "სიმშვიდეს", მათ "ბედნიერებას", ვთქვათ, სასტუმროდან გამოასახლებინოს ისინი, რესტორანში არ შეაშვებინოს, მილიცია მიუგზავნოს დაქირავებულ ბინაზე და სხვა ათასი სიმდაბლე და სისაძაგლე ჩაიდინოს თავისი მარად გაუხარელი, მარად დაჩაგრული, მარად ღატაკი სულის საამებლად. ისინი

კი ჯიუტად მიცურავენ დინების საწინააღმდეგოდ, ისევ ახალ გზებს ეძებენ შესახვედრად, მეთვალყურეთა, დამსმენთა, შურიანთა გასაცურებლად და კიდევ ერთი, თუნდაც წამიერი "სამოთხის" შესაქმნელად ჯოჯოხეთის კუთვნილ ტერიტორიაზე. ტელეფონზე საუბრისას მხოლოდ გამოგონილი სახელებით მიმართავენ ერთმანეთს; ხალხში თუ არიან, სიტყვა არ დასცდებათ უბატონოდ და უბოდიშოდ, მაგრამ როგორც კი მარტო დაიგულებენ თავს ოთხ კედელს შორის, კვლავ უმიზეზოდ, სხვებზე გაბრაზებულნი უღრენენ, ებრძვიან, გლეჯენ, ჭამენ და ეჭმევინებიან ერთმანეთს. ყველაფერზე ეჭვიანობენ, ყველაფერი აწუხებთ, ყველაფრის ეშინიათ. ერთსა და იმავეს, ან ერთნაირად საზარელ სიზმრებს ხედავენ და მოყოლისაც რცხვენიათ, იმდენად დამცირებულნი, უუფლებონი, უმწეონი გამოიყურებიან საკუთარ სიზმრებში. აველუმი ხომ სულ ბრალდებულია ვითომ, სულ სასამართლოში ზის, ბრალდებულის სკამზე, და სულ საბოლოო სიტყვის უფლებას მოითხოვს უშედეგოდ, თუმცა, არც იცის რა უნდა თქვას, თუკი დათანხმდებიან, თუკი სიტყვას მისცემენ. სრულებითაც არ არის მზად საამისოდ და ეს უარესად ტანჯავს, აწამებს, აგანგაშებს, ათვალთმაქცებს კიდეც. ვითომ არ იცის, სად არის, სად ცხოვრობს, რას აბრალებენ და რას მოითხოვენ მისგან. "არ ვიციო" - ამბობს ხმაათრთოლებული. "ხვიშტი" - იცინის მოსამართლე. თან დამუწუკებულ ცხვირს ითვალიერებს ჯიბის სარკეში. ღიმილშეკავებული პროკურორი ქაღალდებში იქექება. დარბაზი ჩვეულებისამებრ ცარიელია. "არ ვიცი - უფრო მტკიცედ იმეორებს აველუმი - მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც პირველი პოეტიცა და რიგითი სალდაფონიც ერთნაირად აზროვნებს, თავისუფლება

არქიტექტურული ზედმეტობაა მხოლოდ და ისიც გარედან მაყურებლისთვისაა განკუთვნილი..." "ხვიშტი" - აწყვეტინებს მოსამართლე. "ხვიშტი, პატივცემულო, ხვიშტი", - კვერს უკრავს პროკურორიც და გამალებული აგროვებს მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს. "აი, რას ვფიქრობ ხოლმე თქვენს ზურგს უკან - შემწყნარებლურად იღიმება აველუმი, ღრმად დარწმუნებული საკუთარ სიმართლეში და, იმავე წამს, უკვე ჩვეულებრივად აღელვებული აგრძელებს - აბა, თქვენ თვითონ განსაჯეთ, რისი იმედი უნდა ჰქონდეს საერთოდ კაცს, როცა დამპყრობელი ქვეყნის პოეტური გენია დაპყრობილ ქვეყანაში, უცხო მდინარის პირას მხართეძოზე წამოწოლილი, მშობლიურ კარვებს შორის მოფუსფუსე, წელსზემოთ ტიტველი ჯარისკაცების შემყურე, მინდვრის ყვავილის წვენით დალაქულ დღიურში ჩაწერს: აღსრულდა, ბედნიერი ვარო"..., "სად წერია ეგ ამბები?" - სარკეს ეკითხება მოსამართლე. "სად წერია და "ელინიურ მითებში" - პასუხობს შუბლშეკრული პროკურორი. აველუმს კი ეღვიძება, დათრგუნულსა და გალახულს, ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს კაცი შემოკვდომოდეს. კი არ შემოკვდომოდეს, შეგნებულად მოეკლას, წინასწარი განზრახვით, ოღონდ, არ იცის ვინ არის, რა ჰქვია, როგორ გამოიყურება და საერთოდ რა ესაქმება მასთან, რატომ უნდა მოეკლა მაინცდამაინც მას. კიდევ უარესი - არ უნდა დანაშაულის აღიარება, არ უნდა ამ მკვლელობის გამომჟღავნება, მით უფრო დასიზმრებული, მოლანდებული, გაუთავებელი სასამართლოს წინაშე. კი არ ეშინია, რცხვენია. თითქოს კი არ დასჯიან, დასცინებენ. მაგრამ არ იცის, გვამს რა მოუხერხოს, როდემდე დამალოს, როდემდე ათრიოს თან ქალაქიდან ქალაქში, სასტუმროდან

სასტუმროში, რესტორნიდან რესტორანში... გვამი კი დღითიდღე იზრდება, დევის გვამი გეგონებათ. აველუმი კი არ დაათრევს გვამს, გვამი დაათრევს აველუმს. იმ გვამში ცხოვრობს თითქოს. იმიტომ რომ, აჩრდილიც არ არის მამისა. მამამისმა აჭარული ბებუთი წაართვა სტუდენტს, როცა ის, სტუდენტი, სადარბაზოში ჩაუსაფრდა მოსაკლავად. ბებუთი წაართვა და წიგნი მიაჩეჩა ხელში სანაცვლოდ. ბებუთი კი შინ წამოიღო და საწერ მაგიდაზე დაიდო ქაღალდის საჭრელად. მერე, ჩხრეკის დროს, ის ბებუთიც დაიკარგა. ვინ იცის, მამხილებელ საბუთად წაუყენეს მამამისს ნაუცბათევ სასამართლოზე. ის კი ჩვეულებრივი, რიგითი მსხვერპლია მხოლოდ, ათასთა და ათასთა მსგავსად. ადამიანის დასათრგუნად, მინოტავრზე არანაკლებ შემზარავი "იარაღია" უმწეობისა და განწირულობის ის შეგრძნება, ყველა გადარჩენილს რომ ეუფლება უნებურად. ასე რომ, საბოლოო ჯამში, "არჩეულნიც" და "ანარჩევნიც", ყველანი მაინც ერთნაირად დაწანწალებენ ლაბირინთის ბნელსა და ნესტიან ტალანებში, ყველანი ერთნაირად ჭყლეტენ ფეხით მინოტავრის ნეხვს, ვიდრე თავად მინოტავრს არ გადააწყდებიან და იმის ცხოველური ვნებით გაუპატიურებულნი, იმის ბინძური, სისხლმიმპალი რქებით გამოფატრულნი, საკუთარ ნაწლავებში გახლართულნი, სულს არ დალევენ, ზოგნი ნამდვილად და ერთხელ, ზოგნი კი - წარმოდგენებში და უსასრულოდ. *მაინც არ მიმატოვო, გთხოვ. განა ჩემი ბრალია, ასეთ ქვეყანაში რომ დაიბადე? იმ დღეს დამცინეს კიდეც, კარგ ადგილას შეგირჩევია შენც საყვარელი ადამიანიო. ყველას უკვირს, ვერ წარმოუდგენიათ. მე კი ძაღლივით ერთგული ვარ. კი მაგრამ, რატომ? ხომ უნდა ჰქონდეს რამე გამართლება?*

*თუმცა, არა. ნუ მისმენ. მე ყველაფერზე თანახმა ვარ, ოღონდ ათასში ერთხელ მაინც გნახო. მე ხომ ყველაფერი ვიღონე, შენ რომ თავი ადამიანად გეგრძნო. ვიდრე სინდისი გტანჯავს, ადამიანი ხარ.* ეს არ უნდა ექნა სწორედ. ამით კიდევ უფრო მაგრად მიაბა მიწაზე. მისი ნაჩუქარი თავისუფლება რკინის ბირთვივით ჰქონდა აველუმს სულზე გამობმული, ვერსად რომ ვერ გაქცეულიყო, ქვის სამტვრევზე მომუშავე მონასავით, ვერც საქმე ეკეთებინა და ვერც ზედამხედველის კეტისთვის აერიდებინა თავი. სულერთია, უნდოდა თუ არ უნდოდა ფრანსუაზას, ბოლოს მაინც ასე გამოვიდა. ფრანსუაზამ ის გააკეთა, რაც ბუნებამ დაავალა და არა გონებამ. ფრანსუაზამ აველუმს ჯაჭვის რგოლები გაუმრავლა მხოლოდ, ჯაჭვი დაუგრძელა, რის გამოც კიდევ უფრო დამძიმდა ის. ასე რომ, კიდევ უფრო ცოტა რამ იყო ახლა დამოკიდებული აველუმის ნებაზე და ამაოდ ასკდებოდა გულს, როცა ჯერ კიდევ ბრმად მორწმუნე ფრანსუაზა შორიდან წერდა, ყველაფერი ისე იქნება, როგორც შენ გინდაო. *არ ვიცი, უბრალოდ, ასედაც ვფიქრობ. იმიტომ რომ... იმიტომ რომ, საშინელებაა, როცა ჩემთან არ ხარ. საშინელებაა, შენი ღალატი რომ არ შემიძლია. იცი, რას ვნატრობ? ნეტავი, სულ მოწყენილი იყოს მეთქი, უსასრულოდ. აბა, თუ მიხვდები რატომ? არ გახსოვს? რა თქმა უნდა, არ გეხსომება. ერთხელ მითხარი, როცა მოწყენილი ვარ, უფრო მიყვარხარო. არა, სხვანაირად თქვი: მოწყენილობის ჟამს მარტო შენ მიყვარხარ, კარგ გუნებაზე კი ყველა მიყვარსო. და მაინც ხანდახან მგონია, მწერლობისთვის გჭირდება ეს ყველაფერი: შეხვედრაც, განშორებაც, მოლოდინიც, ტანჯვაც, შიშიც, მღელვარებაც... გინდა დედალუსად წარმოიდგენ თავს, გინდა... მე კი მხოლოდ უნებლიე*

*მონაწილე ვარ ამ დიადი ხილვებისა. სხვა არაფერი. ხომ შეიძლებოდა, არ ჩამოვყოლოდი სესილს თბილისში! მაგრამ, მეორე საკითხია, მართლა დაწერ თუ არა რამეს. შესძლებ კი ამის დაწერას? დაგიჯერებენ? არა მგონია. იქნებ ბორბალს იგონებ? ამაზე არ გიფიქრია?* უფიქრია, როგორ არ უფიქრია, ამაზე ფიქრობდა სულ. მაგრამ ფრანსუაზამ მთავარი არ იცოდა ჯერ: აველუმის ხვედრი ყოყმანი იყო და არა მოქმედება. ასე რომ, ბევრად აჯობებდა, თავადაც ეფიქრა, როგორ გადაერჩინა თავი, ვიდრე ჯერ კიდევ შეიძლებოდა გადარჩენა, ვიდრე თვითონაც მიეჩვეოდა ლუდში გარეული პორტვეინის წრუპვას, ლაბირინთელების ხათრითა თუ შიშით. აველუმი კი თავის ჯაჭვს თვითონვე მოუვლიდა - ან მოიშორებდა, ან ცოცხლად შეეჭმევინებოდა, რადგან დაბმულ კაცს სიყვარულის უფლება არა აქვს, ჯერ თავი უნდა აიშვას, ჯერ ადამიანი უნდა გახდეს - ხელოვნური ფრთა უნდა შეაკოწიწოს ლაბირინთის აქოთებულ წყვდიადში, საკუთარი სიბინძურიდან ამოვიდეს როგორმე და... დაიღუპოს. დრო კი გადის, დაუდევრად, დაუნდობლად, და ფრანსუაზაც ამჩნევს უკვე, თავის თავს რომ არ ჰგავს, ისე რომ არ ცხოვრობს, როგორც უნდა ცხოვრობდეს წესით, როგორც მის ქვეყანაშია მიღებული. *წარმოგიდგენია, უკვე სამი წელია ასე ვცხოვრობ.* ესე იგი - არასწორად, არანორმალურად, სიყვარულის განრიგით. ყველაფერი მოსწონს. *ყველაფერი მომწონს.* ყველაფერზე მადლობელია. *ყველაფრისთვის დიდი მადლობა.* კი მაგრამ, რისთვის? აღარ მახსოვს, რა გავუგზავნეთ, ვისი ხელით. ალბათ ჩურჩხელა და ლეღვის ჩირი, ანდა, არაყი და ხიზილალა. სულაც იმ ქუჩებში აკრეფილი ხმელი ფოთოლი, სადაც აველუმთან ერთად უვლია. რაც არ

მახსოვს, არ მახსოვს. *სამაგიეროდ, ფინანსური მდგომარეობა მძიმეა და ძილშიც უკვე რუსულად ვლაპარაკობ. ასე ამბობს დედაჩემი, თუმცა რუსული არ იცის და იმისთვის ყველა საბჭოელი რუსია. რაც შეეხება ჩემს ჩამოსვლას, ჯერ არაფერი გარკვეულა. ვნახოთ, რა იქნება ხვალ.* ესე იგი, უკვე გარკვეულია რაღაც-რაღაცები, მაგრამ ეშინია თქმისა, დათარსვისა. რაღას არ ამბობს, ის რომ არ თქვას, რისი თქმაც ყველაზე ძალიან უნდა. ვნახოთ, როდემდე გაუძლებს გული. *ჩემს მეზობელს უზარმაზარი ძაღლი ჰყავს, დოგი. სახელად, რატომღაც, "სოიუზი" ჰქვია და ამის გამო, მე სულელს, სულ მინდა მივეფერო. რასაკვირველია, სულელი ვარ. პატრონი მეუბნება საშიშიაო, მე კი ლამის პირში ჩავუძვრე. გამოცდებს ბოლო მოელო. უკვე ნამდვილად დიდი ვარ. ფინანსური მდგომარეობა თანდათან კატასტროფული ხდება. ვნახე ბაქოს ბალეტი. მივიღე შენი წერილი. ფულს ცოტას მიხდიან. თუმცა, არც ისე იოლი სამუშაოა, როგორც შორიდან შეიძლება მოეჩვენოს კაცს. კი არ ვსეირნობ, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ, ვიქანცები სატალახე ცხენივით. სხვათა შორის, საკმაოდ სახიფათოცაა. ჩვენი შოფრები, ფულის გულისთვის, ორი-სამი წელი შეუსვენებლად მუშაობენ და ისე იღლებიან, საჭეზე ეძინებათ ხოლმე. იმ დღესაც დაიღუპა ერთი ჩვენი შოფერი. დაეძინა. კიდევ კარგი, ავტობუსი ცარიელი იყო. მოსახვევი ვერ შენიშნა და მთელი სიჩქარით შეასკდა სახლს. გიდის სკამი რომ ვნახე, გული გადამიქანდა, ისე იყო დაგრეხილი. ხომ შეიძლება მე ვმჯდარიყავი იმ სკამზე?! სწორედ ჩვენი ორგანიზაციის ავტობუსი იყო და შოფერსაც კარგად ვიცნობდი.* და უცებ - *თქმისაც მეშინია, მაგრამ აღარც უთქმელობა შეიძლება. თებერვლის პირველ*

*რიცხვებში ჩამოვდივარ. თვენახევრით. გრიპი უკვე მქონდა, მაგრამ ნერვიულობისგან მგონი ისევ მემართება. დამემართოს. არა უშავს. გრიპი ვერ შემაჩერებს. თუმცა, წამოსვლამდე ალბათ მაინც მოვრჩები.* ძალიან ცივი ზამთარი იყო. ამჯერად, რატომღაც, ძალიან გაუჭირდათ შედარებით წესიერი, მეტნაკლებად მშვიდი თავშესაფრის მონახვა. ერთი მტკაველი თავისუფალი ადგილი არ არსებობდა სამყაროსხელა ქალაქში. იანის ერთი ქარიტა, სამწუხაროდ, უკვე გარდაცვლილიყო. მეორე ლოგინად ჩაეგდო სიბერეს, მესამე კი თავად მოეთავსებინათ უპატრონო მოხუცთა თაშესაფარში. იანთანაც ვერ გაჩერდებოდნენ თვენახევარი. უბრალოდ, ვერ დაეტეოდნენ, შუაში თუ არ ჩაიწვენდნენ იანს. არადა, თავიდან თითქოს ყველაფერი კარგად აეწყო - ქალაქის ცენტრში, ბეზბოჟნიზე უნდა ეცხოვრათ, თანამედროვე, კომფორტაბელურ, საგანგებოდ ინტელიგენციისთვის აშენებულ სახლში, მაგრამ ბოლო წამს ინტელიგენტი, ეტყობა, დაფრთხა და უარი შემოუთვალათ. რამდენიმე დღე ისევ იანთან გაჩერდნენ, იანი კი ტალინში გაფრინდა უხელფასო შვებულებით, ვითომ სასწრაფო საქმეზე. მერე იანის ნაცნობის ნათესავმა, რომელსაც ტელევიზორის გამოსატანად სჭირდებოდა თურმე ფული, შერემეტიევოში შეიფარათ, აგარაკზე, სადაც აველუმი და ფრანსუაზა მთელი დღე, რატომღაც, თხილამურებით დაბორიალობდნენ ტყეში (თხილამურებზე დგომა არც ერთმა არ იცოდა წესიერად), ანდა მთელი დღე კაკბებს პუტავდნენ, რადგან იქაურ სასურსათო მაღაზიაში ძირითადად არაყი და ბუმბულიანად გაყინული კაკბები იყიდებოდა. მდუღარე წყლისგან ორივეს მაჯებამდე ჰქონდა ხელები დაფუფქული. იქიდან, იპოდრომთან, სკაკოვაია ალეაზე

აღმოჩნდნენ, ისევ იანის წყალობით. ერთმა კოლეგამ თავისი ბინა სულგრძელად დაუთმო იანს აველუმისთვის - კოლეგამ კოლეგას კოლეგისთვის - ოღონდ, ბინა კი არა, ოთახი, ოროთახიან საერთო ბინაში, სადაც მის (ესე იგი, კოლეგის) გარდა, მოხუცი ცოლ-ქმარი ცხოვრობდა, ესენინთან ნამეგობრალი და მწერლობის დიდი მოყვარული. ფულზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ელექტრონს რასაც დაწვავენ, ის გადაიხადონ, დანარჩენზე კი - აპ-აპ-აპ-ო - უთქვამს იმას (კოლეგას) იანისთვის, რასაც, წესით, მაშინვე უნდა დაეჭვებინა აველუმის გამოცდილების მქონე კაცი. იმას კი გაუხარდა - გადავრჩით, ერთხელ კიდევ გადავრჩითო - ჩაიხუტა ფრანსუაზა. ქუჩის სახელიც კი მოეწონა, იმდენად შეესაბამებოდა მათ მოუსვენარ, მოხეტიალე, მოჯირითე ცხოვრებას. რაც მთავარია, მოხუცი, უწყინარი მეზობლები, თანაც ესენინის ნამეგობრალები და მწერლობის მოყვარულნი, თავისთავად, ფრიად მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო მათი მომავალი სიამტკბილობისთვის. მოკლედ, თავიდან ყველაფერი ზუსტად ისე გამოიყურებოდა, როგორც მოსკოვისკენ გამოფრენილი, თვითმფრინავში ნატრულობდა ხოლმე თავისთვის. მაგრამ მეორე დღესვე, როცა ძლივს დამშვიდებული, დაწყნარებული, ბედის მადლიერი აველუმი აღიღინებული გამოვიდა სააბაზანოდან და სიბრაზისგან ყბამოქცეულ ეგნატეს კი გადააწყდა დერეფანში, ყველაფერი თავისთავად გაირკვა. ეგნატე ერქვა კაცს. ჭაობისფერი, თითქოს აქაფებული თვალები ავად უბზინავდა, ხოლო მკაცრად მოკუმული, ფშატივით ფუყე ტუჩები ერთიანად გადათეთრებოდა და აველუმს ისე შეეცოდა უცებ, ხმა ვერ ამოიღო, ვერც ჰკითხა, რა მოხდა, რა შეგემთხვათო. ეჭვიც არ შეჰპარვია, მართლაც რაღაც დიდი

უბედურობა რომ დასტყდომოდა თავზე. სამაგიეროდ, ეგნატემ არ დააყოვნა და მაშინვე უკმეხად მიახალა პირში: რატომ სარგებლობთ აბაზანით დაუკითხავადო. აველუმი გაშრა, სახტად დარჩა. ენაზე მიეყინა უკვე გამონახული, რასაკვირველია, ეგნატესთვის განკუთვნილი, გასამხნევებელი, დასამშვიდებელი სიტყვები. ყველაფერს ელოდებოდა, ამას კი არა. ბოლოს და ბოლოს, ესენინს რომ თავი დავანებოთ, აბაზანაც, სამზარეულოსა და საპირფარეშოს მსგავსად, საზიარო იყო და აველუმსაც ისევე ეკუთვნოდა (თუნდაც დროებით), როგორც თავად ეგნატეს. რაკი უკვე აქ ცხოვრობდა (თუნდაც ჩაუწერლად), ესეც თავისთავად იგულისხმებოდა, ესეც შედიოდა პირობაში. "თავისთავად არაფერი არ არსებობს და არც იგულისხმებაო" - გააწყვეტინა ეგნატემ და მკაცრად გააფრთხილა, დღეის შემდეგ, არც მას და არც მის მეუღლეს (მეუღლეა თუ ვინც არის), უნებართვოდ ფეხი აღარ შეედგათ სააბაზანოში და არა მარტო სააბაზანოში. იგულისხმებოდა სამზარეულოცა და, თავისთავად ცხადია, საპირფარეშოც. ხოლო, თუკი სადმე შუქი დარჩებოდათ ანთებული, ან სააბაზანოში, ან სამზარეულოში, ან საპირფარეშოში, მაშინ... მოკლედ, აველუმი მკვდარი შევიდა კოლეგიარული სოლიდარობით მოპოვებულ ოთახში. ფრანსუაზა უკვე მხარზეპირსახოცგადაგდებული ელოდებოდა და "მადლობა ღმერთსო" - ამოისუნთქა შვებით, უკვე მოშინაურებულმა, უკვე აყოლილმა ოჯახური ცხოვრების რიტმს. მაგრამ აველუმმა პირზე ხელი ააფარა სასწრაფოდ, თითქოს გაუპატიურებას უპირებსო, და ჩურჩულით, ფაცაფუცით, უთავბოლოდ მოუყვა მისი და ეგნატეს საუბარი. ფრანსუაზასაც ხომ მეტი არც უნდოდა - იმავე წუთას ოთახში შიშის

ღრუბელი ჩამოწვა, გაიბერა, გასივდა და თავისი ლორწოვანი მუცლის ქვეშ მოიყოლა ორივენი, როგორც კრუხმა - წიწილები. ცხოვრება ისევ ტანჯვად იქცა. დღისით დალაპარაკებისა ეშინოდათ, ღამით - გაფაჩუნებისა. საწოლი კი მათ ჯიბრზე ჭრაჭუნობდა. სანახევროდ მშივრები იყვნენ - ვერც სასადილოში მიდიოდნენ, ვაითუ კარი აღარ გაგვიღონო, და ვერც გაზის ქურის ანთება გაებედათ სამზარეულოში, რამე რომ შეეწვათ ან მოეხარშათ. მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, გაცოფებული, თვალებაქაფებული ეგნატე მაცივრიდან რომ გადმოუხტათ (ადვილი შესაძლებელია, ასე მოეჩვენა ორივეს და მსგავსიც არაფერი მომხდარა სინამდვილეში), ლამის სახეში რომ მიაყარათ წინა დღით ნაყიდი, სქელ, მუყაოსავით ქაღალდში გახვეული ორიოდე ნაჭერი ძეხვი და ზედამხედველივით უყვირათ, ხომ გითხარით, ხომ გაგაფრთხილეთ, ტყუილუბრალოდ არ ამუშაოთ მაცივარიო, მაშინვე დაჰკრეს ფეხი და უკანმოუხედავად გაერიდნენ იქაურობას. გარეთ ყინავდა. სკაკოვაია ალეაზე ცივი ქარი ქროდა. თუმცა, იმავე დროს, მზეც ანათებდა, ლითონის საგანივით, ცივად ბზინავდა ნაცრისფერ ცაზე. აველუმს ფრანსუაზას ჩემოდანი მხარზე ჰქონდა გადებული, საკუთარი იღლიაში ამოედო და მეორე ხელით ჩანთას მოათრევდა. ერთი ჩანთა ფრანსუაზასაც მოჰქონდა. ქუჩა ცარიელი იყო და ისინიც უნებურად უჩქარებდნენ ფეხს, ხანდახან გარბოდნენ კიდეც. სიბრაზისგან ლამის ეტირათ, მაგრამ სიცილით იხოცებოდნენ, რასაკვირველია, ნერვიული, არაჯანსაღი სიცილით. "არა, მაინც რას ჰგავდა ის უბედურიო", - ხრიალებდა გაოფლილი, გულამოვარდნილი აველუმი. "ცოლი უარესიაო - მხარს უბამდა ფრანსუაზა - დერეფანში ჩუმად მომეპარა და

მიჩქმიტაო". სიბრაზისგან გულზე გამსკდრები, სიცილით კვდებოდნენ. თან გარბოდნენ, განადგურებული არმიის ჯარისკაცებივით, უცებ დაღლილები, უცებ გაოფლილები, უფრო მღელვარებისგან, ვიდრე ტვირთის სიმძიმისგან. მზე იყო და ყინავდა. ამინდიც მათი შესაფერისი იდგა. მათნაირი. არანორმალური. გარბოდნენ ცარიელ ქუჩაში, ჩემოდნებით, ჩანთებით დატვირთულები, ბინის ქურდებივით. სირბილში ერთმანეთს აწყდებოდნენ, კოცნაობდნენ და ეცემოდნენ. მერე კი, ფეხზე ძლივს წამომდგრები, ისევ გარბოდნენ, თოვლში ამოგანგლულები. ერთ-ერთი წაქცევის დროს, ფრანსუაზას ჩემოდანი გაიხსნა და მთელი ავლადიდება ქუჩას მოეფინა. ისინი კი თოვლში მუხლებზე იდგნენ, იცინოდნენ (ახლა უკვე სიმწრისგან) და თოვლთან ერთად ტენიდნენ გომბეშოსპირიან ჩემოდანში მაქმანიან საცვლებსა თუ შალის ქვედაკაბებს, ჯემპრსა თუ ყელსახვევს... თან იცინოდნენ, იცინოდნენ, გაბრაზებულნი, გამწარებულნი, შეურაცხყოფილნი, გულმოკლულნი, კიდევ ერთხელ გამოძევებულნი, კიდევ ერთხელ უსახლკაროდ დარჩენილნი, გათოშილნი, მშიერნი, დაღლილნი და უსაზღვროდ, უსაშველოდ, უმიზეზოდ ბედნიერნი. მერე ქსენიამ შეიფარათ, მარტოხელა პენსიონერმა, ზოოპარკის უკან, ქართველების ძველ ნამოსახლარზე. სანამ ფრანსუაზა სამზარეულოში სადილს და ვახშამს ამზადებდა, ის პაპიროსს აბოლებდა, შამპანურს წრუპავდა და ტელეფონზე ლაპარაკობდა გაუთავებლად: გამარჯობა ნადია. დღეს თუ გცალია, ძალიან მინდა შენი ნახვა. ჩემი შვილიშვილი გუშინ ბაგაში მიაბარეს. მეც წავედი. დავტოვეთ ციხეში. მაინც თავისი გაიტანა დედამისმა. რა გატირებთო - მეუბნება - სატირალი რა არისო, თქვენ

ხომ არ იცით, რა დამიჯდა ბავშვის აქ მოწყობაო. ჩემთანა აქვს საქმე, მე მეჯიბრება, მე მიგებს ნიშნს - ვითომ, თქვენ რომ არ მომეხმარეთ, მეც იმიტომ ავდექი და იმიტომ გამოვამწყვდიე ბავშვი ციხეშიო. იმათ უნდათ თავისუფლება, თავის ნებაზე სეირნობა, მე კი არა. მე იმათი ბავშვები უნდა ვმწყემსო. იმათ კი, მარჯვნივ და მარცხნივ... ისე რეჟიმი მართლა კარგი აქვთ. კვირაში ერთხელ ექიმთან გასაუბრებაა. ყველაფერს გეტყვის, რა სჭირს ბავშვს, რა სჭირდება. კვირაში ერთხელ ბავშვის ნახვაც შეიძლება. კი მაგრამ, მე რატომ არ გამაფრთხილეს, დღეს თუ მარხავდნენ?! არ იცოდა ჩემი ტელეფონი? მაგას რა მნიშვნელობა აქვს, ნუ მოკვდები თორემ, მერე სულერთია, მიწაში ჩაგფლავენ თუ ცეცხლში დაგწვავენ. ხო, რატომ გირეკავ! ჩემმა მდგმურმა... ჩემმა მდგმურმა! ნუ მაყვირებ ახლა მთელი ქალაქის გასაგონად. ხო, საფრანგეთიდანაა. აბა, შენ რა გგონია. ჩვენ ნაკლებს არ ვღებულობთ. მოკლედ, მაგარი ჯემპრი მაჩუქა. მოხერისა. ერთხელ იქნება განარეცხი. უცხოურია, რა თქმა უნდა. მადე ინ ფრანსე. იქნებ გამიყიდო. მე ჯამპრი სად უნდა ჩავიცვა. თუ მოგეწონება, შენ აიღე. როგორმე მოვრიგდებით. არა, ბიჭი ქართველია. ასულელებს ალბათ. ცოლიც ჰყავს და შვილიც. სულ იმათზე ლაპარაკობს. ისე, ნამდვილად გულკეთილი ბიჭია, ყურადღებიანი. ჩემთვის სპეციალურად ყიდულობს შამპანურს. რაკი გყვარებიათ, კიდეც უნდა დალიოთო. ჩემს რძალს ჰგავს. ისიც სულ იმას კითხულობს, რა მიყვარს და რა მესიამოვნება. ისე დაუმშვენდა ცხვირი. სანამ ერთად ვცხოვრობდით, შენ ხომ იცი, წყალი არ მოუწოდებია, წამალი რომ ჩამეყლაპა. იმის მაგივრად, თვითონ დაელაგებინა სახლი, უკან დავდევდი ცოცხითა და ჩვრით. ქალმა რომ სისუფთავე არ იცის,

კაპიკია იმის ფასი. კაცი რომ ვიყო, იმ ქალთან არ დავწვები არაფრით. ახლა შვილიც მოიშორა. მეტი თავისუფლება რომ ჰქონდეს. რას მიკეთებს ნეტავ?! რა ჭირად უნდა თავისუფლება?! ჩემი შვილიც მაგან ჩაიყვანა მიწაში. ვერ გაუძლო. ვერ აიტანა... ვერც თქვა. ყველაფერს ხედავდა და ვერაფერს ვერ ამბობდა. რა სჭირდა ჯერ სასიკვდილო. მაგრამ ამდენს ვეღარ გაუძლო და გაუსკდა კიდეც გული. გაანათლოს ღმერთმა, მაგრამ ახი იყო იმაზე. მშვენიერი ცოლ-შვილი მიატოვა. გოგოები ისე დაზრდილან, ძლივს ვიცანი. უკვე მეთოთხმეტე წელში არიან. თავისუფლად შედიან კინოში. ხომ გახსოვს ლენა როგორი უშნო იყო პატარაობისას, ახლა ოლიაზე ნაკლები არ არის. ვერც იტყვი, რომელი ჯობია. ორივეს ბიჭი ჰყავს უკვე. შეიკს ცეკვავენ. მოკლედ, თანამედროვე გოგოები არიან. იმათი მამა კი მიწაში ლპება. კრემატორიუმს ვერ ვიტან, მაგრამ რა თქმა უნდა, მოვალ. თორმეტზე, ხომ? ვერ ვიტან კრემატორიუმს. მატარებლის ფეხსადგილს მაგონებს რაღაცით. დააჭერ პედალს ფეხს და კუბოც წავა ქვევით, ვინ იცის სად... თითქოს არც გიცხოვრია, არც ყოფილხარ. ორი კილო მოვიმატე, გოგო, ამ ერთ კვირაში. თვალის ჩინივით მიფრთხილდებიან ჩემი მდგმურები. ზოგი შვილი არ მოგივლის ასე. მთელი ბაზარი მოაქვს ხოლმე იმ სულელს. მართლა პოეტია. თავქარიანი. მეცოდება. რად გინდა-მეთქი ამდენი, ვეუბნები, მაგრამ ვინ გისმენს. სულ იმის რჩევაში არიან, რა ჭამონ და რა დალიონ. რას აძლევენ მაინც ამდენს ლექსებში?! იქნებ ჩვენც დაგვეწერა. ისე, ნამდვილად ბევრი ჭირდება - იქით ცოლი, აქეთ საყვარელი. თანაც უცხოელი. ოი, როგორ მტკივა გული, რომ იცოდე. არ დამტოვო ბებოო - ჩუმად მითხრა, დედამისს რომ არ გაეგო. თან ხელს მიჭერდა

ხელზე. გამახსენდება და ჩემს ხელს ვკოცნი. დამემდუღრა გული, მაგრამ რა გინდა რომ ქნა. რამე თუ ვთქვი, უარესს იზამს დედამისი ჩემი ჯიბრით, ჩემს გასამწარებლად. ამიტომ, როცა მტკივა, ვიცინი ხოლმე, როცა ვბრაზობ, შეიკს ვცეკვავ... იქნებ ერთი გამოიარო. შამპანურს დაგალევინებ. გახსოვს? ტრა-ლა-ლა, ტრა-ლა-ლა... ეჰ, ჩვენც გვქონდა ერთი დრო...

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ანდა, სწორედ ყველაფრიდან გამომდინარე, ფრანსუაზა მთელი ორი წლით ჩამოვიდა მოსკოვში, საცხოვრებლად და სამუშაოდ, სინამდვილეში კი თავისი ფარული და სასიცოცხლო მნიშვნელობის განზრახვის აღსასრულებლად - სიყვარულის თესლის გასატანად აქედან, სატუსაღოს ჯურღმულებში ჩამყაყებული წყვდიადიდან თავისუფალ სამყაროში, რათა დარჩენილი სიცოცხლე ახლა მას, სიყვარულის ნაყოფს დასდგომოდა მსახურად - არადა, თითქოს აღარც უნდა გამოეხედა აქეთკენ; უკანასკნელად რომ დაბრუნდა მოსკოვიდან, არაფრის თავი აღარ ჰქონდა, ლანდი გასდიოდა, უწამლოდ ვეღარ იძინებდა, მთელი ღამე კოშმარები სტანჯავდა, არც მუშაობა უნდოდა, არც სწავლა, არც ნათესავი, არც მეგობარი - საჰაერო კატასტროფიდან შემთხვევით გადარჩენილ მგზავრს ჰგავდა, რომელსაც ბედად სხეულის არც ერთი ორგანო არ დაზიანებია, მაგრამ მაინც ხანგრძლივი ფსიქოლოგიური მკურნალობა სჭირდება: სიმშვიდე, ძილი, კარგი კვება და კარგი ჰაერი მისთვის სასიამოვნო გარემოში, რათა ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდეს გადარჩენის საფასურად შეძენილი, საზარელი, სულისშემხუთავი ჩვენებებისგან, ხმებისგან, შეგრძნებებისგან და საბოლოოდ, ახლა უკვე ნამდვილად, მთელი არსებით დაბრუნდეს მიწაზე, სადაც მისი ადგილია. ფრანსუაზაც ასე მოიქცა. მოსკოვიდან დაბრუნებულმა, მაშინვე თავის კუნძულს მიაშურა, და მალე იგრძნო კიდეც სამხრეთული ბუნების ცხოველმყოფელი ძალა. *ასე კარგად დიდი ხანია არ ვყოფილვარ. სიწყნარეა, სიმშვიდეა. სილამაზეა. ეგნატე არ ჩანს, თუმცა, ხანდახან მაინც მგონია, თითქოს შორიდან მითვალთვალებს. მარტო*

*შენ მაკლიხარ, თორემ სრული განცხრომა იქნებოდა. როგორ ხარ? მაგრა სვამ თუ მაგრა მუშაობ? მაინც არ მეტყვი სიმართლეს. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რომელიღაც ჩაჟამებული ჯურღმულიდან ამოვედი შემთხვევით.* ეს გრძნობა დიდხანს გაჰყვება. უფრო სწორად, ვერასოდეს ვეღარ მოიშორებს, ვეღარც პარიზში, ვეღარც კუნძულზე, ვერსად, სადაც უკვე შვილთან ერთად გაექცევა ამ შემაწუხებელ, დამაკნინებელ, გამაბრიყვებელ შეგრძნებას. მაგრამ ამაოდ. არაფერი არ უშველის, ვიდრე ისევ ჯურღმულში არ დაბრუნდება, რადგან ეს ჯურღმულის ავადმყოფობაა და მისგან განკურნება ყოვლად შეუძლებელია - თუ ჯურღმულში ხარ, იქიდან გაქცევას ცდილობ სულ, თუ გაიქცევი და, უკან მობრუნების სურვილი გტანჯავს. ამ ავადმყოფობას იმპერიის მესვეურები "საბჭოთა პატრიოტიზმსაც" ეძახიან ცინიკურად და, მართლაც, ვისაც ერთხელ ჩაუყლაპავს საბჭოური ჰაერი, სხვაგან ვეღარ გაჩერდება დიდხანს - მისთვის ისეთივე მავნებელია სუფთა ჰაერი, როგორც სხვებისთვის - ბინძური. *დეკემბრის დასაწყისში მოსკოვს მივემგზავრები ორი წლით. რას იტყვი ამის შესახებ? მეტი არაფერია ახალი.* რა გვეთქმის, მადლობის გარდა, მაგრამ სხვა რაღა უნდა იყოს ახალი, ამაზე მეტი? გრძნობს რა განუსაზღვრელ მნიშვნელობას ამ "მეტი არაფრისა", იმდენი მოთმინებაც ჰყოფნის, დამალოს ზღვა სიხარული. შეიძლება, ეშინია კიდეც გამომჟღავნებისა, საკუთარ სიხარულს რომ არ წაელეკვინოს მოსკოვში ჩამოსვლამდე. *გამარჯობა. აი, ჩამოვედი.* ჩამოვიდა და დაბინავდა კიდეც. *ბინა საქარხნო რაიონშია.* - ესეც პროგრამითაა წინასწარ გათვალისწინებული საბჭოეთში სამუშაოდ ჩამოსული უცხოელებისათვის,

ახლოს რომ გაიცნონ (საკუთარ კისერზე იწვნიონ) აქაური ცხოვრება. ჩემს მტერს ნებისმიერ საქარხნო რაიონში მოხვედრა, განსაკუთრებით შაბათ-კვირას. დიდიან-პატარიანად ყველა მთვრალია. ერთხელ ცემას ძლივს გადაურჩა აველუმი. ლიფტში შევიდა და მთვრალი მგლების ხროვაში კი აღმოჩნდა უცებ. თხუთმეტ-თექვსმეტი წლის პირტიტველა ბიჭები იყვნენ, ყველას ბოთლი ეჭირა ხელში, ზოგს უკვე სანახევროდ დაცლილი. პირდაპირ ბოთლით იყუდებდნენ არაყს, ლიმონათივით. თითქოს ვერც გამჩნევენ, მაგრამ კარგად თუ დააკვირდებით, შეგნებულად გარიდებენ ღვარძლიანი ინტერესით აელვარებულ თვალებს, როგორც მტაცებელმა ცხოველებმა იციან. დაძაბულობისგან თუ შიშისგან, აველუმმა უნებლიეთ ბოთლი გამოგლიჯა ხელიდან ერთ-ერთ მათგანს და სულმოუთქმელად ჩაიცალა მწარე, ეკლიანი სითხე, აფორიაქებულ, აგანგაშებულ შიგანში. ეტყობა, ამან გაჭრა, ამან გადაარჩინა. გესლიანი ინტერესი სტიქიური აღტაცებით შეეცვალათ. ფოლადის ცივი ლაპლაპი ზეთის ნელთბილ ბზინვაში გადაიზარდა და როცა ლიფტი გაჩერდა, უხმოდ დაუთმეს გზა.

მაგრამ ვერც ეს შეაჩერებს აველუმს. უკვე რამდენჯერმე ჩააკითხა უკვე მოსკოველ ფრანსუაზას. მშვენიერი ბინაა. რაც მთავარია, ტელეფონიანი. რასაკვირველია, ასედაც იქნებოდა. ტყუილად ღელავდა ფრანსუაზა. ეს ბინა სპეციალურ ფონდს ეკუთვნის, უცხოელებისთვისაა განკუთვნილი და, თავისთავად ცხადია, უაღრესად საინტერესოა, რაზე ან ვისთან საუბრობს აქ მაცხოვრებელი უცხოელი, ამ ეტაპზე - ფრანსუაზა. ფრანსუაზა მაინც არ ელოდებოდა, ასე კარგად თუ მოეწყობოდა, მაგრამ აველუმის პირველივე სტუმრობის შემდეგ, ერთბაშად შეჯავრდა აქაურობა. ***ყველგან შენ მელანდები ამ წყეულ ბინაშიო*** - სწერდა იმავე საღამოს აველუმს - ***სამზარეულოში შეხედვისაც მეშინია და საწოლში ჩაწოლისაცო.*** ჯერ სად არის! ჯერ ყველაფერი წინაა! მაგრამ თანდათან ისიც მიეჩვევა აქაურ ყოფას. "გასართობსაც" მონახავს, ხალხსაც გაიცნობს და თავფეხიანად ჩაერთვება (სხვათაშორის, დიდად მოწადინებული) მოსკოვური "არისტოკრატიის" ანუ, მასავით საბჭოეთში აკრედიტებული, მეტწილად ხელმოკლე უცხოელებისა და ადგილობრივი სნობების, იგივე არალენგალური მხატვრებისა თუ ჩვეულებრივი ინტელექტუალური აფერისტების მხიარულ ფერხულში. მალე აველუმის გულისთვისაც არ იტყვის უარს ნებისმიერ წვეულებაზე, ნებისმიერ გამოფენაზე, ნებისმიერ გასეირნებაზე - იპოდრომზე ცხენებით თუ ქალაქგარეთ მანქანით - და იმიტომ კი არა, ნაკლებად რომ ეყვარება აველუმი, ვიდრე ახლა უყვარს, ჯერ კიდევ დამფრთხალსა და გაოგნებულს ახალი გარემოს უტიფარი ცნობისმოყვარეობით, ფამილარული გულითადობით, არამედ იმიტომ, უიმისოდაც რომ გაიტანოს თავი როგორმე, ესე იგი, არც აველუმის

დასანახად განუდგეს კამპანიას, რომელმაც უნდა გააძლებინოს აველუმის ჩამოსვლამდეც და აველუმის წასვლის შემდეგაც. ადამიანის ნებისმიერი საქციელი, ნებისმიერი ქმედება - როგორც დღეს ვამბობთ ხოლმე - თავდაცვის, თვითგადარჩენის ჟინითაა ნაკარნახევი. ის ყოველთვის გადარჩენას ცდილობს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ჭკვიანურად თუ ბრიყვულად, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად და ამის ბრალია მალე, ძალიან მალე, ხანდახან სულ ერთი საათის ჩამოფრენილსაც, მარტო რომ დატოვებს აველუმს ფრანსუაზა თავის ბინაში, თვითონ კი წვეულებაზე გაიქცევა, ან საელჩოში, ან უცხოელთა კორპუსში, კუტუზოვზე, ან რომელიმე, ხელისუფლებისთვის არც მთლად მისაღები და ამიტომაც ზედმეტად გახმაურებული მხატვრის სახელოსნოში, რადგან ასე რომ არ მოიქცეს, მეორეჯერ აღარ დაუძახებენ და საქარხნო რაიონში, თავის მერვე სართულზე, მგელივით უნდა იყმუვლოს მოსკოვური ზამთრის გაუთავებელ ღამეებში, აველუმის ასევე გაუთავებელ მოლოდინში. "არ შეიძლება, სირცხვილია, ეწყინებათო" - ერთდროულად შეეცდება საკუთარი საქციელის გამართლებასაც და აველუმის დარწმუნებასაც, არაფერს რომ არ აკეთებს მისთვის საზიანოს. უბრალოდ, აველუმისგან განსხვავებით, იქაური, იმათებური, უაღრესად დახვეწილი წესიდან გამომდინარე, მართლა უწესობად, უმადურობად თვლის ნებისმიერი ყურადღების უგულებელყოფას და აჩქარებული კეტავს აველუმს გარედან, ფაქტიურად, კაგებეს კუთვნილ ტერიტორიაზე. მაგრამ მათ ერთმანეთი უყვართ და ამიტომ სხვებზე უკეთ უნდა გაიგონ და მოითმინონ კიდეც ბევრი რამ, რასაც არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდნენ ერთმანეთი რომ არ ყვარებოდათ.

აველუმიც იგებს და ითმენს. გაიკეტავს თუ არა ფრანსუაზა კარს, მაშინვე შუქს აქრობს მთელ ბინაში, ვითომ ბინა ცარიელია, ატყუებს ვიღაცას, ვისიც არ იცის სახელი და ვისიც ძალიან ეშინია. იატაკზე დგამს ლურჯად აციმციმებულსა და ხმაჩაწყვეტილ ტელევიზორს, თავადაც იატაკზე ჯდება (იძულებით), გვერდით ვისკის ბოთლს იდგამს და ასე და ამგვარად, ნელ-ნელა, თანდათანობით, ყლუპიდან ყლუპამდე, ცდილობს განეწყოს ფრანსუაზას გასაგებად და საკუთარი არსებობის მოსათმენად. რა უჯდება ეს განწყობა, ამაზე ცალკე წიგნი შეიძლება დაიწეროს. სიბრაზისგან მიკიოტივით გაფხორილი ზის ბნელ ოთახში და ხმაჩაწყვეტილი ტელევიზორის ეკრანზეც უიმისოდ მიდის ცხოვრება, იქაც უიმისოდ ცხოვრობენ ვიღაცები, არც ისინი აგდებენ რამედ - უიმისოდ უყვართ, უიმისოდ სძულთ, უიმისოდ სვამენ, უიმისოდ ჭამენ, უიმისოდ სძინავთ, უიმისოდ დააქროლებენ ცხენებს, მანქანებს, მატარებლებს, თვითმფრინავებს, მაგრამ რას გაურბიან და რას ესწრაფვიან, აველუმს არც ესმის და არც უნდა რომ ესმოდეს, რაკი საკუთარ მისწრაფებებშიც ვერ გარკვეულა თავად. ისიც ვერ გაურკვევია, აქ უფრო თავისუფალია თუ შინ; მაინცდამაინც, აქ უნდა გამოქცეულიყო შინიდან, თავი ადამიანად რომ ეგრძნო, თუ, სანამ კიდევ დროა, უკანმოუხედავად უნდა მოკურცხლოს აქედან შინისკენ. მოკლედ, ერთი ციხიდან თავდაღწეული, მეორე ციხეში ზის უაზრო ნებაყოფლობით და სხვათა ასავალ-დასავალის გარკვევა არ აინტერესებს. ჩვენში რომ ვთქვათ, არც შეუძლია. მისი არ იყოს, ისინიც ალბათ გადარჩენას ცდილობენ, თავისებურად, როგორც შეუძლიათ, რადგან ნებისმიერი ცხოვრება,

სატელევიზოროც კი, გადარჩენის მცდელობაა და, მე თუ მკითხავთ, ყველა ერთნაირად კრახით მთავრდება.

რასაკვირველია, მთლად დაწყნარებული არც ფრანსუაზა იხდის თავის ზნეობრივ ვალს. რამდენჯერმე უნდა დაურეკოს "იქიდან", რამდენჯერმე უნდა მოიკითხოს, როგორ არის, რას აკეთებს, ძალიან ენატრება თუ არა... თან "იქაურ" ამბებსაც აწვდის, შეძლებისდაგვარად, ჯაშუშივით, პირზე ხელმიფარებული. ახლა იატაკზე ვსხედვართო - ეჩურჩულება ტელეფონში. თქვენ რატომღა სხედხართ იატაკზეო - უკვირს აველუმს გულწრფელად. მართლაც, რა უნდა ჰქონდეთ დასამალი საელჩოში წვეულებაზე მისულ ხალხს! მეორეც ერთი, მეტი ზრდილობა და თავდაჭერილობა მოეთხოვება ამგვარ წვეულებებზე შეკრებილებს. ფრანსუაზასთვის კი აველუმის შეკითხვაა გაუგებარი. თუ შეიძლება ასე ითქვას, აველუმის გაკვირვება აკვირვებს. ტელეფონშიც ხედავს აველუმი, როგორ იჩეჩავს მხრებს - რა ვიცი, ვსხედვართ, ვსვამთ, ვსაუბრობთო - თითქოს ასედაც უნდა იყოს, თითქოს ასე რომ არ იქცეოდნენ, ის იქნებოდა გასაკვირი, თითქოს სწორედ ამას ჰქვია საელჩოში მიღება - იატაკზე ჯდომასა და სხვადასხვა სასმელების წრუპვას, თანაც ერთმანეთის ჭიქებიდან. ერთი გამასინჯე, თუ ღმერთი გწამს, რას სვამ ასე გემრიელად. ჩემი ძალიან ტკბილია. თფუი, არა, ეს გასინჯული მაქვს. აი, შენს გვერდით კოხტა გოგონა რომ ზის და ნიფხვის მაქმანი მოუჩანს, იმან გამასინჯოს თავისი... აველუმმა კი ლამის მართლა იყმუვლოს სიბრაზისგან, სიბრიყვისგან, ბოლოს და ბოლოს, სიმარტოვისგან. საათის ისრებიც მისი ჯიბრით არ იცვლიან თითქოს ფეხს. რამდენჯერაც არ უნდა გაჯახუნდეს ლიფტის კარი, მოულოდნელობისგან ყოველთვის ერთნაირად შეუხტება ხოლმე გული. ხოლო როცა ლიფტი მათ

სართულზე ჩერდება, გულიც უჩერდება საერთოდ. შიშს იმედი ენაცვლება, იმედს შიში, ოინბაზური მოხერხებულობითა და სისწრაფით, კარტივით არეული ერთმანეთში, კოკტეილივით შეზავებული ერთმანეთთან და საბოლოო ჯამში იმდენად დამახინჯებული ერთმანეთით, აღარც შიში ეთქმის, აღარც იმედი - სხვა რაღაცაა, ახალი, ჯერ განუცდელი - ელდიანი გაუგებრობა თუ გაუგებარი ელდა. შიშით ლიფტიორის ეშინია - ხომ შეიძლება, მაინც გაიგოს, მაინც მიხვდეს, აქ რომ ვიმალებიო - იმედი კი ფრანსუაზასი აქვს - იქნებ ამჯერად მაინც ის იყოსო. ყველაზე მეტად კი იმის წარმოდგენა აცოფებს, სადღაც, ცხრა მთის გადაღმა, მის ცოლშვილსაც მასავით რომ წყდება გზისკენ თვალი, შიშითა და იმედით, ოღონდ მის მოლოდინში. ის კი უნებართვოდ იკავებს კაგებეს საბინაო ფონდის კუთვნილ ფართობს, სიმარტოვის ფსკერზე ზის, ფაშასავით ფეხმორთხმული, ვისკის ბოთლს ბრაზიან კატასავით იხუტებს გულში, თითქოს ოდნავადაც თუ შეუშვებს ხელს, გადაუხტება, ანდა სახეს დააბღორტნის ბასრი ბრჭყალებით, და მხოლოდ ტელეფონის მეშვეობით უკავშირდება თავის სიყვარულს, რომლის გულისთვისაც, სესეს მერცხალივით, ვინ იცის, რამდენი მთა და ველი გადმოულესავს, და რომელიც ქალაქის მეორე ბოლოში იატაკზე ზის ახლა თავის დეგენერატ მეინახეებთან ერთად და "კულტურულად" ერთობა, "ევროპულ ყაიდაზე" ატარებს დროს, ანუ, ხარკს უხდის შიშს, სიმარტოვეს, უგულებელყოფას, თანამედროვე ცივილიზებული საზოგადოების ზნეობრივი და მორალური კოდექსის შესაბამისად და, აქედან გამომდინარე, ანდა სულაც ამის გამო, არათუ უკულტურობად, ელემენტარულ უადამიანობადაც არ

თვლის მისი გულისთვის ქვეყნის მეორე ბოლოდან ნასესხები ფულით ჩამოფრენილი "სტუმრის" მარტო დატოვებას, თუნდაც ვისკის ბოთლთან და ხმაჩაწყვეტილ ტელევიზორთან ერთად. არის წუთები, როცა მართლა ძლივს იკავებს თავს, ასე, ვისკის ბოთლიანად, რომ არ გამოვიდეს დერეფანში და უცხოელი ქალის საშინაო ხალათში გამოწყობილი, არ დაადგეს თავზე კიბის ქვეშ გამართულ "კაბინეტში" მდუღარე ჩაის განუწყვეტელი სმისგან ლოყებალაპლაპებულ ლიფტიორს - აჰა, აქა ვარ, დარეკე, სადაც ჯერ არსო. მაგრამ ასე თუ არ იქცევა, მხოლოდ იმიტომ, სიყვარულის ერთადერთ, გნებავთ, უკანასკნელ რაინდად, სულაც მსახურად რომ წარმოუდგენია თავი და რასაც სჩადის (ან არ სჩადის) სიყვარულის სახელით, სიყვარულის გულისთვის, სიყვარულის გადასარჩენად სჩადის (ან არ სჩადის). და მართლაც, უკვალოდ, უნალექოდ ქრება სიბნელეში, სიმარტოვეში გადატანილი დამცირებაც, წყენაცა და მრისხანებაც, როგორცკი გასაღები აჩხაკუნდება კარის საკეტში და გულამოვარდნილი, აღგზნებული, აღელვებული ფრანსუაზა კისერზე ჩამოეკიდება, რათა ჯერ აკოცოს და მერე უთხრას - გამარჯობაო - მერე ისევ აკოცოს, დიდხანს, გაუღიმებლად გაუსწოროს თვალი და უკვე დაბეჯითებით, დაუეჭვებლად განაცხადოს: რასაკვირველია, ეს მართლა შენ ხარო.

ფრანსუაზას მოსკოვში გადმოსახლებამ ნანატრი შვება ვერ მოუტანა აველუმს. პირიქით, ახლა უფრო გართულდა, უფრო დაიძაბა მათი ურთიერთობა. იშვიათი, მოულოდნელი დღესასწაული ყოველდღიურ საზრუნავად და საფიქრალად იქცა. ფრანსუაზა მოსკოვში იმიტომ გადმოსახლდა, უფრო ახლოს რომ ყოფილიყო აველუმთან, უფრო ხშირად რომ შესძლებოდა მისი ნახვა, რამდენადაც ღრმად იყო დარწმუნებული, აველუმისთვისაც უფრო მოსახერხებელი იქნებოდა სატუსაღოს შიგნით გადაადგილება. მაგრამ თბილისიდან მოსკოვში ჩასვლა და იქ გარკვეული დროის განმავლობაში ცხოვრება, ეკონომიურის გარდა, ბევრ საჩოთირო და ძნელად მოსარევ პრობლემას აჩენდა. რასაკვირველია, მაინც მოსკოვი რჩებოდა იმ "წმინდა ადგილად", სადაც ძირითადად ხვდებოდნენ ისინი, მაგრამ მოსკოვში ხანგრძლივად ცხოვრება აველუმისთვის უფრო შეუძლებელი იქნებოდა, ვიდრე აუტანელი. ბოლოს და ბოლოს, აველუმს თბილისში ცოლ-შვილი ჰყავდა, რომლებიც არავისზე ნაკლებად არ უყვარდა და ერთი წუთითაც არ აპირებდა მათზე ხელის აღებას, ბედის ამარა მიტოვებას, რამდენადაც ოჯახი, უპირველეს ყოვლისა, მამაკაცური ვალდებულება, ზნეობრივი ტვირთია და არა სასიამოვნო ან უსიამოვნო გარემოცვა, რომელიც შენი გუნება-განწყობილებისდა მიხედვით, შეგიძლია შეცვალო ან გააუმჯობესო. გარდა ამისა, მისი აზრით, მელანიაც ისევე საჭიროებდა გადარჩენას, როგორც იგივე ფრანსუაზა, და ამდენად მისი მიზანიც, რაც არ უნდა დიდ სისულელედ მოგეჩვენოთ, ორივეს გადარჩენას გულისხმობდა და არა რომელიმე მათგანისა.

ეს ის დროა სწორედ, როდესაც ტელეგრაფში ყველას დაამახსოვრა თავი (რაც მერე სონიასთან დაკავშირებითაც განმეორდა). ტაქსოფონები ახალი შემოსულია თბილისში და ხალხიც ბუზივით ეხვევა. ჰყავს თუ არ ჰყავს ნაცნობი მოსკოვში, მაინც ყველა რეკავს, თუნდაც უბრალო ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად (ვამ კავო? ნე ტუდა პაპალ). ტელეფონისტ ბიჭებს ყველანი სცნობენ, ყველანი ცდილობენ მათთან დაახლოებას. იმათაც ამაყად, მედიდურად უჭირავთ თავი. ძირითადად სოფლელი ბიჭები არიან, ტექნიკუმდამთავრებულნი, სახელდახელოდ გამოჩეკილი სპეციალისტები ამ ახალი დარგისა. ხელის გამართვაც ეხერხებათ და ხელის მოთბობაც. ათასკაციანი რიგი რომ იდგეს, თავიანთი ოთახიდან დაგარეკინებენ უცებ. მაგრამ ამასთან დაკავშირებით, რასაკვირველია გაუგებრობაც ბევრი ხდება - შეხლა-შემოხლა, ჩვეულებრივი თბილისური ჩხუბი და აყალმაყალი. ერთხელ დანითაც დაჭრეს კაცი, ურიგოდ აპირებდი წასვლასო. დაჭრილი პირველად ვერც მიხვდა, რა მოუვიდა, ჯერ კიდევ ეკამათებოდა დამჭრელს, მაგრამ ხელი რომ დაუშვა და პიჯაკის სახელოდან სისხლი გადმოეღვარა - დამჭრესო - თქვა გაკვირვებულმა, უფრო თავისთვის, ვიდრე სხვების გასაგონად.

დამჭრელს კი გახსნილი დანა ისევ ხელში ეჭირა და კარისკენ მიიკვლევდა გზას. აცახცახებული, ნათურის მბჟუტავ შუქზე ყვითლად აბრჭყვიალებული დანის წვერი ლამის ცხვირწინ ჩაუტარა აველუმს (რითაც ერთი მეტად ძველი და მეტად უსიამოვნო შემთხვევა გაახსენა), მაგრამ ამჯერად სრულებითაც არ შეუწუხებია ამ ამბავს. ის კი, დანიანი, ნელა, ფრთხილად იხევდა უკან. უკან კი არა, კარისკენ და, თავად დამფრთხალი, მაინც სხვების შეშინებას ცდილობდა. "არ მომეკაროთ, არ მომეკაროთო" - იმეორებდა გადაფითრებული, თვალებდაყვლეპილი. ცხოველური ალღო კარნახობდა, მხოლოდ ასე თუ იხსნიდა თავს. მართლაც, ყველანი უხმოდ აყოლებდნენ თვალს, მაგრამ როგორც კი გავიდა დარბაზიდან, როგორც კი შეტრიალდა და კისრისტეხით დაეშვა კიბეზე, მაშინვე ყიჟინით გამოედევნენ დაჭრილის ამხანაგებიცა და სეირის მოყვარულნიც. აველუმი კი სხვა დანით იყო დაჭრილი და თავისი სატკივარი, თავისი სადარდელი აყურყუტებდა ტელეფონის კაბინის წინ. რაც უფრო მეტს ლაპარაკობდნენ ისა და ფრანსუაზა ტელეფონით, მით უფრო იძაბებოდა, მით უფრო გაურკვეველი ხდებოდა მათი ურთიერთობა. აშკარად რაღაც მზადდებოდა, რაღაც უნდა მომხდარიყო, ნათელი რომ მოჰფენოდა ყველაფერს - ან ასე, ან ისე - მაგრამ მოთმინებაც დღითი დღე იწურებოდა, მოთმინების ბეღელში მხოლოდ ფსკერზე და ისიც აქა-იქღა თუ ეყარა იმედის მარცვალი. საათობით, დილიდან საღამომდე, ხან კი გვიან ღამემდე იდგა ხოლმე რიგში. ხან მთვრალი ელაპარაკებოდა ათასნაირ სისულელეს, ხან კი რიგში გამოფხიზლებული და ამის გამო უარესად აღრენილი. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, მაინც ჯიუტად ბრუნდებოდა ამ

მოჯადოებულ კაბინასთან, რათა თუნდაც უაზრო, სულელური ლაპარაკით დაეცხრო მღელვარე, მშფოთვარე, უკიდეგანო სწრაფვა ფრანსუაზასკენ, რომელიც თავის მხრივ განუწყვეტლივ, მოუთმენლად ელოდებოდა, ღრმად დარწმუნებული, ყველაფერს რომ იღონებდა ის და რაც შეიძლება მალე ჩააკითხავდა ერთხელ კიდევ, თუნდაც უკანასკნელად. იქამდე კი, მკვდრის დანატოვარი ნივთებივით, დასტიროდა აველუმის კბილის ჯაგრისსა თუ საშინაო ფლოსტებს. ხოლო მორიგი განშორების შემდეგ, აეროპორტიდან თუ სადგურიდან მობრუნებულს, ვერც აწეწილი საწოლისთვის შეეხედა, ვერც ჭიქებში ჩარჩენილი ღვინისთვის და ისევ ფაცაფუცით გარბოდა (თუკი გასაქცევი ჰქონდა სადმე) ამ წყეული, აველუმის ორეულებით გამოტენილი ბინიდან. შინ იყო თუ სამსახურში, სულ დაცქვეტილი, დაძაბული ელოდებოდა ტელეფონის ზარს. "დამშვიდდი, ეს შენი ქართველი არ არისო" - დაუძახებდნენ უკვე შეხუმრებული თანამშრომლები. იმას კი მაინც რცხვენოდა მათი, თამამად მაინც ვერ ამბობდა სათქმელს მათი თანდასწრებით და, რასაკვირველია, ერჩია თუკი აველუმი სამსახურში არ დაურეკავდა, მაგრამ ძალიან დაწყდებოდა გული, ასე თუ მოიქცეოდა. სამსახურშიც ყველას, მაინცდამაინც, მისი მოსმენა აინტერესებდა, რადგან ყველამ იცოდა, რის გამო ჩამოსულიყო ეს პატარა, სულელი გოგო პარიზიდან მათ ქალაქში და, რაკი ჯერჯერობით არავინ უკრძალავდათ, თანაუგრძნობდნენ კიდეც თავისებურად. ყურდაცქვეტილნი კი უსმენდნენ ფრანსუაზასა და აველუმის ლაპარაკს, მაგრამ ფრანსუაზასა და აველუმისა არ იყოს, იმათაც ბევრი არაფერი გაეგებოდათ ალბათ. ფრანსუაზა და აველუმი

იმასაც ვერ აგებინებდნენ ერთმანეთს, კარგად იყვნენ თუ ცუდად. თუ კარგად ხარ, რატომ მუშაობ ცოტას და თუ ცუდად ხარ, რატომ არ მიდიხარ ექიმთანო - უყვიროდა ფრანსუაზა. ანდა, შეიძლება, განგებ ვერ იგებდა, შეგნებულად, მთავარი სათქმელი უფრო ბუნებრივად რომ მოეყოლებინა ბოლოს: თუ არც მუშაობ და არც მკურნალობ, მაშინ რაღას უზიხარ მანდო. აველუმიც, რასაკვირველია, ყოველთვის ჩადიოდა, როგორც კი ამის საშუალება ეძლეოდა - ხან ერთი კვირით, ხან ერთი დღით, ხან ერთი საათითაც... ერთხელ პირდაპირ პლიაჟიდან წავიდა ადლერის აეროპორტში, მაგრამ იმხელა თოვლი მოვიდა უცებ მოსკოვში (ოქტომბრის ბოლო რიცხვები იყო მგონი), რომ იტყვიან, ბეწვზე გამოასწრო, თორემ გაყინვას გინდაც გადარჩენოდა, ფსიქიატრიულ საავადმყოფოში აღმოჩნდებოდა ნამდვილად: საზღვაოდ გამოწყობილი, გიჟი ეგონებოდა ვინმეს, ანდა, ამის მოსურნე, უფრო იოლად დააბრალებდა გიჟობას. სამხედრო ეკიპაჟი მართავდა ერთადერთ თვითმფრინავს, რომელიც იმ დღეს (და იმ კვირას საერთოდ) აფრინდა მოსკოვის აეროპორტებიდან. ვიღაც არაბი სტუმრებისთვის გამოიდეს სამხედროებმა თავი, ვითომ, ჩვენთვის ამინდი არ არსებობს, ნებისმიერ ამინდში დავფრინავთო. სტუმარიც სამხედრო ატაშე გახლდათ. გამცილებლებისგან განსხვავებით, მასაც და მის პირად მცველსაც (ორმეტრიან ახმახს) სამოქალაქო კოსტიუმები ეცვათ და ვიდრე ბოლისფერ ბურუსში მიფრინავდნენ, ესე იგი, კავკასიამდე, თავი არ აუღიათ წიგნებიდან, ვითომ, კითხვით იყვნენ გართულნი და არაფერი ესმოდათ, რაც მათ ირგვლივ ხდებოდა. მაგრამ თვითმფრინავი როგორც კი კავკასიაში შეიჭრა, ექსკურსიაზე წამოყვანილი ბავშვებივით მიცვივდნენ

სამხრეთული მცხუნვარე მზით აბრჭყვიალებულ ილუმინატორებს, გეგონებოდათ, თავიანთ სიცოცხლეში პირველად ხედავენ ამგვარ საოცრებასო. სამხედრო მფრინავები კი გასკდნენ ბუტერბროდების ჭამითა და ტომატის წვენის სმით. ორი ჯიშიანი, ჯანღონით სავსე სტიუარდესა, საბაგირო გზის წყვილი ვაგონივით, განუწყვეტლივ ეზიდებოდა მათ კაბინაში ერთმანეთზე ათრიგად და ოცრიგად დალაგებულ ბუტერბროდებსა და ლანგარზე წითლად აწკრიალებულ ჭიქებს. ხოლო ის რამდენიმე საბჭოთა მოქალაქე, აველუმის ჩათვლით, რომლებიც თვითმფრინავში უფრო იმიტომ აუშვეს, ჩვეულებრივი სამგზავრო განწყობა რომ შეექმნათ სტუმრებისათვის, არავის ახსოვდა. პირადად აველუმი მთელი გზა ოფლად იღვრებოდა და ერთი ყლუპი წყლისათვის ნახევარ სიცოცხლეს დათმობდა დაუფიქრებლად. მაგრამ იმ თვითმფრინავში არავის ჭირდებოდა მისი სიცოცხლე. აღარ სჭირდებოდა - გასაკეთებელი იქამდე გააკეთებინეს, ვიდრე თვითმფრინავში აუშვებდნენ. სხვა მგზავრებთან ერთად, მასაც ნიჩაბი მიაჩეჩეს ხელში და წელამდე თოვლში ბილიკი გააკვალინეს თვითმფრინავამდე. გაფრენა თუ გინდათ, ხელიც გაანძრიეთო - თითქოს საამისოდ ბილეთის აღება არ კმარობდა. აველუმს, როგორც უკვე ვთქვი, რუსული ზამთრის კვალობაზე, ზედმეტად ხალვათად ეცვა, მაგრამ სწორედ ამის გამო, სხვებზე მეტი მონდომებით ეძგერა თოვლს.

ამასობაში კი მეხუთე წელი მიიწურა ამ სასიყვარულო ციებ-ცხელებისა, მაგრამ გარეგნულად ყველაფერი უცვლელი დარჩა - იგივე მოლოდინი, იგივე მოულოდნელი, ხანმოკლე შეხვედრები, გამოსათხოვარი სუფრები, გაუთავებელი სატელეფონო საუბრები, უმიზეზო ჩხუბები, გულუბრყვილო საყვედურები, სულელური ბრალდებები, ასევე სულელური თავის მართლებები, უსაფუძვლო ეჭვიანობები, შიშები, იმედები, ოცნებები, მიზნები და იგივე შლეგი, დაუოკებელი, დაულეველი სწრაფვა ერთმანეთისკენ. ფრანსუაზა უფრო და უფრო ეფლობოდა მოსკოვურ ყოფაში. უკვე ბევრი რამ, რაც შორიდან, პარიზიდან, მომხიბვლელიც ჩანდა, აცოფებდა, აღიზიანებდა და ამის გამო კიდევ უფრო იტანჯებოდა. საერთოდ კი იტანჯებოდა ყველაფრის გამოც და არაფრის გამოც. ლამის ყურებზე ხელებაფარებული დადიოდა, მოსკოვური ჭორებისგან თავის დასაცავად. აშინებდა, აბნევდა საბჭოთა ხალხის სულის სარდაფებში წყალივით ჩამდგარი, დამყაყებული სიძულვილი ყველაფრისა, რაც თავად აღარ ჰქონდა - დაეკარგა, დაევიწყებინა. ვერაფერს ვერ ასწრებდა, არაფერი არ გამოსდიოდა და იტანჯებოდა, იტანჯებოდა წერილი რომ ვერ მიეწერა თავისიანებისთვის, იტანჯებოდა აველუმის წერილს რომ კითხულობდა, ხმას რომ უსმენდა ტელეფონში და ასევე იტანჯებოდი წერილიდან წერილამდე, დარეკვიდან დარეკვამდე. იტანჯებოდა, უკვე ოცდათვრამეტი წელი რომ უსრულდებოდა აველუმს, სარეცხი რომ უგროვდებოდა აბაზანაში, ბინა რომ დასალაგებელი იყო, ქირა - გადასახდელი, სტუმრად რომ აპირებდა წასვლას, თმა კი დასაბანი ჰქონდა. იტანჯებოდა წინათგრძნობით, აველუმის მოულოდნელ

გამოჩენას რომ ჰპირდებოდა და იტანჯებოდა წინათგრძნობით გაწბილებული. იტანჯებოდა მოსკოვური სიცივისგან. იტანჯებოდა ბავშვობიდან შესისხლხორცებული ზღვისა და მზის სიშორით. იტანჯებოდა, იანს რომ ვერ ურეკავდა ხშირად, იტანჯებოდა იმის სახელგანთქმული რაგუსა თუ გულიაშის წარმოდგენაზე. იტანჯებოდა, ვერაფრით რომ ვერ აეხსნა, ასე რატომ დაჰფოფინებდა თავზე ლიანა, როდესაც მაინც მიდიოდა ხოლმე სტუმრად იანთან. იტანჯებოდა, სამსახურიდან შინ რომ ატანდნენ დასამუშავებელ ტექსტს და იტანჯებოდა, როცა არ ატანდნენ. იტანჯებოდა, იმიტომ რომ იტანჯებოდა. იმიტომ რომ, ადრე დგებოდა, გვიან წვებოდა, სადღაც ელოდებოდნენ, ვიღაც უნდა ენახა... იმიტომ რომ, ბოლოს და ბოლოს, აქაც ისევე ცხოვრობდა, როგორც პარიზში - ეგვიპტელ მონასავით - ოღონდ, თუკი პარიზში აქეთ წამოსასვლელი ბილეთის ფულისთვის იდგამდა წელებზე ფეხს, აქ იმის ნებართვის მოპოვებას ცდილობდა, იმავე გზით, ასე რომ ეტანჯა თავისთვის, არავის დაეშალა, არავინ გაბრაზებულიყო და გაბრაზებულს დროზე ადრე არ გაეპანღურებინა უკანვე. და მაინც ყველაზე მეტად სიმარტოვით იტანჯებოდა. პანიკური შიში ჰქონდა სიმარტოვისა, სიყვარულის ოთხ კედელს შორის გამომწყვდევისა, და ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, ერთხელაც რომ არ გამორჩენოდათ მხედველობიდან მის მოსკოველ მეგობრებს, არც ნებსით და არც უნებლიეთ. სიმარტოვის შიშით მისდევდა ცხენოსნობასაც და კვირა დილით, გინდაც აველუმი სწოლოდა გვერდით, მერცხალივით წამოფრინდებოდა ხოლმე საწოლიდან უთენია და, შაქრის ნატეხებით ჯიბეგამოტენილი, იპოდრომზე გარბოდა, სადაც

მასავით საბჭოეთში აკრედიტებული და კარგ ცხოვრებას დანატრებული უცხოელები, აბორიგენ სნობებთან ერთად, "კულტურულად", "ჯანსაღად" ატარებდნენ დროს, მიუხედავად დიახაც რომ უკულტურო და არაჯანსაღი გარემოცვისა. მაგრამ ფრანსუაზას ისე ეშინოდა სიმარტოვისა, გნებავთ აველუმის დანატოვარი სიცარიელისა, ისე ჯიუტად, ისე მონდომებით, მაგრამ ისე უშედეგოდ ცდილობდა ამ სიცარიელის რაიმეთი ამოვსებას, ცხენზე შეჯდებოდა კი არა, პარაშუტითაც გადმოხტებოდა დღეში ორჯერ, დილა-საღამოს, ოღონდ რომელიმე გაბობებულ ბორიასა თუ გაჟანებულ ივანეს არ ეთქვა მისთვის, ვინც ასე არ მოიქცევა, ის არც ჩვენიანიაო და აღარც აგარაკზე წავიყვანთ საბანაოდ და აღარც სახელოსნოში დავპატიჟებთ ახალი არალეგალური გენიის მიკროგამოფენაზეო. მაგრამ მართლა თუ ფიქრობდა ვინმე ასე, ალბათ თავად ფრანსუაზა. თუმცა, რაც მართალია, მართალია, საფუძველიც ჰქონდა ამგვარი ფიქრისა. მაშინ შეიძლება ამდენს ვერ ვხვდებოდი, მაგრამ ახლა, ოცი წლის შემდეგ, წარმოდგენაც ძნელია, როგორ ძლებდა საერთოდ მოსკოვში მარტო, თოვლის ქოხში, უმშობლებოდ, უნათესავოდ, უზღვოდ, უმზეოდ, უარაფროდ. მხოლოდ და მხოლოდ, აველუმთან კიდევ ერთხელ შეხვედრის იმედით. რასაკვირველია, ეშინოდა ნებისმიერი ვიგინდარის განაწყენება, რომელსაც გულში ალბათ სულ სხვა ზრახვები ჰქონდა და სულ სხვა მიზნით მისდევდა "არისტოკრატულ" ცხოვრებას. ფრანსუაზა არა მარტო გასათხოვარი იყო, არამედ... უცხოელიც. ეს კი უსაზღვროდ დიდ უპირატესობას ანიჭებდა ადგილობრივ გასათხოვარ გოგოებთან შედარებით, რაც არ უნდა იოლი ხელმისაწვდომები ყოფილიყვნენ

ისინი. ფრანსუაზა, შეიძლება, იმდენად "ტკბილი" ლუკმა არ იყო, რამდენადაც - "სასარგებლო", განსაკუთრებით იმ დისიდენტი მხატვრებისა თუ პოეტებისათვის, რომლებისთვისაც უცხოელი ქალი ლამის ერთადერთი რეალური შესაძლებლობა, ანდა, მხატვრულად თუ ვიტყვით, ერთადერთი ლოცმანი გახლდათ, რომელსაც შეეძლო უხიფათოდ, ზედმეტი დავიდარაბის გარეშე გაეძვრინ-გამოეძვრინა საბჭოურ "მეჩეჩებში" და მშვიდობიანად გაეყვანა თავისუფლების გაშლილ ზღვაში ნებისმიერი მათგანი. სხვათა შორის ამ გზით მიაღწია ბევრმა საწადელს, ოღონდ, უფრანსუაზოდ, რადგან ფრანსუაზამ თავიდანვე დაუშვა საბედისწერო შეცდომა, როცა, მაინცდამაინც, აველუმი აირჩია გულის მბრძანებლად, რაც, შეიძლება, სრულებითაც არ იყოს თავად აველუმის დამსახურება და მთლიანად იმ ქალებს მოეკითხებოდეს, რომლებიც უნებლიეთ წინ უსწრებდნენ ფრანსუაზას, უფრო ნათლად, ფრანსუაზაზე ადრე იცნობდნენ აველუმს. ქალები ხომ, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთის ჯიბრითა და წამხედურობით იყვარებენ ერთსა და იმავე პიროვნებას (გნებავთ, სუბიექტს, გნებავთ, ობიექტს) და ყველა მათგანი თავის კანონიერ საკუთრებად თვლის იმას, რისი მითვისებაც საერთოდ შეუძლებელია. ასე რომ, მართალია, ფრანსუაზას ზურგი არ შეუქცევია არც ერთი მოსკოველი "თაყვანისმცემლისთვის" (თუნდაც იმიტომ, რომ ეშინოდა), მაგრამ მისი არჩევანი, იგივე განაჩენი, საკუთარი თავისთვის გამოტანილი, საბოლოო იყო და გადასინჯვას არ ექვემდებარებოდა. არადა, დიახაც რომ "სასარგებლო" და, ამდენად, ათმაგად გამაღიზიანებელი ლუკმაც გახლდათ "თავისუფლების" მაძიებელთათვის. მან კი გული ტუსაღთა შორის უტუსაღესს მიუძღვნა, ის აირჩია

თავის რაინდად, ვინც სატუსაღოდან თავის დაღწევას კი არ ცდილობდა მასთან ერთად (გინდაც მეშვეობით), არამედ ყველანაირად ხელს უწყობდა მის ნებაყოფლობით გატუსაღებასაც, მისთვის მეტ-ნაკლებად ასატანი ცხოვრების მოწყობას იმავე სატუსაღოში, სადაც თავად სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი (უფრო სწორად, სამშობლოსთან ერთად იყო დატყვევებული) და უმალ ეგუებოდა ამგვარ უსამართლობას, ვიდრე უჯანყდებოდა, რაკი სამუდამო პატიმრობა არა მარტო ამა თუ იმ რეჟიმს მიესაჯა მისთთვის, არამედ ყველასა და ყველაფერს, რაც მის არსებობას განაპირობებდა და რაც მისი მეშვეობით არსებობდა, რაც საერთოდ არსებობდა, უიმისოდაც, და მის მერეც იარსებებდა, რასაც სული ედგა, სახე ჰქონდა, შობისა და სიკვდილის უნარით იყო დაჯილდოვებული ხმელთა და წყალთა, ვარსკვლავთა და ცდომილთა, ფრინველთა და ცხოველთა, თევზთა და მწერთა განმგებლისგან. მისი ტუსაღობა ბედისმიერი იყო და არა მარტო პოლიტიკური, სოციალური, ანდა ზნეობრივი პოზიციებიდან გამომდინარე. ის იმ თავისუფლებას ესწრაფვოდა, რომელიც დაბადებამდე, ანუ, სამოთხიდან გამოდევნამდე დაეკარგა და რომლის მოპოვებაც ისევე შეუძლებელია, როგორც ხელმეორედ ჩასახვა. ამას ალბათ ფრანსუაზაც გრძნობდა, თორემ, სხვანაირად მართლა უაზრობა იქნებოდა მათი ურთიერთობა. ისე არავითარ შემთხვევაში არ ჩამოვიდოდა საბჭოეთში საცხოვრებლად. რა თქმა უნდა, გრძნობდა, მაგრამ ეს არათუ აეჭვებდა ერთხელ და სამუდამოდ მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში, კიდევ უფრო შეუვალსა და მტკიცეს ხდიდა სხვებზე პრაქტიკული, სხვებზე ცხოვრებისეული თაყვანისმცემლების მიმართ. თუმცა, არასოდეს

მოუტყუებია თავი, შეიძლება აველუმი როდისმე მაინც იყოს ჩემიო. პირიქით, ყოველთვის უშეცდომოდ იცოდა, თანაც ყოველთვის ცოტათი ადრე, ვიდრე თავად აველუმი იტყოდა, თუ როდის უნდა დამთავრებულიყო მათი მორიგი "ოჯახური ცხოვრება", რომელიც არასოდეს გაგრძელებულა ორ თვეზე დიდხანს, ზოგჯერ კი ერთ დღეშიც ამოწურულა. ფრანსუაზას თქმით, წასვლის დრო რომ მოაწევდა, აველუმი უცებ მოიწყენდა თურმე და თავისიანებზე იწყებდა ლაპარაკს, განსაკუთრებით ეკაეკატერინეკატოზე, ოღონდ თავისიანების მონატრება კი არ იყო მხოლოდ ამის მიზეზი, როგორც ფრანსუაზას ეგონა, არამედ ოდესღაც, შორეულ ბავშვობაში თავად ცხოვრებისგან თავსმოხვეული დანაშაულის კიდევ ერთხელ მონანიების ჟინი, სურვილი თუ მოთხოვნილება. ეკაეკატერინეკატო, ერთდროულად დაც იყო აველუმისთვის და შვილიც, და ერთ-ერთზე საუბრისას ორივეს გულისხმობდა ყოველთვის, უფრო სწორად, ერთზე საუბრით მეორის დაბრუნებას ცდილობდა, თავისი ჭკუით, და ძირითადად იმის, ბავშვობაში "გაჩუქებული" დის ამბებს უყვებოდა ფრანსუაზას, რადგან მხოლოდ მასთან შეეძლო საერთოდ ამ ამბებზე ლაპარაკი, თუნდაც მწერლურ გამონაგონად გასაღება ამ ამბებისა და თქვენ წარმოიდგინეთ, ფრანსუაზაც უმალ შემზარავ ტყუილად აღიქვამდა მის ნაამბობს, ვიდრე მის უნებლიე ცოდვად, მის მოურჩენელ ტკივილად და გაუნელებელ სატანჯველად, რაკი ვერაფრით იჯერებდა, მართლა თუ შეეძლო აველუმს დის გაჩუქება (რა თქმა უნდა, თუკი მართლა ჰყავდა ოდესმე და), თუნდაც უკიდურესი გაჭირვების გამო, და მართლა თუ შეეძლო გაჩუქებულ დას გამჩუქებელი ძმის მოკვეთა სამუდამოდ, სწორედ მის გამო, მის

გადასარჩენად გამოჩენილი სიმტკიცისა და სისასტიკისათვის. აველუმი კი ნახევრად ხუმრობით ყვებოდა (ეშინოდა, მისი პირადი უბედურება გაზვიადებული, ანდა მართლაც სასაცილო არ მოსჩვენებოდა ვინმეს), თუ როგორ ჩააკითხათ სოფელში, ბებიასთან შეხიზნულებს, ვიღაც "დეიდა ელომ" შავი მანქანით და ის "დეიდა ელო", ეტყობა მანქანაში დასიცხული, როგორ ინიავებდა წამონთებულ სახეს ფარშევანგის გაშლილი კუდისხელა მარაოთი; როგორ ჯიუტად ეძახდა ეკაეკატერინეკატოს "ეკა-ეკუნას" და ეკაეკატერინეკატოც, ყოველ დაძახებაზე, ასევე ჯიუტად როგორ უსწორებდა, ეკა კი არა, კატო ვარო; როგორ სასოებით შეკრა ბებიამ ეკაეკატერინეკატოს მთელი ავლა-დიდება ერთ პატარა ბოხჩად და როგორ ჩასჩურჩულა "დეიდა ელომ" შოფერს ყურში, ეგ ბოხჩა აღარ დამანახოო; როგორ წყევლიდა მაინცდამაინც მას ვიღაცაზე განრისხებული ბებია და როგორ უყოფდა ენას უკვე შავ მანქანაში შეკეტილი ეკაეკატერინეკატო. ამას აველუმის უნებლიე და ხანმოკლე გაყაჩაღების ამბავიც ემატებოდა და ყველაფერი მართლაც მხატვრულ გამონაგონს ემსგავსებოდა, ძნელად დაიჯერებდა კაცი. ის კი არა, თავის დროზე, მგონი, კაგებემაც არ დაიჯერა (ყოველ შემთხვევაში, ამის თაობაზე აველუმთან არასოდეს დასცდენია სიტყვა). "აგერ ნახავ, ბოლოს იმის წერა თუ არ გახდებიო" - იტყოდა ხოლმე მოთმინებიდან გამოსული ფრანსუაზა, მაგრამ ფრანსუაზა, რასაკვირველია, აველუმზე ბრაზობდა და არა მისიანებზე. აველუმს, როცა მოესურვებოდა, მაშინ შეეძლო შინ დაბრუნება, იმას კი მარტოს უნდა ეცხოვრა აქ, მოსკოვში, აველუმის მორიგი გაქცევის შემდეგ, აველუმის მორიგ

დაბრუნებამდე. აველუმივით იოლად ვერ მიატოვებდა აქაურობას, რაც არ უნდა ძნელი ასატანი ყოფილიყო მისთვის შიშიცა და სიცივეც. ის აქ, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ "ცხოვრობდა", ვიღაცისთვის (ალბათ, ბავშვობის მეგობრისთვის), ანდა სულაც საკუთარი თავისთვის რომ დაემტკიცებინა, სიყვარულისითვის ყველაფერს შევძლებ, ყველაფერს ავიტან და ყველაფერს გავწირავ კიდევ დაუფიქრებლადო. აკი ბოლოს მონადაც გაიყიდა თავი. მოსკოვში, რასაკვირველია, არც იანის შეთითხნილ რაგუსა თუ გულიაშის საჭმელად იყო ჩამოსული და არც "გვარდიელის" (ასე ერქვა მის ცხენს) საჭენებლად, არამედ - მხოლოდ და მხოლოდ, იმიტომ, აქ რომ ყოფილიყო, აქ რომ დაეტოვებინათ, ოღონდ, ბედის საცდელად კი არა, სხვა უცხოელი გოგოებივით, დასტა-დასტა, გუნდ-გუნდად რომ ჩამოდიოდნენ უკვე საბჭოეთში, არამედ ბედთან შესაგუებლად, ანუ დანაშაულის ასაღიარებლად და შესაბამისი სასჯელის მოსახდელად (ორი წლით თავისუფლების აღკვეთა აქ, მკაცრი რეჟიმის კოლონიაში, და დანარჩენი სიცოცხლე იქ, შინ, თავისუფალ გადასახლებაში). ფრანსუაზა, რა თქმა უნდა, ადრეც ყოფილა შეყვარებული. უფრო ზუსტად, ადრეც გასჩენია სიყვარულის წინათგრძნობის მაგვარი რამ. კიდევ უფრო ზუსტად, ეგონა, რომ უყვარდა, ეგონა რომ შეეძლო სიყვარული, მაგრამ მაშინ, როგორც თვითონვე აღიარებს წერილებში, თურმე წარმოდგენაც არ ჰქონია სიყვარულზე. სიყვარულს, ჯოხისგან განსხვავებით, ერთი ბოლო აქვს მხოლოდ, თანაც შუბის წვერივით წამახული, და შენივე სურვილით უნდა დაახიო ზედ გულ-მუცელი. ასე რომ, ფრანსუაზას ჯერ პირნათლად უნდა მოეხადა სასჯელის პირველი ნაწილი, რაც მთავარია, მიეღო

ამის დამადასტურებელი საბუთი (უკანონო ბავშვი) და მხოლოდ ამის შემდეგ შესდგომოდა სასჯელის მეორე ნაწილის აღსრულებას - დაბრუნებულიყო შინ, სადაც მისი ნაადრევი ანდა ხელცარიელი დაბრუნება უმალ ყველას შეაწუხებდა, ვიდრე გაახარებდა. მომლოდინე ადამიანი ძირითადად ვარაუდების, წარმოსახვების, წარმოდგენების ტყვეობაში იმყოფება და, თუმცა ყველაფრისთვის წინასწარ არის მზად, მაინც უკეთესზე ფიქრობს. გარდა ამისა, ფრანსუაზას წასვლა მოსკოვიდან, თანაც დროზე ადრე, პირველ რიგში აველუმის დაკარგვას ნიშნავდა, რადგან მერე ღმერთმა იცის, როდისღა მოახერხებდა და მოახერხებდა თუ არა საერთოდ ამ პირქუშ ქვეყანაში შემობრუნებას. ამიტომაც, ფრანსუაზა არა მარტო ვალდებული, იძულებულიც იყო გაეძლო, აეტანა ბევრი რამ, თორემ, აველუმზე ნაკლებად ალბათ არც იმას მიუხაროდა თავისიანებისკენ, თავის საყვარელ მზისკენ და ზღვისკენ. აქ ბევრი ისეთი რამეც უნდა აეტანა, რასაც პარიზში ვერც წარმოიდგენდა, რის წინაშეც სიყვარულიც უძლური იყო. აქ, ამ მარადიულ სატუსაღოში, ნებისმიერ ტუსაღს, გაჩენამდე სულწაწყმედილსა და ზნედაცემულს, შთამომავლობით მონას - თავისუფლად, წარბის შეუხრელად შეეძლო, მასხარად აეგდო სწორედ სიყვარულისთვის; პირად შეურაცხყოფად მიეღო და უკანასკნელი სიტყვებით გაელანძღა, გაეჯორა, სწორედ მისი სიყვარული, ანუ, მისი ნებაყოფლობითი პატიმრობა, რადგან თავად დაუფიქრებლად დათანხმებოდა ყველაფერს, ფიქტიური ქორწინებისა და წინდაცვეთის ჩათვლით, თუკი როგორმე გააღწევდა აქედან - რჯულსაც შეიცვლიდა, მრწამსსაც, სახესაც, სახელსაც, სისხლსაც, სქესსაც... ამიტომ, ყველა სიკეთესთან

ერთად, ფრანსუაზას თავიც უნდა მოეტყუებინა და სხვებიც, ერთი ჩვეულებრივი უცხოელი რომ იყო, ევროპულად ქერქეტა, და მართლა აინტერესებდა, მართლა მოსწონდა აქაურობა, აქაური ცხოვრების წესი (ჰმ, ჰმ...), აქაური სიტყვა-პასუხი, აქაური კერძები და სასმელები (ჰმ, ჰმ...) და, რასაკვირველია, აქაური ხალხი - დიდსულოვანი, კეთილი, სტუმართმოყვარე... სიყვარულის სამათხოვროდ კი არ იჯდა ვითომ ამ უკიდეგანო და უგულო ქალაქში, არამედ ღრმად, სამუდამოდ, უიმედოდ მოხიბლული, შეძრული სწორედ წარმოუდგენელი, დაუჯერებელი უკიდეგანობითა და უგულობით - მსგავსი არც არაფერი ენახა, არც არაფერი გაეგონა ადრე. ასე რომ, მისი ცხენოსნობაც, რასაკვირველია, რიგითი თავის მოტყუება იყო მხოლოდ და, იპოდრომიდან მობრუნებული, სირცხვილისაგან სახეწამონთებული, ყალბად კმაყოფილი, საცხედრეში მარტოდ დარჩენილი ქალივით გადაემხობოდა ხოლმე ძვირფას "გვამს" - ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუფხიზლებელსა და გამოუნელებელი სასმელისგან სიგიჟემდე პირგამომშრალ აველუმს - და ისიც (აველუმი) მაშინვე ფხიზლდებოდა, იმდენად ძლიერი იყო შეგრძნება სიცოცხლისა, დილისა, მოზღვავებული სურვილისა, რომელსაც ფრანსუაზას მთელი არსება გამოსცემდა, ცხენის მძაფრ სურნელთან ერთად.

და ისევ თავისი გზით მიდიოდა ცხოვრება. ყველა და ყველაფერი. აველუმიც ისევ თვეობით იდგა რიგში, ტელეფონის კაბინის წინ, და ძალაუნებურად შეყოვნებული, დაგუბებული, გაღიზიანებული, გაბეზრებული ხალხის გაუთავებელ ბზუილში, თუთუნის მყრალ ბოლში, ოფლის, ნასუნთქის, ამონაქარის ოხშივარსა და ბუღში ჩაკარგული, მაინც თავის საფიქრალს ფიქრობდა და თავის სადარდელს დარდობდა. ისიც გრძნობდა, თუ რა დიდი გამოცდის წინ იდგა ფრანსუაზა, სორბონაში ჩაბარებულ გამოცდებთან შედარებით, რა განუსაზღვრელი მნიშვნელობა ჰქონდა ამ გამოცდას მთელი მისი (და არა მარტო მისი) ცხოვრებისათვის. მაგრამ, იმის ნაცვლად, სიტყვიერად მაინც გაემხნევებინა აქედან (ბოდიშს თუ არ მოუხდიდა თავისი უმოქმედობისა და უმაქნისობის გამო), მისდა უნებურად, თითქოს საკუთარი ნებისა და სურვილის წინააღმდეგ, კიდევ უფრო გააფთრებული, გაცოფებული ეჩხუბებოდა, კიდევ უფრო დაუნდობლად აგინებდა სადღაც, ცხრა მთას იქით, სიმარტოვის მერვე სართულზე, უაზრობის კუთხეში მიმწყვდეულ ფრანსუაზას. და ისიც, რაც შეეძლო იცავდა, იმართლებდა თავს, რათა ერთხელ კიდევ დაეყარა ფარ-ხმალი. ***ვცდილობ, შენი მითითებების მიხედვით ვიცხოვრო, არავის დანახვა არ მინდა, არავის ხმის გაგონებაო*** - ატყობინებდა წერილობით. მაგრამ ბოლომდე მაინც არ იყო დარწმუნებული, საერთოდ რომ შეიძლებოდა ასე ცხოვრება - ყველას მოძულება, ყველაფერზე დაეჭვება - რაც უბრალოდ მის ძალ-ღონეს აღემატებოდა და შეძრწუნებული შესძახებდა ხოლმე (წერილობით), ***ნუთუ მართალი ხარო!*** საქმე ის გახლავთ, რომ მათი ჩხუბი და უთანხმოება, მათი გაუთავებელი კამათის მიზეზი, ადამიანებთან

ურთიერთობის, გარემოს აღქმისა თუ ზოგადად ცხოვრებასთან დამოკიდებულების განსხვავებული მეთოდის არსებობა იყო და არა, ვთქვათ, მეორის საწინააღმდეგოდ შეგნებულად გადადგმული ნაბიჯი, ანდა შეგნებულად ნათქვამი სიტყვა. არავითარ შემთხვევაში! მსგავსი რამ, არც შეგნებულად, არც წინდაუხედაობით ჩაუდენია რომელიმე მათგანს. უბრალოდ, ერთი მხოლოდ კარგს ხედავდა ყველაფერში (თუნდაც ასაკის გამო, სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ), მეორე კი - კარგსაც და ცუდსაც. ოღონდ, უფრო მეტად - ცუდს, ვიდრე - კარგს (ისიც, თუნდაც, მხოლოდ ასაკის გამო). ბევრად მეტი ეცხოვრა და ბევრად უფრო ღრმად შეეძლო ჩახედვა, არა მარტო ადამიანის სულში, არამედ ჩვეულებრივ ჭიქაშიც, რომელშიც რასაკვირველია, საუკეთესო ფრანგული ღვინოც შეიძლება ესხას და სამკაპიკიან წყალში გახსნილი ოდეკოლონიც. ფრანსუაზა, მაგალითად, ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ნებისმიერი უნივერსიტეტის ნებისმიერ ლექტორს, თავისთავად ცხადია, მამაკაცს, პირველ რიგში, ცოდნა აინტერესებს სტუდენტი გოგონებისა და მერე სხვა დანარჩენი. აველუმი კი, სხვანაირად ფიქრობდა. აველუმის აზრით, სანდომიანი სტუდენტი გოგონას "სხვა დანარჩენი" ბევრად საინტერესო იყო, ვთქვათ, ფილოსოფიის ლექტორისთვის (თუკი ის ნამდვილად ფილოსოფოსია), ვიდრე იმავე გოგონას მოსაზრებები კანტისა თუ შოპენჰაუერის მოძღვრებაზე. მაგრამ, იმავე დროს, თავად ფრანსუაზას უკვე ყელში ჰქონდა ამოსული ყველაფერი და თვითონვე უნდოდა დაეფრინა ყველანი, ანგარებით დამეგობრებული კულტურული ვიგინდარები (ფილოსოფიის ლექტორის ჩათვლით), მხოლოდ და მხოლოდ, რაღაცის გამორჩენას რომ

ცდილობდნენ მისგან, ოღონდ, ზოგი დღეისთვის, ზოგი ხვალისთვის, ზოგი კი ზეგისთვის და მასზეგისთვისაც. ცხოვრებასთან დამოკიდებულების აველუმისეული მეთოდი, თავისთავად ცხადია, ტუსაღურ გამოცდილებასა და ცოდნას ემყარებოდა ძირითადად და თუნდაც მარტო ამიტომ, არაფრით არ შეიძლებოდა განსხვავებული არ ყოფილიყო სორბონაში გაზრდილი ქალიშვილის მეთოდისგან, მაგრამ ეს განსხვავება სრულებითაც არ ავალდებულებდა მათ, აუცილებლად დაპირისპირებოდნენ ერთმანეთს, ანგარიში არ გაეწიათ ერთმანეთის "ადათ-წესებისთვის". პირიქით, შეიძლება სწორედ ამგვარი განსხვავების გამო, გადამეტებული პატივისცემითაც ექცეოდნენ "მოწინააღმდეგე" ბანაკის წარმომადგენლებს, თუკი ამის საშუალება მიეცემოდათ. ვინ უნდა ჩამოსულიყო თბილისში ფრანსუაზას სახელით, იმავე ფილოსოფიის ლექტორის ჩათვლით, აველუმი რომ არ გადაჰყოლოდა, რასაკვირველია, ისევ ფრანსუაზას სახელის განსადიდებლად მათ თვალში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, საერთოდ იშვიათად თუ ჩამოსულა ვინმე თბილისში ფრანსუაზას სახელით და თუ ჩამოსულა, მხოლოდ ღირსეული, როგორიც ვთქვათ, გრძელცხვირა ანეზი იყო, ფრანსუაზას უპირველესი დობილი, რომელიც, სადაც არ უნდა მიეყვანათ, ჯერ საპირფარეშოში გარბოდა "პიპი-პიპის" ძახილით; ანდა, ბატონი რელუ (რემი-ლუი), ფრანსუაზას მშობლების მეგობარი და ერთ-ერთი დიდი სპეციალისტი ელინური სამყაროსი ევროპის მასშტაბით, გაწვრთნილი ტარაკანით რომ გამოცხადდა სადილზე რესტორან "პრაღაში".

ბატონი რელუ აველუმმა კახეთში დაპატიჟა, რთველზე, და როგორც მერე გამოირკვა, სწორადაც მოიქცა. რა დასამალია და, აველუმს, ფრანსუაზას ხათრისა და პირადი სიმპათიის გარდა, ერთი მოუშორებელი ქვენა ზრახვაც ავალდებულებდა განსაკუთრებული პატივი ეცა ბატონი რელუსთვის, როგორც, მაინცდამაინც, ფრანგი მეცნიერისა და, მაინცდამაინც, მკვდარი რელიგიების მკვლევარისთვის. რასაკვირველია, ბატონ რელუს არავითარი ბრალი არ მიუძღვოდა, აველუმის სამშობლო აქამდე იმპერიის ფაშვში რომ ებღაუჭებოდა სიცოცხლეს, მაგრამ აველუმი ყოველთვის განსაკუთრებით ღიზიანდებოდა და აპოკალიფსის სიმპტომად აღიქვამდა, როცა რომელიმე ნამდვილად ღირსეული ქვეყანა, ანდა მისი ცალკეული წარმომადგენელი, მართლაც რომ ჭეშმარიტად მეცნიერულ შემართებას, სიმტკიცესა და სიჯიუტეს იჩენდა ნებისმიერი გადაშენებული ცხოველის ნაკვალევის, ანარეკლისა თუ ანაბეჭდის გადასარჩენად, როცა გახედვაც კი არ უნდოდა ცოცხლად დამარხული თუ ცოცხლად გადაყლაპული ქვეყნებისკენ. აველუმისთვის კი მისი ცოცხლად დამარხული სამშობლოთი იწყებოდა მთელი დანარჩენი სამყარო და უიმისოდ ერთნაირად მკვდარი იყო ყველა რელიგია.

მასპინძელმა შავი თიკანი დაკლა ლეღვის ძირას და ამან კიდევ უფრო განაცვიფრა და აღაფრთოვანა ბატონი რელუ. წარმოგიდგენიათ, ხმელთაშუა ზღვის აუზში აღარავის ახსოვს, სწორედ შავი რომ უნდა იყოს დიონისესთვის შეწირული თიკანიო - იძახდა ამ მოულოდნელი აღმოჩენით აღგზნებული, მღელვარებისგან ლოყებშეფაკლუკლი. შენ თუ იცოდი, შავი რომ უნდა დაგეკლაო - გადაულაპარაკა აველუმმა მასპინძელს, რომელსაც თიკნის სისხლიანი დანა ჯერ ისევ ხელში ეჭირა და, ყრუ-მუნჯივით, ღიმილით ეპასუხებოდა უცხოელ სტუმარს. არა, კაცო, რაც შემხვდა, ის დავკალიო - აღიარა გულწრფელად, თუმცა, იმან არც იცოდა, რისი თქმა სჯობდა მისი სამშობლოსთვის იმ წუთას, რისი გაგება უნდოდათ სტუმრებს მისგან. უბრალოდ, სიმართლე თქვა. გნებავთ, ის თქვა, რაც იცოდა. აბა, ერთი გზიდან მომეცათ, მინამ თქვენ ლაპარაკობთო - უთხრა აველუმს და თიკანი გასატყავებლად უკან ფეხით ჩამოკიდა რკინის კაუჭზე. ლეღვის მსუსხავ სიმხურვალეში მუმლი ტრიალებდა. ფეხით დაკიდული თიკნის ქვეშ უცებ დადგა სისხლის გუბე. გუბეს ლურჯად მბზინავი ბუზები მიესივნენ. ორ ნაბიჯზე დაკრეფილი ვენახი გარინდულიყო, რინდში გადასულიყო, მშვიდობიანად მოლოგინებული ქალივით. მშვიდად ბუბუნებდა მისი ხსენით გაწებილი ჰაერიც.

"წარმოგიდგენიათ, შავი თიკანი... ლეღვის ხე... საფლავის ქვაზე მზისა და მთვარის გამოსახულებანი... წარმოგიდგენიათ?" - იძახდა ნანახითა და გაგონილით მოხიბლული ბატონი რელუ, მაგრამ როცა მასპინძელმა სუფრას სტალინის სადღეგრძელო შესთავაზა, არ დალია და, მეამბოხესავით გადაფითრებული, ხმაათრთოლებული ბოდიშობდა (რითაც სამუდამოდ მოიგო აველუმის გული), მე თქვენ ისე მიყვარხართ, ისეთ პატივს ვცემ თქვენს კულტურას, ამას ვერ გაკადრებთო. ნახე, რა გვიქნა ხრუშჩოვმაო - მხარი წაჰკრა ერთ-ერთმა ნათესავმა მასპინძელს, სტუმრისთვის მისართმევი სავსე ყანწი ხელში რომ შერჩენოდა, პურ-ღვინის სიმძიმისგან წელჩაზნექილ სუფრასთან ვენახდასეტყვილი გლეხივით თავჩაქინდრული იჯდა და, საგონებელში ჩავარდნილს, ვერ გადაეწყვიტა, რა აჯობებდა, გაბრაზებულიყო და ძალით დაეცლევინებინა სტუმრისთვის ყანწი, თუ გულთან ახლოს არ მიეტანა ეს ამბავი და გაეცინა გადამთიელი კაცის ჩამორჩენილობაზე.

კახური შემოდგომის სურნელმა, რასაკვირველია, ფრანსუაზამდეც ჩააღწია და ძალიანაც ააღელვა. კმაყოფილი იყო, კმაყოფილები რომ დაბრუნდნენ აველუმისგან მისი ახლობლები. მაგრამ ესეც თავის მოტყუება გახლდათ, რადგან თავად სხვა ცხოვრებით ცხოვრობდა უკვე და სხვანაირად ვეღარც იცხოვრებდა, ძალიანაც რომ მოენდომებინა. ის ბედის სამსახურში იდგა და მხოლოდ ბედის მითითებებს ასრულებდა. მაგრამ ხანდახან მაინც აუჯანყდებოდა ხოლმე ბედს, რაკი მაინც ბედისგან დაჩაგრულად, ბედისგან აბუჩად აგდებულად თვლიდა თავს, მიუხედავად ნებაყოფლობითი ტუსაღობისა. მერე კი, ეს წამიერი ჯანყიც, ეს უნებლიე დაუმორჩილებლობაც ტანჯავდა და საათობით ებოდიშებოდა ტელეფონით აველუმს - თავი ვეღარ მიცვნია, თვითონ არ ვიცი, რა მემართება და თუ არ მაპატიებ, ძალიან ცუდად იქნება ჩემი საქმეო. მერე თვალდაჭყეტილი იწვა სიბნელეში და ნარბენი ძაღლივით აქაქანებული მაღვიძარა ამაოდ ცდილობდა ენიშნებინა, შეეხსენებინა, უკვე დაქოქილი რომ იყო და საცაა აფეთქდებოდა, აზრიალდებოდა, აზანზარდებოდა. ის კი ამაოდ ცდილობდა გაეხსენებინა, თუ რაზე ელაპარაკა, რაზე ეჩხუბა აველუმი, მაგრამ, მისდა სატანჯველად, სიტყვაც აღარ ახსოვდა საუბრისა, რომელსაც თავის დროზე, გადამწყვეტ, უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენად თვლიდა მათი მომავალი ურთიერთობისთვის. უყვარდა, იტანჯებოდა და გრძნობდა, ცუდად დამთავრდებოდა ყველაფერი. მართლა პატიმარივით ითვლიდა დღეებს, საათებს, წუთებს. პატარა კანტორის ბუღალტერივით, განუწყვეტლივ ანგარიშობდა, ამოწმებდა, რამდენი დარჩენოდა კიდევ აქ მოსახდელი დრო და გულწრფელად შეწუხებული შეიცხადებდა ხოლმე -

წარმოგიდგენიათ, დიდი-დიდი კიდევ თექვსმეტი თვის სიცოცხლეღა დამრჩაო. ორჯერ იმაზე მეტი, რაც უკვე ეცხოვრა აქ. ეს კი მართლაც ძალიან ცოტა იყო, გულდასაწყვეტად, შეურაცხმყოფლად ცოტა, მით უფრო რომ, მისი ღრმა რწმენით, გაცილებით დიდ სასჯელს იმსახურებდა იმისთვის, რაც შეგნებულად ჩაედინა, მაგრამ (ამას თვითონაც აღიარებდა გუნებაში), მაშინ სასჯელი კი აღარ იქნებოდა მოსკოვში ყურყუტი, არამედ ენით უთქმელი ბედნიერება, თავად მოსკოვი კი მიწიერი სამოთხე და ეს ყველაზე კარგად ალბათ სწორედ იმან იცოდა, ვისაც განაჩენი გამოჰქონდა. დრო კი მიფრინავდა, მიუხედავად განუწყვეტელი მღელვარებისა, მოლოდინისა, ეჭვებისა და, რაც მთავარია, სიცივისა - გაუთავებელი, ერთნაირი, ერთფეროვანი სიცივისა, რომელიც არა მარტო ხორცს ყინავდა, არამედ ფიქრსაც, აზრსაც, გრძნობასაც, ვნებასაც... და განსაკუთრებით ამ სიცივის ატანა უჭირდა ფრანსუაზას - ბოლოს და ბოლოს, მზის ამოსვლის კუნძულზე იყო გაზრდილი და ბებიისა და ბაბუანაცვლის წყალობით, ლამის გაჩენის დღიდან დედიშობილა დატანტალებდა მზით გავარვარებულ კლდეებს შორის, ოქროსფერ სილაში. ***რატომ არ გამაფრთხილე წელიწადის ერთადერთი დრო თუ იყო აქაო*** - წერდა აველუმს ვითომ ხუმრობით. აველუმი კი კვლავ ოფლად იღვრებოდა ტელეფონის რიგში. ჩაუდენელი დანაშაულის შეგრძნება ტანჯავდა. საკუთარი უსამართლობა აცოფებდა. იმის მაგივრად, ბოდიში მოეხადა - შევცდი, ვერ გიშველე, ვერ გადაგარჩინე და სანამ კიდევ დროა, აიკარი გუდანაბადი და სანამ კიდევ ლამაზი ხარ, მიაშურე შენს პარიზსო - ბრიყვი, თავქეიფა დიქტატორივით,

აქედან კარნახობდა ფრანსუაზას, როგორ ეცხოვრა მსოფლიო პროლეტარიატის სატახტო ქალაქში მარტო დარჩენილს, უიმისოდ; ვის შეხვედროდა და ვის არა, სად წასულიყო და სად არა, როდის დაწოლილიყო და როდის ამდგარიყო, რა ეჭამა და რა ესვა. უსინდისო იყო და მეტი არაფერი. პირწავარდნილი თავკერძა, პატივმოყვარე ბრიყვი. მაგრამ რაკი ასე ფიქრობდა, რაკი რამენაირად კი არ ამართლებდა, არამედ ყველანაირად გმობდა საკუთარ საქციელს, ჯერ კიდევ შეიძლებოდა ალბათ რაღაცის გამოსწორება. ისიც ამიტომ ასკდებოდა გულს, ამიტომ ეძებდა, თავატკიებული, "რაღაცის" გამოსასწორებელ გზებს, რომლებიც, რასაკვირველია, არ არსებობდნენ ბუნებაში, რამდენადაც არც ის გამოსასწორებელი "რაღაცა" არსებობდა. არაფრის გამოსწორება არ შეიძლებოდა, რადგან ყველაფერი სწორედ ისე ხდებოდა, როგორც უნდა მომხდარიყო. აველუმი მელანიას რომ გაშორებოდა და ფრანსუაზა შეერთო, მაშინ აველუმი კი არ იქნებოდა (და არც ამსიგრძე წერილი დაიწერებოდა), არამედ ჩვეულებრივი საბჭოელი არარაობა, მონობაში გადიდკაცების მსურველი მღილი, სამშობლოს გვამის მატლი, რომელთა სახელიც ლეგიონია და რომელთა მიზანს საკუთარი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების რაც შეიძლება უკეთესად დაკმაყოფილება წარმოადგენს, ნებისმიერ პირობებში, და არა, პირობების გათვალისწინებით, თუნდაც უშედეგო, მაგრამ უანგარო და უსასრულო მცდელობა ვინმეს გადარჩენისა. აველუმს გაბედნიერება კი არ შეეძლო, ვთქვათ, ფრანსუაზასი, ანდა თუნდაც მელანიასი, არამედ გადარჩენა და ისიც, თავისთავად ცხადია, მისი გაგებით, უაღრესად მისი თვალსაზრისიდან

გამომდინარე, რაც სრულებით არ შეესაბამებოდა ალბათ ფრანსუაზასა და მელანიას თვალსაზრისს ამ საკითხთან დაკავშირებით. აველუმი გადარჩენაში, უპირველეს ყოვლისა, იმის განცდას გულისხმობდა, რაც ადამიანურ ენაზე ბოლომდე გამოუთქმელია, მაგრამ აუცილებელია, ადამიანად რომ ჩავთვალოთ თავი; რაც ღმერთისაგან გამოყვება ხოლმე ადამიანს და არა მიწისგან, ტალახისგან, და ამიტომ, არც თანაბრად ნაწილდება - ზოგმა არც იცის საერთოდ თუ არსებობს, არ აწუხებს უიმისობა, რის გამოც ღველფი ფერფლისგან ვერ გაურჩევია, სვეტი - ლოდისგან, მსხვერპლი - კერპისგან, ბედი - ბედისწერისგან. იმას არც სახე აქვს, არც სახელი. არ ჩანს, არ იგრძნობა, არც ისმის, მაგრამ ჩვენი არსების ყველაზე შეუვალ, შეუღწეველ სიბნელეში ასვენია, როგორც მარგალიტი ნიჟარაში, როგორც სიცოცხლის გადამრჩენელი წამლის, ანდა სიცოცხლის გამანადგურებელი ყუმბარის ფორმულა - ცეცხლგამძლე ყუთში. იმას ვერც დაავალებ რამეს, ვერც დააბრალებ. ვერც სთხოვ, ვერც დააფიცებ, რადგან არც ღალატისა გაეგება რამე, არც ერთგულების, ისევე როგორც ჩვეულებრივი, საყოველთაო, ყოველდღიური საზრუნავისა და სადარდელისა. ის არც დიდია, არც პატარა, მაგრამ მისი მეშვეობით ჩვენ ან ძალიან ვიზრდებით, ან ძალიან ვპატარავდებით. აი, ამ რაღაცის აღმოჩენაში ეხმარებოდა აველუმი, თავისი ჭკუით, ყველას, ვინც თავად უყვარდა, ანუ, ვისაც გადასარჩენად თვლიდა, ვისი გადარჩენაც კიდევ შესაძლებლად მიაჩნდა, მაგრამ ერთ-ერთი სატელეფონო საუბრის შემდეგ, იმდენად შეაშფოთა ფრანსუაზას საცოდაობამ, ლამის დაეჭვდა საკუთარი მრწამსის სისწორეში და რაკი თვითონ შეგნებულად არ აძლევდა თავს არჩევანის უფლებას -

რამდენადაც ყველაზე დიდ უმსგავსობად, უზნეობად და უსამართლობად თვლიდა, გინდაც მეტნაკლებად სასურველი და საყვარელი ადამიანებიდან რომელიმეს არჩევას - გადაწყვეტა მელანიასთვის ეკითხა რჩევა, მელანიასთვის მიენდო ამ საქმის გადაწყვეტა.

მაშინვე დაურეკა და "ივერიასთან" დაუთქვა პაემანი. მელანია დაფეთებული მოვარდა. აშკარად ღელავდა. მაგრამ ყოველნაირად ცდილობდა, მორეოდა თავს, ჩვეულებრივ, ბუნებრივ მოვლენად ჩაეთვალა მათი ასეთი ოპერატიული შეხვედრა ქუჩაში, თითქმის ოცწლიანი ოჯახური ცხოვრების შემდეგ. მაგრამ რაკი დარწმუნდა, არაფერი უჭირდა თავად აველუმს, არც გალახულს ჰგავდა და არც დანადარტყმულს, პირველმა შიშმა გაუარა, ოღონდ, კიდევ უფრო გაუმძაფრა გაურკვეველი საფრთხის გრძნობა. რაც მართალია, მართალია, დიდი მადლობელი ვარ, ცოტა ხნით მაინც რომ მომაშორე გაზის ქურასო - უთხრა ღიმილით, ვითომ, ვერ ვხვდები და არც მინდა მივხვდე, რატომ მიხმე, რატომ გამომიყვანე შინიდანო. მაგრამ მაინც დაძაბული, მაინც დაეჭვებული შეათვალიერებდა ხოლმე სასწრაფოდ, როგორც კი გვერდზე გაიხედავდა აველუმი. შევიდნენ რესტორანში. მაინც მაგიდასთან ჯობდა ლაპარაკი ქმარ-შვილიან ქალთან და არა ხის ძირას, ანდა ყრუ კედელთან, როგორც ადრე იქცეოდნენ, როცა შეყვარებულები ერქვათ, ესე იგი, საერთო ჭერი არ ჰქონდათ და ძაღლებივით ენაგადმოგდებულნი დაძრწოდნენ მთელი დღე ქალაქში, წინ და უკან, ზევით და ქვევით, მტკვარს გაღმა და მტკვარს გამოღმა. დაფაცურდნენ აველუმის ნაცნობი ოფიციანტები, თავზე ევლებოდნენ მელანიას. თითქმის ყველა ჯურის ხალხთან ჰყავდათ იმათ აველუმი ნანახი, საკუთარ მეუღლესთან კი არა. ინდიგო ხელზეც კი ემთხვია, კულტურულად, როგორც ინტურისტის ობიექტზე მიმაგრებულ ჩეკისტს მოეთხოვებოდა. რა იცოდა, რა მიზნით ჰყავდა აველუმს აქ მოყვანილი. იმან კი არა, თვითონ მელანიამაც არ იცოდა, მაგრამ ალღო ჩეკისტზე მეტი ჰქონია. თავის

დაჭერაც უკეთესად ეხერხებოდა. ყოველ შემთხვევაში, თვალთმაქცობდა თუ მართლა ვერ ხვდებოდა, რას "ზეიმობდა", რის აღსანიშნავ სუფრაზე იჯდა - ასეთი მხიარული, ასეთი კმაყოფილი მას მერე აღარ უნახავს აველუმს, პირველად რომ გამოუტყდა, მიყვარხარო. ასე რომ, კეთილშობილება კი არა, ჩვეულებრივი, საყველპურო, გულის მოსაფხანი ბოროტება იქნებოდა და მეტი არაფერი, მაინცდამაინც, ახლა ეთქვა აველუმს მისთვის, რისი თქმაც, საცა სამართალია, გაცილებით ადრე აჯობებდა და ცოტა მოგვიანებითაც შეიძლებოდა. მელანია კი ალბათ მის მორიგ "უცნაურობად" თვლიდა ამ მოულოდნელ, ყოვლად გაუთვალისწინებელ დღესასწაულს და ღირსეულადაც იფერებდა, აფასებდა, მადლიერი იყო მთელი არსებით. უკვე მართლა აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, მომხიბვლელად გულწრფელი იყო, თუ მომხიბვლელად თამაშობდა გულწრფელობას. ღიმილით, თავაზიანად ელაპარაკებოდა ოფიციანტებს, სხვათა შორის, აველუმსაც, და მადიანად, გემრიელად მიირთმევდა ყველაფერს (მფრინავების არ იყოს, ნერვიულობისგან ქალებიც მოდიან მადაზე) და ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, ვინძლო მალე დავთვრე და იოლად ავიტანო, თუკი დესერტად რამე მწარე უნდა დამაყოლებინოს ჩემმა ერთადერთმა, განუმეორებელმა, მოუშორებელმა და მოუთოკავმა სიყვარულმაო. აველუმსაც ღვინის იმედი ჰქონდა, ღვინო გამიადვილებს თქმასო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, მით უფრო უაზრობად ეჩვენებოდა თავისი გადაწყვეტილება, თუმცა, მაინც იღიზიანებდა თავს - აი, ახლა, აი, ახლა, აი ახლაო - ოღონდ, მალე წესიერად აღარც ახსოვდა, რას აპირებდა, რა ჰქონდა ჩაფიქრებული, ამ მოულოდნელი დღესასწაულის ჩაშხამება მელანიასთვის, თუ ამ მოულოდნელი

დღესასწაულისა თუ დღესასწაულში გადაზრდილი უაზრობის მშვიდობიანად მომთავრება, ანუ, იმით დაგვირგვინება, რითაც ერთმანეთისთვის სასურველ, ერთმანეთისთვის გაჩენილ ქალსა და კაცს შეუძლია დააგვირგვინოს საერთოდ ნებისმიერი დღესასწაული. მერე სანაპიროზე დახეტიალობდნენ, ჩამოცვენილ ფოთლებში დასდევდნენ ერთმანეთს, თუმცა მელანია მაინც უფრო ფხიზლად იყო, უფრო ერკვეოდა შექმნილ ვითარებაში და დაგუბული სიცილით იგერიებდა მთვრალ მეუღლეს.

ფრანსუაზა კი ღრმად იყო დარწმუნებული, საერთოდ რომ აღარ ახსოვდა აველუმს იგი. ანდა, კიდევ უარესი - ახსოვდა, დიახაც რომ ახსოვდა, მაგრამ შეგნებულად არ ეხმიანებოდა, რათა დუმილით, ყველასათვის ერთნაირად გასაგები ენით ეუწყებინა - სურვილი, როგორც მოსალოდნელი იყო, გამიქრა და სხვა აღარაფერი მაკავშირებს შენთანო. ეს ყველაზე მწარე, ყველაზე შეურაცხმყოფელი ფიქრი გახლდათ ფრანსუაზასი და როცა ასე ფიქრობდა, უნებურად, წინ და უკან იწყებდა ოთახში სიარულს, ხმამაღლა ლაპარაკობდა განგებ, უმიზნოდ ხსნიდა და ხურავდა მაცივარს, როგორმე რომ ამოეგდო თავიდან ეს ღატაკი, არაფრის მაქნისი ფიქრი, როგორც ყულაბიდან, ყულაბის გაუტეხავად, ერთადერთი შაურიანი. და ისევ მეორდებოდა ყველაფერი. ისევ ელოდებოდა აველუმს, ისევ უკვირდა აველუმის დანახვა და ისევ მორჩილად, სიტყვის შეუბრუნებლად მიაცილებდა აეროპორტში (ხან სადგურშიც, თუკი ფრენა არ იყო). აველუმიც, ჩვეულებისამებრ, ისევ მოულოდნელად ვარდებოდა ციდან და ისევ ფეთებით, ფაცაფუცით, უგემურად, უმარილოდ ჭამდნენ და ეჭმევინებოდნენ ერთმანეთს. ხან გაზაფხულის ჭექა-ქუხილი არყევდა იქაურობას (ყურებზე ხელაფარებული ფრანსუაზა, შიშისაგან ადგილზე ჩაკუნცხდებოდა ხოლმე ყოველ დაქუხებაზე), ხან ცეცხლწაკიდებული ტორფის ჭაობების მწარე, მომწვანო-მოყვითალო კვამლით ივსებოდა ყველაფერი - ქუჩებიც, მანქანებიც, ავტობუსებიც, სახლებიც, ოთახებიც... უფრო ხშირად კი, რასაკვირველია, ჩვეულებრივად მოსაწყენი, ჩვეულებრივად უჟმური ზამთრის ერთფეროვნება სახლობდა ათასნაირად დაბამბულ, შეფუთვნილ, ამოქოლილ სარკმლებში და ისინიც შეუმჩნევლად, თითქოს უნებლიეთ

მიჰყვებოდნენ დროის დინებას. "რაღა დარჩა, ღმერთო ჩემო, გათავდა ცხოვრებაო" - წუხდა, ღელავდა, შფოთავდა ფრანსუაზა, ვიდრე, ერთ მშვენიერ დღეს, მთელი არსებით (ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით) არ იგრძნობდა, ბოლო რომ ეღებოდა მის დაბნეულ, უღუზო, უიალქნო ცხოვრებას და დგებოდა დიადი ჟამი ელდითა და შიშით, იმედითა და, თავისთავად ცხადია, შლეგი, დაუდგრომელი სიყვარულით მოწეული ყანის მკისა. *ატირებულს გამომეღვიძა - ვითომ ისევ ბავშვი ვიყავი. ძალიან უცნაური და, ჩვენში რომ ვთქვათ, ძალიან არასასიამოვნო შეგრძნება იყო. აი, ასე ვცხოვრობ უშენოდ, მაგრამ კატეგორიულად ვაცხადებ, ლიტერატურულ გმირად არ გამოვდგები. რასაკვირველია, სასიამოვნოა შენი მხრიდან ასეთი ყურადღება, მაგრამ ანალოგია გაუგებარია ჩემთვის. მე შენი გულისთვის, თუნდაც ჩემი სიყვარულის გულისთვის, სხეულს კი არ ვყიდი, შენი რომანის გმირი ქალივით, არამედ ცოდნას, ინტელექტს... ეს კი სხვადასხვა ცნებებია. რაც შენ მომიყევი ამწინებზე წიგნთან დაკავშირებით, ნამდვილად მომწონს, მაგრამ ვერ ვგრძნობ გმირის პროტოტიპად თავს. მე მგონი, მეც და მელანიაც მხოლოდ შენი წიგნებისთვის გჭირდებით, მაგრამ ეგ არ გამოვა. ავჯანყდებით. ვიბრძოლებთ ჩვენი უფლებების დასაცავად.* კრიჭინობს, გულში ზეიმობს გამარჯვებას. გრძნობს, რომ ფეხმძიმედ არის და ეს მართლაც დიდებული შეგრძნება უფლებას აძლევს, მელანიას გვერდით მოიხსენიოს თავი. *და მაინც, როგორ მიდის საქმე? იკაროსი უკვე დაიღუპა? სხვათა შორის, არც შენ არა ხარ გმირი. შეიძლება, გინდა რომ იყო, მაგრამ... გმირი თავის გამეძავებულ სატრფოსაც არ აკადრებს იმას, რასაც შენ მეუბნები ხოლმე, განსაკუთრებით სიმთვრალეში. ესე იგი, ყოველთვის.*

*გმირი არც ამდენს დალევს. იმიტომაცაა გმირი. თუ იქეიფე და დრო ატარე სატანჯველად დროც აღარ დაგრჩება. გიყვარვარ? იქნებ დაგავიწყდი? მე კი ველარაფრით დაგივიწყებ უკვე გინდაც ძალიან მინდოდეს. გკოცნი და ერთხელ კიდევ გკოცნი.*

ფრანსუაზასთვის ნამდვილად გადარჩენას ნიშნავდა ბავშვის გაჩენა. ყოველ შემთხვევეში, აქეთ-იქით წანწალს მაინც შეეშვებოდა (უბრალოდ ვეღარ მოახერხებდა). ბოლოს და ბოლოს, იქაც იშოვიდა შედარებით მშვიდ, წესიერ სამსახურს, იქირავებდა პატარა, მყუდრო ბინას (თუკი აუცილებლად ცალკე უნდა ყოფილიყო, თავისი დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად) და იცხოვრებდა, როგორც სხვა ათასობით და ასი ათასობით მარტოხელა დედა ცხოვრობს მსოფლიოს ნებისმიერ ქალაქში. რაც მთავარია, სულ თვალწინ ეყოლებოდა იმის დამადასტურებელი საბუთი, ნამდვილად რომ განეცადა სიყვარული, არა წინათგრძნობა უბედურებისა, არამედ თავად უბედურება და თვალნათლივ, ხელშესახებად ეცოდინებოდა, რისთვის გაეღო მსხვერპლი, რას შესწირვოდა საკუთარი სურვილით. ამდენს თვითონაც ხვდებოდა და, როცა საბოლოოდ დარწმუნდა, ფეხმძიმედ ვარო, ბარგის ჩალაგებასაც შეუდგა - ნათხოვარის დაბრუნებას, ნასესხების ჩასესხებას, ნაცნობ-მეგობრებთან გამომშვიდობებას - დასარჩენი პირი რომ აღარ ჰქონოდა, თუკი ბოლო წუთას ისევ სძლევდა სისუსტე და ისევ აეკიდებოდა რომელიმე ჭკუამოკლე და ენაგრძელ იმედს. რასაკვირველია, ველუმიც არანაკლებ ააფორიაქა ამ ამბავმა და რამდენჯერმე ჩაფრინდა მოსკოვში, ვიდრე ფრანსუაზა შინ დასაბრუნებლად ემზადებოდა, უფრო ზუსტად, ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლას ელოდებოდა, და შეეცადა აეხსნა, განემარტა მისთვის, ნაკლოვანი მხარეებიც რომ ჰქონდა ამ მოვლენას და შეიძლება მეტად არასახარბიელო შედეგებიც გემოეღო მათთვის. თუ საერთოდ არ დაუსვამდა წერტილს, ალბათ უკიდურესად გაართულებდა მათ ურთიერთობას, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, კიდევ

უფრო გაწელავდა, გააჭიანურებდა იმ გამაოგნებელ შუალედებს, რომელთა შეუვალი, უგრძნობელი სივრცეები ისედაც დაუნანებლად თრგუნავდნენ და აუფასურებდნენ მათ ხანმოკლე, ნაუცბათევ, სულმოუთქმელ შეხვედრებს, რაც არ უნდა დიდებულნი, განუმეორებელნი და თავბრუდამხვევნი ყოფილიყვნენ ისინი. ბოლოს და ბოლოს, ბოშა ქალივით, ჩვილატატებული ხომ არ ივლიდა წინ და უკან, პარიზსა და მოსკოვს შორის? ხოლო, რაც შეეხება აველუმს, ის საერთოდ არაფერს ამბობდა იმაზე, ისევ თვითონ რომ აღმოჩნდებოდა ყველაზე დაჩაგრულიცა და უუფლებოც. მართალია, მისთვის არავითარი სიცოცხლე არ შეიძლებოდა ყოფილიყო უკანონო, მაგრამ ნებისმიერ სიცოცხლეს ერთნაირად სჭირდება ყურადღებაცა და მზრუნველობაც, რასაც ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიჩენდა აველუმი თავისი მომავალი შვილის მიმართ და არა მარტო გეოგრაფიული სირთულეების გამო. არც იმას ამბობდა, ამ მოვლენასთან დაკავშირებით, კიდევ უფრო რომ გაიზრდებოდა მისი "მნიშვნელობა" სატუსაღოშიც და, თუ აქამდე ცხვირსაც არ აყოფინებდნენ "შინიდან", ახლა შეეცდებოდნენ, "შინაც" განუწყვეტელი მეთვალყურეობის ქვეშ ჰყოლოდათ იგი, როგორც უცხოელი და, ამდენად არასასურველი ბავშვის მამა. არაფერს ამბობდა, მისი და ფრანსუაზას შვილი, კოლია-კლოდისა არ იყოს, კიდევ ერთი უნებლიე მსხვერპლი, ან თუ გნებავთ, მინიატურული ბრძოლის ველი რომ იქნებოდა ორი სამუდამოდ დაპირისპირებული ხასიათისა, მრწამსისა, იდეალისა, რადგან ორბუნებოვანია თავად სამყაროს არსი და იქამდე იარსებებს საერთოდ სიცოცხლე, ვიდრე იარსებებს სიკვდილი; იქამდე ამოვა მზე, ვიდრე

ჩასვლის უნარს არ დაკარგავს და იქამდე იქნება ადამიანი დამონებული, ვიდრე თავისუფლების ფასი ეცოდინება. ამდენად, აველუმსაც არაფერი ჰქონდა საწინააღმდეგო, თუკი სამყაროს უკეთეს ნახევარშიც გააღწევდა, მით უფრო ასე, გენის მეშვეობით, ანუ, იქაც იქნებოდა და აქაც, ერთდროულად, რამდენადაც ადამიანი არა მარტო იმ გარემოს ტყვეა, სადაც განგებამ გააჩინა, არამედ იმ გარემოს შემადგენელ, აუცილებელ ნაწილადაც იქცევა ხოლმე, სადაც ვიღაცას მაინც ახსოვს ის, სადაც ვიღაცა მაინც ფიქრობს მასზე, ავად თუ კარგად, სადაც უყვართ ან სძულთ. აქედან გამომდინარე, აველუმს თუ აწუხებდა, ყველაზე მეტად ის აწუხებდა, ბავშვის გაჩენის შემდეგ, ფრანსუაზა ის რომ აღარ იქნებოდა მისთვის, რაც ახლა იყო. უფრო მეტიც, არა მარტო ფრანსუაზა, სხვაც ბევრი რამ შეიცვლებოდა და ალბათ თავად აველუმიც, ხოლო მათი სიყვარული, იმპერიასთან მორკინალი დავითი, თანდათანობით, მართლაც ეპისტოლარულ ჟანრში გადაინაცვლებდა მხოლოდ, რასაც ფრანსუაზაც აღნიშნავს ცოტა მოგვიანებით, უკვე სამუდამოდ შეგუებული თავის ერთგანზომილებიან ცხოვრებას და უკვე ღრმად დარწმუნებული, არავითარი საშველი რომ არ არსებობს მისთვის **ამ წყეულ მეოცე საუკუნეში**. მაგრამ ფრანსუაზას ახლა არაფრის გაგონება არ უნდოდა, არც ნათქვამისა და არც ნაგულისხმევისა. "არ თქვა. არ მინდა. მაინც არ გისმენო". - იძახდა გაღიზიანებულიც და გახარებულიც, დამფრთხალიც და ბედნიერიც ერთსა და იმავე დროს, ყურთამდე გახსნილ სარკმელში რვამილიონიანი ქალაქი ყრუდ გუგუნებდა. თითქოს არც ესმოდა და არც აინტერესებდა მის კედლებში შემთხვევით შემოფრენილი უცხო ჩიტების "ჭიკჭიკი", მაგრამ,

სინამდვილეში, ათასნაირი იმპორტული თუ სამამულო წარმოების აპარატურა გამალებული იწერდა, იბეჭდავდა, იღებდა, აღნუსხავდა და იმახსოვრებდა ყოველ სიტყვას, ნებისმიერ მოძრაობას, ნებისმიერ მიმიკას, ხმის ტემბრსა თუ ფრაზის ინტონაციას და ამხელა ხარჯს, შარვალგამოხეული სახელმწიფო არა მარტო შენთვის სწევდა, **მოცლილო მკითხველო**, არამედ საერთოდ კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის. ამ ქალაქმა უკვე იმდენი იცოდა, არაფერი გაუკვირდებოდა, არც დააინტერესებდა, მაგრამ რაკი თავს ვალდებულად თვლიდა, არათუ რომელიმე საქარხნო რაიონში, არამედ მთელს მსოფლიოში დაეცვა წესრიგი, ცდილობდა არაფერი გამორჩენოდა მხედველობიდან, ჩიტის ჭიკჭიკის ჩათვლით. ეს კი, გარკვეული თვალსაზრისით, აუცილებლობადაც ითვლებოდა იმ უზარმაზარი ლაბირინთის დედაქალაქისათვის, რომელსაც საბჭოთა კავშირი ერქვა და რომელშიც, კნოსის ლაბირინთისგან განსხვავებით, მინოტავრზე ბევრად საზარელი არსებებიც ცხოვრობდნენ. სხვათა შორის, საბჭოთა პრესის ცნობით, ამ ლაბირინთის მკვიდრი იყო ის თავაზიანი, მარად მორცხვად მომღიმარი პროფესორიც, ზუსტ მეცნიერებათა დოქტორი, რომელმაც ერთ წვიმიან საღამოს (რომ იცოდეთ, ამასაც მნიშვნელობა აქვს), კონსერვის ქილის ჟანგიანი ხუფით ყელი გამოჭრა შვიდი წლის გოგოს და ჯერ კიდევ ცოცხალს, ჯერ კიდევ წვიმის გუბეში მოფართხალეს, ძლივს გაახსნევინა მაგრად მომუწული მუშტი, ლითონის მანეთიანის წასართმევად. ამ ლაბირინთში ცხოვრობდა სასწრაფო დახმარების ექიმიც, ათასნაირი სატკივარითა თუ ჩვენებებით გაწამებულსა და მის იმედზეღა დარჩენილ პაციენტებს

ჯერ რომ ხოცავდა და მერე აუპატიურებდა, განურჩევლად სქესისა და ასაკისა. ამ ლაბირინთში ცხოვრობდა ის თანამედროვე კაციჭამია დალაქიც, უკვე კარგად ნასადილევმა, სანაძლეოს გულისთვის, სამი წლის ბავშვი რომ შეუჭამა მეზობლებს, თავი კი კართან დაუდო, კეფირის ცარიელი ბოთლის გვერდით. ბოლოს და ბოლოს, ამ ლაბირინთში ცხოვრობდნენ არასრულწლოვანი მეძავების, ლოთების, ნარკომანებისა და ყველანაირი მანიაკების ის უთვალავი ჯოგები, ცხოვრების ახალ წესს რომ ამკვიდრებდნენ ეზოებსა თუ სარდაფებში, გარაჟებსა თუ მიწისქვეშა გადასასვლელებში, სადარბაზოებსა თუ ლიფტებში (ალბათ გახსოვთ, ერთხელ აველუმიც გადაეყარა იმათ) და რომლებისთვისაც სულერთი იყო, ვისთან, რის გამო ამოანთხევდნენ თავიანთ გესლსა და მრისხანებას, თითქოს ხელოვნური მეთოდით გავრცელებულს მათ შორის, უმისამართოს, განურჩეველს და, ამდენად, კიდევ უფრო მეტად უაზროსა და სახიფათოს, სწორედ თავისი უმისამართობითა და განურჩევლობით. ასე რომ, თითქოს არავითარი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა ამ ქალაქისათვის, დაიბადებოდა თუ არა კიდევ ერთი უკანონო ბავშვი, მაგრამ რაც ახლა ამ საქარხნო რაიონის ერთ-ერთი ტიპიური სახლის მერვე სართულზე ხდებოდა, როგორც უკვე ვთქვით, მისხალ-მისხალ, სიტყვა-სიტყვით, ნაბიჯ-ნაბიჯ აღინუსხებოდა ათასნაირი მოყურადე, მოთვალთვალე, გადამღები თუ გადამცემი მანქანის მეშვეობით; იმეორებდნენ, იზეპირებდნენ და სამუდამოდ იმახსოვრებდნენ ყველაფერს ელექტრონული ტვინები, როცა პირველ სართულზე, აფთიაქში, ზედ მიწის პირზე, არათუ, ვთქვათ, ნაღვლის ბუშტის ჩასაწყნარებელი წამალი,

არამედ ჩვეულებრივი, ბაქოს გამოშვებული პრეზერვატივიც არ იშოვებოდა.

ფრანსუაზა, მართალია, თავს გამარჯვებულად თვლიდა, მაგრამ აშკარად დამარცხებულივით გამოიყურებოდა - ყველაფერი აღიზიანებდა, ყველაფრისა ეშინოდა, ყველაფერს ყურადღებას აქცევდა და განუწყვეტლივ იქექებოდა სამედიცინო ცნობარებში. ნებისმიერ ბებიაქალზე ნაკლებად არ იცოდა, როდის როგორ უნდა მოქცეულიყო, რა გართულებები შეიძლებოდა მოჰყოლოდა მშობიარობას და რანაირი, რამდენნაირი განსაცდელი აღარ ელოდებოდა ჩვილს, ვიდრე დაიბადებოდა, ანდა ვიდრე საკუთარი თვალით დარწმუნდებოდა მშობელი, ყველაფერი თავის ადგილზე რომ ჰქონდა მის ნაშიერს, თუნდაც, არაფერი რომ არ ჰქონდა ზედმეტი, გარდა იმისა, რაც ნებისმიერი (გინდაც უკანონო) ბავშვისთვისაა გათვალისწინებული თავიდანვე, დაბადებამდე. აველუმთანაც სულ მომავალ შვილზე ლაპარაკობდა, მარჩიელობდა - ბიჭი იქნებოდა თუ გოგო - რა უნდა დაერქმიათ ბიჭისთვის და რა გოგოსთვის, ერთნაირად მჟღერი და ერთნაირად მისაღები რომ ყოფილიყო ქართულადაც და ფრანგულადაც. რასაკვირველია, ეშინოდა მშობიარობისა, მაგრამ მოსალოდნელი ტკივილის გამო კი არა, ვაითუ ვერ შევძლოო. მაგრამ მოთმინებადაკარგული აველუმი რომ უყვირებდა, ეგ ყველა მდედრობითი სქესის არსებას შეუძლიაო, ახლა იმაზე სწუხდა და შფოთავდა, იძულებული რომ გახდებოდა, ბავშვი თავიდანვე ხელოვნურ კვებაზე გადაეყვანა, რადგან ბავშვის პატრონი უფრო ვერ გაჩერდებოდა უსამსახუროდ და, ამავე დროს, უფრო გაუჭირდებოდა მშობლების კმაყოფაზე ყოფნა. აველუმისთვის ძნელი იყო ამის მოსმენა, გული ეხეოდა სიბრაზისგან, მაგრამ არც იმის უფლება ჰქონდა,

ჩარეულიყო ფრანსუაზას საოჯახო საქმეებში, რაკი თვითონ ამ საქმეებში ვერავითარ მონაწილეობას ვერ მიიღებდა, როგორც არ უნდა გამოედო თავი. ამიტომ, ისევ ხუმრობდა, რა თქმა უნდა, ნაძალადევად - თბილისელი გოგოები საერთოდ იმიტომ აჩენენ შვილებს, ხელოვნური რძის ფხვნილი რომ ჩამოიტანონ უცხოეთიდანო. ისე, აველუმის აზრით, დედის გუმანს უფრო იყვნენ ისინი აყოლილნი, ვიდრე ფეხის ხმას, რადგან, ძალიან მალე, ხელოვნური რძით გაზრდილი ბავშვები გაცილებით უკეთ შეეგუებოდნენ ასევე ხელოვნურ ყოფას, რომელიც თავის მხრივ, დღითი-დღე უფრო მტკიცედ მოიკიდებდა ფეხს მთელ ქვეყანაზე. მალე ყველაფერი ხელოვნური იქნებოდა, არა მარტო დედის რძე, არამედ ჰაერიც, წყალიც, პურიც და არა მარტო რომელიმე ორგანო ადამიანისა, სასქესო ან სასუნთქი, არამედ მთლიანად ადამიანი. აქეთკენ მივისწრაფვით ყველანი თავქუდმოგლეჯილებიო - იცინოდა მრისხანებისგან ყბამოქცეული აველუმი - და რაც უფრო სამწუხაროა, რომელიღაც საწყალი, თავის თავის უბედური კლეოპატრა კაკულია კი არა, თქვენ, კაცობრიობის საუკეთესო ნაწილის წარმომადგენლები აღმოჩნდით ამის მოთავენიო. ფრანსუაზა უხმოდ ეთანხმებოდა, მის მხარზე თავმიდებული, გატრუნული (შეიძლება, მომავალ შვილზე ფიქრობდა ისევ და არც უსმენდა), მაგრამ აველუმი როლში რომ შევიდა, ჩვეულებისამებრ რომ აღეგზნო საკუთარი ნალაპარაკევით და ახლა უახლოეს ტექნიკურ საოცრებას - ელექტროწიგნებს - გადასწვდა, რომლებსაც იქაური, დასავლეთელი კომენტატორების აზრით, თურმე, დიდი მომავალი ელოდებოდათ და საფუძვლიანად დამკვიდრების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ძლივს ნასწავლ კითხვასაც გადააჩვევდნენ

ადამიანს, ანუ, დააკარგვინებდნენ საკუთარ სულში ჩაღრმავების, ბრბოში განმარტოვებისა თუ სხვათა ტკივილის, სხვათა განსაცდელის გათავისების უნარს, რის შედეგადაც კარგად გაწვრთნილ ცხოველად, ანდა კარგად ინფორმირებულ მანქანად გადაიქცეოდა ადამიანი - ვეღარ გაუძლო, საწოლიდან წამოვარდა და ღია სარკმლის რაფაზე შეხტა უცებ. ისე მოულოდნელად მოხდა ყველაფერი, აველუმს გაოცებისგან ენა ჩაუვარდა. "არ მომეკარო! არ მომეკაროთ! არაფრის გაგონება აღარ მინდაო!" - ყვიროდა სიცილით, ვითომ მართლა აპირებდა სარკმლიდან გადახტომას და, იმავე დროს, ვითომ მხოლოდ აშინებდა აველუმს. ერთი ფეხი თუ ოთახის მხარეს ედგა რაფაზე, მეორე - ქუჩის მხარეს, მზით გამთბარ თუნუქზე. ქუჩა კი ყრუდ გუგუნებდა და ნირწამხდარი, გაოგნებული აველუმი ჯერ ისევ საწოლიდან უღიმოდა უაზროდ ფანჯრის რაფაზე გარეულ კატასავით აფოფრილ ფრანსუაზას. თავისი ჭკუით, ამ უაზრო ღიმილით აპირებდა (ან სხვა რა უნდა მოემოქმედა?!), ჩაეცხრო მისი აღტკინება, ხუმრობაში გადაეტანა ყველაფერი და, რაც მთავარია, როგორმე მშვიდობიანად ჩამოეყვანა ფანჯრის რაფიდან. ის კი, ფრანსუაზა თითქოს არც აპირებდა იქიდან ჩამოსვლას, თითქოს მოსწონდა კიდეც იქ დგომა, სივრცესთან, სიმაღლესთან თამაში. ფეხშიშველი, პერანგის ამარა იდგა რაფაზე, მთელი ქალაქის დასანახად, ვითომ მისი არაფრად ჩამგდები, მაგრამ გულისამაჩუყებლად დაუცველი და, იმავე დროს, მთელი არსებით განწყობილი, მთელი არსებით მომზადებული თავისი დიადი განზრახვის აღსასრულებლად, თავისი დიადი განზრახვის დასაცავად ყველაფრისგან, ყველასგან და, პირველ რიგში, თავად აველუმისგან.

შინ დაბრუნებულ ფრანსუაზას ერთი უცნაური სიზმარი დასჩემდა, იმდენად უცნაური, აველუმისთვისაც ვერ მოეყოლა (მერეღა მოუყვა, როცა მშვიდობიანად დამთავრდა ყველაფერი). პირიქით, სწორედ აველუმთან ერიდებოდა ამის გამომჟღავნება, რამდენადაც მისი აზრით, აველუმი იყო მთავარი დამნაშავე. ყოველ შემთხვევაში, აველუმის შეთხზული ამბები, რომლებსაც დიდი მგზნებარებით უყვებოდა ხოლმე თვითონვე, აშკარად არაჯანსაღ ზემოქმედებას ახდენდნენ მის სულსა და გონებაზე, იმ იდუმალ, უხილავ, ამოუცნობ მანქანაზე, რომლის მეშვეობითაც საერთოდ იბადებიან სიზმრები და ჩვენი არსების ჩაბნელებულ "დარბაზში" უწყვეტად მიედინებიან დაუცხრომელი ცნობისმოყვარეობის "ეკრანზე". ფრანსუაზას ცნობისმოყვარეობის "ეკრანზე" კი, სულ ცოტა, ბოლო შვიდი წლის მანძილზე, მართლაც განუწყვეტლივ მიედინებოდნენ შემზარავი, წარმოუდგენელი, გულის გამხეთქავი ჩვენებები, რომელთა წყაროც, რაღა თქმა უნდა, აველუმის მწერლური ფანტაზია გახლდათ, ცალკეული ეპიზოდები მისი ბოლო რომანისა, საიდანაც, ახლა უკვე მითოლოგიურ გმირად გარდაქმნილი, "მინოსის თეატრს" სასწაულად გადარჩენილი, გამეძავებული სატრფოს ცოდვით გალახული და შვილის (შვილების) სისხლში ამოთხვრილი, ბოლოს და ბოლოს, თვითონაც უნდა ამოფრენილიყო და ხელოვნური ფრთების ფართხუნით, დარჩენილი სიცოცხლე მარადიული სინათლისკენ ეფრინა, მთელი კაცობრიობის დასანახად. ფრანსუაზას სიზმარიც ამ რომანის ეპიზოდს ჰგავდა, ოღონდ, პირადი განცდებისა და წარმოდგენების შესაბამისად გადამუშავებულს. სიზმარს პარიზში ხედავდა, მაგრამ აშკარად აქ

ხდებოდა ყველაფერი, საპყრობილეში. საპყრობილეში მშობიარობდა ვითომ და, რაც ყველაზე მეტად აწუხებდა, ეჩოთირებოდა - აველუმისა და მელანიას თანდასწრებით. მელანიას, რატომღაც მზარეულის მაღალი ჩაჩი ეხურა თავზე და თეთრი წინსაფარი ეკეთა. მოლოგინებაში ეხმარებოდა ფრანსუაზას, მაგრამ როგორც კი ხელში იყვანდა ახალშობილს, ახალშობილი ჩიტივით ფრთხიალებდა და ხელიდან უსხლტებოდა. ზურგზე ვაზის ფოთლის ხელა, ვაზის ფოთოლივით დაჭმუჭნული ფრთები ამოსვლოდა ვითომ და ახლა ამ ფრთებს გამწარებული იქნევდა, თავს იმაგრებდა ჰაერში, თითქოს საკნიდან გასასვლელს დაეძებდა ბრმად და წარამარა თავით აწყდებოდა კედელს. პირველი ვითომ აველუმი მოდიოდა გონზე და უცნაურ არსებას დასაჭერად ეტანებოდა. მაგრამ ბრმა, თვალებზე ჯერ კიდევ ლიბრგადაკრული ჩვილი, თითქოს სხეულით გრძნობდა, საიდან ელოდა საფრთხე და სწორედ მაშინ შეტრიალდებოდა ხოლმე ჰაერში, როცა აველუმს ხელის მისაწვდენად აღარაფერი აკლდა. მერე, ვითომ, თვითონ ჩვილს ელეოდა არაქათი ამ უაზრო ფრენით და საცოდავად აფართხალებული, თავპირდასისხლიანებული, ხორკლიან კედელზე ჩამოხოხიალებული, პირდაპირ ხელებში უვარდებოდა თავის უკანონო მამას. აველუმი კი, ვითომ მელანიას აწვდიდა თავის ნაშიერს, სისხლს მობანს და მოუვლისო, მაგრამ მელანიას, ვითომ, უზარმაზარი მაკრატელი ამოჰქონდა წინსაფრის ჯიბიდან და აღნავლებულ ჩვილს ძირში აჭრიდა ფრთებს. "ეს ნამდვილად ზედმეტია, უარესად დაიტანჯება ამ საკანშიო", - ამბობდა, ვითომ, მელანია, მაგრამ ფრთების გადანაჭრებიდან, ვითომ, სისხლის ორი შადრევანი იფეთქებდა უცებ და მალე ყველაფერი

სისხლის აქაფებული, წითლად მბზინავი ზღვით იფარებოდა, თავად ზღვის ზედაპირი კი - რიღათი აღარ - ყოვლად უვარგისი, ყავლგასული, სახეშეცვლილი, ფუნქციადაკარგული ნივთებით (რაც წლების, საუკუნეების მანძილზე ჩაუზიდავს ადამიანს სარდაფებში) და სარდაფების კანონიერ ბინადართა გაბერილი, გაფშეკილი გვამებით. სხვათა შორის, ვითომ, ფრიდრიხის მუყაოს სახლსაც ჩამოატარებდა დინება, ფრიდრიხიანად, რომელიც სარკმლიდან იყურებოდა არხეინად, ულვაშებაცმაცუნებული, როგორც ვირთხების ნოე - თავის საიმედო კიდობნიდან. ფრანსუაზა კი გაოფლილი, დამფრთხალი, აგანგაშებული იღვიძებდა, ძლივს თავდაღწეული ამ უცნაურ სიზმარს და მერე, საკუთარი გულის ბაგუნს მიყურადებული, დიდხანს იწვა სიბნელეში გაუნძრევლად. მაგრამ, საბედნიეროდ, ბავშვი ჯანმრთელი და ყოველმხრივ ნორმალური დაიბადა. ***აი, ახლახანს, გოგო შეგეძინა და იმედია, შენც ჩემსავით ბედნიერი ხარო*** - სწერდა იმავე დღეს აველუმს პარიზის სამშობიარო სახლიდან. წერილში, რასაკვირველია, ახალგაზრდა დედისთვის დამახასიათებელი პედანტურობით, მითითებული იყო ახალშობილი სიცოცხლის ყველა მონაცემი: 3 კგ-სა და 90 გრ-ს იწონიდა, სიგრძით 49 სმ-ს აღარაფერი აკლდა, ბევრი ეძინა, კარგად ჭამდა, თქვენ წარმოიდგინეთ, უკვე იღიმებოდა კიდეც და, რაც მთავარია, ძალიან, ძალიან ჰგავდა მამას, იმდენად რომ, ყველა ექიმი ერთნაირად ეკითხებოდა თურმე ფრანსუაზას, საიდან ხარო, და როცა ფრანსუაზა პასუხობდათ, აქაური ვარ, პარიზელიო, გულწრფელად უკვირდათ. ***თიხის აფრიკულ თოჯინას ჰგავს, ოღონდ ჯერ კიდევ გასაშრობსა და გამოსაწვავსო*** - ხუმრობდა, ხარობდა,

ტრაბახობდა, ზეიმობდა ფრანსუაზა. აველუმი კი ამ დროს, ცენტრალურ კომიტეტში იჯდა, ცეკას ჩეკას საკმაოდ ვრცელ კაბინეტში და ამაოდ ცდილობდა გაერკვია, რისთვის დაებარებინათ აქ, მართლა ვიღაც შვედი ტურისტების ვინაობისა თუ კიდევ სხვა რაღაცის დასადგენად. მაგრამ იმ "სხვა რაღაცას", თვითონვე შეგნებულად უვლიდა გვერდს გუნებაში, ფიქრისაც ეშინოდა, რადგან დარწმუნებული იყო, აუცილებლად ფრანსუაზასთან იქნებოდა დაკავშირებული და ასევე აუცილებლად ორივესთვის საზიანოდ.

ცეკას ჩეკამ ვითომ ეშმაკურად რომ შეაპარა ლაპარაკში, რა კავშირი გაქვს შვედეთთანო, პირველად ვერც მიხვდა, რას ეკითხებოდნენ, რა კავშირი შეიძლებოდა ჰქონოდა მას შვედეთთან (საფრანგეთი რომ ეთქვათ, კიდევ ხო!), მით უფრო, საქართველოს ცენტრალური კომიტეტისთვის საინტერესო, მაგრამ ისევ ცეკას ჩეკა რომ წაეშველა, უფრო რომ დაუკონკრეტა შეკითხვა - ამ ახლო წარსულში ვინმეს ხომ არ შეხვედრიხარ იქიდან ჩამოსულსო - როგორ არაო - შესძახა გახარებულმა. თუმცა, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა კიდეც (არც ეს დაუმალავს), რატომ არ უნდა სცოდნოდა ეს ამბავი ცენტრალურ კომიტეტს აქამდე, როცა მისი აზრით, თავად ხელისუფლება გაცილებით აქტიურად მონაწილეობდა ამ შეხვედრაში (ინდიგო იყო შუაკაციცა და თარჯიმანიც), ვიდრე თვითონ. ამ რამდენიმე თვის წინ სასტუმრო "ივერიის" ვესტიბიულში მართლა შეხვდა შვედ მანდილოსნებს, მაგრამ ინდიგოს თანდასწრებით, რადგან კარგად იცოდა, სად ცხოვრობდა და რითი შეიძლებოდა დამთავრებულიყო მისთვის (და არა მარტო მისთვის) ეს ყოვლად უწყინარი, მხოლოდ და მხოლოდ, თავაზიანობის გამომხატველი ვიზიტი. ასე რომ, საჭიროების შემთხვევაში, თუკი საქმე აქამდე მივიდოდა (აკი მივიდა კიდეც!), შეეძლებოდა ისევ ხელისუფლების საიდუმლო აგენტი დაემოწმებინა, "ადგილი რომ არ ჰქონია ამ ვიზიტის დროს არც სავალუტო ოპერაციასა და არც პორნო თუ პოლიტლიტერატურის გადაცემის ფაქტს". შვედი მანდილოსნებიც ჩვეულებრივი ტურისტები იყვნენ, ასაკსგადაცილებულნი, შვედების კვალობაზე საკმაოდ შეუხედავებიც, მაგრამ გინდაც "აბბას" გოგოები ყოფილიყვნენ, აველუმი მაინც ვერ დარჩებოდა იმათთან

დიდხანს. იმათაც მხოლოდ მოკითხვა გადასცეს მოსკოველი პოეტისგან, რომელიც ერთხელ, თავის ხმაწასულ მეუღლესთან ერთად, სრულიად მოულოდნელად გამოეცხადა აველუმს სიმთვრალეში და რომელიც, სინამდვილეში, საკმაოდ ცნობილი პოეტი გახლდათ, განსაკუთრებით უცხოელებისთვის, პირველ რიგში, სწორედ მოსკოვური წარმომავლობის გამო. მოსკოველი პოეტი, თავის მხრივ, რეკომენდაციას უწევდა უცხოელ სტუმრებს, თბილისში ყოფნისას, მისი სახელით მიემართათ აველუმისთვის, ადგილობრივი მნიშვნელობის პოეტისთვის, თუკი უნდოდათ "ეგრძნოთ და ეგემათ იქაური ეგზოტიკური სიამენი". რასაკვირველია უნდოდათ, მაგრამ ვერც იგრძნეს და ვერც იგემეს - აველუმს არ ეცალა, არ შეეძლო, ეკაეკატერინეკატო ჰყავდა ავად და წამალზე გარბოდა, რის გამოც გერმანულად (ინდიგოს პირით) მოუბოდიშა შვედ მანდილოსნებს და ეს წამიერი, უმნიშვნელო შეხვედრა დავიწყების მდინარეს გაატანა თავისი ჭკუით. "ინდიგო თქვენი კაცი მეგონა და ამიტომ დავისწარი საუბარზეო" - თქვა ღიმილით, ფეხი ფეხზე გადადებულმა, მაგრამ მაინც დაძაბულმა, მაინც რაღაცის, გაურკვევლის მომლოდინემ. ინდიგო არა მარტო შეგნებულად, არამედ გარკვეული კმაყოფილებითაც "ჩაუშვა", რადგან ინდიგოს საქციელი პირწავარდნილი უსინდისობა იყო და არა, ვქვათ, სამსახურებრივი მოვალეობის პატიოსნად (თუნდაც, იძულებით) აღსრულება, რისი არათუ გაგება, არამედ პატიებაც შეიძლება და არა ერთხელ და ორჯერ გაუგიათ და უპატიებიათ იმავე ინდიგოსათვის. ბოლოს და ბოლოს, ყველა თავის საქმეს აკეთებს, რაც არ უნდა ბინძური იყოს თავად საქმე, მაგრამ ამჯერად, პირველ რიგში თავისიანებს ატყუებდა ინდიგო, იმათ ურევდა

კვალს, ანუ, არაფრის გამო ტეხტა განგაშს, ვინძლო ერთი ზედმეტი სიტყვიერი მადლობა, ანდა ერთი ზედმეტი ფულადი ჯილდო დაემსახურებინა, ვითომ სანიმუში სიფხიზლისა და ოპერატიულობისათვის. "ინდიგოს ჰკითხეთ და ის გეტყვით, რა კავშირი მაქვს შვედეთთანო" - ინდიგოს მხილებით იფხანდა გულს ავი წინათგრძნობით აფორიაქებული აველუმი, მაგრამ არც ის გაუკვირდებოდა, თავად ხელისუფლებისგან ყოფილიყო "ჩაშვებული" ინდიგო, სხვა უფრო სერიოზული მიზნის მისაღწევად. სწორედ იმ მიზნის ამოცნობას ცდილობდა აველუმიც ამაოდ. შვედი ქალები ცეკას ჩეკას სიტყვის მასალად სჭირდებოდა მხოლოდ და, მართლაც, როგორც კი მოთავდა ტყუილი ლაპარაკი, ცეკას ჩეკა დიდის ამბით გადმოიხარა აველუმისკენ, უფრო დაუახლოვდა, და, როგორც დეტექტიურ ფილმებში ხდება ხოლმე, რამდენიმე სურათი დაუდო წინ - ვის იცნობ ამათგანო. ყველა სურათზე ერთი და იგივე ხალხი იყო აღბეჭდილი - ერთი ქალი და სამი კაცი - და რა თანმიმდევრობითაც არ უნდა დამდგარიყვნენ ისინი, არსებითად არაფერი იცვლებოდა, როგორც ჯამი არ იცვლება შესაკრებთა გადაადგილებით. ქალი, როგორც თავად მიხვდით, ფრანსუაზა გახლდათ, ხოლო კაცები იმდენად უცხოები, იმდენად უცნობები იყვნენ, ჯერ გაუკვირდა ფრანსუაზას დანახვა იმათ გვერდით, მერე გაბრაზდა ფრანსუაზაზე, ერთნაირი ღიმილით რომ შემოსცქეროდა ყველა სურათიდან, თითქოს ის უცხო მამაკაცები იმისთვისაც ისეთივე უცხონი უნდა ყოფილიყვნენ, როგორებიც მისთვის იყვნენ; ბოლოს კი, სისხლის გამყინავი, ეჭვიანობის მაგვარი გრძნობა დაეუფლა უცებ, ყოვლად სულელური, მაგრამ საკმაოდ ძლიერი, რათა გაღიზიანებულიყო, თითქოს ამ სამი

მამაკაციდან რომელიღაცა (არადა, ძმებივით გავდნენ ერთმანეთს, ასაკის შესაფერისად მობოშებულ-მოჩაჩულნი. მასზე უფროსი თუ არა, უმცროსი არც ერთი არ იქნებოდა), ფრანსუაზას საყვარელი, ანდა ქმარი უნდა ყოფილიყო და აველუმის ღირსების დამცველ ჩეკას ახლა მისთვისაც უნდა აეხილა თვალი - აი, ასეთი სიყვარული იციან უცხოელმა ქალებმაო. "აი, ამას ვიცნობო" - არ დაამთავრებინა სიტყვა ცეკას ჩეკას აველუმმა და თითი ისეთი ძალით ატაკა ფრანსუაზას სახეში, თითქოს ისიც იგრძნობდა და ეტკინებოდა, როგორც თავად ეტკინა თითი. "სხვებს? სხვებს არ იცნობო?" - დაუყვავა, სთხოვა ცეკას ჩეკამ ღიმილით. აველუმს კი გაეცინა, რადგან უცებ მიხვდა, რა კუჭის წვაც ჰქონდა, რისი გაგება აინტერესებდა მას. მას აინტერესებდა, რა გზას აირჩევდა აველუმი: უარყოფდა თუ სცნობდა თავის უკანონო შვილს, რომელიც ეტყობა უკვე დაბადებულიყო მისგან უსაშველოდ შორს, სხვა ცის ქვეშ და სხვა მიწაზე, რის შემდეგაც აველუმის "გატაცება" უცხოელი ქალით სახელმწიფოს თვალში, რასაკვირველია, უფრო სერიოზულ, უფრო დამაფიქრებელ, უფრო დამაეჭვებელ ელფერს იღებდა, რასაკვირველია, ისევ და ისევ აველუმის ინტერესებიდან გამომდინარე. "რა გაცინებსო" - გულწრფელად გაუკვირდა ცეკას ჩეკას. მერე, იდაყვებით მაგიდას დაყრდნობილი (მარჯვენა იდაყვის ქვეშ ერთ-ერთი სურათი მოიბრიცა), წინ გადმოიხარა (თითქოს სადაც იჯდა, იქიდან ვერ გააგონებდა) და უთხრა: სრულიად უტყუარი, ახლახანს მიღებული (რასაკვირველია, მოსკოვიდან) ცნობებით, თქვენი ფრანგი მეგობარი ჯაშუში უნდა იყოს და ასე არხეინად ჯდომასა და სიცილს (ეს არ უთქვამს, ეს იგულისხმებოდა), ის გირჩევნია, როგორმე დაამტკიცო,

ჩვენ რომ ვცდებითო. ეტყობა, მართლა ძალიან შეეშფოთებინა სახელმწიფო აველუმის უკანონო ბავშვის გამოჩენას ჰორიზონტზე, რაც უპირველეს ყოვლისა, აველუმის სიმტკიცის, აველუმის სიჯიუტისა და სახელმწიფოს სისუსტის, სახელმწიფოს უყურადღებობის დადასტურება გახლდათ. სხვანაირად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს ვერ შეესრულებინა პოლიტიკური პრეზერვატივის როლი და ახლა ცდილობდა, აველუმისთვის გადაებრალებინა თავისი უმაქნისობა. აველუმს კი ეცინებოდა და ძლივს აკავებდა ენაზე მომდგარ შეკითხვას: ბარემ ისიც მითხარით, ბიჭი მყავს თუ გოგოო. ბედად, იმ ხანებში, ამგვარ საკითხებთან დაკავშირებით - უცხოელებთან ნაცნობ-მეგობრული, ნათესაური, კულტურული, გნებავთ, სექსუალური ურთიერთობები, რასაკვირველია, აშკარად პოლიტიკურისა და, მით უფრო, ჯაშუშურის გამოკლებით - სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ლმობიერება თუ არა, ერთგვარი გულგრილობა ნამდვილად შეიმჩნეოდა. ყოველ შემთხვევაში, ამგვარი "დანაშაულისათვის" აშკარად არავინ ისჯებოდა. თხოულობდნენ უცხოელებს, თხოვდებოდნენ უცხოელებზე და ასე შემდეგ. მოკლედ, დაახლოებით ისეთივე ურთიერთობა ჰქონდათ საბჭოელებს უცხოელებთან, როგორც წარღვნამდელ ადამიანებს ცით მოვლენილ ანგელოსებთან. მართალია, აველუმს ჯერ მაინც არ უშვებდნენ საზღვარგარეთ, მაგრამ შეძლებისდაგვარად აგრძნობინებდნენ, შესაძლებელი რომ იქნებოდა ამგვარი რამ, თუკი ისიც წავიდოდა გარკვეულ დათმობებზე, ანუ, მარადიულ გრძნობებს დროებითი კავშირებით შეცვლიდა, სიყვარულს - გართობით, ესე იგი, მიპატიჟება ნებისმიერი სხვა ქვეყნიდან

მოუვიდოდა და არა მაინცდამაინც საფრანგეთიდან. აველუმს კი, მაინცდამაინც, საფრანგეთ'ში უნდოდა წასვლა, რადგან, მაინცდამაინც საფრანგეთ'ში ელოდებოდა თავისი ეშუ და ეს აველუმზე კარგად იმათ იცოდნენ, ვისაც მისი გაშვება-არგაშვება ევალებოდა. საითაც გენებოთ, ოღონდ პარიზს არ გირჩევთო - თავაზიანად იშორებდნენ თავიდან, თითქოს წასვლას კი არ უკრძალავდნენ, უფრთხილდებოდნენ - თითქოს პარიზი იყო ყველანაირი სისაძაგლის ბუდე და იქ ჩასულ კაცს კარგი არაფერი ელოდებოდა. ნათქვამია, მუნჯის ენა დედამ იცისო, მაგრამ მუნჯსაც ესმის დედისა და, რაღა თქმა უნდა, აველუმსაც კარგად ესმოდა მათი. ამიტომაც იყო გამოკეტილი საკანში, თავის გმირებთან ერთად, ოღონდ, გმირებს კი არ აკეთებინებდა, რისი გაკეთებაც თავად არ შეეძლო, არამედ მისგანვე შექმნილ ადამიანს გმირობად უთვლიდა იმას, რასაც თავად იძულებით იტანდა. რაკი ისე ვერ ცხოვრობდა, როგორც უნდოდა, ცხოვრობდა - როგორც შეეძლო. მაგრამ რაკი უპარტიო კაცი ცენტრალურ კომიტეტში დაიბარეს და რაკი იქამდე ყრუდ დახურული ფრჩხილები ერთბაშად გახსნეს, ისინი არა მარტო აველუმის კრეტინ ეშუს გამოაცხადებდნენ ჯაშუშად, თავის უკანონო შვილიანად (დაფრთხება და გაანებებს აველუმს თავს, აბა რას იზამსო!), არამედ იძულებულნი შეიქნებოდნენ (ჰმ, ჰმ...), აველუმის ოჯახური კეთილდღეობაცა და მისი მწერლური ღირსებაც დაეკიდათ ფეხებზე (თითქოს იქამდე ძალიან აფასებდნენ და უფრთხილდებოდნენ) და ისე მოქცეოდნენ, როგორც ჩვეულებრივ ანტისახელმწიფოებრივ ელემენტს ეკადრებოდა. აველუმს კი მაინც ეცინებოდა, რა თქმა უნდა, ნერვიულობისგან, ემოციური, გონებრივი, ფიზიკური დაძაბულობის გამო და იმის

წარმოდგენაზეც, მისი უახლოესი მეგობარი და თანამოკალმე (თქვენი მონა-მორჩილი), შიშისგან თვალებდაყვლეპილი, საგონებელში ჩავარდნილი, ბოლთას როგორ სცემდა რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინ, პიონერთა და კავშირგაბმულობის სასახლეებს შორის - უიმისოდ თავცოცხალი არ მოიცვლიდა იქიდან ფეხს - და უკვე იმაზე ფიქრობდა, რა შეეგზავნა, საერთოდ რისი შეგზავნა შეიძლებოდა პატიმრისათვის პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

ცხოვრება კი თავისი გზით მიდიოდა. *ისეთი დაღლილი ვბრუნდები შინ, გაუხდელს მეძინება. ისიც გასუსული წევს. შეგნებულად არ ტირის. მიფრთხილდება, იმიტომ, რომ იმას უფრო ვჭირდები, ვიდრე შენ. ხა, ხა! აი, ისევ ვბრაზდები. არა, გადამიარა. მე აქ ბავშვი გავაჩინე და შენ მანდ მუცელი გტკიოდა, არა?! ზღვის პირას გორავდი სილაზე?! ტყუი ყველაფერს. ცარიელი სიტყვებია. იცოცხლე, სიტყვების შერჩევა იცი, მაგრამ ყველა ერთნაირად ტყუილითაა სავსე. ამისთვისაც მადლობა. როცა გჭირდება, ტყუილსაც დაიჯერებ. ასეთია ადამიანი, მით უფრო კი - ქალი. როგორც ალბათ მიხვდი, მე უკვე ვმსახურობ. დილის ექვსზე ვდგები და საღამოს შვიდზე ვბრუნდები. ხანდახან მავიწყდება კიდეც, როგორ გამოიყურება და გიჟივითა ვარ, ადგილს ვერ ვპოულობ, ვიდრე დავინახავდე. ისევ დედაჩემი უვლის და ერთი მაროკოელი გოგო მოდის კვირაში ერთხელ. ესეც შეღავათია. საწყალი დედა. ცუდი შვილი ვარ. არ გაინტერესებს? მაროკოელზე გეკითხები. მე მგონი, კარგი იქნებოდა შენი კოლექციისთვის, თუნდაც ეთნოგრაფიული თვალსაზრისით. არც მე ვარ კარგი დედა, თქვენი კლეოპატრა კაკულიასი არ იყოს. ძუძუ ვერ ვაჭამე. არ მოხერხდა. სამაგიეროდ, სამი კვირისა უკვე ფორთოხლის წვენს მიირთმევდა. ბოსტნეულსაც. საერთოდ, სიამოვნებით ყლაპავს ყველაფერს. მამამისივით უყვარს გემრიელი საჭმელი. თუ იცი, ვინ არის მამაშენი მეთქი, დავყვირებ ხანდახან. ის კი იცინის. იმანჭება, ფეხებს ასავსავებს სიამოვნებისგან. შენ კი ჯერ არც გინახავს და ღმერთმა იცის, როდის ნახავ. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, შენზე უკეთეს დღეში ვარ. მადლობა ღმერთს!* მართლაც, პირველად რომ ნახა აველუმმა თავისი უკანონო შვილი, ის უკვე

ცამეტი წლის გოგო იყო და ესეც "პერესტროიკის" დამსახურება უფრო გახლდათ, ვიდრე თავად აველუმისა. ერთ მშვენიერ დღეს, დაიბარეს და უთხრეს, მაინცდამაინც პარიზში უნდა წახვიდეო და ისიც წავიდა, მაგრამ იმ რამდენიმე დღის განმავლობაში, გადაბმულად, ორი საათიც არ ყოფილან ალბათ ერთად - დილიდანვე რომელიღაც საზოგადოებისა თუ გამომცემლობის სხდომათა დარბაზში იჯდა, გამოუძინარი, მთქნარებამორეული - და მაინც, ისე უბრალოდ, ისე უშუალოდ ეჭირა თავი მის უკანონო შვილს, თითქოს ეს ცამეტი წელი სულ მამის გვერდით გაეტარებინოს. სამაგიეროდ, განშორება განიცადა ძალიან. ცრემლად დაიღვარა სადგურში, სადაც ისა და ბებიამისი გაიყვანეს ფრანსუაზამ და აველუმმა მზის ამოსვლის კუნძულზე გასამგზავრებლად. აველუმიც მეორე დღეს, დილაუთენია უნდა გაფრენილიყო მოსკოვში, თავის "მხლებლებთან" ერთად. "მხლებლები" დელეგაციის დანარჩენ ორ წევრს შეარქვა ხუმრობით - ერთ ქართველ და ერთ რუს მწერალს - რომლებიც ძირითადად აველუმის სამწყემსავად იყვნენ, ეტყობა, შეყვანილნი დელეგაციაში, რადგან ის რამდენიმე დღე აველუმს დასდევდნენ კუდში, ან აველუმს ელოდებოდნენ სადმე, ან აველუმის შეგვიანებით შეშფოთებულნი, ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, ერთმანეთს ამტყუნებდნენ - არა შენ გაუშვი და არა შენო. აველუმმაც ის რამდენიმე დღე სულ იმათ ფერებაში, სულ იმათ პატივისცემაში გაატარა, სულ იმათ შერიგებას უნდებოდა. იქით უვლიდათ და პატრონობდათ. ფრანსუაზას მშობლებთანაც ჰყავდა სადილზე და, მათი ხათრით, ბატონმა რელუმ სულ ყანწებით სვა ბურგუნდული ღვინო. პიგალიც დაათვალიერებინა (რასაკვირველია,

ფრანსუაზას ფულებით), თავის სტრიპტიზიან-ყავიანად და ფრანსუაზასთან გამოსამშვიდობებელ ვახშამზეც დაისწრო, შინ დაბრუნებულებს, რამე ცუდი რომ არ ჩაეწერათ დელეგაციის მესამე წვერზე თავიანთ ახსნა-განმარტებით ბარათებში. ამისი ეშინოდა ფრანსუაზასაც და აჩქარებდა, მკლავზე ექაჩებოდა აველუმს, მაგრა იმას მაინც ვერ მოუთმინა გულმა და ისევ ვაგონთან მიბრუნდა, ერთხელ კიდევ რომ შეევლო შვილისთვის თვალი, თუნდაც მალულად, ვიდრე კიდევ იყო ამის შესაძლებლობა. ვაგონში ჯერ კიდევ აქა-იქ, კანტი-კუნტად ისხდნენ მგზავრები. გულამოსკვნილი, ცხარე, მაგრამ უკვე შენელებული ცრემლით ტიროდა ბებიის მკერდზე მიხუტებული. ბებია კი ცრემლსა სწმენდდა, დროგამოშვებით, მუჭში მოჭმუჭნული ცხვირსახოცით. არც ერთს არ დაუნახავს აველუმი, არადა, იმ წუთას ალბათ ორივე მასზე ფიქრობდა - ის წარმართავდა, უნებლიეთ, ორივეს საფიქრალს. ერთი ბავშვური გულუბრყვილობით მისტიროდა, ქვეყანაზე გაბუტული - ვერ გაეგო, რატომ დააშორეს ძლივს გაცნობილ მამას ასე უცებ და ეს ატირებდა ცხარე ცრემლით, თავი რომ შევიკავოთ უფრო ღრმა, უფრო იდუმალი და უფრო მნიშვნელოვანი მიზეზების ძიებისაგან. მეორეს კი ცხოვრებისეული გამოცდილება და, რაც მთავარია, მისი ფრთის ქვეშ გაზრდილი ბარტყის ბედი აფიქრებდა და, აქედან გამომდინარე, საგონებელში იყო ჩავარდნილი, ანუ, იცოდა, რომ ვერ გაარკვევდა და მაინც ცდილობდა გაერკვია, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა, რითი შეიძლებოდა დამთავრებულიყო ეს გაუთავებელი შეხვედრა-განშორებები საერთოდ და, უპირველეს ყოვლისა, კერძოდ მისი შვილიშვილისათვის, რომელსაც ახლა, საკუთარ ფიქრებში დანთქმული, ვერც აღიქვამდა

წესიერად და მხოლოდ უნებლიეთ, ჩვეულებისამებრ სწმენდდა ერთმანეთში არეულ ცრემლსა და ცინგლს.

აველუმს, რასაკვირველია, იქამდეც ჰქონდა გარკვეული წარმოდგენა თავის უკანონო შვილზე - ფრანსუაზა ყოველთვის უხვად უგზავნიდა ფოტოებს - მაგრამ არცერთ ფოტოს არ მოუხდენია მასზე ისეთი დიდი შთაბეჭდილება, როგორიც თავად უკანონო შვილის პირველმა (და ჯერჯერობით, უკანასკნელმა) ავტოპორტრეტმა მოახდინა, ფრანსუაზას თქმით, შეგნებულად მისთვის დახატულმა პატარა, ასანთის კოლოფისხელა ქაღალდზე. შეიძლება თავისუფლად ითქვას, ამ ნახატმა სამუდამოდ დასცა აველუმს თავზარი და არა მარტო შეხვედრამდე, შეხვედრის მერეც უმთავრესად მაინც ისეთად წარმოიდგენდა ხოლმე თავის უკანონო შვილს, როგორიც მისივე გაუწაფავი ხელით იყო აღბეჭდილი ნახატზე, თუმცა მშვენივრად იცოდა (თუნდაც, შეხვედრის შემდეგ), სულ სხვანაირად რომ გამოიყურებოდა სინამდვილეში.

მწვანე მინდორზე, უფრო სწორად, მწვანე ტირეებს ზემოთ, ორ ერთნაირ ყვავილს შორის, რატომღაც, უმკლავებო გოგო დგას. სახე თეთრი აქვს, ცარცივით. ფეხები - ყვითელი; მოწითალო, იმ ორი ყვავილის ფერი პერანგი, ნაცრისფერი ქვედაკაბა და შავი ქოშები აცვია. მკლავებისა არ იყოს, არც ცხვირი აქვს. ორ ლურჯ წერტილს - თვალებს - პირდაპირ "აზის" მოყავისფრო, მუზარადივით თმა. გოგოს წინ, ბალახზე - მწვანე ტირეებზე - თოჯინა აგდია, ისიც მკლავებდაწყვეტილი, ანდა, თავიდანვე უმკლავებოდ "შექმნილი". გოგოს ზემოთ მოზრდილი ლურჯი ლაქაა - ცა - ლურჯ ცაზე კი ყვითელი, ბევრად პატარა, საათის დაკბილული ბორბლის მაგვარი ლაქა - მზე - რაც ყველასთვის ერთნაირად ნათელია. მაგრამ გაუგებარია (ყოველ შემთხვევაში, აველუმისთვის), თუ რატომ არა აქვს მკლავები არც გოგოს და არც მის თოჯინას. მკლავების ნაცვლად, ორივეს პატარა გამონაზარდები, გნებავთ, მონარჩენები ეტყობა, პერანგისფრად შეღებილი. ასე რომ, ვერც თოჯინა გაუწვდის ხელებს გოგოს - ამიყვანეო - და ვერც გოგო დაწვდება თოჯინას, ძალიანაც რომ მოინდომოს. რაც მთავარია, ვერასოდეს ჩაიხუტებს, ვისი ჩახუტებაც სურს. საინტერესოა, შემთხვევით გამოვიდა ასე, თუ წინასწარი განზრახვით? შეგნებულად თუ შეუგნებლად? უცოდინრობით თუ, პირიქით, რადაცის, იდუმალის, ბევრად მნიშვნელოვანის მისანიშნებლად? მაგრამ ამას ვეღარავინ დაადგენს. ვეღარც თავად მხატვარი. მან თუ იცოდა, მხოლოდ მაშინ იცოდა, როცა ხატავდა, როცა მხოლოდ ასე შეეძლო იმის თქმა, რისი თქმაც საერთოდ არ შეეძლო.

მოკლედ, ისე ააფორიაქა ამ ნახატმა აველუმი, მშვიდად, უმტკივნეულოდ, უტანჯველად, ვეღარ იფიქრებდა იმ დღეზე, იმ ასტრონომიულ საოცრებაზე, შეუძლებელ შესაძლებლობაზე, როცა ნახატით გაცნობილ გოგოს ცხოვრებაშიც შეხვდებოდა და ამოხსნიდა ამოუხსნელ საიდუმლოს ბავშვისას, რომელსაც ყოველთვის უფრო მეტი ესმის, ვიდრე ეუბნებიან და უფრო ნაკლებს ამბობს, ვიდრე იცის. ცამეტი წელი დაილია ამ დღის მოლოდინში, თითქმის უმაღლესი ნიხრი, ტარიფი მკვლელობისთვისაც. და ისიც, ამ ხნის განმავლობაში, ისევ ამაოდ ცდილობდა ამოუხსნელის ამოხსნას, ისევ განუსჯელად, დაუნდობლად ხარჯავდა, რისი დახარჯვაც შეეძლო; ისევ თავგანწირულად ღრეობდა და თავდაუზოგავად მუშაობდა, თითების დასკდომამდე, სკამიდან გადმოვარდნამდე... მერე კი ისევ ზღვის პირას იჯდა ფეხმოუცვლელად, ზღვაში დაღუპული პატრონის მომლოდინე ბებერი ძაღლივით (როგორც ერთმა მოლდაველმა პოეტესამ უთხრა) და მოღუშული, ნაოჭებში თვალებჩაკარგული მისჩერებოდა ცარიელ სივრცეს. მაგრამ როცა ის გაუთვალისწინებელი, თითქოს რიგგარეშე, ასტრონომიულ კალენდარში თითქოს ძალით ჩამატებული დღეც გათენდა, ბოლოს და ბოლოს, ისე დაფრთხა, ისე შეეშინდა, სასტუმროდან გამოსვლაც არ უნდოდა. ფეხები უკან რჩებოდა, ესიკვდილებოდა საკუთარი ხორცისა და სისხლის დანახვა. ვითომ, შვილისთვის ჩამოტანილ საჩუქრებს ალაგებდა ცალკე ჩანთაში, სინამდვილეში კი, დროს იგებდა, დროს წელავდა შეძლებისდაგვარად, თითქოს შეეძლო თავი აერიდებინა ამ შემთხვევისთვის, რომელსაც ცამეტი წელი სულწასული, უიმედო მოუთმენლობით ელოდებოდა. ფრანსუაზაც უარესად

აჩქარებდა - საჩუქრები სხვა დროს იყოს, წავიდეთ, ცოდოა, გველოდებაო. შევიდნენ და, აი, ეს გახლავს მამაშენიო - უთხრა ბატონმა რელუმ ბებიის გვერდით მოუთმენლად დასკუპებულ პატარა გოგოს, რომელსაც არათუ ნორმალური, არამედ ულამაზესი, უტკბილესი, სურნელოვანი და მოქნილი მკლავები აღმოაჩნდა, თოჯინის დაჭერაც შეეძლო და ცამეტი წლის, ანუ, საერთოდ უნახავი მამის, თუნდაც ვითომ მამის ჩახუტებაც. ძნელი აღმოჩნდა იმ მკლავებიდან თავის დაღწევა და უხერხულად მოხრილი აველუმი, დარცხვენილიც და შერცხვენილიც, ბედნიერიც და მადლიერიც - გაუბედავად, მსუბუქად, აქა-იქ კოცნიდა უკანონო შვილის, ვინ იცის, რანაირი ფიქრებით, რანაირი ოცნებებით, წარმოდგენებით, ჩვენებებით, მოსაზრებებითა და ვარაუდებით გამოტენილ პატარა თავს, კაუჩუკის ღვედებივით მოქნილ, გარუჯულ მკლავებს, ნაზად მომრგვალებულ მხრებს, კისრის ღრმულს, კისრის ქვევით, ბეჭებისკენ, წელისკენ, კუდუსუნისკენ ჩაწიკწიკებულ მალებს. საჩუქრებით სავსე ჩანთა ჯერ ისევ ხელში ეჭირა, მოუხერხებლად გადმოხრილს, სულელურად მომღიმარს, და ამ სანახაობით არანაკლებ აღელვებული, არანაკლებ დაბნეული ფრანსუაზაც ვერ მიმხვდარიყო, ჩამოერთმია ჩანთა, მეორე ხელიც გაენთავისუფლებინა მისთვის, რათა იმასაც მთლიანად, მთელი არსებით და არა ასე, სანახევროდ, გაუბედავად, ჩაეხუტებინა თავისი ცოდვის, სიშლეგის, რწმენის, შეურიგებლობისა და, რაც მთავარია, ველური, მოუთვინიერებელი სიყვარულის ნაყოფი, წესებსა და კანონებს, თეორიებსა და მოსაზრებებს ჯერ კიდევ ვერ შეგუებული სიყვარულისა და, ამიტომაც, უფრო მეტად შეშფოთების, გაკვირვების, გაბრაზების, დაცინვისა და

დასჯის სურვილის აღმძვრელი სხვათა გულებში, ვიდრე, ვთქვათ, აღტაცებისა, მოწიწებისა, პატივისცემისა. მაგრამ იმ წუთას, იქ, იმ ოთახში, სადაც მამა-შვილის არც მთლად ბუნებრივი, არც მთლად ჩვეულებრივი გაცნობა ხდებოდა, "სხვა" არავინ იყო, ყველანი მეტ-ნაკლებად ამ სიყვარულის მონაწილენი, თანამზრახველნი, ხელისშემწყობნი, მხარდამჭერნი, ანდა სულაც მსხვერპლნი იყვნენ და, რაც მთავარია, ამას განგების ნებად, ღვთის წყალობად თვლიდნენ.

ამ დროს სონია უკვე დიდი ხნის გამოსულია ასპარეზზე. უკვე დიდი ხანია ის ხვდება მოსკოვში და ის აცილებს მოსკოვიდან აველუმს. უფრო რომ დავაზუსტოთ, მისგან მიდის და მასთან ბრუნდება აველუმი. პარიზში რომ გააცილა, რატომღაც ეგონა, ნაკლებად ააღელვებდა, ნაკლებად შეეხებოდა თავად ეს ამბავი. მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. პირიქით, როგორც კი თვალს მიეფარა აველუმი, მაშინვე იგრძნო, რა ადვილად შეიძლებოდა მისი დაკარგვა. უფრო მეტიც, გამაოგნებელი სიცხადით იგრძნო, გაცილებით მძლავრად რომ იყო დაკავშირებული თავად ფრანსუაზასთან, ვიდრე აველუმთან. ფრანსუაზა წარმართავდა საერთოდ მის ცხოვრებას და ფრანსუაზასგან ჰქონდა ადგილი მიჩენილი აველუმის ცხოვრებაში, ანუ, დროებით იკავებდა იმ ადგილს, რომელიც სამარადისოდ ეკუთვნოდა ფრანსუაზას. დაძაბულობისგან მთელი სხეული უთრთოდა. გაურკვეველი, მოულოდნელი სევდისგან გული ეწურებოდა და ერთი სული ჰქონდა, როდის მივიდოდა შინ, როდის ჩაიხუტებდა თავის ქეციან დანიას და იტირებდა, იტირებდა, იტირებდა, ვიდრე დედა არ მოუკაკუნებდა კარზე - გამო, ჩაი დავლიოთო - ვიდრე ტელეფონი არ დარეკავდა, ანდა ვიდრე თავად არ მობეზრდებოდა ტირილი. მაგრამ, მივიდა თუ არა შინ, პირველ რიგში, მაკრატელი ამოიღო უჯრიდან, კეფაზე დაგრაგნილი მაჯის სიმსხო ნაწნავი ჩამოიშალა, თვალები მაგრად დახუჭა და, რაც შეიძლება სწრაფად, შეიჭრა ძირში. ორი დღის შემდეგ ასე თმაშეჭრილი დახვდა აველუმს აეროპორტში. მაგრამ აველუმს ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის, ჯერ ისევ იქ იყო, პარიზში, და განცდილითა და გადატანილით დათრგუნული, სასტუმროში მისვლას ჩქარობდა

მხოლოდ. სონია, რასაკვირველია, წუთითაც არ მოშორებია, ვიდრე სართულის მორიგემ არ დაურეკა და არ შეახსენა, სტუმრობის დრო ამოიწურაო. მაგრამ სანამ იქ იყო, არც თავისი ეჭვების გაქარწყლება მოუთხოვია აველუმისგან, არც უყურადღებობისთვის უსაყვედურებია. პირიქით, თვითონ იყო ყურადღებად ქცეული და შეუნიღბავი ინტერესით ისმენდა მამა-შვილის ისტორიული შეხვედრისა და განშორების ამბავს. ოხრავდა, განიცდიდა და იმ წუთას მართლა გულწრფელად თანაუგრძნობდა უკანონო მამასაც და უკანონო შვილსაც, რაც მთავარია, ფრანსუაზასაც, სამივეს ერთნაირად, და ალბათ ამის გამო, მათგან კიდევ უფრო გარიყულად გრძნობდა თავს. უფრო სწორად, ახლაც ისევე შურდა ფრანსუაზასი, როგორც ოდესღაც, პრეისტორიულ ხანაში, სკოლის საპირფარეშოში - გეგონებოდათ, ამ ხნის განმავლობაში არც არაფერი შეცვლილიყო, არც არაფერი მომხდარიყო მის ცხოვრებაში ისეთი, ეს ბავშვური, უსაფუძვლო, ბოლომდე ჩამოუყალიბებელი შური გაებათილებინა. იმათ უიმისოდაც თავზე საყრელად ჰქონდათ ყველაფერი - სადარდელიც და გასახარიც - თვითონ კი ცარიელ-ტარიელი დარჩენილიყო აქამდე. მართალია, აველუმი უკვე ამდენი ხანია, მასთან იყო, მაგრამ მას მაინც არ ეკუთვნოდა და ამასაც ყველაზე მძაფრად სწორედ ახლა გრძნობდა, სასტუმროს ნომერში, აველუმის საწოლზე, აველუმის თანდასწრებით, როცა მართლა სჭირდებოდა აველუმს, როცა მართლა არავინ ჰყავდა აველუმს მასზე ახლობელი ამ უზარმაზარ, საკუთარი სიდიდისგან გრძნობებდაჩლუნგებულ ქალაქში. მაგრამ, მეორეს მხრივ, თითქოს არაფერი უნდა ჰქონოდა სონიას საეჭვიანო. მან ხომ პირველსავე

დღიდან იცოდა, რას თანხმდებოდა, ანდა, რის საფასურად ისრულებდა ბავშვობისდროინდელ საწადელს, როცა სველ ტანზე სარაფანგადაცმული, სახეზე მზემიშუქებული, ჭორფლიან ცხვირს იჭმუხნიდა და აველუმს ეუბნებოდა: მე თქვენ უფრო მოხუცი მეგონეთო. საწადელი ნამდვილად შეისრულა - ბოლო ათი, თუნდაც რვა წლის განმავლობაში, იგივე ფრანსუაზა იყო აველუმისთვის, ყოველ შემთხვაში, ფრანსუაზა თუ არა, ფრანსუაზას ნაცვალი, ფრანსუაზას მაგიერი და, ამდენად, უფლებამოსილიც, თავისად ჩაეთვალა, მიეღო და მოეხმარა, რასაც აველუმის მეშვეობით მისწვდებოდა, გაიგებდა, იხილავდა...

ფრანსუაზას კი, ამ ხნის განმავლობაში, თანდათანობით უბრუნდება დედობამდელი მღელვარება, მოუთმენლობა, სევდა-წუხილი და ახლა უკვე საბოლოოდ რწმუნდება, სიყვარულიდან გამოსავალი არ არსებობს მისთვის, შვილიც ვერ ამოუვსებს აველუმის დანატოვარ სიცარიელეს. ***ნუთუ აღარაფერი შეიცვლება ჩემს ცხოვრებაშიო*** - გაიბრძოლებს ხოლმე უნებლიეთ. მასაც ებადება ჰამლეტისეული, გნებავთ, ოფელიასეული კითხვა. ისიც ეჭვდება. ბოლოს და ბოლოს, ისიც ტყდება. ყოველ შემთხვევაში, არის წუთები, როცა აღარ სჯერა, სწორი არჩევანი რომ გააკეთა ცხოვრებაში. ***წინ სინათლის ნატამალიც არ ჩანს და ამის ატანა აღარ შემიძლიაო*** - სწუხს, შემცბარი, დაეჭვებული. შეიძლება გული უგრძნობს (თუ ყურში არ ჩააწვეთა უკვე ვიღაცამ), "სულ მოწყენილი" რომ არ არის აველუმი, უფრო ზუსტად, მისი მაგიერი, მისი ნაცვალი მოვლენია იქაურობას (მისგანვე შთაგონებული, მისნაირობის ჟინით წაქეზებული და თავიდანვე მის შესაცვლელად, მის "განსასახიერებლად" გამოსული სკოლის საპირფარეშოდან, როგორც დებიუტანტი მსახიობი - საგრიმიოროდან) და მწარე გუშინდელისა და გაურკვეველი ხვალინდელის ამარა დარჩენილი, ისევ შვილის "ხელით" ცდილობს შვილის გულისთვის დაკარგულის დაბრუნებას - საკუთარ შვილს აცნობს და აყვარებს აველუმს შორიდან, წერილებისა და ფოტოების მეშვეობით, და აველუმისგანაც (არ მიმიხვდეს, რომ ვეჭვიანობო) მხოლოდ მისი ახალშობილი შვილიშვილის ამბების გაგება აინტერესებს თითქოს: რამდენს იწონის, ვის ჰგავს, რას ჭამს, როგორ სძინავს და სხვა ამის მაგვარი, უაღრესად ზოგადი, საერთაშორისო შეკითხვებით ავსებს

ფურცელს, სადაც სიამოვნებით გადმოანთხევდა თავის სამართლიან გულისწყრომასა და მრისხანებას. თავად მიტოვებული და მარტოხელა, ეკაეკატერინეკატოს ბედითაა შეძრული (ესეც ჩააწვეთეს ალბათ, რადგან აველუმს არ მიუწერია, მოერიდა რატომღაც, ოღონდ, თვითონაც ვერ გაარკვია, რატომ) და გულწრფელად თანაუგრძნობს, როგორც ქალი ქალს, როგორც მარტოხელა დედათა ამქრის ახალ წევრს. ხოლო მამამისს, სხვათა დამღუპველს და მისი მორიგი წერილით სინდისშეძრულს, ხელებდაფუფქულს, სულგრძელად ამშვიდებს კიდეც, ოღონდ შეფარვით, ქარაგმულად: ჩემი შვილი შენ რომ დაგემგვანა, გასაკვირი არაფერია, მაგრამ შენი შვილი რატომ უნდა დამმგვანებოდა, მაინცდამაინც, მე, ძნელი ასახსნელიაო. *მაგრამ მაინც მტკიცედ უნდა იდგე. გახსოვდეს, ბევრს ჭირდები, ბევრნი ვართ შენს ანაბარა დარჩენილნი. ხომ არ მოგერია სიბერე? კარტს კიდევ თამაშობ? ბევრს სვამ? თუ მხოლოდ მუშაობ? ყოველ შემთხვევაში, იცოდე ძალიან დავიღალე ამ ეპისტოლური სიყვარულით. ხანდახან თვითონვე მიკვირს, როგორ ვიტან, რატომ ვიტან ამდენს. თუმცა, ვტყუი. მშვენივრად ვიცი, რაც მაძლებინებს, რატომ ვიტან, რასაც ვიტან. იმიტომ რომ... იმიტომ რომ, არავინ და არაფერი არ არსებობს ქვეყანაზე შენზე უკეთესი. კიდევ მქონდეს შენთან შეხვედრის იმედი? თუმცა, იმედიც რომ გადამიწურო, მაინც დაგელოდები. ეს ყოფილა ჩემი ბედი, რა გაეწყობა. მაგრამ იქნებ მართლა მითხრა, შენი აზრით, როდის შევხვდებით?* ახლავე მოგახსენებთ. წელიწადნახევარში. არა. წელიწადსა და შვიდ თვეში. ცხრამეტი თვის შემდეგ. ცხრამეტ თვესა და რვა დღეში. იქამდე სონია (თავად სონიას ვერსიით), ერთ-ერთი დობილის დღეობაზე პირველად გაიცნობს

ბიჭს, რომელსაც "ერთის ნახვით" შეუყვარდება; უფრო სწორად კი (ჩემი ვერსიით), ის ბიჭი ნათესავისგან, ანუ, სონიას ერთ-ერთი დობილისგან შეიტყობს რა სონიას გულისტკივილს, სონიას შფოთვასა და მღელვარებას, პარიზში აველუმის მოულოდნელი, ყოვლად გაუთვალისწინებელი გამგზავრების თაობაზე, ერთხელ კიდევ სცდის საცდელს, ანუ, ერთხელ კიდევ მოსინჯავს, რამდენად გამკვრივებულა ნიადაგი სონიას გულისკენ მიმავალ გზაზე. მოკლედ, ნადღეობარნი, თითო ჭიქა შამპანურგადაკრულნი, დასხდებიან და, როგორც ჭკუადამჯდარ ხალხს ეკადრება - ნუ დაგავიწყდებათ, სონიას კუდიანი კომეტის სისწრაფით უახლოვდება ბალზაკისეული ასაკი, ბიჭმა კი თვეზე დიდხანს ვერ გაიჩერა ვერც ერთი ცოლი (სონია მესამე იქნება), ვერც ერთმა ვერ დააფასა მისი სიკეთე, ყველამ სისუსტედ ჩაუთვალა - განსჯიან, გაარკვევენ, რამდენად მიზანშეწონილია და, რაც მთავარია, რამდენად ხელსაყრელი იქნება ორივე მხარისთვის ერთ ბანაკად გაერთიანება, დარაზმვა ერთი ლოზუნგის ქვეშ - გავუძლოთ დღევანდელს და მოვემზადოთ ხვალისთვის. ზაფხულს შემოდგომა მოსდევს, შემოდგომას - ზამთარი. ამდენი იმათაც იციან, კრილოვის ჭრიჭინასგან განსხვავებით, და აქედან გამომდინარე, ითვალისწინებს რა აველუმის შეუვალ სიჯიუტესაც, ანუ, იცის რა, არავითარი არსებითი ცვლილების იმედი არ უნდა ჰქონდეს მისგან, არც ახლო და არც შორეულ მომავალში, სონია ამჯერად თანხმდება შემოთავაზებულ პირობებს (პირობებში, რასაკვირველია, საბოსტნე ნაკვეთიცაა გათვალისწინებული და საკმაოდ კარგად შენახული მსუბუქი ავტომანქანაც - მაინც უყვარდა შოფრის გვერდით ჯდომა - ყოველმხრივ ნორმალური ბინაც -

ოღონდ, სადედამთილოიანად - და მძიმე სამუშაოსგან - ჭურჭლის რეცხვა, იატაკის მოპრიალება, ნაგვის გადაყრა და პროდუქტების მომარაგება - განთავისუფლებაც). ხოლო, რაკი ყველა პირობა გარკვეულია და ზედმეტად თავის დაფასებას აზრი აღარა აქვს, აველუმი კი შეიძლება ყოველ წუთას გამოჩნდეს, იქით აჩქარებს იმას (ესე იგი, "იმას"), იქით კარნახობს, როგორ მოიქცეს - აქ რას ვუზივართ, შინ წამიყვანე, გამაცანი დედაშენიო - და როცა ცხოვრების სიავკარგეში გამობრძმედილი სადედამთილო "ერთი წუთით" მარტო დატოვებს "ბავშვებს", თვითონ კი მეზობელთან გადავა, "ახალი ნამცხვრის რეცეპტის ჩასაწერად", სონია წინა კბილებით დაიჭერს ვაშლს (რაც არ უნდა დიდი იყოს), ორივე ხელით წამსვე გადაიძრობს კაბას, ლიფიანად, და ლოგინში შეუგორდება თავის მომავალ მეუღლეს. ეგეც შენო - ენას გამოუყოფს გუნებაში აველუმს, მაგრამ ეს ღალატი კი არ იქნება მისგან ათწლიანი, გინდაც რვაწლიანი სიყვარულისა (როგორ გეკადრებათ!), არამედ სავალდებულო, აუცილებელი პროცედურა გათხოვების წინ. ხომ უნდა იცოდეს, ბოლოს და ბოლოს, ვის გვერდით მოუწევს მთელი სიცოცხლე "ციხის კედლების" ლესვა; ვის გვერდით ჩაუტკბება, ჩაუწყნარდება, ვითომ ჩაძინებული, სახეზე ნეტარების ღიმილგადაფარებული, წარსულის მოგონებებს, აწ უკვე მოგონებებად ქცეულ სიყმაწვილის ეშმაკობებს; ვის გვერდით გაიწვართება ხოლმე სიამოვნებისგან (უპატრონო დანიასავით), სიბრაზისგან სახეშეშლილი, უარესად დამახინჯებული აველუმის წარმოდგენაზე. ასევე, ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა იცოდეს მომავალი მეუღლის დაფარული შესაძლებლობანი, რომელთა ცოდნაც, რასაკვირველია, თავიდანვე, გათხოვებამდე

სჯობს ყოველთვის, მერე ამაო გულისხეთქვასა და კბილთა ღრჭიალს. "არა უშავს, მისუარესს სჯობიაო" - ეტყვის მერე მის "გამოსაფხიზლებლად", მის მოსაქცევად ჩამოფრენილსა და ზოოპარკის ბებერი არწივივით გაჩეჩილსა და აფხორილ აველუმს, რა თქმა უნდა, ვითომ ხუმრობით, მისთვისაც მოულოდნელი, ყოვლად წარმოუდგენელი, ყოვლად გაუთვალისწინებელი დაძაბულობის განსამუხტავად. "დედას გეფიცები, მელანიას, ეკაეკატერინეკატოს, ფრანსუაზას, შენს თავს... მამაჩემსაც. ყველას, ვინც მყავს საერთოდ, მართლა არ მეგონა, შენც თუ გიყვარდიო" - აღიარებს გულწრფელად, რადგან არასოდეს ჩაუთვლია თავი მისი სიყვარულის ღირსად. არც ამას დამალავს - "და მაინც უსაზღვროდ, დღე და ღამ, ძილშიც და ცხადშიც მადლობელი ვიქნები ღმერთისა, ბედისა, განგებისა, შემთხვევისა, - შენ რომ შეგხვდი, როგორც შენ ამბობ, შენ რომ ჩაგისაფრდი ბიჭვინთის ბართან და თუნდაც დროებით, თუნდაც სულ უმნიშვნელო ადგილი მაინც თუ მეკავა შენს ცხოვრებაშიო". მოკლედ, სონია ჯერ ჩაატარებს საჭირო, სავალდებულო პროცედურას და მხოლოდ ამის მერე გამოუგზავნის აველუმს წერილს - ***ძვირფასო ვთხოვდები იქნებ ჩამოხვიდე*** - რასაც უაზრო, უზნეო, სამარცხვინო, ყოვლადგაუმართლებელი სიგიჟე მოჰყვება მხოლოდ, ანუ, წინ და უკან ფრენა გალიაში, ერთი ჩამოსკინტლული ხარიხიდან მეორემდე - განუწყვეტელი, მაგრამ ყოველთვის მოუმზადებელი, სახელდახელო, გულს აყოლილი, ვარაუდზე დაფუძნებული და ამიტომაც წინასწარვე განწირული ექსპედიციები გაუფასურებული, უგულებელყოფილი, ათვალწუნებული, გამოუსადეგარი და ლამის საერთოდ არც არსებული გრძნობის აღმოსაჩენად, რომელსაც,

ყველა სიკეთესთან ერთად, თან ახლავს ერთსა და იმავე ქარში, წვიმაში, თოვლჭყაპსა და სუსხში ძაგძაგი და უაღრესად პირადული, ამ მეორედ მოსვლის ჟამს, გამოსაჩენადაც სათაკილო განცდებისადმი, ერთნაირად გულგრილი, ერთნაირად ყრუ კავკასიონი, იქითობისაც და აქეთობისაც.

მერე კი, ეკაეკატერინეკატოს დროშის ფრიალი, ბოლობოლო, გამოიყვანს ავად, სახიფათოდ გაღიზიანებულ დათვს ზამთრის ძილიდანაც, მოთმინებიდანაც, ბუნაგიდანაც და თბილისში ამბები დატრიალდება, კალე მოგონილი იქნება, ჰეროდეს ძვლებსაც შეაწუხებს სამარეში ყრმათა მოსრვა ალესილი სასანგრე ნიჩბებითა და მხუთავი გაზის ხელყუმბარებით. ტანკების შეხმატკბილებული, შეთანხმებული გუგუნ-გრუხუნი კიდევ უფრო დააყრუებს ისედაც ყრუ ქვეყანას, უფრო სწორად, დიდი ხნით შეუბრუნებს სიყრუეს ძლივს ყურგამოჩიჩქნილსა და თვალში გამოხედილს. რვა აპრილს, ერთი წლისა და სამი თვის მერე, რუსთაველზე ტანკები შემოიჭრებიან, რაღა თქმა უნდა, "მშვიდობიანი" მისიით: დემონსტრანტების დასაწყნარებლად (დასაფრთხობად), ანდა, მათი სიმტკიცის, მათი მოუდრეკელობის მოსასინჯად (როგორც სონიამ მოსინჯა წინასწარ მომავალი მეუღლის შესაძლებლობანი). ქალაქის მეორე ნახევარში, მტკვარს გაღმა, ვიღაცა რომ იღრიალებს თავზარდაცემული - რუსთაველზე ტანკებიაო - აველუმიც გიჟივით გამოვარდება შინიდან, კარსაც არ გამოიკეტავს. გზადაგზა, სირბილში, ძლივძლივობით გაუყრის აცახცახებულ მკლავს კურტაკის სახელოში, რადგან ეკაეკატერინეკატო, თავისთავად ცხადია, მხარზე დროშაგადებული, იქ არის, რუსთაველზე, მთავრობის სასახლის წინ, შუა ზღვაში. გადმოხტება თუ არა მეტროს ვაგონიდან, შედგამს თუ არა ფეხს ესკალატორზე, მაშინვე დენთისა და კვამლის მწარე სუნი ეცემა სახეში (შეიძლება წარმოდგენილიც), ზემოდან, მიწიდან, მომავალი. გვირაბის შუამდეც არ იქნება მისული, წივილ-კივილი რომ ატყდება ზემოთ,

მიწაზე, სამზეოზე, საითაც თვითონ მიისწრაფის, და მომიჯნავე ესკალატორს, ესე იგი, ზემოდან ქვემოთ, მიწიდან ქვესკნელში მომავალს, დამფრთხალი, დაფეთებული, ერთმანეთში არეული, ერთმანეთში აზელილი, აჭყლეტილი ხალხი მოაწყდება და სახეგადაშლილი, საძრაობაწართმეული, აზრგამოცლილი, სტიქიის განუსჯელობით, დაუდევრობით გადაჰყვება ესკალატორს თავქვე, გადმოიზლაზნება, როგორც გატარებული ხორცის მასა გიგანტური საკეპი მანქანის ყელიდან. უწყვეტად, გაუთავებლად ჩაინთქმება ქვესკნელში, როგორც მღვრიე, ტალახისფერი ნიაღვარი, ანდა სულაც ტალახი. "გამატარე რა, ძია! გამატარე რა, ძია! გამატარე რა, ძია!" - დევნილი ნადირის სიშლეგით, თავგანწირულობით, სიბრმავით, მხოლოდ და მხოლოდ, გადარჩენის ჟინით შეპყრობილი - ჩაუქროლებს აველუმს თავზარდაცემული, სასოწარკვეთილი, უკვე სამუდამოდ დაშინებული პატარა ბიჭი, ვინ იცის, სეირის საყურებლად გამოსული შინიდან, და ერთი წუთით თვითონაც შეკრთება, წახდება, დაიბნევა - ბიჭს გაედევნება უნებურად, ქვესკნელისკენ, მაგრამ არც ისეთი იოლი აღმოჩნდება მისთვის ამ მეთოდით ქვესკნელში ჩაშვება, ანუ, საპირისპირო მიმართულებით მოძრავ კიბესთან ჭიდილი. თითქოს ჩარბის საფეხურებზე, მაგრამ მაინც იქ არის, ერთ ადგილზე, ადგილზე იტკეპნება, ადგილზე დაძუნძულობს, მოხუცი პენსიონერივით, დილის გამამხნევებელ ვარჯიშს ასრულებს თითქოს. გული კი უკვე ამოვარდნაზე აქვს - უდისციპლინო ცხოვრების თვალნათელი შედეგი, ჯილდო კილომეტრობით შესრუტული თუთუნის ბოლისა და ტონობით შეწოვილი ნებისმიერი ალკოჰოლური სასმელისთვის.

ბარძაყებზე ლამის დაასკდეს კუნთები. მაგრამ, როგორც კი სულის მოსათქმელად შეჩერებას დააპირებს, მაშინვე მაღლა, ცხოვრებისკენ, უკანვე მიაქვს ვერაგ კიბეს, როგორც ქარს - ხმელი ფოთოლი, როგორც მდინარეს - ხიდიდან გადაგდებული ცარიელი ბოთლი, ოღონდ აღმა სვლა რომ შეეძლოს მდინარეს, ქვემოდან ზემოთ, შესართავიდან სათავისაკენ. საბედნიეროდ, მალე მოდის გონზე და ახლა უკვე დარცხვენილი და შეწუხებული (ვინმემ ხომ არ დამინახა შემთხვევით?!), შემცბარი და ნირწამხდარი (ვერ გავხდი ვერაფერს!), და, თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ დაქანცულიც, საბოლოოდ ნებდება ბედისწერას, ანუ, მოძრავი კიბის ნებასურვილს, და მორჩილად მიჰყვება მიწისკენ, სამზეოსკენ, ხიფათის, განსაცდელის, შიშის, ელდის, სიკვდილის საუფლოში, სადაც, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, შვილი ეგულება, კანონიერი, პირველი, ჯერ მამობისა და მერე პაპობის მომნიჭებელი და, თავისთავად ცხადია, მისი ადგილიც მხოლოდ იქ არის, მკვდარი ააღწევს იქამდე თუ ცოცხალი.

ერთი მომცრო ტანკი განგებ ჩამორჩენია კოლონას, მეტროს სადგურის წინ შეყოვნებულა, ვითომ რაღაც გაჰფუჭებია და ვეღარ დაძრულა - სინამდვილეში კი, თავს იგდებს, უარესად აღიზიანებს დემონსტრანტებს - ადგილზე ღმუის, ღრიალებს, დაკბილული მუხლუხებით ფხოჭნის, გლეჯს ასფალტის საფარველს და მწარე კვამლის თეთრ ბოლქვებს ისვრის. დემონსტრანტები კი, აღგზნებულნი, აჩოჩქოლებულნი, აგანგაშებულნი, შეურაცხყოფილნი და მაინც ძნელად ასახსნელი, მაგრამ აშკარა მიზანდასახულობით ეხვევიან, როგორც ჭიანჭველები მომაკვდავ, ანდა თავმომკვდარუნებულ ხარაბუზას - აგინებენ, წყევლიან, დასცინიან, დროშის ტარით სცემენ, სანაგვე ყუთებს ესვრიან რკინის უგრძნობელ ურჩხულს, ხოლო ეკაეკატერინეკატო საერთოდ ზედ შეხტომია, ზურგზე მოქცევია და გამწარებული იქნევს თავსზემოთ მენშევიკების გადაგდებულ დროშას. *კიდევ ერთი ახალი ამბავი: სესილმა მოულოდნელად ამოყვინთა არარაობის ზღვიდან. სრულებით არ გამოცვლილა. ისევ მღერის ხალხურ სიმღერებს. პენსიაზეა და უნივერსიტეტში სწავლობს მაინც. მგონი აფრიკაში აპირებს წასვლას. ბარაქალა! ქალი ვარო, იმან უნდა თქვას. ამით ვამთავრებ ამ წერილს. არ დაგავიწყდეს, რომ მიყვარხარ! გვიყვარხარ. და გკოცნით და ერთხელ კიდევ გისურვებთ ყოველგვარ სიკეთეს.*

აპრილის ამბების შემდეგ, "სონიას საკითხმა" თავისთავად დაკარგა სიმძაფრე, თავისთავად გადაინაცვლა უკანა რიგებში და, რაც უფრო გაუკვირდა აველუმს, სონიას დანატოვარი სიცარიელე გაცილებით პატარა და უმნიშვნელო აღმოჩნდა საერთოდ სიცარიელის შეგრძნებასთან შედარებით. უსაშველო, მოუშორებელი სიცარიელით იყო გაჟღენთილი აველუმის მთელი არსება და ამას განწირულობის წინათგრძნობაც ემატებოდა ზედ, რაც არაფრით არ შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ბოლო დროს გადატანილი შიშისა და მღელვარების ნაყოფი, რამდენადაც ამ თითქოსდა ახალი, სინამდვილეში კი უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბებული, უკვე მკვეთრად გამოკვეთილი სენის სიმპტომებს აველუმი ადრეც ამჩნევდა, გაცილებით ადრე, ვიდრე მისი მეტოქე იმპერია საკუთარი კანიდან გამოძრომას დაიწყებდა, ვიდრე თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, მთავრობის სასახლის წინ, სანიმუშოდ დასჯიდა უიარაღო დემონატრანტებს, დანარჩენი მსოფლიოს კიდევ უფრო დასაფრთხობად და დასაშინებლად, და მართლაც, იმდენად გააოგნა დანარჩენი მსოფლიო ამ სანახაობამ, იმდენად გაუჭირდა აღქმა და დაჯერება იმისა, რაც საკუთარი თვალით იხილა, თავის გამოდებას, ისევ თავის გაბრიყვება ამჯობინა, ძნელად დასაჯერებელ სიმართლეს - იოლად დასაჯერებელი ტყუილი და, რაც მთავარია, უტყუარ ფაქტს ერთმანეთის გამომრიცხავი ვერსიები დაუპირისპირა, რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო დონეზე მოძიებული, "კომპეტენტური", "მაღალპროფესიული", "სწავლული" გვამებისგან შედგენილი კომისიების მიერ, რომლებიც ძირითადად ერთმანეთის მოსაზრებათა გაპამპულებასა

და გაბითურებას ახმარდნენ თავიანთ იმპერიულ ცოდნასა და გამოცდილებას, და, სინამდვილეში, თექვსმეტი წლის გოგოსა თუ სამოცდაათი წლის დედაბრის გვამს იგდებდნენ აბუჩად - გვამს არ უჯერებდნენ მართლა გაზით რომ იყო გაგუდული, ანდა მართლა მესანგრის ნიჩბით რომ ჰქონდა თავი გადახსნილი და თავიანთი ობიექტურობის დასადასტურებლად, დამატებით ცნობებს მოითხოვდნენ დაზარალებულთა ახლობლებისგან, დაზარალებულნი კი, რასაკვირველია, დამსჯელი რაზმის ჯარისკაცები გახლდნენ, საგანგებოდ ჩამოფრენილნი თბილისში, რომლებიც ბრწყინვალედ ჩატარებული ოპერაციის შემდეგ, კიდევ დიდხანს ეყარნენ გაბინძურებულ ტანკებს შორის, ჯერ კიდევ მოურეცხავ მოედანზე, დარბეულთა, გაქცეულთა ფეხსაცმელებსა, ხელჩანთებსა, დახოცილთა სისხლის გუბეებსა და საკუთარ ნარწყევში და გუნებაშიც არ უშვებდნენ (ამდენი ცოდნა არა აქვთ), ისტორიას რომ ეკუთვნოდნენ უკვე, უსახონი და უსახელონი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მეოცე საუკუნის მიწურულს, მაინც გადამლახავნი გონებრივი სიჩლუნგის, სულიერი სიმხეცისა თუ ხორციელი სისასტიკის ნებისმიერი ზღვარისა და, "ვაი დედიკოო", ღმუოდნენ კუჭამობრუნებულნი და სიცილით იხოცებოდნენ ერთმანეთის "წახდენის", ერთმანეთის "გულჩვილობის" შემყურენი - სულ რაღაც ნახევარი საათის წინ კი, მკაცრად, მტკიცედ, პროფესიული სიზუსტით ჩეხდნენ მშვიდობიან დემონსტრანტებს, მარჯვნივ და მარცხნივ, და გამოსწორების გზაზე შემდგარსა და მონანიე იმპერიას გზას უსუფთავებდნენ "გაუთვალისწინებელი წინააღმდეგობებისგან" და მარტო ამითაც, რაღა თქმა უნდა, პირნათლად მოიხადეს მათ თავიანთი ჯარისკაცული ვალი, ანუ, ბრწყინვალედ გაითამაშეს

ერთ-ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი ეპიზოდი იმ სპექტაკლისა, რომელსაც თავიდანვე, მსოფლიოს ყველა ენაზე, პირობითად "პერესტროიკა" შეერქვა; ეპიზოდი კი, თავის მხრივ, ნამდვილად შთამბეჭდავი გახლავთ: როგორც უკვე ვთქვით, გამოსწორების, გარდაქმნის გზაზე შემდგარი იმპერია იძულებულია თავი დაიცვას მისგანვე გაბრიყვებული, მისგანვე წაქეზებული, ნებაზე მიშვებული ხალხისგან, რომელმაც ბოლომდე წესიერად არც იცის თავისი როლი, რა ევალება, როდის როგორ უნდა მოიქცეს, ვის დაუჯეროს, ვინ გადათელოს და ვის გაეგოს ფეხქვეშ ფიანდაზად; რაც მთავარია, ეს ეპიზოდი დრამატურგიულ მიგნებადაც შეიძლება ჩაითვალოს - მკვლელი მსხვერპლისგან იცავს თავს, უფრო სწორად, მკვლელი მსხვერპლის გადარჩენას ცდილობს, ის კი (მსხვერპლი), საკუთარ სიბრიყვესა და ამპარტავნობას ეწირება მსხვერპლად - მკვლელს რომ ჩირქი მოსცხოს დანარჩენი მსოფლიოს თვალში, შავ ბაზარზე მამასისხლად შეძენილ "სიე-ე-სის" ბალონს, მაინცდამაინც, მაშინ ისხურებს სახეში, როცა მკვლელი მის დასახედად - ამდენი ხნის ნაშიმშილევსა და უძინარს, რამე ხომ არ უჭირსო - ტანკებით გამოდის რუსთაველზე, მშრომელი მოსახლეობა არ შევაწუხოო, მკვლელობისთვის ყველაზე საუკეთესო დროს, გამთენიის წინ, ცოტათი ადრე, ვიდრე ჩიტები აჟივჟივდებოდნენ პროსპექტის ჭადრებზე, მეეზოვეები კი თავიანთი გაფშეკილი ცოცხებით მოედებოდნენ ქუჩებსა და მოედნებს; კიდევ უარესი - შინ წასვლა, ხელ-პირის დაბანა და ადამიანურად ლოგინში ჩაწოლა არ მაიძულოსო, ხელიდან გლეჯს იმას (მკვლელს) სამართებელივით ალესილ ნიჩაბს და, ეს პატარა სიამოვნებაც რომ წაართვას, თვითონ იცემს თავში

ორივე ხელით, გამეტებით, აბა ახლა ვნახოთ, როგორ გადამარჩენო; მაგრამ ერთი რომ იყოს ასეთი დამთხვეული, კიდევ მოევლებოდა რამენაირად - საუბედუროდ, ყველა ერთნაირია, მთელი ზღვა დგას მოედანზე ერთნაირად დამთხვეულებისა (სხვათა შორის, მათ შორისაა ეკაეკატერინეკატოც) - შეჯგუფული, შეტბორებული სხეულების ზღვიდან რომელიმე მათგანი ამოსხლტება ხოლმე უნებურად, დევნილი თევზივით, და თანამოაზრეთა, თანამებრძოლთა თავებზე გარბის თავზარდაცემული - სიკვდილს გაურბის თავისი ჭკუით - მაგრამ უკვე გაზნაყლაპი, უკვე ყურებაწივლებული, უკვე ყელდახშული, თანამებრძოლთა, თანამზრახველთა ზღვაში "იძირება", ჰაერშივე, წამიერი გაფრენისას მკვდარი, საგნის მოუქნელობითა და უგრძნობელობით ეშვება ასფალტის ფსკერზე, თანამებრძოლთა, თანამზრახველთა ფეხებით დაჩეჩქვილ-დალილავებული უკვე სიკვდილის შემდეგ... და მაინც, რასაკვირველია, მარტო ცხრა აპრილის გამო არ ტოვებს ხალხი მარჩენალი პარტიის რიგებს - განა ცხრა მარტის შემდეგ ვინმე გამოვიდა პარტიიდან?! იმიტომ რომ, მაშინ არაფერი სჭირდა სახელმწიფოს გარდასაქმნელი და არავითარი მსგავსი მითითება არ ყოფილა ზემოდან. დღეს კი ცხოველური გუმანითა ვგრძნობთ, დრო შეიცვალა და შეიცვალა მაღლა მსხდომთა გუნება-განწყობილებაც. ის კი არა, ჩვენი მიუხვედრელობით გამწარებული ხელისუფალნი სიფრთხილის გრძნობასაც კარგავენ ხანდახან და აშკარად უპაჭუნებენ თვალს ყოყმანა, გაუბედავ "მეამბოხეს", რომელსაც ერთი ხელი კი ჩაუყვია ჯიბეში პარტმანდატის ამოსაღებად, მაგრამ მეორე მაღლა აუწევია, ყოველ შემთხვევისთვის, ოღონდ, თვითონაც

არ იცის, რას თხოულობს - კიდევ ცოტაოდენ დროს, საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, თუ საბოლოო სიტყვას. არადა, მგონი მართლდება პარიზელი პითიას წინასწარმეტყველება. თუ ეს იმპერიაც რღვევადია, მაშინ შეგვიძლია ქართულ წვლილზეც ვილაპარაკოთ. კარენ დანკოსი ელენე ზურაბიშვილი ყოფილა, მაგრამ რაკი თავად მალავს ვინაობას, ჯერჯერობით, ჩვენც თავი შევიკავოთ გენეტიკური კვლევა-ძიებებისგან. სამაგიეროდ, მსოფლიო ეკრანებზე წარმატებით მოგზაურობს სხვა ქართველი, არც მეტი და არც ნაკლები, ერთადერთი რუსთაველი რუსთაველის შემდეგ, სულმნათი შოთას ერთადერთი მოგვარე მთელი რვა საუკუნის მანძილზე, - სახელგანთქმული რეციდივისტი, მოუხელთებელი კონტრაბანდისტი და სწორუპოვარი ბანდიტი, რასაკვირველია, თავად იმპერიის თანხმობითა და უანგარო კონსულტაციებით შობილი, რასაკვირველია, არაფრისმცოდნე მსოფლიოსთვის სწორი, ობიექტური წარმოდგენის შესაქმნელად ოდესღაც მის მიერ ცოცხლად გადასანსლული ხალხის საბრალო ნარჩენებზე. "კომუნისტის" პირველ გვერდზე კი დავითის ფრესკაა დაბეჭდილი. გიხაროდენ! მალე ინდიგოს რეზიდენციის წინ აღიმართება დიდი მეფის ძეგლი. წარმოგიდგენიათ, რას მოვესწარით?! გვიხარია, არკი გვჯერა. არა. პირიქით. გვჯერა, მაგრამ არ გვიხარია. სიხარულის უნარი დაგვიკარგავს ჩვენდა უნებურად. კი გაიძახიან ჩვენი გარდაქმნილი ჟურნალისტები, როგორც იქნა ვძლიეთ შიშსო, მაგრამ ტანკის ჯოხით ცემა, უშიშრობაზე მეტად, მაინც ჩვენი უძლურების, ჩვენი უსასოობის გამოხატულებაა და უმალ საგონებელში გვაგდებს (უნდა გვაგდებდეს), ვიდრე საბრძოლველად აღგვაგზნებს. სამაგიეროდ,

კოოპერატივი "მენდე" ისეთ ელექტრონულ სიგნალიზაციას გვთავაზობს, რომლის წინაშეც ნებისმიერი ავტოგამტაცებელი მოწიწებით მოიხრის ქედს. შეიძინეთ და გიხაროდენ! ანდა, პირიქით, გიხაროდენ და შეიძინეთ! და მაინც, სიფრთხილეს თავი არ სტკივა - სარფის კარი გახსნილია - წინ წარსულია! ლათინური ამერიკა მოგონილი იქნება. ამიტომ, ერთ რამეზე წინასწარ უნდა შევთანხმდეთ, როგორც ცივილიზებულ ხალხებს ეკადრება: ლაპარაკი არ გვინდა, ფული ამოიღე! თუ ისევ ქესატად ვიქენი, გარდაქმნას რა აზრი აქვს მეთქი, მე თქვენ გეკითხებით. დაე, "დინამოს" "იბერია" ერქვას, მაგი პატრონი დედაც. თუ გარდაქმნაა გარდაქმნა იყოს. საბჭოთა კავშირის მოქალაქეობაზე უარი თქვა და საბჭოთა ხელისუფლებას უნდობლობა გამოუცხადა უკვე 70642 კაცმა. მაგრამ ბევრია ეს თუ ცოტა? თუკი გავითვალისწინებთ, რომ... მაშინ, რასაკვირველია, ბევრია. ხოლო თუ გავითვალისწინებთ, რომ... ჰმ, ჰმ... მაშინ - ძალიან ცოტა. ყველა თავისას ჭედავს კიდობანს. ტაშკენტის შვიდში კი მართლაც რომ მუმიის მოთმინებით ელოდება მუშტარს კოოპერატივი "მუმია". მომსახურება უმაღლეს დონეზე და ყველასთვის ხელმისაწვდომ ფასებში. გუშინდელ ჩვენს ბალზამმახერებს, თურმე, ისიც არ სცოდნიათ, სხვადასხვა სენით გარდაცვლილთა შესამურად სხვადასხვა შედგენილობის წამლები რომ გამოიყენება. მართლაც, სად გრიპითა და სად კიბოთი მკვდარი! თქვენი გამკვირვებია.

***ტაშკენტის შვიდში ძველებურად შფოთავს "მუმია", სიჩუმეაო, რომ ამბობდით, ეს სიჩუმეა?!***

ამიტომაც, დღეს თუ არა - ხვალ, ხვალ თუ არა - ზეგ, უეჭველად განიპობა პირი მიწისა და ბნელს ორმოში შთაინთქმება არა რომელიმე უიღბლო გამვლელი, ანდა თუნდაც გამვლელთა ჯგუფი, არამედ მთელი ქალაქი, ქალაქები... ციდან გულგახეთქილი ჩიტები ცვივიან, თანამედროვე მადონა კი წვივსაკრავებს დააჟღარუნებს სცენაზე. მე თუ მკითხავთ, ამაზრზენი სანახაობაა. მუსიკალური სექსის გაკვეთილები კევიღეჭია ყმაწვილებისთვის. ვაშლის რომელი ნახევარიც არ უნდა დაუმალო ბავშვს, ერთნაირი თავგამოდებით დაუწყებს ძებნას, ანუ, ერთნაირად გაირყვნება, აქ იქნება თუ იქ, რადგან რაც აქ აკრძალულია, იქ ნებადართულია და პირიქით. მოიხსენით ნიღბები, თქვე უსინდისოებო. გეყოთ, ბრიყვთა გაპამპულება!

*საქართველოში სუფევს მშვიდობა -*
*ყველა თავისას ჭედავს კიდობანს.*
*საქართველოში სუფევს მშვიდობა,*
*კაცის კვლა, შულლი, სიძვა, ფლიდობა...*
*საქართველოში სუფევს მშვიდობა.*

და, მაინც, გიჟპოეტები ცალკე! ერთმწკრივად! საბედნიეროდ, იმათი დროც წავიდა. მაინც დიდხანს იბოგინეს. მართლა ილახება თუ არა რესპუბლიკის ინტერესებიო - კითხულობს "კომუნისტი". მე ვუპასუხო, თუ თქვენ უპასუხებთ? პოტოს აზრით, დავითი ჯერ კიდევ ძალ-ღონით სავსე გარდაცვლილა, მაგრამ გინდაც ღრმა სიბერემდე ეცოცხლა, განა რამე გვეშველებოდა?! საქართველოდან ფერეიდანში ას ორმოცდაათი ათასი კაცი გაასახლეს ძალით, ფერეიდნიდან საქართველოში კი ნებაყოფლობით ას ოცდაორი კაცი დაბრუნდა მხოლოდ. ჩურჩხელის გავლება დედას უსწავლებია იქ, ფერეიდანში. აქ რა ისწავლა, იმას მალავს. რცხვენია. ჩვენმა შეუპოვარმა ჟურნალისტებმაც ვერ ათქმევინეს. სამაგიეროდ, აბორიგენი მრავალშვილიანი დედა ა.დ. კვლავაც მზადაა ახალი სიცოცხლის გასაჩენად. აი, რას წერს გაზეთი ამის თაობაზე (აზრი არა აქვს გაზეთისა და სტატიის ავტორის დასახელებას, რადგან არაფრით განსხვავდება ნებისმიერ სხვა გაზეთში გამოქვეყნებულ ნებისმიერ სხვა სტატიისგან, ამ საკითხთან დაკავშირებით. ორთოგრაფიული შეცდომებიც კი იგივეა, გეგონებათ, პირი შეუკრავთო). მაგრამ, ასეა თუ ისე, ცხოვრება გრძელდება. მტერი ვერ იხარებს ჩვენზედა. ვერა, ბატონო, ვერა! აგერ დაიმახსოვრეთ ჩემი სიტყვა. რაკი გადაუწყვეტია, უფრო სწორად, რაკი შეუგნია თავისი დანიშნულება, ახლა სადილსაც გააკეთებს (აგერ ნახავთ) და ბავშვებსაც მიხედავს. აღარ მიყრის უპატრონოდ (არა, მეთქი!), როგორც აქამდე ჰყავდა მიყრილი, იმიტომ კი არა, აქამდე გული რომ არ უკვდებოდა საკუთარი შვილების საცოდაობით, უბრალოდ, არ იცოდა, ეს რომ

ევალებოდა - ბავშვის დაბანა, დაპურება, დაბინავება. ცხრა აპრილმა აუხილა თვალი.

*ადრე მცოდნოდა, ჰაი დედასა!*
*შევე შვებოდი ტრაკის ქნევასა-ო,*

ღიღინებს ახლა ლამბადას ხმაზედ. დღეს გლოვის ზარი დგას საქართველოში, მაგრამ მაინც ნუ ავყვებით ჭორებს. იქნებ როგორმე შევიკავოთ თავი. არადა, ყველა ჭორაობს. ვიღაცას სკანდინავიაში გაუხიზნია შვილები, ეროვნულ მოძრაობაში არ ჩაითრიონ ცუდმა ბიჭებმაო. რომელიღაც სანატორიუმის ტერიტორიაზე დამსვენებელ დედა-შვილს მცირე კალიბრიანი, ასე ვთქვათ, გასართობი შაშხანით ერთი კვირის განმავლობაში 128 ციყვი, 97 კაჭკაჭი, 84 შაშვი, 72 გვრიტი, 38 გუგული, 12 ბუ და 6 ბოლოქანქარა დაუხოცავს. ცამეტში რომ მიწა იძრა, ესეც სრული სიმართლეა, ოღონდ ღმერთისგან იყო თუ გორბაჩოვისგან, არ ვიცი და არც მინდა ვიცოდე. მიეცით ის ამას სამასი, იმას - სამი და ვისაც გინდათ, იმას წააკითხეთ უკუღმა. გაჭირვებისას დაურეკეთ "ავღანელებს". თუმცა, ჩვენი ტელეფონის ამბავი რომ ვიცი, შეიძლება, ტამბოველები შეგრჩეთ ბოლოს ხელში. ალო, ოლა! ოლა, ალო! (ესეც უკუღმა იკითხება). მეგობრულ-ინტერნაციონალური მიწისძვრის ეპიცენტრი თურმე ჩეჩნეთ-ინგუშეთის საზღვარზე მდებარეობდა, თბილისიდან მხოლოდ ას კილომეტრზე. მსხვერპლი და ნგრევა არ არის. მტყუანს? მტყუანს კარგი სადილი, რასაკვირველია, ღვინითა და თავისი ყველაფრით. იცით რას სწერს ახალგაზრდებს ერთი მხცოვანი უფროსი მეცნიერ-მუშაკი ერთ ძირგავარდნილ გაზეთში? გაუაზრებელმა შემთხვევამ იმსხვერპლა ჩვენი ახლობლების სიცოცხლეო. წარმოგიდგენიათ? "გაუაზრებელი" შემთხვევა ყოფილა ერთკვირიანი მიტინგი, ერთკვირიანი შიმშილობა, ერთკვირიანი კბილთა ღრჭიალი, ერთკვირიანი "გამო თუ ბიჭი ხარ" და "მოდი, დაგხვდები". მხცოვან უმცროს მეცნიერმუშაკს

გაუთვალისწინებელი შემთხვევა ჰგონია, სამანქანო კატასტროფასავით. რომელი მეცნიერების მუშაკია ნეტავი თავად? კი მაგრამ, ის მაინც ვერ გაიგო, წინა დღითაც რომ ჩაატარეს რუსთაველზე ტანკები? გასაფრთხილებლად. დასაშინებლად. აკი მომიტინგეებმაც წინასწარ დაიჭირეს თადარიგი, ტანკების მომავალი ვიზიტისთვის! მოზიდეს ბეტონის ბლოკები, საბარგო მანქანებითა და ტროლეიბუსის ვაგონებით ჩახერგეს მომიჯნავე ქუჩები. მოემზადნენ ომისთვის. ჯერ კიდევ წინა დღეს, ერთმა განგებ ჩამორჩენილმა ტანკმა მთელს პროსპექტზე დააყენა ომის სუნი. ეკაეკატერინეკატო ზედ შეახტა დროშიანად. ვიღაცეებმა მგონი კაბინაშიც მოახერხეს ჩაძრომა. რაც რუსთაველზე სანაგვე იდგა, ზედ დაამხეს. მაგრამ მაინც "გაუთვალისწინებელი შემთხვევა" აღმოჩნდა ბევრისთვის ის, რაც მეორე დღეს მოხდა. اااااا

ერთად", ქალაქგარეთ გაუსეირნიათ და ერთ-ერთი ბიჭუნას მშობლების აგარაკზე (გაზეთში მითითებული არ არის არც მშობლების ვინაობა, არც აგარაკის ადგილ-სამყოფელი), თეთრად გაუთენებიათ არა მარტო საქართველოსთვის, არამედ მათთვისაც ისტორიული ღამე და რამდენიმე მომდევნო ღამეც - ტანკების გრუხუნისა შეშინებიათ (მოუკვდათ დედიკოები!) და ვერ გაუბედავთ ქალაქში ჩამოსვლა (ან წყნეთიდან, ან კოჯრიდან, ან კიკეთიდან). აგრეთვე მიტინგზე ეგულებოდა თავისიანებს და, ყველასათვის მოულოდნელად, როსტოვიდან ჩამოვიდა, ორი დიდი ჩემოდნით, ერთი ხანდაზმული მანდილოსანი. მოწამვლის მიზეზთა გამომკვლევი კომისია კი გულმოდგინედ იკვლევს უკვე გამოკვლეულს და, როგორც გვპირდება, ყოველ ორ კვირაში გამართავს სხდომებს. ესე იგი, ხანგრძლივი დროითაა გათვალისწინებული გამოძიება იმისა, რაც გამოძიების დაწყებამდეც ცნობილი იყო. აბა თუ გვიპასუხებთ, რა უფრო ძნელია: სიმართლის დადგენა თუ სიმართლის თქმა? ნუ ავჩქარდებით. მივიხედ-მოვიხედოთ ირგვლივ. ეშმაკს არ სძინავს. აი, მაგალითად, საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან არსებული საზოგადოებრივი სამედიცინო საექსპერტო კომისია (მათივე მოგონილი სახელწოდებაა), ჯერაც კვლავინდებურად სწავლობს ცხრა აპრილს დაშავებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, ანუ, ძირითადად სტატისტიკას აწარმოებს: შემოვიდა ამდენი (მათ შორის, სხვათაშორის, ეკაეკატერინეკატოც, ოღონდ სხვა გვარით - გვარი შეიცვალა - თავისიანები რომ დაეზოგა, ანდა დაესაჯა უარესად. მიდი და გაარკვიე), გაეწერა ამდენი, საცხედრეშია ამდენი. ჯერჯერობით, რასაკვირველია.

გელოდებით. მობრძანდით. ბოლო-ბოლო მაინც მოხვალთ, რამდენიც უნდა იმალოთ. თქვენ როგორ გგონიათ, მოცლილნო მკითხველნო, მარტო აბორიგენი ექიმები მონაწილეობენ კლინიკური დიაგნოზის დადგენასა და მკურნალობის წარმართვაში? (ამის თქმა ერთი სიტყვითაც შეიძლებოდა, მაგრამ მაშინ რითი გინდა შეავსო გაზეთი), ნურას უკაცრავად! დამნახავი და დამფასებელი მათ შორის სსრ კავშირის ჯანდაცვის სამინისტროს ლენინგრადის ჰიგიენისა და პროფპათოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელსა და მოსკოვის მწვავე მოწამვლათა მკურნალობის საკავშირო ცენტრის უფროს მეცნიერ მუშაკს, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატსაც დაინახავს (ჟურნალისტებს კი ვსაყვედურობთ, მაგრამ მარტო ამსიგრძე წოდების დამახსოვრება არ გინდა?!). სუნი იკრეს თუ რაშია საქმე? რას ჩამოცვენილან თბილისში ამ დილაუთენია? მაინცდამაინც, ცხრა აპრილს! იმიტომ რომ, მაინც მოსკოვსა ვართ მიჩერებულნი ერთ ადგილას. ძლიერია ორასწლოვანი ტრადიცია. შთამომავალნი მლიქვნელი ქართველი თავადისა ახლაც მზად ვართ! არც მწვადს დავწვავთ, არც შამფურს. მართალია, დაგვხოცეს, მაგრამ დაუდგენელმა პირებმა დაგვხოცეს (ჯარისკაცს საერთოდ არა აქვს სახელი), როცა დადგენილი და საქვეყნოდ ცნობილი პირები გაჭირვებაშიც თავზე გვადგანან. ჩვენ კი, უმადურები, დაუნახავები, მაინც ვიხოცებით. მკურნალობის მიუხედავად, ავადმყოფის (თუ მსხვერპლის?) გადარჩენა ვერ მოხერხდაო - წერს მაგალითად "თბილისი", უფრო რუსი სპეციალისტების გაწბილებით შეწუხებული, და მართლაც, რას იტყვიან ჩვენზე? რას ვიმსახურებთ? დილაუთენია

ჩამოფრინდნენ, ვინ იცის, თითო მათლაფა ხაშის შეხვრეპაც ვერ მოასწრეს წესიერად, მაშინვე ხელები დაიკაპიწეს, ჩვენი მატრაკვეცა გოგოები კი გონზე მოსვლასაც არ კადრულობენ, თვალი მაინც რომ შეავლონ სიკვდილის წინ, რამხელა ავტორიტეტი ადგათ თავზე. ავადმყოფს დაუდგინდა გამღიზიანებელი ნივთიერებებითა და კომპონენტებით გამოწვეული მძიმე ხარისხის მწვავე მოწამვლა, სხეულის მრავლობითი (?) დაჟეჟილობა (ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, რა დროს ენის სიწმინდის დაცვაა, თავი ვერ დაგვიცავს), ფილტვების შეშუპება, პროგრესირებადი მიოკარდიოდისტროფია, მაკროჰემატურია და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ. ამბულატორიული დახმარება აღმოუჩინეს ამდენს, სტაციონარებში მოათავსეს ამდენი, მკურნალობას განაგრძობს ამდენი, საცხედრეები ცხედრული მოთმინებით ელოდებიან მსურველებს. მაგრამ როგორც არ უნდა გაგვიჭირდეს, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ზემოთ უკვე აღნიშნულის გარდა, ნახმარია დღემდე უცნობი მომწამლავი ნივთიერებაც. სამხედროები პირმოკუმულნი სდუმან. მტკიცედ ინახავენ სახელმწიფო საიდუმლოებას. ექიმები კი გულში კროჭინობენ - რაკი შედეგი ერთია, პრესტიჟისთვის, ნაცნობს ისევ უცნობი სენი სჯობს. სამაგიეროდ, განგებითა და ლოცვა-კურთხევითა ღმრთისაითა საკათედრო ტაძარი აშენდება თბილისში. ადგილი, სადაც ტაძარი წამოიმართება, წრითაა შემოხაზული სურათზე, მაღლა, მარჯვენა კუთხეში. რაკი ვერ ვშველით ხორცს, იქნებ სული მაინც გადავარჩინოთ. თუ იქნება, ეს იქნება ნამდვილი სასწაული. იქნებ! ვინ იცის. მით უფრო რომ, უცხოეთი თურმე დიდ ყურადღებას უთმობს ცხრა აპრილის

ამბებს. ბატონი მარლენი ადგილს ვერ პოულობს თურმე თეთრი სახლის კედლებში. არ ვიცი, რას ვუზამ, თუ დადგინდა დამნაშავის ვინაობაო - ეუბნება თურმე პირად პარიკმახერს. მაგრამ კომენტარისგან მაინც თავს იკავებს, რადგან საბჭოური კომისიებისა არ იყოს, იმასაც არ გააჩნია თურმე საამისოდ საჭირო დამატებითი მასალა, ესე იგი, სპეციალური დამსჯელი რაზმის გასამართლებელი საბუთი - გაბზარული ფარი, ჩაჭეჭყილი მუზარადი თუ ტყვიით დაბეგვილი ჟილეტი. მოუგროვებენ და ჩაუტანენ, მაგრამ იქამდე ვირი ხეზე გავა. ანდა თავად ბატონი მარლენი გამოვა თეთრი სახლიდან. არადა, ლეშის სუნნაკრავი, გაღიზიანებული და გააქტიურებული სოვეტოლოგები ერთხმად გაიძახიან, ნაციონალიზმი კომუნიზმის უკანასკნელი სტადიააო. მათ პირს შაქარი და მაინც ვიჩქაროთ კომუნისტურ შაბათობაზე, ბატონო ამხანაგებო, ანდა, თუ გნებავთ, ამხანაგო ბატონებო. პატივი მივაგოთ ლენინის დაბადების 119-ე წლისთავს, როგორც ქართველებს გვეკადრება, ყველაზე პურმარილიან ხალხს მთელს დედამიწაზე და ყველაზე მაგარ მეომრებს, იმიტომ რომ, ვინც კი იარაღს მოკიდა როდისმე ხელი, ყველამ ჩვენ გადაგვიარა. ამაზეა ნათქვამი, მგლის თავზე სახარებას კითხულობდნენ, იმას კი მაინც ტყისკენ ეჭირა თვალიო. კუზიანს სამარე გაასწორებს მხოლოდ, ბატონო ამხანაგო კუკური (ილიკოვიჩ). ამბობენ, ერთი-ორი წელი მაინც დასჭირდება სიმართლის გარკვევასო. ხომ არ გებევრებათ? მე არ ვიცი, რითი აიხსნება ჩვენი ხალხის ასეთი სულწასულობა, თითქოს ერთი დღე არ ეცხოვროს უსიმართლოდ, მაგრამ არც მე და არც თქვენ არაფერი გვეტკინოს იქამდე, ვიდრე სიმართლე გაირკვეოდეს. აჭარაში სტიქიური უბედურება

გრძელდებაო, მართალია? მართალია. ეგ მართალია. უფრო სწორად, ეგ ადვილი გასარკვევია, რადგან მარტო ღმერთია დამნაშავე, სხვა არავინ, არც ადგილობრივი, არც რესპუბლიკური და არც საკავშირო მასშტაბით. ფეხმძიმე ქალი ვერ ასულა ვერტმფრენში, თოკის კიბეზე ვერ აცოცებულა თავისი მუცლით და, აირტონივით, მარტო დაუტოვებიათ თუნუქისა თუ შიფერის პაწაწინა კუნძულზე, რომელიც ჯერ კიდევ გუშინ მათი მამა-პაპური სახლის სახურავი იყო მხოლოდ. ღმერთი უშველის. ვინ იცის, იქნებ მხოლოდ იმ "კუნძულზე" გადარჩეს სიცოცხლე, სათავე დაედოს ახალ ცივილიზაციას. ადამიანი ყველაფერს ეგუება. გარემოება ქმნის შეგნებას და სხვა მრავალი. დაპატიმრებული არიან ეგრეთ წოდებული არაფორმალური ორგანიზაციის ლიდერები. დაიწყო საქმის გამოძიება. მაგრამ ერთხელ კიდევ თავისთავად იბადება კითხვა: სად არიან მკვლელები? ბოდიშით. მე რა ვიცი. მე რატომ მეკითხებით? მე ერთი პროვინციელი ბიჭი ვარ, თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტი. ბევრი არაფერი გამეგება. ასე იგი, ინსტიტუტში შევვარდი. აბა, სად დავმალულიყავი? სახლი არა მაქვს და კარი. მაგრამ იქაც შემომყვნენ. მესამე სართულამდე მსდიეს. ცოტაც და მართლა გამისკდებოდა გული. მერე ჰაერში ცუდი სუნი დადგა უცებ. თვალები და ყელი ამეწვა რა. ჯერ ისე, კერიასთან რომ ამეწვებოდა ხოლმე, სოფელში, ფუტი თუ გადამცდებოდა შემთხვევით, შენ ხარ ჩემი ბატონი. სხვათა შორის, პირველად მაშინ გამახსენდა ის ჩემი კერია. დახატულივით დამიდგა თვალწინ. მერე არაფერი მახსოვს. გამიშვით შინ და პირობას ვდებ, საერთოდ აღარ ჩამოვალ თბილისში. დედის ხათრით ვარ აქ, თორემ რა მემსახიობება, ჯერ არც ვყოფილვარ თეატრში. მე კი

ჯავშანტრანსპორტიორი გამომეკიდა, ჩემანალა. აბა, მე თუ მკითხავთ, ქაჯი ვერ გაარკვევდა, სად არ ჯობდა ყოფნა, შენობაში თუ ქუჩაში. მე, მაგალითად, შინ მოვიწამლე, საკუთარ ლოგინში. ძილში. რუსთაველზე ვცხოვრობ და ღამით სარკმელი ღია მაქვს ხოლმე. ორსულად ხარ ალბათო, ამიჩემა დედაჩემმა, აბა, რა ჭირი გეცაო და, ამ დროს, იმასაც წამოაზიდა. გარეთ კი, "კომუნისტის" ენით რომ ვთქვათ, გაზაფხულია და ფრინველთა გალობა - ეს გაღვიძებული ხმაა დედამიწისა (ალბათ უნდა იყოს, გაღვიძებული დედამიწის ხმააო). აბა, ვინ გამოიცნობს, რა ნიშნითაა გაერთიანებული ამ ლირიულ ეტიუდში დედამიწა და ჩიტის ჭიკჭიკი? ვითომ, რითი იქნებოდა ნაკლები, დავუშვათ, იმავე დედამიწისა და რუსთაველის პროსპექტზე დესანტის ამონარწყევის გაერთიანება? მაგრამ სჯობს ისევ ფოტო-პოეტს მოვუსმინოთ: გაზაფხულია, ჟამი ცოცხალ ორგანიზმთა გამოღვიძებისა (აბა, მკვდარი ორგანიზმი რომ გაიღვიძებს, ისე გაიღვიძა ჩვენმა მტერმა), კაცთა, ცხოველთა, თევზთა, ფრინველთა და მცენარეთა თესლთა გადმოფრქვევისა. ვინ შეიძლება არ იყოს შეყვარებული დღესო - კითხულობს ფოტო-პოეტი - მარტოსულად გრძნობდეს ამ დროს თავსო? ვინ და, ვთქვათ, საბჭოთა არმიის ჯარისკაცი და ქართველი გოგონა. ერთი კლავს, იმიტომ რომ ყველაფერი სძულს, მეორე კი იმიტომ კვდება, იმასაც ყელში რომ ამოუვიდა ყველაფერი. რა ხერხებს არ მიმართავს მდედრი მამრის მისაზიდად, სახეობის, ჯიშის, გვარის, ხასიათის, თვისების, ფერის, სურნელების, ხმის, აზრის, ფიქრის, ოცნების, ვნების, გრძნობის გასაგრძელებლადო - აგრძელებს ფოტო-პოეტი - საწყალი თბილისელი გოგო კი არწყევს, ჭადრის ძირას წაკუზულა, თავი ლამის

გაუსკდეს, გული უღონდება, ჰაერს ვეღარ ყლაპავს, ყელი ჩასწვია, გრიგალისებური ძალით ბრუნავს მუცელში ტკივილის აწყვეტილი ზამბარა. რუსი ჯარისკაცი კი ისე აჰყოლია გადმონთხეულ სიძულვილს, გასაყიდად გადამალულ გაზის ბალონსაც ესვრის გაქცეულთა ზურგებს. ბალონი ჰაერშივე სკდება და მხუთავი გაზის ნაცრისფერი ურჩხული ამაზრზენად იგრაგნება მთელი პროსპექტის სიგრძეზე. შენ კი, კიდევ ერთი გაზაფხულის უშუალო მონაწილე, მაინც ბედნიერად თვლი თავს, თუმცა, შენცა და შენი მეუღლეც ჯერ კიდევ ლეკვდაკარგული მგლებივით დაძრწით გამოცარიელებულ ქალაქში, მაგრამ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, თქვენი ლეკვი არც დაღუპულთა და არც უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შორისაა მოხსენიებული. შენ ჯერ კიდევ გაოცებული ხარ გაფრენის იმ დაუოკებელი სურვილით, შენმა შვილმა რომ გამოამჟღავნა, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცა. უფრო ზუსტად, როგორც კი შეიტყო - რა თქმა უნდა, შენგანვე - ამგვარი რამ შესაძლებელი ყოფილაო, მაშინვე თანამზრახველად გაგიხდა. არადა, იქამდე, ყველანაირად უმალავდი შენს განზრახვას. უფრო მეტიც - უიმისოდ აპირებდი გაფრენას, რადგან დარწმუნებული არ იყავი, მართლა თუ შესძლებდი ჩანაფიქრის აღსრულებას, ანუ, მსხვერპლად თუ არ შეეწირებოდი საკუთარ სიგიჟეს. თუმცა, მთავარი მიზეზი მაინც სხვა იყო - უფრო მარტივიც და უფრო ნათელიც. თავად, რა თქმა უნდა, მონობას სიკვდილი გერჩია დაუფიქრებლად, მაგრამ შვილზე ასე ვერ იფიქრებდი. შვილი დე მონა ყოფილიყო, ოღონდ ეცოცხლა. მაგრამ გაფრენის ჟინით შეპყრობილი შვილის სახე რომ იხილე, მღელვარებისგან

ათრთოლებული მისი ხმა რომ მოისმინე, უყოყმანოდ გადაწყვიტე, არავითარ შემთხვევაში აღარ დაგეტოვებინა ამ აქოთებულ ლაბირინთში. ჩემზე ძალიან ამას სდომებია გაფრენაო - ფიქრობდი ერთდროულად შეძრწუნებულიცა და გაბედნიერებულიც. მაგრამ გაფრენა გართობის სახეობა არ უნდა ყოფილიყო იმისთვის, შვილისთვის, ჯერ კიდევ ზრდადაუმთავრებელი ყმაწვილისთვის, რომელსაც ერთდროულად ეზრდება ყველაფერი, ყველა ნაკვთი თუ ასო ერთდროულად ეწევა გარეთ და მაღლა, ახალი სივრცეებისკენ. სივრცე კი ისევე იზიდავს ადამიანს, როგორც ძაღლს - სისხლიანი ხორცის ნაჭერი. მაგრამ სისხლიანი ხორცის ნაჭერი, შეიძლება თავად აღმოჩნდეს, თუკი სურვილი თანდათანობით თვისებად არ გადაიქცა. ხოლო, მას შემდეგ, რაც შენ და შენი შვილი თანამზრახველები გახდით, იმდენად შეიკუმშა, იმდენად დაპატრავდა თქვენს გარშემო სივრცე, ადვილად შეიძლებოდა, სურვილი თვისებად მოგჩვენებოდათ. უფრო სწორად, იმას მოსჩვენებოდა, შვილს, უმწიფარს, გამოუცდელს, მოუთმენარს. ტყვეობიდან თავის დაღწევის ჟინი და თავისუფლებისკენ სწრაფვა ერთი და იგივე არ არის, რამდენადაც ტყვეობა მოთხოვნილებათა და მიდრეკილებათა შეზღუდვაა დროის გარკვეულ მონაკვეთზე, რაც თანაბრად აუტანელია ნებისმიერი სულიერი არსებისთვის, როცა თავისუფლება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანური სულის თვისებაა და ეს თვისება ან დროულად არ უვითარდება, ან დროზე ადრე გადაუგვარდება ხოლმე ამა თუ იმ ადამიანს, ოღონდ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, თუნდაც ჩანასახად, არ არსებობდეს ნებისმიერ ადამიანში. მაგრამ აველუმიც თანამედროვე პედაგოგიკის გზას

რომ დასდგომოდა და შვილის განათლებაზე მეტად, შვილის გაეშმაკებაზე ეფიქრა, უფრო "პოპულარული" ენით ელაპარაკა მასთან, ალბათ ისიც უკეთ გაერკვეოდა, როდის როგორ მოქცეულიყო. თუმცა, იმდენად პატივმოყვარე გახლდათ (ესეც საერთო თვისებაა დღევანდელებისა), ერთხელაც არ წამოსცდენია, ვერ გავიგე, იქნებ უკეთ ამიხსნათო. პირიქით, ყველაფერზე ერთნაირად იძახდა: ამას რა უნდა, ეს ხომ მეც ვიცოდიო. ერთი სული ჰქონდა, როდის მიიმაგრებდა მხრებზე ხელოვნურ ფრთებს. მაგრამ როცა ამის დროც დადგა, ერთბაშად დაავიწყდა ყველაფერი, რასაც მამა ასწავლიდა აქოთებული ლაბირინთის წყვდიადში. თვითნაკეთი დროშა ფრთასავით დაიქნია და ტანკს შეაფრინდა. ხოლო, ამას რა მოჰყვა შედეგად, ყველასათვის ცნობილია. გაფრენის სურვილი ადამიანობის ნიშანია, მაგრამ ფრენა ადამიანის თვისება არ არის. ასე რომ, შენც დამნაშავე ხარ, როგორც საკუთარი შვილის (შვილების), ისევე საერთოდ ახალგაზრდობის წინაშე, რაკი მთელი სიცოცხლის მანძილზე, ნიშნის თვისებად გადაქცევას ცდილობდი. რაც მთავარია, შენი მოძღვრება (საკმაოდ მაღალფარდოვანი), გნებავთ, შემოქმედება (საკმაოდ ბუნდოვანი), ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას კი არ გულისხმობდა, არამედ საკუთარი სურვილის, საკუთარი ოცნების გადანერგვას, შეიძლება, საამისოდ სრულიად შეუფერებელ ნიადაგზე. მით უფრო რომ, თავადაც ისევე არ შეგეძლო გაფრენა, როგორც, ვთქვათ, ვირთხას. მაგრამ, საცა სამართალია, გუნებაშიც არ დაგიშვია, რომელიმე შენი მოწაფე (მსმენელი, მკითხველი), ანდა თავად, მართლა რომ გაფრინდებოდი ამ სიტყვის პირდაპირი, ანუ მითოლოგიური

მნიშვნელობით. შენ სხვა მიზანი გამოძრავებდა. შენი მიზანი იყო საერთოდ ახალგაზრდობა და, თავისთავად ცხადია, კერძოდ შენი შვილი (შვილები) ვირთხად არ გადაქცეულიყო დროთა განმავლობაში, ანუ, ცის იმედი არ დაეკარგა, ოცნებას არ გადაჩვეოდა, არ დანებებოდა გარემოს ზემოქმედებას და ცხოვრების წესად არ გაეხადა მისგან თავსმოხვეული ჩვევები, რის შემდეგაც ძალდაუტანებლადაც, ნებაყოფლობითაც შეგიძლია ჩაძვრე მიწისქვეშეთში, საიდანაც უკვე ვეღარაფერი ამოგიყვანს სამზეოზე, სასიკვდილო სენისა და სისასტიკეში გადაზრდილი ცხოველური სითავხედის, განუკითხაობის მეტი. მაგრამ სიკეთე ყოველთვის სიკეთე არ არის. ის, შეიძლება, საზარელ ბოროტებადაც იქცეს, მით უფრო ვიღაცის მიერ და რაღაცის გამო თავსმოხვეული. შენი შვილიც ხომ მონობაში დაიბადა და აქაური ყველაფერი, ლაბირინთის ჩათვლით, ახლობელი და მშობლიურია მისთვის?! ამდენად, აქედან გაფრენის სურვილიც, არაბუნებრივი თუ არა, ნაადრევი აშკარად აღმოჩნდა. "მგონი შევცდიო" - შენც მტკივნეულად გაგკრავდა ხოლმე გულში დაუნდობელი ეჭვი და მზად იყავი შენივე შეკოწიწებული ფრთებიც დაგეფხრიწა და შვილისთვისაც დაუნდობლად მიგეხალა პირში: მოგატყუე, სად გაგონილა, შე სულელო, ადამიანის ფრენაო. მაგრამ თავისუფლების მწარე მარცვალი ყველა ადამიანის არსებაშია ჩათესილი და იმ მარცვლის აღმოსაცენებლად საკმარისია ერთი, ერთადერთი ნათელი წამიც, რომელიც ადამიანის არსებას შიგნიდან გაანათებს ხოლმე, როგორც ჩირაღდანი მღვიმეს და, მიუხედავად დროის სიმცირისა, ადამიანი მაინც ასწრებს იმის დანახვას, რაც იქამდე მისივე სიბეცისა და მიუხვედრელობის შეუღწეველ,

გაუფანტავ წყვდიადში თვლემდა. ამ ერთ წამს უნარი შესწევს ძირფესვიანად შეცვალოს არა მარტო ერთი ადამიანის ცხოვრება, არამედ მთელი სამყაროც, რომელშიაც ის ერთი ადამიანია ჩაკარგული. მაგრამ შენ ისიც იცოდი - და ეს კიდევ უფრო ზრდის შენს დანაშაულს - ამგვარი უეცარი გამოფხიზლება, სამწუხაროდ, უმთავრესად კატასტროფით რომ მთავრდება. ამიტომაც ეჭვობდი, ხომ არ შევცდიო, და რაც შეგეძლო, ვითომ აკავებდი, ვითომ ანელებდი შვილის მოუთმენლობას, შვილის სულსწრაფობას, რასაც არაფერი ეცხო თავისუფლებისთვის აუცილებელი სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობისა. ნუ ვიჩქარებთ, მოვემზადოთ, ასე ჰაიჰარად არაფერი გამოგვივაო - ეუბნებოდი შვილს, ლაბირინთის აშმორებულ წყვდიადს მიყურადებული, მაგრამ უკვე გვიან იყო - შენ შვილს ძილი გაუფრთხა. ყველაფერზე იღრინებოდა. მოღუშული დადიოდა. ან მიტინგს მართავდა, ან დროშას კერავდა, თავის ოთახში შეკეტილი. შენც ვეღარ ერეოდი თავს და თვალებგადმოკარკლული, ყბამოქცეული, ისევ ამაოდ, ისევ უშედეგოდ უკითხავდი სახარებას. მერე კი თვითონვე დარდობდი და განიცდიდი და დაფეთებული დაეძებდი გაბუტულ შვილს ჯერ აქოთებულ, ატალახებულ ტალანებში - ვიდრე ტანკები შემოიჭრებოდნენ იქ - მერე გამოცარიელებულ, მკვდარ ქალაქში და ბოლოს სოფელ-სოფელ... მართალია, შენ და შენი შვილი თანამზრახველები იყავით, რაც თავისთავად დიდი ბედნიერება იყო შენთვის, მაგრამ შეიძლება ითქვას, გაფრენის სურვილის მეტი არაფერი გქონდათ საერთო. უფრო მეტიც - შვილს არ სჯეროდა შენი, არ გენდობოდა ბოლომდე. ჩუმად გითვალთვალებდა, მძინარესაც კი, რადგან

დარწმუნებული იყო, ბოლო წუთას გაეპარებოდი, ისევ უიმისოდ "გაფრინდებოდი", იმას კი სამუდამოდ ჩატოვებდი "ტიკინების ხუხულაში" - როგორც საკუთარ სახლს ეძახდა - რომლის "აშენებასაც" საუკეთესო წლები შეალიე შენ, ოღონდ, იმიტომ კი არა, თავადაც რომ არ იცოდი, რას იქმოდი, ანდა ხელისუფალთა გულის მოგებას ცდილობდი მრავალთა და მრავალთა მსგავსად, არამედ მხოლოდ ასე - როგორც თვითონვე ამბობდი ხოლმე, ტვინში ღვინოშემჯდარი - მონური თვალთმაქცობითა და მონური ვერაგობით გამოგეხატა შენი გულისწყრომა, შენი შეურიგებლობა ამ დამპალი, ამ უსინდისო ცხოვრების მიმართ. გამოხატე კიდეც. თანამედროვე მინოსის უფხიზლესი და უმკაცრესი ცენზურაც კი გააცურე, მაგრამ ისევ ცხოვრებამ არ გაპატია და ბოლოს თვითონვე აღმოჩნდი ცხოვრების შენეული მოდელის მარადიული ტუსაღი, გნებავს, ბინადარი, თანაც შვილთან ერთად. შენ და შენი შვილი ერთ ჭერქვეშ კი ცხოვრობდით თითქოს, მაგრამ სულ ერთმანეთს დაეძებდით ამაოდ, რადგან სწორედ ეს არის, ამას გულისხმობს არსი ლაბირინთისა - განუყოფლის გაყოფას, არსებულის უარყოფას და განუწყვეტელ, გაუთავებელ წანწალს არარსებულისკენ. მაგრამ ვინც საკუთარ მონობას აღმოაჩენს, ის მონა ვეღარ იქნება. შენ კი უფრო მეტი აღმოაჩინე. შენ აღმოაჩინე, რომ საერთოდ ადამიანია მონა; რომ მისი ბუნება ძირითადად მონურია - ან სხვას ემონება, ან საკუთარ თავს; სხვანაირად არ შეუძლია, თუმცა, ისევე როგორც ჭიანჭველებში, ადამიანებშიც არსებობენ გამონაკლისები, რომლებიც, რატომღაც, არ მიდიან იქით, საითაც დანარჩენები მიისწრაფიან; ხოლო, რაკი გამონაკლისი არსებობს, შეიძლება

როდისმე წესადაც იქცეს, ანუ, ყველამ ის აკეთოს მხოლოდ, რაც თავად მიაჩნია სწორად, რაც კი არ დაავალეს, თავად დაივალა. მაგრამ გამონაკლისი წესად რომ იქცეს, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიიქციოს, ანუ, რამენაირად უნდა შეეწიროს საკუთარ გამონაკლისობას, რაც, ჯერჯერობით, მხოლოდ შეყვარებულს თუ მოუმოქმედებია თუნდაც წიგნის ფურცლებზე, რამდენადაც უმსხვერპლოდ, ესე იგი, უსისხლოდ და უცრემლოდ, ვერც ვერავის შეაგნებინებ რამეს და ვერც ვერავინ შეიგნებს თავად, როგორც არ უნდა მოინდომოს. უფრო მეტიც, მსხვერპლის გაღება ერთგვარ მარადიულ რიტუალად უნდა იქცეს, ერთგვარ კანონზომიერებად, აუცილებლობად, რაკი ადამიანი უაღრესად მერყევი ბუნების არსებაა და, შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს, გაჭიანურებული თავისუფლებაც მოწყინდეს. მაგრამ ეს შორეული მომავლის საქმეა. იქამდე ბევრი წყალი ჩაივლის (შეიძლება, ამ წერილის მკითხველიც მართლა დაიბადოს იქამდე). ჯერ ისიც საკითხავია, როდისმე მართლა თუ განთავისუფლდება ადამიანი, მართლა თუ მოიპოვებს ჭეშმარიტსა და სრულ თავისუფლებას უსიკვდილოდ, ანუ, ერთხელ და სამუდამოდ განასხვავებს თუ არა თავისუფლებას (რაც გვირგვინია მისი ადამიანობისა), თავნებობისგან (რაც ბორკილად ადევს მის ადამიანობას). ასევე საკითხავია, მართლა შეიძლება თავისუფლების მოპოვება, თუ ისიც იმ დიდ სინათლესავითაა, რომელიც, ბედნიერასი არ იყოს, მხოლოდ შემთხვევით შეიძლება იხილოს კაცმა და, იმავე ბედნიერას მსგავსად, კი გაბედნიერდეს, მაგრამ, ამასთანავე, ყველაფერზე ერთბაშად აუცრუვდეს გული - იმის მნახველს, არარაობად მოეჩვენოს სხვა ყველაფერი. მაგრამ ვიდრე ამას ვიკითხავდეთ და

გავარკვევდეთ, ჯერ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. ჯერ მხოლოდ თავისუფლებაზე ფიქრი დაიბადა ლაბირინთში და იმიტომაც დგას ირგვლივ ასეთი მძაფრი სუნი სისხლისა და ცრემლისა. სისხლი და ცრემლია სულის სანთელი, სულის პურიცა და სულის ფრთაც. ოღონდ, ჭეშმარიტი თავისუფლება ალბათ სწორედ ის არის, როცა უფრთოდაც ფრენ. ეს კი მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ადამიანი, ბოლოს და ბოლოს, შიგნიდანაც დაინახავს საკუთარ არსებას და გააცნობიერებს კიდეც დანახულს. "განა ეს ცოტააო" - ეუბნებოდი, ევედრებოდი, ეჩხუბებოდი შვილს, მაგრამ იმას არაფრის გაგონება აღარ უნდოდა, ვიდრე ფრთებს არ შეიბამდა, ვიდრე ცაში არ აფრინდებოდა და ვიდრე საკუთარ კისერზე არ იწვნევდა ფრენის სიამესაც და სიმძიმესაც. ახლაც ტყაპატყუპით ცვივიან ციდან თანამედროვე იკაროსები, ინკუბატორის წიწილებივით ძნელად გასარჩევნი ერთმანეთისგან, რომელთა ასამჩატებლად სიტყვიერი, ზეპირი თავისუფლებაც საკმარისი აღმოჩნდა და, რაკი მშობლიური ლაბირინთიდან გაღწევის შანსი გაუჩნდათ, მიფრინავენ, მიფრინავენ, მიფრინავენ, მიაფართხუნებენ ხელოვნურ ფრთებს, ვიდრე ჩამოცვივდებოდნენ. თბილისის ცაც ჩიტ-ბიჭუნებითა და ჩიტ-გოგონებითაა სავსე. იხვის გუნდებივით მიყაყანებენ, მიყვიტყვიტებენ "თბილი" ქვეყნებისკენ. დიდი გადაფრენის ჟამი დასდგომიათ მოულოდნელად, სამოცდაათწლიანი უიმედო მოლოდინის შემდეგ. ვინც ადრე, იმპერია რომ იმპერიობდა, მოსკოვსა და ლენინგრადს ეტანებოდა, ვითომ სასწავლებლად და სამოღვაწეოდ, სინამდვილეში კი ცხოვრებისგან უკეთესისა და უფრო მეტის აღების იმედით, ახლა მიუნჰენებსა და პარიზებს, ბოსტონებსა და ოტავებს

უსინჯავს კბილს - ენაცვალოთ დედები - მშვიდობით, მშვიდობით, მშვიდობით. ყველა თავისას ჭედავს კიდობანს. გარდაქმნას მართლაც დიდი ძალა ჰქონია. ყველამ საკუთარი თავი გამოთხარა გაურკვევლობის ბურუსიდან - გამოავლინა ჭეშმარიტი ბუნება, რასაც ამდენი ხანი, უნებლიეთ მალავდა თურმე. მართლაც, ვინ იფიქრებდა, ჯერ კიდევ გუშინ... მაგრამ თავისუფლებამდე ჯერ კიდევ შორსაა და მსხვერპლიც ბევრი დასჭირდება ამ საქმეს. "განათლებული ხალხიც ხომ დასჭირდება სამშობლოსო" - ჩამოგძახებს ციდან ერთ-ერთი მათგანი (გაწრიპული, სათვალიანი ბიჭია, ლაპარაკისას ცალი ხელით სულ სათვალეს ისწორებს, არ ჩამომვარდესო). დანარჩენები კი ჩუმად, კისერდაგრძელებულნი, მოწადინებულნი იქნევენ ფრთებს. ზოგს ძალით შეკავებული ღიმილიც დასთამაშებს მჭიდროდ მოკუმულ პირზე. ეტყობა, შინ გააფრთხილეს, პირით არ ისუნთქო, ცაში უფრო ეციებაო. შენც გინდა ასძახო ქვემოდან, სამშობლოს სახელით ყველაფრის შენიღბვა და გამართლება შეიძლებაო, მაგრამ ვიდრე გაბედავდე, ნაბოლარაც მიეფარება თვალს და ცაზე ისევ ერთფეროვანი სიცარიელე დაისადგურებს და ადამიანური სისასტიკის უდაბნოში მზისგან გამომწვარი, ქარებისგან გამოფიტული ლოდივით დაყუდებული, თავბრადამხვევი, გამაბრიყვებელი, გამაბავშვებელი ნეტარებით გრძნობ განახლებული სიცოცხლის მოზღვავებას და შენს გარშემო, მოურჩენელი, მარადიული ჭრილობის მსგავსად, ყრუდ, საიდუმლოდ ფეთქავს ჰაერი. მაგრამ რაკი სიკვდილს გლოვა უხდება, ჩვენც ვგლოვობთ, რაც შეგვიძლია. ვინც გინდა იყოს - გინდ მტერი, გინდ მოყვარე. გინდა ჩვენიანი, გინდა უცხო - ჩვენთვის სულერთია. ლიტერატურით

აღზრდილი ხალხი ვართ, ბოლოს და ბოლოს. ფოლკლორი, კლასიკა, რამე. თუმცა, ჯერ ისიც ვერ გაგვირკვევია, რატომ ვიქცევით ასე. გარკვევას გლოვა გვირჩევნია და ვგლოვობთ კიდეც ერთნაირი თავგამოდებით, ვთქვათ, სადღაც, ცხრა მთას იქით დაღუპულ საბჭოთა ჯარისკაცსაც და აქვე, ჩვენს თვალწინ, საბჭოთა ჯარისკაცის ხელით აჩეხილ გოგო-ბიჭებსაც. ერთს გაუთვითცნობიერებელი სიამაყით, მეორეს - ვიღაცაზე გაურკვევლად გაბრაზებულნი. პირველი შემთხვევა ხომ არ არის, რომ დავუკვირდეთ?! ასე გვიცხოვრია და ასე ვიცხოვრებთ მომავალშიც. როგორც არ უნდა გვიჭირდეს, მაინც უნდა გავიღიმოთ, თუნდაც დაუდგენელი მტრის ჯიბრზე. აბა მოვემზადოთ! ყველანი მე მიყურებთ, აი აქ, და იღიმებით, ოღონდ, ჩიტი არ გამოფრინდება. ტყუილად ნუ დაელოდებით. მოიწამლნენ. გადარჩენილები სტაციონარულ მკურნალობას გადიან თბილისის გარშემო აქა-იქ წამლად შემორჩენილ ჯაგებსა და ბუჩქნარებში. არადა, მკვდარი მაშინ იქნებოდა თბილისი, გლოვის ნაცვლად, ტაშფანდური რომ გაემართა, როგორც მავანი და მავანი გვირჩევს. ნებისმიერი ქალაქი (ქალაქია თუ რაც არი), იქამდეა ცოცხალი, ვიდრე იცის, როდის იტიროს და როდის იცინოს. ხათრი სხვაა. ხათრი, შენ ისა თქვი, რას არ გაგაკეთებინებს. თუმცა, ვიდრე არ იქუხებს, კაცი პირჯვარს არ გადაიწერსო და აჰა, იქუხა, როგორც იქნა! აჰა, პირჯვარიც. ღმერთო, შენ დაიცავ... მაგრამ როგორ? მოდის მეწყერი და სოფელიც თან მოაქვს, აკვნიან-საფლავიანად. ბუნება, კაცისგან განსხვავებით, ვერ გუობს ძალადობას (ქვემოთ ტექსტი ალაგ-ალაგ გადაშლილია, ეტყობა, რაღაც ცხიმიანი იყო გაზეთში გახვეული, მაგრამ გადაშლილი

ადგილების გამოტოვებითაც აზრი უცვლელი რჩება). იმ გარემოებათა შესასწავლად, აპრილის მშვიდობიანი მონსტრაციის (ალბათ - დემონსტრაციის) დარბევას რომ მოჰყვა, სამინისტროსთან და საექსპერტო კომისიასთან ერთად, არაფორმალური ორგანიზაციების, მუშებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, რომელთა კლინიკურმა ანალიზმა უდავოდ დაადასტურა უცნაური შემადგენლობის მომწამლავი იური თიერებანი (ალბათ - ქიმიური ნივთიერებანი) და მათივე დაფიქსირებული იაგნოზი (დიაგნოზი), რამაც კომისიის წევრთა აღშფოთება და გულისწყრომა გამოიწვია, თუმცა თავის გაჩეხვის შედეგად სიკვდილი მოჰყვა და მაინც, შესაძლებლად მიგვაჩნია განვაცხადოთ, როგორც სიკვდილი, ისე ცალკეული მძიმე ტოქსიკოლო გართულებანი წინააღმდეგ შემთხვევაში შეუწყნარებელი და ურია, თუმცა უკვე რამდენჯერმე ვთხოვეთ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქისა და სარდლობის წარმომადგენლებს, თუკი, რა თქმა უნდა, სამხედრო საიდუმლო არ არის, რათა გამიზნულად გვემკურნალა დაშავებულთათვის, მაგრამ უარს გვეუბნებიან, საბჭოთა არმიის საშტატო სატაბელო საშუალებათა შორის არ არისო. თუმცა, უცილობელი საბუთების გამო, იძულებულნი გახდნენ ეღიარებინათ მხოლოდ ქლორაცეტავენონი (ეგ რა სალაპარაკოა!), რითაც სავსებით გამორიცხეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სადღეისოდ არსებულ ობიექტურ მონაცემებს, მაშინ ინფორმაცია კი არა, დეზინფორმაციაა, რომლის მიზანია დანაშაულებრივი დამალვა და არა ადგილობრივი მოსახლეობის ზოგიერთი წარმომადგენლის მონაჩმახი, როგორც გაზეთი "კრასნაია ზვეზდა" აღწერს რა და კატეგორიულად უარყოფს. ამიტომ, კომისიის აზრით,

დარბევაში მონაწილეობდნენ მთლიანად და სრულად და ასე შემდეგ. აჭარაში კი მეექვსე დღეა მძვინვარებს სტიქია. დაღუპულთა რიცხვი იზრდება. სამაგიეროდ, თუნუქისა თუ შიფერის კუნძულზე ბიჭი დაბადებულა. ქვემო ქართლში "ვითარება" თანდათან კალაპოტში დგება. ჩამორთმეულია. ამოღებულია. დაკავებულია. რაც მთავარია, ჩაშლილია შუღლის ჩამოგდების კიდევ ერთი ცდა. თუმცა, ჯერ დასადგენია, ჩაშლილია თუ გადატანილია ხვალისთვის, მომავლისთვის. ყველაფერს თავისი დრო აქვს, ხილისა არ იყოს. გარდა ამისა, ნაპოვნია ადგილობრივი მაცხოვრებლის ა.ა-ს გვამი (გაზეთი წერს - "ნაპოვნი იქნაო" - რაც ჩვენ სწორად არ მიგვაჩნია), რომელსაც აშკარად ეტყობა თურმე მრავალი ნატყვიარი, გნებავთ, ჯერ კიდევ ეტყობა, რომ ნამდვილად ა.ა.-ს გვამია და არა, ვთქვათ, ბ.ბ-სი. გამოძიება გრძელდება. საქმე გადაგზავნილია, მაგრამ უკანვე გადმოიგზავნა. გრძეეელი ტაში და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკებს ვთხოვთ სუფრასთან. ცხვრის ქაბაბი, ლავაშითა და კოწახურით. გმადლობთ ყურადღებისთვის. ერთი მსოფლიო მნიშვნელობის გარეწარი ცხოვრობს თბილისში და, დედას რომ აგინებენ, ისიც ასე ამბობს ხოლმე, გმადლობთ ყურადღებისთვისო. ოლხოკრატიას, ეტყობა, კარგი ნიადაგი ექნება ჩვენში, მაგრამ ჩვენ თუნდაც იმიტომ უნდა განვთავისუფლდეთ, თავიც გავიცნოთ და ერთმანეთიც: რანი ვართ, რა შეგვიძლია. თუკი ყველანი მეტ-ნაკლებად დაავადებულნი ვართ ფსიქიკურად და სახუმაროდ აღარ გვცალია, საერთოდ კეთილდღეობასა და ინტელექტზე საუბარი, მეტი რომ არ ვთქვათ, უხერხულია. ჩამომხრჩვალის ოჯახში თოკზე არ ლაპარაკობენ. და მაინც, რომელსა ასხენ ყურნი სმენად

ისმენენ. ესე იგი, ამხანაგი ბატონი კუკური ილიკოვიჩი სერიოზულად თუ ჩათვლის თავს პოლიტიკოსად, ვირი ყოფილა. მთავარი ის კი არ არის, თბილისის სასურსათო მაღაზიებში უშედეგოდ რომ დაეძებს თურმე საფუარს ვინმე ქალბატონი ალბინა, არამედ მთავარია, რის აფუებას აპირებს ქალბატონი ამ მეორედ მოსვლის ჟამს. რითაც დავიწყეთ, იმით ვამთავრებთ. წრე თანდათან იკვრება. ასე რომ, არაფერი ხდება უჩვეულო და უცნაური. უბრალოდ, გაზეთი ტყუილ სახელს იცვლის და ნამდვილ სახეს მალავს. ერთხელ კიდევ. ფუნქციონერის აღსარებაო, ჰომოსექსუალიზმი კაცობრიობის ნათელი მომავალიო და, რა ვიცი, რაღას არ კისრულობს მკითხველის ერთხელ კიდევ გასაბრიყვებლად. მაგრამ ვითომ ეს იყო ჩვენი იდეალი?! უფრო სწორად, რაღა ეს უნდოდა ჩვენს ისედაც დაბნეულ მკითხველს?! მაგრამ არც მთლად ისეა საქმე, როგორც ჩვენს მტრებს სურთ. დეიდა ვანგას უთქვამს, ქართველებს ორი წელი უჭირთ, მერე კი შეეჩვევიანო. "მეტეხის" საბანკეტო დარბაზში ვიღაც იტალიელ საქმოსანს ოფიციალურად გამოუთქვამს ჩვენთან თანამშრომლობის სურვილი. საერთოდ დაინტერესებული ყოფილა საქართველოთი (ქართულ მარკებს აგროვებდა ალბათ ბავშვობაში). ჩვენი არ იყოს, თქვენც უძველესი კულტურის ხალხი ხართო, უთქვამს არაოფიციალურად, ასე ვთქვათ, კულისებში (ორიგინალში ჰქონია წაკითხული ფეშანგი ფაშვიბერტყაძის თხზულებანი). ხა, ხა, ხა, ხა. ქართველი გადარჩა. იმიტომ რომ იცინოდა. სხვები სწავლობდნენ, შრომობდნენ, ვაჭრობდნენ, ის კი იცინოდა. ვინც მარტო იცინის თავს დასცინისო, ნათქვამია, მაგრამ თუკი ყველაფერი წარმავალია, მაშინ ქართველი მართლა სხვებზე ჭკვიანი ყოფილა.

პანტარეი, პანტარეი, ამხანაგო ბატონებო თუ ბატონო ამხანაგებო. ყველაფერი მიედინება ჰერაკლიტემდეც და ჰერაკლიტეს შემდეგაც. ნუ შეეცდებით რამის შეკავებას. სიჭკვიანისა რა მოგახსენოთ, მაგრამ სიმბოლოების სიგიჟე ნამდვილად გვჭირს. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ამის გამართლებაც შეიძლება. მხოლოდ სიმბოლოა მარადიული. ანდა, მარადიულობა მხოლოდ სიმბოლოების სახით არსებობს. ასე რომ, რაც უფრო მეტი სიმბოლო გვექნება, მით უფრო იოლად გავიტანთ თავს ამ გაძაღლებულ წუთისოფელში. ყოველ შემთხვევაში, უკეთესად შევნიღბავთ ჩვენს სიბეჩავესა და სიპატარავეს. ვნიღბავთ კიდეც. როგორც ჩვენი ერთ-ერთი გაზეთი აღნიშნავს, ჩვენს ერთ-ერთ თეატრალურ კოლექტივს, რომ იტყვიან, პირდაპირ სიმბოლოების ზღვა დაუყენებია სცენაზე. თავად სცენაც ბნელით მოცულ სამყაროს - იგივე ბოროტების იმპერიას - განასახიერებს თურმე (ამგვარი რამეები ახლა ნებადართულია), სადაც, სტატიის ავტორის დაკვირვებით, მხოლოდ სიმბოლოები მოქმედებენ, ადამიანისთვის ადგილი არ არის, ადამიანი ჯერ არ დაბადებულა, ანდა ეს-ესაა დაიბადა შიფერის კუნძულზე (ასე უნდა ვიგულისხმოთ ალბათ). მაგრამ, სამწუხაროდ, იმავე ავტორის აზრით, ბევრი სიმბოლო არასწორად ყოფილა გაგებული და, რაც მთავარია, მაყურებლის კი არა, თავად სპექტაკლის შემქმნელთა მიერ, რასაც გაზეთი, სავსებით სამართლიანად, თანამედროვე დასავლური კულტურისა და ძირითადად ვიდეოფილმების არაჯანსაღი გავლენით ხსნის. სიყვარული (თათული დოლიძე) სიგიჟესთანაა თურმე გაიგივებული; თავისუფლება (იზა გიგოშვილი) - თავნებობასთან; სათნოება (ნანა ფაჩუაშვილი) - სექსუალურ ლიბერალიზმთან. სამაგიეროდ, პატარა

ბიჭუნას, მუყაოს "ნერგებში" რომ ჩაუყენებია რეჟისორს და ხელში ანთებული სანთელი დაუჭერინებია (სხვათა შორის, სცენაზე კი არა, ქუჩაშიც ანთებული სანთლით დადის ახლა ხალხი და ეს არა მარტო "ჩვენი დღევანდელი სულიერი მდგომარეობის გამოხატულებაა", როგორც სტატიის ავტორი აღნიშნავს მოსწრებულად, არამედ, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავდაცვის ერთგვარი იარაღიც. რაღაცნაირად ხელშეუხებელი, მიუწვდენელი ხდები თითქოს ამ პატარა, უხმოდ მტირალა საგნის წყალობით... დავუშვათ, წამოიღო ქალმა შენსკენ ხელი, ხომ?! შენ კი მზად არ ხარ, ანდა, ჯერ არ გინდა. კაცია და გუნება. ხოდა, ჩაუდებ ხელში ანთებულ სანთელს და გათავდა, დაგიბრუნებს - არ იქნება პატრიოტი, არ იქნება პატრიოტი და, ვაი მისი ტყავის ბრალი, სუკის აგენტობა განაღდებული აქვს, თუკი ამაზე დაყაბულდნენ), ნათელი მომავლის სიმბოლოდ აღიქვამს, როგორც თეატრის დასი, ისევე მაყურებელიც და, ძალაუნებურად, თავისთავად წარმოთქვამს ილიას იმ ლექსს, რომელიც ყველა ქართველმა ზეპირად იცის (ისემც რა ვუთხარი!). სტატიის ავტორის თხოვნით, მისი კუთვნილი ჰონორარი ცხრა აპრილის ტრაგედიის უდანაშაულოდ დაღუპულთა (აჯობებდა, უბრალოდ "დაღუპულთა", რადგან ყველა დაღუპული ერთნაირად უდანაშაულოა. არ შეიძლება, ერთდროულად დაღუპულიც იყოს და დამნაშავეც, ანდა - ცოცხალიცა და უდანაშაულოც) მემორიალის ფონდში გადარიცხულა. ვითომც არ ჰქონია 7 მან. და 39 კაპ. რუსთაველზე კი შეუჩერებლად მიედინება ყვავილებით დამძიმებული ხალხის მდინარე. მდინარეს შაოსანი ქალები მიუძღვიან წინ, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვანაირ ვითარებაში დაღუპულთა

გადიდებული სურათებით. ტელეეკრანიც ქალაქის ახალი კომენდანტის გადიდებულ სურათს დამსგავსებია. რომ არ ლაპარაკობდეს, მართლა ასე იფიქრებდა კაცი. მაგრამ არ შეიძლება ერთნაირად ლაპარაკობდეს კომენდანტის გადიდებული სურათიცა და რიგითი, პატარა კორესპონდენტიც. კორესპონდენტს, რა თქმა უნდა, სრული უფლება აქვს, თვალზე ხელი აიფაროს, როცა მოესურვება, მით უფრო დღეს, თავისუფლებისა და დემოკრატიის ზარ-ზეიმის დროს. მაგრამ სხვას რომ აყრის თვალში ნაცარს, ეს გვაწუხებს ჩვენ.

ეკაეკატერინეკატო, შინ მობრუნების შემდეგ, საწოლში ვერ ჩერდებოდა და იატაკზე იჯდა ხოლმე ოთახის კუთხეში. თვითონაც არ იცოდა, რატომ იქცეოდა ასე და, რატომღაც, არც მის მშობლებს უკვირდათ, მაინცდამაინც, ეს ამბავი. თითქოს ადრეც ხშირად მჯდარა ასე მათი ქალიშვილი. თითქოს ნებისმიერი ნივთივით და საგანივით, იმასაც დანიშნულების, ზომისა თუ მოყვანილობის მიხედვით ჰქონდა ოთახში ადგილი შერჩეული. "შვილი მაინც არ გახსოვდაო?" - ვერ მშვიდდებოდა მელანია. ეკაეკატერინეკატო კი წყნარად იღიმებოდა, თქმით არაფერს ამბობდა, ხანდახან ციებიანივით თუ შეაკანკალებდა ერთს და დამფრთხალი, დაძაბული ამოხედავდა ხოლმე დედას.

- შენი ბრალია! ათასჯერ გითხარი, დაელაპარაკე-მეთქი - მიუბრუნდა მელანია აველუმს, მაგრამ აველუმმა მხრები რომ აიჩეჩა მხოლოდ, თვითონვე გააგრძელა - თუმცა, სწორედ შენმა ლაპარაკმა გადარია ალბათ ესეც. შენმა გაუთავებელმა ლაპარაკმა. შენ რა გენაღვლებოდა, იგონებდი რაღაცას რომანისთვის, გასართობად, მაგათ კი მართალი ეგონათ...

- რა? რა ეგონათ მართალი? - დაიძაბა აველუმი.

- რასაც ამბობდი - მოკლედ მოუჭრა მელანიამ.

- ვამბობდი და ახლაც ვამბობ... - დაიწყო აველუმმა, მაგრამ ეკაეკატერინეკატომ არ აცალა, ხელები ყურებზე აიფარა და მშვიდად, მორიდებით თქვა: "არ გინდათ, არ შემიძლია, ახლა მაინც დამზოგეთო" - კი ბატონო, არაფერს არ ვიტყვი, მაგრამ ის მაინც გამაგებინე, გვარი რატომ შეიცვალე, მე დამემალე თუ ხელისუფლებას? - ჰკითხა აველუმმა.

- ორივეს - გაიღიმა ეკაეკატერინეკატომ და აველუმიც, მისდა გასაოცრად, ერთბაშად დაამშვიდა ამ ყალბმა ღიმილმა.

უფრო სწორად, აღარ ჩაეძია ბოლომდე. მცირედითაც დაკმაყოფილდა, რადგან მცირედიც კმაროდა ამ უსიამო საუბრის შესაწყვეტად. რაც მთავარია, მისი შვილი ცოცხალი იყო, იღიმებოდა (თუნდაც ყალბად), ხედავდა, ესმოდა, ლაპარაკობდა... მაგრამ მშობლის მოვალეობა განა მხოლოდ შვილის სიცოცხლეზე ზრუნვაა? განა სიცოცხლეზე ძვირფასი და გასაფრთხილებელი სხვა არაფერი გააჩნია თავად შვილს? ჩვენ, ჩვენი ჭკუით, შვილის გადარჩენას ვცდილობთ, მაგრამ სინამდვილეში ვაკნინებთ, ვამცირებთ, მის უმაქნისობას ვუსვამთ ამით ხაზს - ვითომ, ის კი არა, ჩვენ ვართ მთავარი, რამდენადაც ჩვენ შევქმენით ის, ჩვენ გვეკუთვნის და ისე მოვექცევით, როგორც მოგვეპრიანება. მაგრამ როგორც არ უნდა შევნიღბოთ ჩვენი კეთილშობილური მიზანი და საქციელი, მაინც ყველა შვილი ხვდება, ნებისმიერ მათ მისწრაფებას თუ შეხედულებას, რაც პირად დამსახურებად მიაჩნიათ, მათივე სიცოცხლე გვირჩევნია, რაც სრულებითაც არ არის მათი დამსახურება. მოკლედ, იმას ვუფრთხილდებით, რაც თვითონ შევქმენით. ის კი გვავიწყდება, ანდა ნაკლებად გვაღელვებს, თუ რა დღეში ვარდება ამის გამო ჩვენი შექმნილი. ჭეშმარიტი სიყვარული ტანჯვაა, განუწყვეტელი მსხვერპლშეწირვაა და ეს განუწყვეტელი მსხვერპლშეწირვა და ტანჯვა არაფრით არ ნაზღაურდება. უფრო სწორად, ყველაზე დიდი საზღაური ის არის, ამგვარი ტანჯვის განცდისა და ამგვარი მსხვერპლის გაღების უფლება რომ მოგეცა. განა ცოტაა? ცოტა როგორაა, პირიქით, ძალიან ბევრია, მაგრამ ადამიანს, ამ შემთხვევაში, ცოტა უნდა - ცოტა იყოს და უმტკივნეულო, ასატანი, მოსარევი, მისი სიპატარავისა და ხანმოკლე სიცოცხლისთვის უფრო

შესაფერი. ჭეშმარიტი სიყვარული რჩეულთა და განწირულთა ხვედრია. ბუნებისგან ყველანი ერთნაირად არიან განწირულნი, ოღონდ ყველამ ერთნაირად არ იცის, რომ განწირულია.

"მართალია, რასაც ხალხი ლაპარაკობსო" - იკითხა უცებ მელანიამ, მაგრამ აველუმმა მოუყრუა, ჯერ ისევ ტკბებოდა მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი სიმშვიდით. "რას ლაპარაკობს მაინც ხალხი ამისთანასო" - დაინტერესდა ეკაეკატერინეკატო.

დღევანდელით თუ ვიმსჯელებთ, ხალხი ძირითადად ლაპარაკობს რელიგიაზე, პოლიტიკაზე (რაც არ ესმის, მაგრამ ძალიან აინტერესებს), თურქეთის ვიზაზე, ვიდეოზე, საჭმელზე (რაც არა აქვს, მაგრამ ძალიან უნდა რომ ჰქონდეს) და, რასაკვირველია, გმოზე და გამოზე, რისიც ბოლომდე არ სჯერა, მაგრამ რაკი ვიღაცისთვის (ბედნიერასთვის) ოპერაცია გაუკეთებიათ იქ, რაკი შესაძლებელი ყოფილა საერთოდ ასეთი რამ, ახლა, სჭირდება-არ სჭირდება, თვითონაც ყველა ღონეს იხმარს, მაინცდამაინც, იქ გაიკეთოს ოპერაცია.

- იმასაც ამბობენ, გერმანიაში სამკურნალოდ გასაგზავნი ხალხის შერჩევა ნაცნობ-მეგობრობით ხდებაო - თქვა მელანიამ.

- მართალია?! - ლამის უყვირა ეკაეკატერინეკატომ მამას.

- მე არავინ შემირჩევია - ნაძალადევად გაიღიმა აველუმმა, ზუსტად ჯანმრთელობის სამინისტროს წარმომადგენელივით.

- კი მაგრამ, ვისაც მართლა სჭირდება მკურნალობა, იმან რა უნდა ქნას?! - უფრო თავისთვის თქვა, ვიდრე იკითხა ეკაეკატერინეკატომ, თითქოს წეღანდელი თავშეუკავებლობის გამოსასყიდად.

- აკი გითხარი, მე არავინ შემირჩევია მეთქი - გაღიზიანდა აველუმი - ეს იმათი საქმეა... ხელისუფლების...

- აბა, მე თუ მკითხავთ, არავის აწყენს გერმანიაში მკურნალობა. თანაც უფასოდ. როდისღა მიეცემათ ამის შესაძლებლობა?! - თქვა მელანიამ.

- ყოველ შემთხვევაში, ჩემი იმედი ნუ გექნებათ - ხმას აუწია აველუმმა - მე არ ვიცი, რას ლაპარაკობს ხალხი, მაგრამ ხალხმაც მშვენივრად იცის, ბევრი რომ არაფერი მოეკითხება და იმიტომაც ლაყბობს ამდენს, ასე თავგამოდებული, ვითომ, მეც ნახირ-ნახირო...

- შენ რატომ ბრაზობ? შენ რა შუაში ხარ? განა გთხოვეს რამე? პირადად მე, არაფერი არ მჭირდება - გაბრაზდა მელანიაც.

- უი, მართლა! - შესძახა ეკაეკატერინეკატომ - მოდით, ჩემს მაგივრად დედა გავუშვათ გერმანიაში. მაინც არა აქვს აზრი ჩემს მკურნალობას - მოაყოლა ბავშვური, გულუბრყვილო სიხალისით.

- მე არაფერი არ მჭირდება - გაიმეორა მელანიამ - და საერთოდაც წყალს წაუღია ყველაფერი, შენ თუ არ მეყოლები - წამოსცდა უნებურად.

- მე თუ გეყოლები, ბევრ რამეს უნდა გამოეთხოვო - უკმეხად მიახალა ეკაეკატერინეკატომ.

დედის ფარულმა შიშმა და სადარდელმა გააღიზიანა, თავი ვეღარ მოთოკა და მისდაუნებურად წამოსცდა. ეს კი იგივე გულწრფელობაა თითქმის. ამიტომ აღარც ნათქვამის შერბილება უცდია. შეეძლო, მაგრამ არ ჩათვალა საჭიროდ, მით უფრო რომ, მათ საუბარს ისედაც დაჰკრავს (თავისთავად ცხადია, მათივე წყალობით) თამაშისა თუ არასერიოზულობის ელფერი. სამაგიეროდ, საკუთარმა სიმკაცრემ და დაუნდობლობამ სიბრალულის გრძნობა გაუჩინა მშობლებისადმი და ეს ახალი გრძნობა უფრო ბუნებრივი და შესაფერისი მოეჩვენა მათი ყალბი, დაძაბული ურთიერთობისთვის. მისი მშობლები კი მართლაც საცოდავი სანახავები არიან, გზამოჭრილი სალახანებივით, თვალებით აფრთხილებენ, თვალებით ამტყუნებენ, თვალებით საყვედურობენ ერთმანეთს "მის ზურგს უკან", რის გამოც თვითონაც იძულებულია, მათი ხათრითა თუ მათი საცოდაობით, თვალი დაიბრმავოს და გააგრძელოს ეს უაზრო, უმიზნო ლაპარაკი, რაც, ყველა სიკეთესთან ერთად ახალი "მოუზომავი სიტყვის" წამოროშვის საშუალებასაც აძლევს და ძველის, უკვე წამოროშილის გაქარწყლებისაც.

"ძალით თუ წამიყვანთ გერმანიაში, იცოდეთ, აღარ დავბრუნდები, იქ გავთხოვდები... აგერ ნახავთ. ანდა, მხოლოდ იმიტომ დავბრუნდები, აღარასოდეს რომ აღარ მოვითმინო ასეთი უმსგავსობა - ჭიკჭიკებს მხიარულად, თითქოს მეგობრის დღეობიდან დაბრუნებული, სასიამოვნო შთაბეჭდილებებს უზიარებს მშობლებს - ყველაფრის მოთმენა არ შეიძლება, მეგობრებო. გარკვეული თვალსაზრისით, მოთმინებაც დანაშაულია - მოძღვრავს მსმენელებს შემწყნარებლურად მომღიმარი - გეშინოდეთ, გეშინოდეთ და ზღვას უთვალთვალეთ. იმედია, ამჯერად, აფრები არ აერევათ" - იცინის ტუჩათრთოლებული, თვალში ცრემლჩამდგარი. "მართლა რომ გამოჩენილიყო თავის დროზე ვინმე ნორმალური, იქნებ არც ჩვენ გავუბედურებულიყავით ასეო" - ამბობს მელანია, შეიძლება უკვე სხვა დღეს, მაგრამ იმავე გარემოსა და ვითარებაში. "რით ვერ გაიგე, დედა! რით ვერ გაიგეთ, ღმერთო ჩემო!" - გულწრფელად წუხს ეკაეკატერინეკატო, რადგან იმანაც ვერაფრით გაარკვია აქამდე, ვის ეძახის დედამისი "ნორმალურს", მაგრამ ქმრობისა და მამობის ღირსი დღეს რომ არავინაა ირგვლივ, არც დედამ უნდა იცოდეს ეს შვილზე ნაკლებად. უკანონო შვილიც მშობლებისთვის გააჩინა მხოლოდ, დროჟამის დინება რომ შეეხსენებინა მათთვის, გამოეყვანა სიყვარულის ბურანიდან და დროულად მოემზადებინა ერთი - მონანიებისთვის, მეორე კი - მისატევებლად. ეს იყო და ეს. აბა, სხვა რა მიზნით უნდა გაეჩინა ბავშვი რკინის ყუთში, თქვენი აზრით? ასე რომ, ნუ იქნებიან მთლად უმადურები და სიკეთეს სიკეთითვე თუ არ გადაუხდიან, ნურც ბოროტებას ჩაიდენენ უნებურად, ნუ გააძევებენ აქედან, თუნდაც სამკურნალოდ. აღიჭურვონ

მოთმინებით და კიდევ ცოტა ხანს დატოვონ აქ, ნაგავივით მიხვეტილი კუთხეში - ეს შედარება, ეტყობა, თვითონვე მოსწონს და იმეორებს - "ნაგავივით მიხვეტილი კუთხეში". განა უშლის ვინმეს?! რა იმხელა ადგილს კიდევ ის იკავებს?! ერთი პატარა, წყნარი გოგოა. მართალია, ცოტა წაიცელქა, მაგრამ დაისაჯა კიდეც. როგორც კი მშობლიური ქუჩის ჰაერს ჩაისუნთქავს, მაშინვე წამოუვლის ხოლმე გულის რევაცა და სულის ხუთვაც. თქვენ ხომ არ იცით, რას ნიშნავს ეს?! თქვენ ხომ არ იცით! - უწევს ხმას, მხოლოდ და მხოლოდ, შთაბეჭდილების გასამძაფრებლად - რასაკვირველია, ჰაერი ყველგან ერთნაირია, მაგრამ თვითონ ასე სწამს, ჯერჯერობით, ასე ჰგონია და ყველას სთხოვს, სულგრძელად აპატიონ ეს სიბრიყვე თუ სიჯიუტე. ის ურჩევნია დედასა, შვილი არ მისცეს ცვედანსაო. ხომ გაგიგიათ? - კითხულობს ზოგადად, იატაკს დაჩერებული.

- არა. არ გამიგია. პირველად მესმის - პასუხობს შვილის უაზრო ლაპარაკით, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩავარდნილი მელანია.

- მართალი ხარ. ჩემი მოგონილია. სად გაიგონებდი?! - ისევ იცინის ეკაეკატერინეკატო და აგრძელებს - ახლა სულით ცვედანების დროა და მამაჩემიც, თუ არ ეწყინება, იმიტომ გამოირჩევა თეთრი ვირივით. მაგრამ ისიც მარტო თავისი სულის გადასარჩენად ზრუნავს. ეს კი ცუდია. ცუდი კი არ არის, კარგია, მაგრამ დღეს დანაშაულიცაა. ყველა თავისას ჭედავს კიდობანს და რაც უფრო ღირსეული იქნება ჩვენს შორის ვინმე, მით უფრო უღირსნი გამოვჩნდებით დანარჩენები, შეიძლება, მისი მიზეზითაც მოვლენილნი ამ ქვეყანაზე. ხუმრობა იქით იყოს და, ერთხელ თუ გიკითხავს თუნდაც ჩემთვის, რაზე ფიქრობ, რა გაწუხებს, რა გიხარიაო - ახლა უკვე კონკრეტულად ეკითხება აველუმს.

აველუმი შემცბარია. არასოდეს უკითხავს, მაგრამ იცოდა, უფრო სწორად, შეუმოწმებლადაც ღრმად იყო დარწმუნებული, ვიციო. კაცმა რომ თქვას, შემოწმებისთვის დრო არც რჩებოდა - უცებ გაიპარა თვალსა და ხელს შუა - და იმასაც ყოველთვის ეგონა, უთქმელადაც მესმის შვილისო. სინამდვილეში კი, თურმე, უყურადღებობაზე ბევრად დიდ ბოროტებას სჩადიოდა, ძალადობის აქტის ტოლფასს, რაკი თუნდაც მხოლოდ საკუთარ წარმოდგენებში აიძულებდა შვილს ისეთი ყოფილიყო, როგორიც ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნებოდა, იმ უბრალო მიზეზის გამო, არასოდეს რომ არ უკითხავთ მისთვის, რაზე ფიქრობ, რა გაწუხებს და რა გიხარიაო.

- განა არ შეიძლება ახალგაზრდა კეთილი იყოს? - მაინც ამბობს აველუმი თავის მთავარ სათქმელს, მაგრამ უფრო საკუთარი ფიქრების დასაფრთხობად, ვიდრე შვილის დასამოძღვრად.

- ეგ ხომ ვიცით. რამდენჯერ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, ერთი და იგივეს მოსმენა - თავი დაარატრატა ეკაეკატერინეკატომ.

- უსასრულოდ. ვიდრე არ ჩაწვდები - უპასუხა აველუმმა მღელვარე სიმშვიდით.

- არ ჩავწვდები და ნუ ჩავწვდები. ჩემი დარდიც ეგ იყოს - გაიცინა ეკაეკატერინეკატომ.

- ეკა! - დაუყვირა მელანიამ.

- რა მოხდა? ეს თუ შენი ქმარია, ჩემი მამიკოა. ხომ ხარ ჩემი მამიკო? - ერთი წამით ამოხედა აველუმს ეკაეკატერინეკატომ და სწრაფად გააგრძელა - სულ მინდოდა ამის თქმა და, აი, მაინც ვთქვი. სულ მაინტერესებდა, შენ თუ იცოდი, ჩემი მამიკო რომ იყავი. შემდეგ ჩამოსვლაზე კი აუცილებლად ვეტყვი მეთქი, ვიმუქრებოდი გუნებაში, მაგრამ ისეთი დაქანცული, ისეთი დაბნეული, ისეთი დარცხვენილი ბრუნდებოდი იქიდან ყოველთვის...

- ეკა! - ისევ დაუყვირა მელანიამ.

- თქვას, თქვას - უხეშად გააჩუმა აველუმმა. რატომღაც გააღიზიანა ცოლის გამოქომაგებამ - ელექტრას თამაშობ და კლიტემნესტრა გამოდიხარ - უთხრა შვილს ნაძალადევად მომღიმარმა.

- არც თქვენ მყავხართ ტროას დამაქცევარი გმირები - ტუჩი აიბზუა ეკაეკატერინეკატომ.

გულზე გადაჯვარედინებული ხელები კი ისევ უკანკალებდა. რაღაცნაირად უმწეო იყო, დაუცველი და, იმავე დროს, საშიშიც, სახიფათოც, ნებისმიერ წამს ნებისმიერი გადაწყვეტილების მიმღებიცა და აღმსრულებელიც. ფიქრიანად, სევდიანად, სინანულით ლაპარაკობდა, სნეული დედაბერივით, და თვალგაშტერებული უყურებდა კარადის ქვეშ შეგორებულ ტენისის ბურთს, რომელსაც უკვე დიდი ხნის დაკარგულად თვლიდა, მაგრამ ახლა არც უხაროდა და არც უკვირდა მისი მოულოდნელი აღმოჩენა. რაც შვილი გააჩინა, კორტებისკენ აღარც გაუხედავს. მაგრამ ტენისის თამაშს ალბათ ისედაც დაანებებდა თავს, რადგან უკვე ყელში ჰქონდა ამოსული გაუთავებელი კამათი დედამისთან ამის თაობაზე. მელანია ღრმად იყო დარწმუნებული, კარგს არაფერს ისწავლიდა იქ ბავშვი, მით უფრო კი - გოგო. სხვათაშორის, ამ აზრისა იყო თვითონაც, განსაკუთრებით იქაური "გულშემატკივრების" უაზრო გამოხედვა და ოფლიანი ღიმილი უბნევდა თავგზას, მაგრამ მაინც ეწინააღმდეგებოდა, მაინც ებრძოდა დედას, ერთხელ კიდევ რომ გადაეკიდა მხარზე ადიდასის სპორტული ჩანთა, საიდანაც გამომწვევად გამოეყო ჩოგანს მისი (ეკაეკატერინეკატოს) ხელისგულებით გადაპრიალებული ტარი. მაგრამ ტენისის სიყვარულით კი არ იქცეოდა ასე (ტენისზე სიარულიც ერთგვარი, შეიძლება, ბოლომდე გაუაზრებელი გამოხატულება იყო თავისუფლებისკენ სწრაფვისა, უფრო ზუსტად კი, თავისუფალი სამყაროსთვის დამახასიათებელი და, თავისთავად ცხადია, მისთვის არაბუნებრივი ჩვევებისა და მიდრეკილებების ძალით შეთვისების თუ ბრმად განმეორების საკმაოდ მტკივნეული მოთხოვნილება), არამედ ძნელად ასახსნელი და ასევე ძნელად მოსარევი

სურვილის კარნახით, რაც, უპირველეს ყოვლისა, დედის გადარწმუნებას, დედისთვის სიტყვის მოგებას ავალდებულებდა. ახლა კი უაზროდ შესცქეროდა კარადის ქვეშ შეგორებულ ბურთს, თითქოს არაფერი აკავშირებდა მასთან, თითქოს არც იცოდა, რა იყო, რისთვის იყო საჭირო ეს ყვითელი, ბუსუსიანი ბურთულა, ცხენის გაქვავებულ ჩონჩორიკსაც რომ ჰგავდა და გაფუყულ, საკუთარი ფრთის ქვეშ ჩაძინებულ წიწილასაც.

ეკაეკატერინეკატომ ფეხები ფარგალივით გაშალა, ფეხებსშორის ჩაფენილ კაბას ხელი ფრთხილად გადაუსვა, თითქოს გაასწორა, და თქვა: არადა, იყო დრო, ტენისსაც ვთამაშობდიო.

- კარგი, გვეყოფა, დავწყნარდეთ. არ შეიძლება შენთვის ამდენი ლაპარაკი. - გააჩუმა მელანიამ.

მაგრამ ეკაეკატერინეკატომ მაინც გააგრძელა, მაინც თქვა, რისი თქმაც უნდოდა: ვთამაშობდი, ვიდრე ძალით არ მომაშორეთ იქაურობასო.

- ითამაშე, ვინ გიშლის? - მხრები აიჩეჩა მელანიამ.

- არაფერი აღარ მინდა. - თქვა ეკაეკატერინეკატომ. თან ფეხებს შორის გაჭიმულ კაბას აუთოვებდა ხელისგულებით.

- ნუ სულელობ. - შეწუხდა უცებ მელანია. იმასაც გადაედო შვილის უმიზეზო, უმიზნო სევდა-წუხილი. - მარტო შენ ხომ არა ხარ, ბოლოს და ბოლოს, მთელი თბილისი ამ დღეშია. შენ შვილი მაინც გყავს - მოაყოლა მოულოდნელად, თითქოს როგორც იქნა მიაგნო ერთადერთ გამოსავალსო.

- მე ხომ სამუდამოდ ვარ ავად, დედა - წარბები აწკიპა ვითომ გაკვირვებულმა ეკაეკატერინეკატომ, ვითომ რით ვერ შეიგნე აქამდე ეს უბრალო ჭეშმარიტებაო - შვილი კი მამაჩემისაა - გააგრძელა ყასიდად დასერიოზულებულმა - იმას გავუჩინე. არც კი ვიცი, ვისგან, ბაბუა რომ გამხდარიყო. ესე იგი, შენთანაც ყოფილიყო ხანდახან, შინ...

- შენ რატომ არ გაუწყრები? გსიამოვნებს ქათინაურების მოსმენა? - მიუბრუნდა მელანია აველუმს.

აშკარად აღელვებული იყო შვილთან საუბრით და ვერც მალავდა თავის მღელვარებას. პირიქით, სხვებისთვისაც უნდოდა გადაედო როგორმე, თითქოს რაც უფრო მეტნი იღელვებდნენ ერთი და იმავე მიზეზით, უფრო იოლად გაართმევდნენ თავს დანაწილებულ მღელვარებას.

- შენს გამო ვეჯავრები მაგასაც, ქალბატონო მელანია, ესეც შენი დამსახურებაა - თქვა აველუმმა, რაც შეიძლება მშვიდად, ვითომ ხუმრობითაც, თუმცა იმ წუთას მართლაც სჯეროდა, შვილს რომ ეჯავრებოდა, მას რომ აბრალებდა შვილი არა მარტო დედის, არამედ საკუთარ უბედურებასაც, თუ საერთო-საკაცობრიო უბედურებასაც არა. რასაკვირველია, ძალიან არასასიამოვნოა ამის შეგრძნება, მაგრამ იმავე დროს, არა მარტო ეთანხმებოდა შვილს, არამედ მადლიერიც იყო მისი, თუნდაც ასეთი გრძნობა რომ ჰქონდა მის მიმართ. ესე იგი, რაღაცად მაინც აგდებდა და, რაც მთავარია, მის სიძულვილსაც და მის ბრალდებებსაც, როგორც არ უნდა შეენიღბა მოგონილი უგრძნობელობითა და გულგრილობით, ისევ და ისევ, ყველაფრის გადამწონავი სიყვარული ედო საფუძვლად.

- არასოდეს არ ყოფილხარ ჩემი, თუმცა ყოველთვის მარტო ჩემი მეგონე, - თქვა უცებ ეკაეკატერინეკატომ - მაგრამ, საბედნიეროდ, შენი გაყოფაც შესაძლებელი ყოფილა, როგორც ზარის ხმისა მსმენელთა შორის.

მოკლედ, აპრილის შემდეგ, სონიას ვნებებმა კი არა, საერთოდ ცხოვრებამ დაკარგა აზრი. დამფრთხალი, ჩაბნელებულ ბინებში შეყუჟული ხალხი ქუჩას იყო მიყურადებული - როდის ჩაიქროლებდა ბეტეერი, როდის აკაკანდებოდა ავტომატი. ჭორები კი მაინც ჩნდებოდნენ, მაინც მრავლდებოდნენ ვირთხებივით და მაინც დაუბრკოლებლად დაცუხცუხებდნენ გამოცარიელებული ქალაქის ჩამკვდარ ქუჩებში. მათ ამარა დარჩენილი ხალხიც ხან ხელოვნურ მიწისძვრას ელოდებოდა, ხან გამოუცნობი მფრინავი ობიექტის გამოჩენას, ხან კი ფანჯრებიდან გაზის შემოსხურებას, ვერტმფრენების მეშვეობით, რომლებიც გოლიათი კრაზანებივით მართლაც განუწყვეტლივ დაბზუოდნენ თავზე ქალაქს. ქალაქს კი არა, რკინა-ბეტონის ლეშს. ხან თითქოს ქალთა ლაშქარი უნდა გამოსულიყო ქუჩებში დედიშობილა (ალბათ ოკუპანტების დასაფრთხობად და საკუთარი კაცების დასაკნინებლად), ხან კი არასრულწლოვანი ბავშვების ბატალიონი დგებოდა თითქოს ქალაქის რომელიღაც გარეუბანში, საიდანაც, ლიმონათის ცარიელი ბოთლებით აღჭურვილნი, მოულოდნელად უნდა დასხმოდნენ თავს აპრილის ჭირვეული მზის ქვეშ ნიანგებივით გალურსულ ტანკებს. ეკაეკატერინეკატოც ისევ ოთახის კუთხეში იჯდა, იატაკზე, არავის არ იკარებდა და თვალგაშტერებული შესცქეროდა კარადის ქვეშ შეგორებულ ტენისის ბურთს. მელანიას კი ერთ ხელში მისი აჩხავლებული ბავშვი ეჭირა, მეორეში საწოვრიანი რძის ბოთლი და, ავად თუ კარგად, მაინც ოჯახური ატმოსფეროს შექმნას ცდილობდა, თუმცა, ყველაზე უკეთ ალბათ ისევ იმან იცოდა, პირველ რიგში, მის ოჯახს რომ შეეხებოდა (უკვე ეხებოდა) ეს გარდუვალი და საბედისწერო რღვევა ზეზეულად ჩამომპალი იმპერიისა,

რამდენადაც, რაც არ უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, ერთის სიმტკიცე განაპირობებდა მეორის სიმტკიცესაც, ერთის სიცოცხლისუნარიანობა მეორესაც სასიცოცხლოდ აღაგზნებდა მხოლოდ და ერთის სიკვდილი მეორის სიკვდილსაც გულისხმობდა თავისთავად, ოღონდ იმიტომ კი არა, ერთმანეთზე რომ ამოსდიოდათ მზე და მთვარე, განუწყვეტლივ ნერწყვს რომ უღებდნენ ერთმანეთს პირიდან, გაძლება რომ არ შეეძლოთ უერთმანეთოდ, არამედ იმიტომ, უერთმანეთოდ, უბრალოდ, აზრიც რომ აღარ ექნებოდა მათ არსებობას, რაკი ორივეს მიზანიცა და მისწრაფებაც მეორის მოსპობა იყო სწორედ. არადა, მელანიასთვის, როგორც ყველა ჭეშმარიტი ქალისთვის, საკუთარი ოჯახიდან იწყებოდა სამყარო. იმდენად ჰქონდა მისთვის საერთოდ დანარჩენ სამყაროს მნიშვნელობა, რამდენადაც მისი ოჯახიც ამ სამყაროს გარკვეულ ნაწილს წარმოადგენდა. ამდენად, მისი ოჯახის სიმყარე, თავისებურად, სამყაროს სიმყარესაც ანსახიერებდა. მისი ღრმა რწმენით, თუ მის ოჯახურ სიმყარეს ბზარი გაუჩნდებოდა, სამყაროსაც იგივე დაემართებოდა. შეიძლება მხოლოდ ამ რწმენის ბრალი იყო მისი ბიბლიური მოთმინება, მისი ცხოველური სიჯიუტე (რაც, უპირველეს ყოვლისა, არა მარტო ავალდებულებდა, ძალასა და ხალისსაც მატებდა, რათა თუნდაც მხოლოდ საკუთარი ნერწყვითა და სხვებისაგან დამალული ცრემლით უსასრულოდ, ყოველდღიურად ელესა და ამოევსო ნებისმიერი ბზარი, ჭუჭრუტანა თუ ღრიჭო, საეჭვო და სახიფათო მისი ოჯახის ფუძე-ჭერისთვის, გინდაც შორეულ მომავალში, გინდაც დაუზუსტებელი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებული ვარაუდით), არავის და არაფერს რომ არ ეპუებოდა აქამდე. ეს მისი უძველესი

და, შეიძლება ითქვას, უმთავრესი რწმენა გახლდათ, რითაც საერთოდ დაეწყო ცხოვრება. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, რასაც გაებედვინებინა ყველა ქალისთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი და კერძოდ მისთვის განსაკუთრებულად საჭოჭმანო ნაბიჯის გადადგმა, ანუ, გათხოვება, გაბედნიერება, დაოჯახება, ოღონდ, რასაკვირველია, საბჭოური გაგებით - უბინაოდ, უფულოდ, უიმედოდ, უმომავლოდ. ისეთ კაცს წაჰყვა ცოლად, რომელიც საამისოდ სრულებითაც არ იყო ჯერ მზად და ალბათ ვერც ვერასოდეს მოემზადებოდა - არც ჭერი ჰქონდა თავზე და არც ჯიბეში უჭყაოდა რამე. მართალია, ლოთი-შფოთი ძმაკაცები "პოეზიის ამომავალ ვარსკვლავს" ეძახდნენ (ვერაფრით ვერ ამოვიდა ის ვარსკვლავი), მაგრამ დაბეჭდვით ჯერ არავინ უბეჭდავდა ლექსს, რადგან რედაქციებმა ჯერ არ იცოდნენ (ვერც მერე დაადგინეს) ოფიციალური აზრი მის შესახებ, მისაღები იყო საერთოდ მისი პოეზია თუ მიუღებელი. მაგრამ გინდაც გაებედათ და დაებეჭდათ ერთი-ორი სტრიქონი, მაინც არ ეყოფოდა ჰონორარი საიმისოდ, ქორწინების, ანუ ფორმალური ხელის მოწერის, ესე იგი, საკუთარი ვინაობის ერთხელ კიდევ (თანაც წერილობით) დადასტურების შემდეგ, შინ წაეყვანა უკვე კანონიერი მეუღლე და ჯერ დაეპურებინა (სხვათა შორის, ორივეს ძალიან შიოდა, როცა რომელიღაც სადარბაზოში თავშეფარებულნი, ცხარედ ბჭობდნენ, ახლავე, ცხელ გულზე აღესრულებინათ ცხელ გულზევე მიღებული გადაწყვეტილება, თუ წვიმის გადაღებისთვის მაინც დაეცადათ), მერე კი გვერდით მოეწვინა საკუთარ საწოლში, როგორც წესი და რიგი მოითხოვს. მართალია, ისინი ხელმოუწერავადაც ყოველთვის ერთად იქნებოდნენ, მაგრამ მათი ერთად ყოფნა ისევ

ერთი გაუთავებელი, მარადიული სასიყვარულო პაემანი იქნებოდა და არა სიმბოლო, ვთქვათ, სამყაროს ერთიანობისა, როგორც ღვინონაყლაპი აველუმი "ხატავდა" ხოლმე მათ მომავალ ოჯახს რიგით პაემანზე, ანუ, რომელიღაც ყრუ კედელს აკრული, ტუსაღივით, თუ რომელიმე დაბურულ ხის ძირას შეყუჟული, ავაზაკივით, რაც ძალიან მოსწონდა და აღელვებდა მელანიას და ასე იქნებოდა ქვეყნის აღსასრულამდე, თუკი საერთო უღელში არ შეყოფდნენ თავებს ნებაყოფლობით ანუ, მორიგი პაემნის შემდეგ, ისევ თავთავიანთ სახლებს კი არ მიაშურებდნენ, შიმშილის მოსაკლავად თუ გამოსაძინებლად, არამედ ერთ ჭერქვეშ იქნებოდნენ, სადაც არ უნდა ყოფილიყო ის ჭერი, ერთ საწოლში - სადაც არ უნდა მდგარიყო ის საწოლი, და აქედან გამომდინარე, ერთად იშიმშილებდნენ და იფხიზლებდნენ, ვიდრე ოჯახის უფროსი სახელოვანი (ხელისუფლებისაგან დაფასებული) მწერალი გახდებოდა და 40 კაპიკის ნაცვლად, ბოლოს და ბოლოს, ორ მანეთს თუ არა, მანეთნახევარს მაინც მიიღებდა მთავლიტირებულ სტრიქონში, განსაკუთრებული ტარიფით, რაც თავის მხრივ, ოჯახის დიასახლისსაც მისცემდა შესაძლებლობას, არა მარტო ეფხიზლა და ეშიმშილა საერთო საწოლში, არამედ, ხანდახან, ბაზარშიც ევლო და გაზქურასთანაც ეტრიალა. მაგრამ, ეტყობა, ღმერთს უფრო უნდოდა მათი შეუღლება, ვიდრე რომელიმე მათგანს ცალკე ან ორივეს ერთად. რასაკვირველია, ღმერთის სურვილს ასრულებდნენ ორივენი, როცა წვიმას შეფარებულებმა, ერთმანეთის ჯიბრითა და გამოწვევით, არა თუ იოლად მიიღეს საშვილიშვილო გადაწყვეტილება, აღასრულეს კიდეც წვიმის გადაღებამდე. დეკემბრის ყინულოვან წვიმაში

ყელაწეულნი აჩერებდნენ მანქანას და, რასაკვირველია, ღმერთის გამოგზავნილი იყო ის ერთადერთი მანქანაც, რომელმაც ყურად იღო მათი ვედრება, ყურადღების ღირსად ჩათვალა საერთოდ, და მართლაც, ის მანქანა რომ არა, მმაჩის ბიურო დაკეტილი დახვდებოდათ და მშვენიერი მიზეზი ექნებოდათ, ერთხელ კიდევ გადაეფიქრათ, ერთხელ კიდევ - თუ საბოლოოდ არა - აეღოთ ხელი ამ ვერაგ, დაუნდობელ მოთხოვნილებასა და მტანჯველ განზრახვაზე. ისინი რომ აქოშინებულები შეცვივდნენ ოთახში, მმაჩის ქალი უკვე მიდიოდა, უკვე კეტავდა "დუქანს", მაგრამ კარგ თვალზე შეხედათ თუ ისიც ღმერთის გაფრთხილებული იყო, თავშალიც მოიხსნა და უკვე დაბინავებული ბეჭედიც გადმოიღო სეიფიდან. რაც მთავარია, მარკის ფულიც აპატიათ. უკანასკნელი მანეთიანი შოფერს დაუგდო სკამზე აველუმმა (სიძემ), თუმცა, მეტი მაინც არ ეკუთვნოდა, ასიოდე მეტრი გამოატარათ უნივერსიტეტიდან ზემელამდე და, თანაც, იმისი ბინძური, სველი ძაღლი აველუმს ეჯდა კალთაში (უკან მელანიაც ძლივს ჩაეჭეჭყა ღვინის ცარიელ ბოცოებში), მაგრამ სივიწროვის, ან ძაღლებისადმი თანდაყოლილი სიყვარულის გამო კი არ მოიქცა ასე, უბრალოდ, ძაღლის პატრონის გულის მოსაგებად, რაც შეიძლება სწრაფად რომ ევლო, რაც შეიძლება ჩქარა მიეყვანა ისინი "ეშაფოტამდე" და რაც შეიძლება მალე მოღებოდა ბოლო გასაიდუმლოებულ, გულის გულში გადამალულ შფოთვასა და მღელვარებას. მელანია ეჭვობდა, ფეხმძიმედ ვარ მგონიო, მაგრამ ეს მაინც არ იყო მთავარი მიზეზი მათი აჩქარებისა, უბრალოდ, მოსახდენი მოხდა და, რაც მთავარია, ასე უნდოდა ღმერთს. რასაკვირველია, ღმერთმა გამოუგზავნათ ძაღლიანი მანქანა - უკან დასახევი გზა რომ აღარ

დარჩენოდათ, თუკი ძაღლებივით ერთგულნი იყვნენ ერთმანეთისთვის მიცემული სიტყვისა, რადგან მელანიას ადგილას, ალბათ ბევრი ქალი იტყოდა უარს, ღვინის ცარიელ ბოცოებში ჩაჭედილი, ვიღაცის ბინძურ ძაღლთან ერთად გამგზავრებულიყო გასაბედნიერებლად, ნებისმიერი ქალისთვის უაღრესად ღირსშესანიშნავ დღეს - და ის ხანდაზმული ანგელოზიც, რომელსაც სრულიად უანგაროდ (პირიქით, იქით აპატიათ სავალდებულო გადასახადი) და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სამსახურის დამთავრების შემდეგ (ბაზარში თუ არა, გასტრონომში მაინც იქნებოდა შესასვლელი), არც საგულდაგულოდ მოხვეული თავშლის მოხსნა დაეზარა (გარეთ, როგორც უკვე ვთქვით, წვიმდა) და არც ასევე საგულდაგულოდ ჩარაზული სეიფის გახსნა. მართალია, იმ საზეიმო წუთებში არც ერთი ნათესავი, არც ერთი მეგობარი არ მდგარა მათ გვერდით, მაგრამ ამდენი ხნის შფოთვასა და მღელვარებას მაინც დაადგა საშველი - მათი დანატოვარი სიცარიელე სასიამოვნო გაოცებითა და დაბნეულობით ამოივსო - ბავშვობამ (გნებავთ, სიყმაწვილემ), ხმელი ფოთოლივით, ერთი კი გაიშრიალა დეკემბრის წვიმით გაჟღენთილ ჰაერში (შინ დაბრუნებულმა მელანიამ, ჩვეულებისამებრ, კარიდანვე დაუძახა ბებიამისს - მშია, მაჭამე რამეო - და უკვე მაგიდასთან, უკვე ლუკმით პირგამოტენილმა მოაყოლა - მგონი გავთხოვდიო) და სამუდამოდ მიჩუმდა, ერთხელ და სამუდამოდ.

- რას ჰქვია, გათხოვდი?! ვის წაყევი? - გამოენთო მეორე ოთახიდან მამამისი, თითქოს მელანიას ამ ბოლო რეპლიკას ელოდებოდა მოუთმენლად, სცენაზე რომ გამოვარდნილიყო. ხელში გაშლილი გაზეთი ეჭირა და მელანია შეცბა, დაიბნა უნებურად, რატომღაც არ ეგონა, მამა შინ თუ იქნებოდა, მაგრამ როგორც გათხოვილ მანდილოსანს მოეთხოვება, მაშინვე მოერია თავს და მშვიდად გააგრძელა: ვის წავყევი და... თქვენც იცით, ვისაც წავყვებოდიო.

- მერე? შენი ქმარი? - უარესად აღელდა მამამისი და ორივე ხელი, გაზეთიანად, სკამის ზურგს დააყრდნო, თითქოს უკეთ მოემზადა მისთვის არასასიამოვნო პასუხის მოსასმენად, ანდა, სულაც, თავის შესამაგრებლად, თუკი ფეხები უმტყუნებდნენ მოულოდნელად.

- ჩემი ქმარი? - გაიმეორა მელანიამ და უნებურად გაეღიმა გუნებაში - ერთი წამით ისევ თვალწინ დაუდგა, როგორ გარბოდა ის წვიმაში, შინისკენ, თავზე გაზეთწაფარებული და შიმშილისგან მუცელაყმუვლებული.

- შენმა ქმარმა იცის, რომ გშია? - მთლად გამოვიდა წონასწორობიდან მამამისი.

- რა თქმა უნდა?! - გაიკვირვა მელანიამ და ამჯერად ვეღარ მოერია ღიმილს, მთელი სახით გაიღიმა, ალალად, უანგაროდ - სხვათა შორის, იმასაც ძალიან შიოდა და იმიტომ წავიდა შინ - მოაყოლა სასწრაფოდ, თითქოს ქმრის მაგივრად მოუბოდიშა მამას - ისიც ალბათ უკვე ჭამს. ორივენი ვჭამთ, ერთდროულად - თავისებურად ახსნა უადგილო ღიმილის მიზეზიც.

- ჭამთ თუ ლაპარაკობთ? - თქვა ბებიამ. ხელში ტაფა ეჭირა, სახელურზე ტილოშემოხვეული, ტაფაზე კარტოფილში ათქვეფილი კვერცხი შიშინებდა - ჭამის დროს არ ლაპარაკობენ - გააგრძელა კუშტად. ერთდროულად შვილსაც მიმართავდა და შვილიშვილსაც.

- გაიგე? გათხოვილა! - შეუღრინა შვილმა.

- ყველა ქალი უნდა გათხოვდეს. ეგეც გათხოვდება, რა თქმა უნდა - თქვა ბებიამ და კარტოფილიანი კვერცხი თუ კვერცხიანი კარტოფილი თვითონ გადაუღო მელანიას დანის წვერით.

- გათხოვდება კი არა, უკვე გათხოვილა, ყურს დაგაკლდა?! - უყვირა შვილმა.

- ასე რა ხანია გათხოვილია ეს. - გაიცინა ბებიამ.

- არა, ბებო, მართლა გავთხოვდი, სხვანაირად. აგე, პასპორტი მანტოს ჯიბეშია. - უთხრა მელანიამ და ცხელი ლუკმა ენით შეატრიალა პირში.

სანამ სკოლაში სწავლობდა, ის მანტო პალტო იყო, მანტოდ სკოლის დამთავრების შემდეგ გადაუკეთეს, მერე კი თვითონ გადაიკეთა ქვედაკაბად.

სამყარო რომ იღუპებოდა, ათასი რამ არსებობდა ამის დამადასტურებელი, როგორც ცხოვრების ზედაპირზე, ყველას დასანახად, ისევე ცხოვრების იდუმალ, ჩაუღწეველ სიღრმეებშიც, რისი ხილვაც მხოლოდ ერთეულთა ხვედრია. სხვა თუ არაფერი, გაზეთებიც ამის მეტს არაფერს წერდნენ და რადიო-ტელევიზიაც, კასანდრასავით, მარტო ამას იუწყებოდა სულ, დილა-საღამოს. მაგრამ ყველაზე მეტად, მაინც სონიას გაქცევამ დასცა მელანიას თავზარი. ეს იყო მისთვის ყველაზე უტყუარი ნიშანი, როგორც მისი ოჯახის (პატარის სიკვდილით იწყება დიდის სიკვდილი), ისევე სამყაროს დაღუპვის მაუწყებელი. რასაკვირველია, იგივეს ადასტურებდნენ გაუთავებელი წყალდიდობები, ხანძრები, მიწისძვრები, მეწყერები, ქარიშხლები, კატასტროფები, აფეთქებები, მკვლელობები, ამბოხებები, გადატრიალებები, რევოლუციები, ომები, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური, ზნეობრივი თუ სექსუალური ექსპერიმენტები. მაგრამ მელანია იმათაც ისეთივე უდრტვინველობით აიტანდა, როგორითაც ქმრის საყვარლებს იტანდა, ვიდრე მეუღლე, დედა, ბებია და დიასახლისი ერქმეოდა ოჯახისა, რომელიც არა მარტო თვალნათელი, ხელშესახები (ანუ, მატერიალური - როგორც ბოლშევიკებს უყვართ თქმა), არამედ სულიერ-ზნეობრივი სინამდვილეც იქნებოდა (თუკი საერთოდ შესაძლებელია ასე რომ ითქვას) და, ამდენად, გარკვეული აღმზრდელობითი როლის შესრულება, გარკვეული ზემოქმედების (რასაკვირველია, სასიკეთო ზემოქმედების) მოხდენაც შეეძლებოდა ვიღაცაზე მაინც, თუნდაც, იმავე სონიაზე. სონია აველუმს კი არ გაურბოდა, აველუმი კი არ გადაეყვარებინა, რასაც ვერასოდეს გაუგებდა და მიუტევებდა მელანია, არამედ

საერთო, საყოველთაო უბედურება ეგრძნო იმასაც და, მელანიასი არ იყოს, ცხოველური გუმანის კარნახით, დღემდე ცნობილ იარაღთაგან, ისიც იმ ერთადერთს ეპოტინებოდა, რომელსაც, ასე თუ ისე, კიდევ შეეძლო მისი გადარჩენა, დაცვა მაინც, თუნდაც გარკვეული დროის მანძილზე. სხვანაირად ვეღარაფრით აღუდგებოდა წინ ადათ-წესების, ჩვევების, ჩვეულებების ჯადოსნური სკივრიდან თავდაღწეულ ცხოვრებას. ოჯახის შექმნა გადაეწყვიტა წარღვნის წინ, გაქანებული აპოკალიფსის ჟამს და, ჩვენში რომ ვთქვათ, ვერავინ გაამტყუნებდა, მით უფრო მელანია, თუნდაც იმიტომ, ასევე რომ მოიქცეოდა თვითონაც, ანუ, ღელვასა და ქარშიხალში მოხვედრილი, თავაშვებულ ლხინს კი არ მიეცემოდა დაღუპვამდე, პეშვებით ამოხაპავდა წყალს ძირგახვრეტილი ნავიდან. ასე რომ, სონიას გაქცევა, პირველ რიგში, იმას ნიშნავდა, მართლა რომ არსებობდა საფრთხე, მართლა კარს რომ იყო მომდგარი და კონკრეტულად მისი ოჯახის საფუძველს არყევდა, იმ მიკროსამყაროს, გნებავთ, იმ მიკროიმპერიის საფუძველს, სადაც აქამდე ყველამ თავისი ადგილი იცოდა და ყველა ერთნაირად გრძნობდა და აღიარებდა დანარჩენთა აუცილებლობას, რაც, სხვა თუ არაფერი, იმის შესაძლებლობას ნამდვილად აძლევდა თითოეულ მათგანს, უფრო მყარად მდგარიყო, უფრო იოლად შეენარჩუნებინა წონასწორობა მარადიული სიცარიელის თავზე, მხოლოდ და მხოლოდ, მისთვის გაბმულ ბეწვის ხიდზე, რომელსაც მის გარდა მაინც ვერავინ გაივლიდა. სხვათაშორის, წმინდა ქალური შურის, წმინდა ქალური სიძულვილისა და შურისძიების გრძნობა არც სონიას მიმართ გასჩენია როდისმე და არც ფრანსუაზას მიმართ. მეტოქეებად არც თვლიდა მათ, რადგან არც

იმათ უცდიათ, თუნდაც გუნებაში (ამას აუცილებლად გაიგებდა უაველუმოდაც), მისი ადგილის დაკავება. როცა თავად წაჰყვა ცოლად აველუმს, ანუ, როცა ღვინის ცარიელი ბოცოებითა და სველი ძაღლის სუნით სავსე მანქანაში ჩაუჯდა ერთი გაქექილი მანეთიანის იმედით, ფრანსუაზა 12 წლის იყო მხოლოდ, სონია კი სამი წლის მერე უნდა დაბადებულიყო საერთოდ, და, წოდებრივზე რომ არაფერი ვთქვათ, ასაკობრივი სხვაობაც უფრო მათ მფარველობას ავალდებულებდა, ვიდრე დევნასა და შევიწროებას. რაც მთავარია, იმათაც ის ადამიანი უყვარდათ, ვისაც თვითონ თვლიდა მხოლოდ სიყვარულის ღირსად; ვისთვისაც თვითონაც მზად იყო დაუფიქრებლად, უყოყმანოდ დაეთმო ყველაფერი, მშობლისა და შვილის ჩათვლით, და, ამდენად, უფლებაც არ ჰქონდა, გაჰკვირვებოდა ანდა სწყენოდა, თუკი სხვებიც აღმოჩნდებოდნენ მის დღეში, თუკი სხვებსაც ის შეუყვარდებოდათ, ვინც თავად უყვარდა, ვისი მეშვეობითაც შეეძლო ცას შესწვდენოდა და სიღრმე ეხილა, ანუ, ეტანჯა სიყვარულისთვის და ეამაყა საკუთარი ტანჯვით. მელანია ოჯახის გულისთვის, რა თქმა უნდა, ყველაფერს აიტანდა, ყველაფერს მოითმენდა, ყველაფერს გულში გადახარშავდა და არავის გამოაშვერინებდა თითს მისი ოჯახისკენ. მაგრამ თუკი გზასამცდარი ცხოვრებისთვის თავად ოჯახი აღმოჩნდებოდა ზედმეტი და მიუღებელი - რისი ნიშნებიც უკვე მრავლად შეიმჩენეოდა ირგვლივ - მაშინ თავისთავად ეკარგებოდა აზრი ოჯახის სახელით ატანილ დამცირებასაც, ოჯახის საკეთილდღეოდ ჩაყლაპულ შეურაცხყოფასაც, მართლაც რომ წიგნში შესატან მოთმინებასაც და სიჯიუტესაც. უოჯახოდ (ცხადია, მელანიას აზრით), არათუ ადამიანობა,

საერთოდ სიცოცხლე დადგებოდა საფრთხის წინაშე. "მეშინია, გული ცუდს მიგრძნობს, ან მე ვკვდები, ან მართლა დიდი საშინელება უნდა მოხდესო". - შესჩივლებდა ხოლმე აველუმს. აველუმს კი ისიც ჩვეულებრივად შეშინებული ეგონა, ჩვეულებრივად გაღიზიანებული, გაწამებული გაუთავებელი არეულობით, ხოცვა-ჟლეტით, ავადმყოფი ვირთხებივით სამზეოზე ამოსული საზარელი ჭორებით, ღვარძლიანი, სახიფათო მითქმა-მოთქმითა და, თავისთავად ცხადია, შვილის ბედითაც... მოკლედ, ყველაფრით, რაც არა მარტო საერთო, არამედ სავალდებულო უბედურებადაც ითვლებოდა და ყველას ერთად უნდა გადაეტანა, თუკი მართლა უნდოდათ განთავისუფლება, იმპერიის კლანჭებიდან თავის დაღწევა, ანდა, როგორც გაზეთები იმეორებდნენ წარამარა და უაზროდ, იმ გზაზე დადგომა, რომელიც "ტაძართან მიიყვანდათ", ბოლოს და ბოლოს, და არა ისევ კარაფიცრულ ფეხსადგილთან. გარდა ამისა, ეკაეკატერინეკატოს ჯერ საცხედრეებში ძებნამ, მერე კი იმის მჯდომარე გაფიცვის ყურებამ, ეტყობა კიდევ უფრო შეარყია მელანიას საერთოდ მებრძოლი და შეუპოვარი ბუნება და, ამიტომაც, აველუმი ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებდა იმის შფოთვასა და წუხილს, უფრო სწორად, ბუნებრივად თვლიდა და ცდილობდა, უმალ იმისთვის გაექარწყლებინა სადარდელი, ვიდრე უფრო ღრმად, ძირამდე ჩასძიებოდა და უკეთ გარკვეულიყო თავად ამ სადარდელში. "ამაზე მეტი რაღა უნდა მოხდესო" - აღარ აცალა სიტყვის გაგრძელება, თუმცა, თვითონაც ღრმად იყო დარწმუნებული (ისევე, როგორც მელანია), დღევანდელი ორომტრიალი სახსენებელიც არ იქნებოდა ხვალინდელთან. "ღმერთმა ქნას, მარტო

ამაზე გადაიაროს ყველაფერმაო" - აღარ გაუძალიანდა მელანიაც. მაგრამ თვითონ ვეღარ სძლია ცნობისმოყვარეობას, თავად წამოეგო სხვისთვის გადაგდებულ ანკესზე და - რას გულისხმობო - ჰკითხა ცოლს მოგონილი არხეინობით, ვითომ, მართლა კი არ მაინტერესებს, გალაპარაკებ, ჯავრი რომ გადაგეყაროს გულიდან და ცოტათი გაერთოო. "აი, სონიას გათხოვებას... ნეტავი გაუმართლდებოდეს მაინც" - მშვიდად უპასუხა მელანიამ, თითქოს სულ ამაზე ლაპარაკობდნენ შინ, როგორც კი დროს იხელთებდნენ, და, კაცმა, რომ თქვას, დასამატებელიც აღარაფერი ჰქონდათ. აველუმი გაჩუმდა, რაც თავისებურად ლაპარაკში აყოლას ნიშნავდა მაინც, ოღონდ სხვა საკითხია, რას ამბობდა დუმილით, რას გამოხატავდა: თანხმობასა თუ გულისწყრომას. ეს ალბათ მელანიამაც იგრძნო (უფრო მეტი იგრძნო) და თვითონვე გააგრძელა, ზედმეტად რომ არ დაეტანჯა ქმარი: "ცუდად არის საქმე, ძმაო, ცუდად. არ გესმით ჩემი. მაგრამ ასე რომ არ იტანჯებოდე, მაშინ ალბათ ვერც მე გაპატიებდი. გულისხეთქვისა და უმადურობის მეტი, შენც ვერაფერი მოგიტანა სიყვარულმაო". "რა იყო, რა გუნებაზე ხარ დღეს" - ნაძალადევად გაუცინა აველუმმა, იმ ადამიანივით, ბრძოლაზე ხელი რომ აუღია, მაგრამ ჯერ თვითონვე ერიდება ამის აღიარება. - "მე მალე მოვკვდები". - თქვა უცებ მელანიამ და ამჯერად აველუმს უბრალოდ ენა დაება მღელვარებისაგან, მოულოდნელობისაგან. არასოდეს უთქვამს მელანიას მსგავსი რამ. საერთოდ არასოდეს ულაპარაკია ასე. პირიქით, ყოველთვის სხვებს საყვედურობდა გულგატეხილობას, ყველაფერზე წუწუნსა და ჩივილს. თუმცა, ეს არც წუწუნი იყო, არც ჩივილი, არც ცხოვრებისაგან გამწარებული ქალის

ჩვეულებრივი გაბრძოლება, მაინცდამაინც, იმის თვალწინ, ვისაც ერთხელ და სამუდამოდ მიანდო თავისი სიცოცხლე. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე თქვა ის, რისი თქმაც უნდოდა, რაც აწუხებდა, რაც ჯერ მარტო თვითონ იცოდა (თუნდაც ვარაუდით) და რაც აუცილებლად უნდა სცოდნოდა მისთვის ყველაზე ახლობელ ადამიანსაც, მისი სიცოცხლის განმგებელს. ამიტომაც შეზარა ასე აველუმი მოსმენილმა. უფრო ადრე ირწმუნა, ვიდრე ბოლომდე აღიქვამდა და გაიაზრებდა მოსმენილს. ეს იყო შეუღლებასავით, შობასავით, სიკვდილივით იდუმალი აქტი განდობისა, საიდუმლოს გამხელისა, ცოდნის გაზიარებისა, ცოდვის აღიარებისა - ერთდროულად დამთრგუნველიცა და აღმაფრთოვანებელიც თავისი უბრალოებითა და სიდიადით. საბედნიეროდ, ისევ მელანიამ დაარღვია ეს მოულოდნელი, მართლაც სამარისებური დუმილი. აველუმს წინ დაუდგა, მხრებზე ხელები ჩამოაწყო და ახლა უკვე ხუმრობით, სიცილგარეული ხმით უთხრა: იცოდე, მაინც შენ დაგაკლდები ყველაზე მეტადო. თმა შესაღები ჰქონდა. ალაგ-ალაგ საღებავი გასცლოდა და თმის ძირები თეთრად მოუჩანდა. აველუმს, რატომღაც, ცრემლი მოებჯინა ყელში. მაგრამ მელანია კი არ შეეცოდა, რაღაც ძნელად მოსახელთებელი, ძნელად ასახსნელი დაენანა უცებ, შეიძლება, დრო - უაზროდ, უშედეგოდ გაფრენილი - რომელსაც ვეღარაფერი დააბრუნებდა უკან, ვერც აღსარება, ვერც მონანიება.

მელანიამ პაემანზეც ზუსტად ასე იცოდა დგომა. რომელიღაც მიყრუებულ ქუჩაზე, რომელიმე დაბურული ხის ძირას რომ "დაბინავდებოდნენ", მაშინვე მხრებზე ჩამოაწყობდა ხოლმე ხელებს აველუმს და ასე იდგა, საუბრობდნენ თუ კოცნაობდნენ. ასე იდგა მაშინაც (და ეს ცოტა არ იყოს, ეხამუშებოდა აველუმს), როცა დაძაბულნი და დაცქვეტილნი ელოდებოდნენ, როდის ჩაივლიდა საიდანღაც მოულოდნელად გამომტყვრალი გამვლელი, რათა ისევ გაეგრძელებინათ საუბარიცა და კოცნაობაც. "გახსოვსო?" - ამოხედა მელანიამ ღიმილით, გვერდზე თავგადაწეულმა, და მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითი ფრთხილად ჩამოუსვა ყელზე, ნიკაპს ქვემოთ, სადაც პატარა, დროისაგან გაფერმკრთალებული, ძლივსშესამჩნევი ნაიარევი ეტყობოდა აველუმს. აველუმს, რასაკვირველია, ახსოვდა. ის დღე, ერთ-ერთი ფრიად ღირსშესანიშნავი დღე იყო მათ ცხოვრებაში, მრავალმხრივ, მრავალნაირად დასამახსოვრებელი, და, რაც მთავარია, იმ დღეს მიხვდნენ ალბათ საბოლოოდ, ერთმანეთისთვის რომ იყვნენ გაჩენილნი, უფრო ზუსტად, ერთად რომ უნდა ყოფილიყვნენ ყოველთვის, კიდევ უფრო ზუსტად კი, უკვე იმდენი განეცადათ და გადაეტანათ ერთად, სადაც არ უნდა წასულიყვნენ ცალ-ცალკე, მაინც ერთად იქნებოდნენ, თუნდაც ერთმანეთის მოგონებებში, სასიამოვნო იქნებოდა ის მოგონებები თუ საჩოთირო, მწარე თუ ტკბილი. იმ დღესაც (დღეს კი არა, ღამეს - ის-ის იყო ჩათავდა პირველი ჰიმნის უკანასკნელი აკორდები), ერთ-ერთ თავიანთ ამოჩემებულ ადგილზე იდგნენ - ფიქრის გორაზე, ბილიკის თავში, ფიცრის ღობესთან, თუთის ხის ძირას - მოულოდნელად ორი ბიჭი რომ წაადგათ თავზე. ერთი მელოტი იყო (ან სამართებლით ჰქონდა

თავი გადაპარსული, თუმცა, მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდა თბილისმა "შესანიშნავი შვიდეულის" არსებობა), მეორეს კი მუქი ფერის ფეტრის შლიაპა ეხურა რატომღაც. "იუზგარ, საათს ხომ ვერ გვეტყვიო" - ძმაბიჭურად დაუძახა აველუმს. მაგრამ ვიდრე აველუმი შლიაპიანს უპასუხებდა ("სამწუხაროდ, არ ვხმარობ, იუზგარ, საათს, მაგრამ თორმეტს ბევრად არ უნდა იყოს გადაცილებული, რადგან პირველი ჰიმნი ეს-ესაა დამთავრდაო"), მელანიამ საათიანი ხელი უნებურად მაღლა ასწია, ახლოს მიიტანა თვალთან, უკეთესად რომ გაერჩია ისრები. მელოტმაც მაშინვე უზარმაზარი ხანჯალი გამოაძვრინა პერანგის სახელოდან (შიშს დიდი თვალები კი აქვს, მაგრამ ხანჯალი მართლაც დიდი იყო, ლამის სატევარი) და აველუმს ყელზე მიაბჯინა (სწორედ იმ ადგილას, სადაც მელანიამ ჩამოუსვა წეღან თითი), "უთხარი, მოიხსნასო" - თავი გადაიქნია მელანიასკენ. თან თვალს არ აშორებდა აველუმს. შიშისაგან თუ დაძაბულობისაგან ხელი უკანკალებდა. აველუმი გაშრა, გაოგნდა. ყველაფერს ელოდებოდა, ამას კი არა, თანაც, ლამის საკუთარ უბანში, სადაც ქურდსაც პირზე კოცნით იცნობდა და ბანკის ინკასატორსაც. ვერ მოისაზრა უცებ, რა ექნა, როგორ მოქცეულიყო. გამალებული უცემდა გული, მაგრამ უფრო უმწეობისგან, ვიდრე შიშისგან. უფრო სწორად, ჯერ თვითონაც ვერ გარკვეულიყო საკუთარ განცდებში, არ ეცალა საამისოდ. სამაგიეროდ, ნათლად იგრძნო, ხანჯლის აცახცახებულმა წვერმა როგორ გაუკაწრა ყელზე კანი, რამდენჯერმე, ზედიზედ. იგრძნო, როგორ ჩამოაცოცდა სისხლის ჯერ ძალიან ცივი, მერე კი ძალიან ცხელი წვეთი, წვეთები, მთელი ნაკადი, ნიაღვარი, ჩანჩქერი სისხლისა. ტკივილი კი არ

უგრძვნია. "აჰა, შე დებილოო" - დაუძახა მელანიამ მელოტს და შეხსნილი საათი დაუდევრად გადაუგდო. მელოტმა საათი მარჯვედ დაიჭირა ჰაერშივე და ხანჯალიც მაშინვე მოაშორა აველუმს. "არა უშავს, შევხვდებითო" - ჩაიბურდღუნა აველუმმა და თვითონვე შერცხვა თავისი ბავშვური, გულუბრიყვილო მუქარისა. "არ გინდა, სიმონ, დაიბრიდები ულაპარაკოდო" - თითქოს თავისთვის თქვა შლიაპიანმა და მელოტს ხელით ანიშნა, წავიდეთო. "ისე, თუ თქვენც წახვალთ აქედან, უკეთესი იქნება თქვენთვის - თქვა მელოტმა - ჩვენზე უარესები მოდიან უკან, ტრუსიკს არ შეგარჩენენ იცოდეთ" - მოხედა მელანიას უწმაწური ღიმილისგან კბილებდაკრეჭილმა. თან ბილიკზე ჩადიოდა, შლიაპიანს მიჰყვებოდა უკან. ქვემოთ, უკუნეთ სიბნელეში, გმირთა მოედანი გუგუნებდა ყრუდ. ჯერ ნელა ჩადიოდნენ, თავს იკავებდნენ თავდაღმართში. შეიძლება, ქურდულ ღირსებასაც უფრთხილოდებოდნენ, მაგრამ თანდათან აუჩქარეს ფეხს და მერე სულ კისრის ტეხით ჩაათავეს ბილიკი. "დედლებოო" - მიაძახათ მელანიამ. "დედალი მე ვარო" - თქვა აველუმმა.

- არა! - იყვირა მელანიამ, - შენ ხომ არ გითქვამს ჩემთვის, მიეცი საათიო, ჩემით მოვიხსენი - გააგრძელა ჩვეულებრივი ხმით - აი, შენ რომ გეთქვა, მაშინ ნამდვილად დედალი იქნებოდი. უყურე იმ ნაბიჭვარს! - შესძახა უცებ - დაუჭრიხარ!

აველუმმა უნებურად ხელი განაკაწრზე მოისვა და ზედ დაიხედა.

- კი არ დამჭრა... - სცადა მელანიას დამშვიდება, მაგრამ მღელვარებისაგან ხმა გაებზარა.

- იმიტომაც გაიქცნენ - უარესად აღელდა მელანია.

- ხელი უკანკალებდა - ძლივს ამოღერღა აველუმმა და ცხვირსახოცი ამოიღო ჯიბიდან.

- მოიცა, მასე არა. მე მიმიშვი - გააჩერა მელანიამ. ხელები მხრებზე ჩამოაწყო და ფრთხილად, გაუბედავად აუსვა ენა ჭრილობაზე. "თფუიო" - მაშინვე გადმოაფურთხა აველუმის სისხლი. მაგრამ იმავე წამს უფრო თამამად, უფრო საფუძვლიანად დაეწაფა. თან ჭრილობას ულოკავდა, ერთგული ძაღლივით, თან პირში დაგროვილ სისხლს აფურთხებდა და თან იცინოდა: რომ იცოდე, საათზე მეტის წართმევა შეეძლოთ იმ დებილებს ჩვენთვისო.

გარკვეული თვალსაზრისით, ალბათ ამ შემთხვევამაც დააჩქარა მათი შეუღლება, უფრო სწორად, მათი ერთ ჭერქვეშ ცხოვრება. თუმცა, პირველად რომ დაწვნენ ისინი საკუთარ ჭერქვეშ, ანუ, ბოლოს და ბოლოს, მაინც რომ აღირსეს აველუმს (როგორც ცოლშვილიან მწერალს), ერთოთახიანი ბინა ქალაქის გარეუბანში, ეკაეკატერინეკატო უკვე ხუთი წლისა იყო. მათი სახლის იქით ტრიალი მინდორი იწყებოდა, სადაც მამა-შვილი ყაყაჩოებს კრეფდნენ ხოლმე, მაგრამ ერთხელ ყაყაჩოს მტვერმა მოწამლა თუ რა იყო, ეკაეკატერინეკატოს ნესტოები დაუჩირქდა და იმის მერე მელანია იძულებული გახდა, შვილიანად, ისევ მშობლებთან დაბრუნებულიყო, ხოლო საკუთარ ქმართან ისევ შეყვარებულივით მისულიყო პაემანზე საკუთარ ბინაში. და მაინც, უოჯახოდ არაფერი ესაქმებოდა მელანიას ამ ქვეყანაზე. ოჯახი მისთვის, უპირველეს ყოვლისა, ის ასპარეზი გახლდათ, სადაც ადამიანები ერთმანეთს კი არა, ერთმანეთის სისუსტეებს, ერთმანეთის სნეულებებს, ერთმანეთის შიშებს, ერთმანეთის სიმარტოვეებს, სიმდაბლეებსა და სიგლახეებს ერკინებიან და, შეძლებისდაგვარად, გარკვეულ წარმატებებსაც აღწევენ, რაღა თქმა უნდა, თუკი მართლა უყვართ ერთმანეთი და თუკი მართლა სჯერათ ერთმანეთისა. ამიტომ, როგორც კი საოჯახი საქმეებს მორჩებოდა და თავის მარადიულ საქსოვიანად ტელევიზორის წინ მოკალათდებოდა სავარძელში, ეკრანს შესცქეროდა თუ ნაქსოვის თვლებს ითვლიდა ტუჩებაცმაცუნებული, მაინც იმის გარკვევას ცდილობდა სულ, რატომ ხდებოდა, რაც ხდებოდა და რატომ არ იყო ცხოვრება ისეთი, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო. მაგრამ ამდენს როგორ გაარკვევდა, როცა ისიც არ იცოდა, რას ქსოვდა

და ვისთვის ქსოვდა. უფრო სწორად, ისე ხშირად ეცვლებოდა აზრი, ვერაფრის დამთავრებას ვერ ასწრებდა და უკვე სანახევროდ მოქსოვილ სვიტრს, რომელიც თითქოს ეკაეკატერინეკატოსთვის ჩაეფიქრებინა, დაუნანებლად არღვევდა, რათა აველუმის პულავერის ქსოვა დაეწყო. ქსოვაც თავდაცვის ერთ-ერთი საშუალება იყო ალბათ, მაგრამ, რასაკვირველია, ქსოვისას იმის დადგენაც აინტერესებდა, რამდენად იყო თავად დამნაშავე, მართლა იყო მასზე რამე დამოკიდებული, თუ მაინც ისე მოხდებოდა ყველაფერი, როგორც ხდებოდა, თუკი, ვთქვათ, თავიდანვე არ აპატიებდა აველუმს. მაგრამ თავიდანვე თუ არ აპატიებდა აველუმს ყველაფერს, ვერც აქამდე შეინარჩუნებდა მას. მისთვის კი მთავარი ეს იყო და არა აველუმის ეროტიკული თავგადასავლები, რომლებსაც თავად აველუმი ყველანაირად მალავდა მისგან, მაგრამ, რა თქმა უნდა, უშედეგოდ. მელანიას ასეთი აველუმიც უყვარდა. თუ შეიძლება ასე ითქვას, ასეთი აველუმიც იგულისხმებოდა მისთვის საერთოდ აველუმის ცნებაში. ოღონდ, თვითონ ასეთი აველუმის მიმართ უმალ დობილი და მესაიდუმლე გამოდიოდა, ვიდრე სატრფო ან ცოლი, და არც ამის გამო გრძნობდა რაიმე უხერხულობას, პირიქით, მეტი პატივისცემით იმსჭვალებოდა საკუთარი თავისადმი, თუკი მართლა წაადგებოდა ხოლმე რამეში, სწორედ როგორც დობილი და უერთგულესი მესაიდუმლე. ერთხელ, გათხოვებამდე, მამას ფულიც კი სთხოვა, ვითომ თანაკლასელისთვის საჩუქრის საყიდლად და აველუმს მიურბენინა, იმან კი სასიმამროს ფულები ვენდისპანსერის ექიმს ჩაუკუჭა თეთრი ხალათის ჯიბეში, ვიდრე, შარვალჩახდილი, პირქვე

გადაემხობოდა მუშამბაგადაფარებულ ვიწრო ტახტზე, სუსუნაკის საწინააღმდეგო ნემსის გასაკეთებლად.

მოკლედ, გასახსენებელი ბევრი ჰქონდა და ისიც იხსენებდა. ჩაჯდებოდა სავარძელში ტელევიზორის წინ, ცელოფანის პარკიდან ამოიღებდა რკინის ჩხირებსა და ძაფის გორგალს და, ვინ იცის მერამდენედ, გაუყვებოდა აველუმთან ერთად გამოვლილ გზას, ხან თავიდან ბოლომდე და ხან ბოლოდან თავამდე, რის გამოც, ძალაუნებურად, ნაქსოვიც მათ გზას ემსგავსებოდა - დაბლანდული, დახლართული, ბოლომდე გაურკვეველი, ჩხირების ნებაზე მიშვებული. ის კი ყოველ წვრილმანს იხსენებდა, ყოველ შემთხვევას, ყოველ სიტყვას, ყოველ ნაბიჯს და ჩქარობდა ყველაფრის ხელახლა შეფასებასა თუ გადაფასებას, რაკი არეული დროც ამას ავალდებულებდა. არადა, კაცმა რომ თქვას, ახლა თითქოს უფრო მშვიდად უნდა ყოფილიყო, ვიდრე, ვთქვათ, გუშინ და გუშინწინ. ქმარიც შინ ჰყავდა და შვილიც. მაგრამ სწორედ მათი "შინ ყოფნა" აბნევდა და აფორიაქებდა, იმდენად ნაძალადევი, იმდენად ხელოვნური და არაბუნებრივი ჩანდა ამის გამო სხვა ყველაფერი. შვილს გარეთ გახედვაც აღარ უნდოდა, იატაკზე იჯდა კუთხეში, თავისთვის. არც ჩიოდა, არც იმუქრებოდა. არც შვილი ახსოვდა, არც ამხანაგი. მელანიამაც აღარ იცოდა, როდის ჯობდა, როდის გრძნობდა თავს უკეთესად, როცა სულ შვილის მოლოდინში იყო, სულ კარს მიჩერებული, თუ ახლა, როცა თვალწინ ჰყავდა სულ. მით უფრო ძნელი გასარკვევი იყო, რა ერჩია თავად ეკაეკატერინეკატოს, როდის გრძნობდა თავს უფრო თამამად, უფრო თავისუფლად; საერთოდ, როდის გრძნობდა თავს ადამიანად, როცა ქუჩა-ქუჩა დაძრწოდა დროშის ფრიალით, როცა მის დანახვაზე, შეშინებული დედაბრები ცეკვას იწყებდნენ თავიანთ პატარა

აივანზე, თუ ახლა, სიკვდილს ძლივს გადარჩენილი, ძლივს მოძებნილი, ძლივს დაბრუნებული შინ და არა მარტო გვარშეცვლილი, ზნეშეცვლილიც.

ქმარსაც შვილის სენი შეჰყროდა თითქოს. თითქოს კი არა, ნამდვილად, ერთი სენით იყვნენ შეპყრობილნი. აღარც იმას მიუწევდა გული გარეთ, მაგრამ არათუ იშვიათად ხედავდა, როცა ხედავდა, მაშინაც უჭირდა უბრალო, თუნდაც სამეზობლო ურთიერთობის დამყარება მასთან. შეიკეტებოდა თავის ოთახში და საბეჭდ მანქანაზე აკაკუნებდა განუწყვეტლივ, გაუჩერებლად, მექანიკურ კოდალასავით. თუ არ გაახსენებდნენ, არც ჭამა უნდოდა, არც ძილი. მაგრამ მაინც შინ იყო, თავის ადგილზე და, თუ არ ჩანდა, აშკარად ისმოდა - ძველისძველი, კლავიშებმორყეული "ერიკა" მხოლოდ და მხოლოდ მის ხმას გამოსცემდა, მის გულისთქმასა და მის სულისკვეთებას. სამაგიეროდ მისი ჭკუა-გონება ფრენდა სხვაგან და მელანიასაც ეს აფრთხობდა, ეს აწუხებდა, რადგან სხვაზე უკეთ (ველუმზე უკეთაც), მან იცოდა ალბათ, ყველაზე ნაკლებად ახლა რომ იყო იგი შინ. ველუმი საერთოდ მაშინ უფრო ეკუთვნოდა მას, როცა სხვაგან მიდიოდა. მაშინ ველუმის ჭკუა-გონება აქეთკენ, შინისკენ, მელანიასკენ ქროდა და მოულოდნელად რომ გამოეცხადებოდა ხოლმე, ყველაფერზე ეტყობოდა, ოჯახის უფროსი ბრუნდებოდა საკუთარ ოჯახში და შეუვალი, გარდუვალი იყო მისი უფლებამოსილება, მისი ნება-სურვილი ამ კედლებს შორის, ამ ტერიტორიაზე. გონზე მოსვლასაც არ დააცლიდა, თითქოს საყვარლისგან კი არ დაბრუნებულა, არამედ, სატუსაღოში შობილი, სატუსაღოში ჩაბერებული, საერთოდ პირველად გამოუშვიათ დღეს სატუსაღოდანო. "არაფერი არ არსებობს ჩემთვის წესიერად, ადამიანურადო" - ყასიდად ბუზღუნებდა ბედნიერი მელანია, ერთხელ კიდევ განწმენდილი, ერთხელ კიდევ განთავისუფლებული ავი, გესლიანი

ეჭვებისა და ვარაუდებისაგან და ერთხელ კიდევ დარწმუნებული ქმრის დაუოკებელ სიყვარულში. ახლა საკუთარ სამფლობელოში კი არ იჯდა ის (თავისიანების იმედად), სოროში ემალებოდა თითქოს ვიღაცას თუ რაღაცას; მტერ-მოყვრის მისაღებად კი არ იყო მზად, როგორც ოჯახის უფროსს ეკადრება, არამედ - გასაქცევად, როგორც მარადიული ლტოლვილი. ხოდა, მელანიაც უსასრულოდ იხსენებდა, ირკვევდა განცდილსა და გადატანილს; ეძებდა მართალსა და მტყუანს; ხელახლა სწონიდა და ზომავდა ათასჯერ აწონილსა და გაზომილს, სხვებისთვის მიტევებულსა თუ თავისთვის მიუტევებელ შეცდომებს; და მაინც ფარული იმედით, მერყევი რწმენით ფიქრობდა მოთმინების აუცილებლობაზე, მიტევების მადლზე, ქმარ-შვილის შესაძლებელ დაბრუნებაზე... მაგრამ, ეტყობა, არც მისი მოთმინებაა ამოუწურავი, მასაც მოსწყინდება, მასაც ამოუვა ყელში ამდენი უაზრო ქექვა გარდაცვლილი, მტვრადქცეული წუთებისა, საათებისა, დღეებისა, წელიწადებისა; ძიება არარსებულის, არყოფილის დანატოვარი კვალისა; გაუთავებელი წვნევა და შეფერება ჩაუდენელი დანაშაულის შედეგებისა თუ ამაო მცდელობა განცდილის განმეორებისა და, ერთ ჩვეულებრივ საღამოს (გარეთ ისროდნენ), მოულოდნელად წამოდგება სავარძლიდან და მისი კალთიდან გადმოვარდნილი ძაფის გორგალი იატაკზე გაგორდება, კარისკენ, თითქოს ლაბირინთიდან გამოსასვლელ გზას მიანიშნებს პატრონს, პატრონი კი, დაბნეულად, დარცხვენილად მომღიმარი, კეფაზე მოისვამს ხელს, თითქოს თმის სამაგრს მოიძიებს, "აი, აქ, რაღაცაო..." - ვერ დაამთავრებს სიტყვას და ვიდრე ქმარი ან შვილი შეაშველებდეს ხელს, უგონოდ დავარდება

სავარძელზე, თითქოს ძაფის გორგლის ჯიბრზე, თითქოს იმას რომ შეაგნებინოს ერთხელ და სამუდამოდ - თავცოცხალი ფეხს არ მოვიცვლი აქედანო.

მაგრამ ეს მერე მოხდება, ცოტა მოგვიანებით. ჯერ "პერესტროიკა" ქანს იღებს, ძალას იკრებს, თავისი გზით მიედინება. წინასწარ დასახულ გზას მიყვება მეთქი, მინდოდა მეთქვა, და გაზეთებიც კუდის ქიცინით, წკავწკავ-წკმუტუნით მიაცილებენ, როგორც ძაღლები - მარჩენალ პატრონს. და აი, ყოველი თვის მეორე დღე ქალაქში უმანქანო დღედ ცხადდება, რასაკვირველია, გარდაქმნასთან დაკავშირებით, მშრომელთა საკეთილდღეოდ, მათი ძვირფასი ჯანმრთელობის დასაცავად. გაზეთი ამბობს, "ჩვენს ქალაქში ჰაერის სწრაფი, ყოვლად გაუთვალისწინებელი დაბინძურების გამოო" (წარმოგიდგენიათ!), თუმცა, ამგვარ უაღრესად "კაპიტალისტურ მოვლენებზე", ჯერ კიდევ გუშინ, საერთოდ დუმდა იგივე გაზეთი, ანდა გუშინ და გუშინწინ, როგორც სხვა ყველაფერი, სოციალისტური მანქანის გამონაბოლქვიც სასარგებლო ეგონა ადგილობრივი მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით მათი სასუნთქი ორგანოებისთვის და ამ საკითხთან დაკავშირებით გული საგულესა ჰქონდა. მაგრამ როცა უთხრეს აფორიაქდიო, აფორიაქდა. გარდა ამისა, სხვა მხრივაც გამართლებულია ამგვარი ღონისძიების ჩატარება განსაკუთრებით დღეს და განსაკუთრებით ჩვენს ქალაქში, სადაც ამ ორიოდე დღის წინ ამდენი ხალხი მოიწამლა ერთბაშად, დღემდე დაუდგენელი მიზეზით, და ხომ შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, მართლა მანქანების გამონაბოლქვის ჭარბი "მიღება" იყოს მიზეზი მათი მოწამვლისა (არ დაგავიწყდეთ, იმ ხალხმა მთელი კვირა შუა ქუჩაში, ღია ცის ქვეშ გაატარა) და არა რომელიღაც გასაიდუმლოებული, სამხედრო დანიშნულების ქიმიური ნივთიერება, როგორც ვიღაც-ვიღაცები ჭორაობენ დღემდე. თუმცა, გამოცხადება ერთია, განხორციელება კი მეორე.

მანქანის გულისთვის ხალხმა სული წაიწყმიდა, ვინ მამა ჩაუშვა, ვინ დედა დააგირავა, ვინ იატაკქვეშა მილიონერის უუუუუკანასკნელი ქალიშვილი, საკავშირო მასშტაბით სახელგანთქმული კლარნეტისტი შეირთო ცოლად და ახლა, ჩემმა გამონაბოლქვმა ვინმე არ შეაწუხოსო, მანქანას გააჩერებს, თუნდაც ერთი საათით?! არა გვგონია. ასე რომ, თუ როდისმე განხორციელდება ამას წინათ საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, დამატებით შეგვატყობინეთ. იქამდე კი ვიგრიალოთ ძველებურად, ცა - ქუდად, მიწა - ქალამნად. მაგი პატრონი დედაც. ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?! ყველა თავისას ჭედავს კიდობანს. ამერიკის პრეზიდენტი კი პოლონეთში ჩასულა. ჩვენ ვიკითხოთ, თორემ პოლონეთს ეშველება. პოლონეთს ჯვარი სწერია. თანაც, რომის პაპისა. ჩვენ ჯერ ისიც არ ვიცით, სად ვეძებოთ ჩვენი სული. ჰაერში? ღრუბლებში? ნამში? ღვინოსა თუ ჩაქაფულში? სად არისო - მე მეკითხება გაზეთი. სხვათა შორის, ოპტიკური კაბელი თბილისშიც იმუშავებს თურმე. იქნებ ეს დაგვეხმაროს სულის აღმოჩენაში. ხომ იცით, რასაც ნიშნავს ოპტიკური კაბელი? ეს იმას ნიშნავს, რომ არა მარტო დაელაპარაკებით ერთმანეთს შორიდან, არამედ დაინახავთ კიდეც. წარმოგიდგენიათ, რა იქნება? ჯობია გავჩუმდე. შინიდან არ გამოხვალ და სადაც გენდომება - შეხვალ. რა მოგივიდა, გოგო, ცოტა კიდევ ჩაიწიე, დამენახვე ერთი წუთით. იცი როგორ მენატრები?! მოიცა, რას შვრები? ეს მეტისმეტია. ვინმე არ იყოს ჩართული. და მაინც, მეცნიერება ვალშია ბუნებასთანო. ვალშია? ვალში კი არ არის, დამნაშავეა ბუნების წინაშე და ურჩევნია პასუხი აგოს, სანამ ჯერ კიდევ დროა. ჯან ჩენსაც და ჩენ ძიჯუანსაც, თურმე,

ძალიან, ძალიან მოსწონთ ჩვენი ქალაქი და საერთოდ ქართველები, მაგრამ მდგომარეობა არ გამოსწორდება და დროთა განმავლობაში საგრძნობლად გაუარესდება კიდეც, თუ თითოეული თბილისელი არ შეიგნებს, რომ ჰაერის გაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლა მოქალაქეობრივი მოვალეობაა და არა ანგარიშსწორების კიდევ ერთი საშუალება. აბა, მე თუ მკითხავთ, როცა უმანქანო მოითხოვს მანქანიანმა უარი თქვას მანქანაზეო, ეს პრრწავარდნილი უსინდისობაა და მეტი არაფერი. მართალია, უმანქანო ჰაერს არ აბინძურებს, უფრო ზუსტად, უმანქანოს მხოლოდ ჰაერის გაფუჭება შეუძლია, თანაც ლოკალურად, მაგრამ მანქანა რომ ჰყავდეს, ნამდვილად არ იმსჯელებდა ისე, როგორც ახლა მსჯელობს. მაშინ იტყოდა, თუ დახრჩობაა, ყველანი ერთად დავიხრჩოთო. უმანქანოვ, ნუ გშურს მანქანიანისა! ჰაერის დაბინძურების პრობლემა იმიტომ კი არ დადგა დღის წესრიგში, შენ რომ წლობით დაგროვილი ჯავრი ამოიყარო ვიღაცაზე (როგორც მიგაჩვია ცხოვრებამ, გნებავთ, მთავრობამ), არამედ ასეთი გახლავთ ეგრეთ წოდებული განვითარებული ცივილიზაციის სიავკარგე - მანქანა და სუფთა ჰაერი ერთად არ თავსდება. ხოლო ადამიანი უმალ უჰაერობით ამოიხრჩობა საკუთარ მანქანაში, ვიდრე იქიდან გადმოვა თავისი ნებით. მარტო თბილისში კი არა, ყველგან. ასე რომ, ვერაფერს გამორჩები შენი ღვარძლითა და შურიანობით. შეგიძლია, საწერ-კალამიც ისევ უჯრაში შეინახო (უკეთეს შემთხვევამდე), რადგან ამ საკითხთან დაკავშირებით ანონიმური "რჩევები" და "მოსაზრებები" არ მიიღება. ჩვენმა ხომალდმა მკვეთრად შეიცვალა გეზი, ანუ, ინდოეთი რომ გვეგონა, ამერიკა ყოფილა. განა მიწისძვრა, ან მეწყერი, ან წყალდიდობა შენზე

მდიდრების ბრალია?! გავიხედე და, ხვალ შენც იყიდე მანქანა - ღმერთმა გაყიდინოს - რას იზამ? დაემორჩილები შენს მიერვე დადგენილ წესს, დადგენისას სხვებისთვის გამიზნულს? არ დაემორჩილები. გაიხედე და, მანქანიანმა შენ გაჩუქა თავისი მანქანა - მადლს იზამს - როგორ მოიქცევი? აუჯანყდები შენგანვე მიღებულ კანონს? რასაკვირველია, აუჯანყდები. ასე რომ, არაფერი გვეშველება, ვიდრე უმრავლესობის (უმანქანოს) აზრს კი არა, საღ აზრს არ მოვუხმობთ, ბოლოს და ბოლოს. ამასობაში კი გლდანის მესამე მიკრორაიონის მეათე კორპუსის წინ დაუდგენელი მიზნით ამოღებული თხრილიდან, ხოლო ანაგის ქუჩაზე ამ ერთი თვის წინათ გამოცვლილი საკანალიზაციო მილებიდან, ისევე როგორც საბურთალოს რაიონის ვაზისუბნის ქუჩაზე მოულოდნელად გაჩენილი ორმოდან და, ასე შემდეგ, თქვენ თვითონ თქვით, რა მოედინება. თქვენ კი გაკვირვებას გამოთქვამთ, ქართველი ბატონიშვილი ქართულად ვერ ლაპარაკობსო. არ გცოდნიათ საკუთარი ისტორია, არც საკუთარი ბუნება. საქართველოს ერთ-ერთ უკანასკნელ ბატონიშვილს, დარეჯან დედოფლის სასახლის მონარჩენი აივნიდან რომ გადმოუხედავს თბილისისთვის, გულწრფელად წამოსცდენია: ღმერთო, რა უცხოა აქაურობაო! ჩვენი ბატონიშვილები რახანია ან რუსულად ლაპარაკობენ, ან ფრანგულად, ან ესპანურად, ან ინგლისურად. ქართულად კი ვერა. რას ვიზამთ, ასე მოხდა. ჩტო პოდელაეშ. სე ლა ვი. სამაგიეროდ, ბატონ ჩანაკის ძალიან მოსწონებია ჩაქაფული. დიდებულია, დიახ, დიდებული. ოღონდ, ჩვენი ბუდაპეშტისა არ იყოს, საფუძვლიანი რესტავრაცია სჭირდება თქვენს "ბუდაპეშტსაც" (ყოველთვის იდიოტური რესტორანი

იყო, ყველა ჯურის ხალხი ირეოდა, ძირითადად ვაკის, ანუ "გამარჯვების" პარკის "ფაუნა": სტუდენტები, ქურდები, ნარკომანები, მილიციელები, იატაკქვეშა საქმოსნები, რაიონული მასშტაბის ხელმძღვანელი მუშაკები - შესვენებაზე გამოსულნი და მთელი დღით შერჩენილნი სუფრას - და გადიებიც კი, თავიანთ ბავშვებიანეტლებიანრძისბოთლებიანსათამაშოებიანა
დ... ერთხელ აველუმი ისე დათვრა, სათამაშო საყვირით უხმობდა ოფიციანტს). ასე რომ, მზად ვართ, თუკი ამის აუცილებლობა შეიქმნება. თუმცა, მოგეხსენებათ, ვალუტის პრობლემა და სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური სიძნელეები. მაგრამ რას ვიზამთ, ღმერთი მოგვცემს, ბატონო ჩანაკი. ღმერთმა გისმინოთ, მაგრამ ჩვენ, თქვენი არ იყოს, მარტო ღმერთის იმედზე ყოფნა... ჰმ, ჰმ... ჩაქაფული კი დიდებული კერძი გახლავთ. თავისუფლად შეიძლებოდა. მაგრამ ეს უკვე მომავლის საქმეა. ეროვნული ბიზნესი. მართლაც, რა დროს ეს არის?! უკვე ორი თვეა, თბილისის საავადმყოფოებში გრძელდება ცხრა აპრილს დაშავებულთა მიღება და მკურნალობა (გაზეთში წერია - "დაზარალებულთაო" - დაზარალდე, შეიძლება, ვაჭრობაში, აღებ-მიცემობაში, სამეურნეო საქმიანობაში... ცხრა აპრილს კი მხოლოდ და მხოლოდ დაშავდები, დასახიჩრდები, დაიღუპები). მთავრობას, თურმე, ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, თუ რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ეს პროცესი, კომკავშირული რთველისა არ იყოს. ადვილი შესაძლებელია, თუ მოეპრიანებათ, ხვალვე შეწყვიტონ, ან არასდროს. ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო კი სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, ყველა მედიკამენტი (თავისთავად ცხადია, უცხოელების ჩამოტანილი სამადლოდ - შავ ბაზარზე ცეცხლი რომ უკიდია), დანიშნულებისამებრ მიდის

დაზარალებულამდეო. ერთობ საინტერესო განცხადებაა. დაშავებულს ისიც დაზარალებულს ეძახის, ანდა, "ჩაშკა" ჰყავს მხედველობაში, წამლის ვაჭარი შავ ბაზარზე, რომელმაც მართლა ნახა ზარალი ამ ბოლო დროს - ორჯერ დაეცა ობეხეესი... ოვანესას ბინაზე კი მომაკვდინებელი შხამის მთელი საბადო აღმოუჩენიათ. კი მაგრამ, მერამდენედ? რამდენჯერ გვაუწყეს უკვე? როდემდე უნდა ვწეროთ და ვიკითხოთ ერთი და იგივე? საინტერესოც აღარაა. მიიტანს ოვანესა ფულს, სადაც ჯერ არს, ჩვენი მოძმე ხალხის ღირსეული შვილია, ალალ-მართალი მშრომელია; არ მიიტანს და - წადი შენი სომეხი დედაცო! განსაკუთრებით მაინც გერმანელი ექიმების მადლობლები ვყოფილვართ, მაგრამ ავადმყოფები ძალიან ნერვიულობენ თურმე, ერთი დღითაც თუ დაიგვიანა გერმანიიდან გამოგზავნილმა წამალმა. გასაგებია. ნამდვილად სანერვიულოა. გვიან ჩამოვა წამალი, გვიან იშოვნიან მათი ჭირისუფლებიც. თავისთავად ცხადია, ფასიც მოიმატებს. ხანდახან, განგებაც აყოვნებენ ალბათ გზაში. ახლა დრო ჩვენთვისაც უკვე ფულია, რაკი კაპიტალიზმისკენ გვაქვს გეზი აღებული. ამიტომ, კიდევ ერთხელ გეკითხებით, რა უნდა მუშას პარლამენტში? თავად მუშა ვარ და ვიცი, რასაც ვამბობ. მუშას კი არა, პროფესორს ვერ ააღებინებ ხელში წიგნს. ასე თუ გაგრძელდა, კონკრეტული დამნაშავენი ნამდვილად აიცდენენ პასუხისმგებლობას. შალომ ყველას ჩვენ! მაგრამ ზემოდან უფრო პატარები, უფრო საწყლები მეჩვენებით, ჩემო ძვირფასო ქართველებო. მე კი წამოვედი, ამოვედი მაქედან, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ! წასასვლელიც არა გაქვთ არსად. გმადლობთ, აბონ, მაღლაც რომ გახსოვართ,

ზემოდანაც რომ არ სწყვეტ კავშირს შენს მეორე სამშობლოსთან, თუკი საერთოდ შეიძლება ორი (ან რამდენიმე) სამშობლო ჰქონდეს კაცს. ერთი მაღლა, ცაში, მეორე კი ქვევით, ქვესკნელში. ინტერნაციონალიზმი რომ შევინარჩუნოთ, ამისათვის საჭიროა ნაციონალიზმის განვითარებაო. ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ვიაროთ წინ. მაგრამ წინ რა არის? ისევ ტრაქტატი? გამარჯობა თეიმურაზოვიჩ. გაგიმარჯოს კატინკა. საგდეევის აზრით, ტარასევიჩის კომისია სრული გაუგებრობა ყოფილა. ლიგაჩოვი ჯერ ლიგაჩოვობს. მოსკოვის მიწისქვეშეთში კი, თურმე, უკვე სახიფათოდ მომრავლებულან უზარმაზარი ჟღალი ვირთხები, ერთი მეტრი სიგრძისა და სამოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლისა, რომლებსაც თავიანთი ბასრი კბილებით შეუძლიათ წამში გაკვნიტონ ნებისმიერი სისქის ფოლადის ბადე. მართალია ისინი, ჯერჯერობით, მხოლოდ გაზსადენის, წყალსადენისა თუ საკანალიზაციო სისტემის მომსახურე პერსონალს ესხმიან თავს, მაგრამ უკვე სანაგვეებზეც გამოდიან, ხორცკომბინატის ტერიტორიაზეც და, მათი გამოჩენისთანავე, ყველაზე ავი ძაღლებიც კი კუდამოძუებულნი გარბიან უკანმოუხედავად. მეტროს მატარებლის მემანქანეებსაც არაერთხელ შეუნიშნავთ მძლავრი ფარების შუქზე ავად აელვარებული მათი თვალები. ოღონდ, ჯერ დასადგენია, ღმერთის გაჩენილი არსებები არიან ისინიც, თუ თანამედროვე ყველაზე ჰუმანური საბჭოთა მეცნიერებისა. მაგრამ ასეა თუ ისე, დიდი სიფრთხილე გვმართებს ყველას, მიწაზე ვართ თუ მიწის ქვეშ. ამხანაგი ბატონი კუკური ილიკოვიჩი კი ძველი კომუნისტური მგზნებარებით გვპირდება, არც ერთ კილოგრამ უხარისხო ჩაის არ გადაამუშავებს ჩემი

ფაბრიკაო. ვერ უყურებთ! ფაბრიკანტიც გამხდარა. თუმცა, რაც ხარისხზე დავიწყეთ ლაპარაკი, ჩაი საერთოდ გაქრა ჩვენი თვალსაწიერიდან. თბილისში კი ცვალებადი მოღრუბლულობაა. ხანმოკლე წვიმა. ჭექა-ქუხილი. სუსტი ქარი. ტემპერატურა შეთანხმებით. ოღონდ, ქალაქში შემთხვევით მოხვედრილ კაცს (ქალსაც), შეიძლება, თავი ჯოჯოხეთში ეგონოს, იმ უბრალო მიზეზის გამო, მენაგვეები ნაგავს ადგილზე რომ წვავენ და არა მარტო სახლები, არამედ საზოგადოებრივი ტრანსპორტიც, რასაკვირველია, მეტროს სადგურებიანად, დღედაღამ მყრალი კვამლითაა სავსე. ხოლო ქვემო ქართლში ცხოვრება თანდათანობით დგება კალაპოტში. რა ეჩქარება? სხვები ჯერ არც ამოვარდნილან კალაპოტიდან. ახლა აპირებენ. ბათუმის დელფინარიუმისა არ იყოს. ოღონდ ის, დელფინარიუმი, რვა ახალი დელფინის დაჭერასა და გაწვრთნას აპირებს, თუმცა, ზღვის გაჭუჭყიანების გამო, აქამდე დაჭერილ-გაწვრთნილი ყველა დელფინი უკვე დაეხოცა. რაც მთავარია, ლუქსემბურგი ხმას იმაღლებს ძალადობის წინააღმდეგ და ვაი ჩინეთის ბრალი! ვაი ჩვენი ბრალი საერთოდ, ამდენი კოღო-ბუზის ხელში. ნამდვილად ხელოვნურად ამრავლებს ვიღაც, თორემ ვერავითარი საშო თუ საკვერცხე ვერ აუვიდოდა ამათ გაჩენასა თუ გამოჩეკას. ერთი კია, კოღოს მეშვეობით შიდსი არ გადადის. გვკბინოს რამდენიც უნდა. ანდა ამოვქოლოთ სარკმლები და ეგ იქნება. სიბნელეც მოიმატებს და ფართობიც. ქირა არ შეიცვლება მხოლოდ. ის დრო წარსულს ჩაბარდა, როცა ბინა სარკმლით ფასობდა. რუსებისა არ იყოს, ყველა ბოროტებას გარკვეული სიკეთეც ახლავს. ნასარკმლარზე ზურგით აეყუდები ხანდახან, სიბნელეში, და მიიღებ რაიმე გადაწყვეტილებას. აი,

ერთ ქალბატონს, "სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებულ ქართველ ქალს" - როგორც თვითონვე უწოდებს თავის თავს - ცხრა აპრილის ტრაგედიის შემდეგ, გადაუწყვეტია მონაწილეობის მიღება ერის გამრავლებაში. ამგვარი გადაწყვეტილება დაქალებისთანავე რომ მიეღო, რაც ევალებოდა კიდეც, თუნდაც ბუნებისაგან, მაშინ შეიძლება ოსეთის ავტონომიურ ოლქში ჩვენი მშობლიური ენა "ვაი რომ სავალალო მდგომარეობაში" აღარ ყოფილიყო. დიტუ! დიტუ! დიტუ! ეს რა გაიგო ჩემმა ყურებმა! კი მაგრამ, მაინცდამაინც დღეს რომ შევიცხადეთ ეს ამბავი, აქამდე სად ვიყავით?! აქამდეც ასე განვიცდიდით ვითომ ქართული ენის უგულებელყოფას საქართველოს "ძირძველ" მიწაზე?! რაღაც არ მახსენდება. ცხინვალში კი არა, თბილისში აღარ ვლაპარაკობდით ჩვენს ენაზე. სოფლიდან ჩამოსული ახალგაზრდობა რუსულით იწყებდა გათბილისელებას. ერთმანეთს ასწავლიდნენ. ერთმანეთზე იტეხდნენ ენას. გამოსდებდნენ ერთმანეთს ხელკავს, ემილ ზოლას დროინდელი ბოზებივით, და, დარაგაია, გურამი პრიშოლ ვჩერაც პიანი და სულ დედის ტრაკი რუგალ მენია. ერთი შენც! პლიუნი რაზ ი ნავსეგდა. მოიცა, გოგო, მაროჟნია მგონი ეგერ. ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტი, მართალია, რესპუბლიკაში მცხოვრებ არაქართველ მოსახლეობას არ უკრძალავს ქართული ენის შესწავლას (ნაკლებად აღელვებს იმათი მომავალი), მაგრამ ქართველებს (რასაკვირველია, მიკერძოებით), გაცილებით პრესტიჟული, გაცილებით პრაქტიკული, ბოლოს და ბოლოს, გაცილებით მრავალრიცხოვანი ხალხის ენის შესწავლას ავალდებულებს მშობლიური ენის დონეზე და ყველა ღონეს ხმარობს, უფრო სწორად, ყველაფერს კადრულობს, თავისი რომ

გაიტანოს. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, შესაძლებლად მიაჩნია, ერთსა და იმავე ადამიანს ორი დედაენა ჰქონდეს. ესე იგი, შესაძლებლად მიაჩნია, ერთდროულად შობა ერთი და იმავე ადამიანისა ორი სხვადასხვა ეროვნების და, რაც მთავარია, სხვადასხვა მამაკაცისაგან მიდგომილი ქალის საშოდან. მაგრამ ეს გუშინდელი ამბავია უკვე. სხვანაირად რომ ვთქვათ, გუშინ ასე იყო საჭირო. დღეს რომ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ქართული ენის სავალალო მდგომარეობითაა შეშფოთებული, სწორედ ის ჟურნალისტი (ანდა მისი ტყუპისცალი) გუშინ იფიცებოდა, მაჩაბელი ოსეთში ცხოვრობდაო, ვითომ, სამაჩაბლო კი არ გადაკეთდა ოსეთის ავტონომიურ ოლქად, ლოთი ბესოს პატივსაცემად, არამედ, სამაჩაბლო ყოველთვის ოსეთში შედიოდაო. მაგრამ მაშინ (გუშინ) ასე იყო საჭირო და რა ექნა? მე თქვენ გეკითხებით, მოცლილნო მკითხველნო, რა ექნა მეთქი? სიმართლისთვის დაედო თავი? ესე იგი, თქვენს იმედზე ყოფილიყო? მაგრამ თქვენამდე აღარც მოაღწევდა იმისი სახსენებელი. ახლა კორუმპირებული (დღეს ძალიან მოდურია ეს სიტყვა) ჟურნალისტი მაინც ჰქვია, ათასთა და ათასთა მსგავსად, ჩვეულებრივი ინტელექტუალური მეძავია, ვინც ფულს აძლევს იმისია, ვინც მეტს მისცემს, იმისი ხომ იქნება და იქნება; მაშინ კი (სიმართლისთვის თუ გამოიდებდა თავს, თქვენი იმედით), ჩვეულებრივი ბრიყვის, ხულიგნისა და წარსულის სამარცხვინო გადმონაშთის სახელით ჩავიდოდა საფლავში, თუკი ჩაუშვებდნენ, თუკი საერთოდ აღირსებდნენ დამარხვას. მოდით და, ამის შემდეგ გაამტყუნეთ. არავითარ შემთხვევაში. ენა არ მოგიტრიალდებათ. ამიტომ, ყველაფერს სჯობს, დაუჯეროთ ზემოთ ხსენებულ ქალბატონს და კიდევ თითო შვილი გააჩინოთ, ქალებო.

კი მაგრამ, როგორ? როგორ არ ჩნდება ვიცი, როგორ ჩნდება - დამავიწყდა. და მაინც, ნუ მიეცემით პანიკას. ჰიპოდინამია კანონზომიერი შედეგია კომფორტაბელური ცხოვრებისა. ხელოვნება მოითხოვს მსხვერპლს. საშველი არ არის. თურქეთში ცხრა წლის გოგოს გაუჩენია ბავშვი. მუცელი რომ ასტკივნია, სულელ დედას ქოთანზე დაუსვამს. სიცოცხლე კი არ იღუპება, იხრწნება. ზღვის ნაპირზე გამორიყული დელფინების ოჯახი შემაძრწუნებლად ყარს. თანამედროვე მადონა კი უპარტნიორო სექსის გაკვეთილებს ატარებს სცენაზე მუსიკის თანხლებით. ასე უკეთ ითვისებს კევაღეჭია და მზესუმზირაჭამია მოზარდი. შეისწავლეთ ქარები, რამეთუ ისინი ავრცელებენ ყველანაირ სენს. და მაინც... მაინც კი არა, იმიტომ, იმის გამო, იქიდან გამომდინარე, დღეს ჩვენი პლანეტის თითქმის მთელი მოსახლეობა გაბინძურებულ წყალს რომ სვამს, გაბინძურებულ ჰაერს რომ სუნთქავს, მე და ჩემმა საცოლემ გადავწყვიტეთ ვიყოლიოთ იმდენი შვილი... კარგია. საკმარისია. ახლა პირდაპირ გვითხარი, რას თხოულობ: მანქანა გინდა ურიგოდ, თუ თბილისში ჩაწერა? კი ბატონო, მობრძანდი, იცხოვრე. ესეც შენი ქალაქია. მაგრამ, რომ იცოდე, ტყუილად იკლავ მაინც თავს, ერთ ნამდვილ ქალაქელს ვეღარ იპოვი სანთლით ამოდენა ქალაქში. ასე რომ, აქაც ის ცხოვრება დაგხვდება, რომელსაც შენ და შენი საცოლე გაურბით შენიღბულად. მაგრამ, შეიძლება, მართლა აქ სჯობდეს თქვენთვის. ოპერის თეატრი (ქანდარების სიმრავლის გამო) მართლა საქათმედ თუ გადაკეთდა (ჯერ მხოლოდ ხმები დადის), შენი ორი კაკალი ქათამიც დაეტევა იქ და "დინამოს" სტადიონზე შენს ძროხასაც შეხვდება ერთი ბღუჯა ბალახი. ისე, შენი საცოლე შენი

ცოლი რომ გახდება, მერე გაუბედე და დააორსულე ზედმეტად, თუ ბიჭი ხარ. მაგრამ არც შენ ხარ გასამტყუნი. ყველა თავისთვის იბრძვის. ყველა თავისებურად ცდილობს, რაღაცა მაინც წაგლიჯოს ამ დაღუპულ ქვეყანას.

*ყველა თავისას სჭედავს კიდობანს...*

ვინც მღვრიე წყალში თევზს არ იჭერს, ის ან ცუდი მეთევზეა, ან დასანახად ვერ იტანს თევზს. ჩვენი მტერი იქნეს მარტო სილამაზის იმედზე. სილამაზე სნეულს ვერ განკურნავს, რადგან სნეულს მისი დანახვა არ შეუძლია. ერთი დიდი პიროვნება (როცა კუჭი აწუხებდა), ყველგან ძაღლის ექსკრემენტს ხედავდა მხოლოდ. პატარა პიროვნებები რას დავინახავთ? პასუხი ერთია: ფული ყველაფერი არ არის, მაგრამ უფულოდ არც სილამაზეს არა აქვს აზრი. აი, ჭეშმარიტი საბჭოური ფსიქოლოგია. ჩვენ ნამდვილად შევქმენით ახალი ტიპის ადამიანი, ოღონდ ისეთი კი არა, როგორსაც სიტყვით ვხატავდით ჩვენს მრავალრიცხოვან გამოსვლებში, არამედ - როგორადაც გუნებაში გვყავდა წარმოდგენილი. შეიცან თავი შენი. არასოდეს არ არის გვიან და როდისმე შეიძლება შენც გამოგივიდეს რამე. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ადამიანი, ჯერჯერობით, თავისი გონებრივი შესაძლებლობის მხოლოდ ათ პროცენტს იყენებს... იმიტომ კი არა, დანარჩენს მომავლისთვის რომ იზოგავს, უბრალოდ, მეტს ვერ "ამუშავებს", თანამედროვე სამეურნეო ენით რომ ვთქვათ, იმითაც გააქვს თავი. უფრო სწორად, ზედმეტად აღარ იწუხებს თავს. ანუ, ფიქრსაც ისევე გადაეჩვია, როგორც შრომას... ამიტომ, ჩვენი რუბრიკის მიზანი არ იქნება კუდიანების მხილება. ჯვარი აქაურობას. ჩვენთან არს ღმერთი. და საერთოდ, რა ლაპარაკია ეს! რას ჰქვია კუდიანი! გაზეთი ამბობს, ცხოვრების ჯანსაღი წესის, ცოცხალი ფაქტების, მყარი არგუმენტების გამოყენებით წარმოაჩინეს (გუშინდელმა კუდიანებმა) ჭეშმარიტი იერსახე და მამულიშვილური სვლაგეზი ამ უძველესი მეთოდებისაო. ციტატის დასასრული. მკურნალობის ექიმბაშურ მეთოდებზეა ლაპარაკი.

მედეა, ფანასკერტელი, ბაგრატიონი დავით და სხვა. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც საერთოდ უარყოფენ ყოველგვარ მეთოდს. მთავარია, ჩვენი მკითხველი გავაცნობიეროთ და გვეყოს სიმამაცე, უფრო დიდხანს ვიცოცხლოთ, ვიდრე საჭიროა. ეს ჩემი სიტყვები არ გეგონოთ. გამაჯანსაღებელი გზები ცნობილია. განუწყვეტელი დაძაბულობა, სტრესი სამსახურში, სახლში, კინოში, რესტორანში, ტუალეტში... უწესრიგო რიტმი, გამძაფრებული ნევროზი, უნებლიე თუ ნებითი (გნებავთ, ნებლიე) ჰიპოდინამია, ცხოვრების მავნე წესჩვეულებები და ასე შემდეგ... მაგრამ ჩვენ, მამაკაცები, რომ იცოდეთ, არც უძლურნი ვართ, არც განწირულნი. არავის არაფერი შეეშალოს. მთავარია, არ ავყვეთ მოდას. ვაჟკაც ქალს ისევ ქალაჩუნა კაცი სჯობს. მაგრამ საერთაშორისო აეროდრომის გარეშე დამოუკიდებლობაზე ფიქრიც ზედმეტია. ჩვენ ჯერ ყურიც არ შეგვიბერტყავს. ღმერთი მოგვცემს. მარიამი მოგვხედავს. გორბაჩოვი გამოგვიგზავნის. ვინცხა მეიტანს. მოკლედ, ძაღლის ყეფითა და მამლის ყივილით არც აეროდრომი აშენდება. ჩვენ ჩვენს სოციალიზმს ვაშენებთ, თქვენ კი თქვენი კაპიტალიზმი აშენეთო - განუცხადებია ჩინეთის კომპარტიის გენერალურ მდივანს ძიან ძიემინს. მანვე განაცხადა, რომ გრძელდება ყოფილი გენერალური მდივნის ჯაო ძიანის საქმის გამოძიება, რომლის დამთავრების შემდეგ მიიღებენ გადაწყვეტილებას მისი შემდგომი ბედის თაობაზე. ამაზეა ნათქვამი: ჩემი სული შენს ხელშიაო. კიდევ კარგი, ჩვენ ეგ უკვე გავლილი გვაქვს, თუნდაც დროებით. აველუმის დედა სულ გაღიმებული ყვებოდა გადასახლების ამბებს, თითქოს ბიჭვინთიდან ან ბაკურიანიდან დაბრუნებულაო. ჭკვიან კაცს უთქვამს, გამეორება ცოდნის დედააო. მოსკოვის

დიდი თეატრი კი, თურმე, ჩვენგან სესხულობს ბარიტონს, ტენორსა და სოპრანოს. ყვავს რა ჰქონდა, ჩხიკვს გაჰქონდაო. მაგრამ თუ წერილის ავტორი არ გვიწყენს, ამ "სესხებას" გუშინ სხვა სახელი ერქვა მგონი. თუმცა, ვინ იცის, იქნებ ნიჭმა მართლა ღრმად გაიდგას ფესვი, იქნებ ჩვენი კულტურის ხემ მართლა აიყაროს ტანი სხვის მიწაზე (კი მაგრამ, როგორ? რაც არ უნდა გაიჭინთოს, მოსკოვიდან ვერც ბარიტონი მოგვაწვდის ხმას, ვერც ტენორი და ვერც სოპრანო) და ქართული მუსიკალური ხელოვნების ჩრდილში მართლა მოიბრუნოს სული განსაცდელისაგან თავდახსნილმა (?) ქართველმა საზოგადოებამ. ერთ გასტრონომში დირექტორის, მოლარის, საწყობის გამგისა და, თავისთავად ცხადია, ყველა ნოქრის თვალწინ, აღელვებულმა მომხმარებელმა (მყიდველმა, მუშტარმა) ლიმონათის ბოთლიდან ნახმარი განდონი ამოიღო. ხოლო თბილისის ერთ-ერთ საბანკეტო დარბაზში უჩვეულოდ, ანუ საზეიმოდ აშუშხუნებულ სითხეს შამპანურის ბოთლიდან ცოცხალი ვირთხა ამოჰყვა. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა. უნგრეთმა კი, როგორც იქნა, მოხსნა ეკლიანი მავთულხლართები უნგრეთ-ავსტრიის საზღვარზე. მიმდინარეობს მოსახლეობის რეგისტრაცია. ვინ იცის, აქეთკენ აღარც გამოიხედოს ბატონმა ჩანაკიმ. არც ჩვენს ჩაქაფულს ჰქონია ბედი. თქვენ კი, იმის ჩამოსვლამდე, "ვესტას" დაურეკეთ და ის წაიღებს, რისი წაღებაც შეიძლება. ვერც კი გაიგებთ, ანუ, სრულებითაც არ დაირღვევა თქვენი ოჯახური მყუდროება. მაგრამ მარშალ ფოშესთვის რომ დაეჯერებინათ თავის დროზე, მაინც ყველაფერი ისე მოხდებოდა, როგორც მოხდა. დენიკინი თუ ბოლშევიკებს დაამარცხებდა, მაშინვე საქართველოს შეუტევდა, თუ არა და, ბოლშევიკები

გააკეთებდნენ მის გასაკეთებელ საქმეს და აკი გააკეთეს კიდეც. ასე, რომ, მგელი შეჭამს თუ მგლისფერი ძაღლი, არავითარი განსხვავება არა აქვს კურდღლისთვის. დიახაც რომ მეორდება ისტორია. გორბაჩოვი გაიმარჯვებს - კავშირში ვრჩებით, ელცინი გაიმარჯვებს და - რუსეთში. ხოლო, რა განსხვავებაა "რუსეთსა" და "კავშირს" შორის, ამის გარკვევა თქვენთვის მოგვინდვია. ჯერ კიდევ ცხრამეტი წლის თოთხმეტი მარტის პარიზის (ვერსალის) კონფერენციამ არ სცნო (ვერ სცნო) ჩვენი დამოუკიდებლობა, მაგრამ ეს რა ფრანსუაზას ბრალია?! კლემანსოზე უკეთესად არც მიტერანი იცნობს ალბათ საქართველოს ისტორიას, მაგრამ გინდაც იცნობდეს, შეიცვლება ვითომ რამე?! მეტი არ იყოს ჩვენი მტერი. ეტყობა, არაფრით არ მოხერხდება ყველანი ერთდროულად რომ გამოვიდეთ სინათლეზე. რომ იტყვიან, საშველი არ არის. დედამიწაც ჩვენს საწინააღმდეგოდ ბრუნავს. ამერიკაში რომ დღეა, ჩვენთან ბნელა. ხოლო, ამერიკაში რომ ღამეა, ჩვენთან უარესად ბნელდება. ამიტომაც ვერ გვამჩნევს ვერავინ. მით უფრო - ვერ გვცნობს. რახანია, უბილეთო მგზავრებივით მივყვებით დრო-ჟამის მატარებელს და, ერთხელაც იქნება, ან სერიოზულად დაგვაჯარიმებენ, ან საერთოდ ჩამოგვსვამენ ტრანსპორტის ამ უცნაური სახეობიდან. ისღა დაგვრჩენია, მეტი სიფრთხილე და წინდახედულება გამოვიჩინოთ მომავალ გარდაქმნამდე მაინც. იქნებ ის მაინც გავარკვიოთ იქამდე, იქით თუ მივდივართ, საითაც უნდა მივდიოდეთ. მიუხედავად ამისა, გულითა და სულით გილოცავთ: დეიდა ვანგა თურმე ხედავს საქართველოს! იცით, რა უთქვამს? ქართველები იცხოვრებენ იქ, სადაც ყოველთვის ცხოვრობდნენო. ოღონდ, ეს იმ ქართველებს არ ეხებათ,

რომლებიც უკეთეს გარემოში აპირებენ გადასახლებას, თუნდაც თავიანთი ფარული შესაძლებლობების გამოსავლენად. გილოცავთ. და კიდევ ერთი მოსალოცი ამბავი: წელს აღარ ვიზეიმებთ თბილისობას. არა, მოსალოცი და გასახარი სხვაცა გვაქვს, არც ისეა საქმე, როგორც მტერს სურს და ჰგონია. "მუმიაზე" უკვე ვთქვი - სულ რაღაც ორმოცდაათ მანეთად აბალზამებს თურმე გვამს და თანაც სამუდამოდ; ზერელედ, ჰაიჰარად, მარტო საპანაშვიდოდ კი არა, როგორც გუშინდელი ვაიბალზამმახერები იქცეოდნენ, მეორედ მოსვლამდე. ხოლო, კოოპერატივი "სნეული" ძირითადად ეფექტური საშუალებებით, რამდენადაც მედპერსონალი არა თუ ჩვენთან, მთელს ყოფილ იმპერიაში, ჯერჯერობით, იგივეა (მართლაც, სად გამოიჩეკებოდა ახალი ცვლა ამ ორ დღეში?!), სოლიდურ სანაძლეოზე, ისეთ სერიოზულ დაავადებებსაც კურნავს, როგორიცაა ქრონიკული ასთმა თუ ქრონიკული გასტრიტი, ვეგეტონევროზი თუ ენურეზი (შარდის შეუკავებლობა), რეინოს და მენიერის სინდრომები, სქესობრივი ფუნქციის დარღვევები, შიში და ნევრალგია, სხვადასხვა ლოკალიზაციის ტკივილებზე რომ არაფერი ვთქვათ. მომატებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ წონის მოკლებაში ნაღდია. ტარდება აკუპუნქტურაც (ჩინური ნემსებით მკურნალობა), ხოლო სტომატოლოგიური კაბინეტი აღჭურვილია ბურღვის ელექტროგაუტკივარების აპარატით, ოღონდ, რაც მართალია, მართალია, შუქი ხშირად ითიშება და მომიჯნავე სახლის ბინადრებს ძალიან აწუხებთ პაციენტების ღრიალი. სანაძლეოს პირობებზე შეგვიძლია წინასწარ მოვრიგდეთ. კომპრომისი გამარჯვების საწინდარია. მობრძანდით ნებისმიერ დღეს, გარდა შაბათ-კვირისა. დასვენება არც

ჩვენ გვაწყენს. "ახკომი" კი ბებერივით წუწუნებს ყველაფერზე. აქამდე როგორ ითმენდა, გასაკვირია პირდაპირ. კომპიუტერიზაციის ეპოქაში ვცხოვრობთ, მაგრამ კომპიუტერები არ გვაქვსო. ძეხვის ეპოქაში არ ვცხოვრობთ? ან შაშხის? ან სალთისონის? ვცხოვრობთ, მაგრამ არ გვაქვს. უფრო სწორად, არ გვაქვს, მაგრამ ვცხოვრობთ. საფრანგეთის ტელევიზიის ყველა პროგრამით ერთი კვირის განმავლობაში ნაჩვენები ყოფილა 670 მკვლელობა, 15 გაუპატიურება, 848 მუშტი-კრივი, 27 წამების სცენა და ა.შ. ერთი კვირის განმავლობაში იგივე ხდება ჩვენთან ქალაქის მხოლოდ ერთ რომელიც გნებავთ რაიონში. ხოლო, თუკი მცხეთა მართლა შეუერთდა თბილისს, სტატისტიკა ჩვენს სასარგებლოდ გაიზრდება. ბევრად გაიზრდება. მცხეთის მერე გორამდე რაღაა?! შეიძლება, თბილისი, ერთ მშვენიერ დღეს, ყველაზე დიდი ქალაქიც კი აღმოჩნდეს მსოფლიოში, რასაკვირველია, ფართობით. გამრავლება ჩვენი საქმე არ არის. ტყუილად ვფაფხურობთ. ნამატს თვითონვე ვსპობთ, ავსტრალიელი მეცხვარის გულგრილობით. მაგრამ თბილისი მართლა თუ გახდა მსოფლიოში უდიდესი ქალაქი, თუნდაც ფართობით, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. განა ეს ცოტაა ჩვენი პატივმოყვარეობის საამებლად?! მეხიკოს ან ტოკიოს ტელედიქტორი რომ იტყვის, მსოფლიო ქალაქებს შორის თბილისს ყველაზე მეტი ფართობი უჭირავსო, როგორია?! შეიძლება ითქვას, უნიკალურ, თუნდაც ანომალურ მოვლენასთან გვექნება საქმე. დედაქალაქი (თბილისი) კი არ მდებარეობს ქვეყანაში (საქართველოში), არამედ ქვეყანა (საქართველო) მდებარეობს დედაქალაქში (თბილისში). სხვათა შორის, სამშობლოს დაცვა ასე უფრო გაგვიიოლდება ალბათ. სად ქალაქის დაცვა და

სად ქვეყნისა. ვითომ დიდ სიბრიყვეს ვამბობთ? არა გვგონია. დიდი და პატარა სიბრიყვე არ არსებობს. სიბრიყვე სიბრიყვეა. მაინც დავფიქრდეთ, რა გვენაღვლება?! დროც ბევრი გვაქვს და ჭკუაც. სად გვეჩქარება?! შთამომავლობა არ გვაპატიებს? ყოველ შემთხვევაში, ერთხელ და სამუდამოდ მოისპობა პროვინციისა და ქალაქის დაპირისპირება (სიძულვილი რომ არ ვახსენო საერთოდ). ყველა თბილისელი იქნება. თან მშობლიურ კუთხეში იცხოვრებს, თან კი - თბილისში, ერთდროულად, გადაუადგილებლად, დაუფარავად. ჩაწერა-ამოწერის დავიდარაბას მაინც გადარჩება. რატომაა სიბრიყვე? სიბრიყვე, შეიძლება ფრანგისთვის იყოს, ან ინგლისელისთვის, ან ესპანელისთვის. იმიტომ რომ, იმათ თბილისი არა აქვთ, ჩვენთვის კი, ქართველებისთვის, სიბრიყვე კი არა, ხსნაა - დავმშვიდდებით, დავწყნარდებით. რაც მთავარია, დავეტევით ადგილზე, სადაც ღმერთმა გაგვაჩინა, გაგვითვალისწინა, ანდა, თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, დაგვაპროგრამა. აღარ ვიტყვით დედულ-მამულზე, წყალს წაუღია აქაურობაო, ამი პატრონი დედაცო... რადგან "აქაურობაც" თბილისი იქნება. ადგილიდან ფეხისმოუცვლელად გავხდებით თბილისელები. ოღონდ ეგაა, ხშირ-ხშირად მაინც ვერ ვივლით თეატრსა თუ მუზეუმში - დაგრძელდება მანძილები. სამაგიეროდ, ჩეჩმაში იქნები ჩაკუნცხული, ყანაში თუ ოდის უკან, თბილისში ვქენიო, იტყვი, შენთვის მაინც. ეგ ძალიან კარგია, მაგრამ ჩაკუნცხვაზე გამახსენდა, თქვენ ისა თქვით, რა მოვუხერხოთ ოსტეოხონდროზს? ახლანდელ სიტუაციაში, ამხანაგებო, იოლად ვერ გავალთ, თუ ახლებურად არ გავიაზრეთ პარტიის როლი და ფუნქციები... ესე იგი, არსებობდნენ სიტუაციები, როცა ამხანაგები იოლად

გადიოდნენ. და კიდევ: ამხანაგებო, ჩვენ ზემოქმედება უნდა მოვახდინოთ ადამიანებზე არა ბრძანებით, არამედ ავტორიტეტით. სწორია. მაგრამ გვაქვს კი ავტორიტეტი?! რომ გვქონოდა, გამოვიყენებდით კიდეც, რადგან არ არსებობს იარაღი, რომლის გამოყენებაც ბოლშევიკებს არ შეეძლოთ. აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში კი მდგომარეობა კვლავ დაძაბულია. გრძელდება შეიარაღებული შეტაკებანი, პიკეტები, უკანონოდ ჩხრეკენ ავტომანქანებს. ქართველი ხარ? გადმოდი. გუდაუთას რაიონის სოფელ პრიმორსკოეში (ჰმ, ჰმ), სანადირო თოფით მოკლეს... ხორციელდება დანაშაულის ჩამდენ პირთა (მოკლედ, მკვლელთა) ვინაობის დადგენა. აბა, ვერ დაგიდგენიათ და ეგაა! ტყვია დაუშინეს სოჭი-თბილისის სამგზავრო მატარებელს. დგინდება... აბა, ჰე! მილიცია ჰაერში ისვრის თურმე "დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით". თქვენ ხომ არ იცით, რას უნდა ნიშნავდეს ეს? მოსკოვი თურმე ტენდენციურად, ცალმხრივად აშუქებს აფხაზეთში მიმდინარე პროცესებს. უყურე შენ! ეს როგორ მოუვიდა?! განსაკუთრებით შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ დაუდგენელმა პირებმა (მე დაგიდგენთ, არა უშავს, თქვენ წერეთ და იკითხეთ), დაწვეს, დაკლეს, დაჩეხეს, ააფეთქეს, გაატყავეს ... მიდი, ტრეზორ! დაეწიე, ალზორა! თუ ვერ დაიჭერთ, ეძებეთ მაინც, კარგი ძვალი თუ გინდათ საღამოს. აგე, ზუგდიდის საგამომძიებლო იზოლატორიდან 78 პატიმარი გაქცეულა და უკვე 99 დააბრუნეს. დანარჩენთა ძებნა და დაკავება გრძელდებაო. აბა, როგორ გინდა? ქართველი ქართველთან მაგარია. აი, სხვებთან კი, რა მოგახსენოთ. ჭიქა თუ მიეცი ხელში, "ზემლიაკს" დაუძახებს ყველა გადამთიელს. ჩვენი ქალბატონები კი ჩივიან, რა მოხდა, რა შეგვეშალა,

როგორ დავუშვით, იარაღასხმულნი რომ დგანან დღეს ჩვენი შვილები ერთმანეთის პირისპირო. მართლა არ იციან ნეტავი, რა მოხდა, რა დააშავეს, რა შეეშალათ? ჯერ ერთი, ნამდვილი აფხაზი შეეშალათ ცრუ აფხაზში, აფხაზის მაგიერში, საბჭოთა იდეოლოგიური მეცნიერების მიერ ექსპერიმენტალურ ლაბორატორიაში გამოყვანილ "აფხაზეცში" რაც იგივე გარუსებული აფსუა, გარუსებული ქართველი თუ გარუსებული თურქია. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ქალბატონები, ვაჟბატონების მსგავსად, ადრე არ იყვნენ ასე პოლიტიზირებულნი, უფრო სწორად, სხვანაირად ესმოდათ სამშობლოც, ეროვნებაც, პატრიოტიზმიც... მორიდებით შეიძლება ითქვას, უფრო ქალურები იყვნენ და ნაკლებად აინტერესებდათ ეს საკითხები, სულ მაღაზიისკენ ეჭირათ თვალი - გუმისკენ, ცუმისკენ - ფართო მოხმარების საგანთა განაწილების არასწორი, არასამართლიანი, მაგრამ დაკანონებული მეთოდის გამო, ხანდახან ტრუსიკში გასაყრელი რეზინის გულისთვისაც იძულებულნი ხდებოდნენ მთელი საბჭოეთი შემოევლოთ. ასე რომ, თვითონაც ვერ შეამჩნიეს როდის, სად, რომელ აეროპორტში, რომელ სასტუმროში, რომელ სასადილოში დაეკარგათ ღირსება. ხოლო, რაკი თავად დაკარგეს, არც ქმარ-შვილს შეარჩინეს. შვილებს სასწრაფოდ რუსულ სკოლებში უკრეს თავი, ოღონდ, ტოლსტოის სიყვარულით კი არა, დედანში წაიკითხონ "ანა კარენინაო", არამედ ჩვენსავით რომ არ დაიტანჯონ მომავალში, სიმწრის ოფლში არ იწურებოდნენ სულ, ვიდრე ერთ ჭიქა ჩაის დაასხმევინებენ დახლიდარს სასტუმროს ბუფეტში, ანდა გუმის (გინდა ცუმის) ნოქარს გააგებინებენ თავიანთი ნიფხვის ზომასო.

ქმრები კი ასევე სასწრაფოდ გააქურდეს, თუნდაც იმავე დახლიდარისა და ნოქრის დასათრგუნად, იმათი ჯავრის ამოსაყრელად, ფულით რომ ეყიდათ იმათგან ყურადღება და ადამიანური სიტყვა-პასუხი. ნაპარავმა ფულმა ბოლოს ისე გაათამამათ, მალე იმავე გუმსა და ცუმში, სადაც ადრე ხმის კანკალით თხოულობდნენ პალტოსა თუ ფეხსაცმლის ჩაზომების უფლებას, მართლა ქალბატონებივით დასეირნობდნენ საშინაო ხალათებსა თუ ფლოსტებში გამოწყობილნი. მომეხარშა, ქალო, ფეხი ამ ჩექმაში. ძალიანაც კარგს შვრები. მეც უნდა გავიხადო. ვინ გვიყურებს ნეტაი. უყურე შენ! აქ ყოფილა. რა? რა ყოფილა? მეც მინდა. აგერ, ე, გერმანული. დიახ, გვაქვს. თქვენთვის გვაქვს. ინებებთ? ეკითხებოდათ თაფლად დამდნარი თუჯის ადამიანი - თავად მაღაზიის დირექტორი თუ არა (ცხოვრება ყველას უნდა ძმაო), სექციის გამგე მაინც, სათვალავში თუ არ ჩავაგდებთ საერთოდ ყველაზე ავ ნოქარს, რომელიც ადრე ზედაც არ უყურებდათ, ახლა კი კუდის ქიცინითა და ხელების განუწყვეტელი ფშვნეტით (ფულმა ხელისგულის ქავილი იცის, ანდა - პირიქით) ისმენდა ყველა მათ მოთხოვნას, რა თქმა უნდა, "კუთვნილი გასამრჯელოს" მოლოდინში. ისინი კი, რაკი მაინც ხარჯსა სწევდნენ, რაკი მაინც ვეღარ მოიშლიდნენ მაღაზია-მაღაზია წანწალს, ვეღარ შეელეოდნენ ძლივს, ლამის მართლაც მამასისხლად მოპოვებულ პატივსა და გავლენას, ბარემ ყველაფერს ყიდულობდნენ, რაც კი მოეწონებოდათ (მოწონებით ყველაფერი მოსწონდათ, უნახავებისა არ იყოს), თუნდაც, ნათესავთა, ახლობელთა, მეზობელთა გულის გასახეთქად, არავის რომ არ ჰქონოდა მათზე უკეთესი ჭაღი თბილისში (გინდაც წყალტუბოში), არავის რომ არ ჰქონოდა მათზე უკეთესი ჭურჭელი, თუნდაც

ჯუმათში, მაღაროსკარში, ჭოპორტში... ანუ ისევ და ისევ თბილისში. თუმცა არც ჭაღის მოხმარა იცოდნენ წესიერად, არც ჭურჭლისა. ჰქონდათ და გათავდა, ეს იყო მთავარი. ღმერთად ის მიაჩნდათ, ვინც სიგლახეს მოუწონებდათ. სამშობლოც იქ ეგულებოდათ, სადაც თავიანთ გემოზე იცხოვრებდნენ, მაგალითად, ქეჩის ფლოსტებით ივლიდნენ, მაღაზია იქნებოდა, მეტროს სადგური, სასტუმრო თუ რესტორანი. ახლა ნუღარ უკვირთ ნურაფერი. სამძიმრისთვის "ერთმანეთთან მისასვლელი გზების" ძებნასაც შეეშვან. არც იქით გაუჩენია რომელიმე მათგანს ვეფხვი და არც აქეთ - ვეფხვთან მეომარი. ჩაიხედონ ჯერ სარკეში, მერე სულში და გაჩუმდნენ. ადგილობრივი სომეხივით. სოხუმის აეროპორტში არეულობაა, დამსვენებლები გარბიან, ის კი მოწყენილი იმზირება გამაგრილებელი წყლების ჯიხურიდან, თავგზააბნეული მუშტრის მოლოდინში. ადლერის მხარეს გასვლა მოახერხა მხოლოდ ერთმა მატარებელმა. ერთმანეთზე სხედან. ზედახორაა. მემანქანეები უარს ამბობენ. ეშინიათ. მოსახლეობიდან ამოღებული 2103 ცეცხლსასროლი იარაღი, 214 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება, 4 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი და 15 ხელყუმბარა. ეს კი ზღვაში წვეთია "ჩადებულთან" შედარებით. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის მიმღები კომისიის წევრები ჩაკეტილი ჰყავთ სკოლაში. ხალხმა (ხალხს ეროვნება არა აქვს) დაუნდობლად სცემა. ერთი მოკვდა. ამას მოჰყვა პარკში თავშეყრილი ქართველების დარბევა. ვისგან? ხალხისგან, რა თქმა უნდა. ისროდნენ ეზოებიდან, ფანჯრებიდან. ტყვია მარტო ქართველს ხვდება. ეტყობა, იზიდავს. დამაგნიტებულია. რას იტყვის კაშპიროვსკი? არ ყოფილა ჩვენზე ნაწყენი. უპატიებია. მაგრამ მაინც

ბაიკალის წყალი ურჩევნია ბორჯომის წყალს. კაცია და გუნება. ვინც ბორჯომს აძალებს, ის არის მოსაკლავი. უნგრეთი ეროვნული გმირის ნეშტს დაეძებს და სწორადაც იქცევა - ახლა ისეთი დროა, ეროვნული გმირის ნეშტიც სანთლითაა საძებარი. რომ არ გვყავდეს, უნდა მოიგონო. ისრაელი ემზადება. ერაყს საშიში ქიმიური იარაღი ჰქონია. მაგრამ ისრაელი მაინც ემზადება. სტალინი თურმე გამოგონილი ყოფილა. თანაც - რამდენიმე. ერთს თავი მოუკლავს. ერთი საზღვარგარეთ გაქცეულა, ჯერ კიდევ სტალინის ზეობის პერიოდში. უკანასკნელის ფერფლი ხრუშჩოვს უნიტაზში ჩაუყრია და წყალიც თავისი ხელით ჩამოუშვია. და მაინც, თავისთავად იბადება კითხვა: თუკი აფხაზეთი, ოსეთის ოლქისა და აჭარის მსგავსად, საქართველოს საოკუპაციო პლაცდარმია, რაღას დაპყრობას აპირებს დამპყრობელი? ვითომ დარჩა კიდევ რამე ასათვისებელ-მისათვისებელი?! ჭიათურის მადანი ურალის ცის ქვეშ განისვენებს. თბილისში ცვალებადი მოღრუბლულობაა. საღამოს და ღამით ხანმოკლე წვიმა. ანუ, როგორც ჩვენი კარგად მოქართულე დიქტორები ამბობენ ხოლმე, წამოწვიმს. სახელოვანმა კახელმა მევენახეებმა პირწმინდად გაჩეხეს მამა-პაპური ვენახები. საზამთრო ღვინოზე ძვირი ღირს, მაგრამ, რა თქმა უნდა, დროებით, ვიდრე საბოლოოდ ავიღებდეთ ჩვენს მარჩენალ ვაზზე ხელს. თბილისის ზოოპარკში მაკე ირმისათვის სამწვადე ხორცი აუჭრიათ დაუდგენელ მოქეიფეებს. ირემი ვეტპუნქტში მიყვანამდე გარდაცვლილა. მტკვარში თევზი აღარ არის, მაგრამ მტკვარზე "რვაფეხა" დადის. ყოველდღე. თორმეტიდან თორმეტამდე. თუ ფეხი აგიცდა, შენს თავს დააბრალე. მაშინვე ტკბილეულს (ამ დროს,

შაქარი არ იშოვება), ბლამანჟეს, ყავასა და წვენებს დაგაჯახებენ, მათთვის ხელსაყრელ ფასებში. მიღება სავალდებულოა, შედეგი - სავალალო. ვერის ხიდიდან მეტეხის ხიდამდე საკმარისი მანძილია, ნებისმიერი ორგანიზმის მოსაწამლად. მიუხედავად ამისა, ანდა სწორედ ამის გამო, როგორც გაზეთი "კომუნისტი" იუწყება, ქართველი მანდილოსნები წარმატებით ეუფლებიან თურმე სოფტბოლს. დიიიდი მადლობა ბატონ "კომუნისტს" სასიამოვნო ცნობისათვის, მაგრამ მანდილოსანი, თუნდაც ქართველი, არავითარ შემთხვევაში არ გაეკიდება ბურთს მთელი ქვეყნის დასანახად (ჩვეულებრივ აშარ გოგოებზეა ალბათ ლაპარაკი). მეორეც ერთი, ამ პოლიტიკური ციებ-ცხელების ჟამს, რა ესოფტბოლება მამაცხონებულს, თუ მართლა არ გარდაქმნილა უკვე, ანუ, ძლივს გარუსებული, არ გაამერიკელებულა უცებ. ნამდვილად რომ, დიდება შენს ძალას უფალო! ჯვარცმამდე ცოტა ხნით ადრე, ქრისტე მთაზე ასულა და ფერი უცვლია. ესე იგი, გარდაქმნილა. გარკვეული თვალსაზრისით, ჩვენც მთაზე ავდივართ ახლა, ამას ნიშნავს ალბათ ეს გაუთავებელი ტანჯვა-წვალება, და მალე ფერსაც ვიცვლით (გარდავიქმნებით), რათა უკვე საბოლოოდ ვეცვათ ჯვარს. ამინ. ამინ. დროა. კირიე ელეისონ. ან აღვსდგებით, ან არა.

აველუმის აზრით, არათუ თვითონ - მელანიაფრანსუაზასონიაანად - არამედ ყველაფერი იღუპებოდა, ყველანი დასაღუპად იყვნენ განწირულნი და ალბათ ვეღარაფერი გადაარჩენდათ (მით უფრო - აველუმი), რადგან ესეც მხოლოდ მარტო მან (აველუმმა) იცოდა, ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ მარტო თვითონ გრძნობდა ამ საერთო საფრთხეს. თავისთავად ცხადია, საკუთარ პირის ღრუში, კბილებს შორის, ენის წვერით მოსინჯული ღრიჭო გაცილებით დიდი გვეჩვენება, ვიდრე სინამდვილეშია, მაგრამ თუნდაც მარტო ჩვენ ვიცოდეთ ამის შესახებ, აშკარად არსებობს და, ადვილი შესაძლებელია, კიდევ უფრო გაიზარდოს. ეს სჭირდა აველუმსაც. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე განუწყვეტლივ გრძნობდა იმას, რაც თვალისთვის არ ჩანდა, მაგრამ, მისი გულის გასახეთქად, დღითიდღე კიდევ უფრო იზრდებოდა და კიდევ უფრო გარდუვალი ხდებოდა. მწერლები საერთოდ იმას ვწერთ, რაც უკვე გვინახავს, განგვიცდია, გადაგვიტანია, აველუმი კი, პირიქით, წინასწარ წერდა იმას, რაც მერე, მომავალში უნდა გადახდენოდა თავს. და ალბათ შენც დამეთანხმები, **მოცლილო მკითხველო**, ჯერ კიდევ გუშინ რომ იცოდა აველუმმა, რაც დღეს ხდება. ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად იცოდა, წყალში რომ ჩაეყრებოდა ამდენი ხნის სიმტკიცე და სიჯიუტე, და მართლაც, რასაც მთელი სიცოცხლე ესწრაფვოდა, რასაც მხოლოდ გულის სიღრმეში მიმართავდა სახელით და რასაც, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ოცნების საკუთრებად თვლიდა, თავად ხელისუფლებამ გადმოუგდო ხალხს ზემოდან, გასაკითხივით - აჰა, თქვენი ყბადაღებული თავისუფლებაო! - თვითონ კი (ხელისუფლება), დემონსტრანტთა რიგებში ჩადგა,

რათა მათთან ერთად მობრუნებოდა აველუმს: სადა ხარ, სად იმალებიო! აველუმი, რა თქმა უნდა, არსად არ დამალულა, მაგრამ აღარ ჩანდა, ვერ ამჩნევდნენ, იმ უბრალო მიზეზის გამო, თავად რომ უნდოდათ გამოჩენა. გუშინდელი სიმტკიცე და სიჯიუტე მოსატანიც არ იყო დღევანდელ გამბედაობასთან და, მეტი რომ არ ვთქვათ, იმ ხალხსაც აღიზიანებდა, რომლებიც ასე თუ ისე ახლოს იცნობდნენ და მეტ-ნაკლებად პატივს სცემდნენ აველუმს, დღეს კი გაკვირვებულნი იჩეჩავდნენ მხრებს, რაკი ამჯერადაც ვერ ხედავდნენ მას, ახალშობილ "გმირთა" და "საზოგადო მოღვაწეთა" შორის, საგანგებოდ მათთვის მოსუფთავებულსა და საიმედოდ დაცულ ასპარეზზე. "აბა, სხვა რა უნდა, რაღას ელოდებაო" - კითხულობდნენ ისინი, გულწრფელად დაინტერესებულნი, მაგრამ მათ არ იცოდნენ, ამის გარკვევა რომ უნდოდა აველუმსაც, იგივე კითხვა რომ უწეწავდა სულსა და გონებას. გეგონებოდათ, ეგრეთ წოდებული "პერესტროიკა" მხოლოდ იმიტომ წამოეწყოთ იმპერიის მარადიულ, ღვთაებრივად უხილავ მესვეურებს, არათუ მისი სიმტკიცე და სიჯიუტე, არამედ საერთოდ მისი ამქვეყნიური არსებობა ექციათ ანაქრონიზმად (სხვათა შორის, აველუმის რომანის გმირიც ამ დღეში აღმოჩნდება ბოლოს, იმიტომ რომ, აველუმივით, ისიც მთელი სიცოცხლე გულში მღერის, ესე იგი, მხოლოდ ფიქრებსა და ოცნებებში სჩადის თავის საგმირო საქმეებს და ძალიან ბრაზობს, მთები ბანს რომ არ ეუბნებიან. მაგრამ, უცხო ქალაქში გადახვეწილი, ერთ მშვენიერ დღეს, თავის ახალგაზრდა თანამემამულეებისაგან, რომლებიც ვითომ მინოტავრის პირუტყვულ ვნებას უნდა შეეწირონ და რომელთა

შორის გოგოდ გადაცმული თეზევსიცაა - ელადის ახალი გმირი - არა მარტო შეიტყობს, მთელი არსებით იგრძნობს, არაფერს რომ არ წარმოადგენს საერთოდ, არც მტრისათვის, არც მოყვრისათვის. გულამოვარდნილი კი გამოვარდება თანამემამულეთა სანახავად, მაგრამ თანამემამულეებს არაფერი გაეგებათ მისი, არც კარგად იცნობენ, არც ავად - ქვის გრძელ სკამზე სხედან და, სიკვდილის მოლოდინში, კანაფს ღეჭავენ. არაფერი ეტყობათ განწირულობისა. ცუდი დახვედრით განაწყენებულ სტუმრებს უფრო გვანან. სინამდვილეში კი სულ სხვაგან ქრის მათი ჭკუა-გონება, ერთი სული აქვთ, როდის ეცემათ სახეში მინოტავრის აყროლებული ამონასუნთქი, როდის იშიშვლებენ მახვილებს... ჯერ კი ქალის კაბითა და ნაწნავით ნიღბავენ ქვეყნის დამაქცევარ ძალას და ტლანქად, უხეშად, მოურიდებლად ლაზღანდარობენ ერთმანეთში, ვიდრე ძალის გამოჩენის დრო დადგებოდეს. ის კი, მათი სახელოვანი წინაპარი, შემცბარი და ნირწამხდარი, უკვე უნებლიეთ, უაზროდ იმეორებს, ესა და ესა ვარ, ამისა და ამის შემქმნელიო, და თავადაც დაეჭვებულია, თავადაც უჭირს დაჯერება, მართლა რომ არსებობს, ანდა მართლა რომ არსებობდა ოდესღაც. ყველაფერი უთავბოლოდ არეულა მის აფორიაქებულ თავში - ცხადიც და სიზმარიც, მართალიც და ტყუილიც, ნაფიქრიც და ნამოქმედარიც... მაგალითად, გოგოდ გადაცმულ თეზევსს, ელადის ახალ გმირს, აშკარად სონიას შეჭრილი ნაწნავი მიუმაგრებია კეფაზე. სხვაც ბევრი რამ არის დამაეჭვებელიცა და ამაფორიაქებელიც, მაგრამ მთავარი მაინც ახალგაზრდა თანამემამულეთა სისასტიკეა: მაინცდამაინც, ისინი არ სცნობენ, მაინცდამაინც, იმათთვისაა უცხო და, არავითარი

მნიშვნელობა არა აქვს, რისი ბრალია ეს, გუშინდელთა დაუდევრობისა თუ დღევანდელთა დაუნდობლობის). მართლაც, სხვა ხალხის ჟრიამული ისმოდა ირგვლივ. აველუმი კი, აივანზე მოცეკვავე დედაბრებისა არ იყოს, უნებლიეთ გამოსული თუ ძალით გამოგდებული, ასევე უნებლიეთ გასულიყო თუ ძალით გაეთრიათ სცენიდან. აპრილის შემდეგ დედაბრები აღარც გამოჩენილან აივანზე, თუმცა, აველუმს მაინც გაურბოდა ხოლმე იქითკენ თვალი, მაგრამ ვერაფერს ხედავდა, ერთმანეთზე შეწყობილი მუყაოს ძველი, წვიმებისაგან ათასჯერ დამბალ-დაფლეთილი ყუთებისა და ყუთებზე მიყუდებული იატაკის საწმენდი ჯოხის მეტს. ეტყობა, აველუმის მსგავსად, იმ მხდალმა თუ ჭკუასუსტმა დედაბრებმაც ბოლომდე ამოწურეს თავიანთი ეპიზოდური როლი და გამარჯვებულნი თუ ჩაფლავებულნი, მაყურებლის ტაშითა თუ მაყურებლის სტვენით დაჯილდოვებულნი, ღირსეულად გავიდნენ სცენიდან. აველუმსაც ესღა ევალებოდა მხოლოდ - ღირსების შენარჩუნება, - შეგნება იმისა, უკეთესიც რომ იქნებოდა ცხოვრება უიმისოდ, ანუ, არასასურველ მოწმეთა და მეთვალყურეთა და ყველაფრის დამმახსოვრებელთა და, აქედან გამომდინარე, ხელის შემშლელთა და შემაწუხებელთა და დამანამუსებელთა გარეშე. საფუძველიც ჰქონდა ამგვარი ფიქრისა, რაკი ახალმა ძალამ ერთბაშად მოურჩინა მარადიული სატკივარი და ერთბაშად დაუსვა წერტილი მის მარადიულ საფიქრალს. უფრო ზუსტად, უპირველეს ყოვლისა, მისი დანიშნულება და მნიშვნელობა გადაშალა, გააცამტვერა. მაგრამ ის თუ მართლა ძალა იყო, არ შეიძლებოდა, მარტო ამაზე გადაევლო, ამას დაყაბულებოდა, ამით დაეცხრო თავისი მეომრული ჟინი და ეცხოვრა არხეინად, ვთქვათ, ტენისი ეთამაშა

და არაფერი შეეცვალა გარშემო, არ გადაეადგილებინა მაინც რამე. აბა, რა საჭირო იყო საერთოდ მისი გამოჩენა?! ძალა ძალას უპირისპირდება, ეჯიბრება, ეჭიდავება და ამ ჯიბრსა და ჭიდილში ამტკიცებს თავის უპირატესობას, ანდა, პირიქით. ხოლო, თუ ეს მართლა ასეა, მაშინ, ამჯერად, ახალი ძალა (იგივე ეკაეკატერინეკატო) და ბოროტების იმპერია უნდა დაჯახებოდნენ ერთმანეთს, რადგან სწორედ ბოროტებასთან უნდა დაემტკიცებინა სიკეთეს თავისი უპირატესობა და არა საკუთარ მამასთან, რომელიც სიამოვნებითაც დათმობდა ყველაფერს, რაც შვილს შეემატებოდა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა - ძირს ხალხთა საპყრობილეო - შესძახა ახალმა ძალამ და ტანკს შეაფრინდა დროშისამარა. მაგრამ ბოროტების იმპერია ძლიერიც იყო და ვერაგიც, ღონეც ეყოფოდა და მოთმინებაც, ხოლო უწვრთნელსა და გამოუცდელ მეომარს შეიძლებოდა უცებ, ერთ მშვენიერ დღეს, ყელში ამოსვლოდა გაჭიანურებული და დაუნდობელი ომი. რაც მთავარია, ყველას როდი აძლევდა ხელს ახალი ფალავნის გამარჯვება. თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, მთელი სახელმწიფო აპარატის დღევანდელი და ხვალინდელი ბედნიერება იყო დამოკიდებული ბოროტების იმპერიის სიმყარეზე. თავისთავად ცხადია, ისინიც შფოთავდნენ და ბობოქრობდნენ; უფრო სწორად, ისინიც მალავდნენ თავიანთი მღელვარების ჭეშმარიტ მიზეზს, რადგან ადამიანები ერთ ბედს ქვეშ კი არიან, მაგრამ "გზა ხსნისა" ყველასათვის განსაკუთრებული დაუდგენია ღმერთს. გადარჩენისკენ სწრაფვაც ადამიანური თვისებაა და მეტ-ნაკლებად ყველანი ვამჟღავნებთ ამ თვისებას. ღირსია თუ არა, შეუძლია თუ არ შეუძლია, მაინც ყველა ერთნაირად ეპოტინება ხავსს, რადგან

ყველა ერთნაირადაა დარწმუნებული, სწორედ მას რომ ეკუთვნის გადარჩენა. თუ უთხარი, არ გეკუთვნისო, კი არ დაფიქრდება, კი არ დაეჭვდება, შენ აგიმხედრდება, შენი დაუძინებელი მტერი გახდება და ყველაფერზე წავა, ვერ მოისვენებს, ვიდრე თავად კი არ გარდაიქმნება, შენ არ გარდაგქმნის, შენ არ შეგაცვლევინებს აზრს. საამისოდ, ღვთის წყალობით, მრავალი საშუალება არსებობს: დასმენაო, დაცინვაო, ცილისწამებაო, მუქარაო, სატელეფონო ტერორიო და, რა ვიცი, რაღა არა. მოკლედ... მოკლედ, მღელვარებისა არ იყოს, მოლოდინიც საერთო იყო და ყველა თავისებურად ელოდებოდა, თავისებურად მალავდა მოლოდინსაც - ზოგი აქტიური დუმილით, ზოგი აქტიური ლაყბობით, რაც საბოლოო ჯამში, ერთი და იგივეა, ერთნაირად წარმოაჩენს ადამიანის შინაგან სამყაროს, მის არსს. ასე რომ, საერთო მღელვარებასა და მოლოდინში ყველას თავისი პატარა ნაკვეთი ჰქონდა შემოღობილი დუმილისა თუ ლაყბობის ღობით და იმ ნაკვეთზე, როგორც სასწორის პინაზე ატევდა თავის სურვილსაც და მიზანსაც, იმედსაც და უიმედობასაც. მთავარი კი სასწორის მეორე პინა გახლდათ, სადაც უკვე შესჭიდებოდნენ ერთმანეთს უხილავი ფალავნები. კი არ შესჭიდებოდნენ, უკვე პირველ ჭრილობებს იშუშებდნენ: ერთი (ეკაეკატერინეკატო) - ოთახის კუთხეში, მეორე (ბოროტების იმპერია) - სესიებზე, კრებებზე, კონფერენციებზე, ყრილობებზე... ტელევიზორის ეკრანსა თუ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. ხალხი კი ქუჩაში იდგა და, როგორც საერთოდ ახასიათებს, სათანადო დასკვნები კი არ გამოჰქონდა მოსმენილიდან, უსასრულოდ ლაპარაკობდა თავად ერთსა და იმავეს. აველუმიც ხალხში ერია, ანუ იმას

აკეთებდა, რისი გაკეთებაც შეეძლო და დარწმუნებული იყო, სხვა არც არაფერი ევალებოდა, დანარჩენს უიმისოდაც გააკეთებდნენ: მაგრამ რაკი თავად არ შეეძლო, ვერც ფრანსუაზა შეცვლიდა რამეს მის სასარგებლოდ და ვერც სონია. ფრანსუაზა და სონია უფრო ადვილად შეთანხმდებოდნენ და შეეწყობოდნენ კიდეც ერთმანეთს, ვიდრე ისა და ფრანსუაზა, ანდა - ისა და სონია. გულხელდაკრეფილი, შუბლშეჭმუხნული იდგა და ფიქრობდა, ფიქრობდა და გრძნობდა, რა მარტო იყო ამდენ ხალხში, სრულიად მარტო, და აღარც უკვირდა, აღარც სწყინდა, ყველაფერი უიმისოდ რომ ხდებოდა. არც მისი უკვე ენაზე მომდგარი შეკითხვა აინტერესებდა ვინმეს: რატომ ვდგავარ აქ, რას ველოდებიო. მოლოდინი, როგორც უკვე ვთქვით, ერთნაირი არა, მაგრამ საერთო იყო და მნიშვნელობა არ ჰქონდა, ვინ რას გულისხმობდა ამ მოლოდინში, ვინ რის გამორჩენას მოელოდა მისგან. მაგრამ ფიქრით, ეტყობა, მაინც ვერ გადაწყდება ამგვარად რთული საკითხები. ვიდრე ადამიანი ფიქრობს, მარტოა, და მის სიმარტოვეს არაფერი ეშველება, თუკი ვინმე არ ჩაეზიარა ფიქრში. ძაღლის თავიც სწორედ აქ არის დამარხული. ფიქრი სიზმარივითაა - ერთი და იგივე სიზმარი, ერთი და იმავე სახით, არ შეიძლება ორ კაცს ერთდროულად დაესიზმროს. არადა, სწორედ სიზმარი-ფიქრი ამოატივტივებს ხოლმე სულის ზედაპირზე, რაც ფხიზელ გონებას, შიშისა და უძლურების გამო, იმავე სულის ფსკერზე ჩაუძირავს, ჩაუმალავს; გონება გლეხივით ეშმაკია - იცის, რა დამალოს და რა გამოაჩინოს. გამოცდილებამ, გადატანილმა და განცდილმა გახადა გონება გლეხივით ეშმაკი და გულს იოლად აღარ აჰყვება. "ჯერ ვნახოთ, რა მოხდებაო" -

ფიქრობს იგი და აფორიაქებულ, აყაყანებულ ხალხში ისე დგას, თითქოს შემთხვევით მოხვედრილიყოს აქ, თითქოს არც იცოდეს და არც აინტერესებდეს, რა საერთო ჭირს შეუყრია ამდენი ხალხი ერთად.

და მაინც, აუტანლად მძიმე იყო მკვდარ ქალაქში ცხოვრება. მართლა მომკვდარიყო თითქოს ყველაფერი: ჰაერიც, წყალიც, პურიც, ხმაც, სახეც... ტანკებიც მკვდრებივით ეყარნენ ქუჩებში, ცხედრულად გაშეშებულნი, ცხედრულად დადუმებულნი. ღირსშესანიშნავი ფიქრისგორის ძირში საველე სამზარეულო გაემართათ. ყველგან დამპალი კომბოსტოს ფოთლები და კარტოფილის ნაფცქვენი ეყარა. თამარის (ყოფილი ჩელუსკინელების) ხიდზე წელსზემოთ გაშიშვლებულსა და ტანკის კოშკურასთან ჩამჯდარ ჯარისკაცს (რაკი სამხრეთში მოხვედრილიყო, მზის აბაზანებსაც იღებდა ბარემ), მოსწავლის რვეულიდან ამოხეული ქაღალდი მუხლზე დაედო და ბოლოგაღრღნილი ფანქრის ნატეხით წერილს წერდა დედას: ვიღებ კალამს და გიძღვნი სალამს ასე ვთქვათ მზიური საქართველოდან მოგიკითხავთ ყველას გულითადად უფროსიდან უმცროსამდე მართლა საქართველოში ვარ დე მზეზე ვიხრუკები უცებ წამოგვშალეს და გადმოგვისროლეს აქეთ ცოტა დაკა-დაკა იყო ჩვენი ბიჭებიც კარგად დაბეჟეს შენ ხომ არ იცი დე როგორ მოვაშორო ადამიანის ტვინი ფოლადს აი პატარა ნიჩბები რომ გვაქვს სანგრებს რითაც ვთხრით იმაზე გეუბნები ისე მარტო მიწას კი არ ვთხრით იმით კარტოფილიც მშვენივრად ითლება და ხორციც მშვენივრად იკეპება კონსერვიც მშვენივრად იხსნება და ასე შემდეგ ერთიანად გაზინთულია დე არ იკარებს არაფერს წყალსაც შევუშვირე არაყიც დავასხი მთელი ბოთლი ბოლო წვეთამდე არაყი აქ წყალზე ბევრი აქვთ დავაფსი კიდეც დე მაგრამ არაფერი ეშველა წუხელი სიზმარში მასწავლიდი როგორ გამერეცხა ნიჩაბი ძილში მახსოვდა მიკვირდა კიდეც რა იოლი ყოფილა მეთქი დილით კი ვერაფრით გავიხსენე იქნებ მომწერო დე

შემაწუხა ძალიან სხვამხრივ არამიშავს რა შენი ალექსეი.

აველუმს კი ყოველღამე ორმოცდათექვსმეტის მარტში ფეთქებადი ტყვიით ბარძაყდაფშხვნილი, უპატრონოდ გარდაცვლილი ბიჭი ესიზმრებოდა. ვითომ, ის ბიჭი ისევ იქ იჯდა, სადარბაზოში, კიბის საფეხურზე, სისხლის გუბეში ფეხებჩაწყობილი და უაზრო სირბილით გულამოვარდნილსა და საკუთარი უმწეობით თავლაფდასხმულ აველუმს საყვედურობდა - სადა ხარ აქამდე, როდემდე გიცადოო. ასე რომ, რაც ახლა ქალაქში ხდებოდა, აველუმს ერთხელ უკვე გადაეტანა, მაგრამ ახლანდელი ელდა ისევე აღემატებოდა მაშინდელს, როგორც ახლანდელი აველუმი - მაშინდელ აველუმს, არა მარტო ასაკით, არამედ ჩადენილ ცოდვათა და შეცდომათა რაოდენობითაც.

ახლაც გულამოვარდნილი, ახლაც თვალებაწრიალებული, ფსორიაზის არქიპელაგით სახეგადალაქული დაძრწოდა ქუჩებში, თითქოს ყველა სადარბაზოში ვიღაც კვდებოდა, მის იმედზე დარჩენილი, და მას უნდა მოენახა, მას უნდა გაეფრთხილებინა ყველა მათგანის ჭირისუფალი, ვიდრე ერთიანად მოუსვამდნენ ყველას ხელს (ცხრა აპრილის დილას იმ ერთი ხელის დადება მოედანზე მარტო ორი სატვირთო მანქანა ფეხსაცმელი მოაგროვეს თურმე) და გადაუძახებდნენ ბულდოზერით ამოთხრილ საერთო ორმოში (მტკვარმა არ გაუმართლათ, არ შეუნახათ საიდუმლო), მაგრამ აველუმს ერთადერთი მისამართი ახსოვდა ისევ - ორბელიანის 3 - დანარჩენები ერთმანეთში არეოდა, ანდა უკვალოდ, უიმედოდ დავიწყებოდა თითქოს და იმიტომაც დაბორიალობდა უთავბოლოდ, ასე აგანგაშებული, ლაბირინთში მოხვედრილი კაცივით. ლაბირინთისა რა მოგახსენოთ, მაგრამ აქედან, მშობლიური ქალაქიდან თავის დაღწევაზე მეტად, არაფერი რომ არ უნდოდა იმ წუთას, ეს სრული სიმართლეა. შეგიძლიათ, სიტყვაზე დამიჯეროთ. სხვათა შორის, სწორედ მაშინ გადაწყვიტა (ქუჩაში, ალალბედზე, ცოლის შერთვისა არ იყოს) ფრანსუაზასთან გაქცევა. უფრო ზუსტად, შემთხვევით გაახსენდა უცებ ფრანსუაზასგან ჯერ კიდევ გასული წლის მიწურულში მიღებული (იქამდეც ჩააღწია ალბათ ჩვენი გარდაქმნის ამბავმა) და დღემდე უპასუხოდ დატოვებული მიპატიჟება, და ახლა, საკუთარ ქალაქში გზააბნეული, მგზნებარედ, მხურვალედ ეფიცებოდა გუნებაში უსინდისოდ დავიწყებულ ფრანსუაზას, აუცილებლად რომ ისარგებლებდა ამ ბედნიერი შემთხვევით,

აუცილებლად ჩაეჭიდებოდა ორივე ხელით, როგორც წყალწაღებული ხავსს, პარიზიდან გამოგზავნილ ამ პატარა ფურცელს, ოღონდ, ცოტა ხნით მაინც, გარიდებოდა აქაურობას, რაც მთავარია - მისგან ერთხელ უკვე ვერგადარჩენილი და ოცდაცამეტწლიანი სიკვდილის განმავლობაში უსაშველოდ გამრავლებული მკვდრის საყვედურებს. ასე ფიქრობდა და თვითონვე იტანჯებოდა საკუთარი ნაფიქრალით, საკუთარი სულმოკლეობით, სიმხდალით...

გაზეთები კი თავისას მიერეკებოდნენ ისევ - ფედერაცია თუ კონფედერაციაო; მთაწმინდის პლატოზე გამოუცნობი მფრინავი ობიექტი დაჯდაო. შემოკლებულად, გმო თუ გამო. რაღაცას გმობ, რაღაცის გამო. მე თქვენს გამო თავს ვიკლავდი, თქვენ კი... გამო, თუ ბიჭი ხარ და ასე შემდეგ. გამო - მიარე, გამო - მიყვანე ამ სიბნელიდან. იქამდე კი, კვლავ გიწვევთ აბანოთუბანში ახალგაზრდა მხატვართა (ძირითადად ყოფილ არქიტექტორთა) ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვაზე. ერთ-ერთი მათგანის ნახატი, ორნახევარი სამნახევარზე, ოსლოშიც იყო გამოფენილი და, მგონი, გაიყიდა კიდეც. დაე, აბანოთუბანში გატარებული წუთები დაუვიწყარი ყოფილიყოს თქვენთვის. თქვენთვის, თუ კარგია! ეგ რომელ "დაუვიწყარ წუთებზეა" ლაპარაკი? აბანოთუბანს ბევრი "დაუვიწყარი წუთები" ახსოვს. არა მარტო პატარა გოგონები, არამედ პატარა ბიჭუნებიც. "წითელპერანგა". ამიტომ აჯობებდა, უფრო გარკვევით ეთქვა გაზეთს ამ გაქანებული დემოკრატიისა და თავისუფლების პირობებში, რა "წუთებზეა" ლაპარაკი, მით უფრო, რომ ამ ღონისძიებას კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი აწყობს თურმე. ასაკი ემთხვევა. რაც შეეხება საქართველოს აბრეშშშშუმს, საუკეთესო ქსოვილია საზაფხულო-საშემოდგომო მოდისთვის. ქართული აბრეშშშშუმით შეგიძლიათ ნებისმიერ მამაკაცს, ნებისმიერ დროს, ნებისმიერ სიტუაციაში... ნაზი კრეპჟორჟეტი, დაჭმუჭნული კრეპი თუ აჟურული მუსლინი. ჩვენმა გაზეთებმა თავისუფლება და დემოკრატია, ჯერჯერობით, ყველაფრის უფლებად აღიქვეს და აძლევენ კიდეც ყველაფრის უფლებას თავს. რაც მინდა, იმას ვიზამ. სადაც მინდა, იქ ვიზამ. ლექსიც არის, მგონი, ასეთი.

მოიხედე ალა, შეჩემალალალა. ელლა, ცოტა ნელა და, თუ შეიძლება, ცოტა რამ საკუთარ თავზეც გვიამბეთ. ბოდიში მომითხოვია, მაგრამ მე ელლა არ გახლავართ. მე მქვია სუზი და ძალიან მიყვარს ბლუზი. და კიდევ, კიდევ კი არა, ცოტა უფრო ძალიან - კანფეტი "ჩიტის რძე". ჩემს პირველ მამაკაცს მოჰქონდა ხოლმე. იმის სახე ბუნდოვნად მახსოვს, კანფეტზე კი აქამდე ვგიჟდები. სხვათა შორის, ამ ხელობას ბავშვობიდანვე მივსდევ. დედამ შემაყვარა. მომწონს? რასაკვირველია. როგორც ყველაფერში, აქაც პროფესიონალიზმია მთავარი. ამ გახსენებაზე, ყველაფერზე ძალიან, დილის ძილი მიყვარს მაინც. აფსუს, ჩვენო კირა! ვერც იფიქრებდა, თუ მისი საქმის რომელიმე გამგრძელებელს, როდისმე მაინც მიეცემოდა საშუალება, ასე ოფიციალურად, პრესის მეშვეობით გაეზიარებინა დაინტერესებული კლიენტურისათვის მასსავით უუფლებო და უსახელო ქალების პატარა, უეშმაკო სიამოვნებანი. და აი, ამასაც მოვესწარით. მადლობა გარდაქმნას. გაზეთის პირველსავე გვერდზე იხილეთ (ტექსტს საკმაოდ პიკანტური ფოტოებიც ახლავს თან) ინტერვიუ მეძავთან. ამაზე მეტი თავისუფლება გაგონილა?! ფრანგებს არც დაესიზმრებათ. მაგრამ ჩვენ ის უფრო გვიკვირს, "პალერმოში" რომ მიუწვევიათ მასპინძლებს საპატიო სტუმარი, "ერთ ყლუპ შამპანურზე". ათი თავი უნდა გებას კაცს, თბილისის ნებისმიერ ბარში რომ შეხვიდე დღეს, თანაც სახელგანთქმულ მეძავთან ერთად. მით უფრო, "პალერმოში". "პალერმო" ალბათ პალერმოზე გაცილებით სახიფათო ადგილია ამ თვალსაზრისით.

*"პალერმოში" რა გინდოდა, რერო,*
*თუ სიკვდილი არ გინდოდა, რერია.*

მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრებულა ამჯერად და ჩვენს საპატიო სტუმარს, სასტუმროს ნომერში, ინტერვიუც კი მიუცია ადგილობრივი ტელევიზიის წარმომადგენლისათვის. ინტერვიუერის სიტყვით (ვინმემ რამე არ იფიქროსო), ინტერვიუს, ფოტოკორესპონდენტის გარდა, სტუმრის ერთგული ნაგაზიც ესწრებოდა თურმე. სუზი, სუზიკო, თქვენ გუშინ აეროპორტშივე დაატყვევეთ მთელი თბილისი. შინაურულად რომ ვთქვათ, ხელახლა დაგვბადეთ ყველანი. დიახ. ნუ იცინით... ჩვენ ხომ ეს დღეები... თუმცა, არ გვინდა ამაზე ლაპარაკი. მილიონორასათასიანი ქალაქი მზად არის, დაუფიქრებლად, რადაც არ უნდა დაუჯდეს... თუმცა, ალბათ თავადაც იგრძნობდით, თუ რა ნაზად და თბილად... რას ჰქვია, ვიგრძნობდი?! ვიგრძნობდი კი არა... დამაცადეთ, ჯერ კითხვა არ დამიმთავრებია. დიახ, ნაზად და თბილად... დამეთანხმებით, თქვენი პროფესიაც უკვე თავისთავად განაპირობებს... მაგრამ, საინტერესოა, კიდევ რა გაკავშირებთ ჩვენს ქალაქთან? თუმცა, ჯერ ის გვითხარით, ბლუზი რომ გიყვართ, იმიტომ დაირქვით სუზი, თუ სუზი რომ გერქვათ, იმიტომ შეიყვარეთ ბლუზი? ამას ჩვენთვის, ქართველებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს - რა რას უსწრებს, ვინ ვისზე წინ დგას და ასე შემდეგ. სუზი - ბლუზი. ლექსივითაა არა?!

*თუ შენ ვერ შესძლებ, რომ მე მიყვარდე,*
*იქნებ მე შევძლო, რომ შენ გიყვარდე...*

დიახ, რა თქმა უნდა. აქ ჩამოსვლამდეც ვიცოდი. მაგრამ ტყუილად ხომ არ ამბობდნენ ჩვენი ბრძენი წინაპრები, ქებას ნახვა სჯობსო. თქვენ ალბათ მსოფლიოში ყველაზე ემოციურები ბრძანდებით. ჩვენში დარჩეს და, ანთებული სანთელი რომ ეტაკებინა ვინმეს, არც ის გამიკვირდებოდა. მაშინ, იქნებ, ქართულ სამზარეულოზე გვითხრათ რამე. არტალაზედ როგორა ხართ? და რაკი სიტყვამ მოიტანა, იქნებ ქართველ მწერალს იცნობთ ვინმეს? არტალა ჯერ არ გამისინჯავს. კითხვა კი მიყვარს. მაგრამ ცოტას ვკითხულობ. ძირითადად პრესას. იმასაც არეულად, უთავბოლოდ. მოგეხსენებათ ჩვენი ამბავი... ვიცნობ რუსთაველს და, გვარი არ მახსოვს, მაღალი კაცია, ოდნავ ჭაღარა. ბატონო სოსო, მგონი. ძალიან კარგი. მაგრამ ჩვენში რომ ვთქვათ, ინტერვიუსთან რა ესაქმება ძაღლს, თუკი ესეც ჩვენი თბილისური ქაჯობა არ არის?! ნუთუ ძაღლმაც, თუნდაც გერმანულმა ნაგაზმა, შეიძლება იცოდეს, რომ მისი პატრონი პირველი საბჭოთა მეძავია, რომელსაც უფლება მიეცა ოფიციალურად განაცხადოს: "დიახ, იმნაირი ვარ და ვამაყობ კიდევაცო". რაღაც არ მგონია. მე მგონი, ეს უკვე მართლა ჩუმი სიგიჟეა, ანდა, ჰიპნოზის საწყისი სტადია. სახაროვი კი იმპერიას გვეძახის, იმპერიალისტებს. საქართველო პატარა იმპერიააო. სხვებზე ნაკლებად ბოროტი კი არა, ტანით პატარაო. ტანმორჩილი. სტალინიც ხომ ტანმორჩილი იყო?! თითქოს ლენინი გახლდათ კრის გრინერი. მაგრამ ეს საკითხის ერთი მხარეა, ნაკლებად მნიშვნელოვანი. შეიძლება ითქვას, გამაღიზიანებლის ფუნქცია აკისრია მხოლოდ, რათა მსოფლიო განუკითხაობის წყვდიადში კიდევ ერთი ყალბი მარგალიტი დაიბადოს. რა თქმა უნდა, ჭეშმარიტი იმპერიის სასარგებლოდ. მაგრამ

იმისთვის, ვისაც, ასე თუ ისე, სწორი წარმოდგენა აქვს აფხაზეთზე, მაშინვე, თავისთავად იბადება კითხვა: ვის ეკუთვნის საქართველო? არსებობს მოსაზრება, რომ საქართველო ეკუთვნის ყველას - ვისაც სურს, და ვისაც სჭირდება. თუ უფრო დავაზუსტებთ, საქართველოს ადგილი მისგანვე მოხიბლულთა გულებშია და არა მსოფლიო რუკაზე. კი ბატონო, ასე იყოს, მაგრამ უაფხაზეთოდ არც საქართველო არსებობს. საქართველო მინუს აფხაზეთი უდრის ნულს. გინდ ყოფილა, გინდ არა, მიუხედავად იმისა, რომ ნული, თავისთავად, ამოუწურავი შესაძლებლობების სიმბოლოცაა. მაგალითად, მილიონს რომ ნული მივუწეროთ, მილიონი ათმაგად გაიზრდება ერთბაშად და, აქედან გამომდინარე თუ ვიმსჯელებთ, ნული (იგივე საქართველო), იმას ეკუთვნის, ვისაც მილიონი უკვე აქვს და მის გაათმაგებასაც აპირებს. ამდენი სახაროვმაც იცის. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის იცის, რაც უნდა იცოდეს, რაც მისთვის სასარგებლო დასკვნების გამოსატანადაა საკმარისი. მსოფლიო ობივატელის ტვინი ავტორიტეტის პირიდან ამოსულ სისულელესაც სიბრძნედ აღიქვამს. რაც უფრო ბნელია ადამიანი, მით უფრო სჯერა ავტორიტეტისა. ავტორიტეტის შექმნა კი, რომ იტყვიან, ტექნიკის საქმეა. მით უფრო - ჩვენში. ხელი ხელს ბანს. მე შენ სახელს მოგიპოვებ, შენ მე ახალი მიწები მომაპოვებინე. ან რა გასაკვირია, სიტყვითაც იმის ინტერესებს იცავდეს კაცი, ვისაც ემსახურება?! გასაკვირი სხვაა: ჩვენ, ქართველები, მიწიდან რკინის ამოღებისათვის, ჯერ კიდევ კაცობრიობის გარიჟრაჟზე დაგვწყევლეს და შეგვაჩვენეს ბერძნებმა და, როგორც სჩანს, აქამდე არ დაუკარგავს იმ წყევლას ძალა, ხოლო ქარაფშუტა მსოფლიო, მეოცე საუკუნის მიწურულს, ფიანდაზად

ეგება ფეხქვეშ მასობრივი სიკვდილის "მამას". გნებავთ, "მამინაცვალს". ხოდა, ახლა ქართველმა სამაჩაბლო, აფხაზეთი ანდა აჭარა თუ არ დაუთმო ვინმეს (ვისიც არ ითქმის სახელი და ვისაც უკვე დიდი ხანია, მგლისა არ იყოს, საკუთარი შარდითა აქვს შემოსაზღვრული თავისთვის ეს სამი "გემრიელი ლუკმა"), ყველა ამჟამად მოქმედი პოლიტიკოსი, დასავლეთშიც და აღმოსავლეთშიც, ემანდ ვინმეს გოიმი არ ვეგონოო, მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმებს (თავს დააბრალოს) ჩვენს იმპერიალისტურ სიჯიუტეზე. თუმცა, ქართველობაც ჯერ კიდევ მყარად ზის ბნელში.

*ტაშკენტის შვიდში შფოთავს "მუმია",*
*გარშემო ისევ ცოდვის ბუმია,*
*პური ცომია, ხორცი უმია,*
*ქართველისათვის რომი გუმ-ია.*
*აველუმია, ეგერ რომ მოდის?!*
*აველუმია, აველუმია.*

ჯერ კიდევ მყარად ვსხედვართ ბნელში. შემცბარნი და შეწუხებულნი კი ვართ ამგვარი უსინდისობით, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ გავრკვეულვართ, სად არის ძაღლის თავი დამარხული. ბნელში ვსხედვართ და, შუბლზე სიმწრის ოფლგადამსკდარნი, ღია წერილს ვაცხობთ. დიდი ბოდიში. გვაპატიეთ, უმორჩილესად გთხოვთ. ღვთის გულისათვის, თქვენისთანა პიროვნება. ჩვენი მოწიწებული და მოკრძალებული. ღრმადა ვართ დარწმუნებულნი. შეცდომაში შეგიყვანეს (კი აბა! მაგის ჩიტია სწორედ). ჩვენი თაობის ჩამოყალიბებაში. არ გვიწყინოთ. მაგრამ უთქვენოდ. დღეს თუ ასე გაბედულნი ვართ ყველანი. ჩვეულებრივად დიდი ინტერესით წავიკითხეთ. ელდა გვეცა. ბატონო ანდრეი. თქვენ აცხადებთ რომ (სხვამ ჩაუწერა ალბათ. ვინ ჩაუწერდა?). არა. გთხოვთ. გემუდარებით. ეს იგივეა. თქმაც კი გვიჭირს. ნუთუ მართლა რამე საერთო აქვს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს? თქვენ თუ იტყვით, ჩვენ ყველანი. მაგრამ მაშინ თბილისიც აღარ შერჩება საქართველოს. ანდა, საქართველო აღარ შერჩება თბილისს (არადა, დეიდა ვანგა თურმე ხედავს). დიდი მოკრძალებით. თვითონვე გვიკვირს. გისურვებთ ყოველივე კარგს. უღრმესი პატივისცემით. მოგეხსენებათ, ჩვენი სტუმართმოყვარეობის ამბავი და სხვა მრავალი. ეგეც ეგრე. მიიღო თუ არა საკადრისი?! ამის მერე გაბედოს და რამე გაუბედოს საქართველოს. რასაც ცოლი ჩუმად ჩასჩურჩულებს ყურში, იმას ამბობს ხმამაღლა. ეგ თუ იცოდით, რატომ არ ჩაუწერეთ ღია წერილში? აკი ყველაფრის თქმა შეიძლებაო? ჰმ, ჰმ. ამას უკვე მარტო შენთვის ვამბობ მომავლის **მოცლილო მკითხველო**, რადგან დღეს არა მარტო ყველაფრის თქმა შეიძლება, არამედ ყველაფრის დაკარგვაც - ერთ მოუზომავ

სიტყვას, იქნება, თავიც გადააყოლო. სისტემათა ბრძოლა კი შეწყდა (თუნდაც, დროებით), მაგრამ არსებობისათვის ბრძოლა კიდევ უფრო გამძაფრდა. მიღწეულის დაკარგვაც ადვილია და მიუღწევლის მიღწევაც. დროა ასეთი. ვერსად გაექცევი. გაექცევი - წაიქცევი და დანარჩენები ზედ გადაგივლიან. გადაგთელავენ. ამიტომაც არავინ არ ამბობს იმას, რასაც უნდა ამბობდეს. მე რომ ახლა ეს ხმალი დევირჩინო, იტყვიან, აი, დეირჩინაო. აბა, რას იტყვიან, შე ჩემა?! ეტყობა, მართლა გადავცდით ჭკუიდან. აკი გვითხრეს, ცხრა აპრილის შემდეგ ყველაფერი გეპატიებათო. ესე იგი, ჭკუა აღარ მოგეკითხებათო. სამაგიეროდ, როგორც იქნა შევამჩნიეთ ერთმანეთი. ადრე არ გვეცალა ერთმანეთის დასანახად. მაგრამ რახან ღმერთი შეგვეწია და მოვიცალეთ ერთმანეთისთვის, იქნებ სხვაც ბევრი რამ დავინახოთ. იქნებ ისიც გავარკვიოთ, სად შეიძლებოდა მომხდარიყო დიდგორის ბრძოლა...

და აი, ასეთ დროს, აველუმს საშუალება ეძლეოდა, ცოტა ხნით მაინც გასცლოდა აქაურობას, გარიდებოდა ამ ორგანიზებულ უაზრობასა თუ აღზევებულ სიბრიყვეს. მართალია, არავინ აგლეჯდა კალთებს, არავინ უშლიდა, მაგრამ თვითონვე ეთაკილებოდა (რასაკვირველია, საკუთარი მოსაზრებებიდან გამომდინარე), ესიკვდილებოდა თავისი უბედური ხალხის მიტოვება ყველაზე დიდი განსაცდელის ჟამს, თუნდაც ერთი საათით. რა თქმა უნდა, ვერაფერში წაადგებოდა (იმის გაკეთება შეეძლო მხოლოდ, რასაც აქამდე აკეთებდა და რაც სრულებითაც არ აღმოჩნდა საჭირო იმისთვის, ვისთვისაც თავისი ჭკუით ირჯებოდა), მაგრამ თუ მართლა დასაღუპად იყო ქვეყანა განწირული, მაშინ არც თავად უნდა ჰქონოდა გადარჩენის შანსი, თუნდაც უმნიშვნელო, თუნდაც თეორიული, და თავადაც მასთან ერთად უნდა დაღუპულიყო, როგორც მისი შემადგენელი ნაწილი, პატარა, მაგრამ აუცილებელი მთლიანობისათვის, თუნდაც სათვალავისთვის. სული სულთაგანი და ხორცი ხორცთაგანი. მას კი გაქცევაზე ეჭირა თვალი. თუმცა, გაქცევა გადარჩენა არ არის. უბრალოდ, უკან დაბრუნებაა, თანაც იძულებით, და არა ტაქტიკური თუ სტრატეგიული სვლა. ბრუნდები იქ, საიდანაც ოდესღაც წამოხვედი, უარაფროდ. ალბათ ნაადრევადაც, რადგან მაშინ ისიც არ იცოდი ჯერ, ბნელში რითი გაგენათებინა ლუკმა და სინათლეში რითი დაგეფარა სიშიშვლე. ასე რომ, ფრანსუაზასთან გაქცევით, თავს კი არ შველოდა აველუმი, ნებაყოფლობით ამბობდა უარს მთელ თავის ცხოვრებაზე, ამდენი ხნის სიმტკიცესა და სიჯიუტეზე, გნებავთ "უმოქმედობასა" და "დუმილზე", როგორც ოფიციოზი ნათლავდა მისთვის მიუღებელ ნებისმიერ

მრწამსსა თუ შეხედულებას, რათა გულუბრყვილო ქვეშევრდომს "უმოქმედობა" მართლა უმოქმედობად აღექვა და არა უძლურების მარად ღია, მარად ჩირქისა და ბალღამის მწვეთავი ჭრილობის მკურნალობად, თუნდაც ცხოველური (გნებავთ, მელანიასეული) მეთოდით; "დუმილი" კი - დუმილად და არა დაუმორჩილებლობის ასევე მარადიულ ღრიალად, იდუმალ წიაღთა შლამში ამოთხვრილ ხმად, რომელსაც წიაღთა საიდუმლო შეიძლება ვერ მოაქვს ჩვენამდე, მაგრამ ცნობის წადილს კი გვიღიზიანებს იმ საიდუმლოთა მიმართ. როგორც არ უნდა გაგიკვირდეს, **მოცლილო მკითხველო**, ბოროტების იმპერიას ზოგიერთთა "უმოქმედობისა" და "დუმილისა" უფრო ეშინოდა, ვიდრე იმ "გამბედავი", "თავზეხელაღებული" ოპონენტების ლეგიონისა, ხმამაღლა, საქვეყნოდ, კრებებსა თუ სესიებზე, კონფერენციებსა თუ ყრილობებზე (რომლებსაც, ცხადია, თავად იმპერია წარმართავდა), "გულწრფელად", "უანგაროდ" რომ ამხელდნენ და აქიაქებდნენ არსებული წეს-წყობილების "ზოგიერთ ჩრდილოვან მხარეებს" (ერთმა ასეთმა ოპონენტმა, უნებურად წამოროშა თუ ვიღაცაში შეეშალა აველუმი, პირდაპირ უთხრა საუბრისას: მე რომ მკითხო, ახია, მართლა აუხტეს მაგათ კაციო), რაც, უპირველეს ყოვლისა, არსებული ხელისუფლების, მისი უფლებამოსილების აღიარებას ნიშნავდა ისევ, როცა ზოგიერთთა დაუოკებელი "უმოქმედობა"და ჩაუხშობელი "დუმილი" სწორედ არსებულის შეგნებულად არშემჩნევა, არცნობა, არმიღება იყო და სხვა არაფერი.

და მაინც, ყველაზე მეტად, ისევ შვილი ბორკავდა აველუმს, ისევ სულიერად დახეიბრებული შვილი უშლიდა ხელს, მთლიანად დანებებოდა ამ მტანჯველ სურვილს. შვილმა უიმისოდ უკვე სცადა გაფრენა (აღარ ეყო მოთმინება) და ახლა ფრთებდამსხვრეული იჯდა შინ, იატაკზე, ტენისის დაკარგულ ბურთს მიშტერებული და ლაპარაკიც აღარ უნდოდა გაფრენაზე, თუმცა, ჯერ კიდევ გუშინ, ალბათ არავითარი ძალა არ არსებობდა მიწაზე მისი გამჩერებელი - შვილსაც დათმობდა და მშობელსაც, ოღონდ ერთხელ მაინც, ერთი წუთით მაინც მისცემოდა ცის უსასრულობის, ცის უძირობის განცდის შესაძლებლობა, თავისუფლად, თავის ნებაზე, უფროსების ჩაურევლად, რაც შეძლო კიდეც, მაგრამ მართლაც ერთხელ, მართლაც ერთი წუთით. დამნაშავე კი ისევ აველუმი გამოვიდა ("შენ რა გენაღვლებოდა, იგონებდი რაღაცას რომანისთვის, გასართობად. მაგათ კი მართალი ეგონათ"), რამდენადაც უიმისოდ არც მის შვილს გაუჩნდებოდა გაფრენის სურვილი, გაფრენის მოურეველი ჟინი თუ მოთხოვნილება, რისი გაქარწყლება ვეღარც აველუმის დარიგებებმა შეძლო და ვეღარც მელანიას თხოვნა-მუდარამ. იმპერიის ყველაზე დიდი ბოროტება ის გახლდათ, განუსაზღვრელი ვადით დატუსაღებულ ხალხს უცებ რომ განუცხადა: თავისუფლები ხართო. ხალხი დამდგარ, დამყაყებულ, დაჭაობებულ წყალში ყვინთვას სწავლობდა გაჩენის დღიდან, წურბელებსა და ბაყაყებზე სანადიროდ, ახლა კი - გაფრინდითო - და, რასაკვირველია, ვერ გაფრინდებოდნენ, ვიდრე გადაგვარებული, გაკორძებული ფრთა ხელახლა არ გაეზრდებოდათ, ანუ, არ მოიშორებდნენ, არ დაივიწყებდნენ მაინც, ძველისძველ, თანდაყოლილსა

თუ თანდათანობით შეძენილ ჩვევებსა და თვისებებს, რაც, მხოლოდ და მხოლოდ, სატუსაღოში გასაძლებად იყო საჭირო, აუცილებელიც, და არა, ვთქვათ, ცაში სალივლივოდ. სატუსაღოში სხვებზე უკეთ ის გაიტანდა თავს, ვინც საფუძვლიანად დაეუფლებოდა იქაურ წესებსა და მეთოდებს, რომელთა მეშვეობით შედარებით მცირე დროში და მცირე დანაკარგებით შესძლებდა, ვთქვათ, განათლების მიღებას წიგნის გადაუშლელად, გამდიდრებას - თითის გაუნძრევლად, გაკულტურებას (იხ. გათბილისელება), - თეატრში ცხვირის შეუყოფლად. მისაბაძ და პატივსაცემ კაცად ის ითვლებოდა, ვისაც ნებისმიერ სალაროში ჰყავდა ნაცნობი მოლარე, იოლად ამყარებდა ურთიერთობას მატარებლის გამყოლებთან თუ თვითმფრინავის სტიუარდესებთან, სასტუმროსა თუ რესტორნის კარისკაცებთან, ადმინისტრატორებთან, ოფიციანტებთან, ნოქრებთან, გადამყიდველებთან, რაიკომის, აღმასკომისა თუ მილიციის წვრილფეხა ჩინოვნიკებთან და, რასაკვირველია, ყველაზე მეტი მეძავის მისამართი ან ტელეფონის ნომერი ეწერა თავის უბის წიგნაკში, რომელსაც, სხვათა შორის, მხოლოდ ამ მიზნით ყიდულობდა საერთოდ.

აველუმი ვერასოდეს იტყოდა უარს საკუთარ წარსულზე - საკუთარი წარსულის გამო არა მარტო სძულდა, არამედ ეცოდებოდა კიდეც თავი და, მხოლოდ და მხოლოდ, ამ სიძულვილითა და სიბრალულით შეეძლო მიეღწია იმისთვის, რისკენაც მიისწრაფოდა მთელი არსებით, ლამის გაჩენის დღიდანვე, ლარს მომწყდარი ისარივით, რომელსაც უკვე ვერავითარი გარეშე ძალა ვეღარ შეაკავებს, მიზანს შეიძლება ასცდეს, მაგრამ უკან დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ასე და ამგვარად, აქედან გაღწევის (თუნდაც, დროებით გაღწევის) ჟინი, სულის მოთქმის, გონზე მოსვლის ტაქტიკური აუცილებლობით კი არ იყო განპირობებული, არამედ თავდაცვის ცხოველური ინსტინქტით, სიცოცხლის დაუოკებელი, დაუშრეტელი სწრაფვით სიცოცხლისათვის სასარგებლო და ჯერ ბოლომდე აუთვისებელი სივრცეებისკენ. ამდენად, ვერც მარტო გონებით გადაწყვეტდი წასვლა-დარჩენის, ანუ, ყოფნა-არყოფნის მარადიულ საკითხს. პირველ რიგში, საკუთარი ხორცისთვის უნდა დაგეგდო ყური, ანუ, ხორციელი ცხოვრების გათვალისწინებით (სხვანაირად ცხოვრება უბრალოდ არ არსებობდა სატუსაღოში), უნდა გეფიქრა საერთოდ მომავალზე, ანუ, ზოგადად ცხოვრების სულიერ, ზნეობრივ, პოლიტიკურ თუ ეკონომიურ მხარეებზეც, რასაც, თავისთავად ცხადია, გარკვეული მომზადება სჭირდებოდა და თუნდაც ამიტომ უნდა დაგეთმო ხორცისთვის, რომელსაც თანდაყოლილი, ბუნებისაგან ნაჩუქარი ცხოველური ალღო, წინათგრძნობა და სიბრძნე წარმართავდა. აქედან გამომდინარე, როგორც არ უნდა გაჯიუტებულიყავი, წინ აღსდგომოდი საკუთარ ხორცს, ის მაინც თავისას გააკეთებდა, თავისას გაიტანდა, თავის კანს გაუფრთხილდებოდა

უპირველეს ყოვლისა და ნებისმიერი საშუალებით - კბილებით, ბრჭყალებით, ღრენითა და ღმუილით - შენც თან წაგითრევდა სოროსკენ, როგორც სასიკვდილოდ დაჭრილი ნადირი - გამოფატრული მუცლიდან გადმოყრილ შიგანს. ეს იყო ერთადერთი გზა გადარჩენისაც და დაღუპვისაც, რადგან თუ კიდევ შეგრჩებოდა სული, მხოლოდ იქ, სოროში, წარსულში გაარკვევდი, რამდენად გამართლებული იქნებოდა შენთვის ხელახლა გამოსვლა სოროდან, წარსულიდან; რამდენად შესაფერი, მისაღები აღმოჩნდებოდი მომავლისთვის, უკვე ფერშეცვლილი და, რაც მთავარია, რა თვალსაზრისით, რა მიმართულებით და რა დონეზე უნდა მომხდარიყო შენი "ფერისცვალება".

აქ, საქართველოში, ალბათ კარგა ხანს აღარ შეიცვლებოდა აღარაფერი, თუკი საერთოდ შეიცვლებოდა რამე როდისმე. სისხლის გუბეები მოიწმინდა, დახოცილნი დაიმარხნენ. "წმინდა ადგილიდან" ზღვა ყვავილების გატანისას, ერთი პირობა, ისევ დაიწამლა ხალხი. ეტყობა, ყვავილებმა თავიანთი ნაზი, გულუბრყვილო ღეროებით შეიწოვეს და "დააკონსერვეს" ის საიდუმლო, დაუდგენელი ნივთიერება, რომელიც არათუ არსებობდა ჩვენს სინამდვილეში, არამედ კვლავინდებურად ამართლებდა თავის პირვანდელ დანიშნულებას, მიუხედავად ტრაგედიის მიზეზთა და შედეგთა გამომკვლევი კომისიების უშედეგო ძიებებისა. "დაზარალებულნი" სამკურნალოდ გერმანიაში წასვლაზე ოცნებობდნენ. დგებოდა სიები. იყო ერთი აყალ-მაყალი. გაწევ-გამოწევაც. ჯანმრთელობის მინისტრს თითქმის ყოველდღე უწევდა თავის მართლება ტელევიზიის მეშვეობით. ხალხმა, ხუმრობით, "უშტატო დიქტორი" შეარქვა ზედმეტ სახელად. ჩიოდნენ მშობლები, ახლობლები. იბეჭდებოდა კოლექტიური წერილები. იმართებოდა მჯდომარე თუ მწოლიარე გაფიცვები. ბევრი მათგანისთვის ეს იყო ერთადერთი შანსი საერთოდ უცხოეთში მოხვედრისა. ფილარმონიის დიდ სცენაზე კი უცხოელი გასტროლიორი, "ტყავის ამოტკეცილ შარვალში გამოწყობილი" (შუქი რომ ეცემოდა, ბრჭყვიალებდა), გაზეთს თუ დაეჯერება, თვითონაც ხარობდა და სხვებსაც ახარებდა. ჩემს სამშობლოში ამგვარი წარმატება არც კი დამსიზმრებიაო - აღიარებდა გულწრფელად. ხოლო, სტუმართმოყვარე, კეთილი და ზრდილობიანი მაყურებელი, კონცერტის დამთავრების შემდეგაც, "დიდხანს არ ანთავისუფლებდა" თურმე დარბაზს.

(გაზეთი, რა თქმა უნდა, შეგნებულად ახსენებს მკითხველს "ეროვნულ თვისებებს", რომლებიც სინამდვილეში, შეიძლება, არც არიან ეროვნულნი, ვიწრო, ლოკალური გაგებით, მაგრამ აშკარად შესწევთ ძალა, ნებისმიერ ერს გადაატანინონ თავს დამტყდარი უბედურება და ჩვენც მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის გაზეთის მიმართ, ამ კეთილშობილური განზრახვისთვის). ჩვენი კულტურის მესვეურებს მოულაპარაკიათ, მოდით, ჩვენ ჩვენი ვცადოთ, დავპატიჟოთ და, თუ ჩამოვა, ხო კაი - რაც არ უნდა იყოს, უცხოელია და ცოტას გახალისდებიან თბილისელები - თუ არა და, ო კეი - არც უიმისობა დაგვეტყობაო. ის კი, ჩამოვიდა კი არა, მგონი საერთოდ აღარ აპირებდა წასვლას. ჩემი გოგონა, იცით, ხატავს და ამ სამფეროვანი (ქართული დროშის ფერები უნდა ვიგულისხმოთ ალბათ) ბლომანჟესა და შოკმანჟეს დანახვაზე გაგიჟდებოდაო - აგიჟებდა ადგილობრივ გოიმებს. მაგრამ, რასაკვირველია, ცხოვრების სხვა სფეროებშიც იგრძნობოდა გარდაქმნა. მაგალითად, წიგნის მაღაზიები ახლა თავად ყიდულობდნენ წიგნს წიგნის მოყვარულთაგან და მაკულატურად აბარებდნენ სადაც ჯერ არს, სადაც ყოფილი წიგნისგან ტუალეტის ქაღალდი და ხელსახოცი მზადდებოდა, რაც, ჩვენში, რომ ვთქვათ, წიგნზე მეტად სჭირდებოდა მოსახლეობას. სამაგიეროდ, რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზში, იაპონელების წამხედურობით, ჰონკონგელ ბავშვთა გუნდი "სულიკოს" მღეროდა. ორბელიანის ქუჩის მცხოვრებლებს კი (მაინცდამაინც ორბელიანის) სუნთქვა უჭირდათ, უკვე ისე იყო გაბინძურებული იქაური ჰაერი. დიღომს დიდი დღე აღარ ეწერა. საიდან გაგვიჩნდა ეს დაუოკებელი სწრაფვა უდაბნოსკენო - გაკვირვებული კითხულობდა

გაზეთი, პარიზიდან სტუმრად ჩამოსული ქართველი ემიგრანტივით, ვითომ, თვითონაც პირდაპირი მნიშვნელობით არ ესმოდა მოსეს იგავი და, ორმოცი წელი რა გამაძლებინებს სხვის უდაბნოშიო, შეგნებულად არ აუდაბურებდა საკუთარ სამშობლოს, შეძლებისდაგვარად. თბილისის წყალსაცავებში უკვე დაწყებულიყო დამსვენებელთა დახრჩობა. მართალია, მოსკოვის წყალსაცავებთან შედარებით, ჩვენთან ამჯერადაც ნაკლები ხალხი იხრჩობოდა, მაგრამ სტატიის ენამოსწრებული ავტორისა არ იყოს, ეს სრულებითაც არ გვაძლევდა გულის გატეხვის უფლებას. თბილისის ზღვის, ლისისა თუ კუს ტბის ეგრეთ წოდებულ პლიაჟებზე, ჯერჯერობით, მხოლოდ მთვრალები "ისვენებდნენ", რამდენადაც, ჯერჯერობით ელემენტარული პირობებიც (გასახდელი, საჩრდილობელი ქოლგა, სასმელი წყალი, ფეხსადგილი, საგუშაგო, მაშველი ნავი და სხვა) არ არსებობდა, არათუ მთვრალი, არამედ ფხიზელი დამსვენებლებისთვისაც. სამაგიეროდ, ამასწინებზე, სამი ერთად დამხრჩვალა მარტო ლისის ტბაზე. ერთი და იმავე ნავიდან ერთდროულად გადამხტარან წყალში და სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას ამოტივტივებულან უკვე ტიკებივით გაბერილნი. ქართველი იოგი ძმები გრანპრის ეუფლებოდნენ კარლოვი ვარის საერთაშორისო ფესტივალზე. საბერძნეთში კი, წყალმოთხილამურეთა ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, ფოთელი გოგონა არავის ანებებდა დიდ ოქროს მედალს - თუ არ გამატანთ, შინ არ შემიშვებენ, ისე გვიჭირს და გვჭირდება ახლა ოქროცა და ვალუტაცო. ქალბატონი ნეჟნოვა კი, სკლეროზის ქანდარიდან, უფრო ინტერვიუერის გულის მოსაგებად, ჩიოდა - თბილისში დაბადებული, ოციანი

წლების არეულობის შემდეგ, ხოფაში ჩავრჩი სამუდამოდო. ის კი აღარ "ახსოვდა", თავად ხოფა რომ ჩარჩა თურქეთში, გარკვეული თვალსაზრისით, მისი მიზეზითაც. სოჭი მეწყერს მიჰქონდა. ხოლო საინგილო ერთიანად დაეტბორა ადიდებულ წყალს. იქაც გაჩენილიყვნენ შიფერის კუნძულები, თითქოს მხოლოდ იმიტომ, საქართველოს განუყრელი ნაწილი რომ იყო ისიც და სხვანაირად ვერაფრით ვეღარ ამტკიცებდა ამას, თუმცა, სტიქიური უბედურების გარდა, სხვაც ბევრი ჰქონდა სისხლხორციელად საერთო დანარჩენ საქართველოსთან - იქაც კოსმეტიკური პატრიოტიზმით იკლავდნენ ძირითადად მამულიშვილობის ჟინს; იქაც უსწავლელად სწავლისა და უშრომელად შრომის სენი შეჰყროდა ახალგაზრდობას და უკან მოუხედავად გარბოდა უპატრონობითა თუ წყალდიდობით დაქცეული სოფლებიდან. ირღვეოდა ღობე-ყორე. ბღაოდა შეშინებული საქონელი. ნიაღვარს მიჰქონდა სურსათ-სანოვაგე, ჯამ-ჭურჭელი, საბან-ლეიბი, დამხრჩვალი, თვალგაყინული, ენაგადმოგდებული ძროხა, ღორი, ქათამი, თუ ინდაური. ფეხი მუხლამდე ეფლობოდა ტალახსა და შლამში. კაცს თავი ერთბაშად დამშრალი ტბის ფსკერზე გეგონებოდა. და მაინც, საქართველოდან (საბრალო საქართველო!) "მორალური მხარდაჭერის იმედით" ისევ სოფლობდა კაკი, მეშაბაში, ქოთოქლო, ალიბეგლო, ალათემური, ალიაბათი, მოსული, ითითალა, შოთავარი, თასმალო, ყორაღანი, ზაგამი - ალექსანდრე მეფის ყოფილი რეზიდენცია - და კიდევ ბევრი, სიბერისგან დაყრუებულ-დაბრმავებული ძაღლისა და სიჩუმისგან გაგიჟებული მამლის ამარა დარჩენილი ნასახლარ-ნაოხარი. ასე რომ, ახლა უკვე ჩვენვე გვიჭირავს ჩვენი სადავე და სურვილისამებრ, გვინდა დავაგრძელებთ,

გვინდა დავამოკლებთ. მოსკოვს ნუღა დავაბრალებთ ნურაფერს (დაიბრალებს რო!). აი, მაგალითად, მავანსა და მავანს, მართალია დაგვიანებით, მაგრამ გარდაქმნისთვის დამახასიათებელი სიმტკიცით, გადაუწყვეტია თავის დროზე მიფუჩეჩებული და მაინც აქამდე ვერდავიწყებული თვითმკვლელობების მიზეზთა გამოკვლევა. და მართლაც, ვისაც არ უნდა დაბრალდეს, განა საინტერესო არ არის, გამარჯვებული სოციალიზმისა თუ კარს მომდგარი კომუნიზმის გაუთავებელ ზარ-ზეიმში რატომ უნდა მოეკლა თავი, ვთქვათ, რესპუბლიკის პროკურორს, საქალაქო კომიტეტის მდივანს, მაღალი ჩინის ოფიცერს, სახელოვან მწერალს, დამსახურებულ მხატვარს, წამყვან მომღერალს, ცნობილ მოცეკვავეს, ორდენოსან ზეინკალსა თუ მოწინავე მეჩაიეს?! განა, თუნდაც ხალხის უბრალო (ბუნებრივი) ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, არ უნდა აღსდგეს სრული სურათი გადაშლილი, გაუქმებული ცხოვრებისა?! ბოლოს და ბოლოს, ხომ უნდა ვიცოდეთ, როგორ გაუყარა ერთ-ერთმა მათგანმა ყულფში თავი, როგორ მიიდო მეორემ საფეთქელზე რევოლვერი, როგორ გადმოხტა მესამე ფანჯრიდან, დანაზე როგორ დაეხა მკერდით მეოთხე, როგორ ჩაისუნთქა გაბინძურებული ჰაერი მეხუთემ და როგორ აღარ ამოისუნთქა, არაფრისდიდებით, ვიდრე დაძაბულობისგან დახეთქილი თვალები სისხლად და ლორწოდ არ ჩამოეწუწა ლოყებზე. რატომ? რა მიზეზით? ვითომ უსაზღვრო თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვით აიხსნება ყველაფერი? არ ვიცი. მაგრამ ესეც გაირკვევა როდისმე. მოვუსმინოთ მკვდრებს. ვისწავლოთ მკვდრების ენა. მაგრამ როგორ? როდის? ვისღა სცალია მკვდრებისთვის?! კოლუმბის

მთელ რიგ ქალაქებში ტერორისტული აქციები ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საქმიანობად იქცა ნარკომაფიის წევრებისთვისო - გვაშინებს გაზეთი. ჩვენ კი ვუპასუხებთ, რომ მალე ჩვენთანაც ასე იქნება. კარტახენი უნდა დაინგრეს. ჩვენ, ჯერჯერობით, აწმყოსაც ჩამოვრჩებით და ამიტომაც ვერ ვხედავთ მომავალს. პერუსა და ბოლივიის მთიანეთში იატაკქვეშა ლაბორატორიები შეუსვენებლივ ამზადებენ თურმე კოკაინის პასტას. ჩვენ კი ისევ ოვანესას იმედზე ვართ მხოლოდ. რაც შეეხება თეატრ "გოგის" მსახიობებს, წარმოუდგენლად მცირე დროში ეუფლებიან, თურმე, ქართულ სიმღერებს და წარმოდგენის დაწყების წინ, გრძნობამორეულნი უმღერიან "ჭრელო პეპელასა" თუ "ჟუჟუნა წვიმას" ბედის სისასტიკით არაერთხელ გულმოკლულ მაყურებელს. ესეც მკურნალობის ერთგვარი მეთოდია და ყოველგვარი მეთოდის უარყოფაც მეთოდია და, თქვენ წარმოიდგინეთ, კარგ შედეგსაც იძლევა. რას მიქვია ცერებრალური დამბლა?! ამ მიხრწნილ ბებერს რომ უყურებთ, საერთოდ წართმეული ჰქონდა ხელი, მაგრამ მესამე სეანსზე უკვე შეუთრთოლდნენ მოკრუნჩხული თითები. მეოთხეზე - სიგარეტის ამოღება სცადეს კოლოფიდან. ხოლო მეექვსეზე, ჰმ, ჰმ, ჩემს ასისტენტ გოგონას წაეტანენ ერთ ადგილას. არანაკლებ გადაყრუებული ქალბატონი დარბაზის თვალწინ იძრობს ყურიდან ოქროს აკუსტიკურ პროტეზს და ჯადოქარ მკურნალს გადასცემს მადლობის ნიშნად. ეგეც თქვენი ოტოსკლეროზი. "ოდიორი" აზრს კარგავს და მხოლოდ წონას ინარჩუნებს. მართალია, სულ ექვს გრამს იწონის, მაგრამ ექვსი გრამი ოქროც ოქროა. დარბაზი ფეხზე დგება პირობითად - დარბაზში ძირითადად ხეიბრები სხედან - და მხურვალე, ხანგრძლივი ტაშით ეგებება ამ

კეთილშობილურ აქტს. უფრო სწორად, კეთილშობილების უჩვეულო გამოვლენას. გველის დაკბენილი ბავშვი აინუნშიც არ აგდებს ვეგეტოვისცერალურ პაროქსიზმებს, ეპილეფსიას, და სცენაზე დავლურს უვლის. იცეკვე ბიჭუნა, შენ ჯანმრთელი ხარ. მე ასე მიბრძანებია. აქ უკვე მიზანზეა ლაპარაკი და არა მეთოდზე. აი, მაგალითად, სასწავლო კოოპერატივი "ცაიერადი" არც მეთოდს უარყოფს და არც მიზანს მალავს. ესე იგი, მისი მეთოდიც და მიზანიც უთქმელადაც ნათელია - უკეთესად გაგვფცქვნას და კიდევ უფრო გამოგვაშტეროს - თავის გაბრიყვებით ბრიყვთა გაბრიყვება, შეიძლება, უშრომელი შემოსავლის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური წყარო აღმოჩნდეს ბოლოს, ყველაზე უკეთ მეწველი ძროხა, რამდენადაც ბრიყვები, იგივე აბითურიენტები, საბედნიეროდ ყოველთვის მრავლად არიან ჩვენში (საქართველო, შეიძლება ითქვას, აბითურიენტების რესპუბლიკაა) და არც არაფერს იშურებენ, ოღონდ თავი შეყონ სადმე. ამისათვის არსებობს საერთოდ "ცაიერადიც". გაზეთის რეკომენდაციით, ის ნებისმიერ საგანში ამეცადინებს აბითურიენტს (ხელმარდობის, ხელმარჯვეობის, ხელმრუდობის, ხელმრუშობის ჩათვლით) და თანაც თითქმის უფასოდ, რადგან გამოცდებამდე კაპიკს არ ახდევინებს არავის, ხოლო ნაგამოცდარზე გარკვეულ დათმობებზეც მიდის კოოპერატივის საზიანოდ: ჩაჭრილი აბითურიენტისგან (ესე იგი, თითქმის ყველასგან), მოსამზადებლად საჭირო თანხის ნახევარს იღებს მხოლოდ,რასაკვირველია, იმასაც არაფერში, არაფრის გამო - აბითურიენტი ხომ მისი დახმარების გარეშეც ჩაიჭრებოდა პირველსავე გამოცდაზე - მაგრამ ასევე არაფერში და არაფრის

გამო, სავალდებულო გადასახადის ნახევარს აბითურიენტს უტოვებს ჯიბეში, რასაც გაცილებით მეტი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ნებისმიერი უმაღლესი სასწავლებლის კედლებში გატარებულ წლებს, წინ და უკან უაზრო ბოდიალს, კევის ღეჭვას, მზესუმზირის გაუთავებელ კნაწუნსა და გადამდებ მთქნარებას. აბითურიენტს ბოლოს და ბოლოს, უჩნდება მადლიერების გრძნობა ვიღაცისადმი და, რაც მთავარია, ბოლოს და ბოლოს, იგებს "საკუთარი ოფლით" მოპოვებული ლუკმის ფასსა და გემოს. სხვათაშორის, ახალგაზრდის სწორად აღსაზრდელად სხვა არანაკლებ ეფექტური საშუალებებიც არსებობენ, მაგრამ, როგორც ყველაფერს, მათაც ძებნა და მიკვლევა სჭირდება, რაშიც, დამეთანხმებით, დიდი დახმარების გაწევა შეუძლია ჩვენს ტელევიზიას, მით უფრო რომ, თავადაც განსაკუთრებულადაა დაინტერესებული ამ საკითხით - ჯერ კიდევ ეროვნული ნარკომანიის გარიჟრაჟზე გადაცემათა მთელი სერიალიც კი მიუძღვნა ანაშას დამზადების წესებს ოჯახურ პირობებში, ხოლო ამას წინათ, სულ რაღაც ორიოდე კვირის განმავლობაში, რამდენჯერმე წარუდგინა მაყურებელს ფსიქოლოგიურ მეცნიერებათა ერთი საკმაოდ სიმპათიური კანდიდატი, რომელიც შინაბერა ქალის კდემამოსილებითა და მეცნიერის შეუვალი მეთოდურობით გაესაუბრა ისედაც დაბნეულ საზოგადოებას ჯგუფური სექსის დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობაზე. ამ კოლექტიური ღონისძიების მონაწილე გოგონებიცა და ბიჭუნებიც, ერთმანეთის წამხედურობით, კიდევ უფრო უკეთესები, კიდევ უფრო ადამიანურები ხდებიან თურმე და უფრო სწრაფად და ბუნებრივად უვითარდებათ ერთმანეთის უსიტყვოდ გაგებისა და უანგარო დახმარების, ანუ, საჭიროების მიხედვით, ერთმანეთის

შენაცვლების სურვილი. მოსკოვიდან კი საქართველო უქართველებოდ უფრო ლამაზი მოჩანს თურმე. ამიტომაც გვაგინებენ, ჩვენ რომ რაღაცა გვგონია და ვბრაზობთ, ვღელავთ, გულს ვასკდებით - რა დავუშავეთ, რა უნდათ ჩვენგან, რით ვერ მოვიგეთ იმათი გულიო. რა იმათი ბრალია, ჩვენ თუ არ გვესმის? მაკიაველმა დამპყრობელს დაპყრობილის შესანარჩუნებლად სამი გზა დაუსახა. ჩვენი დამპყრობელი კი სამივეს ერთდროულად იყენებს, სამიდან ერთს კი არა, სამივეს ერთად. გვიზის შინ? გვიზის. გვატარებს თავის ჭკუაზე? გვატარებს. გვწველის ძროხასავით? გვწველის. მე მაგალითად, ვგრძნობ კიდეც... და ყველაფერზე ვღელავ, დედა, განუწყვეტლივ ვღელავ. რას იზამ შვილო, ასეთია ცხოვრება. ცოცხალი ადამიანი იღელვებს კიდეც, ოღონდ, ეცადე მშვიდად იღელვო...

აველუმს კი ეგონა, ამოდენა ჯარი მხოლოდ მის გამოსავლენად და დასაფრთხობად შემოეყვანათ ქალაქში. შინ თუ იყო, კარზე კონდახის მობრახუნებას ელოდებოდა განუწყვეტლივ. გარეთ დაძაბული, დაბორკილი დადიოდა და სრულებითაც არ გაუკვირდებოდა, მის დანახვაზე, მთელ ქუჩას ერთხმად შეეძახა: აჰა, გამობრძანებულა, როგორც იქნაო! არც ის გაუკვირდებოდა, ხელებსაც თუ გადაუტრიალებდნენ ზურგს უკან, იმ სულელი გიჟივით, კოპენჰაგენის ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოქცეული, სრულიად შემთხვევით რომ შეუპყრიათ საქალაქო ტრანსპორტში, რადგან იმ მართლა სულელს (ყოველ შემთხვევაში, უფრო სულელს, ვიდრე გიჟს) გაჭედილ ავტობუსში ადგილი დაუთმია ფეხმძიმე ქალისთვის. ამის შემდეგ, რასაკვირველია, აღარავის გაუჭირდებოდა მისი სიგიჟის დადგენა. არც გასჭირვებიათ. გადაუტრიალეს ზურგს უკან ხელები და ჩაათრიეს ავტობუსიდან. გიჟის ადგილი საგიჟეთშია და არა საქალაქო ტრანსპორტში. აველუმის ადგილიც თბილისში იყო და არა პარიზში. პარიზში სეირნობა არც გმირობად ჩაეთვლებოდა, არც საზოგადო მოღვაწეობად, მაგრამ თუ ასე ვიმსჯელებთ, არც შინ დარჩენას დაუფასებდა ვინმე. სხვათა შორის, არც მელანია. პირიქით, ყველაზე მეტად მელანია არ დაუფასებდა სწორედ. ხანდახან დანახვაც აღარ შეეძლო მისი და გულში მხურვალედ ლოცულობდა, ნეტავი სადმე წავიდოდეს, თუნდაც ერთი-ორი დღითო. აფრთხობდა, თავ-გზას ურევდა მისი უთქმელი ტანჯვა-წვალება. საბეჭდი მანქანის ხმაზეც ხვდებოდა, კარგად რომ ვერ იყო მისი ქმრისა და, აქედან გამომდინარე, საერთოდ მათი საქმე. "შენთვის სიყვარულიც უბედურებაა და შენს ხელში ყველა ერთნაირად

ცოდოაო" - ეუბნებოდა შემრიგებლურად მომღიმარი. მაგგრამ აველუმი მაინც გრძნობდა, რა ძვირი უჯდებოდა მელანიას ეს ღიმილი. უპეები ამოშავებოდა, ყელი დანაოჭებოდა, შიში და დაბნეულობა ჩასდგომოდა თვალებში. დაღლილიყო, გამტყდარიყო. ბუნებრივობის იერი დაჰკარგვოდა მის მოთმინებასაც და სიკეთესაც, უფრო შესამჩნევი, უფრო ხელშესახები გაეხადა ამ ყალბ ღიმილს, გადამუშავებული მადანივით, და ამდენად, უფრო დამთრგუნველიც, დამამადლებელიც სხვებისთვის, რასაკვირველია, მისდაუნებურად, მის ნება-სურვილთან შეუთანხმებლად, ისევ და ისევ, მის არსებაშიც შეუმჩნევლად შეღწეული და უკვე მყარად ფეხმოკიდებული შიშისა და დაბნეულობის გამო. თითქოს კი არ ცხოვრობდა, ანუ, ჩვეულებისამებრ, განუსჯელად, დაუფიქრებლად, შეუმოწმებლად კი არ მიჰყვებოდა საკუთარ სურვილებსა და მოთხოვნილებებს, არამედ ვიღაცისგან, ღმერთისგან თუ მისთვის უაღრესად ანგარიშგასაწევი ადამიანისგან დაკისრებულ მოვალეობას ასრულებდა, მართალია კეთილსინდისიერად, მაგრამ უხარისხოდ; მოვალეობა აშკარად აღემატებოდა მის შესაძლებლობებს, რადგან დაშრეტილიყო წყარო სიხალისისა, რწმენისა, იმედისა და ალბათ სიყვარულისაც. ყოველ შემთხვევაში, ახლა გაცილებით მეტს ფიქრობდა შვილზე, ვიდრე ქმარზე, შვილის ბედით უფრო იყო შეძრული, ვიდრე ქმრისა, შვილის ჯანმრთელობა უფრო ადარდებდა, ვიდრე ქმრის დაკარგვა-შენარჩუნება. ქმარსაც თუ რამეს ავალებდა, მხოლოდ შვილზე ზრუნვას, შვილის მოვლა-პატრონობას. "შენი სჯერა, დაელაპარაკე, ჭკუა დაარიგეო". - შეევედრებოდა ხოლმე აგანგაშებული. მაგრამ აველუმს როგორ დაერიგებინა ჭკუა

პოლიტიკური მოწინააღმდეგისთვის?! ბოლოს და ბოლოს, შვილი სდებდა სწორედ ბრალს გვერდზე გადგომისთვის, ანუ, სწორედ შვილი აღიქვამდა მის "დუმილს" დუმილად და მის "უმოქმედობას" უმოქმედობად. აველუმს, ცოტა არ იყოს, ეშინოდა კიდეც მისი, უფრო ზუსტად, ეშინოდა თავად არ გამოსულიყო მოთმინებიდან, არ აჰყოლოდა შვილს კამათში (რადგან კამათში არც შვილს დაინდობდა ჭეშმარიტების საზიანოდ), არ გაეღიზიანებინა, არ გაემწარებინა, არ დაეჭრა უარესად, რადგან შესახედად გულუბრყვილო, მაგრამ არსით ვერაგი და ძირითადად მშობელთან დასაპირისპირებლად ჩანერგილი რწმენა (რა მნიშვნელობა აქვს, შენით ჩაინერგე თუ სხვამ ჩაგინერგა?!), ასე თუ ისე, მაინც ასატანს, მეტ-ნაკლებად საინტერესოსაც ხდიდა მისი შვილისთვის ცხოვრებას, ხოლო უიმრწმენოდ დარჩენილი ალბათ საერთოდ აიღებდა ცხოვრებაზე ხელს, აღარც დროშას შეკერავდა, მხდალი დედაბრების დასაფრთხობად (მაშინვე ცეკვას რომ იწყებდნენ მის დანახვაზე) და აღარც მჯდომარე გაფიცვას გამოაცხადებდა საკუთარ ოჯახში. როგორც კი მოერეოდა თავის უაზრო პატივმოყვარეობას (რა თქმა უნდა, ასაკობრივს), როგორც კი უყოყმანოდ ჩაჰყვებოდა მამის სიტყვას ცხოვრების სიღრმეთა სახილველად და მკვდართა ენასაც შეისწავლიდა, მამამისივით, ისიც თავისთავად აღმოჩნდებოდა ზედმეტი, ზედმეტი თუ არა, არასასურველი ნამდვილად, უპირველეს ყოვლისა კი იმ საქმისათვის, ასეთი თავგანწირვით რომ ემსახურებოდა ახლა; იმ ხალხისთვის, რომლის ნაწილადაც თვლიდა თავს, ვისი სიცრუეც სხვათა სიმართლეს ერჩია და, რასაკვირველია, იმ რწმენისთვისაც, რომელსაც პირობისამებრ, სიბნელიდან სინათლეზე კი არ

გამოჰყავდა, კიდევ უფრო ღრმად შეჰყავდა სიბნელეში, რამდენადაც მშობლის მაგივრობა უნდა გაეწია ვითომ მისთვის, თავად ლაბორატორიული მეთოდით შექმნილს და, ამდენად, უმწეოს, უძლურს, ყველაზე უვარგისი, ყველაზე უპასუხისმგებლო მშობლის ადგილის დასაკავებლადაც კი. მშობელი ის ხიდია, რომლის მეშვეობითაც სიკვდილიდან სიცოცხლეში და სიცოცხლიდან სიკვდილში გადადის ადამიანი. და ვინც ამ ხიდს თავისი ხელით წვავს, ვთქვათ, სივიწროვის, სიძველის ან ნაკლები სიმყარის გამო, შეგნებულად წყვეტს კავშირს ყველაფერთან, რამაც მისი დაბადება, მისი აუცილებლობა განაპირობა ამ ქვეყანაზე, ხოლო შეუგნებლად - საკუთარ თავთანაც. ამიტომ, ამ ეტაპზე მხოლოდ ყალბი, არაგულწრფელი ურთიერთობა შეიძლებოდა ჰქონოდა აველუმს საკუთარ შვილთან (კანონიერთანაც) და ისევ შვილის (კანონიერის) ინტერესებიდან გამომდინარე - უარესად რომ არ აერია იმისთვის გზა-კვალი, მთლად არ გაესწორებინა მიწასთან ჭეშმარიტი მშობლის დაუნდობლობითა და სისასტიკით.

აველუმი არც მატეო ფალკონე გახლდათ, არც ხევისბერი გოჩა. ანდა, უკეთესი იქნება, ასე თუ ვიტყვით: რაკი კანონიერი შვილის მამაც იყო და უკანონოსიც, ვერც უკანონობას აღუდგებოდა წინ და ვერც კანონიერებას, ანუ, უკანონობაც კანონიერების ტოლფასი იყო მისთვის - ერთით ამართლებდა მეორეს - მაგრამ ცხოვრებას თავისი წესი ჰქონდა და ერთნაირად სჯიდა ყველას, მისი წესის დამრღვევს, აველუმი იქნებოდა ის, თუ სხვა. ამას, რასაკვირველია, აველუმიც გრძნობდა და სხვებიც - სწორედ ცხოვრების წესის დარღვევის გამო, აველუმის კანონიერი შვილი უარს ამბობდა საკუთარ წარმომავლობაზე, გვარს იცვლიდა (სხვისი გვარით წვებოდა საავადმყოფოში, ესე იგი, გადარჩენის შემთხვევაში, ვიღაც სხვა, არარსებული გადარჩებოდა და არა ის), ხოლო უკანონო, მხოლოდ ნამდვილი გვარის მოპოვებას ცდილობდა და ამაზე ოცნებობდა სულ, გნებავთ, ევროპული თავაზიანობით ელოდებოდა, როდის გაბედავდა მამამისი და როდის აღიარებდა სახალხოდ, - დიახ, ნამდვილად არსებობს, ხელებიც ნორმალური აქვს, ტან-ფეხიც და, რაც მთავარია, ნამდვილად ჩემი სისხლი და ხორციაო. განა ერთი ადამიანის არშემჩნევა და არაღიარება ნაკლები ბოროტებაა, ვიდრე მთელი ქვეყნისა? ეკაეკატერინეკატომაც უკანონო შვილი რომ გააჩინა, ფარხმალდაყრილმა მელანიამ თქვა: ღმერთი გვსჯის, ღმერთი გვიხდისო - და, რა თქმა უნდა, ისიც ფრანსუაზასა და მის უკანონო შვილს გულისხმობდა, აველუმისგან გადარჩენილ, ყოველ შემთხვევაში, მისი თავგამოდებული მეცადინეობით შექმნილ კიდევ ერთ მარტოხელა დედა-შვილს. თითქოს მის გარდა, სხვა ვერავინ შესძლებდა იგივეს გაკეთებას, თანაც ამ სექსუალური დაბნეულობის საუკუნეში. მაგრამ

ღმერთი, ეტყობა, ასე არ ფიქრობდა. ღმერთს ქრესტომათიულ დანაშაულად მიაჩნდა ქალის დაორსულება და მერე უპატრონოდ მიტოვება. ასე რომ, აველუმს თუ ეგონა, ჩემი სიყვარულიც ეყოფა ფრანსუაზას (ამ შემთხვევაში ფრანსუაზას) საამაყოდაც, საჭმელადაც, ჩასაცმელადაც, დასახურადაც და შვილის გასაზრდელადაცო (სხვათა შორის, უკანონოს ყოველთვის მეტი სჭირდება, უფრო მეტი უნდა ემლიქვნელო და ებოდიშო გაჩენისთვისაც, ვიდრე კანონიერს), ძალიან სცდებოდა. ფრანსუაზასაც, სონიასი არ იყოს, გულის სიღრმეში, საყვარელს ალბათ ქმარი ერჩია და თანაც "ის", ანუ ნორმალური, ჩვეულებრივი ადამიანი - უკვდავების ბალახისა თუ უკვდავი სულის ნაკვალევის მძებნელი კი არა, სიღრმეთა მხილველი თუ ვარსკვლავთა მწყემსავი კი არა, ვთქვათ, ინჟინერმშენებელი, ეკონომისტი, ქიმიკოსი, ფიზიკოსი, რომელიმე სამოქალაქო ავიაკომპანიის პილოტი, მეხანძრე, ხუროთმოძღვარი, თუნდაც ფილოლოგი, კი ბატონო, ოღონდ მცოდნე და მოყვარული არა მარტო თავისი საქმისა, არამედ ქალის სულელური, მაგრამ უწყინარი მიდრეკილებებისაც, ჩასვრილი ჩვილის გახსნა-შეფუთვისაც, ნათესავებში (განსაკუთრებით ცოლეურში), ნაცნობ-მეგობრებში მისვლა-მოსვლისაც; ოჯახის უფროსის მოვალეობათა კეთილსინდისიერად აღმსრულებელი და არა საკუთარი ხუშტურების ამყოლი; ყოველდღიური ცხოვრების მიმდევარი და არა წინამასწარა მეოცნებე; თუნდაც მცირე, მაგრამ მყარი ხელფასის შემომტანი ყოველთვიურად და არა ათასში ერთხელ, ერთბაშად ნაშოვნი თუ მოგებული ფულის ერთბაშადვე გამნიავებელი; თავადაც მშვიდი და სხვათა დამამშვიდებელიც და არა ფეთიანი, ყველგან და მარად

ხიფათისა და განსაცდელის მომლოდინე (შეიძლება, მოსურნეც!); ოჯახის წევრებისათვის ხელის წამშველებელი, ჭკუის დამრიგებელი და არა თვალებდაყვლეპილი, ყბამოღრეცილი ქადაგი, მისანი, წინასწარმეტყველი, მკითხავი თუ მჩხიბავი, რომელსაც ძალაც შესწევს და სურვილიც, ერთი და იგივე იმეოროს სულ, ერთი და იმავე ხალხის გასაგონად: "ჯერ სადა ხართ, ეს მხოლოდ დასაწყისიაო" ან "არასწორად ვიცხოვრეთ და არასწორად დავიხოცებითო". წყალნი გადმოვლენ ნაპირებზე. სამყაროც სამეგრელოსავით, აჭარასავით, საინგილოსავით დაიტბორება და ყოველდღიურად თუნუქისა და შიფერის ახალ-ახალი კუნძულები გაჩნდებიან მსოფლიოს ხვალინდელ რუკაზე. ცას ვარსკვლავი დასცვივა ყუნწზე დამპალი ლეღვებივით, მიწა განიპობა გრუხუნ-გრუხუნით და ქალაქებს შთანთქავს, მიკრორაიონებიანად. მკვდრები აღსდგებიან ცოცხალთა შესამუსრად - რატომ არ გეყოთ მოთმინება, რატომ დაგვმარხეთ ასე უცებ, რატომ არ გვადროვეთ გონზე მოსვლა, იქნებ გამოვბრუნებულიყავით სიკვდილიდანო (ერთ ქვრივს უთქვამს, მთელი ხმით რომ დამეყვირა, მთელი გულით რომ შემეცხადებინა, იქნებ ჩემი უბედური ქმარი კიდევ მოსულიერებულიყოო). თუჯის საშო დაბადებს თუჯის კაცს. ახალი ენქიდუ მოევლინება ქვეყანას, მაგრამ ვეღარ გაადამიანდება - უკანასკნელ შამხატს, უკვე კბილებჩაცვენილს, უკანასკნელ ტრამვაის ცარიელ, აბლაბუდაგაბმულ ვაგონში იპოვნიან კონდუქტორის სკამზე, სიბერისაგან (იქნებ სიმარტოვისაგანაც?!) მშვიდად გარდაცვლილს. კისერზე, გაბურძგნული თოკით, გაუყიდავი ბილეთების რულონი ექნება ჩამოკიდებული, საბავშვო ველოსიპედის ბორბლისხელა, დრო-ჟამისგან ფერშეცვლილი (აღარც

ვიცი, ახლა რა ფერის ბილეთი იყიდება ჩვენს ტრამვაიში, თუკი იყიდება საერთოდ), ჩრჩილით გამოჭმული. მაგრამ როცა ვიღაცა (რა თქმა უნდა, სხვა პლანეტელი, ოთარი ან ლუბა, დედამიწის დასალუქად ჩამოფრენილი გმოთი თუ გამოთი), თოკიანად შეაწყვეტს კისრიდან და სამუდამოდ გაჩერებული ვაგონის შუშაჩამტვრეული სარკმლიდან გადმოაგდებს, რულონი მაინც გაიშლება, მაინც გაიწელება უსასრულოდ, კანკალ-ფრიალით, და რაკი აღარც ხეები იქნება, აღარც ლამპიონები, აღარც მანქანები, აღარც ჩვეულებრივი გამვლელები და აღარც სკოლიდან გამოცვენილი ბავშვები - ნაქუჩარზე გიგანტური ფალოსივით ასვეტილ თუჯის გოლიათს შემოეხვევა თავზე, კისერზე, მხრებზე, გულ-მკერდზე, წელზე, თეძოებზე, ბარძაყებზე, წვივებზე, კოჭებზე და დაუხარჯავი, გამოუყენებელი, ოხრად დარჩენილი ბილეთების უწყვეტი, უსასრულო ლენტით, მუმიასავით, შეფუთვნილი თუჯის გოლიათიღა დარჩება ერთადერთ ბომონად, სვეტად, ობელისკად, ძეგლად ჩვენი (ყოფილი ადამიანების) პატარ-პატარა, წვრილმანი, მარადიული, ამოუწურავი საზრუნავებისა, საფიქრალებისა, სატკივრებისა თუ ასევე პატარ-პატარა, ასევე წვრილმანი, ასევე მარადიული, ასევე ამოუწურავი ვნებებისა, გრძნობებისა, სიხარულებისა, იმედებისა, ოცნებებისა, განცდებისა... მაგრამ ვიღასთვის? ვის დასანახად? ლიდას, ოთარისა და მისთანათა... "კარგი, აღარ შემიძლია შენი მოსმენაო" - ყურებზე აიფარებდა ხოლმე ხელებს მელანია. ეკაეკატერინეკატო კი დამცინავად იღიმებოდა, კუთხეში დასმულ თოჯინასავით, ფეხებგაფარჩხული და გულხელდაკრეფილი.

აველუმმა გაქცევა რომ გადაწყვიტა, რა თქმა უნდა, ჯერ მელანიას გაანდო თავისი განზრახვა, მელანიამ კი მხოლოდ მხრები აიჩეჩა - შენ იცი შენი საქმისაო - როგორც ჩვეულებისამებრ იქცეოდა ხოლმე ასეთ დროს, ანუ აველუმის მორიგი გაქცევის წინ. რაკი ვერც განზრახვაზე ააღებინებდა ხელს და ვერც გეზს შეაცვლევინებდა, ამაო გაბრძოლებასა და გაწბილებას, ისევ დათმობაზე წასვლასა და ისევ ბარგის ჩალაგებაში მიხმარებას ამჯობინებდა ყოველთვის. აველუმი, როგორც არ უნდა ეყოყმანა, ეშფოთა და ეწვალა, ბოლოს მაინც სწორედ იქ წავიდოდა, სადაც თავიდანვე აპირებდა წასვლას, მაგრამ, თავისთავად ცხადია, მხოლოდ სატუსაღოს შიგნით, იმპერიის ტერიტორიაზე შეეძლო ყოფილიყო ასეთი "თავისნათქვამა". რაც შეეხება საზღვარგარეთ მოხვედრას, ამას სულ სხვა ძალები ახორციელებდნენ, სხვა ხალხი წყვეტდა, ვინ სად უნდა წასულიყო, როდის და რამდენი ხნით და, ამ შემთხვევაში, აველუმის სიმტკიცეცა და სიჯიუტეც თავისთავად კარგავდა აზრს. ასე რომ, ნებართვის სათხოვნელად მისულ აველუმს ალბათ ბრანწს არ აჩვენებდნენ, მაგრამ, შეიძლებოდა, თავაზიანად გაებითურებინათ ისიც - კი, ბატონო, საითაც გნებავთ, ოღონდ პარიზში არაო - შესცინებდნენ სახეში და პროფესიული უტიფრობით დაამატებდნენ: თქვენივე ინტერესებიდან გამომდინარეო. თითქოს მხოლოდ აველუმის მწერლური თუ მოქალაქეობრივი ღირსების დასაცავად იყვნენ გამოკეტილნი თავიანთ ხალვათ კაბინეტებში. არადა, ერთი და იგივე იყო, საერთოდ არ გაუშვებდნენ, თუ, მაინცდამაინც, პარიზში, რადგან აველუმს, მაინცდამაინც, პარიზში უნდოდა წასვლა. აქედან როგორმე გაღწევა კი არ იყო მისთვის მთავარი, ვთქვათ,

დისიდენტივით, ანდა ებრაელივით, არამედ დედამიწის გარკვეულ წერტილში (პარიზში) მოხვედრა, გარკვეულ დროსა და გარკვეული მიზნით. მართალია გარდაქმნამ ყრუდ ჩარაზული საზღვრების გადალახვაც გააიოლა (შედარებით) მაგრამ ხელისშემშლელ მიზეზებსა და დაბრკოლებებს რა გამოლევდა, თუნდაც, ახლებურად გადაღებილ სატუსაღოში. ეგ იყო რომ, ძალით ვეღარ დაგაყრუებდნენ აქეთ, თუკი იქიდან ვინმე დაგიძახებდა, გაგიხსენებდა, რამედ ჩაგაგდებდა საერთოდ. რა თქმა უნდა, ნებართვის მიღებაც მეტ-ნაკლებად გაიოლდა, მაგრამ მარტო იმათი დაკმაყოფილებაც კი, ვისაც მავთულხლართებზე მომდგარი ნათესაობა თუ ნაცნობ-მეგობრობა ყელჩახეული უხმობდა და ეპატიჟებოდა იქიდან, ვისაც საბჭოთა კანონითაც ეკუთვნოდა წასვლა და წასასვლელიც ჰქონდა, თითქმის შეუძლებელს ხდიდა ბილეთისა და ნამდვილი ფულის შოვნას, ურომლისოდაც, რა ვიზის ქათქათა, ტკაცუნა ფურცელი გიტრიალებია ხელში, უთავბოლოდ, უსასრულოდ, და რა ისევ ძველისძველ, ტუსაღურ იმედს გაჰყუჩებიხარ რკინის ტახტზე, რომელიმე რკინის კარის მოულოდნელ გაჯახუნებამდე რკინის საერთო დერეფანში. ჯერჯერობით, რასაკვირველია, ისევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თუ რას იტყოდა შენზე ჩეკას საიდუმლო სერობა, მაგრამ, როგორც ზემოთაც ვთქვით, მთავარი დაბრკოლება აველუმისათვის მაინც ეკაეკატერინეკატო იყო - პირველ რიგში, ის უნდა გაეთვალისწინებინა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნებოდა მისგან, ცხოვრებაზე გულგატეხილი, სამყაროს შემომწყრალი, გვარის უარმყოფელი და უვადოდ გაფიცული გოგოს მიტოვება, რომელიც ახლა ოთახის კუთხეში იჯდა იატაკზე, თოჯინასავით ფეხებგაფარჩხული, და

კარადის ქვეშ, ვინ იცის, როდის შეგორებულ ტენისის ბურთს უყურებდა თვალდაუხამხამებლად, როგორც ერთადერთ ნაშთს, ნასახს, ნიშანს უკვე სამუდამოდ დამთავრებული ახალგაზრდობისა, სიმშვიდისა, სიცოცხლისა... ის უკვე ჩამოვარდნილიყო ციდან. უკვე ეფრინა თავისი წილი. არც იმან დაუჯერა მამას, ისიც უფრო მაღლა აფრინდა, ვიდრე შეიძლებოდა და ჯერ კიდევ შეუბუმბლავი ბარტყივით აჭყივლებულ-აფართხალებული დაენარცხა მიწას. მამამისს კი ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო: თვითონაც დაშვებულიყო მიწაზე და გვერდით მისჯდომოდა "დაზარალებულ" შვილს, თუ ერთხელ კიდევ შეეკრა კამარა სისხლით გადაწითლებული ლოდების ზემოთ და, როგორც არ უნდა გასძნელებოდა, მაინც გაეგრძელებინა ფრენა.

- ჩემი გულისთვის ნუ დარჩები - ამოხედა ეკაეკატერინეკატომ ღიმილით - არაფერში აღარ მჭირდები.

- განა როდისმე გჭირდებოდი?! - ვითომ ხუმრობით ჰკითხა აველუმმა და, მისდა გასაოცრად, მღელვარებისაგან ყელი ჩაეხერგა უცებ.

უნებლიეთ, მოუმზადებლად და ვითომ ხუმრობით, ის ჰკითხა შვილს, რისი გაგებაც ყველაზე მეტად აინტერესებდა. რისი არცოდნაც უმოწყალოდ ტანჯავდა და აწამებდა, რამდენადაც თვითონაც არ სჯეროდა ბოლომდე, ყოველთვის და ყველგან გვერდით რომ ედგა შვილს, საკუთარ სისხლსა და ხორცს. ეს ქვეყნის დამაქცევარი ეჭვი, თავიდან ალბათ უკანონო შვილის მიმართ გაუჩნდა, უფრო სწორად, იმან, უკანონომ გაუჩინა იმ მშობლიური მზრუნველობის სანაცვლოდ, რომლის გამომჟღავნებაც უბრალოდ არ შეეძლო, თუნდაც გეოგრაფიული დაბრკოლებების გამო, არაფერი რომ ვთქვათ სხვა ხელოვნურ დაბრკოლებებზე - მავთულხლართთა უთვალავ რიგზე, ჰორიზონტამდე გადახნულ მინდვრებზე, ბეტონის ყორეებზე, კაცის ხორცზე დაგეშილ ნაგაზებსა თუ შუშისთვალება მესაზღვრეებზე, რომელთა მეშვეობითაც ორი ზესახელმწიფო, საკუთარი სიმტკიცისა და შეუვალობის შესანარჩუნებლად, შეგნებულად, დაუნანებლად, შეუნელებლად თიშავდა უკანონო მამა-შვილს. მაგრამ, კანონიერება, ამ თვალსაზრისით, არავითარ უპირატესობას არ აძლევდა ეკაეკატერინეკატოს თავის უცხოელ დასთან შედარებით, რამდენადაც მარტო ამის გამო, ვერც მამამისი შეიცვლიდა ზნესა და ბუნებას. ეტყობა, აველუმი უფრო ადრე გახდა მამა, ვიდრე მამობის არსს ჩასწვდებოდა ძირამდე, ვიდრე გაითავისებდა, შეისისხლხორცებდა ამ ყველაზე საპატიო წოდების სიმძიმესაც და სერიოზულობასაც და, ამდენად, ვეღარც მერე შეძლო აუცილებელი თანმიმდევრობის აღდგენა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მამობის სურვილი და მოთხოვნილება ისევ გაცილებით მეტი ჰქონდა, ვიდრე დროის კონკრეტულ მონაკვეთში,

შვილის სასარგებლოდ, ამა თუ იმ კონკრეტული ნაბიჯის გადადგმის უნარი.

- არ ვიცი. ალბათ არა. არ მახსოვს - უპასუხა ისევ ისე მომღიმარმა ეკაეკატერინეკატომ. იღიმებოდა, მაგრამ მამას კი არ უყურებდა, რაღაცისთვის (ტენისის ბურთისთვის) გაეშტერებინა თვალი - არა. ვტყუი - გააგრძელა უცებ - ერთხელ დიდი სიცხე მქონდა და შენ შუბლზე ხელი დამადე. ისე მესიამოვნა, ისე მესიამოვნა... მაგრამ დედიკომ მითხრა, მამიკო მოსკოვშიაო და გავბრაზდი, რას ჰქვია მოსკოვშია, აი, ახლა, ამ წუთას დამადო შუბლზე ხელი-მეთქი.

- ეგ როდის იყო?! რაღაც არ მახსენდება - ჩაერია მელანია, ოღონდ საქსოვიდან თავი არ აუღია.

- როდის იყო და... ზუსტად არც მე მახსოვს - ცხვირი შეიჭმუხნა ეკაეკატერინეკატომ. თითქოს მართლა ცდილობდა ზუსტად გაეხსენებინა ეს ღირსშესანიშნავი დღე - პატარა ვიყავი ძალიან. აი, არ მახსოვს კარგად - ჩემი სიპატარავე და უმწეობა. მიაუ, მიაუ, მიაუ, ვკნაოდი კნუტივით. ერთხელ კიდევ, უკვე დიდობაში, მერვე თუ მეცხრე კლასში ვიქნებოდი, შენს კოლგოტკებს ვიცვამდი უკვე, დიდი ბადის მოქსოვა გადავწყვიტე კაპრონის ძაფისაგან. შენ მოქსოვ კაპრონის ბადეს? - დაუძახა დედას.

- კაპრონის ბადეს?! - გაიკვირვა მელანიამ - არ ვიცი. მაცალე. ისევ ამერია სათვალავი.

- ახლა რას ქსოვ? უფრო სწორად, ვისთვის რას არ ქსოვ? - გაიცინა ეკაეკატერინეკატომ.

- მე ჩემთვის ვქსოვ. თქვენ რას გიშავებთ? - გაეღიმა მელანიასაც.

- კაპრონის ბადეს თუ მოქსოვდი? თუ შეგიძლია? - არ მოეშვა ეკაეკატერინეკატო.

- არ ვიცი მეთქი, ხომ გითხარი. კაპრონის ბადე რად მინდა? - მხარი აიქნია მელანიამ.

- აი, მე მთელი წელი ვაგროვებდი კაპრონის ძაფს - გააგრძელა ეკაეკატერინეკატომ - დიდი ბადე მინდოდა მომექსოვა. ერთხელაც დაბრუნდება მოსკოვიდან, გადავაფარებ თავზე და აღარსად გავუშვებ მეთქი. სხვათაშორის, შენთვის მინდოდა დამეჭირა და არა ჩემთვის. შენ მეცოდებოდი - მოაყოლა სიცილით.

- ეკა! - უყვირა მელანიამ.

საქსოვიანი ხელები მუხლებზე დაეწყო და მოღუშული იყურებოდა. ჭაღის სინათლეზე სათვალის შუშა ყვითლად უბზინავდა და ამის გამო უფრო გაბრაზებული ჩანდა, ვიდრე ალბათ სინამდვილეში იყო.

- რა სჭირდა დედაშენს შესაცოდი?! - გულწრფელად ეწყინა აველუმს, რაღაცნაირად შეურაცხყო შვილის უკბილო ხუმრობამაც და ცოლის უნებლიე შეცბუნებამაც, რამაც შვილის უკბილო ხუმრობას, პირველ რიგში, სწორედ ხუმრობის ელფერი დაუკარგა - რა გჭირდათ შესაცოდი, ან ერთს, ან მეორეს - გაიმეორა დაძაბულობისაგან უკვე ხმაათრთოლებულმა.

- არ ვიცი. ალბათ გვჭირდა. ყოველ შემთხვევაში, მე ნამდვილად მეცოდებოდა დედიკო - მშვიდად უპასუხა ეკაეკატერინეკატომ - ძალიან მეცოდებოდა - დაამატა ჯიბრიანად - შეიკეტებოდა ოთახში და ტიროდა. შენ გგონია არ მესმოდა?! - გასძახა დედას.

- რა იყო, რამ გადაგრია დღეს?! - შეწუხდა მელანია. - დალიე წამალი? - წამოსცდა უნებურად და ახლა საკუთარმა წინდაუხედაობამ თუ უნებლიე დაუნდობლობამ კიდევ უფრო შეაწუხა, ვიდრე შვილის შეფარულმა, ბოლომდე ვერ გამორწყულმა გესლმა თუ მრისხანებამ. "ერთი მეც ჩამაყლაპე, თვალი ვერ ამომიღია, ისე მიკანკალებს ხელებიო". - მოაყოლა ვითომ სხვათა შორის, ვითომ საერთოდ ამისთვის ვახსენე შენი წამალიო.

- დავლიე თუ არა დღეს წამალი? - ყასიდად ჩაფიქრდა ეკაეკატერინეკატო - რასაკვირველია, დავლიე, ერთხელ არ უნდა დამელია?! - აჰყვა დედას თვალთმაქცობაში.

- ადექი, აივანზე მაინც გადი ცოტა ხანს. მოგკლავს უჰაერობა - სასწრაფოდ გააგრძელა მელანიამ, ისევ რომ არ მიბრუნებოდნენ სახიფათო საუბარს. თან გამალებული ქსოვდა, თითქოს ძაფის თავშესაფარს იქსოვდა; რაკი სხვა მასალა არ გააჩნდა, ჩვეულებრივი ძაფის სოროს იქსოვდა, ხვრელს, ბუნაგს, პარკუჭს, სადაც თავფეხიანად დაემალებოდა შვილის გამომწვევ ღიმილსაც და ქმრის გაურკვეველ დუმილსაც.

- მე უკვე მკვდარი ვარ, რაღა მომკლავს - თქვა ეკაეკატერინეკატომ - მე უკვე დიდი ხნის მკვდარი ვარ, მაგრამ თქვენ ვერ შეგაგნებინეთ. თქვენ არ გინდათ ამის გაგება. გრცხვენიათ. ხომ გრცხვენიათ?! ახლა სიკვდილი ძნელი კი არ არის, სამარცხვინოა. მოგაშხეფებენ სახეში დეზოდორს, თითქოს ტარაკანი იყო... ანდა ვირთხა. უსინდისოები! მოიხსენით ნიღბები, უსინდისოებო! გეყოთ ჩვენი გაპამპულება! - შესძახა სახეგაცისკროვნებულმა. თან გაშლილ ხელისგულებს ატყაპუნებდა იატაკზე, ლაჯებს შორის.

- ეკა! აღარ შემიძლია, ეკა! - უყვირა მელანიამ.

ქსოვა არ შეუწყვეტია. პირიქით, ახლა უფრო დაძაბული, ყურადღებადქცეული დასჩერებოდა საკუთარ თითებს.

- აბა, თქვენ რას ელოდებოდით? კანფეტებს გადმოგიყრიდნენ ტანკებიდან?! - ყბა დაეჭიმა აველუმს.

- მამა?! - სწრაფად ამოხედა ქვემოდან ეკაეკატერინეკატომ, თითქოს აუზის დამდგარი წყლიდან ზღვის რომელიღაცა ცხოველმა ამოყვინთა მოულოდნელადო. გალურჯებულ, აცახცახებულ ტუჩებზე ისევ დასთამაშებდა ყალბი ღიმილის ნატამალი, როგორც სანთლის ჩამწვარ პატრუქს - აბოლებული ნაპერწკალი. თვალებში კი დატყვევებული ცხოველის უაზრო და უსაშველო სევდა ჩასდგომოდა.

აველუმი შეცბა, დაიბნა, აგანგაშდა - ისე მძაფრად, ისე ტლანქად იგრძნო უცებ შვილის სატკივარი, შვილის უმწეობა, შვილის უმეცრება, გაცილებით მწარეცა და სამარცხვინოც, თუნდაც მის საკუთარ სატკივართან, უმწეობასთან და უმეცრებასთან შედარებით, რადგან შვილისაგან განსხვავებით, თვითონ არაფრის შენიღბვას არ ცდილობდა, არაფერს არ უცვლიდა სახელს, როცა მისი შვილი, არათუ მალავდა, საერთოდ უარყოფდა ტკივილსაც, უმწეობასაც, უმეცრებასაც და, აუზში ნებაზე მიშვებული დელფინივით, მაინც ჯიუტად აგრძელებდა ზღვის წესებითა და კანონებით ცხოვრებას, თუმცა, ფრთებისა და ფარფლების ყოველ მოქნევაზე ბეტონის ხორკლიან კედელს ანაყავდა ცხვირ-პირს.

ასე არასოდეს შესცოდებია აველუმს საკუთარი სისხლი და ხორცი. არც კანონიერად და არც უკანონოდ შობილი.

- პირველად გაიგე, დედაშენი ყველაფერზე რომ ტირის? - გაიცინა ნაძალადევად. სცადა გაებიაბრუებინა, გაეუბრალოებინა მათი დღევანდელი საუბარიც, ყველასათვის მოულოდნელად დაწყებული და ყველასათვის არასასიამოვნოდ წარმართული - მაგის შიშით, ინდური ფილმი ვეღარ უჩვენებიათ ტელევიზორში, მელანიას ცრემლმა არ წაგვლეკოსო. ჯერ მარტო ჩემს წიგნებზე რამდენს ტირის...

- კი აბა! - არ აცალა ეკაეკატერინეკატომ - დედიკოს არც ერთი შენი წიგნი არ მოსწონს, მაგრამ ვერ გეუბნება, ეწყინებაო.

- ეკა! - ისევ შეცბა, შეწუხდა მელანია.

- არ მოგწონს. არ მოგწონს. არ მოგწონს - ადგილზე აბუქნავდა ეკაეკატერინეკატო, თითქოს ცხენს მიაჭენებსო.

- ყველაფრის ნება კი არ უნდა მისცე თავს - ენა დაება მელანიას, საკუთარ განცდებში გაიბლანდა, როგორც საქსოვი ძაფი თავისსავე ხვეულებში.

- შენ? შენც არ მოგწონს? - ჰკითხა აველუმმა შვილს, რაც შეეძლო გულგრილად, უფრო მელანიას რომ მიხმარებოდა, მელანია გამოეყვანა უხერხული მდგომარეობიდან.

- მე-ე? არ ვიცი. ზოგი მომწონს, ზოგი არა - მხარი აიჩეჩა ეკაეკატერინეკატომ. თან მუყაითად ისწორებდა ფეხებს შორის ჩაფენილ კაბას, ბუქნაობისას აჩეჩილს - ზოგი ჯერ არც წამიკითხავს. ვერ მოვიცალე - შესცინა გულუბრყვილოდ, - აი, ჩემს გოგოებს კი ყველაფერი წაკითხული აქვთ და მოსწონთ კიდეც. რა ქნან?! სულელები არიან. ვისზეც არ უნდა უთხრა, მწერალიაო, დაიჯერებენ.

- შენ რომელი მოგწონს და რომელი არ მოგწონს - ჩააცივდა აველუმი. მართლა დაინტერესდა უცებ, რადგან შვილის აგდებულმა პასუხმა საკმაოდ შეულახა მწერლური პატივმოყვარეობაც. ლაწირაკი. დრო არ აქვს მამის წიგნის წასაკითხად. არადა, ღია კარს ამტვრევს. ყველაფერს აკეთებს, ის რომ არ გააკეთოს, რისი გაკეთებაც ევალება. არც მშობელივით მონაა და არც მშობელივით გოიმი. თავისუფალია, თავისი ჭკუით. გამოსულია, თავისივე შეხედულებებიდან გამომდინარე. მაიკლ ჯექსონის მთელი რეპერტუარი იცის ზეპირად. მამის წიგნი კი ჯერ არ წაუკითხავს. ვერ მოიცალა. უწიგნოდაც მშვენივრად ერკვევა ყველაფერში. წარმოგიდგენიათ, ამდენი ხანი თურმე, დაპყრობილები ვყოფილვართ, ჩვენ კი არ ვიცოდით. ჩვენ პირიქით გვეგონა, მოსკოვი და ლენინგრადი ფეხქვეშ გვქონდა ამოდებული. იცით, რატომ? არ იცოდით?! მიუხედავად მონობისა და გოიმობისა, ჩვენი მამები მაინც მსახურობდნენ, მაინც ვაზსა სხლავდნენ, მაინც პურსა მკიდნენ, მაინც წიგნსა წერდნენ, ცეკვა-სიმღერაზე რომ არაფერი ვთქვათ. არ უნდოდათ მონობა ეგრძნობინებინათ ჩვენთვის, არაფერი მოეკლოთ მონობაშიც, შეძლებისდაგვარად. ჩვენც ვენდობოდით. სკოლას დაგვამთავრებინებდნენ?! დავამთავრებდით. უმაღლესში მოგვაწყობდნენ?! მოვეწყობოდით. ჯინსის კოსტიუმებში გამოგვაწყობდნენ?! გამოვეწყობოდით. ამერიკულ კევს ჩაგვჩრიდნენ პირში?! (ახლა მარტო თურქულია) ჩავიჩრიდით. მანქანაში ჩაგვტენიდნენ?! ჩავეტენებოდით. მაგრამ გათავდა! მეტს აღარ მოვითმენთ. აკი თვითონვე გვთხოვეს, აღარ მოგვითმინოთო, გვაკრიტიკეთო, გვაგინეთ, დაგვგმეთ, პასუხი მოგვკითხეთო?! ჩვენც ეგ გვინდა სწორედ.

მშობელმა გინდაც ხელი შემოგიბრუნოს, ბოლომდე მაინც ვერ გაგიმეტებს. რაკი თვალი აგვეხილა (რა მნიშვნელობა აქვს, ვინ აგვიხილა), იმათაც დავანახვებთ, რანი ვართ და რა შეგვიძლია უიმათოდ... - შენ რომელი წიგნი მოგწონს მეთქი?! - აუწია ხმას უნებურად, ფიქრს აყოლილმა.

- მე რომელი წიგნი მომწონს?! - თვალები მოწკურა ეკაეკატერინეკატომ, თითქოს მის წინ გამოფენილ წიგნებს ათვალიერებდა - აი, გოგოს რომ გააჩუქებენ პატარაობისას, ვითომ გადასარჩენად, და ბოლოს იქით რომ გაუხდის გადასარჩენად საქმეს თავის ვაიგადამრჩენლებს. დებილი. მე მგავს რაღაცით. უფრო ზუსტად, მე ვგავარ იმას. შეიძლება ასე გქონდა შენც ჩაფიქრებული. შეიძლება, უნებურად გამოგივიდა ასე...

- შვილს მიხედო, ის გირჩევნია. - გააწყვეტინა მელანიამ - რას აჩენდი, თუ არ გინდოდა? დედა მაინც ხომ უნდა იცოდეს ბავშვმა.

- მე შვილი მამიკოს გავუჩინე - გაიპრანჭა ეკაეკატერინეკატო - ჩემი მამიკო იმის მამიკოც იქნება. სხვა არც არავინ არის დღეს ქმრობისა და მამობის ღირსი. ამაში ხომ მეთანხმები? შენც ხომ ასე ფიქრობ? - აღელდა უცებ.

- მამა რომ არ გყოლოდა, ამდენს ვერც შენ გაბედავდი - აღარ დაზოგა მელანიამ - მამებით გაქვთ დიდი გული.

- მამაჩემი დიდი კაცი არასოდეს ყოფილა - მოიღუშა ეკაეკატერინეკატო - არც მინისტრი, არც მდივანი, არც თავმჯდომარე და არც ცეკას რიგითი ინსტრუქტორი... ინსტრუქტორიც ვერ გახდა.

- რატომ უნდა გამხდარიყო? - გულწრფელად გაუკვირდა მელანიას - პარტიაშიც არ შესულა.

- შესულიყო მერე. მე დავუშალე? - ტუჩი აიბზუა ეკაეკატერინეკატომ.

- აბა, რიღასთვის იბრძვით თქვენ? ვინ არ მოგწონთ? მამაშენი? - ბრაზი წაეკიდა მელანიას.

- დიიიახ, მამაჩემი! - უტიფრად განაცხადა ეკაეკატერინეკატომ - ფუნქციონერი კომუნისტებიც ჩვენს მხარეზე დგანან უკვე, დგანან კი არა, კიბეებზე სხედან, კარვებში წვანან, შიმშილობენ, მამაჩემი კი ჩვენსკენ გამოხედვასაც არ კადრულობს. ისევ ჩრდილში დგას, როგორც მომიტინგეები ამბობენ ხოლმე მორიდებით.

- იქნება არც ახლა ეშლება მამაშენს?! - ხელები ისევ მუხლებზე დაიწყო მელანიამ. ისევ ბრაზიანად აუბრჭყვიალდა სათვალის შუშები - ამაზე არ გიფიქრიათ?!

- ამას მე ვერ გავიგებ. ვერ მოვესწრები. ამას ისტორია განსჯის - თავი დაარატრატა ეკაეკატერინეკატომ - ამას ჩემი შვილი გაიგებს ალბათ. და ან საქვეყნოდ უარყოფს წინაპარს, ან სიმარტოვეში იამაყებს წინაპრით. თუკი გაიზრდება, რა თქმა უნდა. თუკი იქამდე, გარემოების შეცვლასთან დაკავშირებით, სარდაფის ვირთხად, ჭაობის ბაყაყად ან უდაბნოს ხვლიკად არ იქცა საერთოდ.

- კარგი. დავამთავროთ. აღარ შემიძლია თქვენი მოსმენა - აიმრიზა მელანია - გისწავლიათ ლაპარაკი და თვითონ არ იცით, რას ლაპარაკობთ. მშობელს არაფრად აგდებთ და ტელევიზორს ხართ მიჩერებული პირში, ვიდეო ფილმებით სწავლობთ ცხოვრებას...

- გაუშვი, თქვას, ილაპარაკოს... - ძლივს ამოღერღა ეს ორი სიტყვა ნირწამხდარმა აველუმმა, რომელსაც თანაბრად ერთნაირად აკნინებდა, როგორც შვილის შენიღბული, ბოლომდე ჩამოუყალიბებელი ბრალდება, ისევე ცოლის აშკარა, მაგრამ დაუმსახურებელი გამოქომაგება.

ამის შემდეგ "გაქცევა" არა თუ საჭირო, აუცილებელიც შეიქმნა. აუცილებლად უნდა შებრუნებულიყო წარსულში, ხვალაც თუ აპირებდა ცხოვრებას. წარსულშიც ჯერ კიდევ ბევრი რამ იყო გასარკვევი, თავის დროზე უყურადღებოდ დატოვებული, ანდა, თავის დროზეც შემჩნეული, მაგრამ არასწორად აღქმული, არასწორად შეფასებული. ოღონდ წარსულში შებრუნებას, უცხოეთში გამგზავრების ნებართვის, ბილეთისა თუ ნამდვილი ფულის გარდა, სხვაც ბევრი რამ სჭირდებოდა, უპირველეს ყოვლისა კი - ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მომზადება. ისიც ისევე უნდა მომზადებულიყო საამისოდ, როგორც მყვინთავი ემზადება ზღვის ფსკერზე ჩასასვლელად, სპალეოლოგი - მღვიმის დასალაშქრად, მთამსვლელი - მწვერვალის დასაპყრობად, კოსმონავტი - კოსმოსში გასასვლელად. აველუმის ზღვის ფსკერიც, მღვიმეც, მწვერვალიცა და კოსმოსიც მისივე წარსული გახლდათ, გუშინდელიდან უხსოვარ დრომდე, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, სონიადან მელანიამდე.

წარსულში შებრუნებული თუ წარსულში შესაბრუნებლად გამზადებული აველუმისათვის ზღვა ერთადერთი წამალი იყო, რომელსაც შეეძლო მისი ერთხელ კიდევ გამობრუნებაც, გამოფხიზლებაც და აღგზნებაც ახალ ვნებათა და განცდათა, საძებნელად; ამავე დროს - ერთადერთი წამალი, რომელიც ჯერ კიდევ "იშოვებოდა". რაც მთავარია, ახალი და უცნაური არაფერი ჭირდა აველუმს - ყველა მისი სენი თუ სატკივარი სასიამოვნოდ შემაშფოთებელი და დამაფრთხობლად აღმაფრთოვანებელი სიზუსტით იყო აღწერილი უძველეს სამედიცინო წიგნებშიც, რა თქმა უნდა, რეცეპტებიანად. მაგრამ წამლის შემადგენლობაში შემავალი მრავალი ნივთიერება, მრავალნაირი ბალახი და ყვავილი უკვე აღარ არსებობდა ამ ქვეყანაზე, გამქრალიყო, გადაშენებულიყო, აღგვილიყო პირისაგან მიწისა, ჩვენივე მოურჩენელი სიბრიყვისა და წინდაუხედაობის წყალობით, თორემ, დღეს არც კიბოს მოვეკვლევინებოდით ალბათ, და აღარც, ვთქვათ რაიმე ფიზიკურ ნაკლზე დარდს. "კარაბადინსა" თუ "იადიგარ დაუდში" კიბოს განკურნების გზებიც იყო მითითებული და ზოგიერთი მნიშვნელოვანი ორგანოს გამაჯანსაღებელი თუ გამაძლიერებელი საშუალებანიც, რომელთა მოპოვებაც, სამწუხაროდ, დღევანდელი ადამიანისათვის ისევე შეუძლებელია, როგორც თავის დროზე გილგამეშისათვის - უკვდავების ბალახისა. სამაგიეროდ, ზღვა ჯერ კიდევ არსებობდა და, რაც მთავარია, ჯერ კიდევ შველოდა აველუმს. მართალია, თავადაც შეჰყროდა ავი სენი, თავადაც უჭირდა თავისუფლად სუნთქვა, ფერიც ეცვალა და უცხო სუნიც დაჰკრავდა, მაგრამ თვალისთვის ჯერ კიდევ ჩანდა და ყურისთვისაც ჯერ კიდევ გუგუნებდა, ყრუდ და განუწყვეტლივ. აველუმიც

თვალისა და ყურის მეშვეობით იღებდა ამ ჯადოსნურ წამალს და, რატომღაც, ძალიან სიამოვნებდა, ძველისძველ სამედიცინო წიგნებშიც ზუსტად ასე რომ იყო განმარტებული მისი მკურნალობის წესი. "ასეთსა გრილსა და წყლის პირსა ალაგსა უნდა იყუნეს, რომე მუდამ წყალსა უყურებდეს (ზღვაში დაღუპული პატრონის მომლოდინე ძაღლივით), და ეძინოს თუ ეღვიძოს, მუდამ წყლის ხმა ესმოდეს, და ქარი რომე ხესა არხევდეს (ვთქვათ, ბიჭვინთის ფიჭვსა თუ ბიჭვინთის ბზას), მუდამ მისი ხმა ესმოდეს".

აველუმიც ადგა და, ცოტა ხნით, ბიჭვინთას შეაფარა თავი, მიჩვეულ გარემოში გაექცა საზღვარგარეთული პასპორტის გულისგამაწვრილებელ, დამაკნინებელ, დამაფრთხობელ, ათასნაირი მდაბალი ეჭვისა და ვარაუდის აღმძვრელ მოლოდინს, უფრო სერიოზულ გაქცევამდე.

ესეც ღმერთის ნება იყო ალბათ, რადგან სრულიად მოულოდნელად ქალბატონ აისოდორას გადაეყარა იქ (ეტყობა, ქალბატონი აისოდორა ახალგაზრდებს გაერიდა, დაეცადა უკეთესად გასცნობოდნენ და შეჩვეოდნენ ერთმანეთს) და ამ გაუთვალისწინებელმა და, ჩვენში რომ ვთქვათ, არც მთლად სასიამოვნო შეხვედრამაც, მხოლოდ და მხოლოდ განუმძაფრა სიცარიელის შეგრძნებაცა და დაღუპვის წინათგრძნობაც. ესე იგი, კი არ გადააფიქრებინა, კიდევ უფრო განაწყო, აღაგზნო გასაქცევად. თუმცა, სულ ახლახან, რამდენიმე თვის წინ გადატანილი შფოთვისა და მღელვარების მიუხედავად, არც ეს შეხვედრა განსხვავდებოდა ბევრად მათი სხვა, ადრეული "ტკბილი" შეხვედრებისაგან. ეგ იყო, რომ სონია აკლდათ, თორემ, სხვა მხრივ ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა. ყველაფერი იგივე იყო: ხალხიც, გარემოც, საკვებიც, ჰაერის ტენიანობაც... ოღონდ, ამჯერად ბიჭვინთაში ძაღლის ჭირი მძვინვარებდა და აქაური დამსვენებლების "გულკეთილობით" გარყვნილი, დაბეჩავებული ძაღლები კანკალით დადიოდნენ, ძლივს მიითრევდნენ უკანა ფეხებს. დილაობით კი, დასასვენებელი სახლის მებაღე და სანეპიდსადგურის სანიტარი ქალი, რომელიმე ლამაზად შეკრეჭილი ბუჩქიდან ძაღლის ლეშს გამოათრევდნენ ხოლმე, სასწრაფოდ დაუდებდნენ ერთბორბლიან ურიკაზე და გაარიდებდნენ დამსვენებელთა თვალს. სხვა მხრივ, როგორც უკვე ვთქვით, ყველაფერი ძველებურად გრძელდებოდა. ისევ ყველა ყველას იცნობდა და შეხვედრისას, ანუ, თითქმის ყოველ თხუთმეტ წუთში, გულითადად, ხალისით ესალმებოდნენ ერთმანეთს. ისევ გაფაციცებული ყურადღებითა და დაუფარავი

ინტერესით ისმენდნენ ერთმანეთის ამბებს - ჩადიოდნენ თუ არა დილაობით ზღვაში, ყოფნიდათ თუ არა საჭმელი, ახერხებდნენ თუ ვერ ახერხებდნენ თავისიანებთან დალაპარაკებას მოსკოვსა თუ ლენინგრადში, კიევსა თუ მინსკში, უფასა თუ ჩელიაბინსკში... ეს ტელეფონი კი არა, ყელის ასატკივებელი აპარატია, გეთაყვა. უი, კიდევ კარგი, გამახსენდა. წაიკითხეთ თუ არა "დრუჟბაში", დიახ "დრუჟბაში", არ მეშლება. მეხუთე-მეექვსე თუ მეექვსე-მეშვიდე ნომრებში. კარგად არ მახსოვს. მივალ თუ არა შევამოწმებ და დაგირეკავ. მე მგონი განსაკუთრებულად ნიჭიერია. და მარტო ჩემი აზრი არ გახლავთ. რაღა თქმა უნდა, მე თუ რამე გამეგება საერთოდ ლიტერატურისა. თქვენ? აბა, რას ბრძანებთ, ქსენია ევგენიევნა, თქვენ თუ არ გაგეგებათ და... რასაკვირველია, რუსულენოვანი. არა, თარგმანი არ არის. მადლობა ღმერთს, მაგრამ არც რუსი უნდა იყოს წარმოშობით. დააკვირდით, რუსული ლიტერატურა, ამ ბოლო დროს, ძირითადად ნაციონალურ უმცირესობათა მხრებზე დგას. არ ყოფილა ძალიან მძიმე. ჰა, ჰა, ჰა. აუცილებლად. ოღონდ, ჩემს შემდეგ ლარისა კითხულობს. აბა, თქვენ რა გგონიათ?! ჩაწერითაა. რიგი დგას. აუცილებლად. ღირს. ღირს. დამიჯერეთ. დიდ სიამოვნებას მიიღებთ. თქვენ წარმოიდგინეთ, საკმაოდ გაბედულიცაა. მის ეგზოტიკურ ბაღში, შეიძლება, ბევრი ბასრი ეკალიც შეგხვდეთ, თუ ყურადღებით არ იქნებით. თუმცა, რას ვამბობ?! პირიქით. აქაური ჰაერი მართლაც სასმელივით მოქმედებს ჩემზე. მთელი დღე მთვრალივით დავდივარ. ამ გახსენებაზე, სომხების სოფელში კარგი წითელი ღვინო უყიდიათ. ბოთლი ხუთ მანეთად. რა არის ხუთი მანეთი?! დორიზოს ორი

სტრიქონი. ხი, ხი. ჩუმად! არ გაიგოს. მოკლედ, ბევრი ბასრი ეკალი შეგხვდებათ, თუკი ყურადღებით წაიკითხავთ ყოველ სიტყვას. არსებობს მოსაზრება, თითქოს... ხომ ხვდებით? ვიღაცების ქალიშვილები და სიძეები იგულისხმებიანო. თუმცა, თვითონვე ნახავთ. ჩვენ რომ ვიცით, იმაზედაც არის მაგარ-მაგრები. პირდაპირ ადებს ხელს. გეგონებათ, მონაწილე თუ არა, მომსწრე ნამდვილად არის ყველა მკვლელობისაო. ნუ მათქმევინებთ ყველაფერს. თქვენთვისაა ცუდი, თორემ მე უსასრულოდ შემიძლია ვილაპარაკო. რა ჰაერია, ღმერთო! ვისიც არ უნდა იყოს, მაინც ვერავის დავუთმობ აქაურობას. შევთანხმდით. აისოდორას შემდეგ თქვენ იქნებით. აკი ლარისაო?! ლარისა, აისოდორა და თქვენ.

ქალბატონ აისოდორასაც ძველებურად ეჭირა თავი. ანუ, სრულებითაც არ ეჩოთირებოდა ძველებური სიახლოვე აწ უკვე გათხოვილი ქალიშვილის ყოფილ საყვარელთან. მოკლედ, ძველებურად კეთილ და გამგებ მშობლად დარჩენილიყო, ოღონდ ამჯერად, წინა წლებისაგან განსხვავებით, აშკარად ბედნიერ ქალად მოჰქონდა თავი. ქალიშვილის ბედნიერებას იფერებდა და ყველანაირად ცდილობდა, ეს უხილავი და მოუხელთებელი გრძნობა ყველასათვის დაენახვებინა, თუ შეიძლება ასე ითქვას, საკუთარი პერსონის ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე გამოედგა, როგორც სპორტსმენის დედას - რომელიღაც საპატიო ტურნირში შვილის მიერ მოპოვებული ჯილდო, ოქროს მედალი თუ ვერცხლის თასი. მაგრამ, იმავე დროს, თითქოს უფლებამოსილი მოზიარე კი არ იყო ამ ბედნიერებისა, არამედ ამ ბედნიერების მომპოვებელი და შვილისათვის კი არა, თავისთვის, რის გამოც, აღარაფერი ჰქონდა საერთო (შეიძლება აღარც ახსოვდა), მიტოვებული (უსაფუძვლოდ უარყოფილი) ცოლის უაღრესად პირადულ, განუყოფელ, განუზიარებელ უბედურებასთან, რითაც ასევე მოჰქონდა თავი წინა წლებში. ასე რომ, ქალბატონი აისოდორა ჩვეული გულუბრყვილობით შეჰხაროდა ცხოვრებას. ისევ სიამოვნებით ყნოსავდა ნებისმიერ ხეს, ბუჩქსა თუ ბალახს და ისევ ყველაფერი ყვავილი ეგონა, რაც სუბტროპიკულ ზონაში ხარობდა. თავისთავად ცხადია, ისევ გამოჰქონდა სასადილოდან ქაღალდის ხელსახოცში გახვეული საჭმლის ნარჩენებიც (ძირითადად სხვის მაგიდაზე მოგროვილი) და დედა ტერეზას ერთ-ერთ ქრისტესმიერ დასავით, საკუთარი ხელით აჭმევდა აქაურ უპატრონო კატებსა თუ ჭირიან ძაღლებს (საბედნიეროდ, ძაღლის ჭირი ადამიანზე არ

გადადის, თორემ აქამდე ათასჯერ მოსპობდა ძაღლის სახსენებელს მისი მეგობარი ადამიანი), რომლებიც დღეში სამჯერ, ერთსა და იმავე დროს, დაბარებულებივით იკრიბებოდნენ დასასვენებელი სახლის წინ, განაღდებული, დაუმადლებელი საჭმლის მოლოდინში, მაგრამ უკვე ისე იყვნენ გაქსუებულნი, მათზე მზრუნველი ადამიანის ხათრით ჭამდნენ თითქოს საერთოდ, რათა დანარჩენი დრო მშვიდად, არხეინად სძინებოდათ, მზის გულზე დაყრილებს, როგორც აუცილებელ და კეთილსინდისიერ მონაწილეებს ძაღლთა გაადამიანებისა თუ ადამიანთა გაძაღლების უაღრესად სერიოზული პროცესისა.

ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინ, ბალტიისპირეთის რომელიღაც საზღვაო კურორტზე (ალბათ დიბულტაში - ძირითადად იქ დადიან მწერალთა და ლიტერატორთა ოჯახები), სათნოებისა და გულმოწყალების დროებითი, სეზონური, აისოდორასნაირი მსახურების წყალობით, ათასობით და ათიათასობით გადამფრენი იხვი დაღუპულა ერთ ღამეში - ადამიანურ სიკეთესა და ნაწყალობევ ნასუფრალს, უპირველეს ყოვლისა, ცხოველური პუნქტუალობის გრძნობა დაუჩლუნგებია მათთვის და გაფრენის დრო გამოპარვიათ. ღამით კი, მოულოდნელ (სინამდვილეში, სწორედაც რომ მოსალოდნელ) ყინვას დაუკრავს და ერთიანად მოუშთია, გაუქვავებია მთელი მათი მოდგმა. ზღვის ზედაპირი, ნაპირიდან ჰორიზონტამდე, უთავბოლოდ მოტივტივე, ფეხებგაფშეკილი და ფრთებგაფარჩხული გვამებით ყოფილა, თურმე, მოფენილი.

მაგრამ ქალბატონ ასოიდორას ყოველთვის გულწრფელად უკვირდა მაინც, რატომ არ უნდა ეჭმია საბრალო ჭირიანი ძაღლისთვის ვიღაცის, თუნდაც (მით უფრო) ცნობილი ლიტერატორის საჭმლის მონარჩენი. "რომ სდომებოდა, ხომ არ დატოვებდაო" - წარბებს ჭიმავდა ქალბატონი ასოიდორა და დამცინავად, შემწყნარებლურად უღიმოდა მისი შეუვალი სიბრიყვით ერთხელ კიდეუ უშედეგოდ გაცეცხლებულსა და მოთმინებიდან გამოსულ მოპაექრეს, რომელსაც თითქოს იმ ვიღაცის, საჭმლის დამტოვებლის, ბედი აწუხებდა და არა საბრალო ცხოველებისა. მაგრამ, ამჯერად, ქალბატონი ასოიდორა გაცილებით სერიოზული პრობლემებით იყო აღგზნებულ-აფორიაქებული. უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, ძალიან განიცდიდა, მარტო რომ ჰყავდა "ბავშვები" დატოვებული იმ "უვიტამინო ჩრდილოეთ'ში", როცა აქ თითქმის ტყუილუბრალოდ იხარჯებოდა ცხოველმყოფელი მზის ამოუწურავი სითბო და ენერგია. დილა-საღამოს აუცილებლად უნდა შეხმიანებოდა თავისიანებს ტელეფონით და მერე აველუმსაც დაწვრილებით უყვებოდა იმათ ამბავს - რას ჭამდნენ და რას სვამდნენ, სად დადიოდნენ, ვის ხვდებოდნენ, როდის წვებოდნენ და როდის დგებოდნენ. მაგრამ ძირითადად მაინც სიძეზე ლაპარაკობდა აველუმთან. სულ იმის ქებაში იყო. აღარ იცოდა, რა სიტყვებით შეემკო, თითქოს აველუმი იწუნებდა და როგორმე უნდა გადაერწმუნებინა. როგორც იქნა, ჩვენს სახლშიც შემოვიდა ნამდვილი მამაკაცი; ნათურა ვერ გამოგვეცვალა აბაზანაშიო - ეჟღურტულებოდა აველუმს და არც უკვირდებოდა, ჩვეულებრივი უტაქტობა რომ იყო შვილის დღევანდელი ქმრის ქება შვილის გუშინდელ საყვარელთან. მაგრამ რასაც ამბობდა, იმიტომ კი არ ამბობდა, აველუმის დამცირება,

აველუმისთვის ნიშნის მოგება რომ ჰქონდა ჩადებული გუნებაში, ვითომ, შენ ვერ ივარგე, შენ ვერ გამოგვიცვალე აბაზანაში ნათურა და კარღიაში, ანდა სულაც სიბნელეში გვიწევდა ბანაობაო - უბრალოდ, დარწმუნებული იყო, აველუმსაც ესიამოვნებოდა, თუკი მათ უკაცო ოჯახში მართლა შევიდოდა ნამდვილი, ღირსეული მამაკაცი, რომელსაც, ყველა სიკეთესთან ერთად, ნათურის გამოცვლაც ეცოდინებოდა და საჭირო ადგილზე ლურსმნის მიჭედებაც. თითქოს აველუმი მისი ქალიშვილის ნასაყვარლარი კი არ იყო, არამედ მისი ნაქმრევი, და ახლა, მიუხედავად ოფიციალური განქორწინებისა, ერთად სჯიდნენ, ერთად სწყვეტდნენ საერთო შვილის ბედს, როგორც ცივილიზებულსა და კულტურულ ადამიანებს ეკადრება. კიდევ უარესი - თითქოს სონიას, ქმარი კი არა, გაქცეული მამის მაგიერი მოეყვანა შინ, გაქცეული მამის დანატოვარი სიცარიელის ამოსავსებად და იმასაც, გაქცეულის მაგიერს, უსახელო ცთომილივით, თუნდაც მხოლოდ მტერ-მოყვარის დასანახად, განუწყვეტლივ უნდა ეტრიალა იმ სიცარიელეში, ვიდრე თანდათანობით, ისევ ოჯახს არ დაემგვანებოდა იქაურობა და ასევე თანდათანობით არ მოიწევდნენ ოჯახური კეთილდღეობის ნაყოფს, ანუ, ყველაფერს, გარდა სიყვარულისა, უფრო სწორად კი, ყველაფერს - სიყვარულის, იგივე არაფრის სანაცვლოდ.

"სიამოვნებით დავლევდი ყავას თქვენი ნებართვითო" - ძველებურად ამბობდა ქალბატონი აისოდორა, ღვაწლმოსილი, დამსახურებული და თავის დამსახურებაში ღრმად დარწმუნებული ადამიანის უშუალობით და ისინიც ისევ ძველებურად (ოღონდ უსონიოდ) ისხდნენ ზღვის ნაპირზე, საყავის წინ, უზარმაზარ კუნძებზე და ისევ ძველებურად მიირთმევდნენ უგემურ, საეჭვო წარმომავლობის ყავასა და კიდევ უფრო საეჭვო წარმომავლობის, ეგრეთ წოდებულ, "წვენს".

ზღვაც ძველებურად ლაპლაპებდა მზეზე. თუმცა, პირსიდან თუ ჩახედავდით, გულ-მუცელი ამოვსებული ჰქონდა ათასნაირი სიბინძურით. ლურჯი და წითელი მედუზების ნაცვლად, ახლა ცელოფანის პარკების უთვალავი ჯოგები ირწეოდნენ მის მოყავისფრო-მომწვანო წიაღში. რასაკვირველია, არც აველუმის აივანზე იგრძნობოდა რაიმე არსებითი ცვლილება. პლასტმასის მრგვალ მაგიდაზე ძველებურად იდო გაჭრილი, დანაჩასობილი საზამთრო, რომელსაც ძველებურად ეხვეოდნენ სიბრაზისგან ფეხებდაგრძელებული, გერმანული დროშის ფერი კრაზანები; შუამდე დაყვანილ ბოთლშიც ძველებურად ბზინავდა თხევადი ცეცხლი და რკინის რიკულებს შორისაც ძველებურად თრთოდნენ აბლაბუდის ნაფლეთები, ბუზების ძველისძველ გვამებიანად. იქაურობას სონია აკლდა მხოლოდ. კი არ აკლდა, ყველაზე მეტად, აქ, ამ აივანზე იგრძნობოდა, სონია რომ აღარ არსებობდა, გამქრალიყო, გარდაქმნილიყო დროის შესაფერისად. ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი, რაც ასე თუ ისე უკავშირდებოდა მის სახელს, უკვე მოგონებად ქცეულიყო და აღარასოდეს განმეორდებოდა. უკიდურეს შემთხვევაში, მხოლოდ აველუმს შეეძლო მისი მკვდრეთით აღდგენა, მისი გამოხმობა მახსოვრობის მღვიმეებიდან და ასედაც იქცეოდა, რამდენადაც ეს იყო მისი მიზანი - წარსულში შებრუნება - ხოლო წარსულში შესასვლელი გზა სონიათი იწყებოდა და აველუმიც ისეთივე ზოგადი, დაუკონკრეტებელი მღელვარებით იხსენებდა სონიასთან გატარებულ ცხოვრებას, როგორითაც მზეზე ალაპლაპებულ ზღვას გადასცქეროდა თავისი აივნიდან. ასე რომ, გარკვეული თვალსაზრისით, ისევ ერთად იყვნენ ისინი და ხან შემოდგომის მზეს ეფიცხებოდნენ გაჭყლეტილი ყურძნის სუნითა და

მთვრალი ფუტკრების ბზუილით გაბრუებულ ნაპირზე, ხან კი, იმავე ნაპირიდან ზამთრის მზეზე გაბრწყინებულ დელფინებს უყურებდნენ და ადვილად წასაშლელ კვალს ტოვებდნენ სუბტროპიკულ თოვლზე, ვიდრე გაცელქებული დელფინები უზარმაზარი შავი ბორბლებივით ბრუნავდნენ აქოთქოთებულ წყალში, ნაპირის გასწვრივ, თითქმის იქვე, ერთი ხელის გაწვდენაზე... მაგრამ ის სხვა სონია იყო - აველუმისეული, ხსოვნისმიერი, უცვლელი - და არაფერი ესაქმებოდა გამქრალთან, გარდაქმნილთან, რომელიც "უვიტამინო ჩრდილოეთში" საკუთარ ქმართან იმყოფებოდა ახლა, საკუთარ ოჯახში და, ჩვენში რომ ვთქვათ, არც არაფერი ესაქმებოდა აქ. ის სონია უკვე განთავისუფლებულიყო აველუმისგან, ოღონდ, ყურმოჭრილი მონის მეშვეობით მოეპოვებინა თავისუფლება, რაც საკუთარი მონური ბუნების გამომჟღავნებაა და მეტი არაფერი, მაგრამ ეს სრულებითაც არ შეუშლიდა მომავალში ხელს, კმაყოფილი ყოფილიყო ცხოვრებით, რამდენადაც ცხოვრებით კმაყოფილებაც მონათა ხვედრია. სონიას ალბათ თავიდანვე განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდა თავისუფლებაზე, მაგრამ აველუმისა არ იყოს, ისიც ყოველთვის მთელი არსებით იბრძოდა მის მოსაპოვებლად. უფრო ნათლად რომ ვთქვათ, აველუმის სიყვარული იგივე თავისუფლება იყო მისთვის და, მართლაც, თვალსა და ხელს შუა იცვლებოდა ყოველდღიურად, სულ უფრო მეტად და მეტად ეუფლებოდა საკუთარი თავისადმი პატივისცემის გრძნობა, ანუ, ისევ თურქულად ფეხმორთხმული კი იჯდა ხოლმე ზღვის პირას, ცხელ სილაზე, და ცალთვალმოჭუტული, ცხვირშეჭმუხნული ამოსცქეროდა აველუმს ლაპარაკისას, მაგრამ

ძველებურად, მტაცებელი ცხოველივით, განუწყვეტლივ აღარ ჰქონდა კბილები დაკრეჭილი საღრენად, საჩხუბრად, გამოსანთებად, სულ ერთია, მისი ტოლი, უმიზნოდ მიზანდასახული გოგოები ჩაივლიდნენ გვერდით, პირში სიგარეტგარჭობილნი და აგდებულად მომღიმარნი, თუ მისი ტოლი ბიჭები, უტიფარი გულგრილობითა და მოზეიმე სევდით გამომზირალნი. სონიაც იმათი ჩამონაჭერი იყო, მაგრამ მისდა უნებურად, მისთვისაც მოულოდნელად, უკვე გამოცალკევებულიყო იმათგან (უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ღირსების შეგრძნებით). არადა, ჯერ კიდევ გუშინ, ერთ-ერთი უერთგულესი და უმორჩილესი წევრი გახლდათ იმ ინტელექტუალური ჯოგისა, რომელსაც არარსებული ქმრის მაგივრობის გაწევაც შეეძლო მისთვის და გაქცეული მამისაც; რომელსაც იქ უთენდებოდა, სადაც უღამდებოდა და, ცხოვრებას დახარბებული, პირველ რიგში, ცხოვრებას თელავდა ფეხქვეშ (რა თქმა უნდა, შეუგნებლად); გართობას მონატრებული, არაფერი გამომრჩესო, ოფლად გაღვრილი, ქანცგაწყვეტილი, ენაგადმოგდებული დაძრწოდა აქეთ-იქით, ლიტფონდსა და კორპუსებს შორის, ძირითადად უცხოელი ლოთი ტურისტებისგან შეძენილი მაისურებით, შორტებით, ლიფებით, ფლოსტებით, მზის შლიაპებითა და მზის სათვალეებით მორთულ-მოკაზმული; ბუნებასთან დაბრუნების მოწადინეს, ჩანაცრებული კოცონები, ღია ფეხსადგილები, ნაგვის ზვინები და თევზის კონსერვის ამძაღებული სუნი რჩებოდა გზადაგზა. სონიაც იმ ჯოგის ნაწილი იყო ჯერ კიდევ გუშინ. იმას ეკუთვნოდა და შეეფერებოდა კიდეც, ასაკითაც, ბუნებითაც, მსოფლმხედველობითაც, მაგრამ მოულოდნელი ცვლილებების გამო (პლუს აველუმის სიჯიუტე), უკვე

შეეძლო ჯოგის შუაგულშიც ცალკე, დამოუკიდებელ არსებად აღექვა თავი და, რაც მთავარია, არა როგორც ფართო მოხმარებისა, არამედ უაღრესად კერძო, უაღრესაც პირადული ფიქრის, მიზნის, მისწრაფების, აღტაცებისა თუ თანაგრძნობის აღმძვრელ საგანს. ასეთი რამ არასოდეს განეცადა იქამდე და, შეიძლება ითქვას, საერთოდ უცხო ხილი იყო ეს მისთვის, რასაც არც თვითონ მალავდა. "ქალი რომ ვარ, შენ შემაგნებინე პირველადო - გამოუტყდა აველუმს - პირველად ღვინო რომ დამისხი, ისე გამიკვირდა, ისე გამიხარდა, ისე დავიბენი, ერთი პირობა, მომერიდა კიდეც ჭიქის ხელში აღება, რადგან იქამდე, ღვინოს დამისხამდნენ კი არა, ბოთლსაც მე მახსნევინებდნენ და კონსერვსაცო". ახლა კი თავად ეშოვნა "ბოთლისა და კონსერვის გამხსნელი" და, ყოფილი მონა, მონათმფლობელად ქცეულიყო. ეტყობა, აველუმის სიყვარულმა მაინც ვერ გამოიღო სასურველი შედეგი და მანქანის გაცვეთილი, გადაგდებული საბურავივით, როგორც იტყვიან, წყალს მიჰქონდა, დრო-ჟამის ზვირთებს მიჰყვებოდა ვალმოხდილი, ბოლომდე გამოყენებული, ამოწურული...

წამოსვლის დღეს, თითქმის უთენია გავიდა ზღვაზე. წყალში ჩასვლა, მაინცდამაინც, არ უნდოდა, მაგრამ - იქნებ გუნება გამომიკეთდესო - მაინც გამოაყოლა ხელს საცურაო ტრუსები.

მავთულის ღობეები, ბილიკის ორივე მხარეს, ძლივს აკავებდნენ ნესტიანსა და მსუყე სიმწვანეს. ბილიკის ბეტონის ფილებზე ჯერ კიდევ იდო ნამი. აქა-იქ ლოკოკინის ვერცხლისფერი კვალიც ბზინავდა. ერთ ლოკოკინას ზედ ბილიკზე დასთენებოდა და აველუმმა, ცოტას მორჩა, ფეხი დაადგა. "ძალიან სწორად ვიქცევი, პარიზში რომ მივდივარო" - იქეზებდა თავს, რადგან იმ წუთას არსად არ უნდოდა წასვლა. მაგრამ არც აქ ყოფნა შეეძლო. ალბათ, ისევ გამოუძინარი რომ იყო, იმიტომ. შეიძლება, თავისი ორბუნებიანობის გამოც. უძილობისგან თვალები ჩასწითლებოდა. ნელა, უხალისოდ ჩაუარა ბილიკის გასწვრივ ჩარიგებულ ცარიელ სკამებს, ლერწმის "ხეივანიც" გაიარა და გასახდელ კაბინაში შევიდა. კაბინაში დასორსოლებული, სისხლიანი ბამბა ეგდო და სასწრაფოდ აარიდა თვალი. "დაუოკებელია ჩრდილოელი ქალების სწრაფვა ზღვისკენო" - გაიფიქრა ამრეზილმა.

თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც ჩამოსულ ქალებს გაემტყუნებოდათ ამგვარი დაუდევრობა: მენსტრუაცია, აქაც და იქაც, ყოველ თვე ექნებოდათ, ერთსა და იმავე დროს, ზღვის საგზურს კი წელიწადში ერთხელ თუ იშოვნიდნენ, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი შინ, საგზურების განაწილებისას, უმალ ზღვის მოძულე, ვიდრე მოყვარული და ამიტომაც ზღვის მოყვარულთა გამწარების მოწადინე რომელიმე ეგნატე არ წამოუხტებოდათ საერთო კრებაზე და მუშტს არ დაუბრახუნებდათ მაგიდაზე - ბოლოს და ბოლოს, რას გავს ეს, ძვირფასო ამხანაგებოო - იმიტომ კი არა, თავად რომ ჩაეგდო საგზური ხელში... როგორ გეკადრებათ! ეს რამ გაფიქრებინათ?! ღმერთმა დაიფაროს! მტერმა გაძლოს ოცდაათი დღე ველურ ქართველებთან (ოცდაოთხი, იგნატ იგნატიჩ). თუნდაც ოცდაოთხი იყოს. აქაც უკვე ბებერები გაუჩინეს თვალებზე. იგნატ იგნატიჩს მხოლოდ სამართლიანობა ალაპარაკებს. მისი ცოლი ჯერ მასაც არ დანახვებია ტიტველი და რაღა ამ სიბერეში გაუწყრება ღმერთი, რაღა ახლა წამოიხდის კაბას ქვეყნის დასანახად?! თუმცა, არც ესაა გამორიცხული. არსებობს მოსაზრება, თითქოს რუს ქალებს განსაკუთრებით მოსწონდეთ ქართველი კაცები და თქვენთვისაც აჯობებს, თუ არ ათქმევინებთ, როგორ იქცევიან ისინი (რუსი ქალები) იქ, სამხრეთში, ღია ბორდელში... მაგრამ სამართლიანობაც არსებობს ამ ქვეყანაზე. მართალია, ძველი აღარაფერი მოსწონთ, მაგრამ ადრე, რევოლუციამდე, მხოლოდ ღირსეული, ესე იგი, ან სისხლით, ან ნიჭით, ან წოდებითა და ან შეძლებით გამორჩეული ხალხი სარგებლობდა ამგვარი პატივით და ყველანი შეგუებულნი იყვნენ ამ ამბავს. დღეს კი რა გამოდის?! აბა, დააკვირდით. ეგნატესნაირ განავალსაც

შეუძლია ისარგებლოს ნებისმიერი პრივილეგიით. თუმცა, არა! ნურას უკაცრავად! მარტო ეგნატობა არ ყოფნის ამ საქმეს. იმ შემთხვევაში ისარგებლებს ეგნატე, სხვებზე ეშმაკი თუა და წინასწარ იცის, როდის რომელ უნიტაზში მოადინოს ტყაპანი. ამიტომ, ისევ და ისევ სამართლიანობის გულისთვის, წელს ისა და მისი ბებრუხანა წავლენ ზღვაზე და არა ისევ ქსენია ევგენიევნა. თუმცა, ქსენია ევგენიევნას პირადად დიდ პატივს სცემს, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო რედაქტორს - მისი დამუშავებული ტექსტი შეგიძლიათ თამამად გაუშვათ ნებისმიერ სტამბაში - მაგრამ ეს სხვა საკითხია და არავითარი კავშირი არა აქვს ბიჭვინთის მწერალთა დასასვენებელ სახლთან, სადაც წელს, მოკვდება და აუცილებლად წავა, გინდაც ქსენია ევგენიევნამ სათითაოდ, ღერა-ღერა დაიგლიჯოს თმა, ხოლო მას და მის მეუღლეს სტუმართმოყვარე აბორიგენებმა სუფრის კოვზით ატენონ პირში აჯიკა და ძაბრით ასხან ჭაჭის არაყი. აი, ასე! გთხოვთ, ოქმში შეიტანოთ ჩემი ნალაპარაკევი და ასე შემდეგ, და ასე შემდეგ...

მოკლედ, ისე არ ესიამოვნა აველუმს იმ სისხლიანი ბამბის დანახვა (რომელიც, ადვილი შესაძლებელია, მართლაც ქსენია ევგენიევნას დატოვებული ყოფილიყო), შეხსნილი ქამარი ხელახლა შეიკრა, საბანაო ტრუსებიც ისევ ჯიბეში ჩაიტენა და კაბინიდან გამოვიდა.

სონია უკვე ზღვაში იყო. დილის ნამით ჯერ კიდევ სველსა და ცარიელ პლიაჟზე მარტო მისი რეზინის ფლოსტები ეყარა (როგორც მარილში გამოყვანილი და სიბრტყეზე გაჭრილი თევზის ორივე ნახევარი), მარტო მისი სარაფანი ეგდო და აველუმს, რატომღაც, ისევ შეეცოდა სონია. სონია კი ტივტივამდე მიცურებულიყო უკვე და იქიდან უქნევდა ხელს - წყალბურთელივით, ლამაზად ამოეშვირა წყლიდან გრძელი, ქათქათა მკლავი. აველუმი, ჩვეულებისამებრ, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი იდგა ზღვის ნაპირას და წარბებშეჭმუხნული გაჰყურებდა ზღვას. სახეზე ბუბუნით ეხეოდა სუსხიანი, მაგრამ უკვე სითბოგარეული ნიავი. სასულეშიც ზღვის ნიავივით უღიტინებდა ამ ჩვენებისგან აღძრული სიხარულისა თუ სინანულის გაორებული გრძნობა, თუმცა, არ იცოდა და არც ცდილობდა გაერკვია, რა უხაროდა, ან რა ენანებოდა იმ წუთას. უბრალოდ, ზღვის ნაპირზე იდგა, ჯიბეებში ხელებჩაწყობილი გაჰყურებდა ზღვას და მთელ დედამიწაზე მარტო მან იცოდა, სონია რომ იყო ზღვის უკაცურ ზედაპირზე შავად მბზინავი ერთადერთი პატარა ლაქა.

მეორე დღეს უკვე თბილისიდან დაურეკა სონიას და როცა ის დაფეთებული მოვარდა ტელეფონთან (ალბათ დედა ეგონა და, ეტყობა, ერთი სული ჰქონდა როდის შეიტყობდა მისგან ბიჭვინთის ახალ ამბებს), მშვიდად უთხრა: მართალი ხარ, კარგად მოიქეცი, რომ გათხოვდიო.

პარიზში, რასაკვირველია, მოსკოვიდან გაფრინდა - სატუსადოს მთავარი და ყველაზე "იწრო" კარიბჭის გავლით. მასზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, ერთი აეროპორტიდან (ვნუკოვოდან) პირდაპირ მეორე აეროპორტში (შერემეტიევოზე) წავიდოდა, მაგრამ ერთი-ორი დღე მაინც მოუწია იქ გაჩერება - საფრანგეთის საელჩოსთან იმოდენა რიგი დახვდა, გულზე შემოეყარა - ვიდრე ვიზის საქმეს მოაგვარებდა, თავისუფლად შეიძლებოდა, თვითმფრინავის ძლივს ნაშოვნი ბილეთიც დასაბრუნებელი გახდომოდა. ასე რომ, ვერც ამჯერად შეიტყო, როდის შეითრია, როდის შეისრუტა, როდის შეიწოვა დიდი ქალაქის ბნელმა წიაღმა (რისიც ძალიან ეშინოდა) და როდის მინებდა თავად აქაური ცხოვრების "წყალქვეშა დინებებს" (რაც სრულებითაც არ იყო მასზე დამოკიდებული). საელჩოდან მობრუნებულს, სასტუმროს რესტორანში, სადაც ადრე, სასტუმროში მაცხოვრებელთა კარიდან შემოსულს, კლიენტების თვალს მოფარებული ოფიციანტები თავაზიანი ღიმილით აედევნებოდნენ ხოლმე, როგორც ქათმები - საკენკით ხელდამძიმებულ პატრონს, ისეთი "ანტრიკოტი" აჭამეს ახლა, ძაღლს არ ეჭმეოდა და ისიც იძულებული შეიქნა, ისევ სასმელს მისძალებოდა. მაგრამ ადგილობრივ ქარხანაში ადგილობრივი ტექნოლოგიით ჩამოსხმული "ვაზისუბანი" (სხვა არავითარი სასმელი არ იშოვებოდა სტადიონისხელა რესტორანში), აშკარად არ გამოდგებოდა სიმარტოვის მეგობრად - გუნებას კი არ უკეთებდა, კი არ ამხნევებდა, როგორც კეთილშობილ სასმელს მოეთხოვება საერთოდ, აოგნებდა, აჩლუნგებდა არასწორად მიღებული წამალივით. მოკლედ, სადილიც მოთავდა და ვახშამიც, ის კი მაინც ჯიუტად ერკინებოდა მჟავე, წყალწყალა სასმელს,

კიდევ უფრო დათრგუნული და დაყრუებული, საყელოგაღეღილი, მკლავებდაკაპიწებული ორკესტრის მოულოდნელი გამოხდომებით. ოფიციანტების ახალმა ბრიგადამ ყველაფერი თვლით ჩაიბარა ძველისაგან - მაგიდაც, სკამიც, თეფშიც, ჭიქაც, დანა-ჩანგალიც, სამარილეც, საპილპილეც, სამდოგვეც, საფერფლეც - და მხოლოდ მისი გადაბარება გაჯანჯლდა რატომღაც - "გავიდეს და თავიდან შემოვიდესო" - უაზროდ აიჩემა ახალმა ოფიციანტმა და ისე ახლოს მიიტანა ეს ამბავი გულთან, წყალიც კი დაალევინეს დასამშვიდებლად. მაგრამ, ეტყობა, თვითონაც არ იცოდა (ვერ ამბობდა), რატომ იჩენდა ამგვარ პრინციპულობას. აველუმი კი ყურსაც არ იბერტყავდა, უცხოელივით იჯდა (უცხოეთის პასპორტი ედო ჯიბეში) და, გეგონებოდათ, არც ესმის და არც აინტერესებს რა ხდება მის გარშემოო. ოფიციანტი, რა თქმა უნდა, ეცოდებოდა და უკვე ისიც იცოდა, დადგენილზე მეტს რომ დაუტოვებდა "მომსახურებაში", მაგრამ თანაგრძნობით მაინც ვერ იმსჭვალებოდა მის მიმართ, ისევ და ისევ, მისი უგუნური, უაზრო პრინციპულობის გამო.

საერთოდ, როგორც აველუმი დაჰკვირვებია, მოსკოველი წვრილფეხა მოსამსახურეების საკმაოდ დიდი ნაწილი თითქოს ვალდებულად თვლის თავს, რაც შეიძლება უმოკლეს დროში შეაჯავროს ჩამოსულ კაცს თავისი ქალაქი, რითაც ფულთან ერთად, გარკვეულ სიამოვნებასაც იღებს თავად. არადა, თითქოს პირიქით უნდა იქცეოდეს, რამდენადაც მისი შემოსავლის წყარო ძირითადად ჩამოსული ხალხია და საკმაოდ კარგადაც ცხოვრობს მათი წყალობით. მაგრამ ეს, ერთი შეხედვით, თითქოს არასწორი საქციელი, მხოლოდ ბრიყვისთვის და საქმეში ღრმად ჩაუხედავი კაცისთვის შეიძლება იყოს არასწორი საქციელი; ანდა იმათთვის, ვისაც საბჭოური იმპერია მხოლოდ ამბად გაუგია. საბჭოურ იმპერიაში მხოლოდ დაუწერელი კანონები მოქმედებენ და ამ კანონთა შემქმნელიცა და აღმასრულებელიც თავად საბჭოთა ხალხია. ხოლო, რაკი დაუწერელი კანონის ძალით, იმპერიის ყველა მოქალაქე ვალდებულია, ადრე თუ გვიან, პირადად იგემოს "მოსკოვური სიამენი", ძალაუნებურად და სავსებით სამართლიანადაც, ყველაფერი ამ ერთ ქალაქშია თავმოყრილი, რაც კი ადამიანს შეიძლება როდისმე დასჭირდეს, კვების პროდუქტი იქნება ეს, სამრეწველო საქონელი თუ სულიერი საზრდო. ამიტომ, ბუასილი გაწუხებს თუ უთეატრობა, კეთილი ინებე და ხარჯიც გაიღე, ანუ მეტი გადაიხადე, ვიდრე შინ გადაიხდიდი, თუკი შინ გეყოლებოდა ბუასილის ექიმიცა და სახელოვანი, ხელისუფლებისგან დაფასებული ხელოვანიც. ასე რომ, აქაური მოსამსახურე პერსონალის უტიფრობა და უხიაგობა კი არ აფრთხობს კლიენტს (სხვაგან სად წავა?!), არამედ კიდევ უფრო ზრდის მის "წველადობას". იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულთათვის აქ განსაკუთრებული ტარიფიც კი არსებობს, სადაც

მეცნიერული სიზუსტით, არა მარტო ამა თუ იმ კუთხის ეკონომიური მდგომარეობაა გათვალისწინებული, არამედ იქაურების კულტურულ-ზნეობრივი მონაცემებიც. მაგალითად, ამ ტარიფის მიხედვით, ყველაზე ძვირი ქართველს უჯდება მოსკოვში ცხოვრება, რამდენადაც აქაური მომსახურე პერსონალის (და არა მარტო მათი) თვალსაზრისით, ქართველი არათუ სხვაზე მდიდარია (ღვინო, ჩაი, ციტრუსი), არამედ - სხვაზე სულელიც. მაგრამ რაკი ამდენი იცი და მაინც ჩამოდიხარ ამ ქალაქში (თუნდაც იძულებით), აღარც ჩივილსა აქვს აზრი.

ბოლოს ისევ მეტრდოტელმა ჩააწყნარა ყველაფერი. "რაც შეკვეთილი აქვს, გვინდა-არ გვინდა, უნდა მოვუტანოთ, ახალი შეკვეთა კი, შეგიძლია, არ მიიღოო" - სიტუაციაც განუმარტა და სამოქმედო გეგმაც დაუსახა მართლა ქათამივით დაბნეულსა და აფორიაქებულ ქვეშევრდომს. ახალი დახვეული თმა უცხო სხეულივით ედო თავზე და, თითქოს ამის გამო, ლაპარაკისას, მხოლოდ ვერტიკალურად ამოძრავებდა თავს, სათამაშო ბუდასავით.

ამის მერე ისევ რომ გამოერკვა აველუმი, უკვე ტაქსში იჯდა, სრულიად მარტო, და აშკარად მძღოლს ელოდებოდა, თუმცა არ იცოდა, აღარ ახსოვდა, როდის ან რა საქმეზე გადასულიყო ის მანქანიდან. მრიცხველი კი ჩართული დაეტოვებინა, რადგან აველუმი, ვიდრე საბოლოოდ გამოერკვეოდა, ღრმად იყო დარწმუნებული, დაქანცული თუ დასიცხული ძაღლი ქაქანებს ჩემს ფეხებთანო. საბედნიეროდ, მძღოლი მალე დაბრუნდა. ვიდრე კარს შემოიკეტავდა, იქამდე ჩაუგდო აველუმს კალთაში კრიალა, მძიმედ გრილი ბოთლი და ჰკითხა: ახლა საითო. აველუმსაც ეს აინტერესებდა სწორედ, არ იცოდა, საიდან მოსულიყო აქ, ან საით აპირებდა აქედან წასვლას. "ერთს ვამბობთ და მეორეს ვაკეთებთო" - უთხრა უფრო საკუთარ თავს, ვიდრე მძღოლს და მანქანიდან გადმოვიდა. უნდოდა, ფულთან ერთად, ბოთლიც დაეტოვებინა მძღოლისთვის, მაგრამ ბოლო წუთას, რატომღაც, მოერიდა. გამონელებული სასმელისგან თავი უსკდებოდა. პირში საშრობი ქაღალდი ჰქონდა თითქოს ჩაფენილი. არყის ბოთლი კიდევ უფრო უმძაფრებდა ამ მტანჯველ შეგრძნებას, და მაინც, უსაქმური და უდარდელი კაცივით, ალალბედზე მიუყვებოდა უკაცურ ქუჩას, ანდა პროსპექტს, რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა ლენინისაც ყოფილიყო და კუტუზოვისაც. ისიც ძნელი გასარკვევი იყო, თენდებოდა თუ ღამდებოდა. მაგრამ აველუმისთვის არც ამას ჰქონდა რაიმე მნიშვნელობა, ერთი ყლუპი წყალი უნდოდა მხოლოდ და მორჩილად, მოთმინებით მიყვებოდა ბრმა გუმანს, ვიდრე მართლა არ გადააწყდა მიწისქვეშა საპირფარეშოს. კიბე სწრაფად ჩაირბინა და რამდენჯერმე ზედიზედ გამოირეცხა პირი. საპირფარეშოს მეთვალყურე დედაბერს რეზინის

ჩექმები ეცვა, რეზინისავე წინსაფარი ეკეთა ბამბაზიის ხალათზე და მოწყენილი იჯდა პატარა მაგიდასთან, რომელზედაც საეჭვო სისუფთავის, ოთხკუთხა ნაჭრის ხელსახოცების დასტა იდო და ხურდა ფული ეყარა. თითქოს კი არ მსახურობდა აქ, თავს აფარებდა, აველუმისთანა გზააბნეულ გამკითხავთა მოლოდინში. აველუმმა სამმანეთიანი დააგდო მაგიდაზე, ხელები კი საკუთარი ცხვირსახოცით შეიმშრალა. "დიდი მადლობელი ვარო" - თქვა დედაბერმა და სამმანეთიანი რეზინის წინსაფრის ქვეშ შეაცურა. აველუმი უკვე სანახევროდ ასული იყო კიბეზე, მაგრამ უკანვე ჩამობრუნდა და არყის ბოთლი მაგიდის კიდეზე ჩამოდგა.

მოკლედ, მოსკოვში გატარებული ორი დღის შემდეგ, ველუმს უკვე ენატრებოდა თავისი მარად ტანჯული, ღმერთისგანაც და კაცისგანაც აბუჩად აგდებული ქალაქი, მაგრამ ჯერ ვერ დაბრუნდებოდა შინ, ჯერ წესიერად არც იყო წასული, ჯერ კედელს აქეთ იდგა ისევ და ვიდრე საბოლოოდ გააღწევდა აქედან, ერთხელ კიდევ უნდა გაეძლო ახალგაზრდა დამწყები ჩეკისტის გამჭოლი მზერისთვის, შუშის ჯიხურში რომ ჩაესვათ ჰომო საპიენსის იშვიათ სახეობასავით, და სხარტად, შეუფერხებლად ეპასუხა იმის შეკითხვებზე, ეღიარებინა, გნებავთ, დაედასტურებინა თავისი ვინაობა, ადგილ-სამყოფლის ზუსტი მისამართი, რა მიზნით (რა უფლებით) ტოვებდა ციხეს და სად (უფრო კი რატომ) მიდიოდა უკეთეს ადგილას. რაღა კოსმიური ხომალდიდან კოსმონავტის გასვლა სივრცეში და რაღა საბჭოეთიდან რიგითი საბჭოელისა - საზღვარგარეთ. მაგრამ ორივეს შეუძლია მშვიდად იყოს, კოსმონავტსაც და რიგით საბჭოელსაც, რადგან ორივე საიმედო ტროსითაა გამობმული მშობლიურ იდეოლოგიას და როგორც არ უნდა გააბრუოს, გააბრიყვოს სივრცის უსასრულობამ, უკან დაბრუნება ორივეს გარანტირებული აქვს, ცოცხალი თუ მკვდარი, ერთი მაინც თავის ხომალდს, მეორე კი თავის ოჯახს დაუბრუნდება...

საერთაშორისო აეროპორტის გაიდუმალებულმა ფაცაფუცმა შორეული ახალგაზრდობა გაახსენა - აქ ხვდებოდა ფრანსუაზას - თუმცა მაშინდელი აეროპორტი ახლანდელის ერთ კუთხეშიც მოთავსდებოდა მთლიანად. მაგრამ მაინც სადღაც აქ, ამ სივრცეში ღელავდა და იტანჯებოდა ხოლმე ფრანსუაზას მოლოდინში. მწარეც ბევრი ახსოვს და ტკბილიც. სადღაც აქ გაიმართა მისი და კოლია-კლოდის "დუელიც". ერთი წამით, თვალნათლივ დაინახა კიდეც, როგორ სხედან ისა და კოლია-კლოდი პატარა მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ და თითქოს მის გასაღიზიანებლად, როგორ ლოკავს კოლია-კლოდის წითელი ენა კოვზის ვერცხლისფერ მუცელს. მაგრამ ახლა მოგონებების დრო აღარ იყო - ჯერ მშვიდობიანად უნდა გაეღწია აქედან და ისიც, გულაფრიალებული, ყბადაძაბული დაიძრა უკანასკნელი მიჯნისკენ...

და აი, თვალდახუჭული მიწოლილა თვითმფრინავის სავარძელზე. ვერ გაიგებთ, სძინავს თუ, თანამგზავრთა დასანახად, თავს იმძინარებს. ესეც თავდაცვის ერთგვარი ხერხია, შეიძლება გულუბრყვილო, მაგრამ საკმაოდ ეფექტური: ხომ ხედავთ, მძინავს. ხოდა, კეთილი ინებეთ და, ნურც შემეხებით, ნურც რამეს მკითხავთ. გაძელით როგორმე უჩემოდ, ერთი-ორი საათი მაინც. გაზეთები თუ გნებავთ (უცებ გარდაქმნილი, ძალით გადახალისებული, სახელგადარქმეული, მაგრამ მაინც ძველებურად საინტერესოდ უინტერესო გაზეთები), შეგიძლიათ დაუკითხავად ამოიღოთ სავარძლის ბადიდან. მით უფრო რომ, ეს ჩემი არ არის. მეც აქ დამხვდა. მაგრამ, თქვენგან განსხვავებით, მე მათი გადაფურცვლის სურვილიც არ გამჩენია. ორი საათითაც რომ მოწყდეს კაცი მიწას, ესეც დიდი ამბავია ჩვენს დროში, ესეც რაღაცას ნიშნავს, რაღაცას კი არა, ბევრს ნიშნავს, ძალიან ბევრს. ბოლოს და ბოლოს, შეიძლება რომელიმე უბედურებას მაინც გადარჩე - ან მიწისძვრას, ან წყალდიდობას, ან ქარიშხალს, მეწყერს, ხანძარს, გაძარცვას, გაუპატიურებას, მოტაცებას, მკვლელობას, აჯანყებას, რევოლუციას, ომს - რაც ცვალებადი თანმიმდევრობით, ანდა სულაც ერთდროულად ხდება მიწაზე ყოველ ორ საათში. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი მიწიერი ცაშიც ინარჩუნებს ძალასა და უფლებას. ის კი არა, ალბათ კიდევ უფრო მძაფრი, უფრო საგრძნობი, უფრო ხელშესახები, ანუ, კიდევ უფრო შენი ხდება, მაინცდამაინც, შენი, შენს გამო და შენი გულისთვის გაჩენილი, შექმნილი, ჩადენილი, მომხდარი. თუკი მიწაზე ცოტა ხნით მაინც მოიტყუებდი თავს, ეს მე არ მეხებაო, ცაში ვერაფრით ვერ შესძლებ იგივეს - ცაში

ყველაფერი შენ გეხება, მაინცდამაინც, შენ, რადგან ცაში მიწაც საერთოა, განუყოფელი და სადაც არ უნდა დაჯდეს შენი თვითმფრინავი, ვის კუთვნილ ტერიტორიაზეც არ უნდა დაეზანყოს უკანა ბორბლით, მაინც ერთნაირად მოგეფონება გულს. ცაში ისიც შენი სადარდელია, რასაც მიწაზე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს შენთვის. მაგალითად, რატომ არ ქრება ამდენხანს ელექტროტაბლო - *ნო სმოკინგ. კურიტ ზაპრეშაეტსა* - კი მაგრამ, როდემდე? განა ნახევარი საათი არ გავიდა, რაც ავფრინდით?! ასევე გაინტერესებს, რატომ გამოვიდა კაბინიდან ერთ-ერთი მფრინავი და რატომ გაიხედა ილუმინატორში. ძრავის ხმას თითქოს არაუშავს. ეს ძაგძაგიც ღრუბლების ბრალია მხოლოდ. სტიუარდესები კი ალბათ სადილისთვის ემზადებიან და იმიტომ არ ჩანან. საზღვარგარეთის რეისებზე სადილს ალბათ ჯერ კიდევ არიგებენ. მარტო საბჭოელები ხომ არ სხედან თვითმფრინავში?! აველუმს ერთი მფრინავის ნორმა შესრულებული აქვს, ნახევარი სიცოცხლე ცაშია გამოკიდული. რა არ შეხვედრია, რა არ გადახდენია თავს, აკრძალული ბედნიერების შესახვედრად გაფრენილს. ბუნებაში არ არსებობდა მისი გამჩერებელი ძალა. ახლა კი აკრძალული ბედნიერების მოლოდინი აუტანელ ტკივილად ქცევია, სადღაც, გულისკოვზთან გასჩხერია და უკვე გზამოჭრილი, უკვე ლითონის უზარმაზარ მფრინავ სხეულში ჩამწყვდეული, მხოლოდ და მხოლოდ, მოუშორებელი, ავი წინათგრძნობის დასანახად, ათასნაირად ატრიალებს გუნებაში თავისსავე შეკოწიწებულ იმედს, ათამაშებს საკუთარი ნასუნთქით გაბერილი ბუშტივით უწონოს, უფესვოს, უსაფუძვლოს - ყველაფერი კარგად იქნება! მართალია, თავისუფალ სამყაროში პირველად

არ გადიოდა, უფრო სწორად, მეორედ გადიოდა უკვე, მაგრამ ახლა უფრო ღელავდა, ვიდრე პირველად. შეიძლება ითქვას, არაფერი ჰქონდა საერთო მის ამჟამინდელ მღელვარებას პირველ მღელვარებასთან. პირველი მღელვარება ბუნებრივი იყო და, ამდენად, ასატანიც, გასაგებიც, მისაღებიც. რასაკვირველია, ისიც ათასნაირი ფიქრის, ეჭვის, ვარაუდის, იმედის, გრძნობის ნაზავს წარმოადგენდა, მაგრამ ყველაზე დიდი ადგილი ამ ნაზავში მაინც ცნობისმოყვარეობას ეჭირა - აინტერესებდა, საიდან გამორბოდა ფრანსუაზა მასთან, სად ვერ ძლებდა უიმისოდ, სად იშვა, სად იზრდებოდა მისი უკანონო შვილი, როგორ გამოიყურებოდა სინამდვილეში და ბოლოს, როგორ შეხვდებოდნენ ერთმანეთს ისინი - უკანონონი. ეს იყო მაშინ მთავარი საფიქრალიცა და საწუხარიც, მაგრამ ახლა, თუკი სამყარო მართლა აპირებდა გარდაქმნას, თანაც უკეთესობისკენ, ბევრი რამ, რაც აველუმის ცხოვრებას აზრსა და მნიშვნელობას ანიჭებდა, ხოლო თავად აველუმს წამებულის შარავანდედში ხვევდა, შეიძლებოდა, სულ სხვა სახით წარმოჩენილიყო უცებ (თუ უკვე არ იყო წარმოჩენილი). მაგალითად, თუკი ადრე უკანონო შვილის არცნობა, არაღიარება იძულებით გადადგმულ ნაბიჯად, პოლიტიკური მოსაზრებით განპირობებულ საქციელად აღიქმებოდა მისგანაც და ამ საკითხით დაინტერესებული ხალხისგანაც, რამდენადაც ცნობა და აღიარება ერთნაირად სახიფათო იყო, როგორც უკანონო მამისთვის (უცხოელებთან ნათესაობა), ისევე უკანონო შვილისთვისაც (საბჭოელებთან ნათესაობა), ახლა ჩვეულებრივ სალახანობად თუ არა, ზნეობრივ სილაჩრედ ნამდვილად ჩაითვლებოდა და, პირველ რიგში, მისგანვე. თუმცა, მეორე მხრივ, გარდაქმნის,

განახლების სანატრელი ნიავის პირველსავე წამოქროლვაზე, ისე იოლად გაცამტვერდა აველუმის ნაფიქრალიცა და ნამოღვაწარიც, რასაც წლების განმავლობაში საკუთარი ღვიძლით კვებავდა სიმარტოვის კლდეზე მიჯაჭვული, არათუ უკანონომ, კანონიერმა შვილმაც აღარ ინდომა მისი მამობა, როცა ჯერ კიდევ გუშინ, აღორძინებული, გალაღებული მონობის ჟამს, არაფერი ეგულებოდა უფრო სანდო და საიმედო, ღირსებისა და მეობის შესანარჩუნებლად; არა მარტო მოსწონდა ამით თავი, არამედ უფლებასაც აძლევდა თავს, კრიჭაში ჩასდგომოდა ცხოვრებას, კუთხეში კი არ მჯდარიყო იატაკზე, საპყარივით, არამედ სხვათა უმწეობა, სხვათა უძლურება დაეგმო და შეერისხა. მოულოდნელად იცვალნენ დრონი და თუნდაც მარტო ამიტომ, გასარკვევიც ბევრი იყო და ასაღელვებელიც. ისიც იკვლევდა და ღელავდა, სავარძლის საზურგეზე მიწოლილი და მძინარესავით თვალდახუჭული.

ცხოველებსა და ფრინველებს "სიყვარულის" ჟამი რომ დაუდგებათ, ისეთ გნიასს და ალიაქოთს ასტეხენ ხოლმე, მეორედ მოსვლა ეგონება კაცს. არის ერთი კრიახი, ყმუილი, ფრთების ბათქუნი და კბილთა ღრჭიალი, რამდენადაც ისინიც ბუნების გაჩენილნი არიან და უერთმანეთოდ გაძლება არ შეუძლიათ. მაგრამ იმავე ბუნებისგან გამოყოლილი "საზრიანობა" აიძულებთ (ჩვენგან, ადამიანებისგან განსხვავებით), უფრო თავშეკავებულნი იყვნენ და სანამ ვნებას მიეცემოდნენ, იქამდე გაარკვიონ, რამდენად მიზანშეწონილი იქნება მათი ერთ ბუნაგში, ანდა ერთ ბუდეში ცხოვრება. ეს წინასწარი "გაცნობა" ხშირად კრახით მთავრდება და მამლის დაჟინებულ ძახილზე მოფრენილი დედალი, ან ხვადის ყმუილზე მოძუნძულებული ძუკნა, უკანვე გაბრუნდება ხოლმე, უარაფროდ, რაკი უნდობლობა გადაულახავი რჩება, რაკი ორივე რწმუნდება, ერთმანეთს "ვერ შეეწყობიან", არ გამოადგებიან "ცხოვრების თანამგზავრად" და ისედაც ხანმოკლე ცხოვრების გამწარებას, გაუთავებელ ღრენასა და ჩხავილს, ამჯობინებენ თავიდანვე არ შეუღლდნენ, ვიდრე მერე დაიტანჯონ. ადამიანებს კი პირიქით ემართებათ: დაუფიქრებლად ნებდებიან ვნებას და მერე ათასნაირი ტკივილის, შეურაცხყოფის, გაჭირვების, ელდისა და შიშის გადატანა უხდებათ დაუფიქრებლად შექმნილის შესანარჩუნებლად ანდა მოსაშორებლად, გადასარჩენად ანდა დასაღუპად. უფრო სწორად, მოგვიანებით, დაგვიანებით ცდილობენ განუსჯელად ჩადენილის განსჯას, ანუ, ახლა უკვე გონებას აყენებენ გულზე მაღლა, რითაც, მხოლოდ და მხოლოდ, ბოროტებას სჩადიან, როგორც საკუთარი თავის, ისევე განგების ძალით მათთან დაწყვილებული მეორე

ადამიანის მიმართ. განსჯა, იგივე "საზრიანობა", მართალია, ხელს უწყობს ნებისმიერ ცოცხალ არსებას და მათ შორის ადამიანსაც, კეთილსინდისიერად აღასრულოს ბუნებისგან დაკისრებული მოვალეობა - შექმნას მსგავსი - მაგრამ ადამიანს, პირველ რიგში, სიყვარულს უკრძალავს და აიძულებს ყველანაირად დაუპირისპირდეს სულიერთა სამყაროში მის გამოსარჩევ გრძნობას, მისი განსაკუთრებულობის გვირგვინს, რამდენადაც, თუკი რამეს ავალდებულებს სიყვარული მას, მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარი პიროვნების შექმნას, და თუკი რამეში ეხმარება, მხოლოდ და მხოლოდ, საკუთარი სახის გამოძერწვაში. ასე რომ, აველუმისა და ფრანსუაზას ეს შეხვედრა (თუკი, რა თქმა უნდა, თვითმფრინავი მშვიდობით დაუბრუნდებოდა მიწას), შეიძლებოდა, წინა შეხვედრების ერთგვარად შემაჯამებელი შეხვედრაც ყოფილიყო და, რაც მთავარია, იმის დადასტურებაც, მიუხედავად ყველაფრისა, ორივენი ისევ საფუძვლიანად რომ ეკიდნენ სიყვარულის კაუჭზე და კვლავაც მზად იყვნენ, მთელი ქვეყნის დასანახად ეფართხალათ ასე, ალბათ სულის ამოხდომამდეც, თუკი, რასაკვირველია, უფრო საზრიანი არ გახდებოდა იქამდე ერთ-ერთი მათგანი მაინც, ვთქვათ, ტურის ანდა ყანჩის მსგავსად, და არ შეეცდებოდა კაუჭის მოშორებას, თუნდაც საკუთარი ხორცის სისხლიანი ნაფლეთების ფასად, კაუჭს რომ უნდა შეატოვოს განთავისუფლების შემთხვევაში, რაც, სამწუხაროდ, თითქმის გარდუვალი, დაკანონებული დასასრულია იმ დიადი გრძნობისა, რომლითაც ადამიანი გამოირჩევა ყველა სხვა სულიერი არსებისგან და რომელიც ყველა სხვა სულიერ არსებაზე "დაბლა" აყენებს მას სწორედ ამ გრძნობის არაპრაქტიკულობის გამო.

- ცუდად ხომ არა ხართ? - ჰკითხა უცებ სტიუარდესამ.

- ცუდად?! - დააჭყიტა თვალები აველუმმა - რატომ უნდა ვიყო ცუდად? - მოგონილი გაოცებით შეუბრუნა კითხვა გულისხმიერ სტიუარდესას.

ცუდად რომ იყო, თვითონაც იცოდა, მაგრამ აღარ ახსოვდა - საერთაშორისო აეროპორტის დაძაბულობამ და ნერვიულობამ დაავიწყა. რა თქმა უნდა, ცუდად იყო. გუშინდლიდან ვერაფერს ყლაპავდა, ჩაისა და მინერალური წყლის მეტს. გუშინ, სადილზე, ჩაიდო თუ არა პირში ლუკმა, მაშინვე იგრძნო, მაშინვე მიხვდა, ვერ ჩაყლაპავდა. გაკვირვებული, შემცბარი და უარესად აგანგაშებული, ამაოდ აცოდვილებდა ლუკმას, ვერც ჩაეყლაპა და ვერც გამოეღო პირიდან - მაგიდასთან, მის გარდა, კიდევ სამნი ისხდნენ და თანაც მისთვის სრულიად უცნობი ადამიანები - დაძაბული იჯდა და, შუბლზე სიმწრის ოფლგადამსკდარი, უნდილად იცოხნებოდა, ბაგაზე დაბმულ ძროხასავით. ბოლოს, სხვა რომ ვერაფერი მოიფიქრა უკეთესი, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო და ისე აიფარა პირზე, ვითომ ცხვირიც მოეხოცა და ენით გადმოგდებული ლუკმაც სხვათა შეუმჩნევლად გაეხვია შიგ. ცხვირსახოცი, ლუკმიანად, ჯიბეში რომ ჩააბრუნა, მერეღა დამშვიდდა ცოტათი. სამაგიეროდ, მისმა ბარძაყმა უსიამოდ იგრძნო მაშინვე, როგორ გამოჟონა ქსოვილში ლუკმის სისველემ.

რესტორნიდან პირდაპირ სასტუმროს ექიმს მიაშურა და იმის დამსახურებაცაა, შინ რომ არ დაბრუნდა, მაინც რომ გაბედა ამხელა გზაზე წამოსვლა საყლაპავგადაკეტილმა.

სასტუმროს ექიმმა ყავის ფინჯნიდან ამოღებული კოვზი მთელი ძალით დააჭირა ენაზე და მაგიდის ნათურა ჩაანათა ხახაში. ის კი, მარგალიტის მოსაპოვებლად ფსკერზე ჩაშვებული ველურივით, ჯიუტად იკავებდა სუნთქვას და თვალდაჭყეტილი, ენაგადმოგდებული, საკუთარ ბარძაყებს ფრჩხილებით ჩაფრენილი, შიშით ელოდებოდა წამოზიდებას. ბედად, სწორედ ამ დროს, დერეფანში, ექიმის კაბინეტის წინ, ქართველებმა ჩაიარეს. ეტყობა, დედა-შვილი იყო, თუმცა, მარტო ქალი ლაპარაკობდა: "ამისთვის გამოგიშვით, ნენა, მოსკოვში? ქურდობას იქაც ისწავლიდი, ნენა". სასტუმროს ექიმმა კოვზი ისევ ყავის დაცლილ ფინჯანში ჩააგდო, მაგიდის ნათურა მაგიდაზე დააბრუნა, ხელები გაიფერთხა და თქვა: ლარინგოლოგი არა ვარ, მაგრამ სანაძლეოს დაგიდებ, არაფერი გჭირს, ქრონიკული კატარის მეტიო.

- ბუხრის მილივით გაქვს ყელი. ეტყობა, ბევრს ეწევი - გაიცინა უგულოდ.

- ვეწეოდი - დააზუსტა აველუმმა, ვითომ, ესეც ხომ რაღაცას ნიშნავსო.

- ჩასაყლაპი იყოს თორემ, როგორმე ჩავყლაპავთ - დაამშვიდა სასტუმროს ექიმმა - სხვათა შორის, მარილწყალი მოგიხდება - მოაყოლა სერიოზულად - ონკანის ჩვეულებრივი წყალი, ერთი ჩაის ჭიქა, და ჩვეულებრივი სუფრის მარილი, ერთი ჩაის კოვზი. ყველგან იშოვება. ბუფეტში თხოვე და მოგცემენ. წყალი ანადუღარი სჯობს, დიზინტერიის ჩხირები რომ არ შევაყოლოთ. ოღონდ - თბილი. ცხელი სასას დაგითუთქავს. ამდენს შენითაც მიხვდები ალბათ. კბილებსაც მოუხდება. ბაბუაჩემმა არ იცოდა რა იყო კბილის პასტა. დააწებდა თითს მარილზე და იხეხავდა, იხეხავდა მთელი დღე, თვალდახუჭული. სამაგიეროდ, ყველა კბილი საფლავში ჩაიყოლა, თანაც ყველა საღი.

- დიდი მადლობა - წამოსცდა აველუმს, რადგან ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა (და ძალიანაც იტანჯებოდა ამის გამო), როგორ გადაეხადა მადლობა, ანუ, დაეტოვებინა თუ არა ფული ექიმისთვის.

- არაფრის, არაფრის, - შეიფერა სასტუმროს ექიმმა. - რა ხდება თქვენთან? მართლა ხოცავთ რუსებს? - გაუშინაურდა ბოლომდე.

- ყველას არა - გაიღიმა აველუმმა.

მაგრამ საყლაპავი მილი აშკარად ჭირვეულობდა. ყოველ შემთხვევაში, აშკარად ცდილობდა თავისი ერთადერთი მოვალეობისათვის თავის არიდებას, რასაც ამდენი ხანი, არათუ უყოყმანოდ და უღალატოდ, თქვენ წარმოიდგინეთ, სიამოვნებითაც ასრულებდა. აველუმი დიდი მჭამელი არასოდეს ყოფილა, მაგრამ გემრიელად შეკმაზული და ლამაზად მორთმეული საჭმელი ნამდვილად უყვარდა. თუმცა, ისა და ფრანსუაზა შუადამითაც წამოცვენილან ლოგინიდან დედიშობილები და სამზარეულოს ცივ იატაკზე ფეხის განუწყვეტელი მონაცვლეობით, სადილის მონარჩენი ცივი ხორციც მადიანად მიურთმევიათ, ანუ, მგლური მოუთმენლობით დაუგლეჯიათ, ოღონდ, თავისთავად ცხადია, ფრანგული მდოგვისა და ბულგარული შავი ღვინის (გამზა, კაბერნე, ბიკავერი - რაც მაშინდელ მოსკოვში იშოვებოდა) დახმარებით.

- თუ გნებავთ, წყალს მოგიტანთ - არ მოეშვა სტიუარდესა.

- არა. მადლობთ - ზრდილობიანად მოიშორა აველუმმა. "იცის ვინ ვარ. ისიც იცის, სად მივდივარ, ვისთან" - გააგრძელა გუნებაში, ამგვარი მგზავრობების დროს, მარად მისი თანამდევი ფიქრი.

მაგრამ ვიდრე სტიუარდესა თავზე ედგა, ველარც თვალი დახუჭა. რატომღაც მოერიდა. ეს იგივე იქნებოდა, მისამართშეშლილი კაცისათვის ცხვირწინ მიეჯახუნებინა კარი. გასაკვირი და გასაბრაზებელი კი ნამდვილად არაფერი იყო. იმპერიის თვითმფრინავი იგივე იმპერიაა. იმპერიის მოდელია. იმპერია ცაშიც იმპერიაა და სავსებით ბუნებრივია, თუკი იმპერიის ქვეშევრდომებზე თვალთვალი ცაშიც გრძელდება. ეს სანდომიანი რუსი გოგონაც იმპერიის სტიუარდესაა და კეთილსინდისიერად ასრულებს თავის მოვალეობას (აველუმის საყლაპავი მილისაგან განსხვავებით) - მოჩვენებითი თავაზიანობით, გულითადობითა და გულისხმიერებით ისე გაგაბრუებს, ისე გამოგაშტერებს, როგორც გადამფრენ იხვს დამსვენებელი ლიტერატორისა თუ მისი ოჯახობის დროებითი, თავშესაქცევი, სეზონური სათნოება და მერე - ცაპ - მაშინვე ენის წვერზე ჩაგაფრინდება, როგორც კი წამოგცდება, როგორც კი აღიარებ, ცუდად ვარო. რატომ ხარ ცუდად? თუ ცუდად ხარ, რატომ შინ არ დაეტევი? საჩივლელად მიდიხარ თუ სამკურნალოდ? ჩვენ ვიხადოთ შენი მკურნალობის ხარჯები? მაგრამ თვითონაც რომ არ ელოდა, ისე ესიამოვნა აველუმს ეს ძველისძველი, ფრანსუაზას ნასახსოვრები, უკვე ათასჯერ განცდილი და გადატანილი ეჭვიცა და შიშიც. შეიძლება სინამდვილეში, არავინ არაფრად აგდებდა, არავის აინტერესებდა მისი ასავალ-დასავალი, მაგრამ, ეტყობა, თავად ჯერ კიდევ ერჩოდა გული, რაკი აქ იჯდა, რაკი სწორედ ახლა, ამ მეორედ მოსვლის ჟამს, სიყვარულის სამსახურში იდგა ისევ. "მაინც მივფრინავო" - გაიფიქრა სათაკილო სიამაყით. "იმიტომ რომ, ასეა საჭიროო" - მაშინვე იმართლა თავი ვიღაცის წინაშე. "მე მიზანს ვემსახურებოდი და არა სურვილსო"

- დაამატა მღელვარე სიდინჯით, თითქოს საბოლოო სიტყვას ამბობდა სასამართლოზე. ვინც სურვილს აჰყვა, ჩამოვარდა კიდეც, საკუთარი სისხლით გადაწითლებულ ლოდებზე გდია, დაჩეხილ-დაჩეჩქვილი. მათ შორის მისი შვილიცაა, უფრო ზუსტად, შვილები - კანონიერიცა და უკანონოც - ერთი თავისუფლების უფსკრულებში გადაჩეხა თავისი გულის ქარაფიდან, როგორც... როგორც დედალუსმა გადაჩეხა დისწული ათენის აკროპოლიდან უკვდავებაში. მეორეს კი გაფრენის ჟინი გაუღვივა გაუთავებელი ქადაგებებით, როგორც მელანია ამბობს ხოლმე, არც მთლად უსამართლოდ, ლაპარაკ-ლაპარაკით შეაბა ხელოვნური ფრთები ჯერ კიდევ სუსტ მკლავებზე და, რა თქმა უნდა, ისიც გაფრინდებოდა. ტანკზე შეხტომა იგივე გაფრენაა, ხოლო ერთხელ უკვე გადაგდებული დროშა იგივე ხელოვნური ფრთაა, რომელიც, თავისთავად ცხადია, დიდხანს ვერ გაგაჩერებს ჰაერში. "დამნაშავე ვარ. ვაღიარებ. ვინანიებ" - როგორც იქნა, მოათავა თავისი მღელვარე მონოლოგი გუნებაში და თამამად, გარკვეული ინტერესითაც მოათვალიერა სალონი. მგზავრთა უმრავლესობას ეძინა, ანდა, მისი არ იყოს, თავს იმძინარებდა. ყველანი საკუთარ ფიქრებსა და შიშებში იყვნენ ჩამყუდროვებულნი და ესეც ესიამოვნა, ესიამოვნა თანამგზავრთა უყურადღებობა და გულგრილობა. რაც უფრო შეუმჩნეველი დარჩებოდა მათთვის, მით უკეთესი, მისი ერთადერთი მიზანი ფრანსუაზასთან შეხვედრა იყო და ყველაფერი უნდა ეღონა, ყველაფერი უნდა აეტანა ფრანსუაზამდე მისაღწევად. უპირველეს ყოვლისა, სიმშვიდე უნდა შეენარჩუნებინა ბოლომდე და აღარ აჰყოლოდა ვერაგ, დაუნდობელ ფიქრებს, სალაპარაკოდ რომ იწვევდნენ

წარამარა და ჯიბეებივით აჩხრეკინებდნენ მოურჩენელ, დაწყლულებულ ჭრილობებს. მის გასწვრივ, მოპირდაპირე ილუმინატორთან, ვიღაც ქალი იჯდა, ფეხი ფეხზე გადაედო, მუხლზე ტყავის საქაღალდე გაეშალა და გამალებული წერდა რაღაცას. უცებ შეცბა კიდეც, იმდენად ეცნაურა იმ ქალის აზიური ყვრიმალები და ირიბად გაჭრილი თვალები, მაგრამ ერთბაშად ვერ გაიხსენა, საიდან შეიძლებოდა სცნობოდა ის ქალი საერთოდ. ახლა ამან შეაწუხა და - ძალიან კარგად ვარო - თქვა ხმამაღლა, უფრო ღრმად რომ არ ჩაფლულიყო ამ ახალ საგონებელში, და ხაზგასმული გულისხმიერებით გააყოლა თვალი სტიუარდესას ჯიშიან ფეხებს, რომლებიც უპირველეს ყოვლისა, მიწის არსებობას ადასტურებდნენ აქ, ღრუბლებს ზემოთ, სულეთში, საკუთარი ძრავების ყრუ გუგუნს მიყურადებულ თვითმფრინავში.

## 13

სწორედ ამ დროს, სიცილიის მეფე კოკალე (ბატონი პოლი), ოჯახითურთ, სასეირნოდ გამოსულიყო და ფრთიანი კაცი რომ დაინახა, გაუკვირდა - დაკეცილი ქოლგა, რომელსაც ხელჯოხადაც ხმარობდა, მისკენ გაიშვირა და იკითხა: რა ცხოველიაო - მაგრამ, როცა უპასუხეს, ეგეც ადამიანიაო, უარესად გაოცდა და გადაწყვიტა უფრო ახლოს ენახა, გამოლაპარაკებოდა უცნაურ არსებას, რომელიც, ერთდროულად, ფრთოსან კაცსაც ჰგავდა და ფრთებდაგლეჯილ ანგელოზსაც.

აველუმს ფრთების ნარჩენები ძონძებივით ეკიდა მხრებსა და მკლავებზე. ვინ ხარ, საიდან ხარო - ჰკითხა კოკალემ. რამ გამოგაშტერა ადამიანო, ეს ხომ შენი საყვარელი შვილიშვილის მამააო - უთხრა ქალბატონმა მადლენმა ქმარს და ამ მოულოდნელი შეხვედრით აღელვებულმა ქოლგა მოხდენილად დაიბზრალა მხარზე. ორივენი, რა თქმა უნდა, ისეთივე ტიტვლები იყვნენ, როგორც აველუმის სიზმარში. ეგ იყო რომ, მზე მოჰკიდებოდათ, მშვენივრად გარუჯულიყვნენ ამ ხნის განმავლობაში. ქალბატონ მადლენს მკერდი ჯერ კიდევ გოგოსი ჰქონდა, ჯერ კიდევ შერჩენოდა მიმზიდველი დრეკადი დაძაბულობა. ვუი, ვუი, ვუიო - ფრანგულად შეიცხადა ბატონმა პოლმა. მერე დაკეცილი ქოლგა-ხელჯოხი ფრთების ნარჩენებზე ჩამოუსვა აველუმს და ჰკითხა: ეს რაღააო. აველუმიც გულწრფელად მოუყვა ყველაფერი, რაკი დამალვას აზრი აღარ ჰქონდა. უფრო სწორად, რაკი მაინც მოყოლა და ახსნა-განმარტება სჭირდებოდა მის თავგადასავალს. ბატონი პოლი ფრანგული ყურადღებით უსმენდა. ესე იგი, ვერ მალავდა თავის მღელვარებას და ტიროდა კიდეც. ტიროდა, რადგან ქალბატონი მადლენიც ტიროდა და საერთოდ ყველანი ტიროდნენ, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ შესწრებოდა ამ უცნაურ შეხვედრას. ტიროდა ბატონი რელუც. ტიროდა ფრანსუაზაც, ფრანსუაზას დებიც და, რასაკვირველია, მთავარი მიზეზიცა და მიზანიც ამ შეხვედრისა - აველუმის უკანონო შვილი. ყველანი ტიროდნენ. თან ტიროდნენ, თან იცინოდნენ. თან უკვირდათ, თან უხაროდათ, ისევ რომ ახდენოდათ სანატრელი, ისევ ერთად რომ იყვნენ, ერთმანეთის ფიქრებსა და სიზმრებში კი არა, ერთსადაიმავე მიწაზე, ერთსადაიმავე ცის ქვეშ, ერთსადაიმავე დროს. ბოლოს

ბატონმა პოლიმ ცრემლი მოიწმინდა, კრიალა თვალები ცას მიაპყრო და საკმაოდ ხმამაღლა, ყველაზე უკან მდგომსაც რომ გაეგონა, ფრანგული პათეტიკურობით თქვა: კაცობრიობას მარტო ესეც ეყოფოდა სირცხვილადო. ერთმანეთის ხვევნა-კოცნით გული რომ იჯერეს, გულითადად რომ მოიკითხეს ერთმანეთი, აწონ-დაწონეს, გამოთვალეს და გამოიანგარიშეს ყველაფერი - ერთად გასატარებელი დროც, გასავლელი მანძილიცა და სავარაუდო ხარჯებიც - ფრანსუაზასა და აველუმის გარდა, ყველანი თვითმფრინავში ჩასხდნენ და მზის ამოსვლის კუნძულს მიაშურეს (სეზონი იწყებოდა), ოღონდ, იმ პირობით, ფრანსუაზა და აველუმიც იქ რომ ჩააკითხავდნენ, როცა პარიზში მარტო დარჩენილები, ასე თუ ისე მოიკლავდნენ ერთმანეთის სურვილს, ამოიბერტყავდნენ გულებს, დაათვალიერებინებდნენ ერთმანეთს სხვებისაგან დამალულ წყლულებსა და ჭრილობებს და, რაც მთავარია, ამჯერად მაინც მოახერხებდნენ რაიმე ისტორიული ღირსშესანიშნაობის ნახვას პარიზსა თუ პარიზის სიახლოვეს.

ფრანსუაზა და აველუმი ყველაფერზე თანახმანი იყვნენ წინასწარ, ოღონდ ახლა გაენებებინათ მათთვის თავი, ახლა მიეცათ განმარტოების, ერთმანეთის პირისპირ დარჩენის საშუალება და, როგორც კი აეროდრომზე მიაცილეს დანარჩენები, როგორც კი თეჯირს იქით გაუჩინარდნენ ისინი, ასაკის მიხედვით დაწყობილნი (ყველაზე ბოლოს, რა თქმა უნდა, უკანონო მიდიოდა, მშობლებისკენ კისერმოღრეცილი), თავადაც მანქანაში ჩასხდნენ მაშინვე და ვერსალს მიაშურეს, იმ ვარაუდით, მარტონი რომ იქნებოდნენ მაინც, ოთახში შეკეტილნიც და ტურისტების ზღვაში ჩაკარგულნიც. ამავე დროს, თან სანახავსაც ნახავდნენ და თან ჰაერზეც ისადილებდნენ სადმე, ქალაქგარეთ.

ვერსალის წინ ზანგის ბიჭები ლითონის დასაქოქ მტრედებს ყიდდნენ (თითოს ორას ფრანკად). თბილისში ძირითადად ბოშა ქალები ვაჭრობენ ამგვარ ადგილებში, ამგვარი საქონლით და თავიანთი მოურიდებლობით, თავიანთი უტიფრობითა და დაუდგრომლობით ძალიან ჩამოგვანან ვერსალელ ზანგ მემტრედეებს, რომლებიც ტურისტების ყურადღების მისაქცევად, ზედიზედ "აფრენდნენ" დაქოქილ მტრედებს ჰაერში და ხელოვნური მტრედებიც ჩხრიალ-ჩხრიალით "დაფრინავდნენ", ვიდრე შეეძლოთ, ვიდრე გალავნის კედელს, ხეს ან მანქანას შეასკდებოდნენ ნისკარტით, ანდა ძალაგამოლეულნი, ასფალტზე გახოხდებოდნენ მუცლით. პატარა მოედანზე აბზუვლებული, აჩხრიალებული ლითონის განუწყვეტელი ხმა იდგა. სხვათა შორის, თბილისელი ბოშებისა არ იყოს, ზანგ მემტრედეებსაც უშლიდნენ თავისუფლად ვაჭრობას, რაც კი არ უხშობდათ, კიდევ უფრო უმძაფრებდათ ვაჭრობის ჟინს, ხოლო განუწყვეტელი მოლოდინი თავდასხმისა და გასაქცევად ასევე განუწყვეტელი მზადყოფნა კიდევ უფრო სწრაფსა და მიზანდასახულს ხდიდა ყოველ მათ მოძრაობას. დროგამოშვებით, ერთი და იგივე, დიდულვაშა, პატარა ტანის პოლიციელი "დაეცემოდათ" ხოლმე თავზე, თავისი მოცისფრო-მოყვითალო მერსედესით, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. ან ასაკისა და სიზარმაცის გამო ვერ ასწრებდა მათ შეპყრობას, ან ასე იყო საჭირო, შეგნებულად არ იჭერდა მათ, რადგან ეს გაუთავებელი "კატა-თაგვობანაც" თავისებურად საინტერესო და თავშესაქცევი სანახაობა გახლდათ საიდან აღარ ჩამოსული ტურისტებისათვის. როგორც კი პოლიციის მანქანა გამოჩნდებოდა, იმწამსვე ცარიელდებოდა

სასახლის წინა მოედანი - ზანგები "გაფრენილი" მტრედების აკრეფასაც ასწრებდნენ და უკვალოდ გადაკარგვასაც, ვიდრე მათი "რისხვა" მანქანიდან გადმოვიდოდა, ერთი-ორი წუთით გაჩერდებოდა მისი შიშით დაცარიელებულ მოედანზე, ერთი-ორჯერ მიუკაკუნებდა ერთმანეთს შავად გაპრიალებული ფეხსაცმლის ქუსლებს და ისევ მანქანაში ჩაჯდებოდა, რათა ერთხელ კიდევ "მოულოდნელად" მობრუნებულიყო უკან.

პარიზელი ლუდოვიკოსაგან განსხვავებით, ვერსალის ლუდოვიკო ჩვეულებრივ ცხენზე, ოთხფეხა არსებაზე იჯდა. მის ცხენს ჯერჯერობით არ სჭირდებოდა მეხუთე ფეხის მომატება - ისედაც უძლებდა მეფურ სიმძიმეს უბრწყინვალესი მხედრისა, რომლის სიცოცხლეშიც აქაურობა ყველაზე აყროლებულ ადგილადაც ითვლებოდა საფრანგეთის სამეფოში, რადგან მთელი ამოდენა სასახლე, მეფიან-მსახურიანად, საჭიროების ჟამს, ამ დიდებული შენობის კედლებთან კუნცხდებოდა, შარვალჩახდილი თუ კაბაწამოხდილი, და შორეული ქვეყნების ელჩებს განავლის მძაფრი სურნელება რომ ეცემოდათ ცხვირში (დიდი ხნით ადრე, თავად სასახლის გამოჩენამდე) - მოვსულვართო - შვებით ამოისუნთქავდნენ ხოლმე. ახლა კი სასახლის თითქმის ყველა კართან იმსიგრძე რიგები იდგა, მოცდას აზრი არ ჰქონდა. იმათაც ზერელედ მიიხედ-მოიხედეს ირგვლივ, ცოტა ხნით თვალუწვდენელი ინგლისური პარკის მოაჯირსაც გადაეყუდნენ, ჩვეულებრივი ტურისტებივით, და ბოლოს ტრიანონის სანახავად წავიდნენ, რაკი იქვე იყო და რაკი სადილობამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო ჰქონდათ. მანქანაში რომ სხდებოდნენ, ერთი მტრედი პირდაპირ მათკენ გამოფრინდა, ლითონის ფრთების ჩხრიალით, და აველუმმა უნებურად ხელი აუქნია, თითქოს დააფრთხობდა. ფრანსუაზას გაეცინა. "ხომ არ ვიყიდოთო" - ჰკითხა უკვე მანქანიდან (ესე იგი, ხომ არ გინდა, შენს შვილიშვილს წაუღო ასეთი სათამაშოო), მაგრამ აველუმმა უარის ნიშნად თავი გააქნია. კი არ ეძვირა (თუმცა, ორასი ფრანკი ცოტა არ იყო მისთვის, ჩვენში რომ ვთქვათ, აღარც მოუგროვდებოდა, რადგან, რაც ფული ჰქონდა, შვილის ერთ საცურაო კოსტიუმში გადაიხადა), არ მოხიბლა რატომღაც, ვერაფერი

შეატყო განსაკუთრებული, უცხოური, ფრანგული. სრულებითაც არ გაუკვირდებოდა, ასეთივე ხელოვნური მტრედები თბილისელ ბოშებსაც "გაეფრინათ" დეზერტირების ბაზრის წინ. რაც მთავარია (თუ იმ საცურაო კოსტიუმს არ მივიღებთ მხედველობაში), ამჯერად არაფრის ყიდვას არ აპირებდა, არც სხვისთვის და არც თავისთვის. არ იყო საამისო განწყობა. ამჯერად დაღუპვის წინათგრძნობამ ჩამოიყვანა აქ და, თუმცა, პარიზული მაღაზიების ზერელე დათვალიერებაც კი, ერთ სიამოვნებად ღირდა, იქითკენ გახედვაც ესიკვდილებოდა, წინა ჩამოსვლისგან განსხვავებით, რადგან წინა ჩამოსვლაზე, ჩაისუნთქა თუ არა აქაური ჰაერი, მაშინვე რაღაც გაურკვეველი, უფრო სწორად კი, დიახაც რომ გარკვეული დანაშაულის გრძნობა დაეუფლა ყველა თავისიანის მიმართ, საერთოდ რკინის ღობის მიღმა დარჩენილთა მიმართ, და ფრანსუაზასთვის განკუთვნილი დრო - წლების მანძილზე თავაუღებელი შრომით, შეუვალი სიმარტოვით, უსაზღვრო მოთმინებითა და სრული მორჩილებით მოპოვებული რამდენიმე დღის თავისუფლება - ძირითადად საყიდლებზე გაიფლანგა, რამაც, თავისთავად ცხადია, ლამის სიგიჟემდე მიიყვანა მარად უთქმელი, მარად დამთმობი, მარად თავშეკავებული ფრანსუაზა და ერთ მშვენიერ დღეს, ქაღალდისა და ცელოფანის ვეება პარკები შუა მაღაზიაში დაჰყარა და თვითონაც ჩაჯდა იატაკზე - ფეხს აღარ მოვიცვლი აქედანო - მაგრამ არც ფრანსუაზას სიგიჟეს მოჰყოლია რაიმე არსებითი შედეგი, ვიდრე აველუმმა ყველა თავისიანს არ უყიდა აქაური, ესე იგი, უცხოური, თუნდაც სულ უმნიშვნელო საჩუქარი, რათა, იქნებ ასე მაინც (რაკი სხვა გზა არ არსებობდა), მოეშორებინა ის არასასიამოვნო,

ყველაფრის ჩამამწარებელი, ყველას წინაშე დამავალდებულებელი შეგრძნება ნაქურდალი, დაუმსახურებელი თავისუფლებისა და ბედნიერებისა, ანუ როგორც უკვე ვთქვით, გარკვეული კონკრეტული დანაშაულისა. მაგრამ თუკი მაშინ დანაშაულის გრძნობა, ასე თუ ისე, მაინც ცხოვრებასთან აბრუნებდა, უფრო მეტიც, აიძულებდა ცხოვრებას (მაგალითად, ერთი მაღაზიიდან გამოსული მეორეში შედიოდა, მისთვის საჭირო ნივთისა თუ საქონლის შესარჩევად და შესაძენად, რის გამოც, უნდოდა თუ არა, მაინც აუცილებლად უხდებოდა ქალაქის ერთი უბნიდან მეორეში გადასვლა, ხან ფეხით, ხან მანქანით, ხან ავტობუსით და ხან მეტროთი, ხოლო, ერთი ადგილიდან მეორეზე გადასულს, გზადაგზა, თუნდაც მხოლოდ სულის ჩასაბრუნებლად, ქარის ამოსაღებად - ერთი წუთით ჩამოჯდომა რომელიმე პატარა რესტორნის ჭრაჭუნა სკამზე და ცივი ლუდისა თუ გამდნარი გიშერივით ღვინის მოწრუპვა), ახლა დაღუპვის წინათგრძნობა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ სიცოცხლის ჟინსა და უნარს უთრგუნავდა, რასაც, რასაკვირველია, ვერ ამბობდა, სათქმელადაც რცხვენოდა, რადგან თუკი აქამდე რამეთი გამოირჩეოდა სხვებისგან, ალბათ სიცოცხლის ჟინითა და უნარით. ქუჩაში გალახული ბავშვი, რა თქმა უნდა, შინ გარბის, მაგრამ მშობლის, ქომაგის, იმედის დანახვით გულმიცემულს, მაინცდამაინც მასთან, იმედთან, ქომაგთან, მშობელთან უძნელდება საკუთარი უბედურების გამხელა და არც ამხელს ვიდრე შეუძლია, ვიდრე ძალით არ ათქმევინებენ. ოღონდ, ამით კი არ იშორებს, კიდევ უფრო ღრმად იმარხავს გულში მისი გამლახავი ხალხის შიშს, შიში კი, ავეჯის ჭიასავით, შიგნიდან, მალულად, თანდათანობით უღრღნის გულს,

კიდევ უფრო ასუსტებს, აუძლურებს, რადგან დამალული ყველაფერი ათმაგად მავნეა. თავისთავად ცხადია, აველუმსაც კიდევ უფრო აფორიაქებდა, კიდევ უფრო აგანგაშებდა და, რაც მთავარია, კიდევ უფრო უმძაფრდებოდა დაღუპვის წინათგრძნობა, იქ, სატუსაღოში გაჩენილი, მაგრამ აქ, თავისუფალ სამყაროში, თითქოს უფრო გაზრდილიცა და გამოაშკარავებულიც, მიუხედავად ფრანსუაზას გულითადობისა და მზრუნველობისა, ანუ, მაგიდასთან უაზრო, უშედეგო საუბრებისა, საწოლში კი, გათენებამდე, თვალდაჭყეტილი წოლისა და ათასნაირი ვარაუდით ტვინის ჭყლეტისა.

ეს წინათგრძნობაა ალბათ, პირუტყვს რომ აზმუვლებს, ძაღლებს რომ აყმუვლებს, გველებსა და ვირთხებს რომ მიერეკება სოროებიდან - დამანგრეველი, დამაქცევარი მიწისძვრის დაწყებამდე.

გასცდნენ თუ არა ვერსალის საჯინიბოებს (მათი შესადარი, სასახლეც არ ღირსებია ბევრ ქვეყანას), ტრიანონიც გამოჩნდა. უფრო სწორად, წესიერად არც იყვნენ დაძრულნი, ფრანსუაზამ მანქანა რომ გააჩერა და თქვა, მოვედითო. მაგრამ აველუმი ტრიანონის ასეთმა სიახლოვემ კი არ გააკვირვა (თუმცა, დარწმუნებული იყო, უფრო დიდხანს მოუწევდა მანქანაში ჯდომა, რაც გულახდილად რომ ვთქვათ, ბევრად ერჩია ისტორიული ძეგლების თვალიერებას), არამედ, მაშინვე რომ იშოვეს მანქანის დასაყენებელი ადგილი. უფრო მეტიც, ზუსტად იქ გაჩერდნენ, სადაც უნდოდათ, სადაც მისვლას აპირებდნენ. პარიზში ამგვარი რამ თითქმის წარმოუდგენელ ბედნიერებას უდრიდა. ფრანსუაზას რამდენჯერმე უნდა შემოევლო სახლისათვის, ხან მთელი უბნისთვისაც, ვიდრე მანქანის ჩასატევ ადგილს მიაკვლევდა სხვა, უკვე დაბინავებულ მანქანებს შორის. ისე გაბრაზდებოდა ხოლმე (სინამდვილეში, ბოლოს და ბოლოს, ასე პოულობდა გამოსავალს მისი უთქმელი, გულში დამალული, მთელი დღის ნათმენი წყენა და სიბრაზე), თან საჭეს სცემდა პატარა მუშტებით და თან - მეღდ, მეღდ, მეეეღდო - გაიძახოდა თვალებანთებული.

აველუმმა ერთბაშად ვერ აღიქვა დაბალი (ვერსალთან შედარებით) მოვარდისფრო შენობა, თუმცა ბავშვობიდან ესმოდა, ბავშვობიდან აწუხებდა ტრიანონის ოხვრაცა და ტრიანონის კედლებზე მითოვლილი ფარშევანგებიც. სასახლის ბაღში ზაფხულის სურნელოვანი შუადღე ჩამყუდროვებულიყო. ბაღის ბილიკებსა და ქვის პატარა, "ორადგილიან" სკამებზე ცაცხვის ყვავილი ეყარა. რომელიღაც ცაცხვის დაბურული წიაღიდან ჩიტის ჭიკჭიკი ისმოდა. ერთი წუთით გაჩუმდებოდა ხოლმე, თითქოს ვიღაცისგან გამოპასუხებას ელოდებაო, და ისევ აჭიკჭიკდებოდა.

- ამ სკამზე მადამ დე პომპადურიც მჯდარა - თქვა ფრანსუაზამ, აველუმის პირადმა გიდმა, მაგრამ იმდენად არა მის გასათვითცნობიერებლად, რამდენადაც გამოსაფხიზლებლად, ბნელი, მძიმე ფიქრებიდან გამოსაყვანად.

აველუმი ქვის სკამზე იჯდა, ხელებით სკამის კიდეს ეყრდნობოდა და მხრებამოყრილი, კისერდაგრძელებული უსმენდა უჩინარ ჩიტს. ყურებში კი ისევ დასაქოქი მტრედების უსიამო ჩხრიალი ედგა, თუმცა, თვითონაც იცოდა, ვერაფრით ვერ მოაღწევდა აქამდე მათი ხმა.

- ლითონის მტრედი ზეთისხილის შტოს ვერ მოგვიტანს - თქვა უცებ - ტყუილად გვაქვს იმედი - გაიცინა ბრაზიანად.

რასაკვირველია, გრძნობდა საკუთარ უსამართლობას (თუ უსინდისობას არა) და ამის შეგრძნებას უფრო მეტად გამოჰყავდა წონასწორობიდან. ეს უფრო აბნევდა და აცოფებდა, მაგრამ ვერ ხვდებოდა, რა სჭირდა, რატომ იქცეოდა ასე. იმის მაგივრად, მადლობა ეთქვა, საყვედურობდა, ეკინკლავებოდა ერთადერთ ადამიანს, რომლის იმედითაც გამოქცეულიყო განსაცდელიდან, დაღუპვის წინათგრძნობიანად, და რომელიც, მიუხედავად ყველაფრისა, მზად იყო ისევ გაეწია მისთვის იმედის მაგივრობა. ფრანსუაზა არაფერში არ იყო დამნაშავე. პირიქით, კვლავინდებურად ცდილობდა გაეგო მისთვის, დაემშვიდებინა, მოევლო და, რაც მთავარია, მიეტევებინა კიდეც. მაგრამ, ადვილი შესაძლებელია, სწორედ ეს იყო აველუმის შფოთვისა და წუხილის მიზეზიც. საცა სამართალია, თვითონ უნდა დაემშვიდებინა ფრანსუაზა (სიტყვით მაინც), მადლობა გადაეხადა, ბოდიში მოეხადა ყველაფრისთვის, რასაც ალბათ ფრანსუაზაც ელოდებოდა, სჯეროდა, როდისმე მაინც დაუფასდებოდა სიყვარულის სახელით ჩადენილი, მოთმენილი, გადატანილი და, შეიძლება, ამის რწმენა, ამის მოლოდინი გახლდათ ის ჯადო და თილისმა, აქამდე რომ აძლებინებდა საერთოდ, თუ გნებავთ, უფლებას აძლევდა, აქამდე გაემართლებინა და არათუ გაემართლებინა, ღვთის წყალობად, ზღაპრულ იშვიათობად, გამორჩეულთა ხვედრად ჩაეთვალა თავისი საკმაოდ ჩვეულებრივი, უღიმღამო, მოწყენილი და ყველა სიკეთესთან ერთად, გაუნელებელი შიშით, ელდით, სიზმრებითა და ჩვენებებით ნასაზრდოები, განშორების ტკივილითა და შეხვედრის სიხარულით გაბრიყვებული ცხოვრება. ეს კი ყველაზე კარგად აველუმმა იცოდა და, სხვათა

შორის, იმიტომაც იჯდა ახლა აქ, ცოდვის, დანაშაულის, თუნდაც შეცდომის მოსანანიებლად და არა ტურისტული ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, საქვეყნოდ ცნობილ სასახლეში, სადაც ჯერ კიდევ ეჩვენება ყურს სეფექალების გულამოღებული, გრძელი, წელში გამოყვანილი კაბების შარიშური, ხოლო თვალს - ოქროსფრად გაბრწყინებული მათი შიშველი მხრები, მათი მაღალი ყელ-კისერი და მათ ნაზ, დრეკად ხელებში უზარმაზარ აფრიკულ პეპლებივით აფარფატებული მარაოები. მაგრამ აველუმი რასაც ამბობდა და აკეთებდა, მისდაუნებურად ამბობდა და საკუთარ თავთან შეუთანხმებლად აკეთებდა. უფრო მეტიც, თითქოს მისი არსება საერთოდ უიმისოდ, მის გარეშე არსებობდა და, მაინცდამაინც, მის წინააღმდეგ იყო ამხედრებული, თუკი რაღაც სხვა, იდუმალი, გარედან თავსმოხვეული ძალა არ აკეთებინებდა და არ ალაპარაკებდა იმას, რაც არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაეკეთებინა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა ეთქვა.

რაც მთავარია (და ეს აცოფებდა ყველაზე მეტად), ახლა გაცილებით მძაფრად, გაცილებით სრულად განიცდიდა ამ თხუთმეტი თუ ოცი წლის წინათ გადატანილ შფოთსა და მღელვარებას, ტკივილსა და სიბრაზეს, რაც ფრანსუაზას "მოსკოვურ არდადეგებთან" იყო დაკავშირებული, რაღა თქმა უნდა, ძირითადად ფრანსუაზას იქაური ნაცნობ-მეგობრებისადმი გადაულახავი უნდობლობისა და მათ ყოფა-ქცევასა თუ ადათ-წესებზე ერთხელ და სამუდამოდ შექმნილი და საკმაოდ არასახარბიელო წარმოდგენის გამო. სხვათა შორის, სონიას ღალატის შემდეგ უფრო ხშირად ფიქრობდა იმ ამბებზე და უფრო მეტადაც იტანჯებოდა, ვიდრე თავის დროზე. არც ისაა გამორიცხული, სონიასგან ნაღალატევს ეჩვენებოდა უფრო დამაეჭვებლადაც და უფრო დამაკნინებლადაც იმდროინდელი ამბები და თუკი თავის დროზე სიტყვაც არ გადაუკრავს ფრანსუაზასთვის ამის შესახებ, უფრო სწორედ კი, სერიოზულად ერთი წამითაც არ დაეჭვებულა თავად, ახლა, ტრიანონის სასახლის ბაღში, აყვავებული ცაცხვების დამათრობელ სურნელში, სეფექალების ლამაზი, სანდომიანი უკანალებით გაცვეთილ ქვის სკამზე - რომელზედაც, ვინ იცის, ქალბატონი პომპადურიც მართლა მჯდარა, იმისთვისაც გადაუწევინებია ვიღაცას კისერი (ალბათ თავად მეფეს) ვარსკვლავებით გადაბდღვრიალებული ცის დასანახად - ძლივს ერეოდა თავს, კბილს კბილზე აჭერდა, ცოცხლად რომ არ შეეჭამა მისი მოულოდნელი, გაუგებარი და ლამის ლანძღვა-გინებაში გადაზრდილი ქარაგმებითა და საყვედურებით გაოგნებული, შეწუხებული, დაბნეული და, რასაკვირველია, მაინც კმაყოფილი, მაინც ბედნიერი ფრანსუაზა.

საერთოდ არ გაუმართლა მოლოდინმა, ვერ მიაკვლია პარიზში იმას, რაც იქ ეგულებოდა და ასე რომ მოხდებოდა, ჩამოსვლამდეც უგრძნობდა გული, თუნდაც იმიტომ, პირწავარდნილი უსინდისობა რომ იყო საკუთარი ტყავის გადასარჩენად ჩასვლა ხალხთან, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ მისგან ელოდებოდნენ გადარჩენას, თუნდაც - ცნობასა და აღიარებას. ამის ბრალიც იყო ალბათ, უკვე გაქცევაზე თუ ეჭირა თვალი. ჯერ წესიერად არც ჩამოსულიყო და უკვე იმაზე ფიქრობდა, როგორ ეთქვა, ნაკლებად მტკივნეული რომ ყოფილიყო ფრანსუაზასთვის მისი "აღარ შემიძლია აქ გაჩერებაო", და არა მარტო იმიტომ, მართლა რომ უჭირდა ლუკმის ჩაყლაპვა, არამედ რაღაცნაირად უპატრონოდ, დაუცველად, გამოქცეულად თუ გამოძევებულად რომ გრძნობდა თავს სამშვიდობოზე. ასეთი უმწეო და საცოდავი (როგორადაც იმ წუთას აღიქვამდა თავს), არც ფრანსუაზას ღირსი იყო და არც უკანონო შვილისა. თუმცა, შვილსაც მისი ნაყიდი საცურაო კოსტიუმი უფრო გაუხარდა ამჯერად, ვიდრე მისი მოულოდნელი გამოცხადება. ის საბრალო გროშები, სატუსაღოდან რომ გამოიტანა, თითქმის მთლიანად ჭრელი ნაჭრის პატარა ნაკუწში გადაიხადა და, კიდევ კარგი, შეეძლო გადახდა, რადგან ცოტა რამ თუ გაახარებს ალბათ მის უკანონო შვილს მომავალშიც (ღმერთმა ქნას, ასე არ იყოს), როგორც ნაჭრის იმ პატარა ნაკუწმა გაახარა და რომელიც სასწრაფოდ ჩაიზომა იქვე, მაღაზიაში, ხოლო ჩასაზომებელ კაბინიდან გამოსულმა, გულწრფელი, გულითადი მადლობა გადაუხადა თავის უკანონო მამას, რომელსაც მეტი არაფერი გაუკეთებია მისთვის ესოდენ გასახარი, ეგზომ საჭირო და მნიშვნელოვანი.

ამ ორი წლის წინ, მათი შეხვედრა, მხატვრულად რომ ვთქვათ, გაცილებით მრავლისმთქმელი და მრავლისაღმთქმელიც ჩანდა, თუმცა, მეტნაკლებად მაინც მოახერხა ორივემ გრძნობათა დამორჩილება (შეიძლება, გენეტიკური სიმორცხვე ვერ დაძლიეს), თითქოს საერთოდ პირველად კი არ ხვდებოდნენ ერთმანეთს, არამედ მორიგი, ოღონდ, მიზეზთა სმხვათა და სხვათა გამო, ზედმეტად გაჭიანურებული განშორების შემდეგ. "აი, ეს არის მამაშენიო" - თქვა ბატონმა რელუმ და აველუმს გული გაუჩერდა, ისეთი უკიდურესობამდე მისული ნდობით, სურვილით, ჟინით, სიხარულით, სიამაყით ჩაეხუტა ეს უცხო ბავშვი, რომელიც ასევე ჩაეხუტებოდა ალბათ ნებისმიერ უცხო კაცს, რომელზედაც მისიანები ეტყოდნენ, აი, ეს არის მამაშენიო. მაგრამ, ეტყობა, ასეთი რამ მხოლოდ ორი წლის წინ, მათი შეხვედრის, მათი გაცნობის, მათი გაერთიანების და, იმავე დროს, მათი ახლა უკვე სამუდამოდ გათიშვის პირველ დღეს იყო შესაძლებელი. ის გოგო ახლა ზღვის პირას დარბოდა თავის ტოლ-ამხანაგებში და ადვილი შესაძლებელია, აღარც კი ახსოვდა, არსებობდა თუ არა საერთოდ მისი უკანონო, უუფლებო და, ყველა სიკეთესთან ერთად, უფრანკებოდ დარჩენილი მამა. და თუ ახსოვდა, სულერთი იყო, მართლა ჩააკითხავდა მზის ამოსვლის კუნძულზე, დედასთან ერთად, თუ მის უნახავად შებრუნდებოდა თავის მარადიულ ციხეში. ორი წელი საერთოდ დიდი დროა ნებისმიერი მოზარდისათვის, განსაკუთრებით კი გოგოსთვის, და თხუთმეტი წლის გოგო ცამეტი წლის გოგოსთან შედარებით უკვე დასრულებული ქალია - საკუთარი, განსაკუთრებული შეხედულებებით, მიზნებით, განზრახვებით ცხოვრობს და თანატოლ გოგოსთან ერთად კარავში გათეული

ღამე ალბათ ყველაფერს ურჩევნია, მით უფრო - ეგრეთწოდებულ მამას, რომელიც საერთოდ ორჯერ უნახავს ცხოვრებაში და რომლისთვისაც სიტყვა არ უთქვამს ჯერ, არც ავად, არც კარგად (და ღმერთმა იცის, ეტყვის თუ არა როდისმე, ანუ, ექნებათ თუ არა როდისმე საერთო ენა იმათაც), რომელიც მისთვის, თუკი ბოლომდე გულწრფელები ვიქნებით, ბავშვობის დროინდელი, ბავშვურად გულუბრყვილო, ბებიის ან დედის გამონაგონი ზღაპრის გმირია და არა სინამდვილეში არსებული ჩვეულებრივი ადამიანი, მით უფრო, მშობელი, რომელიც სხვა მშობელივით, საზაფხულო არდადეგებს, მასთან ერთად, აუცილებლად, ზღვაზე ატარებს, ზამთრისას - მთაში, დანარჩენ დროს კი, ყოველ დილით, უთენია, ფაცაფუცით გარბის სამსახურში, ხოლო იქიდან მობრუნებული, ქანცგაწყვეტილი, სავარძელში გდია და ჯერ კიდევ კაშნემოხვეული, გაზეთებს ათვალიერებს, ვიდრე გაზის ქურაზე შემოდგმული კულინარული საოცრება - ფხვიერი წვნიანი თუ თხევადი ბიფშტექსი - გაცხელდებოდეს და თავის ბუნებრივ სახეს დაიბრუნებდეს. მისთვის მამა ლეგენდარული, თავგამოდებული მოგზაური იყო, ძირითადად ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის მკვლევარი, თეთრი დათვებისა და სელაპების მეგობარი და მათი მომთვინიერებელი, როგორც, ვთქვათ, ბებია უყვებოდა ხოლმე, როცა მოულოდნელად გამოღვიძებული, საწოლში წამოჯდებოდა და დაეჭვებულად გახარებული იკითხავდა: მართლა ჩამოვიდა მამაჩემიო? ხან კი იგივე მამა ხელფეხდაბორკილ, პირში ჩვარჩაჩრილ, ცვილით ყურებამოგლესილ ტუსაღად ჰყავდა წარმოდგენილი, რომელიც პარიზში ანდა მზის ამოსვლის კუნძულზე ჩაფრენას კი არა, საკნის

სარკმლიდან გამოხედვასაც ვერ გაბედავდა ცუდი ძიების შიშით და ასე იქნებოდა იქამდე, ვიდრე ის წყეული ცუდი ძიები, ბოლოს და ბოლოს, დაიძინე, აღარ შემიძლია. დასწყევლოს ღმერთმა. წყალს წაუღია ყველაფერი. ჯანდაბამდის გზა ჰქონია ყველას! - როგორც, ვთქვათ, დედა უყვებოდა, თავადაც მოულოდნელად გამოღვიძებული, ბოლომდე გამოუფხიზლებელი და ათმაგად გაღიზიანებული ამის გამო. სხვათა შორის, აველუმის წარმოდგენებშიც შვილი ყოველთვის ცალკე იდგა, თავისთვის თამაშობდა ცხელ სილაში, მზის ამოსვლის კუნძულზე, ვიდრე ისა და ფრანსუაზა ერთად იწვნენ გავარვარებულ ლოდზე, ერთმანეთის გვერდით, ერთმანეთს ჩახლართულნი, იმ პატარა, თავისთვის მოთამაშე არსების ფესვებივით, მაგრამ თვალისთვის სამუდამოდ მოკვეთილნი მისგან გალესილი ცულის პირივით ალაპლაპებული სივრცით. მათი ნაშიერი უიმათოდ არსებობდა თითქოს, თითქოს მათი კი იყო, მაგრამ მათ არ ეკუთვნოდა. კონკრეტულად კი არსებობდა, მაგრამ, იმავე დროს, ზოგადად ბავშვის, ზოგადად შვილის (სულერთია, კანონიერის თუ უკანონოსი) აბსტრაქტულ ცნებასაც წარმოადგენდა თითქოს, როგორც თავად სიყვარული, ანუ ერთადერთი ძალა, საშუალება თუ მეთოდი ბავშვის ამგვარი სახეობის შესაქმნელად, გნებავთ, მისაღებად. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, აველუმმა უკვე იცოდა (ესეც უიმისოდ მოხდა, მასთან შეუთანხმებლად მიიღო მისმა არსებამ ასეთი გადაწყვეტილება), ამჯერადაც ვერ ჩააღწევდა მზის ამოსვლის კუნძულამდე, ვერ იხილავდა, ვერ ეზიარებოდა ეგზოტიკურ ცივილიზაციას (ვითომ ეს იყო იქ ჩასვლის მთავარი მიზეზი), მაგრამ უკვე იმდენჯერ ჰქონდა მოსმენილი ფრანსუაზასგან იქაური

ამბები, წერილებშიც ისე ზუსტად, ისე სრულყოფილად აღუწერდა ხოლმე თავის საყვარელ კუნძულს, იქ გატარებულ დროს, ბუნებას, ამინდს, წამსვლელსა თუ მომსვლელს, ნუდისტურ პლიაჟზე მონებივრე ნიმფებსა თუ საზღვაო ბაზის დურბინდმომარჯვებულ მეზღვაურებს, ცხოვრებით კმაყოფილსა თუ ცხოვრებისგან გათავხედებულ ტურისტებს, უტიფრად რომ მოაბიჯებდნენ ქუჩებში დედიშობილები, გაპარასკევებული რობინზონები, და ხორთუმებივით მოაქანებდნენ თავიანთ საოხრეებს - მართლა რომ აღმოჩენილიყო იმ კუნძულზე შემთხვევით, დავუშვათ, საზღვაო კატასტროფის შემდეგ, დაუეჭვებლად იტყოდა, ეს მზის ამოსვლის კუნძულიაო, გაუთხოვარი დედების და უმამოდ შობილი ბავშვების თავშესაფარიო. მაგრამ სინამდვილეში არსებული კუნძული ალბათ მაინც განსხვავდებოდა მის წარმოდგენაში არსებულისგან, თუნდაც იმით, წარმოდგენილი თითქმის უკაცური რომ იყო. უფრო ზუსტად, ჯერ ისა და ფრანსუაზა იყვნენ მხოლოდ მისი ბინადრები, მერე კი - ისინი და მათი ნაშიერი, და რაც არ უნდა ცუდი ამინდი ყოფილიყო თბილისში, თავსხმა, თოვლჭყაპი თუ ქარიშხალი, იქ, წარმოდგენილ კუნძულზე მაინც მარადიული მზე ჩახჩახებდა და მარად მშვიდი, ღვინისფერი ზღვა ხავერდოვანი ენით ლოკავდა სილიან ნაპირებს. აველუმიც ყოველთვის ფრანსუაზას გვერდით იწვა იმ კუნძულზე, მზით გავარვარებულ ლოდზე, და მზემიჭვრიტინებული, ოდნავ გახელილი ცალი თვალით ხედავდა ნახევარ ფრანსუაზას (ესეც ნიშანდობლივი იყო ალბათ, მათი ცხოვრებიდან გამომდინარე), უფრო ზუსტად, ხედავდა ფრანსუაზას მხოლოდ ცალ საფეთქელს, ცალ თვალს (დახუჭულს), ცალ ყურს, ცალ ნესტოს, ცალ ყბას, ცალ

მხარს (გულისამაყუჩებლად მომრგვალებულს), ცალ მკლავს (სხეულის ჩრდილში გაწოლილს, გარინდულს, დამოუკიდებელ არსებასავით, და ძლივს შესამჩნევი, თითქოს ახლახანს, მის თვალწინ ამოსული ოქროსფერი ბუსუსით მოფენილს), ცალ ძუძუს (მუქი შვინდისფერი და ხორკლიანი კერტით), ცალ ფერდს (მწევრის ფერდივით ჩავარდნილს), ნეკნების ცალ მწკრივს (რომელიღაც მუსიკალურ საკრავს რომ ახსენებდა ყოველთვის) და ცალ ფეხს (მუხლში მოხრილსა და ჯერ კიდევ დაცვარულს ზღვის მსხვილი წვეთებით). თითქოს მხოლოდ ნახევარი ფრანსუაზა ეკუთვნოდა მას. მაგრამ ამას ალბათ უფრო აიტანდა, უფრო შეეგუებოდა (როგორც მთვარის სულ ერთი და იგივე ნახევრის ცქერას), ვიდრე მოზიარის, კონკრეტული მამაკაცის (გინდაც დასაბმელი გიჟის) არსებობას, ანუ, იმის დაშვებასა და აღიარებას, ამ ქვეყნად კიდევ რომ ჰქონდა ვიღაცას ნება (ბედნიერება), შესცილებოდა, წაერთმია მისთვის ფრანსუაზას მეორე ნახევარი, სულერთია, ვინც არ უნდა ყოფილიყო ის, გარდა თავად მახინჯი ცხოვრებისა, გულგრილი გეოგრაფიისა, ბრიყვული პოლიტიკისა, ესე იგი, ფრანსუაზასავით ორად გაყოფილი მსოფლიოსი და, რასაკვირველია, გარდა მისივე საკუთარი, ოღონდ არანაკლებ მახინჯი, გულგრილი და ბრიყვული შეხედულებებისა ყველაფერ იმაზე, რაც ზემოთ ჩამოვთვალეთ. ხოლო, უფრო ნათლად, უფრო დაუნდობლად თუ ვიტყვით, გარდა მისივე სისუსტისა, გაუბედაობისა, სიმხდალისა - რის გამართლებასაც და გაიდეალებასაც ცდილობდა სულ, ოღონდ ამაოდ, პოეტურადაც და პროზაულადაც, რაკი შესანიშნავი პირობები არსებობდა საამისოდ, თავად ხელისუფლებისგან შექმნილი, თითქოს საგანგებოდ

მისთვის, უფრო თავისუფლად (ღირსეულადაც) რომ მოეხერხებინა მას მარადიული ცნებებით შენიღბვა ყოველდღიური, წარმავალი, წვრილმანი ვნებებისა და განცდებისა, ანუ, საკუთარი უზნეობისა და უპასუხისმგებლობის გამართლება კონკრეტული პოლიტიკური სიტუაციებით. ამიტომ უშლიდა ალბათ ფრანსუაზას საყვარელი მზეც ორივე თვალის ფართოდ, თამამად, ბოლომდე გახელას და მთლიანად შესრუტვას ტკივილამდე ნაცნობი, მარად თითქოს მისი და მარად სანატრელი, მარად საძებარი სიშიშვლისა, სიმკვრივისა, სიმხურვალისა, რომელსაც ნებისმიერი ურდულის, ბორკილის, კედლისა თუ ჯებირის გალხობა ძალუძს. ამიტომაცაა ალბათ მის წარმოდგენებში ყოველთვის ცალკე, ყოველთვის მისგან (მათგან) მოშორებით რომ დაცოცავს ცხელ სილაში დედიშობილა პატარა გოგო, თითქოს მისი ნაშიერი კი არა, მისი უმწეობის, მისი უზნეობის, მისი ორბუნებოვანობის დამადასტურებლად და დასაგმობად შექმნილი ბუნების ჯადოქრობის წყალობით, რომელსაც ამ ორი დღის წინ ერთი ჭრელი ტრუსიკი უყიდა, თავისი მშობლიური მზრუნველობის გამოსახატავად, და, ღმერთმა იცის, კიდევ თუ მიეცემა როდისმე მსგავსი მზრუნველობის გამოხატვის შესაძლებლობა.

ერთი კი ცხადია: ამჯერად აშკარად არ შედგა დღესასწაული - აუცილებელი მხლებელი, დამამშვენებელი და დამამშვიდებელი არა მარტო მათი შეხვედრებისა, არამედ განშორებებისაც. და მართლაც, ის ძველი დღესასწაულები იმდენად მათ გუნება-განწყობილებას არ გამოხატავდნენ, რამდენადაც ადასტურებდნენ მათი ურთიერთობის მარადიულობას.

დღესასწაულისა რა მოგახსენოთ, სასამართლოს განწყობა კი ნამდვილად სუფევს ტრიანონის ბაღში, აყვავებული ცაცხვების სუნით დაბანგულ ჰაერში. შეფარვით, ქარაგმულად, გაუბედავად უყენებენ ერთმანეთს ბრალდებებს და, რაც მთავარია, აღიარებენ კიდეც დანაშაულს, თამამად, უყოყმანოდ. "ხო, მართალია, ასე იყოო" - უდასტურებენ ერთმანეთს. ასე რომ, არც სამხრეთ საფრანგეთში მანქანით გასეირნება გამოვა ამჯერადაც. რაღაც სერიოზული მოიშალა მექანიზმში, რომელიც მათ ნებისმიერ შეხვედრას თავისთავად გადააქცევდა ხოლმე დღესასწაულად. არადა, რატომ არ შეიძლებოდა ვითომ, ერთით მეტი დღესასწაული გამოსვლოდათ?! ვის დააკლდებოდა, ან ვის მიემატებოდა, რაც მათ უნდა ენახათ, ეგრძნოთ და განეცადათ ერთად ყოფნით, ერთმანეთის წყალობით, ერთმანეთის გამო და ერთმანეთის მეშვეობით?! მართლაც ვის რა დაუშავდებოდა, რა ჩინ-მედლები დაეკარგებოდა, თუკი აველუმი ერთხელ კიდევ იჯდებოდა მანქანაში ფრანსუაზას გვერდით, ჭიპამდე პერანგგაღეღილი, და თუკი მისი კმაყოფილად მომღიმარი და მაინც ძველ სამარხში ნაპოვნი დოქივით ათასნაირად დაბზარული სახე ერთხელ კიდევ აირეკლებოდა ფრანსუაზას მზის სათვალის დაბინდულ შუშებში; თუკი ქარით აფრიალებულ ტურისტულ რუკას ერთხელ კიდევ დაუჭერდა ფრანსუაზას, რათა იმას მანქანის შეუჩერებლად დაეზუსტებინა, სწორად მიდიოდნენ თუ არა, სადაც მიდიოდნენ იმჟამად; თუკი გზისპირა რესტორანში ერთხელ კიდევ "წაიხემსებდნენ" მკლავის სიგრძე ფრანგულ პერში ბლომად ჩატენილი შაშხის ნაზი ბურბუშელითა და ხასხასა, ხრაშუნა სალათის ფოთლებით; თუკი ღვინოსაც შეუკვეთავდნენ თან,

რომელიც, რასაკვირველია, ცოტათი უკეთესი აღმოჩნდებოდა ადრე გასინჯულ ღვინოებთან შედარებით და რომელსაც, ჩვეულებისამებრ, ალბათ მანქანაშიც მოიყუდებდნენ მერე, პირდაპირ ბოთლიდან - არც ტანსაცმლის დალაქვისა მოერიდებათ და არც საგზაო პოლიციისა, - იმიტომ რომ... იმიტომ რომ... და ასე შემდეგ და ასე შემდეგ... რადგან, ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირი გამეორებით, კიდევ უფრო გასაგები კი არ ხდება ჩვენთვის ესა თუ ის სიტყვა, არამედ საერთოდ კარგავს ჭეშმარიტ აზრსა და მნიშვნელობას.

- ალბათ კუნძულზე ამჯერადაც ვერ წავალთ - თქვა აველუმმა.

ფრანსუაზამ, რა თქმა უნდა, გაიგო, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია მისი ნათქვამისითვის. ვითომც, არ გამიგიაო. ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად არაფერი შესტყობია. ჩვეულებისამებრ, მოხდენილად ფეხი ფეხზე გადადებული იჯდა აველუმის გვერდით და სიგარეტს ეწეოდა მშვიდად. აველუმი კი დარწმუნებული იყო, ძალიან შეაშფოთებდა ფრანსუაზას მისი მოულოდნელი განცხადება და ახსნა-განმარტებასაც უფრო დაწვრილებით მოთხოვდა. მაგრამ რაკი იმან არაფრად ჩააგდო ეს ამბავი, ცოტა არ იყოს, ნირწამხდარმა გააგრძელა თვითონვე: სხვა თუ არაფერი, მრცხვენია, სირცხვილია, იმათაც ხომ არ გადავრევ (ბატონ პოლსა და ქალბატონ მადლენს გულისხმობდა), იმათაც ხომ ვერ ავუხსნი ყოველ წუთას ერთსა და იმავესო.

- იცით, მე კი არ ვმიზეზობ, ყლაპვა მიჭირს. არ ვიცი, რისი ბრალია. საყლაპავი მილი თითქოს რიგზეა, სრულებითაც არ დამვიწროვებია, კიბოც არ უნდა მქონდეს, როგორც თქვენმა, ესე იგი, უცხოელმა, პარიზელმა ექიმმაც დაადასტურა. მაგრამ... - გამოაჯავრა საკუთარ თავს. თან ჯამბაზივით იმანჭებოდა, ვითომ ასეთი ამაზრზენი, ასეთი აუტანელი ვარ, როცა ზრდილობიანად ვლაპარაკობო - მოკლედ, არ შემიძლია. ამას მირჩევნია... - მოამთავრა ჩვეულებრივი ხმით. უფრო სწორად, ვერ მოამთავრა, ვერ თქვა, რა ერჩია "ამას".

- მართალი ხარ - არ აცალა ფრანსუაზამაც - ჯობდა სულ არ ჩამოსულიყავი, ასე თუ დაიტანჯებოდი.

აველუმისათვის არ მიუმართავს. თავისთვის თქვა თითქოს. სიგარეტს ეწეოდა და ოდნავ თვალმოჭუტული (ალბათ სიგარეტის ბოლისგან), ცაცხვის სურნელით დაბანგული ბაღის სიღრმეში იყურებოდა.

- მე მირჩევნია... - სცადა სათქმელის დამთავრება აველუმმა, მაგრამ ფრანსუაზამ არც ახლა აცალა.

- სხვათა შორის, მეც უშენობას უფრო ვარ შეჩვეული, ვიდრე შენთან ყოფნას. ისე მოიქეცი, როგორც შენთვის აჯობებს, ყოველ შემთხვევაში, ჩემი გულისთვის...

- არა. ნუ გეშინია - გააწყვეტინა ახლა აველუმმა - მარტო შენი გულისთვის არ დავიტანჯები. არავითარ შემთხვევაში. შენ მაგაზე ნუ იდარდებ. მეც კარგად ვიცი, უჩემობას უკეთ რომ იტან. ხოლო, უფრო გულახდილები თუ ვიქნებით, ალბათ ხელსაც გიშლი ხოლმე ჩემი მოულოდნელი გამოცხადებებით - თან შეძრწუნებული ფიქრობდა, რა სისულელეებს ვლაპარაკობო.

- ხა, ხა, - თქვა ფრანსუაზამ, ვითომ პასუხის ღირსადაც არ ვთვლი ამ სისულელესო.

მაგრამ, ეტყობა, ცოტათი მაინც აღელდა, რადგან სიგარეტი მაშინვე ქვაზე დაასრისა მთელი ძალით და გადამეტებული გულმოდგინებით გადაწმინდა ქვიდან სიგარეტის ჭვარტლი და ფერფლი. თუმცა, იმ ადგილას მაინც შესამჩნევად გამოშავდა ქვა.

- მე პარიზს არ ვგულისხმობ. პარიზი ჩვენთვის შორს არის. ხელი ვერ მიგვიწვდება - უარესად აღელდა აველუმი - გახსოვს? - დაჰყვირა მიწას, ისევ ხელებდაბჯენილმა სკამის კიდეზე - ერთი დღით ჩამოვფრინდებოდი ხოლმე, კარტში მოგებული ფულით, შენ კი იპოდრომზე გარბოდი შენს არისტოკრატ მეგობრებთან... ჩემი მიტოვება შეგეძლო, იმათი გაწბილება კი არა. ასე არ არის?! ასე არ იყო?! - შეეშალა სახე აველუმს, ოღონდ, თვითონაც არ იცოდა მგონი, რას ესწრაფვოდა, რას ელოდა ფრანსუაზასგან, უფრო სწორად, რა ერჩია თავად, დათანხმებულიყო ფრანსუაზა თუ არ მიეღო, უარი ეთქვა ამ ბრალდებაზე. ეტყობა, ეს ფრანსუაზამაც იგრძნო და, ამჯერად, ვეღარ მოერია თავს, ვეღარ შეინარჩუნა მოგონილი სიმშვიდე და ყოველგვარი ქალური ფარისევლობისა თუ კოპწიაობის გარეშე, გულწრფელად, პატიოსნად დაეთანხმა მაშინვე: მართალი ხარ, ძალიან ცუდად ვიქცეოდი, თვითონაც ბევრჯერ მინანია ამაზეო - რამაც, კი არ დააცხრო, კიდევ უფრო გააცეცხლა აველუმი. თითქოს იქამდე თვითონაც არ სჯეროდა მტკიცედ, რასაც ამბობდა, და რაკი სხვამაც დაუდასტურა, თანაც სწორედ იმან, ვისაც ამის დადასტურებაც და უარყოფაც ყველაზე მეტად შეეძლო, მხოლოდ მაშინღა იწამა საბოლოოდ. და თუ აქამდე მაინც ეწინააღმდეგებოდა, მაინც ებრძოდა თავს, ახლა მთელი არსებით, მთელი მგზნებარებით ჩაჰყვა, ჩაიძირა დაგვიანებული თუ გულში დაძველებული ეჭვიანობის ვერაგსა და გამაპამპულებელ მორევში. თუმცა, ეჭვიანობა ალბათ მაინც მეორადი გრძნობა იყო მისთვის იმ წუთას და ესეც, რასაკვირველია, უარესად ურევდა თავგზას. თავად ფრანსუაზა არსი კი არ იყო მისი

გულისწყრომისა, გულისტკივილისა, თუნდაც, სიგიჟისა, არამედ მხოლოდ მიზეზი ამ გულისწყრომის, გულისტკივილისა და სიგიჟის გამოსავლენად. და მართლაც, ფრანსუაზა მხოლოდ ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენდა იმ ცხოვრებისა, რომელიც, ახლა, ამ წუთას, უიმედოდ, შეუმჩნევლად ადნებოდა ხელში, ეცლებოდა ფეხქვეშ და ემხობოდა თავზე. თვითონ კი ახალშობილივით უმწეო იყო, რამე ეღონა, რამე მაინც გადაერჩინა, რამდენადაც იმ ცხოვრების ყოველი ნაწილი, იმავე დროს, მთელსაც გულისხმობდა თავისთავში, მთელი კი, უპირველეს ყოვლისა საკუთარ ნაწილებს განასახიერებდა, ოღონდ, წინასწარ დაუდგენელი და ბუნებრივივით უმტკივნეულო მონაცვლეობით. ამით მთელის, ანუ, აველუმის ცხოვრების არსი ისევე არ იცვლებოდა, როგორც სამყაროს არსი არ იცვლება წელიწადის დროთა ანდა ზოდიაქოს თანავარსკვლავედთა მონაცვლეობით. მაგრამ იმ ცხოვრებიდან უკვე აღარაფერი დარჩენილიყო და ამის შეგრძნება, ყველაზე მეტად სწორედ აქ, სიყვარულის ამ მარადიულ ბაღში იყო მტკივნეულიც, დამაკნინებელიცა და გამაბითურებელიც. მაგრამ მაინც არ შეიძლებოდა აველუმის გამართლება. იმ ცხოვრებიდან, შეიძლება, მართლა აღარაფერი დარჩენილიყო, მაგრამ ხომ იყო ოდესღაც ყველაფერი?! იმათაც ხომ განეცადათ ის "ყველაფერი" ერთად, ან ერთმანეთის მეშვეობით?! განა ეს ცოტაა? განა მარტო ამის გამო არ იმსახურებდა იგივე ფრანსუაზა მისგან მადლობასა და თაყვანისცემას? ის კი... ის კი, კლინიკიდან გამოქცეული გიჟივით გაჰყვიროდა, თვითონაც რომ არ იცოდა რას. თუმცა, ნურას უკაცრავად! კლინიკიდან გამოქცეული გიჟები ქალებს კი არ ეჩხუბებიან, სკამს

უთმობენ საქალაქო ტრანსპორტში. გიჟიც კი არ იყო ის და ალბათ ვერასოდეს შეიტყობდა, რა იყო სინამდვილეში, რისთვის იყო, უნდა ყოფილიყო თუ არა საერთოდ.

- ვერ უყურებთ ამას?! - შესძახა ყბააცახცახებულმა - მე ბნელში ვიჯექი ჭოტივით, ლიფტიორი ქალის შიშით სინათლეც ვერ ამენთო, არ მომაგნოს, არ დამიფრინოს აქედან მეთქი, ეს კი, როგორც იტყვიან, ევროპულად ერთობოდა, ან საელჩოში იჯდა იატაკზე და ვიღაცის ჭიქაში ჩარჩენილ შამპანურს წრუპავდა ("ფიჰ! მეზიზღება შამპანური" - ჩაურთო ფრანსუაზამ), ან რომელიღაც მორიგი დეგენერატი გენიოსის, ანუ ჩემი არ იყოს, ძალით გააბსტრაქციონისტებული მხატვრის ("ოჰო! ეგ კი არ ვიცოდი!"- ისევ ჩაურთო ფრანსუაზამ) ბინძურ ხავერაში... უკაცრავად, სახელოსნოში, ატელიეში, სტუდიაში დიასახლისობდა გამოსული ქალის თამამი უშუალობითა და უშუალო სითამამით. თქვენ რას სვამთ? თუმცა, სხვა მაინც არაფერი გვაქვს. "ნარინჯოვანი". ბრრრრ... ("სიღარიბე დასაცინი არ არის" - ჩაურთო ფრანსუაზამ). მე მეუბნები? მე მხოლოდ სიღარიბითა ვარ მდიდარი. ყოველდღე ცოტას, ერთხელ უხვად მირჩევნია. მაგრამ მაინც ვიტყვი ჩემსას, როგორც არ უნდა შემიშალო. თქვენ ხომ ყველაფერზე თვალს ხუჭავთ, მშვენიერება რომ დაინახოთ?! ოღონდ "მშვენიერი" ყველაფერი შეიძლება აღმოჩნდეს იმედისმომცემი და ყველაფრის მკისრებელი მხატვრის სახელოსნოში. თქვენც ყველაფრისთვის მზად ხართ. დიახ, თქვენ, ფრანგები! ხელოვანთა მფარველობა არა მარტო თქვენი სულიერი მიდრეკილებაა, არამედ ხორციელი მოთხოვნილებაც. ოღონდ ყველასი კი არა, არავითარ შემთხვევაში, როგორ გეკადრებათ! ბევრი თქვენი სახელოვანი მხატვარი შიმშილითაა მკვდარი, ეთიოპელი ობოლივით. არამედ ვისიც... ვინც... ვისაც... - ვერ იპოვა უცებ საჭირო სიტყვა, ანდა, უკანასკნელ წამს მოერიდა პირზე მომდგარი სიტყვის თქმა და უნებურად

შეყოვნდა, მაგრამ საკუთარი დაბნეულობისაც შერცხვა და ისევ მტკიცედ გააგრძელა - ვისიც გეშინიათ, თუნდაც, ვისიც გერიდებათ, თქვენივე ევროპული პროვინციალობის გამო. ვისაც ერთ ხელში მდორედ, ზანტად მწვეთავი ფუნჯი უჭირავს, მეორეში კი - მონური შურის, სიძულვილის, პატივმოყვარეობის მახვილი. და თქვენც... და თქვენც, ავად მოლაპლაპე მახვილის შიშით, სიამოვნებით ულოკავთ მდორედ, ზანტად მწვეთავ ფუნჯს - უცებ გაჩუმდა და ცალი თვალით გამოხედა ფრანსუაზას, თითქოს შეამოწმა, მისმენს თუ არაო. ანდა, თითქოს ასე გააფრთხილა, სცენაზე შენი გამოსვლის დროც მოახლოვდა და მოემზადეო. ფრანსუაზამ ენა გამოყო და სცადა ზედ დაეხედა. იმან კი წარბები აწკიპა, ტუჩები უშნოდ მოპრუწა და ვითომ ფრანსუაზას ხმით გააგრძელა - იცით, როგორი ორიგინალურია?! ისეთი უბრალოა... ისეთი ადამიანური... კი აბა, ბებიაშენისამ! - ჩაურთო მაშინვე "საკუთარი" ხმით, ვიდრე ისევ შეიცვლიდა ხმას - იცით, იმ დღეს ოთხად გაჭრილი გაუფცქვნელი ხახვი მოგვართვა, ეს არის მთელი ვახშამიო. წარმოგიდგენიათ?! - გაბრაზდა ისევ. - აი, ამას ჰქვია ნამდვილი ბოჰემა! სიძუნწეზე რომ არაფერი ვთქვათ. ანდა, თუნდაც სიბრიყვეზე. სიღარიბე აქ არაფერ შუაშია. თუ ხახვის მეტი არაფერი გაქვს, ვახშამს რატომ მართავ სახელოსნოში?! ელოდები, რომ საჭმელ-სასმელს სხვები მოიტანენ?! ამას სხვა სახელი ჰქვია. ვაზვიადებ რამეს? - მიუბრუნდა ფრანსუაზას. ფრანსუაზას ეცინებოდა, მაგრამ თავს იკავებდა, აველუმს რომ არ შეემჩნია და უარესად არ გაბრაზებულიყო - რა გაცინებს? - მაინც შეატყო აველუმმა - განა სასაცილოა?! მარტო ამისთვის ღირდა პარიზიდან მოსკოვს გადასახლება. ამის გულისთვის.

მარტო ამის გამო. მაგრამ მეც რომ გაუფცქვნელი ხახვი მეჭმია შენთვის, მოგეწონებოდა? შეჭამდი? - უყვირა ისევ.

ერთი წამით, ცაცხვის რომელიღაც ხეზე მოჟღურტულე ჩიტი ჩაჩუმდა, იმდენად მოულოდნელი, იმდენად შეუფერებელი აღმოჩნდა ეს მგზნებარე ორატორია იქაურობისთვის. საერთოდაც, ალბათ მთელს დედამიწაზე, მარტო მათ თუ შეეძლოთ რაიმე აზრის გამოტანა ნათქვამიდანაც და მოსმენილიდანაც, რაც ჩვეულებრივი აბდაუბდა, აბრაკადაბრა იქნებოდა და მეტი არაფერი ნებისმიერი მესამე ადამიანისათვის, განსაკუთრებით კი აქ, ტრიანონის სასახლეში, სადაც ვინ იცის, საიდან არ ჩამოსული ტურისტები, ბედნიერებისაგან სახეგაცისკროვნებულნი, საქმიანად გაფაციცებულნი და ეშმაკურად მომღიმარნი (განსაკუთრებით აზიელები), დაჰყვებოდნენ კუდში თავიანთ გიდებს პიკანტური ჩვენებებით გამოვსებულ ტალანებსა თუ ცაცხვის ყვავილით მოფენილ ბილიკებზე. სათქმელს აქ თვალები ამბობდნენ ძირითადად. აველუმი კი ლამის ღრიალებდა, წყალქვეშა კლდეებისაკენ გაქანებული გემის ანძაზე შერჩენილი მეზღვაურივით. ხოლო დარცხვენილი ფრანსუაზა თავჩაღუნული ეჯდა გვერდით, ჯერჯერობით ზერელედ დაეჭვებული (მეექვსე გრძნობის წყალობით), რაღაცას, საბედისწეროდ ავსა და სახიფათოს, ბოლომდე ვერ ჩაწვდენილი, მაგრამ მაინც კმაყოფილი და მაინც ბედნიერი. უფრო სწორად, კი მოსწონდა, რაც მათ შორის და მათ გარშემო ხდებოდა, მაგრამ, იმავე დროს, შიგადაშიგ, მოულოდნელად, რაღაც სხვა, სრულიად უცხო და ამიტომაც უსიამო გემოც დაჰკრავდა ყველაფერს - სიგარეტსაც, ჰაერსაც, მზესაც, ცაცხვის სურნელსაც, ჩიტის ჭიკჭიკსაც და აველუმის ხმასაც - როგორც ერთ რომელიღაც ძალიან გემრიელ კერძს, არანაკლებ

გემრიელი, მაგრამ მაინც განსხვავებული და პირველთან ყოვლად შეუფერებელი სხვა კერძის გემო.

უგუნებობა საერთოდ აველუმის ერთ-ერთი გამოსარჩევი თვისება გახლდათ - ხანდახან ისე მოულოდნელად, ისე უმიზეზოდ მოიწყენდა ხოლმე, ფრანსუაზა საგონებელში ვარდებოდა, ვარაუდებით იტკიებდა თავს, ვიდრე უკეთ გაიცნობდა და შეეჩვეოდა მის ცვალებად ხასიათს. ამჯერად კი წინასწარ, აველუმის ჩამოფრენამდეც იცოდა, ხალისიანი მოსაუბრის, უბადლო კულინარის, შეუმცდარი ჭაშნაგირის, შეუცვლელი მეინახისა და გამოუსწორებელი მუსუსის ნაცვლად, ავად მოღუშული, წარბებშეჭმუხნული, კრიჭაშეკრული საშინელება შერჩებოდა ხელში - ასკეტი რაინდისა და ორთოდოქსი მეუდაბნოეს ხელოვნური ნაჯვარი, ოღონდ თვითჩასახვისა და თვითშობის გზით მიღებული - და ეს რომ ასე იქნებოდა, ჯერ კიდევ ტელეფონით საუბრისას შეატყო ხმაზე (როცა იმან მოსკოვიდან დაურეკა და გააფრთხილა, ამა და ამ დღეს ვიქნები პარიზშიო). თითქოს დაინახა კიდეც ის ხმა (და ამან შეზარა სწორედ), რაღაცნაირი მკვდრული სიჯიუტით, მხოლოდ და მხოლოდ გარდუვალობის ძალით დაძრული სატელეფონო კაბელში, როგორც ტკივილით გაოგნებული და შხამიანი ნერწყვით გაგუდული ბაჭია მახრჩობელა გველის ნაწლავში. მაგრამ მისდა გასაოცრად და მისდა გასახარად, მოკრა თუ არა შორიდან თვალი (აეროპორტში), მაშინვე დამშვიდდა - ზედმეტად მხიარული და ზედმეტად ხალისიანიც კი მოეჩვენა ერთი შეხედვით, თუმცა, ამგვარი შთაბეჭდილება, ალბათ, იმანაც შეუქმნა, ვიღაც ლამაზ ქალს რომ მოაცილებდა ის და, ჩვეულებისამებრ, თავაზიანობად, ყურადღებად იყო ქცეული, რაც ყოველთვის ძალიან მოსწონდა ფრანსუაზას და ძალიანაც აფასებდა. ქალი კი

ნამდვილად ლამაზი იყო - აზიური ყვრიმალებითა და ირიბად გაჭრილი თვალებით ქალბატონ შოშას ჰგავდა. კი არ ჰგავდა, ქალბატონი შოშა იყო ნამდვილად, ეს წუთია გადმოსული წიგნიდან. მაგრამ იმდენად არ გააკვირვა ამ ამბავმა (აველუმის მგზავრობამ ლიტერატურულ გმირთან ერთად), რამდენადაც დაავალდებულა ჩვეულებრივი ადამიანური ყურადღება და გულისხმიერება გამოეჩინა სწორედ ლიტერატურული გმირის მიმართ, რაკი ისიც იძულებული გაეხადა ცხოვრებას მიეტოვებინა თავისი მარადიული, საიმედო თავშესაფარი (წიგნი) და, ვინ იცის, რა მიზნითა და რისი იმედით, ჩამჯდარიყო ჩვეულებრივ (ანუ ნამდვილ) თვითმფრინავში, ჩვეულებრივი (ანუ, ნამდვილი) ადამიანივით. ვიდრე აველუმი გამოეთხოვებოდა, ფრანსუაზა მხოლოდ იმ ქალს უყურებდა და უცხოდ აღარ ეჩვენებოდა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, მისთვის ყველაზე ახლობელი, ყველაზე საყვარელი, რაც მთავარია, ყველაზე ნამდვილი, ყველაზე რეალური ადამიანის გვერდით რომ ხედავდა. აველუმისა და იმ უცხო ქალის ცქერამ არა მარტო დაამშვიდა, უკვე გაბზარული რწმენაც განუმტკიცა იმისა, ყველაფერი ძველებურად რომ იქნებოდა ისევ და არავითარ შემთხვევაში არ შეეხებოდა მათ ურთიერთობას ბოროტების იმპერიაში და, აქედან გამომდინარე, მთელს ქვეყანაზე მიმდინარე ცვლილებები. ის კი არა, რაღაცნაირი (ოღონდ, უფრო მშობლიური, ვიდრე ქალური) სიამაყითაც კი გაიფიქრა - ტყუილად შემაშინა ტელეფონზე, მშვენივრად გამოიყურება და რაც მთავარია, თავისას მაინც არ იშლის, ძველებურად არ უშვებს შემთხვევას ხელიდანო. აველუმსაც განგებ წარბშეკრული შეეგება, "ეჭვიანობის სცენა" გაითამაშა, აველუმისათვის რომ

ესიამოვნებინა და, დოინჯ-შემოყრილმა, სალმის მაგივრად ჰკითხა: რაო, ქალბატონმა შოშამ, რა მინდაო? - ვითომ მაინც ვეჭვიანობ, თუმცა, თვითონაც კარგად მომეხსენება, ლიტერატურულ გმირზე ეჭვიანობა სისულელეა და მეტი არაფერიო. აველუმს კი ელდა ეცა: რის ამოხსნასაც მთელი გზა ამაოდ ცდილობდა, ამოხსნილი დაახვედრა ფრანსუაზამ. აველუმსაც სულ ენაზე ედგა ქალბატონ შოშას სახელი, მაგრამ ვერ იქნა და ვერ ამოთქვა. სამაგიეროდ, ახლა ისიც კი გაახსენდა, კარიც რომ გაჯახუნდა თითქოს თვითმფრინავში, როგორც კი თვალი მოკრა იმას, თვითმფრინავშიც თავისთვის განმარტოებულსა და წერით გართულს. მაგრამ თავისი გაოცება აღარ გამოუხატავს. ხმაში აჰყვა, მხარი აუბა ფრანსუაზას და თვითონაც ისე, სხვათა შორის მოაყოლა: რა ვიცი, რა უნდა. ალბათ წიგნში ჯდომა მობეზრდა და გადაწყვიტა თავად ეახლოს მკითხველს, რაკი მკითხველი აღარ მიდის მასთანო. ფრანსუაზასაც ეს უნდოდა - მაშინვე დარწმუნდა, სწორედ ის აველუმი იდგა მის წინ, ამ ოცდახუთი წლის წინ რომ იხილა პირველად, როცა ვანის საგანძურის დასათვალიერებლად შუშის ვიტრინებზე დახრილმა, ერთი წამით, უნებლიეთ თავი წამოწია და თითქოს ლითონის ჯართისგან შეკოწიწებულმა სახემ უმალ გააოგნა, ვიდრე განაცვიფრა, უმალ დააფრთხო, ვიდრე აღაფრთოვანა.

უგუნებობა მოგვიანებით შეეტყო აველუმს, როცა შვილი მოიკითხა. უფრო სწორედ, როცა, ბოლოს და ბოლოს, ორივეს გაახსენდათ შვილიც რომ ჰყავდათ (ღმერთო, როგორ შეცვლილიყო ამ ორი წლის განმავლობაში!), და ისიც ზანტად, უხალისოდ წამოიზლაზნა კედლის სიგრძე სარკმლის დაბალ რაფაზე ჩამომჯდარი, თითქოს მონატრებულ მამას კი არ უნდა შეჰგებებოდა, დედამისს უნდა წარედგინა ის თავისი მეგობრისათვის, რომლის არსებობის შესახებ გაგებული კი ჰქონდა, მაგრამ თავისი ბავშვური მრწამსითა და თვალსაზრისით, მკვდარი მამის ღირსების შებღალვად თვლიდა საერთოდ იმის არსებობას; ანდა, შეიძლება კიდევ უფრო მოგვიანებითაც, როცა დაბნეულ, დაძაბულ მისალმებასა და მოკითხვებს მორჩნენ და მანქანისაკენ დაიძრნენ, უნებურად დაბორკილნი მიუჩვეველი სიახლოვით. მართლაც, მამა-შვილის პირველ შეხვედრასთან შედარებით, იმდენად უღიმღამო, იმდენად თვალშისაცემად "ნელთბილი" აღმოჩნდა მათი მეორე შეხვედრა, ფრანსუაზა თვითონვე შეწუხდა და მანქანაში ჩასხდომამდე შეფარულად ანუგეშა თუ თავისებურად მოუბოდიშა აველუმს: ისეთ ასაკშია, არაფერი არ უნდა ეწყინოს მაგისგან კაცსო.

- წარმოგიდგენია, კარავში აპირებს ცხოვრებას, ზღვის ნაპირზე, დობილთან ერთად - დაამატა ღიმილით, თითქოს უკვე გამოთქმული მოსაზრების კიდევ უფრო განსამტკიცებლად.

ის კი (მათი შვილი) უკვე მანქანის უკანა სავარძელზე გადათხლეშილიყო, სპორტსმენივით.

ასე რომ, როცა ის (შვილი), დეიდებთან და ბებია-ბაბუასთან ერთად, კუნძულზე გაისტუმრეს, სადაც ვითომ თვითონაც უნდა ჩასულიყვნენ მოგვიანებით, ფრანსუაზამ, ცოტა არ იყოს, შვებით ამოისუნთქა - მისი აზრით, მესამე შეხვედრამდე, მამაც მოასწრებდა დამშვიდებას და შვილიც მოეგებოდა გონს. მაგრამ ფრანსუაზამ არ იცოდა, ყველაზე ნაკლებად ეს ამბავი რომ აწუხებდა ახლა აველუმს. უფრო სწორად, სრულებით არ გაუკვირდებოდა, "ნელთბილად" კი არა, საერთოდ თუ არ მიესალმებოდა შვილი, რადგან პირველი შეხვედრისგან განსხვავებით, ამჯერად, არათუ უნებლიე დამნაშავედ, არამედ პირწავარდნილ გარეწრად თვლიდა თავს მის წინაშე და ამაზრზენ უსინდისობად მიაჩნდა თავისი ამჟამინდელი საქციელიც, ანუ, თანაგრძნობის, ყურადღების მოთხოვნა იმისგან, ვინც თავად უყურადღებოდ, უპატრონოდ ჰყავდა მიგდებული და წლების განმავლობაში თითს თითზე არ აკარებდა, არავითარ ღონეს არ ხმარობდა, რამე შეეცვალა, უკეთესობისკენ თუ არა, უარესობისკენ მაინც. თუმცა, უარესი რაღა უნდა ყოფილიყო! გარდა სიტყვებისა, გინდაც გარდა სიტყვებით გამოთქმული გრძნობებისა, სხვა არაფერი ჰქონდათ საერთო, არც სამშობლო, არც ენა, არც წარსული და არც მომავალი. არაფერი! თავსაც იტყუებდნენ და ერთმანეთის მოტყუებასაც ცდილობდნენ საყოველთაოდ მიღებული, მაგრამ ყოვლად უფესვო, გუდაფშუტა, ცაში მოტივტივე თეორიებისა და კანონების მოშველიებით ან უარყოფით. ამის დადასტურება იყო მათი ორივე შეხვედრაც - პირველი თავისი გადამეტებული გულითადობით და მეორე ასევე თავისი გადამეტებული გულგრილობით. რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა

აქვს, ვისგან იღებს ქალი მუცლად, მაგრამ მნიშვნელობა აქვს თავად ქალისთვის, ქალის ცხოვრებისთვის, თუნდაც ქალის საიდუმლო ცხოვრებისთვის და არა მისი საიდუმლოს ნაყოფისთვის, მისი შვილისთვის. შვილისთვის მთავარია, ვინ დაისვამს მკლავზე, ვიდრე სიარულს ისწავლიდეს; ვინ გავარდება მისი წამლის საშოვნელად, გიჟივით, როცა ავად გახდება; ვინ მოუყვება ზღაპარს ძილის წინ, თუნდაც მთქნარებითა და ბუზღუნით; ვინ წაიყვანს, ვთქვათ, ზოოპარკში და ვინ აახევს ყურს, ვთქვათ, რაიმე უზნეო საქციელისთვის, ანდა უზრდელური სიტყვა-პასუხისთვის. რაც მთავარია, არავითარ შემთხვევაში აღარ ეპატიებოდა თავისუფალ ველუმს ის, რაც მონობაში ალბათ ღირსებადაც ეთვლებოდა. ამიტომ, ნამდვილად აჯობებდა, თუკი ყველაფერს თავისი სახელი დაერქმეოდა. თუკი აღარც თვითონ ითვალთმაქცებდა (თუნდაც მისდაუნებურად, გარემოებებიდან გამომდინარე, ანდა თუნდაც სიყვარულის სახელით) და, თავისთავად ცხადია, სხვებსაც, ანუ, ძალაუნებურად მასზე დამოკიდებულ ხალხსაც დააცდიდა საღად აზროვნებასა და სწორი, უფრო ზუსტად კი მათთვის უფრო ხელსაყრელი, მათთვის უკეთესი გადაწყვეტილებების მიღებას. რა თქმა უნდა, ვითომმამის ყოლას უმამობა სჯობს. ვითომმამისგან ყველაფერი ვითომაა, ცარიელია, ფუჭია - სიტყვაც, საჩუქარიც, თანაგრძნობაც, სიყვარულიც! - როცა თავიდანვე ჩანერგილმა, შეგნებულმა და გაცნობიერებულმა უმამობამ, შეიძლება, ბევრ რამეში ბიძგიც კი მოგცეს, სხვებზე მეტი გაგაკეთებინოს. ასე რომ, არათუ "ნელთბილი" შეხვედრა, ველუმს არც ის გაუკვირდებოდა ვითომშვილისგან, მოურიდებლად თუ

მიახლიდა პირში (ოღონდ, საკითხავია, რომელ ენაზე!) - სატანჯველად და საწამებლად შენ დედაჩემის გაპამპულებაც გეყოფა, მე კი, ღვთის გულისათვის, თავი გამანებეო.

მაგრამ ვიდრე ამას ეტყოდა ვითომმამას, ჯერ კეთილი ენება და დედისთვის ეკითხა, რა აზრისა იყო ამის თაობაზე, თვლიდა თუ არა თავს გაპამპულებულად მისი ვითომმამისგან. არავითარ შემთხვევაში! "არავითარ შემთხვევაშიო" - ბობოქრობდა გუნებაში აველუმი, და ასევე აბობოქრდებოდა ალბათ ფრანსუაზაც, ასეთი რამ მართლა რომ ეკითხა ვინმეს მისთვის. თუკი ვინმე იყო გაპამპულებული, მხოლოდ - აველუმი და მისი "უმიზეზო" მრისხანებაცა და "უსამართლო" ბრალდებებიც ფრანსუაზას მიმართ, უპირველეს ყოვლისა, სწორედ იმით იყო განპირობებული, მაინცდამაინც, აქ, ტრიანონის სასახლეში რომ გრძნობდა ამას. გნებავთ, აქაც რომ ვერ გაერკვია, რომელი უფრო აწამებდა, წარმოდგენილი თუ ნამდვილად ჩადენილი ღალატი. ჩვენში რომ ვთქვათ, თუკი ვინმეზე ეჭვიანობდა საერთოდ აველუმი, ფრანსუაზაზე ეჭვიანობდა ყოველთვის - ფრანსუაზას, არა თუ მიზეზი და საშუალება, უფლებაც მეტი ჰქონდა ღალატისა. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, სხვა სამყაროს ეკუთვნოდა, სხვა ქვეყანაში ცხოვრობდა, სხვა ადათ-წესებით, და ეჭვიანობისგან გინდაც ჭიპი გადმოგვარდნოდა, როცა მოგეპრიანებოდა, ანდა როცა მორიგი სიგიჟე წამოგივლიდა, მაინც ვერ ჩააკითხავდი შენს ნებაზე იმ სამყაროში და იმ ქვეყანაში, მით უფრო შენი სამყაროდან და შენი ქვეყნიდან - და ხანდახან, მისთვისაც მოულოდნელად, ისე მწარედ, ისე დაუზოგავად გაჰკრავდა ხოლმე გულში უსაფუძვლო, მხოლოდ და მხოლოდ მისივე გამძაფრებული ფანტაზიის დაუდევრობით ჩასახული და ბოლომდე დაუბადებელი ეჭვი, მზად იყო მგელივით ეღმუვლა, გველივით თავი კედელზე მიენაყა და

მუცელმოწყვეტილი ქალივით ეგორა მიწაზე, იმდენად აუტანელი, გაუსაძლისი იყო ეს ხელოვნური, გონებისმიერი გრძნობა, თვითგვემის უმარტივესი და უსასტიკესი იარაღი, რომლის მარწუხებსაც იოლად ვეღარ დააღწევდი თავს, რაც არ უნდა გეღონა. მაგრამ როცა სონიას წყალობით, სინამდვილეშიც განიცადა ის, რასაც მხოლოდ საკუთარ წარმოდგენებში განიცდიდა ფრანსუაზასთან დაკავშირებით, წარმოდგენილმა და დასაშვებმა გარკვეული თვალსაზრისით მაინც გაანელა ნამდვილისა და დაუშვებლის დამანგრეველი ძალა და, ამავე დროს, სერიოზული ფერისცვალება განიცადა თვითონაც, უფრო ზუსტად, თავისთავად, ძალდაუტანებლად (შეიძლება, აველუმის ფარული სურვილითაც), შეერწყა, შეუერთდა ნამდვილსა და დაუშვებელს და, მასთან ერთად, ასევე თავისთავად და ძალდაუტანებლად, პასუხისმგებლობაც იკისრა ყველაფერზე, რაც სინამდვილეში მოხდა, ან არ მოხდა, მაგრამ შეიძლებოდა მომხდარიყო.

აველუმი აღგზნებული ლაპარაკობდა, უკვე "როლში შესული", უკვე სიტყვას აყოლილი, საკუთარ ნალაპარაკევს მიტმასნილი, მიკედლებული, როგორც რომელიღაც პატარა, პარიზიტი მწერი, ბევრად დიდი ცხოველის სხეულს, მაგრამ, იმავე დროს, ალალბედზე მძებნელი გამოსასვლელი გზისა ამ უაზრობიდან, ამ გაუთვალისწინებელი, გაუმართლებელი სიგიჟიდან, რასაკვირველია, მათთვისაც (ამ შემთხვევაში, ფრანსუაზასთვისაც), ვინც კიდევ ითვლებოდა მისი იმპერიის შემადგენლობაში, ანუ, ვისაც ჯერ ვერ დაეღწია მისი სიყვარულისგან თავი.

აწრიალებული თვალებით სივრცეს მიშტერებული და სკამის კიდეზე ხელებდაბჯენილი ლაპარაკობდა, თვითონაც რომ არ იცოდა რას.

- კმარა, ხმა არ ამოიღო - გააჩუმა უცებ ფრანსუაზამ.

სკამიდან წამოდგა და, თავადაც აფორიაქებულმა, რამდენჯერმე უაზროდ გაიარ-გამოიარა სკამის წინ. იმასაც გადასდებოდა აველუმის მღელვარება.

- ყველაფერში მართალი ხარ, აკი გითხარი, აკი ვაღიარე... - გააგრძელა მღელვარებისგან ხმაშეცვლილმა - მაგრამ სხვანაირადაც არ შემეძლო. იმიტომ რომ... იმიტომ რომ, მეშინოდა... შეიგნე ერთხელ და სამუდამოდ - წინ გაუჩერდა და თავზე ხელი დაადო - შენსავით, შენსავით მეშინოდა - უთხრა დაყვავებით, როგორც ბავშვებს უყვავებენ ხოლმე საკუთარ სიმართლეში დაეჭვებული უფროსები - შენც ხომ მარტო დარჩენისა გეშინია და იმიტომ მლანძღავ ასე დაუნდობლად, ასე უსამართლოდ, ასე დაგვიანებით - უცებ გაჩუმდა, თითქოს ამოწმებდა, რამდენად სამართლიანი იყო თავად, რამდენად შეეფერებოდა საერთოდ სიმართლეს, რასაც ამბობდა, ანდა, იმდენად მართალი ეგონა თავი, უნებურად შეაწუხა ამის შეგრძნებამ, შეეცოდა თანამოსაუბრე, ყველა გზა რომ მოუჭრა ერთბაშად, კედელთან რომ მიაყენა და, მართლაც, რა განსხვავება იყო, კაცმა რომ თქვას, დავუშვათ, ფრანსუაზას მოსკოვურ "თავქარიანობასა" და აველუმის ამჟამინდნელ "თავდაჭერილობას" შორის? არავითარი. ერთი და იგივე მოვლენა, თუნდაც, გრძნობა, ერთი და იმავე მიზეზით განპირობებული, სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა გარემოში სხვადასხვანაირად ამჟღავნებდა თავს და, მხოლოდ და მხოლოდ, შიში ედო საფუძვლად, მარტო დარჩენის შიში, როგორც ფრანსუაზამაც თქვა, ოღონდ უფრო ქალური გუმანის კარნახით, რამდენადაც სხვა არავითარი საბუთი არ არსებობდა ამის დამამტკიცებელი. უბრალოდ, ფრანსუაზას აველუმზე ადრე გაუჩნდა ამ შიშის გრძნობა და აველუმზე მეტსაც ფიქრობდა საერთოდ ამასთან დაკავშირებით, თუნდაც იმიტომ, არასოდეს რომ არ სჯეროდა აველუმისა, არასოდეს მოუტყუებია თავი, ერთხელაც იქნება, აღარ

დაბრუნდება შინ და სამუდამოდ დარჩება ჩემთანო. როგორც ერთხელ უკვე ვთქვით, ფრანსუაზა იმდენად კარგად იცნობდა აველუმს, ისიც ყოველთვის წინასწარ იცოდა, თუ როდის დამთავრდებოდა მათი კიდევ ერთი დროებითი "ოჯახური" ცხოვრება. საკმარისი იყო ზემოთ ნახსენები უგუნებობა დაუფლებოდა აველუმს, ფრანსუაზაც უკვე მომავალ შეხვედრებზე იწყებდა ფიქრს, მომავალი შეხვედრებისთვის ემზადებოდა, არსებობდა თუ არ არსებობდა ამის რეალური საფუძველი, განსაკუთრებით კი მოსკოვში ცხოვრებისას, რათა მთელი მისი არსება, მხოლოდ და მხოლოდ, ამ საფიქრალით, ამ საზრუნავით, ამ იმედით ყოფილიყო გამსჭვალული და უბრძოლველად არ ჩავარდნოდა ხელში ლანდივით ადევნებულ სიმარტოვეს - საკუთარ გამოსახულებასავით უსხეულო, უწონო და მოუშორებელ ქალბატონს, ერთდროულად ჩასაფრებულს ყველა სარკეში, ყველა შუშაში და საერთოდ ნებისმიერ პრიალა საგანში, საიდანაც კუშტი თავაზიანობით გამოეგებებოდა ხოლმე მაშინვე, თუკი წამით მაინც გაუშტერდებოდა ფრანსუაზას თვალი. ფრანსუაზას არ შეეძლო აველუმივით, როცა მოეპრიანებოდა მაშინ დაეკრა ფეხი და გადახვეწილიყო თავის პარიზში. ასე იოლად ვერ მიატოვებდა იქაურობას, რადგან ის იყო ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლებოდა შეხვედროდა აველუმს, სადაც უაველუმოდაც უნდა ეცხოვრა, იმედი რომ არ მოშლოდა მისი ნახვისა, იქამდე უნდა ეცხოვრა, ვიდრე შესძლებდა, ვიდრე გააჩერებდნენ, რადგან აველუმსაც რომ უყვარდა იგი, წამითაც არ დაეჭვებულა არასოდეს და ყოველთვის მტკიცედ სწამდა, მისი მოსკოვიდან წასვლა, უპირველეს ყოვლისა, აველუმისთვის არ იქნებოდა სასურველი, აველუმს გაურთულებდა

ცხოვრებას. ამიტომ, არა მარტო ვალდებულად თვლიდა თავს, ვთქვათ, როგორც შეყვარებული, არამედ იძულებულადაც, როგორც ღირსებისა და თავმოყვარეობის მქონე ადამიანი, აეტანა და მოეთმინა ბევრი ისეთი რამ, რასაც არავითარ შემთხვევაში არ მოითმენდა და აიტანდა, აველუმს რომ არ გადაჰყროდა თავის დროზე, შემთხვევით. მაგრამ ფრანსუაზამ მაინც არ იცოდა მთავარი, ანდა მკრთალი, ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა მხოლოდ მთავარზე, ასევე აველუმის სანახევროდ გაშარჟებულ-გაიდუმალებული მონაყოლების წყალობით. მან არ იცოდა, ან არ სჯეროდა, აველუმის ცხოვრებას ბავშვობაში გაჩუქებული დის დანატოვარი სიცარიელე რომ ედო საფუძვლად და, ამიტომაც, ვერაფერს შეინარჩუნებდა ბოლომდე, მით უმეტეს მონობაში შექმნილსა და შეძენილს.

- აი, სონია გათხოვდა, თავს უშველა - თქვა უცებ აველუმმა.

- სონია?! რომელი სონია?! - გაიკვირვა ფრანსუაზამ და იმავე წამს იგრძნო, როგორ აფორიაქდა, როგორ აუჩქარდა გული.

- იცი შენ, ძალიან კარგად იცი - აღარ დაიხია აველუმმა.

- მერე?! - გატყდა ფრანსუაზაც.

- რა მერე? გათხოვდა. გადარჩა. ბედს ეწია - ვითომ აგდებულად, ვითომ გულგარეშე უთხრა აველუმმა, თითქოს ციხეში გაგონილ ჭორს უყვებოდა.

- როგორ თუ გათხოვდა?! - გულწრფელად გაბრაზდა ფრანსუაზა.

- როგორ და ჩვეულებრივად. როგორც ჭკვიანი ქალები თხოვდებიან - თქვა აველუმმა და ცაცხვის ყვავილი წკიპურტით გადაიგდო მუხლიდან- აბა, მე ხომ არ გადამყვებოდა? - დაამატა უკვე ნერვიული ღიმილით.

"აი, თურმე როგორ ყოფილა საქმეო" - გაიფიქრა ფრანსუაზამ. რასაკვირველია, იცოდა, ვინ იყო სონია. აველუმის გარდა, სხვა გზებითაც შეიძლებოდა "ციხის ჭორების" გაგება, თუნდაც ყოფილი ნაცნობ-მეგობრების მეშვეობით, რომლებიც არც დროს დაიშურებდნენ და არც ფულს საერთაშორისო სატელეფონო საუბრისთვის, თუკი ფრანსუაზასთვისაც "მეტად საინტერესო ამბავს" შეიტყობდნენ შემთხვევით. მოსკოვმა კი ყოველთვის გაცილებით მეტი იცოდა მათ შესახებ, ვიდრე პარიზმა ან თბილისმა. მაგრამ ფრანსუაზა ფიქრშიაც არ დაუშვებდა, ასე "მშვიდად", ასე "ჩვეულებრივად" თუ ილაპარაკებდნენ ამ საკითხზე ისა და აველუმი, საერთოდ თუ ახსენებდა აველუმი სონიას სახელს მისი თანდასწრებით. სონია, რა თქმა უნდა, მისთვისაც არსებობდა, მაგრამ არავითარი სურვილი არ ჰქონდა თავად, რაიმე ურთიერთობა დაემყარებინა მასთან. მართალია, დიდად არ განსხვავდებოდნენ ისინი ერთმანეთისგან, არც ბედითა და არც მდგომარეობით, ერთიც ის იყო რაც მეორე, ანუ, ორივენი ერთსა და იმავე უღელში ჰყავდა შებმული აველუმს, მაგრამ ფრანსუაზას ბევრად ერჩია, თუკი ეს "საიდუმლო" მარტო აველუმს ეცოდინებოდა, მარტო მის საკუთრებად დარჩებოდა, რადგან ამ "საიდუმლოს" გამხელამდე, მისი და აველუმის (ისევე, როგორც აველუმისა და სონიას) ურთიერთობა თითქმის უჩვეულო, თითქოს მომხიბვლელიც და, ამდენად, ყველასათვის მეტ-ნაკლებად გასაგებიც იყო და მისაღებიც, სხვანაირად რომ ვთქვათ, უმალ თანაგრძნობას იმსახურებდა, ვიდრე შერისხვას, დაგმობას და, რაც მთავარია, დაცინვას, თუნდაც მთავარი მსჯავრმდებლის - მელანიას - მხრიდან. "საიდუმლოს" გამხელის შემთხვევაში კი, მათი

ურთიერთობა თითქმის ჩვეულებრივ, თითქმის ყოველდღიურ, ყველასათვის ხელმისაწვდომ გარყვნილებად გარდაიქმნებოდა და არა მარტო მთავარი მსჯავრმდებლის, არამედ მისი ერთადერთი თანამზრახველის, ერთადერთი თანამებრძოლის - საკუთარი შვილის - თვალშიც. მაშინვე ერთ რიგით, გულისწადილს აყოლილ ძუკნად იქცეოდა მისთვის (და ყველა მისი ასაკის გოგოსთვისაც) და ვეღარაფრით ვეღარ აღიდგენდა წიგნის გმირივით უიღბლო სიყვარულისთვის წამებულის სახესა და სახელს. რაც მთავარია, ფრანსუაზას ნამდვილად არ ეგონა, როდისმე ასე თუ შესძრავდა, შეაშფოთებდა სონიას ბედი, თუნდაც მისი გათხოვება. არადა, ახლა ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს სონიას მარტო დაეტოვებინა ის საერთო უბედურების ჟამს, მარტო დაეტოვებინა აველუმის ხახაში. თითქოს აველუმისთვის კი არა, მისთვის ეღალატნა სონიას - თვითონ როგორღაც გადაეგდო კისრიდან თავისი წილი უღელი და ახლა უღლის ერთი ბოლო მიწაზე მიხრიგინებდა, მიითრევდა დალეწილ ტაბიკებსა და დაწყვეტილ აპეურებს, ხოლო უღელში მარტო დარჩენილ ფრანსუაზას უფრო უარესად ედრიკებოდა კისერი. "უსინდისოო" - თქვა გუნებაში. ისე უბრაზდებოდა, თითქოს სონიას როდისმე სიტყვა მიეცეს მისთვის, რაც არის არის, მოდი ბოლომდე ერთად გვიყვარდეს აველუმიო, ერთად გავწიოთ საერთო სიყვარულის მძიმე ჭაპანიო.

- ძალიან სამწუხაროა... დღითი დღე სულ თხელდება და თხელდება ჩვენი რიგები. სულ უფრო და უფრო ცოტანი ვრჩებით - თქვა ბოლოს მშვიდად.

- ვინ? - დაიძაბა აველუმი.

- ჩვენ! - გაუღიმა ფრანსუაზამ და მაშინვე გააგრძელა, ოღონდ უკვე მკაცრად, უღიმილოდ - ბრიყვები. ბრიყვთა ხომალდის მგზავრები. შენი ქვეშევრდომები.

ცაცხვზე ჩიტი ისევ თავგამოდებული ჭიკჭიკებდა, მაგრამ არცერთს არ ესმოდა მისი ხმა.

- მაინც გათხოვება სჯობს... ვიდრე... ვიდრე... - ვერ მოაბა სათქმელს თავი აველუმმა, ანდა, შეიძლება, უცებ გადაიფიქრა, მოერიდა ფრანსუაზასი, დაენანა, დაზოგა ბოლო წამს.

- ვიდრე? - წაეხმარა, არ მოეშვა ფრანსუაზა, ახლა უკვე დაძაბულად, გამომწვევად მომღიმარი, მომლოდინე ნებისმიერი სისაძაგლისა.

- სხვათა შორის, შენს საწოლთან, პატარა მაგიდაზე, თუ შეგიმჩნევია, ჩასახვის საწინააღმდეგო აბების კოლოფი დევს, სანახევროდ დაცლილი - თქვა აველუმმა და ხმაურით ჩაყლაპა ნერწყვი - ალბათ ყოველ შემთხვევისთვის სვამ, დასაზღვევად. ჩემმა წერილებმა რომ... ჰმ, ჰმ... - ჩაახველა თუ ჩაიცინა ერთსა და იმავე დროს. უფრო სწორად კი, უსიამოდ ჩაიხიხინა ნერვიულობისაგან ისედაც დავიწროვებულ ყელში - მაგრამ არა მგონია, ამ თვალსაზრისით, სახიფათო იყოს, როგორც შენ უწოდე ერთხელ, ეპისტოლური სიყვარული - (ფრანსუაზა დუმდა) - მართლაც, როგორც ეტყობა, ფრანგული წამლები ხანგრძლივად, წლების განმავლობაში ინარჩუნებენ ძალას. ჩვენ ხომ უკანასკნელად ამ ორი წლის წინათ შევხვდით? ასე არ გამოდის? ორი თვის მერე ორი წელი იქნება - მიუბრუნდა ფრანსუაზას, ვითომ მართლა აინტერესებდა ამის დაზუსტება.

- ის წამალი გერმანულია - თქვა ფრანსუაზამ.

- ეგ სულერთია! - მგზნებარედ შესძახა აველუმმა.

- ეგრე გეგონოს, - გაიცინა ფრანსუაზამ - ზოგი სუსტია, ზოგი ძლიერი. ძალიან ძლიერიც არსებობს. მაგალითად ჩინური აბები მაკე ნიანგს ჩააყლაპეს თურმე და თორმეტი კვერცხი გაულაყა მუცელში.

- მე არ ვხუმრობ - გაეღიმა აველუმს.

- ღმერთო ჩემო, არ მესმის როგორ ცხოვრობთ თქვენ! - შეწუხდა, აღელდა, გაბრაზდა ფრანსუაზა - ვერ გამიგია, რა გინდა ჩემგან? რა უნდა ჩავიკლა, რა უნდა ამოვიკვეთო, რას უნდა გავუძლო კიდევ! - უნებურად აუწია ხმას, მაგრამ მალევე სძლია სისუსტეს და მშვიდად გააგრძელა - ვიდრე შენ ჩემი გადარჩენის გეგმებს აწყობდი იქ, ჩემო გადამრჩენელო, მე თავს ძლივს ვერეოდი, ქუჩაში რომ არ გავვარდნილიყავი და პირველსავე გამვლელს არ ჩავვარდნოდი ფეხებში... პირველსავე შემხვედრს... თუნდაც კეთროვანს...

აველუმი აშკარად შეაკრთო ბოლო სიტყვებმა. ერთი წამით გამოხედა სწრაფად, ქურდულად, გადიდებული, აწრიალებული თვალებით. ლოყებიც კი შეეფაკლა უცებ და ამ მოულოდნელი შეკრთომის, დაბნეულობისა თუ შერცხვენის მისაჩქმალად - ხე, ხეო - ჩაიცინა ყასიდად, უსიამოდ, თუმცა, კაცმა რომ თქვას, სხვა მაინც არაფერი ჰქონდა სათქმელი.

- კმარა, კმარა. გავიცინეთ და გვეყოფა - თქვა ფრანსუაზამ - რას ვიზამთ, ასეთია ჩვენი ხვედრი - დაამატა ცოტა ხნის მერე, შემრიგებლურად. თან მხარზე გადაკიდული ტყავის პატარა ჩანთიდან მორიგ სიგარეტს იღებდა, მაგრამ, ამჯერად, იმდენად მოწევა არ უნდოდა, რამდენადაც განმუხტვა ამ უხერხული, უკიდურესობამდე მისული სახიფათო სიტუაციისა. ახლა ნებისმიერი მოუზომავი სიტყვა, მისგან თუ აველუმისგან ნათქვამი, შეიძლებოდა ორივესთვის ერთნაირად საბედისწერო აღმოჩენილიყო, თუკი შეგნებულად არ ესწრაფვოდნენ გათიშვას, განშორებას, ლამის ოცდახუთწლიანი სიყვარულისთვის წერტილის დასმას, მაინცდამაინც აქ, ფარშევანგის ფერებითა და სიყვარულის მარადიული ოხვრით დაბანგულ სასახლეში. ამიტომაც, რაც უფრო ნაკლებ ყურადღებას მიაქცევდნენ უკვე ნათქვამსა და ჩადენილს, მით უფრო გაუადვილდებოდათ, ახლაც და მომავალშიც, მისი "გასაღება" (თუნდაც საკუთარ თავთან) უმნიშვნელო, უსაფუძვლო, ჭეშმარიტ შეყვარებულთათვის თანაბრად დამახასიათებელ და თითქმის გარდუვალ გაუგებრობად. "პირობას გაძლევ, საღამომდე აღარ მოვწევო" - უთხრა ფრანსუაზამ მომარჯვებულ სიგარეტს, რა თქმა უნდა, აველუმის გასაგონად.

- განა როდისმე მითქვამს, შენი გადამრჩენელი ვარ-მეთქი? - იკითხა თავჩაღუნულმა აველუმმა.

- გითქვამს - გაიღიმა ფრანსუაზამ. შორეულ მოგონებებს გაუღიმა - თანაც ბევრჯერ - დაამატა მაშინვე. თან სიგარეტს უკიდებდა და მეორე ხელს გაზის ასანთის ალს აფარებდა გვერდიდან, ცაცხვის სურნელითა და ჩიტის ჭიკჭიკით გაბრუებულ ნიავს რომ არ ჩაექრო შემთხვევით - თითქმის ყოველთვის, როცა თვრებოდი - სიამოვნებით ამოაყოლა ბოლს.

- მე არავის გადარჩენა არ შემიძლია - აღელდა, აჩქარდა აველუმი - არ უარვყოფ. შეიძლება ვთქვი. შეიძლება მითქვამს... შეიძლება მინდოდა კიდეც. არც ეს არის გამორიცხული. მაგრამ... იცი რატომ? კარგი, კიდევ ერთხელ გეტყვი, რაკი შენით ვერ მიხვდი აქამდე. მე ფეხდაბიჯებული სისხლი მიდგას ძარღვებში. იცი, რას ნიშნავს ეს?

- არა, არ იცოდა ფრანსუაზამ, რას ნიშნავდა "ეს" და არც უნდა სცოდნოდა. ამასთან სახსენებელიც არ იყო უფულობა, უსამსახურობა, უძილობა, სტუმრად წასვლის თუ სტუმრის მიღების გამო მოგვრილი მღელვარება, შფოთი და წუხილი... მარტოხელა დედობაც კი! მაგრამ ეს რომ გაეგებინებინა ფრანსუაზასთვის, ძალიან შორიდან უნდა დაეწყო. თუმცა, თვითონაც არ იყო დარწმუნებული, რამდენად შესაძლებელია აუხსნა მეორე ადამიანს, რომელიც ამ დროს სახეში შემოგცქერის და რომლის ფეხსაც ეს წუთია შეეხე თავად, რომ შენ არ არსებობ, რომ ის (მეორე ადამიანი) ახლა მარტოა, ანუ ერთი ზის ამ ორადგილიან სკამზე, რაც აშკარად არ შეესაბამება თითქოს სინამდვილეს. მაგრამ აველუმს თვითონვე დაეზარა ლაპარაკის გაგრძელება. დაეზარა იმის ახსნა-განმარტება, რისი ახსნა-განმარტებაც მხოლოდ სიტყვების მეშვეობით მაინც ვერ მოხერხდებოდა. ამის მხოლოდ შეგრძნება შეიძლებოდა. ეს თანდაყოლილი, მემკვიდრეობით მიღებული, სისხლისმიერი შეგრძნება გახლდათ და არა გიჟის აჩემება, გამძაფრებული ნევროზის კიდევ ერთი გამოვლენა. მოკლედ, ამის გაგება თუ სურდა ფრანსუაზას, ის ცხოვრება უნდა გაევლო, რაც აველუმმა განვლო, თავის წინაპრებიანად, უხსოვარი დროიდან დღემდე. სწორედ ამ ცხოვრების კვალს დაეძებდა აველუმიც მთელი სიცოცხლე, მან მიიყვანა კრეტას აქოთებულ ლაბირინთშიც, რასაც კოპწია ლიტერატორები მითოლოგიით გატაცებად უთვლიდნენ. ამის გაგება აველუმის ქალებიდან მხოლოდ მელანიას შეეძლო, რამდენადაც ერთად, ერთდროულად ჰქონდათ გადატანილი ცხრა მარტიცა და ცხრა აპრილიც და, რაც მთავარია, ისიც იმ სამყაროს ნაწილი იყო,

რომელსაც ავად თუ კარგად, ახლა აველუმი წარმოადგენდა ტრიანონის სასახლეში. ამის გასაგებად აველუმის საყვარლობაც არ კმაროდა. მით უფრო არ კმაროდა, თუნდაც რამდენიმე წლით მოსკოვში გადასახლება.

- ვერ გაიგებ - თქვა აველუმმა და ფრანსუაზას ფეხზე ჩამოუსვა ხელი, მუხლიდან კოჭამდე და, ასე წინგადახრილი, გაშეშდა ცოტახანს - ოი, ჩემი ოსტეოხონდროზი! - შესძახა შეწუხებული ხმით. მერე ცალი ლოყა ფრთხილად, ნაზად ჩამოადო მუხლზე და თქვა: ახი იქნება, ასე რომ დავრჩეო.

ფრანსუაზამ მუხლი ოდნავ გააქნია, ვითომ არ გიშორებ, მაგრამ ვიცი, რომ ტყუი, ვიცი რომ არაფერი გჭირს საგანგაშო, მით უფრო, აქ დასარჩენიო.

- მაინც, რას ვერ გავიგებ? გააგრძელე - თქვა ფრანსუაზამ.

- ვერ გაიგებ - გაიმეორა აველუმმა.

ვერც გაიგებდა. ფრანსუაზა მოსკოვშიც "პარიზულად" ცხოვრობდა. ყოველ შემთხვევაში, ყველა ღონეს ხმარობდა, ყველანაირად ცდილობდა, მეტ-ნაკლებად მისთვის ჩვეული გარემო შეექმნა იქაც და, რასაკვირველია, ეს განაპირობებდა მხოლოდ მის "არისტოკრატულ მიდრეკილებებსაც", ვთქვათ, ცხენოსნობისადმი თუ მოსკოვური ბოჰემისადმი (ეგრეთ წოდებული უიდეო პოეტებისა თუ ხელმოცარული მხატვრების ბუნაგებისადმი). ის რამის გაგებას კი არ ცდილობდა (არ ეცალა საამისოდ), მით უფრო არსთა არსისა, არამედ ნებისმიერ დათმობაზე მიდიოდა, რათა გაეძლო და აეტანა. ერთი მიზანი ამოძრავებდა, რაც შეიძლება, შეუმჩნეველი დარჩენილიყო ახალ გარემოში, უკიდურეს შემთხვევაში, შემაწუხებელი კი არა, სასიამოვნო დანამატი ყოფილიყო მისი, თუნდაც - სასიამოვნო სხვაობა. აველუმი კი, მხოლოდ და მხოლოდ, ერთი ციხიდან მეორე ციხეში გადადიოდა, თბილისიდან მოსკოვში, უფრო ზუსტად კი, ერთი და იმავე, უზარმაზარი, მიწიერი საზომებისთვის ყოვლად შეუფერებელი ციხის ერთი ბლოკიდან მეორეში და, ამდენად, მისთვის, მაინცდამაინც, არც გარემო იცვლებოდა, არც ცხოვრების წესი. ამიტომაც იყო მისთვის, არათუ გამაღიზიანებელი, საერთოდ გაუგებარი, მიუღებელი და, რაც კიდევ უფრო საკვირველია, შეურაცხმყოფელიც ფრანსუაზას "არისტოკრატიული მიდრეკილებების" გამოვლენა სულით მონათა, ხორცით სნეულთა და ზნეწამხდართა გარემოცვაში...

- ვერ გაიგებ - გაიმეორა ისევ და თვითონაც რომ არ ჩაღრმავებულიყო უარესად ამ უსიამო ფიქრსა და უაზრო განსჯაში, მთრთოლვარე, დაძაბული ღიმილით მოაყოლა - მე, ესე იგი, მე, ისევე ვერ გადაგარჩინე შენ, ესე იგი, შენ, ფრანსუაზა, ოცდაორი წლის ფრანგი გოგონა, თავშესაქცევ სიყვარულს გამოქცეული და ჭეშმარიტი სიყვარულის საზარელ ხახაში ჩავარდნილი, როგორც თქვენ, ესე იგი, ფრანგებმა, ვერ გადაგვარჩინეთ ჩვენ, ესე იგი, ქართველები. ბუნებაში არაფერი იკარგება. ისტორიაში ყველაფერი მეორდება... რასაც დასთეს, იმას მოიმკი...

- ოჰო! ეს კი მართლაც საინტერესო მოსაზრებაა. რაც მთავარია, ახალი - სცადა გახუმრება ფრანსუაზამაც, მაგრამ, აველუმის ღიმილისა არ იყოს, თითებთან ერთად, სანახევროდ ჩამწვარი სიგარეტიც უთრთოდა.

- სხვათა შორის, ერთი ჩემი დიდი წინაპარი სწორედ აქედან გამოაპანღურეს შენმა დიდმა წინაპრებმა. არა, ცოტა უფრო ზემოდან, მთავარი სასახლიდან, ვერსალიდან. აქ ალბათ არც შემოუშვებდნენ, სასულიერო პირი გახლდათ.

- ხა, ხა - გაიცინა ფრანსუაზამ გამომწვევად. თითქოს აველუმს გამოაჯავრა, ანდა არაფრად ჩააგდო აველუმის ნათქვამი და უბრალოდ მოსინჯა, შეძლებდა თუ ვერა იმასავით ყალბად გაცინებას. აველუმმა კი მთვრალი ჰაერი ჯერ ხმაურით შეისრუტა ორივე ნესტოთი და მერე ჰაერთან ერთად ამოიქშინა: ხა, ხა, თქვენი არ იყოს, ქალბატონო ფრანსუაზაო.

- გთხოვ, ძალიან გთხოვ - შეევედრა ფრანსუაზა და ახლა იმან დაადო მუხლზე ხელი.

ცაცხვზე ჩიტი უსტვენდა. ისინი ჩუმად ისხდნენ. "ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემო. ღმერთო ჩემოო" - რატომღაც ზედიზედ იმეორებდა გუნებაში ფრანსუაზა. აველუმი კი დაინტერესებული, შემცბარი თუ გაკვირვებული ადევნებდა თვალს (რადგან არა მარტო გრძნობდა, ხედავდა კიდეც), როგორი შემპარავი დაუდევრობით ვრცელდებოდა მთელს მის არსებაში ფრანსუაზას პატარა, სუსტი, მღელვარებისაგან გაოფლილი ხელის ნაღვერდლისებური სიმხურვალე. საერთოდ, ორივე თავისებურად შემცბარი იყო და, იმავე დროს, ორივეს ერთნაირად მორეოდა დაღლილობა - გამოცარიელებულიყვნენ გაჭიანურებული სასამართლოს მონაწილეებივით. მართალია, იმ "სასამართლოზე" ძირითადად ქარაგმულად, ხუმრობითა და მინიშნებებით ხდებოდა ბრალდებების წაყენებაცა და დანაშაულის აღიარებაც, მაგრამ მაინც ისეთი გრძნობა დაუფლებოდა ორივეს, თითქოს სწორედ ის არ ეთქვათ, რასაც სასამართლო ავალდებულებდათ, უფრო სწორად, მეტი ეთქვათ, ვიდრე საჭირო იყო სასამართლო პროცესის წასამართად; კიდევ უფრო სწორად კი, თითქოს უნებლიეთ, მაინც წამოსცდენოდათ ის, რისი წამოცდენაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა, განსაკუთრებით დღეს და განსაკუთრებით აქ, რამდენადაც, ამის შედეგად შეიძლებოდა ბრალდებული ქცეულიყო ბრალმდებლად და პირიქით, ბრალმდებელი ბრალდებულად. კიდევ უარესი, შეიძლებოდა დასჯილიყო უდანაშაულო და თანაც სასჯელის უკიდურესი ზომით, ხოლო დამნაშავეს არხეინად გაეგრძელებინა თავისი დანაშაულებრივი ცხოვრება და მოღვაწეობა. ყოველ შემთხვევაში, სასამართლო ნამდვილად იძულებული გახდებოდა,

უკან მიბრუნებულიყო ისევ და მეტი ნათელი მოეფინა აქამდე ბნელში დარჩენილი ზოგიერთი წვრილმანისათვის, რომლის გამოჩხრეკაც, უპირველეს ყოვლისა, იმაზე ააღებინებდა ორივეს ხელს, რაც ჯერ კიდევ უნარჩუნებდათ რწმენას, მხოლოდ ასე რომ შეეძლოთ ცხოვრება, მხოლოდ ამას რომ ელოდებოდნენ ცხოვრებისგან, როცა პირველად უტყდებოდნენ ერთმანეთს - ეს კი ნამდვილი სიყვარულიაო.

მერე რუსოს სოფლისკენ მისეირნობდნენ. გადავიდნენ ქვის პატარა, ძველებურ ხიდზე (აველუმს არ ახსოვს, არხი იყო თუ მდინარე). ჩაუარეს დიდებულთა დიდებულ "ქოხმახებს". ვიღაც ტანმორჩილ, მაგრამ ჰერაკლესავით დაკუნთულ ზანგს მაღალი, ქერა ქალი (ალბათ ჰოლანდიელი) ხელკავით მოჰყავდა, ხაზგასმული მოკრძალებითა და მოწიწებით, თუმცა თვალნათლივ ეტყობოდა შინაგანი დაძაბულობა და მოუთმენლობა. აველუმი კი ფრანსუაზასთვის ლექსს იგონებდა ექსპრომტად: ვითომ ფრანსუაზა ის უხილავი, ის მოუხელთებელი ჩიტი იყო, განუწყვეტლივ რომ ჭიკჭიკებდა ცაცხვის რომელიღაც ხეზე მთელი მათი საუბრის (ჰმ, ჰმ...) მანძილზე. თვითონ კი, ვითომ ამ ჩიტის ჭიკჭიკს ჩამოჰყოლოდა ქვეყნის მეორე ბოლოდან და ვითომ ათასნაირ ჩიტებს სთავაზობდნენ გზადაგზა, მათ შორის რკინის მტრედებსაც, იქნებ მხარი ექცესო, მაგრამ ის მაინც ჯიუტად მოიწევდა აქეთკენ, ამ ცაცხვებისკენ, უხილავი და, შეიძლება, არც არსებული ჩიტისკენ.

*ტრიანონის ცაცხვებში*
*ქორივით დაგაცხრებიო,*

აშინებდა ფრანსუაზას, მაგრამ ფრანსუაზას არ ეშინოდა, მშვიდად, მორჩილად მოყვებოდა გვერდით.

მერე, შეგნებულად აჩქარებული ვიდეო-ფილმის უფერული კადრებივით, უაზროდ, უმიზნოდ მიჰყვებოდნენ ერთმანეთს დარჩენილი დღეები, საათები, წუთები, წამები... ჯერ თვითმფრინავის ბილეთი იყიდეს, ანუ, "რეგისტრაციაში გატარდნენ" აეროპორტის განყოფილებაში, სადაც, ხელის ერთი მოსმით, ციხიდან გამოსასვლელი საბუთი ციხეში დასაბრუნებელ საბუთად გადაუკეთეს აველუმს და მზის ამოსვლის კუნძული იმავე წამს ისევ ოცნების, სიზმრის, წარმოდგენის კუთვნილებად იქცა. თუმცა, დარეკვით მაინც დარეკეს იქ - შეიცვალა ჩვენი გეგმებიო - რათა არავითარი იმედი, არავითარი გზა არ დაეტოვებინათ უკან დასაბრუნებელი.

მერე (რატომღაც ფრანსუაზას დაჟინებული მოთხოვნით), ერთხელ კიდევ შეეცადნენ პარიზის დათვალიერებას, მაგრამ ამჯერადაც ვერ მოახერხეს სორბონაში ცალი თვალით შეჭყეტაც, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით (დაკეტილი იყო საზაფხულო არდადეგების გამო); ამჯერადაც ვერ ავიდნენ ეიფელზე (სხვაც ბევრი იყო მსურველი); ამჯერადაც ვერ შეაღწიეს ლუვრში (დრო არ ყოფნიდათ). სამაგიეროდ, ამჯერადაც ბევრი იხეტიალეს ლათინურ კვარტალში, ამჯერადაც შევიდნენ ორთავიან თუ რქებგადახერხილ ტაძარში, მაგრამ ვერც ამჯერად მიაკვლიეს ვითომ ქართველი ოსტატის ნახელავ მაგიდას.

მერე, ორმაგი ხიდით, მეორე ნაპირზე გადავიდნენ და ბუკინისტს გამოელაპარაკნენ, ძალიან რომ ჩამოგავდა რაღაცით ერთ-ერთ იმ თოლიათაგანს (გრძელი, წვეტიანი ცხვირით? ვიწრო, დაქანებული შუბლით? თუ ნაბადივით მხრებზე მოგდებული ველვეტის გაქექილი პიჯაკით?), სენის ორივე მხარეს ქვის მოაჯირებზე რომ ისხდნენ მოწყენილნი, სივრცისა და საკვების სიმცირის გამო, თუ პირიქით, თევზით გამძღარნი და ფრენით დაქანცულნი. კი არ გამოელაპარაკნენ, ჰკითხეს (ფრანსუაზას მეშვეობით), რამე ხომ არ ჰქონდა ქართულ ენაზე - ან ძველი წიგნი, ან ძველი გაზეთი, ან ძველი საბუთი. მაგრამ იმან, მდინარის თოლიამ, ფრანსუაზას მორიდებული და ზრდილობიანად მოკლე ინფორმაციის შემდეგ, რომელიღაც რუსული ბროშურა რომ გამოაძვრინა საიდანღაც, ერთმანეთზე დასტა-დასტა დახვავებული ყველა ჯურის წიგნებიდან, ჟურნალ-გაზეთებიდან, რეპროდუქციებიდან პლაკატებიდან, აველუმმა მაშინვე მხარზე მოხვია ხელი ზრდილობიანად შემცბარსა თუ დარცხვენილ ფრანსუაზას და სასწრაფოდ გაარიდა იქაურობას.

სენა კი დინჯად, შეუფერხებლად, დროსავით მიედინებოდა ხიდებს ქვეშ (აპოლინერისა არ იყოს) და ვერ დაეძრა, ვერ მიჰქონდა, ანდა ჭაღარა პოლიციელივით, შეგნებულოად იქცეოდა ასე, შეგნებულად არ მიჰქონდა თან ამ ვერაგულად მომნუსხავი, სახიფათო ქალაქის ძველთა-ძველი, მაგრამ მარადისობის წყალნაპკურები და, ბუნებრივ წარმონაქმნთა მსგავსად, შემაცბუნებელი უბრალოებითა და დამამშვიდებელი სიდიადით გამორჩეული შენობების დამტვრეული, დატალღული ანარეკლები.

მერე, ერთხელ კიდევ ვერ ისადილეს, რომელიღაც რესტორანში (პარიზში თითქოს ერთადერთი, მაგრამ უზარმაზარი რესტორანია, პატარ-პატარა ნაწილებად დაქუცმაცებული) - აველუმს ისევ გაუჭირდა უგემრიელესი ლუკმის ჩაყლაპვა და, აქ არ დავიხრჩოო, დაფეთებული გამოვარდა ქუჩაში. მერე ისევ შინ ისხდნენ და ისევ ფხვიერი წვნიანითა და ღვინოში ჩამბალი პურით იბრუნებდნენ გულს. მერე ისევ უყვარდათ ერთმანეთი, თითქოს პირველად თავიანთ სიცოცხლეში (ალბათ, უკანასკნელად) და დილით ისევ ერთად იდგნენ შხაპის ქვეშ და აველუმი სასიამოვნოდ გრძნობდა, როგორ გაეხახუნებოდა ხოლმე მკერდზე ფრანსუაზას მსხვილი, ხორკლიანი კერტები და უჩვეულოდ გახალისებულ-გამხიარულებული საკმაოდ სერიოზულად უმტკიცებდა აშხუვლებულ წყლის ნაკადში ჯერ კიდევ ზეზეურად მძინარე ფრანსუაზას, აპოლინერი აუცილებლად რუსი პოეტი იქნებოდა, საქართველოში რომ ეცხოვრაო.

მერე თვითმფრინავში იჯდა, აგანგაშებული, აფორიაქებული, მიწასთან გასწორებული და გაცამტვერებული ფრანსუაზას მოთმინებით, სულგრძელობით, გინდაც, სიბრიყვით.

სალონი ცარიელი იყო. ერთნაირად თრთოდნენ ერთნაირად თეთრი (თითქმის თეთრი), ერთნაირად ცარიელი (ბედად!) სავარძლები. ის კი ლოცულობდა, უთავბოლოდ, უმისამართოდ. ყველასთვის ლოცულობდა, იცნობდა თუ არ იცნობდა, უყვარდა თუ სძულდა, ცოცხალი იყო თუ მკვდარი. ერთნაირად მხურვალედ, ერთნაირად მონდომებული, მოწადინებული ლოცულობდა ორმოცდათექვსმეტში, შარდის სუნით აქოთებულ სადარბაზოში გარდაცვლილ ბიჭზეც და ზღვის ნაპირას მონებივრე, მამის ნაყიდ ჭრელ ტრუსიკში "გამოპრანჭულ" გოგოზეც, რომელსაც დობილთან ერთად კარავში ღამის გათევა ყველაფერს ერჩია, რომელიც მისგან, მისი მეშვეობით მოვლენოდა ქვეყანას, მის სისხლსა და ხორცს ატარებდა და მაინც არ ეკუთვნოდა მას. ის კი მაინც ლოცულობდა, უთავბოლოდ, უმისამართოდ, უწესოდ - პირველივე პირსმომდგარი სიტყვებით. ერთნაირად ლოცულობდა თბილისში, ცხრა აპრილს დარბეულ დემონატრანტებზეც, რომლებსაც გერმანიაში სამკურნალოდ წასვლა მხოლოდ ოცნებაში თუ შეეძლოთ, და პარიზის ღირსშესანიშნაობათა დასათვალიერებლად მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ტურისტებზეც, უსაქმურობისგან მოწყენილნი თუ საკუთარი უვიცობის შეგრძნებით დასერიოზულებულნი რომ დაჰყვებოდნენ უკან თავიანთ დაუღლელ გიდებს. ღმერთოშენუშველელმერთოშენდაიფარეღმერთოშენის ახელისჭირიმეო - ლოცულობდა მხურვალედ, მთელი არსებით დანთქმული ლოცვაში, ყველასა და ყველაფერს მოწყვეტილი, ყველა მიჯნას, ყველა ზღვარს გამცდარი, მტვრის ნამცეცივით ჩაკარგული (ლოცვიანად) უსაზღვრო, უკიდეგანო სივრცეებში და

მტკივნეულად, შემაშფოთებელი ნეტარებით გრძნობდა, როგორ ეუფლებოდა, როგორ იმორჩილებდა თანდათანობით, მაინცდამაინც, აქ, მთრთოლვარე ლითონის წიაღში, ამ ღრუბლებს ზემოთ, ამ უსაზღვრო, უკიდეგანო სივრცეებში - დაჩოქების სურვილი. მერე, რაკი დარწმუნდა, ვერაფრით ვერ მოთოკავდა ამ გათვითცნობიერებულ სურვილსა თუ გაუთვითცნობიერებელ მოთხოვნილებას, სასწრაფოდ წამოდგა და იქვე, საკუთარი სავარძლის გვერდით დაიჩოქა სავარძლებს შორის გასასვლელში დაფენილ ნოხზე. ცალი ხელი ისევ სავარძლის სახელურისთვის ჩაეჭიდა, თითქოს ხელს თუ გაუშვებდა, მაშინვე წაიღებდა, გაიტაცებდა, უგზო-უკვლოდ გადაკარგავდა ეს უსაშველო, ეს მარადიული ჟინი თუ სურვილი გამოცარიელებულ, გამოყრუებულ სივრცეებში, თეთრი, ნამდვილად თეთრი, უკიდურესად, შემაწუხებლად, შემაშფოთებლად თეთრი, მარად ცვალებადი და მაინც მარად ერთნაირი, ერთფეროვანი ღრუბლების "გაქვავებულ", მკვდარ, უკაცურ (ალბათ მიცვალებულთა სულებით დასახლებულ) ქალაქებში. თან შეუჩერებლად ლოცულობდა, განუწყვეტლივ იმეორებდა ერთსა და იმავეს, აღელვებული, აღგზნებული, დიდი სინათლისა თუ რაღაც სხვა, ზებუნებრივი ძალის სიახლოვით, მაგრამ მაინც ადამიანურად დაძაბული, ადამიანურად მიყურადებული ნებისმიერ ჩქამს; მაინც მიწიერ კანონებს, მიწიერ ჩვევებსა და წესებს დაქვემდებარებული ნებაყოფლობით - მხოლოდ იმის ეშინოდა, მხოლოდ იმის რცხვენოდა, ასე დაჩოქილი, ასე უწყვეტი, უდეფისო ლოცვისგან კურდღელივით ტუჩებაცმაცუნებული არ ენახა ვინმეს, თუნდაც იმ სტიუარდესას, ათასში ერთხელ რომ ჩაივლიდა ხოლმე

ცარიელ სავარძლებს შორის, შეშლილივით თითქოს თავისთვის მომღიმარი, თვითმფრინავის ბიძგებსა და რყევას აყოლილი, ვიდრე ისევ ფარდის იქით არ გაუჩინარდებოდა კარგახნით, როგორც ერთადერთი, მაგრამ საკმაოდ მყარი, საიმედო დადასტურება მიწიერი ცხოვრების არსებობისა.

კარზე აკაკუნებენ. სარკმელზე ფარდის ჩამოშვება დავიწყებიათ და ჩანს, როგორ მიფრინავენ მანათობელი ტყვიები ერთმანეთის მიყოლებით, "ივერიიდან" მთავრობის სასახლისკენ და მთავრობის სასახლიდან "ივერიისკენ". დღისით ამ ორ "სამიზნეს" შორის კვამლის მაღალი სვეტია აღმართული. ახლა კვამლის სვეტი არ ჩანს - ღამის წყვდიადსაა შეხამებული - თუმცა ხანძრის გამონაშუქით გაფერმკრთალებული ღამის წყვდიადიც, ღამის წყვდიადზე მეტად, კვამლსა გავს, ოღონდ ძლიერი, ყოვლისმომცველი ხანძრის მაუწყებელს. ჯერ კი მხოლოდ რუსთაველი იწვის (აველუმი ერთხელ კიდევ მოიცვლის საწოლში გვერდს - გარკვეული თვალსაზრისით, მისი წარსულიც იწვის, მთელი მისი ცხოვრება). დეკემბერია. დეკემბრის ბოლო დღეა. ხვალ ახალი წელი იწყება. ოღონდ, ჯერ კიდევ საკითხავია, ვისთვის. ხვალ კი არა, რამდენიმე საათში მოვა ახალი წელი. უფრო ზუსტად (აველუმი ხელს ამოაძვრენს საბნიდან, მაგიდის ნათურის ღილაკს თითს დააჭერს და მოულოდნელი სინათლისაგან თვალმოჭუტული, საათს შეხედავს), უფრო ზუსტად - საათსა და ორმოცდახუთ წუთში. რასაკვირველია, თუკი ჩვენი საათი არ ტყუის. ალბათ ტყუის. ან წინ იქნება, ან უკან. ისიც თავის პატრონივითაა - ან ჩამორჩება, ან წინ უსწრებს ცხოვრებას. ცხოვრება კი მაინც თავისი გზით მიდის. შენ გინდა ჩამორჩი, გინდა გაასწარი. იმ დღეს ტელევიზორში ბედნიერა გამოიყვანეს. ხალხი რასაც ამბობს, მართლდება. ბედნიერა პირობითად შევარქვით. ჩვენი მოგონილი სახელია. უფრო სწორად, თვითონ გვაიძულა ასე შეგვერქმია. ინტერვიუერმა სახელი რომ ჰკითხა, იმან უპასუხა, ბედნიერი ვარო. სხვათაშორის, ზუსტად დღევანდელი გლეხივით თუ ნაგლეხარივით

ლაპარაკობდა - შენ, ვთქვათ, ქლიავის ჯიშსა და სახელს ეკითხები, ის კი ფასს გეუბნება - "ეს რა ქლიავია, ძია კაცო?" "ხუთი მანეთი, გენა". უფრო ეშმაკი თუა - "ექვსი მანეთი, გენა, მაგრამ შენ ხუთად მოგცემ". "შენ ის მითხარი, ქლიავს რა ჰქვია, დალოცვილო? რა ჯიშისაა?" "რა ვიცი, ჩვენ ყველაფერს ქლიავს ვეძახით". იმიტომ, რომ გამოვქლიავდით. იმის წინაპარს ახალ-ახალი ჯიში გამოყავდა, ამყნობდა, აღონიერებდა, აკეთილშობილებდა, სახელს არქმევდა შვილივით და შვილივითაც ეამაყებოდა, ის კი ყველაფერს ერთნაირად ქლიავს ეძახის. ეტყვი, ეწყინება. აქეთ შემოგედავება - შარზე ხარ, ვიღაცა ხარ, ქლივრისა კი არა, ჩემი სახელი აღარ მახსოვსო - აი, ამას ჰქვია სწორედ, გამოქვაბულში მიბრუნება. კარგა ხნის მიბრუნებულები ვართ უკვე. რამდენიც შეიძლებოდა, დავიხიეთ უკან. კიდევ ერთი ნაბიჯიც და, ყველანი უფსკრულში ჩავცვივდებით, "ქლივრის" ხეებიანად. კარზე კი აკაკუნებენ. მაგრამ, არა უშავს, აკაკუნონ, ვიდრე არ მობეზრდებათ. ადრე თუ გვიან, აუცილებლად გაუღებენ. ასეა ნათქვამი წმინდა წიგნში. ბედნიერასათვის გმო-ზე თუ გამო-ზე ოპერაცია გაუკეთებიათ - გადადებული ყოფილა, საწყალი. მისიანებს, თუ ინტერვიუერი არ აზვიადებს, შთაბეჭდილების გასამძაფრებლად, კუბოც ჰქონიათ უკვე შეკვეთილი. საავადმყოფოდან კი იმიტომ არ გაჰყავდათ, არავის რომ არ ეცალა მისთვის. უფრო სწორად, ცოცხლისთვის არ ეცალათ, რადგან მკვდრის დასამარხად ემზადებოდნენ, მკვდარი ჰყავდათ მისახედი. ისიც სიკვდილს ელოდებოდა მხოლოდ და, დროს გასაყვანად, საავადმყოფოს დერეფანში დომინოს თამაშობდა დილიდან საღამომდე, ვიდრე გმო-ზე თუ გამო-ზე არ ამოჰყო მოულოდნელად თავი,

საიდანაც საღსალამათი დაუბრუნდა თავისიანებს. თუმცა, ფსიქიატრების აზრით - ცოტა შერყეული უნდა იყოს - როგორც უკვე ვთქვით, ბედნიერი ვარო, გაიძახის წარამარა, რაც იმდენად ძნელი დასაჯერებელია ჩვენს დროში, მედიცინაც იძულებულია, არ გამორიცხოს ფსიქოპათიის ფაქტორი, ესე იგი, ჩვეულებრივი ადამიანური ენით რომ ვთქვათ, გიჟად ჩათვალოს ყველა, ვინც დღეს ტელევიზორში გამოდგება და საქვეყნოდ განაცხადებს ბედნიერი ვარო. მაგრამ არაფერი ახსოვს, დიდი სინათლის მეტი. ინტერვიუერმა რომ ჰკითხა, აბა ერთი მოგვიყევი, რა იყო, როგორ იყოო - როგორ იყო და კარგად იყოო, იმის მერე ბედნიერი ვარ, არც არაფერი მტკივა, არც არაფერი მაწუხებს, თავში ქვა უხეთქია ყველასო - უპასუხა იმან. **ინტერვიუერმა**: (დამცინავი ღიმილით, როგორც გიჟებს ანდა ბავშვებს ელაპარაკებიან) სინათლე რა, იქამდე არ გინახავს? ახლაც ხომ სინათლეა? (მართლაც, ორი "იუპიტერი" პირდაპირ თვალებში უჭყიტინებდა ბედნიერას). **ბედნიერამ**: ეს რა სინათლეა! ეს იმასთან უკუნი ბნელია. აი, რომ ვამბობთ ხოლმე, თვალთან თითს ვერ მიიტანო, ისეა. **ინტერვიუერმა**: (ცოტა არ იყოს, დაბნეულად) მერე? **ბედნიერამ**: რა მერე? ვინც იმ სინათლეს იხილავს, გაბედნიერდება ჩემსავით. ცოლი მეუბნება, სინათლეს მოგცემ მე შენო. მაგრამ რაღა დროსია - ღამე ძილი აღარა მაქვს, დღისით მოსვენება. სულ იქ მინდა ყოფნა. განა არ ვიცოდი, ჩვენს დროში ბედნიერება რომ არ შეიძლება, მაგრამ რა ვქნა, ასე მოხდა. დავიღუპე თავი. არადა, ჯერ ვარსკვლავი მეგონა. ჩვეულებრივი. ბაგებს ზემოთ იდგა და ციმციმებდა თავისთვის. მეც ჩემთვის ვიდექი საავადმყოფოს აივანზე და დომინოს კოჭებს ვაჩხრიალებდი პიჟამოს ჯიბეში. გვიან მივხვდი, ტანით

ვიგრძენი უცებ, ისიც მხედავდა და არა მარტო მხედავდა, როგორც უკვე მოგახსენეთ, რაღაცასაც მანიშნებდა თან, არ ვიცი, "მოდი ნუ გეშინიაო" თუ "ნუ გეშინია, მოვდივარო". ის კი არა, თითქოს ეცინებოდა კიდეც ჩემს მიუხვედრელობაზე. მერე აღარაფერი მახსოვს. თუმცა, როგორ არა - აი, აქ მტკივა მეთქი - ვეუბნებოდი ვიღაცას. არ ვიცი ცალთვალა იყო თუ ერთი თვალი ჰქონდა საერთოდ. აი, აქა მეთქი, და ხელს ღვიძლზე ვიდებდი. მაშინ მართლა მტკიოდა (გაუბედავად ისვამს ფერდზე ხელს). იმის მერე აღარ მტკივა. ისიც ვუთხარი, გადადებული ვარ მეთქი, ჩემიანებს უკვე კუბოცა აქვთ ჩემთვის შეკვეთილი მეთქი. მაგრამ იმას გაეცინა, ყველანი ერთნაირად სულელები ხართ ამ პლანეტაზეო, იმის გეშინიათ, რაც უნდა გეიმედებოდეთო, ის გაწუხებთ, რაც უნდა გახარებდეთო; რასაც თქვენ სიკვდილს ეძახით, ის არის სწორედ სიცოცხლეო; თქვენ ამ პლანეტაზე შემთხვევით ხართ მოხვედრილნი და მხოლოდ თქვენებურად სიკვდილის შემდეგ უბრუნდებით ნამდვილ სამშობლოს, საიდანაც ოდესღაც თქვენი წინდაუხედავი წინაპრის თესლი წამოიღო ქარმაო. **ინტერვიუერმა**: კი მაგრამ, რა ენაზე გელაპარაკებოდა ამდენს? **ბედნიერამ**: როგორ თუ რა ენაზე, ჩემს ენაზე, ჩვენს ენაზე. **ინტერვიუერმა**: (ირონიული ღიმილით) ჩვენი ენა ჩვენ აღარ ვიცით და იმან იცოდა ვითომ? **ბედნიერამ**: აი ასე ესაია. **ინტერვიუერმა**: რაო? **ბედნიერამ**: აბელ თოფი იფოთლება. **ინტერვიუერმა**: რას ბჟუტურობს ეს კაცი, ვერ გავიგე ვერაფერი. **ბედნიერამ**: წაიკითხეთ უკუღმა. მოკლედ, იმ დღეს საერთოდ რომ არ გამოვსულიყავი პალატიდან, ახლა მეც თქვენსავით უბედური ვიქნებოდი. ამ დღეში არ ჩავვარდებოდი-მეთქი, მინდოდა მეთქვა... მართლაც, რა

დროს ბედნიერებაზე ლაპარაკია - როგორც დავიწყეთ, ისევე ვამთავრებთ ამ ცოდვილ საუკუნეს. გუშინაც ასე იყო ქვეყანა არეული. სადგურები და ნავსადგურები გუშინაც ლტოლვილებით იყო სავსე. ბავშვებს ცემენტის იატაკზე ეძინათ. მხოლოდ გაქონილი და დაფხრეწილი გაზეთები ეფინათ ქვეშ. ქვეყანას ორად ორი ორატორი ჰყავდა, უცხოურად განსწავლულ-განათლებული, და ისინიც ემიგრაციაში გარბოდნენ. უფრო სწორად, ვიღაცამ გააბრიყვა, გაიტყუა საზღვარგარეთ - წადით, გაიარ-გამოიარეთ, თვალს წყალი დაალევინეთ და აქაურობა რომ დაწყნარდება, უკანვე ჩამოდითო - მაგრამ ვეღარ ჩამოვიდნენ. რაღაც მოხდა გაუთვალისწინებელი. სულაც იმ ვიღაცამ სიტყვა გატეხა, პირობა დაარღვია, ოღონდ, ძნელი დასადგენია, ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო იმდროინდელ საქართველოში, ანდა მის მომიჯნავე ქვეყანაში, ასეთი უპირო. ამიტომ, ვერც ის ორად ორი ორატორი იქცა ემიგრაციად. სულ ბარგზე ისხდნენ, სულ დასაბრუნებლად იყვნენ მზად და, მხატვრულად რომ ვთქვათ, თვალსა და ხელს შუა გაეპარათ ცხოვრება, ვერაფერი მოასწრეს, გადაგვარების მეტი. მათი მიტოვებული ქვეყანა კი ისევ კეთილი, ღვთისნიერი, ერთმორწმუნე მეზობლის იმედით იბრუნებდა სულს, ანუ, ისევ ფიანდაზად ეგებოდა ფეხქვეშ მარადიულ "მხსნელსა" და "ქომაგს", რომელიც თავის მხრივ, ხან "გუბერნიას" ეძახდა მოფერებით, ხან - "რესპუბლიკას". ამასობაში კი, დღითი-დღე, წამი-წამ იბზარებოდა და ირღვეოდა საუკუნეობით ნაგები ციხე-გალავანი ზნეობისა, პატიოსნებისა, კდემამოსილებისა... გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის ქვრივი, თავადაც არანაკლებ ცნობილი საზოგადო მოღვაწე, მოთავე და

სულისჩამდგმელი ათასნაირი საქველმოქმედო დილისა თუ საღამოსი, ღამღამობით, შემზარავად პიკანტურსა თუ პიკანტურად შემზარავ სიზმრებს ხედავდა. ვითომ ზღვაში იხრჩობოდა და ვითომ მისი ხისფეხა მეზობელი (პირველი მსოფლიო ომის ხეიბარი), თავის ხის ფეხს უგდებდა ნაპირიდან და ვითომ იმ ხის ფეხთან ერთად ადი-ჩადიოდა ქაფიან, დორბლიან, ამაზრზენად დაბუშტულ ტალღებზე, ვიდრე მისი ხისფეხა გადამრჩენელი, უხისფეხოდ დარჩენილი, სილის ასაკენკად დაფრენილ თოლიასავით, ასკინკილით დახტოდა ნაპირის გასწვრივ. "დახრჩობა არ ჯობდა ამ შერცხვენასო" - შეწუხებული ფიქრობდა ვითომ გულში პოლიტიკური მოღვაწის ქვრივი და, იმის ნაცვლად, ხელი გაეშვა, კიდევ უფრო იხუტებდა გალუმპულ ფეხს. მაგრამ იმიტომ კი არა, მართლა რომ ეშინოდა დახრჩობისა, ანდა შერცხვენა რომ ერჩია სიკვდილს - უბრალოდ, ენით აუწერელ, ჯერ განუცდელ სიამოვნებას ანიჭებდა ხის გალუმპულ ფეხთან ბღლარძუნი. რაში არ ჩადგმული, სად არ ნატუცი ხის ფეხი, ვითომ კი უსხლტებოდა ხელიდან, მაგრამ ისიც უარესად აფრინდებოდა და, ზღვის ცხოველივით სლიპინასა და მოუსვენარ ფეხს, ხან იღლიაში მოიქცევდა, ხან ლაჯებში. დილით ნირწამხდარი, დარცხვენილი, დათრგუნული იღვიძებდა, რადგან ჯერ კიდევ დასაწყისი იყო უზნეობის საუკუნისა. ჯერ კიდევ პირბადით დადიოდნენ ქალბატონები. ჯერ კიდევ იყო რაღაც დასამალი. სარკეს თვალს არიდებდა. საკუთარი ორეულისა რცხვენოდა. გაურკვევლად ენანებოდა რაღაც. მაგრამ როგორც არ უნდა გაჰკვირვებოდა თვითონვე, ეს უკვე ნამდვილი, ცხადში განცდილი სირცხვილი და სინანული, სიზმრად მოლანდებულსაც ცხადის, ნამდვილად მომხდარის უფლებამოსილებას

ანიჭებდა არა მარტო მის წარმოდგენაში, არამედ საერთოდ ცხოვრებაში. მარტივად რომ ვთქვათ, აღარც თვითონ უკვირდა და აღარც სხვას გაუკვირდებოდა ეს ამბავი. უბრალოდ, მოწოდების სიმაღლეზე მდგარი ქალბატონი, შეიძლება ჯერჯერობით უნებლიეთ, მაგრამ შესაშური კეთილსინდისიერებით ასრულებდა დროის მოთხოვნას - მომზადებულიყო (რათა სხვებიც მოემზადებინა) მოსალოდნელი, გნებავთ, გარდუვალი, საყოველთაო ზნეობრივი დეგრადაციისათვის. აბა, დაუკვირდით. აბა, შეადარეთ გუშინდელი დღევანდელს. პარალელები თქვენ გაავლეთ გუნებაში, გადაკვეთით კი უთქვენოდაც გადაიკვეთებიან ისინი, უკვე თქვენს გარეთ, სადღაც, უკიდეგანო სივრცეში. მაგრამ უმალ გამაჩუმებთ, ვიდრე დამიჯერებთ. კმარა. ხმა არ ამოიღო. ნუ მახსენებ იმ დროს. ნუ გაგვახსენებ წარსულს. მართალი ხარ, არ ვიქცეოდი, არ ვიქცეოდით სწორად. მაგრამ მე არავის პროტოტიპი არა ვარ. ჩვენ არავის პროტოტიპები არა ვართ. შიშით კი ყოველთვის მეშინოდა. გვეშინოდა. პირადად ჩემთვის, სიყვარული და შიში განუყოფელი გრძნობაა. შენთან ყოფნაც მეშინოდა და უშენოდ დარჩენაც. დაჰკრავდი ფეხს და გადაიკარგებოდი. მე კი მარტოს უნდა მეყურყუტა კაცთმოძულე ქალაქში. დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას ვთამაშობდი, შენი ხათრით, თორემ, შენზე მონა მე ვიყავი, შენზე მეტად მე მენატრებოდა მშობლიური ციხის ტყვეობა. ისე მომენატრებოდა ხოლმე დედაჩემი, გულმუცელი მეგლიჯებოდა. გაუხდელი ვდგებოდი შხაპის ქვეშ და მოთქმით ვტიროდი. თან გულში ვნატრობდი, ნეტავი მიყურებდეს მეთქი. ჩემი უბედურებითაც შენი გულის მონადირებას ვცდილობდი. გამამლიქვნელა სიყვარულმა. შენ კი წიგნში გამომკეტე. ჭიანი ვაშლივითა ვარ შიგნიდან

გამოჭმული შენი სიყვარულით. წყეულიმც იყავ! წყეულიმც იყავ! კი ბატონო. გმადლობთ. არა ვარ მეტის ღირსი. არც შენგან, არც სხვისგან. სიტყვამდე რომ მივა საქმე, გაჩუმება სჯობს. დამნაშავე მე ვარ მხოლოდ... ახია ახიაშვილი, ახია ახიაძე, ახია ახიანი, ახია ახიავა, ახია ახიაური. მე რომ არ ვყოფილიყავი, ყველანი ჩვეულებრივად უბედურები იქნებოდნენ და უკეთესად იცხოვრებდნენ. ერთს ნორმალური, გულისხმიერი, დამფასებელი მეუღლე ეყოლებოდა და არავითარ შემთხვევაში არ ჩასვამდა ვიღაცის ძაღლის სუნით აქოთებულ მანქანაში, ჭინჭივით არ ჩატენიდა ცარიელ ბოცოებს შორის. მეორე მარტოხელა დედობას გადარჩებოდა, თუნდაც იმიტომ, ვერაფრით რომ ვერ გააჩენდა უჩემოდ შვილს, მაინცდამაინც, ჩემგან, თუკი, როგორც თვითონ ამბობს, მაინცდამაინც, ჩემგან უნდა გაეჩინა შვილი. ფრანგები ცოტა ხელმომჭირნე ხალხი კია, მაგრამ უკანასკნელს არ დაიშურებენ ჩასახვის საწინააღმდეგო აბისთვის. არც ქალიშვილს დაუჭერენ, რაც არ უნდა დაუდგრომელი იყოს მათი ქალიშვილი, თუკი შეგნებულად არ გადაიხვეწება მიუდგომელ საბჭოეთში და შეგნებულად არ გამოაპარებს იქიდან მარადიული პატიმრის (თქვენი მონა-მორჩილის) გენს, გარკვეული თვალსაზრისით, ისეთსავე ეგზოტიკურ იშვიათობას, როგორიც, ვთქვათ, პეპლების კოლექციაა, სხვადასხვა დროს "გამოპარებული" აფრიკიდან, კიდევ ერთი საინტერესო მოგზაურობის მოსაგონებლად. მაგრამ რაც არ იქნებოდა, რას გამოაპარებდა?!

ტლანქი, უხეში, მოურიდებელი კაკუნის ხმა ჯერ გულზე ეცა და მერედა აღიქვა იგი მისმა სმენამ, უკვე გულიდან ასხლეტილი. მაგრამ, ეტყობა, მაინც დააგვიანა ადგომა, თუმცა, მისი ვარაუდით, უფრო ადრე წამოდგა, ვიდრე საბოლოოდ გაარკვევდა, კარზე რომ აკაკუნებდნენ ნამდვილად. იქამდე წამოდგა, ვიდრე შეეშინდებოდა, ვიდრე მიხვდებოდა, ასე რომ არ აკაკუნებენ კარზე საერთოდ, ჩვეულებრივად, თანაც ასე გვიან. ცხოველურმა ალღომ წამოაგდო საწოლიდან. გადაწყვეტილებამ, განზრახვამ, მიზანმა, მოვალეობამ ანდა შიშმა კი არა, არამედ ცხოველურმა ალღომ, ბნელმა, ბუნდოვანმა, მაგრამ უტყუარმა, შეიძლება სწორედ თავისი შეუვალი სიბნელისა და ბუნდოვანების გამო. სიბნელიდან არა მარტო უკეთ ხედავ, არამედ სიბნელეში იმის წარმოდგენაც შეგიძლია, რაც სინათლეში ფილოსოფოსებსაც არ მოლანდებიათ. ცხოველური ალღო არა მარტო საჭმლის მოპოვებაში გვეხმარება, განსაცდელისგანაც გვიცავს ხოლმე. მართლაც, ადგა თუ არა, კაკუნიც შეწყდა. არადა, ვიდრე იწვა და ათას სისულელეს ფიქრობდა, განუწყვეტლივ აკაკუნებდნენ, თუ კაკუნიც, სხვებთან ერთად, მისივე აღგზნებული გონების ნაყოფი არ იყო. საშინლად ციოდა, მაგრამ მაინც გაოფლილიყო (იმედია, სიზმარში), რადგან სიზმარში მას და მის მეგობრებს მამა მოყავდათ, ვითომ, ოქროს ტახტით, წელამდე თოვლში, დიღმის ზემოთ, პატარა თათრული სოფლიდან, სადაც გადასახლებიდან დაბრუნებული მამა მოაწყეს მისმა მეგობრებმა კოლმეურნეობის ბუღალტრად, შიმშილით რომ არ დახოცვოდა ოჯახი, და იქ, ნაქირავებ კუთხეში, ქაღალდებში ჩაფლული, დასახიჩრებულ ფეხებზე საბანშემოხვეული, თითქმის არალეგალურად ემსახურებოდა სახელმწიფოსაც და

ოჯახსაც. აველუმმა კი წამოსაყვანად ააკითხა, თავის მეგობრებთან ერთად, მაგრამ დიდი თოვლის გამო მანქანა სოფელში ვერ შევიდა და მანქანამდე ატატებული მიიყვანეს, როგორც ადიუტანტებმა - ბრძოლის ველზე დაჭრილი მარშალი. აველუმს ერთდროულად უკვირდა და უხაროდა ეს შორეული, ძველისძველ ფოტოსავით გაცრეცილი, გაფერმკრთალებული ჩვენება, უფრო სწორად კი, უკვირდა, რაც უხაროდა და უხაროდა რაც უკვირდა. წელამდე თოვლს მოარღვევდა და ცხელი ორთქლი ასდიოდა გაოფლილს. თუმცა, შეიძლება, მერე გაიოფლა, უცებ, როცა კაკუნი ჩაესმა და როცა მიხვდა, მას უკაკუნებდნენ, ასე გვიან, ასე მოულოდნელად, ასე უჩვეულოდ, ანუ, როცა შიშმა აიტანა. ვინ ბრძანდებითო, მორიდებულად იკითხა საკუთარ კართან ატუზულმა, თითქოს ის უბრახუნებდა ვიღაცას, ის აწუხებდა, ის უფრთხოდა ვინ იცის რა გზებით, რის ფასად მოპოვებულ სიმშვიდეს. პასუხი რომ ვერ მიიღო, კარი გამოაღო, მაგრამ კიბის ბაქანზე გაუვალი წყვდიადი დაუხვდა მხოლოდ. ისე გაუკვირდა, უნებურად, ხელიც მოატარა წყვდიადში, ბრმასავით. მერე კარი სასწრაფოდ შემოიკეტა, ოთახი გადაირბინა და ახლა აივანზე გავიდა (ოფლიანი). ცალი ხელი კარის სახელურისთვის ჰქონდა ჩავლებული (თითქოს შიგნიდან ვინმე კარს ჩაუკეტავდა), მეორეთი გათოშილ მოაჯირს დაეყრდნო და ეზოში გადაიხედა. თბილისურად ბინძური ქარი ქროდა. ტიტველი ხეები გაფშეკილი ტოტებით სცემდნენ ერთმანეთს. უფრო სწორად, ისე ვერ უწვდენდნენ ერთმანეთს ტოტებს, როგორც უნდოდათ, და სიმწრისაგან, სიგიჟისგან ლამის ეღრიალათ. ეზოში, ქარის გარდა, არავინ იყო, არაფერი ჩანდა საეჭვო. არაფერი ჩანდა საერთოდ,

გარდა ეზოს გამყოფი ღობის ნაწილისა, ასფალტის ნაგლეჯისა და მოჩხუბარი, ერთმანეთზე მუნჯური გააფთრებით მისეული ხეებისა. ამ ცივმა სიცარიელემ კიდევ უფრო ააფორიაქა. ხოლო როცა ისევ საწოლში ჩაწვა, კიდევ უფრო საეჭვოდ, კიდევ უფრო სახიფათოდ მოეჩვენა ძილღვიძილში, სიზმარ-ფიქრში ჩასმენილი კაკუნი. "წამალი არ დამილევიაო" - გაიფიქრა სულელურად. მართლაც, თუ სულელი არ არის, რატომ სვამს კაცი წამალს? სიცოცხლეს ებღაუჭება ვითომ? არა. უბრალოდ, იმ წუთას არ უნდა ისე იყოს, როგორც არის. უფრო შორს ვერ მიდის მისი ოცნება. უფრო მეტის ნატვრაც არ შეუძლია. აი, ახლა ამომასუნთქა წესიერად და მერე თუნდაც მოვკვდეო. ოღონდ ახლა არ მტკიოდესო. ესე იგი, სიკვდილის კი არ ეშინია, სიცოცხლეს კი არ იხანგრძლივებს, თავისი ჭკუით, თავს იტყუებს, თავს ირწმუნებს, შვებას რომ იგრძნობს წამიერს, თანაც ძალიან მალე, მაქსიმუმ თხუთმეტ წუთში. ხოლო ზოგი უცხოური წამალი კიდევ უფრო სწრაფად მოქმედებს. მერე აზრი არა აქვს, მერე რაც გინდა, ის იყოს. წამალმა ბავშვი გაახსენა. ბავშვმა - დედამისი. ალბათ ეძინათ. აბა, სხვა რა უნდა აკეთონ ამ სიცივეშიო - დაიმშვიდა თავი, რადგან გული სხვას უგრძნობდა. შეიძლება, მართლა ეძინა მის შვილსაც და შვილიშვილსაც, მაგრამ სხვანაირი, მკაცრი, თავის თავში დაჯერებული სიჩუმე იდგა ირგვლივ, როგორც უბავშვო სახლში. საათზე ჯერ თერთმეტიც არ იყო. ერთ საათსა და ათ წუთში, ბოლოს და ბოლოს, დამთავრდებოდა თხისტყავგადაცმული ურჩხულის წელიწადი. მაგრამ ჯერ კიდევ ომი იყო რუსთაველზე. ჯერ არ იყო გადაწყვეტილი, ვისთვის მთავრდებოდა ძველი და ვისთვის იწყებოდა ახალი. ერთი საქართველო ბუნკერში, ტყვია-წამლის ცარიელ

ყუთებზე შლიდა "საახალწლო სუფრას", მეორე ქუჩაში, სიცივისგან აბუზული ეფიცხებოდა ყრუდ მოგუგუნე ხანძრის მხურვალე გამონაშუქს. მესამე კი საწოლში შფოთავდა, ცხადს სიზმრისაგან ვერ არჩევდა და წარამარა იცვლიდა გვერდს - ვერც ერთთან უჩერდებოდა დიდხანს გული, ვერც მეორესთან, თავად მას კი არც ერთი აგდებდა სათვალავში და არც მეორე. მაგრამ რამის დანახვა თუ გინდა, ბნელში უნდა იჯდე. სიბნელიდან მოჩანს, სინათლიდან კი არა. ასეა მოწყობილი. ოღონდ, სინათლეში ყოფნა თუ გირჩევნია, მაშინ აღარ უნდა დაინტერესდე, რა ხდება სიბნელეში. და განა მართლა ასე არ არის?! ზოგი ყოველთვის სინათლეში დგას (ჩანს), ზოგი ყოველთვის სიბნელეში ზის (ხედავს). იმიტომ, რომ, ასე ურჩევნიათ. მხოლოდ მათზეა დამოკიდებული, რას აირჩევენ. ხალხისთვის კი სულერთია, ვინ ზის ბნელში და ვინ დგას სინათლეში. ხალხი ყოველთვის დროს შეესაბამება. როგორიც დროა, ისიც ისეთია. ეს რა ყვავილია ძიაკაცო? ესა, გენა? ამას ვეძახით ჩვენთურქეთას. არა, ბოდიშით. რას ვამბობ? სულ გადამიბრუნეს ტვინი ამ ოხრებმა. რუსულად არ წამომცდეს მეთქი რამე. ხომ იცით, რა დროა?! ამას ჰქვია ნასტურცია. თუ პოლიტიკაზე არ საუბრობს, ქუჩაში დგას და ცას უყურებს. ეგერ, მარჯვნივ. რისგან მარჯვნივ? ზოგჯერ თითქოს ხედავს გმოს თუ გამოს, ზოგჯერ ვერა. მაგრამ გულის სიღრმეში ძალიან ეიმედება. გმო-ზე თუ გამოზე ვიღაცისთვის ოპერაცია გაუკეთებიათ თურმე. ნაკერიც არ ეტყობა. თუმცა, ეგ ხომ უკვე ვთქვით. ვიღაცისთვის ბევრი ფული მიუციათ, აბა, თუ მოერევი და დახარჯავო. ვიღაცისთვის თმის ამოსაყვანი წამალი უსწავლებიათ, ვიღაცისთვის კიდევ - ბუასილის გასაქრობი. მილიონერი გახდები ერთ თვეში. ეგერ, ე,

მარცხნივ. რისგან მარცხნივ? უი, დაგაბრმავა მამაზეციერმა. შე მართლა ბრუტიანო, ეგ ცირკთან რომ ბუშტებს ყიდიან, ის არი. გაქცევია ვიღაცას. და მაინც განსხვავებაც დიდია გუშინდელსა და დღევანდელს შორის. გუშინ ჯერ კიდევ არ ვიყავით აქამდე მოსულები. პოეტების ცოლებს პატარა, ლეღვის ფოთლის მსგავსი წინსაფრები ეკეთათ და ენის ჩლექვით ურჩევდნენ საპატიო სტუმარს (ძირითადად რუს, ანდა რუსეთზე გამოვლილ უცხოელ მწერალს), ძმრიანსა და ნიგვზიანს, ცხარესა თუ მწვავეს, იქნებ ღმერთი გასწყრომოდა იმ მამაცხონებულს და ერთი-ორი ტკბილი სიტყვა წამოსცდენოდა ჩვენზეც, ჩვენი არსებობაც გაეგებინებინა ქვეყნისთვის. ასეთი გახლდათ გუშინდელ კუდაბზიკა ტანჯულთა და პატივმოყვარე მონათა კეთილშობილური მიდრეკილებანი. დღევანდელებს კი საერთოდ აღარ გვინდა მწერლობა. უკეთეს შემთხვევაში, მაკულატურად ვაბარებთ (ტუალეტის ქაღალდისთვის) და საჭიროების დროს, იაფფასიან საწვავად ვხმარობთ წიგნს. კი ბატონო. როგორც გენებოთ. მადლობა ღმერთს, ჩემი დაწერილი არ არის ის წიგნები, ბავშვობაში რომ ვკითხულობდით. მე თუ მკითხავთ, კარგიც იქნება, ეს მაიმუნობაც თუ გათავდება ერთხელ და სამუდამოდ. ამდენი მწერალი საერთოდ არ ჰყოლია საქართველოს ცურტაველიდან გასაბჭოებამდე. გასაბჭოებამდე ცოტა კარგი გვერჩია ბევრ ცუდს. დროა, პოეზიის საფლავის ატალახებულ ბორცვზე პლასტმასის მარადიული ყვავილი დაიდოს, მაგრამ ვინ შეაბამს კატას ეჟვანს? მე. მე. მე. ჩემი. ჩემი. ჩემი. ის ამას სამასი. იმას სამი. წაიკითხე უკუღმა და თვითონაც მოიგონე რამე ამის მაგვარი სისულელე. პოეტობა ზედა გაქვს. ვისზე რა ნაკლები ხარ ვითომ?! სჯობს,

საკუთარი ხელით მოასპობინო ადამიანს, თუკი რამე შერჩა ადამიანური, ვიდრე შენ დაგწამონ უადამიანობა მისი მოსპობისთვის. იმიტომაც **იფოთლება აბელ თოფი!** ერთხელ კიდევ. ამჯერად ჩვენი მიზეზით. ოღონდ, ამჯერად, ბათუმის მისადგომებთან კი არა, რუსთაველზე ვიხოცებით. გუშინ ბათუმის ბედი წყდებოდა, დღეს სრულიად საქართველოს ბედი წყდება, როგორც ჩვენს დიქტორებს უყვართ თქმა. რასაკვირველია, მკვდრებიც აგებენ პასუხს, მაგრამ ცოცხალს განა მკვდარზე მეტი ეპატიება?! ყოველ შემთხვევაში, ერთი სიცოცხლე არ გვეყო, ვალიდან რომ ამოვსულიყავით, მაგრამ არც ერთი სიკვდილი გვეყოფა, სირცხვილიდან რომ ამოვიდეთ. დღეს თუ ვინმე კვდება, ქუჩაში თუ სადარბაზოში, ყველა ჩვენგანს უკვდება. დღეს ვინც ობლდება, დასასრულისა და დასაწყისის მიჯნაზე, ყველა ჩვენგანის ობოლია, ვინც არ უნდა იყოს ის, კანონიერად თუ უკანონოდ შობილი. ნებისმიერი სიცოცხლე უფლებამოსილია დღეს, პასუხი მოგვკითხოს გაჩენისთვის, პირადად ჩვენც გვირევია თუ არ გვირევია ხელი მის გაჩენაში. სიცოცხლე პასუხს მოითხოვს სიცოცხლისგან. სიცოცხლე სჯის სიცოცხლეს. ოთხმოცდარვა წლის ნოემბერში მთავრობის სასახლის კიბეზე მიგდებული ჩვილი, რაკი არავინ გამოუჩნდა პატრონი, თავისით გაიზარდა, ცისკარასავით, ქამარხანჯალასავით, ასფურცელასავით, დღეში გაიარა წელიწადში გასავლელი და ახლა თვითონ იცის, როგორ მოიქცევა, ვის როგორ გადაუხდის მადლობას მიგდებისთვის, უყურადღებობისთვის. პოლიტიკა საშუალებაა, როგორც ვნებათა მოსათოკი, ისევე ვნებათა გასაღვივებელიც. საბრალო ბავშვები. დავღუპეთ ბავშვები. მომაკვდავმა ბავშვმა თავი წამოწია,

გახვრეტილი შუბლიდან სახეზე ჩამოჟონილი სისხლი ნესტოთი შეისრუტა, ცინგლივით, და დაბნეული, უსაფუძვლო სიხარულით გაიფიქრა - "გადავრჩიო", - მაგრამ ამ უკანასკნელმა სიტყვამ მეორე ტყვიასავით გაიარა მის ტვინში. ტყვიამფრქვევის ლულას ბოლი ასდიოდა. წინ ცარიელი სივრცე გადაშლილიყო - საშიში, სახიფათო, მიმზიდველი - იქიდან, როგორც სცენიდან, დეკემბრის სუსხი უბერავდა. უცებ, შორეულმა, წარსულიდან გამოღწეულმა ვაშას ძახილმა სივრცე გადმოირბინა და სუდარასავით წაეფარა ტყვიამფრქვევსაც და მეტყვიამფრქვევესაც. დამთავრდა კიდევ ერთი ხანმოკლე სიცოცხლის დიდი თავგადასავალი. მამა მარხავს შვილს. მაგრამ ვინც მამას იხილავს, შვილსაც იხილავს. ერთნი არიან და ვერავითარი კანონი და უკანონობა ვერ შეეხება მათ ერთიანობას. სხვაა, თავად უნდათ თუ არა ეს ერთიანობა. უშლით თუ ეხმარებათ ცხოვრებაში (თუნდაც სიკვდილში). ერთი კია, უკანონო მშობელი, ავაზაკისა თუ განძის მაძიებლის მსგავსად, უფრო მძაფრი, უფრო მშფოთვარე წარმოდგენებით ავსებს ბავშვის სულსა და გონებას, როცა სინამდვილეში, შეიძლება, ხაზვის მასწავლებელივით უფერული და უინტერესო აღმოჩნდეს. ახლა კი წამოდექი. აკაკუნებენ. და საერთოდაც სირცხვილია, ამდენ ხანს ლოგინში კოტრიალი, როცა გარეთ ხალხი იხოცება... და არ ვიცით, რა ხდება შინ. რას ვიზამთ, ასე მოხდა. უფროსსაც უნდა გავუგოთ და ვაპატიოთ. განა ახალგაზრდა არ შეიძლება კეთილი იყოს?! მამა კი არ ამბობს შვილზე უარს, ძალა არ შესწევს მამობის გაწევისა. იქამდე მოკვდა (მოკლეს), ვიდრე მამა გახდებოდა. თავიდანვე, ჩანასახშივე ჩაუკლეს მამობის უნარი, დღეს რომ ვერ მიეცა თავისთვის შვილის

გაწყრომის, ანდა შვილისთვის ჭკუის დარიგების უფლება. აპატიეთ და იტანჯეთ ამაყად, მის მაგივრადაც. ტანჯვა ყველას შეუძლია. იქნებ ყველას არ უნდოდეს, არ მოსწონდეს, მაგრამ შეძლებით შეუძლია. ტანჯვამაც იცის მიჩვევა. ცხოვრება საერთოდ ტანჯვაა. იმიტომაც გვიძნელდება მისი დატოვება. ყოველ შემთხვევაში, იქამდე ვცდილობთ არ ვაღიაროთ ეს, ვიდრე შეგვიძლია. უსამართლობა გაცილებით ძნელი ასატანია, ვიდრე ნებისმიერი ტანჯვა. შვილმკვდარი მამა უსამართლობაა. უფრო მეტიც, აღარაფერია. ღობის სარადაც აღარ გამოდგება, როცა ცოცხალ შვილს თავისი სიკვდილითაც ეხმარება დაკაცებასა და დაბრძენებაში. მაგრამ მაინც ვერ გაიგო ამ ხალხმა, სად ცხოვრობს, უფრო სწორად, სად ვერ ცხოვრობს თავის გემოზე. ამის არცოდნა, ერთდროულად, დამღუპველიცაა მისთვის და გადამრჩენელიც - თუკი ამის გამო, მის არსებაში ადამიანური საწყისი კნინდება, ცხოველური ძლიერდება. საკუთარი უმეცრება აიძულებს თავის გამოზე იცხოვროს იქაც, სადაც სიცოცხლე საერთოდ შეუძლებელია. მერე რა მოხდა, თუ არც ბებიამისს, არც დედამისსა და არც თავად არასოდეს სჭერია ხელში ჩოგანი?! მაინც მოკვდება და, შტეფი გრაფის ჯიბრით, შვილს კორტებზე ატარებს. აბა, მარტო იმან (შტეფი გრაფმა) უნდა ხვეტოს ჩოგნით ფულები?! ტენისზე მინდა გოგო მივაბარო, ქალო. ექიმმა, იმის ენა გახმა, ხერხემლის გამრუდება ეწყებაო. თან, ეს არაო, ის არაო. აუზისა მეც მეშინია. ვიოლეტას ბიჭსაც დამართნია ბოტკინი. შიგვე ფსავენ თურმე, ცურვისას, ეზარებათ ამოსვლა. ისევ ტენისი ვამჯობინე. ჰაერზე მაინც იქნება (იცინის), ფული სცოდნია, ქალო, ბევრი. ბევრი ფული უნდა, თანაც ერთბაშად. არადა,

თურქეთში ყველაზე იაფი ქართველი ქალი ყოფილა. რაც სარფის კარი გაიხსნა, მთლად წავედით ხელიდან. "ტკბილი ნაყვარებაო" - ოხუნჯობენ თურმე იქაური ქართველები, გურჯები, ქართველყოფილნი. არა, ეფენდი, შენზე მეტად კი არ უყვარს ტკბილი, როგორც არ უნდა გაგიკვირდეს, შენზე მეტადაა ცხოვრებისგან გამწარებული და, აქედან გამომდინარე, შენზე გამოქექილიცაა წვრილმან საქმეში - ჯერ თავს გაყიდის რახათლუხუმზე, მერე რახათლუხუმს გაყიდის და რამე შმოტკას იყიდის. ესეც ხეირია. იაფად შემხვდა, ქალო. ვიფიქრე, არაფერი მაქვს საზამთროდ მეთქი. რა ვიცი, წამოვიღე. შენ რა გინდა? შენ რას ძიობ, რა მივეცი? ბოლოს და ბოლოს, ჯულეტა ჩაიცვამს. ტიტველი დადის სამჯერ განათხოვარი ქალი. რას ამბობ, ადამიანო? ჯულეტას თუ რამე აკლია! რატომ უნდა აკლდეს ვითომ? ვისზე ნაკლებია? მამამისს თუ ვუყურეთ, უნიფხვოდ ვივლი მეც. ასე რომ, ცხოვრება მაინც თავისი გზით მიდის, ქალბატონო აისოდორა (რამ გამახსენა, ამ შუაღამისას, ნეტავი), გინდ ჩამორჩი, გინდ გადაასწარი. არავინ არასოდეს არ იცოდა, რა როდის და სად რა. ნურც თქვენ აიტკიებთ ამაზე ფიქრით თავს. თქვენს თავს მიხედეთ. ჯერ ყველაფერი წინ არის. ლტოლვილიც კი უფრო მეტის ჩატევას ცდილობს ჩემოდანში, ვიდრე იმ ჩემოდანში ეტევა საერთოდ. იქნებ თქვენი დროც მობრუნდეს, მეუღლის ჩათვლით. ყვავილებიც იყო, რასაკვირველია. სონიამაც ხომ აღიარა მოგვიანებით, იყო, დედა, იყოო. თავად ვარ მოწმე. სადილს მოვრჩით და ყავას ვაყოლებდით. და როგორც მაშინ გთხოვეთ, ახლაც გთხოვთ აპატიოთ. ისიც მძიმედ არის დაჭრილი. ის სულ სხვა რამემ გააღიზიანა მაშინ. უკანონო მამაშვილის სურათები დაეთვალიერებინა მალულად, სასტუმროში... და

საკუთარ მამაზე გაბრაზდა. შეუბრუნა სიბრაზემ. მამაზე ვარ გაბრაზებულიო - ეს მომახალა მეც გაცნობისთანავე, ვითომ, მამაჩემს რომ არ მივეტოვებინე, ბევრი რამე ისე არ მოხდებოდა, როგორც ხდებაო. მაგრამ არა უშავს, უიმისოდაც გასძლებთ როგორმე. დიახაც გავძლებთ. უშენოდაც. ერთნაირები ხართ ყველანი. შენც ხომ მასხრად აგვიგდე ბოლოს. ჩვენი უბედურება ლიტერატურულ მასალად გამოიყენე. ამჟავებული ცომივით ხელახლა გადაზილე ჩვენი ცხოვრება. თურმე ყველაფერს იმახსოვრებდი და მერე წერდი, ჩვენს ზურგს უკან, შენს ბუნაგში. შენთვის სიყვარულიც იგივე იყო, რაც სპორტსმენისთვის დოპინგია. ყველაფერზე წახვალ, შენი რომ გაიტანო. ამას ადრე მივხვდი, მაგრამ გვიან ვიწამე. მე კი, ლტოლვილივით, იმაზე მეტი ბარგის ჩატევას ვცდილობდი ჩემოდანში, ვიდრე ჩემოდანში საერთოდ ეტეოდა. უფრო სწორად, ვცდილობდი, სიყვარულისთვისაც გამომენახა ადგილი ცხოვრებაში და ამის გამო, მთელი ჩემი არსება, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე, ტკივილამდე იყო დაჭიმული, ლარივით, სიმივით, და განუწყვეტლივ გამოსცემდა ერთსა და იმავე ხმას, როგორც კრატერის, ანდა ნიჟარის სიცარიელე, რომელსაც ვერასოდეს ვერ მოისმენ, თუ არ მოინდომე, ანუ, კრატერში თუ არ ჩაეშვი, ანდა ნიჟარა ყურზე არ მიიდე. ამიტომაც გამიკვირდა, საიდან იცოდა ეკაეკატერინეკატომ ასე წვრილად ჩემი ამბები. ვინ უყვებოდა? დედამისი? არა მგონია. არადა, თითქოს მის არსებაში ამსხვრევდა ვიღაც რკინის ურეთი დედამისის ქვადქცეულ მოთმინებას და იმ ქვის ნამსხვრევები მოშხუოდნენ იმის პირიდან, ხორკლიან, წვეტიან სიტყვებად გარდაქმნილნი. ეტყობა, დედის უსასრულო მოთმინებამ

გაუნათა გონება და ყოვლისმცოდნედ, ყოვლისმხილველად აქცია. ერთდროულად, მისანივით კუშტიც იყო და მსახიობივით სიტყვაუხვიც. გარემოც შეეფერებოდა მის ანტიკურ ვნებათა ღელვას. ქვის ყორესთან იდგა, თავშიშველი, მზემოკიდებული. ყორეზე კი რვაფეხას ჩონჩხივით გადმოწოლილიყო გამხმარი, ეკლიანი, დამტვერილი მაყვლის ბუჩქი. ისე გაეტაცნა საკუთარ სითამამესა და დაუნდობლობას, მამის გარდა, ვერაფერს ხედავდა გარშემო. მამისა არ იყოს, მღელვარებისგან დაჭიმული, დაძაბული მისი სხეულიც სიმივით თრთოდა და იმ სიმზე ჯერ არსმენილი, სტიქიურად ამოხეთქილი მელოდია სრულდებოდა - სიყვარულისა და სიძულვილისა, მრისხანებისა და მორჩილებისა, ნდობისა და უნდობლობისა - რაც, ჩვენში რომ ვთქვათ, სხვა არაფერია, თუ არა, ერთხელ კიდევ განცდა განუცდელისა და ერთხელ კიდევ განმეორება განუმეორებლისა, ანუ, ზემოთ ჩამოთვლილი გრძნობების სიცოცხლისუნარიანობისა და დაულევლობის დადასტურება, ამჯერად, შენი მეშვეობით. უეცარი ბედნიერების შეგრძნებით უფრო იყო გაკვირვებული, ვიდრე მამის ხილვით; საკუთარ არსებას უფრო უწყრებოდა, ვიდრე მამას; საკუთარი სისუსტე უფრო აცოფებდა, ვიდრე მამის უნებლიე უყურადღებობა. მაგრამ, უნდოდა თუ არა, უფრო სიხარულის დამალვას ცდილობდა მაინც, ვიდრე წყენისა და სიბრაზის გამომჟღავნებას. შეიძლება იმიტომაც, სრულებითაც რომ არ ელოდებოდა მამის დანახვას და გულის სიღრმეში, ის დღეები, სწორედ მისი დანახვა უნდოდა ყველაფერზე მეტად. უნდოდა სწორედ ახლა გამოეჩინა იმას მამობა - მოენახა, ეპატრონა, დაეცვა ყველასგან და ყველაფრისგან.

მართალია, ჭიპლარს რომ შეაჭრიან, ადამიანიც ისევე აღარ ეკუთვნის მშობელს, როგორც ზღვაში გასული ნავი - მიწას, რომელზედაც იქამდე თოკით იყო მიბმული, მაგრამ მთავარია, ადამიანს, ნავისა არ იყოს, დასაბრუნებელი ადგილი ჰქონდეს და რაც კიდევ უფრო მთავარია, ყოველთვის ელოდებოდნენ იქ. კი უარყო, კი აღარ ინდომა, კი დაუმალა თავისი ადგილსამყოფელი, ქუჩაში გალახულმა და დამცირებულმა, მაგრამ იმ დღეს რომ გაუხარდა, ისე არასოდეს გახარებია მშობლის დანახვა. არა მარტო გაუხარდა, რაღაცის იმედი გაუჩნდა თითქოს მოულოდნელად, შვება იგრძნო უცებ, მოეშვა, მოდუნდა ერთბაშად. სულაც, გული მოუბრუნდა ცხოვრებაზე, რომელსაც ამ გადაყრუებულ სოფელში ემალებოდა და მამის დანახვამ გაახსენა - მშფოთვარე, მღელვარე, მარადიული... და თავისთავად ცხადია, მოულოდნელი, წარმავალი განცდებით სავსე. კახეთი ლამის ფეხითა მაქვს შემოვლილი, თანაც რამდენჯერმე, მაგრამ ვერც წარმოვიდგენდი, კიდევ თუ არსებობდა ასეთი გადაყრუებული, ასეთი ძველებური სოფელი. სამხედრო ტყვეებივით, ხელებაწეულებმა გავიარეთ ჭინჭრის ზღვა - ჭიშკრიდან სახლამდე. სახლშიც მძაღე სუნი იდგა სიძველისა, გეგონებოდათ დანაყილი ნიორი დარჩენიათ ლამბაქზეო. სურაში კი ხელოვნური ვარდები ჩაეწყო ალბათ ეკაეკატერინეკატოს მეგობარ გოგოს, რომლის ბებიასთანაც შეეფარებინა ორივეს თავი საავადმყოფოდან გამოქცევის შემდეგ. არა მარტო შეეფარებინა, "მკურნალობდნენ" კიდეც მასთან. რაღა ის ბებია და რაღა ლომოურის კუდიანი ბაბალე. წინსაფრის ჯიბეში შავტარიანი დანა და ნახშირის ნატეხი ედო. ფილაქანზე გადაფენილ მრავალძარღვას ფოთოლივით დაჭმუჭნოდა იმასაც სახე. ბებიაჩემის

ტყუპისცალსა ჰგავდა, ის თუ არ იყო საერთოდ. "დაგვიწამლა ბავშვები იმ უჯიგროდ შობილმაო" - შერისხა ვიღაცა. სადაც არ გაჩერდებოდა, შავად გაბურძგნული, მასავით ბებერი ძაღლი წინ დაუწვებოდა ხოლმე მაშინვე. მთელი სახლიცა და აივანიც ვაშლით იყო მოფენილი. პირდაპირ იატაკზე ეყარა. თითქოს საჭმელად კი არა, სუნისთვის ინახავდნენ მხოლოდ. ფეხით ვჭყლეტდით უნებურად, რის გამოც კიდევ უფრო მძაფრდებოდა ვაშლის ჩაშაქრული სურნელი. მანქანაშიც ვედროთი შემოგვიყარა, გზაში პირს გაისველებთო. სხვათა შორის, იქამდე, შარშანდელი ღვინოც აღმოაჩნდა ქვევრში. ქვევრიც თვითონ მოხადა და პირველი ჭიქითაც თვითონ დაილოცა, კაცურად. გაძლება მოგვცეს ღმერთმაო. წინა მანქანაში "დაწამლული ბავშვები" და თბილისიდან საგანგებოდ წამოყვანილი ექიმი ისხდნენ. უკანაში - მე და ჩემი მეგობარი. რამდენჯერაც არ უნდა გამოეხედა ეკაეკატერინეკატოს მანქანის უკანა სარკმელში, მეც იმდენჯერ ავწევდი ხოლმე მაღლა ღვინის ხელადას, შენ გაგიმარჯოს მეთქი, და ერთხელ კიდევ მივიყუდებდი მწყურვალივით. ღვინით ვიყავით გაწუწულები თავფეხიანად. გვიჭირდა მოძრავ მანქანაში ხელადიდან დალევა, მაგრამ მაინცდამაინც, ხელადიდან გვინდოდა დაგველია, გაუჩერებლად. თან ვსვამდით, თან ზედ ვისხამდით ღვინოს. მანქანაც ღვინის სუნით იყო გაჟღენთილი, მოხეტიალე მარანივით. უფრო აღგზნებულები ვიყავით, ვიდრე მთვრალები. გვიხაროდა, ჩვენი რომ გავიტანეთ მაინც, მაინც რომ მივაგენით, ვისაც ვეძებდით, ვინც შეგნებულად გვემალებოდა, რათა მოგვეძებნა, და, რაც მთავარია, ვინც უკეთესად დაგვხვდა, ვიდრე წარმოგვედგინა, რა თქმა უნდა, ერთმანეთის ზურგს

უკან. მოუკირწყლავ საურმე გზაზე მანქანა წარამარა ეზანყებოდა ორმოებში, აქეთ-იქით ვაწყდებოდით, რაც კიდევ უფრო ამძაფრებდა ჩვენს საზეიმო განწყობილებას. ხელადის ხორკლიანი პირი კბილზე გვიხვდებოდა, ტუჩი გვეწეწკებოდა, უარესად ვიწუწებოდით, მაგრამ მაინც გვიხაროდა, ვიცინოდით, ყასიდად ვიგინებოდით და ისევ ხელიდან ვტაცებდით ერთმანეთს ღვთაებრივად ბარაქიან ხელადას. მანქანის ორივე მხარეს კი, ვითომც არაფერიო, მწვანედ ხასხასებდა ბუნება.

კარზე კი მაინც აკაკუნებს ვიღაცა. ან ზარი გადაიწვა, ან შუქი გამოირთო (აველუმი ისევ ამოაძვრენს საბნიდან ხელს და ისევ დააჭერს თითს მაგიდის ნათურის ღილაკს, ხოლო შუქი რომ აინთება, ისე გაუხარდება ეს ამბავი, ზედიზედ კიდევ რამდენჯერმე გაიმეორებს იგივეს). ესე იგი, ადვილი შესაძლებელია, კი არ აკაკუნებდნენ, გვეჩვენებოდეს, აკაკუნებენო. ხმა კი არ გვესმის, ხმის შეგრძნებაა ალბათ სამუდამლოდ ჩარჩენილი ჩვენს არსებაში. უაღრესად არასასიამოვნო მოვლენებთან, განცდებთან, ფიქრებთან დაკავშირებული ხმა დროთა განმავლობაში შეგრძნებად ქცეულა და ხანდახან, როცა სასურველი ვითარება შეექმნება, თავისთავად იღვიძებს ხოლმე. ამის ბრალია, შავ ოთახებში მარტოობის ცეცხლი რომ გედება და ჭკნება, ჭკნება სიყვარული უკანასკნელი. ჭკნება ნაზად, მწუხარედ. მარტოობის ჟამს. ოდეს არსაით არ მოისმის თანაგრძნობის ხმა. თითქოს ჯერ არ დაბადებულხარ, ან დიდი ხნის მკვდარი ხარ უკვე. არადა, ყველაფერი გახსოვს. შენგან მახსოვრობაღაა დარჩენილი. უფრო სწორად, ნარბენი კაცივით გულამოვარდნილი, ავაზაკური ფაცა-ფუცით მარხავ მახსოვრობაში მთელ არყოფილ ბედნიერებას. სივრცეც გამქრალა - ყველაფრის მიმტევებელი, ყველაფრის გამნელებელი. სად არის ჩემი ყვავილებიო - ამაოდ დაეძებს ქალბატონი აისოდორა ქმრის მორთმეულ ყვავილებს. არასოდეს მოურთმევია შენთვის მამაჩემს ყვავილიო - უყვირის მოთმინებიდან გამოსული სონია და თან საყვარლის მორთმეულ ყვავილებს აწყობს ლარნაკში. კმაყოფილი ყვავილებიც, დაცქვეტილნი, ნიშნის მომგები ღიმილითა და ყვავილური ყოყლოჩინობით გადმოსცქერიან ყავლგასულ ქალს ლარნაკის სიმაღლიდან. გრძნობათა ფერფლი

შემოგვდგომია გარშემო. სიყვარულიც გამოვიგლოვეთ და სიცოცხლეც. ვიტანჯებით, მაგრამ ამ ტანჯვით ჩვენვე ვტკბებით გულის სიღრმეში. ასეთი პოეტები გყავდეს და არ იცოდე, ესეც თავისებური უბედურებაა. სარკეში კი ჩემი ორეული გარინდულა, როგორც ცხედარი ვერცხლის კუბოში. შემოდგომაა... არა, ზამთარია უკვე. დეკემბერი იწურება. ბაღში ბილიკებს მიმოჰფენია მჭკნარი ფოთოლი. იმ ფოთლებში დავრბოდით მე და მელანია, მოსალოდნელი განშორების შიშით კიდევ უფრო აღგზნებულნი, კიდევ უფრო შეპყრობილნი ერთმანეთის სურვილით. ეს იყო წინათ, დიდი ხნის წინათ. სად? როდის? რისთვის? არ ვიცი. იყვნენ ოდესღაც და მიეძინათ. ღელავს ფოთლების მწყობრი კამარა. ჩემს შვილიშვილს კი სცივა. წეღან, მგონი, დაახველა. იქნებ მე შემტენო, შეშის მაგივრად, ცეცხლფარეშო, შენს ღუმელში?! ერთი, ყველგან ერთი, ყოველთვის ერთი. სამი თაობის ჯამი. სამი უდრის ერთს. მაგრამ ერთი მაინც ერთია. ჭკნება, ყვითლდება საბრალო ბაღი. როგორც სიზმარში უცხო სიზმარი. შეყვარებულს და მეოცნებეს ჩვენი სალამი. მაგრამ დაცინვას კაცი არ მოუკლავს. რანაირი მოწყენილი მივალ. მივდივარ ცისკენ და შორიდან ვხედავ ჩემს აჩრდილს. მაგრამ სადაც არ უნდა მივიდე, მკვდარი ქალივით დამხვდება ლოგინი. გათოშილი. თითქოს სველიც. აი, ახლა ხელს შევახებ და არაფერი არ მოხდება მეთქი. ესე იგი, არც მე მოვკვდები ამის გამო და არც ის გაცოცხლდება მეთქი. ასე ვებრძოდი შიშსაც და სურვილსაც ერთდროულად. მაგრამ ბოლოს მაინც რომ გავბედე და ფრთხილად, მორიდებით შევახე ხელი, ზეწრიდან წამსვე გამოჟონა გვამის სიცივემ. სწორედ ის დრო ვერ მომინელებია, რომელიც მხედველობიდან გამომრჩა. იღელვე, მაგრამ

მშვიდად, როგორც დედა გაფრთხილებდა ყოველთვის. ოი, რომ იცოდე, როგორ მოაბეზრე ყველას თავი შენი დაუცხრომელი ყბედობით და მაინც არ დაგადგა საშველი, თბილისისკენ მიმავალ გზასავით. მაგრამ ყველაზე მეტად მაინც შენს სისხლსა და ხორცს მოეწვება გული, გინდაც გააჩუქე, გინდაც გადაჩეხე. აკი პოეტის დაც განუწყვეტლივ კითხულობდა - გადარჩება თუ არაო - ერთსა და იმავეს იმეორებდა სულ, გალიის თუთიყუშივით, მაგრამ თავად პოეტს არავინ ეკითხებოდა, უნდოდა თუ არა გადარჩენა. ის უეცარ სიკვდილს ელოდა. ირგვლივ კი მწუხარება ღელავდა მშვიდად. და მაინც, რანაირი მოწყენილი მივალ... ქრისტე მიხმობს ვარსკვლავიდან. უნდა წავიდე. უხერხულია. ვალდებული ვარ. მაგრამ მართლა მე მიხმობს?! იქნებ ბედნიერაში ვეშლები? რა არის, ბოლოს და ბოლოს, ცხოვრება? უძილო ღამე. ყრუ ფიქრები. გნებავთ, მზე და ჭუჭყი. და მაინც მიწას ვარ მიჯაჭვული. პოეტისა არ იყოს, ვნახოთ ერთი, როდემდე გასტანს ეს ტანჯვა. ცხოვრება მთვარის შუქში მიძინებული სოფელია. ალვის ხეებს წმინდა ფოთოლი სცვივა. ხეებს შორის მოულოდნელად გაბრწყინდება ხოლმე ცრემლივით ჩუმი წყალი. სადღაც ორთქლმავალი კივის და გული ასვენია მაღალ სიჩუმეში და შენ გაგონდება შენი წარსულის მზეც და ჭუჭყიც და სიშორეზე ტირის როიალი და გული მიგაქვს ძვირფასი ცხედარივით. მხოლოდ ის გაწუხებს, არ დაგივარდეს და რამე არ ეტკინოს მკვდარს. ვიდრე ტკივილის შეგრძნება ჰქონდა, ამაზე არ გიფიქრია. მაღლა ვარსკვლავები ჟივჟივებენ, დაბლა ფოთოლი ფაჩუნობს. შენ კი სიზმრების ქსელში გაბმულხარ და ძლივსღა მიიკლევ იმისკენ გზას და მაინც, დიდი მადლობა ღმერთს, კიდევ რომ მოგეცათ სიყვარულის

გამოვლენის საშუალება. თუნდაც ცოტა ხნით. იმას უკვე იმქვეყნიური სინათლე ედგა თვალში, შენ კი ჩაქცეული სისხლისგან გადალურჯებულ მკლავებს უკოცნიდი და უსინდისოდ ატყუებდი, გიშველიო. იმასაც სჯეროდა და ავადმყოფის კვალობაზე საკმაოდ მომხიბვლელად კეკლუცობდა კიდეც. აიო - გაჩვენებდა ჩამტვრეულ კბილს, გულწასულს რომ ჩაამტვრია სასწრაფოს ექიმმა - აი, რა მიყვესო - ისიც სასწრაფოს ექიმს გულისხმობდა, თუმცა დარწმუნებული არ იყო, თავად რომ არ ჩაამტვრიე კბილი. ყოველ შემთხვევაში, აშკარად არ გადებდა ხელს, გზოგავდა, გიფრთხილდებოდა და, ამავე დროს, შენს დადანაშაულებას, ერჩია შენთვის შეეჩივლა თავისი საწუხარი, როგორც უახლოესი მეგობრისთვის, ცხოვრების თანამგზავრისთვის, უღლის მოზიარისთვის, თანამეცხედრისთვის. შენ კი ყალბად უღიმოდი, საკუთარი უმწეობისგან გულდაკოდილი, ყელგამშრალი, თავგზააბნეული და უკბილოდ ოხუნჯობდი. მოკლედ, ისე დაამთავრეთ, როგორც დაიწყეთ - შეფარული, გადაკრული ქათინაურებითა და საყვედურებით, ბუზღუნ-ჭუკჭუკით. სიყვარულის გამჟღავნების დიდ სურვილს იყავით ისევ აყოლილნი და, ამდენად, გარეშე თვალისთვის ალბათ უფრო გაუგებარნი და სასაცილონი ჩანდით, ვიდრე საბრალონი. მით უფრო, თუკი თქვენ მდგომარეობასთან ერთად, თქვენს ასაკსაც გავითვალისწინებთ. ეგ იყო და ეგ. მერე სალაპარაკოდ აღარ გინახავთ ერთმანეთი. თუმცა, მერე აღარც დაულაპარაკნია იმას საერთოდ. ოპერაციის შემდეგ გონზე არც მოსულა, მაგრამ ორი კვირა მაინც იომა, მაინც ეცადა მობრუნებულიყო მისიანებთან. მაგრამ ამაოდ. ღმერთმა არ ინება. თორემ მისიანები სულ ექიმს

იყვნენ პირში მიჩერებულნი, იქნებ უფრო ძნელად საშოვნელი წამალი წამოსცდესო. ვიდრე წამალს დაეძებდი, კიდევ გჯეროდა შეუძლებელს რომ შესძლებდი. ეს რწმენა გაძლიერებდა, ეს რწმენა აძლევდა აზრს ყველაფერს, უჭმელობასაც, უძილობასაც, საავადმყოფო-საავადმყოფო სირბილსაც, თხოვნასაც, მუდარასაც, ცდას, ყურყუტს, მორჩილებას, ნებისმიერი უსამართლობის მოთმენას, ნებისმიერი დამცირების ატანას... მოკლედ, ყველაფერს, რასაც ავადმყოფობა ავალდებულებს ავადმყოფის პატრონს. ახლა დაძაბული ელოდები კაკუნის გამეორებას, მაგრამ კაკუნი აღარ მეორდება. დაძაბულობისგან კისერი გეტკინა, მაგრამ ისევ დაძინება კი არ სცადე - თუნდაც ამაოდ - მაგიდის ნათურა აანთე, სათვალე მოირგე და საწოლთან, იატაკზე დაყრილი და ვინ იცის როდინდელი გაზეთები ერთიანად მობოჭე. იფიქრე, კითხვით დავიფრთხობ უაზრო ფიქრებსო, მაგრამ ვერ მოგართვეს, არც ისე იოლი აღმოჩნდა ეს ამბავი - ფიქრის ონკანი მოშლილა და ბოლომდე არაფრით არ იკეტება. უფრო სწორად, ფიქრი პატრონზე ვერაგი აღმოჩნდა - სახე იცვალა (გარდაიქმნა), გაზეთიდან ამოკითხულს შეერია, შეერწყა და იმასთან ერთად შებრუნდა უკანვე, პატრონის გონებაში. ჩვეული უტიფრობითა და დაუდევრობით გაუყვა ტვინის უსასრულო, უთავბოლო ტალანებს, ოღონდ, ყველაფერზე დაფეთებული კი არა, შემთხვევით შემოხეტებული კაცივით, შინაურივით მცოდნე და გამომრჩეველი იმისა, რაც იმ წუთას სჭირდებოდა, ანდა მეორე წუთას დასჭირდებოდა. ვერ უყურებთ! ევროპის უდიდეს ქვეყანას, უკრაინას უცვნია პაწია საქართველო. საქართველო საუკუნის დასაწყისშიც პაწია იყო, მაგრამ დიდ უკრაინასაც

ეიმედებოდა. იცვალნენ დრონი. თბილისის ზოოპარკი ეროვნულ ზოოპარკად გადაკეთებულა, ოპერისა და ბალეტის თეატრისა არ იყოს. სხვათა შორის, სამართლიანი გადაწყვეტილებაა. თუკი ჩვენია, თუკი ჩვენ გვემსახურებიან, მაშინ კენგურუცა და ნიანგიც ისეთივე ეროვნული ცხოველები არიან, როგორიც მეგრული თხა თუ კახური სახედარია. ქართველ მანდილოსნებს კიდევ ერთი კარავი დაუციათ რუსთაველზე. ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, მოსალოდნელია მატრიარქატის აღდგენა. ექსპერიმენტი გრძელდება. მე როგორც ქალი, მე, როგორც დედა, მე, როგორც ცოლი, მე, როგორც გამგებელი ხმელთა და წყალთა... თბილისის მინიატურული "ულანბატორი" კიდევ ერთ ღირსშესანიშნაობად იქცა არა მარტო უცხოელი ტურისტებისთვის (სადღა არიან, თორემ კი!), არამედ ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც. ცნობისმოყვარენი, დილიდან საღამომდე, პირდაღებულნი დაბორიალობენ კარვებს შორის. კარვებში კი, როგორც იტყვიან, ცხოვრება დუღს და გადმოდუღს. გაყვანილია სატელეფონო ქსელი, ელექტრონი... მომავალში ალბათ კანალიზაციასაც გაიყვანენ. შესვლა უფასოა, გამოსვლა - სათუო. ვინაიდან მოუცლელობისა ქვეშე შევრდომილი არს ერნი ჩვენნი და არა აქუსთ მოცალებაი დროისა ძალით მიზეზითა ერთა ქართლოსიანთა, რითამცა აზნაურებითი ხედვუათა, გინა ფილოსოფიათა იყვნენ შემეცნებელ, ანუ ზედმიწევნილ, ამის გამო ვჰყავ შრომაი ესე. რუსთაველზე კი ისვრიან. სხვათა შორის, მას მერე ისვრიან, რაც "ვჰყავით შრომაი ესე". უბრალოდ, დღეს ჩვენ შევესწარით სროლას, ხვალ სხვები შეესწრებიან. ჯერ დრო ითმენს. საქართველოს

ტახტის უკანასკნელი მემკვიდრე და მისი დამაქცევარი რუსეთის იმპერიის პირველი ვოლტერიანელი გახლდათ. ფრიად განათლებული და ფრიად ურწმუნო. მამას შეუთვალა, რაც შენ გწამს, მე გამიწყრეს, რაც მე მწამს - შენო. მამა-შვილი ყოველთვის მამა-შვილია. მალე მამამისი, საქართველოს უკანასკნელი მეფე, ზაქიჭამია გიორგი, არაბივით გაშავებული და რუმბივით გაბერილი იპოვეს საკუთარ საწოლში. შვილის წყევლამ უწია. თუმცა, არც თვითონ დარჩა ვალში - შვილიც ახალგაზრდა მიიცვალა პეტერბურგს. ერთმანეთს მოუღეს ბოლო, რადგან ორივე ერთნაირად ზედმეტი იყო მესამისათვის: რაკი თავად ტახტი აღარ არსებობდა, აღარც მეფისა და აღარც მემკვიდრის არსებობას ჰქონდა გამართლება. ახლაც იმიტომ ისვრიან რუსთაველზე. აქამდე ვერ გაგვირკვევია, რა ამბავია ჩვენს თავს. ვისიც უნდა გვეშინოდეს, იმის იმედითა ვართ. გაანათლოს მამის ღმერთმა, მაგრამ პეტერბურგიდან როგორ მიეხმარებოდა ქიტესას "აზნაურებითი ხედვის" გამომუშავებასა და "ფილოსოფიათა" შემეცნებაში?! შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა, ვერც ერთმა მისმა ნაშრომმა ვერ მიაღწია თავის დროზე ქიტესამდე და პირდაპირ სამუზეუმო ექსპონატად იქცა. იცის ბიჭმა თავისი საქმე. ასე რომ არ მომხდარიყო, იქნება ქიტესაც აღარ ყოფილიყო დღეს ასეთი ქიტესა, მაგრამ ასე თუ არ მოხდებოდა, მაშინ ხომ აღარც რუსეთი იქნებოდა ასეთი რუსეთი. არადა, მართლაც მრავალმხრივ გამათვითცნობიერებელი ლიტერატურა დაუტოვებია საწყალს. საქართველოს ისტორიაო, სახელმძღვანელო ფიზიკისაო, არტილერიისაო (ჩვენ კი დღესაც რუს არტილერისტებს ვქირაობთ, აქეთაც და იქითაც), აგრეთვე, გეოგრაფიისა და მითოლოგიისაო, ნადირ

შაჰის ისტორიაო, მოკლე ქართული გრამატიკაო (ლევანი კი არა, ლევან! ბოდიშით კი არა, ბოდიში!), ფილოსოფიური კითხვა-მიგებანიო, შემოკლებული კატიღორიაო, ღვთისმეტყველებაო... რომ არაფერი ვთქვათ ლექსებზე (პოეზია ბაგრატიონთა აქილევსის ქუსლია), პროზაულ ნაწარმოებებზე, თარგმანებზე... ნაბუქოდონოსორისაგან წარტყვევნა იერუსალიმისა. თუმცა, არც დღეს გვაწყენდა ეს წიგნები. დღესაც გამოვიყენებდით რამეში. ტუალეტისკენ მიმავალი უმოკლესი გზა დღეს სწორედ წიგნზე გადის. ერთი იდიოტური რომანიდან თავისუფლად შეიძლება მივიღოთ ტუალეტის ქაღალდის ორი-სამი რულონი. ისე, კაცმა რომ თქვას, სულიერი საზრდოც, ნებისმიერ საზრდოსავით, ადრე თუ გვიან თავისებურ განავლად იქცევა. შემინდე უფალო და დიდება შენს სახელს! ქაშვეთის ეზოში სარეცხი გამოუფენიათ, ეკლესიაში კი წირვააო - შფოთავს გაზეთი. უსინდისო. ეგ არ იყო, ჯერ კიდევ გუშინ, იმ მომაკვდინებელ შხამს რომ ადარებდა რელიგიას, ოვანესას ბინაზე რომ აღმოუჩენიათ ერთხელ კიდევ?! რისი თქმა გნებავთ ამჯერად, ბატონო გაზეთო? სარეცხი შეურაცხყოფს წირვას თუ წირვა სარეცხს? ახლა შეამჩნიეთ პირველად? რაც თავი მახსოვს იმ ეკლესიის ეზოში ყოველთვის ხალხი ცხოვრობდა. ხალხი კი უსარეცხოდ სად გაგონილა?! მარტო წირვა-ლოცვით ვერ გაიტან თავს, პურიც გინდა არსობისა. ის კი ოფლით მოიპოვება მხოლოდ. თანაც, ერთხელ და სამუდამოდ კი არა, ყოველდღე, ყოველდღიური ტანჯვით. ასევე ყოველდღიურად თუ არ მოიშორე ოფლი, თუ არ გაირეცხე გაოფლილი პერანგი, პური ოხრად დაგრჩება და შენ თვითონ შეგჭამს ჭუჭყი. ხოლო სარეცხი თუ არ გაფინე, ვერ გააშრობ. მოკლედ, ერთმანეთზეა

ყველაფერი გადაბმული. ეკლესიაში წირვაა, ღია კარიდან გალობის ხმა და საკმევლის სუნი გამოდის, ეკლესიის ეზოში კი ქალი სარეცხს ფენს. ფენდა. ახლა ცეცხლი უკიდია იქაურობას. ეკლესიის ჩუქურთმას ავტომატის ტყვია ფშხვნის. სარეცხის თოკზე ბავშვის პერანგი დარჩენიათ. ისიც ტყვიითაა დაცხრილული. სხვები, იმედია, გაიხიზნებოდნენ... რუსთაველი რახანია გადაკეტილია. დღეს დილით სამმწკრივად იდგნენ ბეტონის ლოდებით დატვირთული "კამაზები". ახლა, შეიძლება, უკვე ოთხმწკრივად დგანან. ბევრი ხალხი იყრის თავს სეირის სანახავად. შავ ტბორებად გროვდებიან და ყრუდ გუგუნებენ. ბავშვები ხომ იქ ათენ-აღამებენ, არაფერი გამოგვრჩესო. ჩვენი ხვალინდელი დღე. დღეს რაც ხდება, იმათთვის ხდება, კარგიც და ცუდიც. რასაც დღეს შეითვისებენ, ხვალ გამოიყენებ. ამდენს, ეტყობა, თავადაც ხვდებიან და ერთი წუთითაც არ იცვლიან იქიდან ფეხს. მამა არა, ტოროლა! არაფერი აღარ უნდათ, არც როკის კლიპები, არც პორნოფილმები, არც კევი და არც კოკა-კოლა. კალაშნიკოვის ერთი ჩაკაკანება ყველაფერს ურჩევნიათ. წამო, ბიჭო, რა, დეიდაჩემი ცხოვრობს აქვე. რამეს გვაჭმევს. მშია. აუ, არა რა. უცებ შევჭამოთ. ჯერ არ დაიწყება. თანაც, იქიდან უფრო გავძვრეთ იქნებ. პირდაპირ ბაღზე ავჭრათ, მოკლეზე. აუ, არა. საცაა დაიწყება. დაიწყება და ჩვენც მოვალთ. ქაშვეთიდან ავიდეთ. უფრო ახლოს არ ვიქნებით?! პორშე გირჩევნია თუ კალაშნიკოვი? არ დაფიქრდე! უცებ თქვი. აუ პორშე. არა კალაშნიკოვი: პორშე რად მინდა? თანაც აქ, ამ დამპლებთან. რამე თუ გაუფუჭდა, გათავდა, მოგჭამა ჭირი. სად გინდა გააკეთებინო?! კალაშნიკოვი ნაღდია. იცი რა ღირს? მე კალაშნიკოვში ყველაფერს მივცემ. შენ კი მისცემ, მაგრამ ვინ აიღებს? აუ, მაგარია.

გისვრია? სიზმარში ვისვრი ხოლმე. მთელი ღამე. მარტო მაგის გამო ვწვები ადრე. ტა-ტა-ტა-ტა-ტა. წიუ-წიუ-წიუ-წიუ... აუ, მაგარია. აუ, გუშინ კიტოვანი დავინახე. აუ, დაიფიცე. აუ, ბოზიშვილი ვიყო. ყველა მოუთმენლად ელოდება როდის განახლდება სროლა მთავრობის სასახლესთან. ახლა, მაგალითად, ისვრიან. ეს ახალი წლის აღსანიშნავი სროლა არ არის. ჯერ მთელი საათია იქამდე. მანათობელი ტყვიები უწყვეტ ნაკადად მიფრინავენ ერთმანეთის შესახვედრად. "ივერიიდან" მთავრობის სასახლისკენ, მთავრობის სასახლიდან "ივერიისკენ". "თბილისი" უკვე იწვის. მხატვრის სახლიც. პირველი სკოლაც. კავშირგაბმულობის სასახლეც. და სხვა მრავალი. ხანდახან ძველი, ჩამოწერილი ქვემეხიც დაიბუხუნებს ხოლმე, ზოოპარკში ჩაბერებული ლომივით. შეიძლება, მეთერთმეტე არმიის შემოტანილიც იყოს თავის დროზე, მაგრამ რაკი დღეს გავიყარენით ძმები, ძველი და უვარგისი, სასამართლომ ჩვენ გვარგუნა. დიახ, ჩვენ. მე, შენ, მას. ყველანი საქმეში ვართ გასული და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ცხადია ეს თუ სიზმარი. სიზმარი ცუდად დავიწყებული ცხადია და, რასაც სიზმარში აკეთებ, ან ცხადშიც გაგიკეთებია, ან ცხადშიც გააკეთებდი, რომ შეგეძლოს. "გამატარეთ, იქ ჩემი შვილიაო" - იყვირებ უცებ. ისევ გაოფლილხარ. ძლივს სუნთქავ დაღლილობისგან. არადა, არც გაგიგია, როდის მოირბინე აქ. "ახალი ამბავი, ჩვენი შვილებიც იქ არიანო". - აყაყანდება ხალხი. იქამდე კი შავ ტბორად იდგა "კამაზების" წინ და ყრუდ გუგუნებდა. "ეს ეკაეკატერინეკატოს მამაა და უფლება აქვს აქ შემოსვლისაო" - დაიძახებს ბეტონის ლოდზე ზურგით მიწოლილი გვარდიელი და თვალს ჩაგიკრავს. ცალ ხელში ავტომატი უჭირავს, მეაორეში მთელი

ძეხვი, ჯერ კიდევ გაბაწრული, და მადიანად ილუკმება. ვერ ხვდები, რატომ გიკრავს ის ბიჭი თვალს, რას განიშნებს, მაგრამ რაკი აღარავინ გეღობება წინ, დაადებ თავს და წახვალ, თითქოს იცოდე, სად მიდიოდე. ახლაც მიდიხარ, გაოფლილი, აქოშინებული, თითქოს წუთი-წუთზე წყდება შენი ბედი. სანახევროდ ბნელი გვირაბია, ყოველ წუთას ვირთხა გადაგირბენს ხოლმე წინ, ნელა, აუჩქარებლად. მგონი რომელიღაც ფილმში გინახავს ეს გვირაბი, მაგრამ ახლა ამის გახსენების დრო არ არის. ტანი გიგრძნობს, შენი შვილიც აქ არის სადღაც და იქნებ ამჯერად მაინც გადაარჩინო. ვიღაცებს მუყაოს დიდ ყუთზე პურ-მარილი გაუშლიათ და ქეიფობენ. სამლიტრიანი ქილებით უდგათ ღვინო. გილოცავთ ახალ წელსო - გეძახიან სუფრიდან. შენ კი იმის შიში გკლავს, სუფრაზე არ მიმიპატიჟონო, მაგრამ მაინც ჩერდები და მორიდებით კითხულობ, ხომ არ იცით სად არიან აქ გერმანიაში გასაგზავნი გოგო-ბიჭებიო. ისინი კი იცინიან, კვდებიან სიცილით. გაპიპინებული ჭიქებიდან ღვინო ეღვრებათ. შენ ჯერ გაოცებული უყურებ ახარხარებულ მოქეიფეებს, მაგრამ ნელ-ნელა თვითონაც გეღიმება, უფრო სწორად ხვდები მათი გამხიარულების მიზეზს. ისინი არიან, იმათ ეძებ სწორედ. ერთ-ერთი მათგანი კი ეკაეკატერინეკატოა. მართალია, ბიჭად არის გადაცმული და ნახშირით ულვაშებიც მიუხატავს, მაგრამ მაინც სცნობ შვილს. თავისთავად ცხადია, ისიც გცნობს. "რომ იცოდეთ, ეს კაცი მწერალიაო" - ეუბნება დანარჩენებს, მუყაოს ყუთზე ატამანურად ფეხშემოდგმული. ეტყობა, ის არის ამათი უფროსი. დანარჩენები გაოცებულნი, დაინტერესებულნი იყურებიან შენსკენ. "შენთვის მაინც მწერლობაა, არა, მთავარი?!" - გეკითხება ჩუმად,

დაძაბულად მომღიმარი. არ უნდა რომ სხვებმაც გაიგონ - "აქაც იმიტომ მოხვედი, არა?! - ბრაზდება უცებ - ჩვენზე წიგნს დაწერ და ამით მოიხდი შენს მამულიშვილურ ვალს, არა?!" - გაცივდება გაწიწმატებული. "არაო" - ყვირი შვილის მიუხვედრელობით შეწუხებული, გამწარებული, თუმცა, მთლად გულწრფელი არ არის შენი პასუხი. უფრო სწორად, ვერ მიმხვდარხარ, ვერ გაგიგია, რა დაშავდება, რითი იქნება ცუდი, თუნდაც მართლა წიგნის დასაწერად რომ იყო აქ მოსული. მაგრამ ახლა წიგნი არც გაგხსენებია. რა დროს წიგნია საერთოდ! კი ხვდები, შეფარვით რომ დაგცინის შვილი, მაგრამ იმის აგდებული ღვარძლიანი ლაპარაკი კი არ შეურაცხგყოფს, კიდევ უფრო გასევდიანებს, კიდევ უფრო გაუძლურებს და, იმავე დროს, კიდევ უფრო გავალდებულებს, ყველაფერი იღონო, ყველაფერს გაუძლო, ყველაფერი აიტანო, ოღონდ შვილი როგორმე გამოვიდეს ამ გვირაბიდან, ვირთხის სუნით გაჟღენთილი წყვდიადიდან. მაგრამ თავის დროზე რა შეგეძლო, ახლა რომ გამოიდო თავი! აბა, მართლა რიღასთვის მოხვედი აქ? რიღასთვის დაიმცირე თავი? ახალგაზრდები, დავუშვათ, შეგნებულად მიდიან სასიკვდილოდ, უეცარი და ლამაზი სიკვდილი ურჩევნიათ (თუნდაც ასაკის გამო), გაუთავებელსა და აუტანელ მოლოდინს, მაგრამ შენ რა გრჯის? შენ რისთვის იგდებ თავს განსაცდელში? მით უფრო რომ, შენი ბედი ისედაც გადაწყვეტილია. როგორც არ უნდა დამთავრდეს ამღამინდელი ღამე, შენ მაინც დამნაშავე იქნები. უკვე დამნაშავე ხარ, რადგან არასოდეს არ ყოფილხარ იქ, სადაც შენი ადგილი არ იყო და, როცა, ბოლოს და ბოლოს, მაინც აღმოჩნდი, თვითონვე გაგიჭირდა ამის აღიარება. ამიტომ, არც შენს

ახალგაზრდა თანამოქალაქეებს გაემტყუნებათ, ეჭვის თვალით თუ შეხედავენ შენს მოულოდნელ გამოცხადებას, პროვოკატორად ანდა შემოგზავნილად თუ ჩაგთვლიან. პროვოკატორი და შემოგზავნილი საქვეყნოდ განთქმული ხელოვანიც შეიძლება იყოს და დილეგიდან ნეხვის გამომხვეტავი არარაობაც. შენც გეძახიან აქეთ-იქიდან, ვითომ ხუმრობით, მოგზავნილი ხომ არა ხარო, შენ კი ვერაფერს პასუხობ, იმიტომ რომ... კაცი როცა ტყუის, წინასწარ იმარაგებს ტყუილის გასამართლებელ, ტყუილის დასაცველ ვერსიებსა თუ ლეგენდებს, მაგრამ სიმართლესაც რომ დაცვა უნდა, ასევე ყოველთვის ავიწყდება. მართალი კაცი თავს ვერ იმართლებს და რასაც დამტკიცება არ სჭირდება, იმის დამტკიცებაა სწორედ ძნელი. მაგრამ შენდა ბედად, ვირთხის სუნით გაჟღენთილ ბინდბუნდში ერთი წამით ცეკას-ჩეკა დაგიდგება თვალწინ, ფრანსუაზას უდანაშაულობის დამტკიცებას რომ მოითხოვდა შენგან ოდესღაც, და რაც იმას უთხარი მაშინ, არანაკლებ სახიფათო სიტუაციაში, ახლაც იგივეს თქმას აპირებ - ეგ საკითხი თქვენ თვითონ უნდა გაარკვიოთო - ესე იგი, როცა ამხელა საქმეს ჰკიდებთ ხელს, კაცის გარჩევა მაინც უნდა შეგეძლოთო. მაგრამ, საბედნიეროდ, არ გჭირდება ამის თქმა, შვილი გევლინება მხსნელად. "ეგ პროვოკატორი კი არა, მამაჩემიაო" - იცინის ეკაეკატერინეკატო და ნახშირით მიხატულ ულვაშს იგრეხს ვითომ. "აბა, გარკვევით გვითხრას, რა უნდა, რატომ მოვიდა ჩვენთანო" - არ ცხრებიან დანარჩენები და მართლებიც არიან. სადმე თუ მიდიხარ, გინდაც სიზმარში, მისასვლელი მიზეზიც უნდა გქონდეს და მიზანიც. "აუ, კიდევ კარგი გამახსენდაო" - შესძახებ იმათებურად და მაშინვე უბეში ჩაიყოფ ხელს. ახალგაზრდა

თანამოქალაქენი დაძაბულნი მოგჩერებიან. შენ კი უბიდან მელანიას ცელოფანის პარკს ამოიღებ, პარკიდან - ძაფის გორგალს და ეკაეკატერინეკატოს გაუწვდი - აი, ეს გორგალი გამოგიყვანს ლაბირინთიდანო. "ვერ უყურებთ ამ ძველს, რა შებერტყილი ვინმე ყოფილაო" - გულწრფელად უკვირთ და უხარიათ ეკაეკატერინეკატოს ამხანაგებს და აჩოჩქოლ-აყაყანებულნი გეხვევიან გარშემო, როგორც მოწაფეები შემოეხვეოდნენ ხოლმე ადრე, დაახლოვებულსა და დაძმაკაცებულ მასწავლებელს. შენ კი სული გეხუთება. ქვეყანა იყინება, შენ კი ოფლად ხარ გაღვრილი. გეგონებათ, სიზმრიდან კი არა, მოქმედი ვულკანის კრატერიდან ამომძვრალაო. სამაგიეროდ, მთავარი გაირკვა - საშველი არის! მომილოცავს. გილოცავთ. დაესწარით მრავალს. თუ გადაგარჩენთ, მელანიას ძაფის გორგალი გადაგარჩენთ მხოლოდ. ასე რომ, წმინდაო ღვთისმშობელო, ერთხელ კიდევ დაიცავი შენი წილხვედრი ქვეყანა. ის კი ტირის. ტირის. იცრემლება. ათონის ივერთა მონასტრიდან კი მოაშურა თავის წილხვედრ ქვეყანას (თუნდაც ასლის სახით), კი დააჩოქა აეროდრომზე მის შესაგებებლად გამოსული ხალხი (რა დიდი ამბავი კიდევ თბილისელების დაჩოქებას უნდა, ახლა წესადაც კი ითვლება. "ნიანგი" და "თბილისი" იმიტომ დააქვთ თან, მუხლის ქვეშ რომ დაიფინონ, დაჩოქება თუ მოუწევთ უცებ), კი დატოვა ხალხი მის იმედზე, მაგრამ იმის მაგივრად, რომ ამოქმედდეს, ტირის. დედანი ათონის მთაზე ტირის თურმე, ერთი ასლი - ნიუ-იორკში, მეორე - თბილისში. რა ხდება, მამაო, რა ამბავია ჩვენს თავს? აღარ უნდა გაირკვეს, ბოლოს და ბოლოს? თქვენ თავს ჰკითხეთ. ყველამ თავის ინფორმაციულ ბანკს მოუაროს. ისე, რომ იცოდეთ, სხვა ხატებიც ტირიან -

ზოგი გელათს, ზოგი მცხეთას, ზოგი ბოდბეს, ზოგი მარტვილს. მაგრამ, დამერწმუნეთ, ღმერთს ვერ ვიხილავთ. მე ერთხელ მწერალი ვიყავი. ღმერთი დიდი სინათლეა, გამაბედნიერებელი, და ნურავის ეგონება, რაკი თავისუფალი ვარ, ყველაფერს მოვიმოქმედებო. ეს წმინდაწყლის მკრეხელობაა, რადგან მხოლოდ ღმერთია თავისუფალი. მაგრამ, როგორც სტატისტიკა მოწმობს, მთელი კაცობრიობის მხედველობის სიმძაფრე განუხრელად კლებულობს თურმე. ერთადერთი ხსნა კონტაქტური ლინზები ყოფილა. არადა, აგერ უკვე ოცდაათი წელი იქნება, იმ ლინზებს ხმარობს ფრანსუაზა. პირველად რომ ვნახე, უფრო შემეშინდა, ვიდრე გამიკვირდა. ჯერ რაღაც სითხე ჩაიწვეთა უპეებში, პლასტმასის პატარა ბოთლიდან, და მერე პირდაპირ გუგებზე მიიწება ლამის უჩინარი მინის ნახევარსფეროები. ვითომც არაფერი. ეგ იყო, რომ ოდნავ გაუმუქდა მოცისფრო-მონაცრისფრო თვალები. თუმცა, არა, ლინზების მიწებებისთანავე, არა მარტო გარეგნობა, გუნებაგანწყობილებაც მაშინვე ეცვლებოდა, რასაკვირველია, უკეთესობისკენ. და მაინც, მიუხედავად ასეთი ოპტიკური აღჭურვილობისა, მაინც ვერ განსჭვრიტა მომავალი. მაინც ვერავინ ნახა ჩემზე უკეთესი-მეთქი, მინდოდა მეთქვა. საერთოდ, საქართველოში ჩამოსული უცხოელი ტურისტები, ჭუჭყის მეტს ვერაფერს ხედავენ თითქოს. თუმცა ჩვენში რომ ვთქვათ, მართლა არ შეისვლება სადარბაზოებში. ლიფტის კედლებზე ხომ რაღა არ არის მისხმული. მაგრამ ტყუილად ჰგონია ვინმეს, ჩვენ რომ დავასუფთავებთ აქაურობას. მშობლიური ქალაქი რომ დაგავო, ტეტჩერი უნდა იყო ჯერ. გუშინ თბილისის სამგზავრო სადგურში ცეცხლწაკიდებული მატარებელი შემოსულა. ორი კვირით ადრე კი, ხალხით

გაჭედილი ტრამვაისთვის დემონსტრანტებს ხუმრობით ქვები დაუშენიათ. მაგრამ, მე თუ მკითხავთ, ბევრად აჯობებდა, საერთოდ არ კითხულობდეს კაცი გაზეთს. ზედმეტად იხეთქავ გულს. დეკემბერი, ნოემბერი, ოქტომბერი, სექტემბერი, აგვისტო... სულ ცოტა, ხუთი თვე მაინც ვიყავი ამისგან თავისუფალი. სამაგიეროდ, ახლა ყელამდე ვარ ჩაფლული, თანაც უკვე დაძველებულ გაზეთებში, ხუთი თვის მაკულატურაში დავფაჩუნობ, როგორც ხოჭო ნეშოში. მეცნიერები კი შესაძლებლად თვლიან ადამიანის ხელახლა შექმნას, ოღონდ ისევ ტალახისაგან კი არა, რომელიღაც ხელოვნური ნივთიერებისაგან. ტალახმა არ გაამართლა. სხვა თუ არაფერი, ხელოვნური ბავშვი ქვეშ ვერ ჩაიფსავს. ღმერთო, მომიტევე, ღმერთო, გაანათლე იმის სული. არ უყვარდა ასეთი ლაპარაკი. სხვათა შორის, აღარც მე ვლაპარაკობ. ლაპარაკმაც დაკარგა აზრი. მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ბატონი ადამი ყოველთვის სიამოვნებით ყლაპავს ერთხელ უკვე ჩაყლაპულს, რაც ფრიად მრავლისმთქმელი ფაქტია, თუკი ღრმად ჩავუკვირდებით და საერთოდაც, ყოველთვის უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ ხოლმე საკუთარ გულში, რადგან კაცი რასაც ვერ ამბობს, გულში მალავს. კარზე კი ისევ აკაკუნებს ვიღაცა. აბა, სად გაგონილა ამ სიგრძე მოჩვენება?! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! ნუთუ მართლა შესაძლებელია?! არაფერი არ ვიცით, არც ამ ქვეყნისა, არც იმ ქვეყნისა. მაგრამ რასაც ხალხი ამბობს, ხშირად მართლდება. იღელვე, მაგრამ მშვიდადო. მშვიდად ღელვა რაღა ოხრობაა მეთქი, ან მშვიდად უნდა იყო, ან უნდა იღელვო მეთქი. თურმე კვდებოდა, მე კი არ ვიცოდი. არადა, უნდა მცოდნობდა, მე უნდა მივმხვდარიყავი ყველა ექიმზე, ყველა აპარატზე ადრე. ამიტომაც

ვღელავ ასე მშვიდად. აკაკუნონ, სანამ არ მობეზრდებათ. მე ამდგომი აღარა ვარ. კაკ-კუკ. ვინ არის? კურდღელი ვარ, ყურცქვიტა. რა გნებავს კურდღელო? რა მნებავს და სტაფილო. აჰ, არ შეიძლება! სტაფილოში ბევრი ნიტრატი ყოფილა. ჩვენ ბავშვს არ ვაძლევთ. შენზე არ მოქმედებს ნიტრატი? ნიტრატი მომკლავს თუ უსტაფილობა, რა მნიშვნელობა აქვს?! ეგ ჩემს ქალიშვილს უთხარი. ნეტავი თუღა დარჩა კურდღელი? რახანია, მულტფილმის გარდა, აღარსად მინახავს. მეც აღარა ვარ. ყოველ შემთხვევაში, ჩემი უდიდესი ნაწილი თან წაიღეს. შეიძლება, მე თვითონ გავატანე, როგორც ბარგის ნაწილს გაატანენ ხოლმე წინასწარ უფრო ადრე მიმავალს იქითკენ, საითკენაც ახლო მომავალში თავადაც აპირებენ გამგზავრებას. შენი ჭირიმე, თუ ძალიან არ შეგაწუხებს, იქნება გააყოლო ხელს ეს ერთი ჩანთა (ჩემოდანი არაცა მაქვს). კი ბატონო. რა სათხოვარია. დიიიიდი სიამოვნებითაც. მაინც ვერ გაძლებ უჩემოდ დიდხანს. ნაწილ-ნაწილ წაგიღებ, როგორც შენი სამშობლო მიაქვთ მტრებს, თუ ერთიანად, ეს სხვა საკითხია. უფრო სწორად, ეს უკვე სუფთა წყლის პოლიტიკაა. იმპერია ინგრევა, პოლიტიკა რჩება. იმპერიას თუ კაშხალს შევადარებთ, პოლიტიკა მდინარეა. მდინარე მარადიულია, ხოლო კაშხლის დანგრევა ისევე შეიძლება, როგორც აშენება. გადაღებვა-გადაკეთება ხომ მთლად ადვილია. ფერიცვალებით არსი არ იცვლება. ფერიცვალება დღესაო ფოთოლი მოწყდა ხესაო. ჩვენ ფოთლები ვართ მხოლოდ. რაც მთავარია, ადამიანი ყველაფერს იოლად ითვისებს და ეგუება კიდეც, რაც მისი არსებობის გასახანგრძლივებლად არის აუცილებელი. ასე რომ, რომელ მხარესაც არ უნდა გადავივარცხნოთ ქოჩორი

(სადღაა - თორემ კი!), დიდი-დიდი გამომეტყველება შეგვეცვალოს ოდნავ, ან უკეთესობისკენ (მეტი არ არის ჩვენი მტერი), ან უარესობისკენ, რაც სავსებით შეესაბამება სინამდვილეს. ბუნება კი იგივე რჩება. აი, თურმე რა მაწუხებდა ამდენი ხანი! თითქოს მართლა მხედავდეს. თითქოს შეგნებულად მიყურებდეს ასე დაჟინებით. თითქოს, როგორც იცოდა, კონვერტი უნდა გამომიწოდოს და მითხრას: წერილია, ბატონო ჩემო, მოსკოვიდანო. მხოლოდ "ბატონო ჩემო" ამხელდა მის დაფარულ მღელვარებას. შეიძლება მრისხანებასაც. ძლიერია ის, ვინც უკეთ მალავს საკუთარ გრძნობებს. განზრახვებსაც. ამ სურათზე ოცდახუთი წლისაა. ზღვაზე ვართ. ოღონდ, ბათუმში. ბიჭვინთამდე ჯერ შორს არის. აი, ასეთი იყო მეთქი, ვეუბნები ჩემს თავს, თითქოს სხვადასხვა ადამიანები ვიყოთ მე და ჩემი თავი. ანდა, თითქოს იმან ჩემზე ნაკლებად იცოდეს, რაც მე გადამხდენია (თუმცა, ჩვენში რომ ვთქვათ, რა გადამხდენია ისეთი, სხვათა მიერ წინასწარ არ ყოფილიყო განსაზღვრული და მკაცრად რეგლამენტირებული). ლამაზი კი არ არის, კარგია ყველანაირად. ახალგაზრდაცაა (ჯერ თმას არ იღებავს), ჯანმრთელიც (ჯერ ხელს არ იდებს კეფაზე, აი, აქ რაღაცააო...), ხალისიანიც (ქსოვისა არაფერი გაეგება), სანდომიანიც (მახსოვს შინ ვერ ვახერხებდით განმარტოებას, ვიღაცეები შევიხიზნეთ მგონი, და ღამღამობით ბაღში, ლეღვებთან ვუნიშნავდი პაემანს) და, რასაკვირველია, ბედნიერიც (ჯერ ჰორიზონტი სუფთაა - ფრანსუაზა თოთხმეტი წლისაა მხოლოდ, ხოლო სონიას მშობლები ჯერ არც იცნობენ ერთმანეთს წესიერად). ასეთი რომ იყო, იმიტომ შევირთე და მას მერე ერთხელაც არ წარმომიდგენია ჩემი თავი უიმისოდ, ვის ლოგინშიც არ უნდა

ვყოფილიყავი, ის ყოველთვის ჩემს მარადიულ ცოლად რჩებოდა. აი, ასეა საქმე ჩემო ყურცქვიტავ და აღარაფერი აღარ შეიცვლება, რამდენაც არ უნდა აკაკუნო. წეღან (შეიძლება, წეღანაც) დამესიზმრა, თითქოს ვიღაცა ადგა ჩემს დასახედად, მე კი, მხრებზე საბანმოხურული (სიზმარშიც ისევე ცივა, როგორც ცხადში), დაჩოქილი ვიდექი საწოლზე და ვტიროდი. დიდი შვება ყოფილა ცრემლი. დასიზმრებულიც კი! ამწინებზე კი მართლა დავიჩოქე სადღაც. ხო, თვითმფრინავში. პარიზიდან ვბრუნდებოდი. სხვათა შორის, თვალს რომ ვახელ, უფრო მცივა. ვითომ სიცივე თვალითაც აღიქმება?! შეიძლება, სიცივეს ვხედავთ და არ ვიცით, რომ სიცივეა. ზეწარში კი მაშინვე გამოჟონა, როგორც კი შევეხე. თითქოს მე გამომივარდა, როგორც ტაძრის ყრუ-მუნჯი დარაჯი - საეჭვო გამვლელს. გავითოშე. გავშეშდი. არადა, ერთსა და იმავე გაზეთს ვკითხულობ თითქოს. ყველგან ერთი და იგივე სწერია. ახლა ჩაქუჩი რომ დამკრას ვინმემ, დავიფშხვნები. მაგრამ, საინტერესოა, რა ბრალდებას წაუყენებენ ამის ჩამდენს, მკვლელობისა თუ ხულიგნობისა, ანუ, ცოცხალი ადამიანის თუ თაბაშირის ქანდაკების ხელყოფას, გინდაც არავინ არაფერი იცოდეს იმ ქანდაკების წარმომავლობისა და დანიშნულების შესახებ. თავისთვის იდო. ხელს არავინ უშლიდა. თქვენ კი დაამტვრიეთ. რატომ? ახლა კეთილი ინებეთ და აგეთ პასუხი. ხვიშტი! არავინ არ იცის, ვინ რა სასჯელს იმსახურებს, როცა კანონი ემორჩილება ნებას და არა ნება კანონს. ესე იგი, შეიძლება, საერთოდ არ დასაჯო კაცი და ამით დასაჯო სწორედ. დაუსჯელობაც სასჯელის სახეობაა. რამდენი დაისაჯა ასე! უგულვებელყოფით, ათვალწუნებით, გაუფასურებით. სიცივისგან განსხვავებით, ისინი ნამდვილად ჩანდნენ,

მაგრამ ხელისუფლება ვერ ხედავდა, უფრო სწორად, არ ხედავდა. ისინი ყელს იხევდნენ, გულ-მუცელს იტრიალებდნენ, იხრჩობოდნენ სიბრაზისგან, ეჭვებისგან, შიშისგან, ხელისუფლება კი არაფრად აგდებდათ, დაჭერის ღირსადაც არ თვლიდათ, რაც არ უნდა ეწერათ და ეკითხათ. სხვათა შორის, ხალხიც მხოლოდ იმ ხელოვანს სცნობს, რომელიც ხელისუფლებისგანაა ოფიციალურად აღიარებული. ამიტომ ისინიც, უგულებელყოფილნი, ათვალწუნებულნი, გაუფასურებულნი - სულ ტყუილუბრალოდ იწრთობდნენ თავს საციხოდ. სულ ტყუილუბრალოდ ეჩვეოდნენ ტკივილის, შიმშილისა თუ წყურვილის ატანას. იმათი ცოლები რომ ფიქრობდნენ, ქეიფობენ ალბათ სადმე, თუ კიდევ უარეს ადგილას არ არიანო, ისინი საკუთარი სახლის სარდაფებში ისხდნენ მთელი ღამე, უსანთლოდ და უსასთუმლოდ, უფრო ახლოს რომ გასცნობოდნენ და შესჩვეოდნენ ჯურღმულის ბინადრებს, წყვდიადის ფლორასა და ფაუნას. ხან ობობა გადააცოცდებოდათ სახეზე, ხან ვირთხა ჩასწივლებდათ ყურში. ისინი კი ფრჩხილების ქვეშ ნემსებს ირჭობდნენ ჯიუტად, წარმოდგენილი წამებისთვის რომ გაეძლოთ მომავალში და თვეობით უჩირქდებოდათ ხოლმე ინფექციაშეჭრილი ნუნები. რუსეთში ტყვედ ჩავარდნილი გერმანელებივით, თითებდაბინტულნი დადიოდნენ და აღარც კალმის დაჭერა შეეძლოთ, აღარც "ერიკაზე" დაკაკუნება. ყველა სიკეთესთან ერთად, ათასნაირი სისულელის მოგონება სჭირდებოდათ, თავი რომ ემართლებინათ ეჭვებითა და ვარაუდებით გაწამებულ ახლობლებთან და თავი დაეცვათ ცნობისმოყვარე და უყურადღებო ნაცნობებისაგან. კარში მომეწეწკა. კონსერვს ვხსნიდი.

ლურსმანს ვაჭედებდი. აბაზანაში ნათურას ვცვლიდი და... ეტყობა, თვითონ ზარი მოიშალა (დენი ნამდვილად არის), თორემ რატომ უნდა აკაკუნებდეს, თუკი მართლა აკაკუნებს ვინმე. მე გავახილე თვალი და მოვკვდი. შენ გაახილე თვალი და მოკვდი. მან გაახილა თვალი და მოკვდა. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, მთელი სიცოცხლე დაკაკუნებას ველოდებოდი და, მგონი, ბოლოს ამისრულდა, გამიმართლდა ამდენი ხნის მოლოდინი. თუ (ვიმეორებ) არ მეჩვენება. მაშინ თორმეტი წლისაც არ ვიქნებოდი, როცა ცხოვრებამ სახლს მომაშორა და თუშეთის მთებში მიკრა თავი - ყაჩაღად გავვარდი, ჩემი ჭკუით. სინამდვილეში კი მეზობელმა, თავადაც ყაჩაღმა, წამიყვანა ყაჩაღებთან. უფრო სწორად, ხელს გამაყოლა, უპატრონო ნივთივით. შეიძლება, შევეცოდე, შეიძლება, შემაცდინა - ვითომ, გადასახლებული მშობლებიც უნდა დაებრუნებინა ჩემთვის, გაჩუქებული დაც და გაგიჟებული ბებიაც (ბებია მილიციას თბილისში ჰყავდა გადაგზავნილი, "ფსიქიატრიული გამოკვლევების ჩასატარებლად"), მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, ჩემი გადარჩენის მსურველნი თავად გახდნენ გადასარჩენნი. მეთაურმა ხომ საერთოდ მოიკლა თავი, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ჯერ საკუთარი ცხენი მოკლა - რევოლვერის ლულა ყურში ჩასჩარა და მეორე ყურიდან გაასხმევინა ტვინი - მერე კი, დედიშობილა (ტანსაცმელი "თანამებრძოლებს" დაგვიტოვა გასაყოფად) გამოქვაბულში შევიდა და ტყვია ითხლიშა შუბლში. კაცი თავის მოსაკლავად მიდიოდა და შიშველ ფეხებს ისე გაუბედავად ადგამდა კენჭებზე, ზღვაზე პირველად ჩამოსული დამსვენებელი გეგონებოდათ. მოკლედ, ორ დღეში უკანვე მოვბრუნდი კუდამოძუებული. აღარც საპატრონებელი დამხვდა რამე და აღარც

გასაჩუქებელი. არა! არავითარ შემთხვევაში! მე არავინ გამიჩუქებია. მე მაშინ პატარა ვიყავი. კანონმდებელიც არ მითვალისწინებდა. ვერ მაწვდენდა თვალს. სუსტი ვიყავი და უმწეო. და თუ მაინც დამნაშავე ვარ, მხოლოდ ესაა ჩემი დანაშაული - უმწეობა და სისუსტე. მაგრამ ბრალი ნამდვილად არ მიმიძღვის. ბუნებაში ტყუილად არაფერი იბადება. ყველა რაღაცისთვისაა ჩაფიქრებული: ზოგი საკუთარი ნება-სურვილის აღსასრულებლად, ზოგი კი - ვიღაცის ნება-სურვილისა. მე ვიღაცის ნება-სურვილს ვასრულებდი, ოღონდ ჩემი ნება-სურვილის წინააღმდეგ - საკუთარ ბუნებას ვერ ვურიგდებოდი და მეშინოდა, განუწყვეტლივ მეშინოდა ღრმად დამარხული, საიმედოდ შენიღბული ჩემივე შეურიგებლობისა. ახლაც ალბათ მახსოვრობა აკაკუნებს შიშის კლავიშებზე. ეს შიშის ხმაა დეკემბრის სიცივეში, ავტომატების დამცინავ ხარხარში, გარდაცვლილთა და ცოცხალთა ჩვენებებით გაძიძგულ სიმარტოვეში. იმ შიშის ხმაა, ლამის გაჩენისთანავე რომ დაგვეუფლა, მაგრამ გვიან ვაღიარეთ. უფრო სწორად, მთელი სიცოცხლე არ ვაღიარებდით, არ ვუტყდებოდით, არ ვეპუებოდით, ჩვენი ჭკუით, მაგრამ ის მაინც ჯიუტად, ვერაგულად, უჩუმრად კრისტალდებოდა ჩვენს არსებაში, ოსტეოხონდროზივით, ოღონდ სულის ოსტეოხონდროზივით. არათუ ნებისმიერი უნებლიე განძრევა, ნებისმიერი რამის გაფიქრებაც აუტანელ ტკივილს მაყენებს. ყველაფერი მტკივა, ძვირფასო დედავ, ყველაფერი, რაც განშორების ფაციფუცში დამიტოვე, მე მომანდე, მე მომაბარე - ხორციც, ძვალიც, სისხლიც, სულიც... - და მადლობელი ვარ შენიც და ღმერთისაც, ამ ტკივილის ღირსი რომ გამხადეთ. ეს ჩემი ტკივილია, ათას ტკივილში გამორჩეული,

სახელისა და სიმდიდრის ნაცვლად მოხვეჭილი, პატივისცემისა და სიყვარულის მსგავსად დამსახურებული. მე გავახილე თვალი და მოვკვდი. დიდებული სტრიქონი წამოგვცდა, რომ იცოდეთ! რომ მოგვეწადინებინა, ვერ მოვიგონებდით. ყოველ შემთხვევაში, მის უარესს სჯობია. მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, მაგრამ პოეტების ჯიბრიც, ამ გაუთავებელი კაკუნისა არ იყოს, მოჩვენებითია. პოეტები ერთმანეთის არსებობას ამართლებენ და ერთმანეთს მხოლოდ ეხმარებიან - ერთი და იგივე ბადე ამოაქვთ არარსებული ოკეანის ფსკერიდან და ეჩვენებათ, ერთმანეთს ვეჯიბრებით ძალისა და მონდომების გამოჩენაშიო. ეშმაკურადაა ბუნებისგან ყველაფერი მოწყობილი. ასე რომ არ ეჩვენებოდეთ, არავინ აღარ დაწერდა ლექსს და არარსებულ სიღრმეთა მდუმარებით გავსებული არარსებული ბადეც სამუდამოდ ჩარჩებოდა არარსებული ოკეანის არარსებულ ფსკერზე. ორმოში შემთხვევით ჩავარდნილ გამვლელს, რომელსაც დღემდე უიმედოდ დაეძებდნენ, თურმე, ახლობლები, სცმია ჭრელი, მოკლემკლავებიანი საზაფხულო პერანგი; ჩეხური სანდლები, ყვითელი ტყავისა, და ჩინური ტილოს მწვანე შარვალი "დრუჟბა". ეგ, ეტყობა, უფრო დიდი ხნის წინ არის ჩავარდნილი ორმოში, მაგრამ შინაურებმა გვიან მიაქციეს ყურადღება, გვიან მოისაკლისეს. ამიტომ არც ჩვენ გვაწყენს, დროულად თუ გავარკვევთ, რა ამბავია ჩვენს თავს. გარეთ რა ხდება ნათელია, მაგრამ შინ რა ხდება ღმერთმა იცის. ასე ღრმად სძინავთ ვითომ?! თუ სძინავთ, ეძინოთ. თვალის გახელა სახიფათოა. მე გავახილე თვალი და მოვკვდი. ესე იგი, თვალის გახედა (ანუ დაბადება, გნებავთ, გაღვიძება) და სიკვდილი ერთიაო. სიცოცხლე

იმდენად მოკლეა, სალაპარაკოდაც არ ღირსო. დაახლოებით იმავე აზრისაა ერთი ქართული ხალხური ლექსიც:

*რა წამ კი დავიბადებით,*
*იქვე სამარე მზა არი...*

მაგრამ აქ უფრო ვრცლადაა გამოთქმული ის, რისი გამოთქმაც თურმე შესაძლებელი ყოფილა უფრო ლაკონიურად, უფრო ლოკალური ინტერპრეტაციით, უფრო ლოკატორული სიზუსტით (თუკი საერთოდ არსებობს ამგვარი რამ). თუმცა, დაბეჯითებით ვერ ვიტყვი რა სჯობს - იცოდე თუ არ იცოდე. ერთი კია, მაინც არ იჯერებ ბოლო წამამდე. არაფრის დიდებით არ ირწმუნებ, ყველა გზა რომ მოჭრილი გაქვს. შეგნებული მიუხვედრელობა თუ კლინიკური სიბრიყვე გემართება შენდაუნებურად. ალბათ თავის დასაცავად. შეიძლება, ბრძოლის გასაგრძელებლადაც. მითხარით, რა გვჭირდება, რა მოვიტანოო - გულწრფელად ევედრები თეთრად გადაქათქათებულ მკურნალს (უფრო მეცნიერს). უკვდავების წყლის მოტანა რომ დაგავალოს, დაუფიქრებლად გავარდები, რადგან ვიდრე ეძებ, თუნდაც უშედეგოდ, კაცი ხარ, აზრი აქვს შენს არსებობას. ჩვენი რეანიმაცია, შენ ხარ ჩემი ბატონი, მოსკოვისას სჯობს. მაგრამ მოსკოვისაზე უკეთესი საერთოდაც კარგს ნიშნავს?! ვინმეს ჯობნა ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რამეს რომ წარმოადგენ. გააჩნია ვის ჯობნი. არც უნდა თქვა, კუზე სწრაფად დავდივარო. დარწმუნებული ხარ, გაუჩინარს გააჩენ, ისევ მოახდენ სასწაულს, ბოლო წუთას, რომელიღაც აფთიაქის საწყობში მაინც აღმოჩნდება საჭირო წამალი, რომელიღაც მაცივარში - სისხლის პლაზმა და ა.შ. და ა.შ. ისეთი რამის შოვნაც შეგიძლია, თვითონ არ დაიჯერებს, ვინც საშოვნელად გაგაგზავნა. ათასჯერ გადაატრიალ-გადმოატრიალებს ხელში უცხოურად მომხიბვლელ, უცხოურად სუფთა, უცხოურად გლუვ კოლოფს. მოადგილეს დაუკავშირდება (მომარაგების დარგში) სელექტორით. ღილაკს თითს დააჭერს და გაირინდება, მუცელზე ხელებგადაჯვარედინებული,

როგორც მომღერალი საჭირო აკორდის მოლოდინში. გისმენთ ავთანდილოვიჩო - ახრიალდება სელექტორი - აკი ბუნებაშიც არ არსებობსო?! - ნიშნს მოუგებს სელექტორს, ოდნავ წინ გადახრილი, კმაყოფილად მომღიმარი - აგერ, ა, ხელში მიჭირავს - ატყუებს ქვეშევრდომს, რადგან წამალი ხელში კი არ უჭირავს, წინ უდევს მაგიდაზე. ხელებს კი სიამოვნებისაგან იფშვნეტს - მოგვეჭრა თავი და ეგაა. ხე, ხე, ხე - მლიქვნელურად იცინის სელექტორი - რაც თქვენ გიჭირავთ, ავთანდილოვიჩ, ჩვეულებრივ საბჭოთა ავადმყოფს ვინ აღირსებს იმას... შენც შეგნებულად იღიმები ამ უკბილო, უფრო მეტიც, უზნეო ხუმრობაზე, მაგრამ შენ თავსდამტყდარი უბედურებისგან ხარ გამლიქვნელებული, საკუთარი უმწეობის შეგრძნებისაგან და მოუთოკავი, მოურეველი სურვილისგან, როგორმე, ნებისმიერი გზით, თუნდაც საკუთარი ღირსებისა და სიცოცხლის ფასად გამოსტაცო სიკვდილს შენს იმედზე დარჩენილი ადამიანი. უფრო სწორად, შენგანვე დაიმედებული მისთვის ყველაზე მძიმე განსაცდელში, ყოფნა-არყოფნის მიჯნაზე, როცა ყოველი ნაბიჯი ნებისმიერი მიმართულებით გადადგმული, შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. ასე რომ, თუ ვერ უშველი, გარკვეული (საკმარისი) თვალსაზრისით, შენც მკვლელი ხარ. შენი ბრალი იქნება მისი დაღუპვა, რადგან შენ რომ არ დაგეიმედებინა, შენ რომ გვერდზე გამდგარიყავი (იმის სასარგებლოდ, რასაკვირველია) იქნებ სხვა ძალა გამოჩენილიყო, შენზე სიტყვაძუნწი, მაგრამ შენზე მეტის შემძლე. იღიმები შეგნებულად გამლიქვნელებული და შეუგნებლად გეშინია, რამე არ თქვა ისეთი (არ წამოგცდეს უნებლიეთ), ვინმე გაანაწყენო, დაარღვიო ბატონისა და ქვეშევრდომის,

ანუ უმწეო მთავარი ექიმისა და ყოვლისშემძლე მნეს შეხმატკბილებული დუეტი, რომელიც შენთვისაც მისაწვდომი გამხდარა, მხოლოდ და მხოლოდ, ტექნიკის მართლაც რომ ფანტასტიკური განვითარების წყალობით. ხე... ხე... ხე... - ხრიალებს, ხითხითებს, ხიხინებს სელექტორი. იქნებ მართლა სასაცილოდ, ანუ საზეიმოდ (კომენტარი მისივეა) გაგვიხდეს საქმე. შენ ხარ ჩემი ბატონიო - ამბობს პოლკის მედროშესავით გაჯგიმული მეცნიერ-მკურნალი - მაგას რომ უყურებ (უსმენ) - გითითებს სელექტორისკენ - სამასკაციანი დესერტაცია აქვს გადახდილი მოსკოვში, რესტორან "ოკეანეში". ცოტა შორს კია, მაგრამ სხვაგან სად გინდა დასვა ამდენი ხალხი?! - თეთრი, ქათქათა ხალათი მხრებზე მოუგდია. ოდეკალონის მძაფრ სურნელს სტოვებს, სადაც კი შეჩერდება ერთი წამით. გარეთ მანქანა ელოდება. ჩართული მოტორი თავშეკავებულად თახთახებს. თითქოს იცის, ვის ემსახურება. მაშინვე უნდა დაიძრას, როგორც კი შემოიკეტავს კარს მისი პატრონი. შორს და, რაც შეიძლება შორს, ამ ტანჯვის, უიმედობის, უმწეობის იმპერიიდან. საავადმყოფოც (თვითმფრინავივით) იმ სახელმწიფოს მიკრომოდელია, სადაც მოქმედებს. ხე, ხე, ავთანდილოვიჩ. შენ კი თავქუდმოგლეჯილი გარბიხარ საწინააღმდეგო მიმართულებით, უფრო ღრმად შედიხარ იმპერიის თვალუწვდენელ სივრცეებში, ჯურღმულებში, უფსკრულებში, ბრმად, ალალბედზე, "ზემოდან დაურეკავად", ახალი წამლის, ახალი სისხლის, ანდა რომელიღაც სასწაულმოქმედი, გერმანული თუ იაპონური აპარატის საშოვნელად, რომელიც მხოლოდ ერთადერთ ინსტიტუტსა აქვს თურმე და თავადაც ვერ მოუხმარია. მაგრამ იმდენად ძვირფასია, განათხოვრებაც ესიკვდილება. შენ მაინც

ინათხოვრებ. კედელში გახვალ და საღამოსათვის აპარატი უკვე ადგილზე იქნება. ხე, ხე... კი მაგრამ, ინსტრუქცია ვერ გამოაყოლეს იმ მამაცხონებულებმა? ქაჯი ვერ გაუგებს ამას თავსა და ბოლოს. აბა, ძალიან გვჭირდებაო?! აბა, ოღონდ ეგ აპარატი მოგვცაო?! იცოცხლე, გვჭირდება, მაგრამ არ ვიცით, რისთვის და რატომ. კადრებიც არ გვყავს. ყველაფერში ნამეტანი ჩამორჩენილები ვართ. ლაპარაკი ვიცით მარტო. კი აბა! შენ თუ იტყვი. ლაპარაკი რომ არ ვიცით, იმიტომ ვერ ვერკვევით ტექნიკაშიც. მაგრამ რა დროს ესაა. შენი ჭირიმე, იქნებ როგორმე, რაც არ უნდა დაჯდეს, თქვენი დიდი იმედი მაქვს. რად უნდა ლაპარაკი?! აბა რისთვის ვართ აქ?! ნუ გეშინიათ, ყველაფერი კარგად იქნება. მაგრამ დენს უნდა თვალთვალი. წარამარა ეცემა წნევა. ძალიან ფხიზელი მეთვალყურე გვჭირდება. კი გვყავს საგანგებოდ ამისთვის გამოყოფილი კაცი, შეთავსებით ცეცხლფარეშადაც მუშაობს, მაგრამ ამჟამად სვამს. წნევა თუ დაეცა, ან აიწია, შენს მტერს, მართლა ქაჯი ვეღარ გაარკვევს ვერაფერს. აბა, დამიშავებია, რომ მიშოვნია. არა, აპარატი ნამდვილად კარგია. ფირმა. ფირმა. იაპონიაში მანქანას აწერინებენ თურმე ლექსებს. აღარ სჭირდებათ პოეტები. გიჟპოეტები. ხე, ხე... იაპონიაში პოეტები ლექსებს კი არ წერენ თქვენსავით - ვის რაღად უნდა ლექსი - ტანკებს აკეთებენ. ის ტანკაა ბატონო, ლექსის სახეობაა ერთგვარი. რა ვიცი, მე ასე მითხრეს და... შენ კი იღიმები. დაშაქრული ღიმილი ტუჩებზე გადაგგლესვია. არა, როგორ გეკადრება, მლიქვნელი კი არ ხარ ბუნებით (შენ ტოლსტოის რას უჯერებ?!), ზრდილობიანი ხარ ზედმეტად. უფრო მეტიც - კეთილი ხარ უსაშველოდ. რაც საერთოდ მლიქვნელობად ითვლება, თუნდაც იმავე ტოლსტოისთვისაც, ის

შენთვის სიკეთის თავისებური, გნებავთ, უაღრესად ქართული გამოხატულებაა მხოლოდ. ძალიან, ძალიან კეთილები ვართ და მარტო სხვათა (ჩვენზე ძლიერთა, ჩვენზე მდიდართა, ჩვენზე სახელოვანთა) სიამოვნება გვანიჭებს სიამოვნებას. ასე რომ, ჩვენი მლიქვნელობა ჩვენივე სიკეთით არის განპირობებული, მაგრამ ბოროტად არ უნდა ისარგებლონ ამით სხვებმა, თორემ ჩვენ, თუკი გარემოება გვაიძულებს, შეგვიძლია პირშიც ვუთხრათ ყველას, რასაც მათზე ვფიქრობთ გულში, ან ზურგს უკან ვლაპარაკობთ. მე თუ ყველაფერზე გიღიმი და ყველაფერზე თავს გიქნევ, შენ ხომ უნდა მიხვდე, კარგად რომ ვერ არის ჩემი საქმე?! მთავარი ის კი არ არის, მლიქვნელები ვართ თუ პირშიმთქმელები, მთავარია, რატომ ვართ ან ერთნი და ან მეორენი. მაგრამ ვიდრე ამას გავარკვევდეთ, დაშაქრული ღიმილი იქამდე პლასტირივით გვექნება ტუჩებზე გადაგლესილი. ვერ მოიშორებ. პირი ვერ გაგიღია, მაგრამ რას იზამ, შეიძლება სჯობდეს კიდეც. სხვის ხელშია შენი ბედი. შენმა დაუფიქრებელმა სიტყვამ ან საქციელმა, პირველ რიგში, შეიძლება შენი ავადმყოფი დააზარალოს, შენი იმედით რომ გაშოტილა სადღაც მეცხრე სართულზე, რეანიმაციის ოთახში, ცისა და მიწის შუა. აღარც ცისა და აღარც მიწისა. იმ დღეებში საავადმყოფოს დერეფნებში მორიგი ჭორი გავრცელდა. ვითომ ავადმყოფი გადმოუვარდათ საწოლიდანო. ხომ შეიძლება შენი ავადმყოფი ყოფილიყო?! მაშინაც გაიღიმებდი?! ეს თუ მართალია... მაგრამ როგორ გინდა გაიგო?! ვერც იკითხავ. ხომ გეტყვიან, და მართლებიც იქნებიან,
რასბრძანებთრატომკადნიერდებითრატომკადრულობთ
და საერთოდ როგორბედავროგორგიტრიალდებაენაო. შენს ავადმყოფსაც ვერ ჰკითხავ. ყველა სასიცოცხლო

ორგანო გამოთიშული აქვს, გარდა ტვინისა. თითქოს ეამაყებათ კიდეც, ამდენის შეტყობა რომ შეუძლიათ. დღეს როგორ არის? გმადლობთ, ცუდად. საძაგელი სიტყვაა "გამოთიშული". სინათლე გამოითიშა და ბნელში ვსხედვართ ჭოტებივით. ჩვენი რადიო გამოთიშულია, ქალო. არაფერი არ ვიცი, რა ხდება ქვეყანაზე. გინდა ჩემს სამზარეულოში მჯდარხარ, გინდა კაგებეს სარდაფში. შეგიძლია მშვიდად იყო, კარგი არაფერი ხდება. გეძახიან, მოდი, დაგვიცავიო. სისხლის პლაზმის საშოვნელად საავადმყოფოს სისხლის გამანაწილებელი პუნქტის უფროსი სისხლის გადასხმის რესპუბლიკურ კლინიკაში გაგაგზავნის და იქ გეტყვიან, თუ როგორ უნდა შეიძინო სისხლის პლაზმა ადგილზევე, ესე იგი, საავადმყოფოს სისხლის გამანაწილებელ პუნქტში. იმავე პიროვნებისგან, ვინც საამისოდ რესპუბლიკურ კლინიკაში გაგაგზავნა. სისხლიც ისეთივე დეფიციტია, როგორიცაა, ვთქვათ გასტრონომიული და პარფიუმერიული საქონელი. შოვნა კი შეიძლება, მაგრამ გაზრდილი ფასით. რა ღირს, გეთაყვა, ხუთთუმნიანი ფრანგული სუნამო? ნული მიუმატე. ის კი, მხრებზე თეთრხალათმოგდებული დგას შუა კაბინეტში, მორთმეული ოდეკალონის სურნელში, ხალვათად, თავისუფლად, და რომელიღაც მლიქვნელ ჭირისუფალს ანეკდოტს უყვება. წუხელ მოისმინა სუფრაზე და იმდენად მოიხიბლა, ერთი სული აქვს, როდის მოუყვება ვინმეს, ვიდრე დაავიწყდებოდეს. ერთი საათის მერე, ანეკდოტი კი არა, თავი დაგავიწყდება კაცს ამ კაბინეტში. შენ კი, სახეზე ოფლგადამსკდარი, ბავშვივით გაბედნიერებული, "ნადავლით" ხელდამშვენებული, გიჟივით შეუვარდები კაბინეტში - ვიშოვეო! ცოტა არ იყოს შეცბება,

ახარხარებულს რომ წაადგები მოულოდნელად თავზე. მაგრამ იხტიბარს არ გაიტეხს მაინც - იქნება მართლა სასაცილოდ გაგვიხდეს საქმეო - მოგიბოდიშებსავით - დღეს დილით რამდენჯერმე რომ ჩავძახეთ ყურში, აპარატზე რაღაც შეირხა, რაღაც რეაქციის მაგვარი აღინიშნა, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, ეს, მხოლოდ და მხოლოდ, ჩემი ხმის ზემოქმედების შედეგი იყოს, თანაც ავადმყოფზე კი არა, თავად აპარატზეო. როგორი მოსასმენია?! მაგრამ ბიჭი ხარ და ნუ მოუსმენ, ვიდრე **ის** ჯერ კიდევ ცოცხლად ითვლება, ანუ რომელიღაც ორგანო ჯერ მთლიანად არ გამოთიშვია. წევს სასიკვდილო სარეცელზე და, შეიძლება, ჯერ კიდევ სჯერა გადარჩენისა, შენგან გაბრიყვებულს. სადღაც ქვევით, მიწაზე, პირველ სართულზე, დირექტორის კაბინეტში შენ ეგულები და ვინ იცის, რას არ ფიქრობს, რაღას არ ფიქრობს, რანაირი იმედით, ოცნებით, სასწაულით არ იტყუვებს თავს. ნუთუ ვერასოდეს ვერ მოიგონებს ადამიანი ფიქრის წასაკითხ აპარატს? კარდიოგრამის მაგვარს. თუმცა, არა, ამის მაგვარი ალბათ არსებობს კიდეც. კარდიოგრამა სულაც არ ნიშნავს გულში ჩახედვას, გულში ნადების ამოკითხვას. გამოცდილი კარდიოლოგი, შენს მიერ გადალახული მთაგრეხილების შემყურე, კი გეტყვის რამდენჯერ გადაგიტანია ინფარქტი ფეხზე, ცხენივით, მაგრამ მიახლოებითაც ვერ გეტყვის, თუ რამდენჯერ ყოფილხარ შეყვარებული, რამდენიმე ქალი გყვარებია ერთდროულად, თუ ერთი და იგივე რამდენჯერმე. შეხედეთ, კოლეგა, ეს ბებრუხანა... რამდენი წლისა ბრძანდებით, ბატონო? ორმოცდათვრამეტის? ზნაჩიტ, ეს ბებრუხანა ნახევარი საუკუნის მანძილზე თითქმის განუწყვეტლივ შეყვარებული ყოფილა. ოღონდ, ძნელი დასადგენია... შეხედეთ, შეხედეთ! ან აპარატსა აქვს

ხარვეზი და ანაბეჭდია ცუდი, ანდა პაციენტის სოლიდური ასაკის გამო, სიყვარულის ხაზი სულ მთლად გაფერმკრთალებულა. ამიტომაც ვერ გაგვირკვევია, ერთი და იგივე პერსონა გახლდათ მისი სიყვარულის, გნებავთ გატაცების საგანი, თუ რამდენიმე... ეტყობა, ჩვენ ვერც მომავალ საუკუნეში დავეუფლებით მშობლიურ ენას, სრულყოფილად თუ არა, იმდენად მაინც, უფრო ნათლად და მარტივად გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები. დედა ხარ, დედა? სადაა ფული? მაგრამ ღმერთმა იქნებ იმის ღირსი მაინც გამხადოს, ის მაინც გამაგებინოს, რას ფიქრობდა მელანიას ტვინი, ვიდრე საბოლოოდ გამოითიშებოდა, ვიდრე მედიცინის თვალსაზრისით, ჯერ კიდევ მუშაობდა, ასრულებდა თავის მოვალეობას. ვერასოდეს ვერ გავიგებ ალბათ. ანდა, თუ გავიგებ, მარტო მე გავიგებ, ოღონდ აპარატის მეშვეობით კი არა, რაღაც სხვა მისტიკური გზებით, სიყვარულის მადლით. ერთ ხორც და ერთ სულ. განა მართლა ასე არ იყო?! მარტო მე ვიცი. მარტო მე უნდა ვიცოდე. სიყვარული ორის საიდუმლოა და სავსებით მიუღწეველია ნებისმიერი მესამე ადამიანისათვის, გინდაც ტექნიკის სასწაულებრივი მიღწევებითაც აღიჭურვოს. გთხოვთ, ოჯახური ტრაგედიისა და ჩემი ამჟამინდელი მდგომარეობის გამო... მაგრამ ვის თხოვ, ან რას თხოვ? თავი გაგანებონ ერთხელ და სამუდამოდ, თუ ახლა მაინც დაგინახონ? ტყუილად ნუ გაირჯები.

*ათასცხრაასხუთწელში*
*კატა მოკვდა რუსეთში.*
*აიღეს და დამარხეს*
*გერმანელის მუცელში.*

საიდან სადაო, მაგრამ მაინც ასეა. გეტყვიან - დაგვენახვეო - დაენახვები. გეტყვიან - უფრო ღრმად შეძვერი სოროშიო - უფრო ღრმად შეძვრები. თუნდაც შენი ნება-სურვილის წინააღმდეგ. მარტო მკვდარს შეუძლია არ ისუნთქოს. შენ კი რამდენჯერაც სცადე, წუთიც ვერ გაძელი. მოკლედ, რა ცვლილებაც არ უნდა მოხდეს ამ ქვეყანაზე, შენ მაინც გვერდზე დარჩები, რადგან არავის აძლევს ხელს შენი შემჩნევა. შენ სიღრმე იხილე, შენდა ჭირად. აბა ერთი მითხარით, რომელ დიასახლისს სიამოვნებს დალაგებულ ბინაში ნაგვის აღმოჩენა?! გაუშვი, არ ვიცოდე, ვიდრე ხელახლა გამიხდეს დასალაგებელი ერთხელ უკვე დალაგებული სახლი. ეს მხატვრულად რომ ვთქვათ, სინამდვილეში კი, შენი არშემჩნევა აუცილებელიცაა იმისთვის, ვისაც დღეს უნდა ცხოვრება, დღეს უნდა აიღოს ცხოვრებისგან, რაც ეკუთვნის და რაც არ ეკუთვნის. ნუ გაამტყუნებ. შენ პეტრე ხარ (ჰმ, ჰმ...) ქვა და რკინა (ჰმ, ჰმ, ჰმ...). პირქუში კლდე (ჰმ, ჰმ, ჰმ, ჰმ...). ყოველ შემთხვევაში, ასეთად წარმოგედგინა თავი. სხვას არავის უთქვამს, ასეთი ხარო. ის კი, შეიძლება, მეორე წუთას შეიცვალოს, სულ სხვა ადამიანად იქცეს. გააჩნია, საიდან დაუბერავს გარდაქმნის ქარი. შენთვის კი სულ ერთია - ერთსა და იმავეს ამბობ და ერთსა და იმავეს აკეთებ სულ, რაც თავი გახსოვს. როგორც არ უნდა წახდეს ადამიანი, შენ ღირსებაზე ელაპარაკები მაინც; როგორც არ უნდა გაძღეს, შენ მაინც ახსენებ, შიმშილიც რომ არსებობს ამ ქვეყანაზე; როგორც არ უნდა განთავისუფლდეს, ჯიუტად უმეორებ, მუჭში რომ ხითხითებენ, მასხრად რომ იგდებენ მის თავისუფლებას მონობაში ჩარჩენილნი... და ამის შემდეგ მადლობელიც არა ხარ, კიდევ რომ გიტანენ, გითმენენ, მიწასთან არ გასწორებენ საერთოდ.

უსინდისოდ გიკვირს. სხვებიც სულ თავიანთ საქმეს რომ აკეთებენ - მიღწეულით არ კმაყოფილდებიან, მოხვეჭილი არ ებევრებათ, ჩადენილი არ ყირჭდებათ, - ანუ, ისინიც ერთსა და იმავეს იმეორებენ, შენი მიბაძვითა თუ შენი ჯიბრით, თუნდაც შენი სიძულვილით. მით უფრო რომ, სხვა მრავალ სიკეთესთან ერთად, მათი გასამრჯელო მილიონობით განისაზღვრება, აუწონავ სიმდიდრეს, მაღალ წოდებას, თანამდებობას, ჩინებსა და ჯილდოებს გულისხმობს, როცა შენი საზღაური ერთი ყლუპი ღვინოა, ერთი ღრმა ნაფაზია (იმასაც ვეღარ იტან), სონიას ან ფრანსუაზას ერთი კოცნაა, ისიც ნაქურდალი, სანახევროდ ჩამწარებული, ან ვიღაცის მეთვალყურეობის ქვეშ, ან სადმე ტყეში, სასტუმროში, სადარბაზოში, მანქანაში... როგორც მაწანწალას შეეფერება. აი, მთელი შენი "ტკბილი" ცხოვრება, დაულეველი, შეუცვლელი მიზეზი შურისა და ჭორისა, საგანი განსჯისა და განქიქებისა. ერთი სიტყვით რომ ვთქვათ - ხვიშტი! შენმა ლაპარაკმა ქნა ყველაფერიო - აი, რას ფიქრობდა მელანიას ტვინი - შენმა სიტყვებმაო. სიტყვებმა. სიტყვებმა. სიტყვებმა. ნახევარი საუკუნე კი არა, პატივცემულო კარდიოლოგო, ნახევარი საუკუნე და ერთი წელია, რაც შეყვარებული ვარ. პირველად რომ შემიყვარდა, შვიდი წლის ვიყავი. ღმერთო, გამახსენე რა ერქვა. არ შემარცხვინო. გინდაც პირველი შეყვარებულის სახელი დაგვიწყებია და გინდაც ბოლოსთან... თუმცა, იმას, პირველს, ჯერ არც ეტყობოდა ქალობა. ღლაპივით ტიტველი იყო. მოუხარშავი სოსისის ფერი. არც ბლონ, არც ბრიუ. ნელი! რასაკვირველია. ქალბატონო ნელი, იქნებ რაიმე ჩქარი დაგვიკრათ. ოღონდ, ეს უკვე სხვა ნელია. გადაკრუხებული. მუსიკალური სამყაროდან. იმოდენა

სამაჯურები ჰქონდა ასხმული, ფარდის ჩამოსაკიდ კარნიზს მიუგავდა მკლავი. არ ვიცი, რამდენად მართალია, მაგრამ თუ ასეა, ესეც შეღავათია საბრალო ადამიანისათვის. სიკვდილის წინ მთელი შენი ცხოვრება გამეორდება თურმე შენს გონებაში. ასე, გამოცდის წინა ღამეს, წესიერი და მშიშარა მოსწავლე იმეორებს ძილში მთელი წლის პროგრამას. რომელი ორგანოც არ უნდა გამოითიშოს, ტვინი მაინც მუშაობს თურმე, მაინც ფქვავს, აქუცმაცებს, ანდა, დაფქვილისგან და დაქუცმაცებულისგან ხელახლა აკოწიწებს, პირველყოფილ სახეს უბრუნებს გეოგრაფიულ სივრცეებს, ისტორიულ ეპოქებს, აბსტრაქტულ ცნებებსა თუ კონკრეტულ განცდებს, ბუნებრივსა და არაბუნებრივ მოვლენებს, ბედნიერსა თუ უბედურ შემთხვევებს, ადამიანურ ვნებებსა თუ ცხოველურ მიდრეკილებებს... შენ კი წევხარ მთლად გადათეთრებული - ნაფიქრალის ხრილი გადევს ათი მეტრის სიმაღლისა - მაგრამ განა აუცილებლად თეთრი უნდა იყოს ფიქრის ხრილიც? თოვლიც აღარ არის ყოველთვის თეთრი. სვანეთში წითელი თოვლი მოვიდა. ცხოვრება ხომ მრავალფეროვანია საერთოდ?! ან რატომ უნდა იყოს ერთი ფერისა, ვთქვათ, მზის ამოსვლის კუნძული და მოსკოვის საქარხნო რაიონი?! ანდა ჩემი ყალბად თავაზიანი საუბრები მედმეცდოქტორის კაბინეტში და სასიყვარულო (თავისთავად ცხადია, საიდუმლო) "არდადეგები" შუაკახეთის რომელიღაც პატარა სოფელში, თანაც გაგანია ზამთარში. ისე ცივა, ცხვირს ვერ გამოყოფ საბნიდან. მაგარი კახური ზამთარი დგას. კონტინენტური. მაგრამ ესეც გართობაში, "არდადეგებში" შედის და უფრო გამხიარულებს, ვიდრე გბორკავს. სახლის ზედა ნაწილი (მეორე სართული),

სასტუმროდ განკუთვნილი, შალითაგადაცმულ ავეჯიანად, წესისამებრ არ თბება (ხომ შეიძლება იმ წელიწადს საერთოდ არ მოვიდეს სტუმარი?! ან შეშა რატომ უნდა დაწვან ტყუილად, ან შეშის ზიდვით რატომ უნდა მოიწყვიტონ ტყუილად წელი). ცეცხლი ქვევით გუგუნებს მასპინძლების სადგომში. დიასახლისს სახეზე ხვითქი გადასდის. ბამბაზიის ხალათი აცვია და ფეხები ქმრის ძველ ფეხსაცმელში წაუყვია. სახაჭაპურე ცომს ზელს და თან ჭერს ასცქერის: ეგენი თუ ცოლქმარი იყვნენ, მე ქალი არ ვყოფილვარ. ქალო, შენ შენი საქმე აკეთე-მეთქი. არ ათქმევინო, ხაჭაპური არ სცოდნიათ კახელებსო - ყასიდად უწყრება ქმარი. ისიც მალიმალ ახედავს ხოლმე ჭერს. კახელი კია, მაგრამ ცოტას მაინც ღელავს, საიდუმლოშია გახვეული. საიდუმლოს შენახვა უნდა. ქალი კი ოხერია, რას არ მიხვდება, თუ მოინდომა. იფიქრებს, იფიქრებს და ბოლოს მაინც მოიფიქრებს. ოჯახში სიმშვიდე თუ გინდა, ქალს ფიქრი არ უნდა აცალო. ქალმა საქმე უნდა აკეთოს მხოლოდ და ყველაფერი რიგზე იქნება. მასპინძლისთვისაც ასე აჯობებს და სტუმრისთვისაც. ჭერს რას უყურებ მეთქი, ვარცლში იყურე. ამწინებზე ხინკალი რომ ჩაგეშალა, ხომ გახსოვს? ყველაზე ბოლოს ტვინი ითიშება, როგორც სინათლე დასაძინებლად გამზადებულ სახლში. ჯერ აქა-იქ ჩაქრება, მერე აქა-იქ დარჩება. მერე ერთ სარკმელში ენთება, საკმაოდ დიდხანს (მით უფრო, თუ თვალს ადევნებ) და ისე მოულოდნელად ჩაქრება ბოლოს, შეიძლება ვერცკი შეამჩნიო. ალისფერი ტყვიები კი ისევ ისე მიფრინავენ გაუჩინარებულ ცაზე, მთავრობის სასახლიდან "ივერიისკენ" და "ივერიიდან" მთავრობის სასახლისკენ. თითქოს გადამფრენი ფრინველები არიან, მაგრამ გზადაკარგულნი,

ცადაკარგულნი... გაბრიყვებულნი. ოღონდ, დამსვენებელთა სეზონური სათნოებით გაბრიყვებულ იხვებისგან განსხვავებით, თავად დაატარებენ სიკვდილს, სიკვდილის იხვები არიან და მათი გადაფრენა ერთი ადგილიდან მეორეზე, ნაადრევიცა და დაგვიანებულიც, მხოლოდ სხვებისთვისაა დამღუპველი. პირველ რიგში, იმ უბედური ქალაქისთვის, რომლის კედლებშიც დაძრწიან ახლა, წინ და უკან, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით და, საბედისწერო მიზანს ამცდარნი, დაუნდობლად ფლეთენ ქალაქის ბებერ ხორცს, გლეჯენ ქალაქის ბებერ ძარღვებს, ფშხვნიან ქალაქის ბეაბერ ძვლებს... ეკაეკატერინეკატოც იქ არის ალბათ. არა მგონია, ასე ღრმად დასძინებოდა. მაზნიაშვილი მყავდეს ვითომ. შიშს უფრო დიდი შიში დაგაძლევინებს მხოლოდ. ბავშვი კი ძილის წამლით გაჭყიპა. ახლა ასეა მიღებული. წამლით ძინავს. გათიშულია. იმიტომაც არ ისმის. ვერცკი გაფაჩუნებულა. არადა, ჯერ წესიერად თვალიც არ ახელია. მერე რაღა დააძინებს, რა წამალი ეყოფა, საბოლოოდ რომ აეხილება ცხოვრების დასანახი თვალი?! თვალის ახელა აუცილებელია, თუნდაც იმიტომ, რომ მოკვდე. ერთხელ, რომელიღაც სასტუმროში, შუაღამისას, ღამისპერანგიანი ბავშვი გამოტანტალდა დერეფანში. აშკარად დედას ეძებდა, მაგრამ ჯერ კიდევ ისე იყო გაბრუებული ძილის წამლით, დედამ რომ შეაპარა წასვლამდე, ვერც ენას იმორჩილებდა და ვერც თვალს ახელდა წესიერად, თითქოს გულში დაგროვილი სათქმელის თქმაც უჭირდა და აქაურობის ერთხელ კიდევ დანახვაც. ფეხზე მოარულ სიძულვილს ანსახიერებდა, თანაც - მზარდს. მე რომ წინ ჩავუცუცქდი და ვკითხე, ვისი ხარ, რა გქვია მეთქი, ტუჩები დაეჭმუჭნა სიბრაზისაგან.

თვალები შიგნით ჩაექცა თითქოს და ორი ცარიელი ღრმულიღა დარჩა სახეზე, ავად ალაპლაპებული ორი სიცარიელე. დაძრწის სასტუმროს აშმორებულ დერეფნებში ინკოგნიტო მამისა და გულგარეცხილი დედის ნაშიერი. ჩვენი დროის მინოტავრი. მინოტავრის ბოჩოლა. დედამაც არ იცის წესიერად, რა ჰქვია სინამდვილეში. იმდენი საალერსო-სალაქუცო, მოსასყიდ-მოსათაფლი სახელი მოუგონა (სულ გაქცევაზეა და იმიტომ, სულ ტყუის, სულ თვალთმაქცობს, რადგან შვილი ხელს უშლის მხოლოდ ამქვეყნიურ სიამეთა ძებნაში და კიდევ უფრო მეტი ღვარძლით, ბრაზით, შურითა და სიძულვილით აღრენილი აედევნება ხოლმე ცხოვრებას, როგორც სოფლის ძაღლი - შარაზე ჩავლილ მანქანას), ნამდვილი, საპასპორტო სახელიც აღარ ახსოვს. დაავიწყდა. არც არის საჭირო. ეს ქვეყანა უნდა დაინგრეს. მე თუ არა, ნურც სხვა. ყველაფერს თავიდან, ნულიდან დაიწყებს, ენაცვალოს დედა, ჩემი ავავი, ბუსუ, დედუსია, კოკაკო... ესეც ჩემი ბრალია ალბათ. ალბათ კი არა, ნამდვილად. ყველას გადარჩენის მსურველი, ყველას დამღუპველი აღმოვჩნდი ბოლოს. ვერ გავწვდი მიზანს, მაჯობა. მომერია. თავისუფლების უაზროდ მძებნელს, მონობაში გადიდკაცებულმა აჯობა. ასე მითხრა შვილმაც: ვიცოდი, ვერ უშველიდიო. თითქოს სენი კი არ იყო მოურეველი, მე ვიყავი უვარგისი ჭირისუფალი. ორმოცდათექვსმეტშიც, ჩემს მაგივრად, სხვა ვინმე რომ გადაჰყროდა იმ უბედურს, ვინ იცის, იქნებ გადარჩენილიყო. ის კი ჩემი იმედით მოკვდა. ხან საიდან და ხან საიდან გამომხედავს ხოლმე მოულოდნელად - სადა ხარ აქამდეო - აქამდე მელოდება. მეც იძულებული ვარ, ისევ მოვატყუო - შენ მანდ იჯექი

საკუთარი სისხლის გუბეში, დანარჩენი მე ვიცი მეთქი. მელანიას სადღეგრძელოში რომ ეუბნებოდნენ, გაძლება მოგცესო, ძნელია შენი ქმრის ცოლობაო, გულწრფელად იფერებდა, მადლობას იხდიდა გაგებისთვის და ეს ქალური სიქერქეტით ანდა გადამეტებული პატივმოყვარეობით კი არ მოსდიოდა, მარტო იმან იცოდა, მართლა ძნელი რომ იყო ჩემი გაძლება. უფრო სწორად, რა ძნელი ასახსნელი იყო სხვებისთვის, მისი ქმარი ისევე რომ ცხოვრობდა ფიქრებსა და ოცნებებში, როგორც ისინი (სხვები) ცხოვრობდნენ მიწაზე, ყოველდღიურად. საერთოდ, რა ძნელი ასახსნელი იყო, რაც მარტო მას ესმოდა. ერთ ხორც და ერთ სულ. არა მარტო ესმოდა, სჯეროდა კიდეც, ვთქვათ, მართლა რომ მიტარებდა ფრენის გაკვეთილებს ათენელი მოქანდაკე და მართლა მედეას ჯადოსნური წამლებით რომ მედგა აქამდე სული. შე უბედურო, ახლა რა გეშველება უჩემოდო - აი, რას ფიქრობდა მელანიას ტვინი - ვიღა გაგიგებს, ანდა ვიღა მოიტყუებს განგებ თავს შენი გულისთვისო. ერთი ჩვეულებრივი ყბედი და გზასამცდარი მუსუსი გამოხვალ ბოლოს და ბავშვები ბებერ რომეოს დაგიძახებენ ქუჩაშიო. შვილებს სჭირდები, თორემ, შენთვისაც კარგი იქნებოდა, ჩემთან ერთად მომკვდარიყავიო. ოი, როგორ მეცოდები, რომ იცოდეო. ტუსაღივით შენ თვითონ გაისწორებ აქოთებულ ლოგინს, შენ თვითონ აიდუღებ ჩაის, შენ თვითონ დაიკემსავ გაცრეცილ წინდას, შენ თვითონ გაირეცხავ გაბინძურებულ საცვალსო. ღირსი კი ხარ, მაგრამ მაინც მეცოდები, რადგან შენსავით და შენზე ძლიერ არავინ მყვარებია ამ ქვეყანაზეო. ვერავინ გამიმწარებდა სიცოცხლეს შენზე უკეთესადო. ვერავინ დამამცირებდა შენზე მეტად, ვერავინ მაცხოვრებდა

უფრო ხელმომჭირნედ, მაგრამ ასევე ვერავინ განმაცდევინებდა შენს მეტი ამ წყეულ გრძნობას, ასე ღრმად, ასე თამამად, ასე მტკივნეულად, მთელი თავისი სიგრძე-სიგანით, თავისი ცუდითაც და კარგითაცო - აი, რას ფიქრობდა მელანიას ტვინი რეანიმაციაში, მიწისა და ცის შუა გამოკიდებული - გვიყვარდა თუ არ გვიყვარდა, უერთმანეთოდ ჩვენს ცხოვრებას აზრი არ ჰქონდა და იმიტომ ვებღაუჭებოდით ერთმანეთსო. დიახაც. ჭეშმარიტად. მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობს - შენ თვითონ ფიქრობ ასე! გარდაცვლილიც შენს ჭკუაზე გინდა ატარო, გარდაცვლილსაც შენი ნება-სურვილი გინდა მოახვიო თავზე. აი, შენი მთავარი დანაშაული! კიდევ კარგი, თვითონ მიხვდი. ხოლო რაკი მიხვდი, ალბათ, აღიარებ კიდეც. სიყვარულით მომსპობ თუ სიძულვილით, სიკეთითა თუ სიბოროტით - დიდი განსხვავება არ არის, ყოველ შემთხვევაში, შედეგი ერთია. ასე რომ, რამდენიც გინდათ აკაკუნეთ. ვერ გაგიღებთ, ნაფიქრალის ჯერ კიდევ თბილ ხრილში ვწევარ, ბებერ მეწისქვილესავით, და განძრევაც მეზარება. არ არიან შინ. საერთოდ აღარ არიან. ცოლი ხომ მოუკვდა! არ გაგიგიათ?! თვითონაც წასულია სადღაც, არც მოსკოვში, არც პარიზში. სადღაც. პარიზიდან რახანია დაბრუნდა. მაგრამ ისევ წავიდა, ოღონდ, ამჯერად, არც დასავლეთში, არც აღმოსავლეთში, არც სამხრეთში, არც ჩრდილოეთში. მოუსავლეთში. სიმარტოვეში. აღარც ლექსებს წერს, აღარც რომანებს. არაფერს არ წერს. რითი ცხოვრობს?! ცხოვრობს, რო?! აკი ვთქვი, აღარ არის მეთქი. აკაკუნე რამდენიც გინდა. სხვები სად არიან?! მეც ეგ მაინტერესებს სწორედ. ალბათ მარტო დამტოვეს ჩემს საფიქრალთან. ეყოთ შეგნება. იქნებ ისინი მაინც შემარჩინოთ, არ დამიხოცოთ. ჯერ არც

ერთს არ ეკითხება ჭკუა. გაუშვი იტანჯონ, ოღონდ იყვნენ. ცხოვრება ხომ საერთოდ ტანჯვაა. ჯერ კიდევ როდის უთქვამთ. თავსაც იტანჯავ და სხვასაც ტანჯავ. ტანჯული მტანჯველი. როგორც არ უნდა გავიპარსო, მარჯვენა მხარეს, ტუჩის კუთხეში, ერთი პატარა ბეწვი მაინც მრჩება ყოველთვის და მტანჯავს, მაწვალებს, ისიც მე მტანჯავს და მაწვალებს. ფიქრს კი წყლის ძალა აქვს. საითაც უნდა იქით წაგიღებს ნაგავივით. რამდენჯერაც მოესურვება იმდენჯერ მიგახეთქებს ხორკლიან კედელზე, გალუმპულ ჯებირზე, დაკბილულ კლდეზე... გააჩნია, დის თუ დგას. აუზში, მაგალითად, დგას, მაგრამ ნაგავი მაინც განუწყვეტლივ აწყდება ბეტონის კედელს. ვერ გაურკვევია, როგორ აღმოჩნდა აქ, ამ აუზში. ვერც შენ გაარკვიე? აბა, ერთხელაც სცადე. რატომ უნდა მომხდარიყო, მაინცდამაინც ისე, როგორც მოხდა და არა ისე, როგორც არ მოხდა? რატომ? რატომ? რატომ? აწყდება მთელი ცხოვრების ნაგავი კედელს - აზელილი, დაბუშტული, სუნიანი... უფრო ამაზრზენი, ვიდრე ჩვეულებრივი, თავიდანვე სანაგვეზე მოხვედრილი ნაგავია. კედელს კი ფეხებზე ჰკიდია რას შეატოვებს ნაგავი - ლორწოვან ძონძს თუ ნახმარ პრეზერვატივს, შიგ ჩამპალი მილიონი სიცოცხლიანად. ერთხელაც. ერთხელაც. კედელი კედლად რჩება. ნაგავი - ნაგვად. ისე, ჩვენში რომ ვთქვათ, მართლა რა გზებით დაგროვდა, მაინცდამაინც ეს ნაგავი, მაინცდამაინც, ამ აუზში? ტივტივ-ტივტივით მოქუჩდება ერთხელ კიდევ, ერთიან მასად იქცევა - დაბუშტული, ქაფიანი, სუნიანი - და ერთხელ კიდევ მიაწყდება კედელს. მაგრამ მაინც ვერაფერს მოიპოვებს, ვერაფერს მიაღწევს, რამდენჯერაც არ უნდა სცადოს. მე რაღაცა მაინც

მოვიპოვე, რაღაცა მაინც გამოვარჩიე ამ ნაგავში, თუნდაც, წყლის ჭიქა, წამლის შუშა, სათვალე...

ფეხზე შალის მეორე წყვილი წინდა ამოიცვა, ტანზეც მიიმატა სქლად ნაქსოვი ღუნღულა სვიტრი, მაგრამ მაინც ვერ გათბა. იმდენი ეცვა, მოძრაობა უჭირდა. ნელა, თითქოს გაუბედავად მოძრაობდა, როგორც მყვინთავი ოკეანის ფსკერზე, ანდა - კოსმონავტი მთვარეზე. მაგრამ იმაზე დიდ საოცრებას, რაც მან ეკაეკატერინეკატოს ოთახში იხილა, ვერც ოკეანის ფსკერზე იხილავდა მყვინთავი და ვერც მთვარეზე კოსმონავტი.

ვიდრე კარს შეაღებდა, ჯერ კიდევ სჯეროდა, ღრმად რომ ეძინა მის შვილსაც და შვილიშვილსაც. კარის შეღებამდე მაინც ჩაახველა, გასაფრთხილებლად, ვინძლო მართლა სძინავთ, არ შეეშინდეთო. მაგრამ კარი რომ შეაღო, სახტად დარჩა, ყველა წეღანდელი ჩვენება ერთბაშად გაუფერმკრთალდა, ერთი პირობა, ისიც კი გაიფიქრა სულელურად, კარი ხომ არ შემეშალაო, თითქოს რომელიღაც სასტუმროში იყო და არა საკუთარ ბინაში, სადაც ოჯახის ყველა წევრს, საბედნიეროდ, თავისი კუთხე ჰქონდა მიჩენილი და ეტეოდა კიდეც თავის კუთხეში.

ბავშვი კედლისკენ გადაბრუნებულიყო, ზურგი შეექცია აქაურობისთვის, უფროსებისთვის და, როგორც აველუმს წარმოედგინა აქ შემოსვლამდე, ეძინა. კისერთან გულისამაყუჩებლად აბურძგნოდა ოფლიანი თმა. მაგრამ თავთით, დედის ნაცვლად (რასაც ვერაფრით წარმოიდგენდა აველუმი), ვიღაც უცხო ბიჭი ეჯდა, უცხო კი არა, შემაძრწუნებლად, წარმოუდგენლად ნაცნობი - ზუსტად იმ ბიჭის ასლი, მკვდარი რომ დაუხვდა სადარბაზოში - ოღონდ, ამჯერად, ახალ ყაიდაზე წვერმოშვებული (რის გამოც, დაუბანლისა და გაუპარსავის შთაბეჭდილებას უფრო ტოვებდა, ვიდრე წვეროსანი მამაკაცისა) და დიდ, მოფლაშულ, იდაყვებგამოკერებულ სვიტრში ჩაკარგული.

მართლაც ძველი ნაცნობივით ეჭირა თავი - ვითომ არაფერიო, ვითომ საერთოდ აქ არის ჩემი ადგილიო - კალთაში შამპანურის გახსნილი ბოთლი ჩაედგა (პლასტმასის საცობი, ვერცხლისფერი ქაღალდის ნაგლეჯიანად და მავთულის სამაგრიანად, სკამის ფეხთან ეგდო იატაკზე), ცალი ხელი ბოთლისთვის წაეჭირა ყელში, მეორეთი კი ჭიქა ეჭირა. ჭიქაში სანახევროდ იდგა თეთრქაფიანი მოყვითალო სითხე. "მადლობა ღმერთსო" - შესძახა აველუმის დანახვაზე. აველუმისგან განსხვავებით, არც არაფერს გაუკვირვებია, არც არაფერს შეუწუხებია. "მეგონა, დილამდე არ გაიღვიძებდითო" - მოაყოლა, ალბათ, ცოტა არ იყოს, უჩვეულო მისალმების განსამარტავად. მაგრამ აველუმს ერთი წამით მოეჩვენა, თითქოს რაღაცას საყვედურობდა ის, ანდა სულაც დასცინოდა - ქვეყანა ინგრევა, თქვენ კი ყურზე გძინავთო. ფეხები ბავშვის საწოლზე ჰქონდა მიბჯენილი და სკამი შეზლონგივით გადაეწვინა უკან. მოკლედ, "ქეიფობდა" და როგორც ჩანდა, ვერაფერი შეუცვლიდა საქეიფო გუნება-განწყობილებას. იმისმა ხაზგასმულმა შინაურულობამ და უტიფარმა უბრალოებამ, მართალია, ერთბაშად გააღიზიანა აველუმი, მაგრამ უფრო მეტად იმ ამბავმა შეაწუხა, მაინცდამაინც აქ, ბავშვის ოთახში რომ ხდებოდა, რაც ხდებოდა, ცხადი იყო თუ სიზმარი.

- აქ რა გინდაო? - წამოსცდა უნებურად. ვინ ბრძანდებითო კი არა, აქ რას უზიხარო, რადგან მაშინვე მიხვდა, ვინც უნდა ყოფილიყო ის და, რაც მთავარია, გულის სიღრმეში ყოველთვის ელოდებოდა მასთან შეხვედრას; მაგრამ თავი მაინც ისე დაიჭირა, ვითომ ვერაფერს ხვდებოდა. ვითომ ამ უცხო ადამიანს მისი შვილის ერთ-ერთ "თანამებრძოლად" თვლიდა და, ამდენად, ვალდებული თუ არა, იძულებული მაინც იყო, მოეთმინა, აეტანა მისი მოულოდნელი, გაუთვალისწინებელი და არც მთლად სასიამოვნო სტუმრობა - ის სადღაა? - მოაყოლა სასწრაფოდ (ეკაეკატერინეკატოს გულისხმობდა, რა თქმა უნდა), თუმცა, ესეც უკვე იცოდა და, როცა იმან, "სტუმარმა", ვითომ ხუმრობით, სხვათაშორის უთხრა: დასტაცა ხელი ჩემს ავტომატს და საომრად გავარდაო - არც გაჰკვირვებია, არც შეშფოთებულა. ეგ არის რომ, შვილზე გაბრაზდა, შვილის უპატივცემულობამ და უყურადღებობამ ატკინა გული. მაგრამ ეს რა "სტუმრის" ბრალი იყო?! შვილის საქციელმა ერთბაშად განაიარაღა თითქოს და საერთოდ გაუნელა ყოველგვარი ინტერესი ამ ბიჭისადმი, რომელსაც იმპერიის საგანმანათლებლო სისტემის მუშაკთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად, თავისუფლება და დამოუკიდებლობა მოურიდებლობა და უპასუხისმგებლობა ჰგონია, რასაც აღწევს კიდეც, ოღონდ, უფრო სხვათა ჯიბრით, ვიდრე საკუთარი მრწამსიდან, მიზნიდან, თუნდაც სურვილიდან გამომდინარე. ასე რომ, შვილის უპატივცემულობითაც და "სტუმრის" უტიფრობითაც საკმარისზე მეტადაც გახლდათ აღშფოთებული, მაგრამ ეს მაინც არ აძლევდა უფლებას, დაეჩემებინა, მე ვარ მარტო მართალიო. ყველა თავის კიდობნიდან უყურებს

ცხოვრებას და ყველა ერთნაირად საცოდავია. აღშფოთებული კაცი კი, უნებურად, თავკერძა ხდება. რაც მას აღაშფოთებს, უნდა სხვებსაც აღაშფოთებდეს. უფრო მეტიც, სხვანაირად ვერც წარმოუდგენია. მაგრამ ჩვენი აღშფოთება ჩვენივე პირადული განცდებით, მიზნებით, მისწრაფებებითა და მოსაზრებებითაა აღძრული და მისი გავრცობა, განზოგადება არ შეიძლება. უფრო სწორად, არ შეუძლია სხვებიც აიყოლიოს, რადგან სხვები თავიანთი განსაკუთრებული გრძნობებით არიან შეპყრობილნი და თავიანთ გრძნობებთან დაკავშირებით იგივე მოთხოვნას უყენებენ ცხოვრებას - მაინცდამაინც, მათი გაიზიაროს და არა სხვისი, სულ ერთია, ვინ იქნება ის სხვა, აველუმი თუ მისი "სტუმარი". ცხოვრება ყველა ჩვენგანის მიმართ ერთნაირად გულგრილია, ერთნაირად ყრუა და სწორედ სიყრუეა ერთადერთი საშუალება პიროვნულ ამბოხებათა ჩასაქრობად. ამიტომ, ახლაც შეგნებულად "ჩაქრა" აველუმი და უკვე ძალაგამოცლილი სიბრაზით გაიფიქრა: რა თქმა უნდა, ეს აკაკუნებდაო.

- კი მაგრამ, არ აჯობებდა... - დაიწყო მოგონილი შინაურულობით, აგდებული თავაზიანობით. უნდოდა ეთქვა, არ აჯობებდა შენ გეომა, იმას კი ბავშვისთვის მიეხედაო, მაგრამ ბიჭმა გააწყვეტინა სიტყვა.

- მე ბავშვს ვყარაულობ... ხომ ხედავთ, ვყარაულობ! - შესძახა ხმამაღლა, თითქოს არ აცდიდნენ ლაპარაკს - დალევთ? - მაღლა ასწია ბოთლიანი ხელი, უკეთესად დაანახვა, რას სთავაზობდა - ისე, იცოდეთ, მაგარი მჟავეა. ნაღდი თერჯოლაა. სადგისივით ხვრეტს ნაწლავებს - გააგრძელა სიცილით და ჭიქა მიიყუდა.

აველუმს მოეჩვენა, თვალი ჩამიკრაო, როგორც გვარდიელმა ჩაუკრა თვალი წეღან, სიზმარში. მაგრამ შეიძლებოდა სტუმარს თავისთავად მოსჭუტვოდა თვალი, როგორც მთვრალებს ემართებათ ხოლმე ჭიქის მოყუდებისას. სახე სიმთვრალის წითელი ლაქებით ჰქონდა მოფენილი და სველივით ულაპლაპებდა, ალბათ, ნათურის ქვეშ რომ იჯდა იმიტომ. მაგრამ მთვრალი იყო თუ გიჟი, აველუმს უკვე აღარ აინტერესებდა იმის პირადი განცდები. საკუთარიც თავზე გადასდიოდა. "მაინც უნდა წავიდე, მაინც უნდა მოვნახო, ვიდრე ბავშვი გაიღვიძებდესო" - ფიქრობდა უკვე აყოლილი ჯერ კიდევ ბოლომდე ჩამოუყალიბებელ განზრახვას.

- მე აქ კი არ ვიმალები, როგორც თქვენ იფიქრეთ წეღან, ბავშვს ვუვლი, საქართველოს ხვალინდელ დღეს ვდარაჯობ... - თქვა ბიჭმა პათეტიკურად, მაგრამ თვითონვე გაეცინა და ახლა უკვე მთვრალი კაცის მედიდურობით და მოურიდებლობით მოაყოლა: მე ამ ბავშვის მამა ვარ და დროა ყველამ იცოდესო.

შამპანური კი არ მოსვა, ხმაურით მოხვრიპა ჭიქიდან. თავად უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა თავის ნალაპარაკევს და, მიუხედავად სიმთვრალისა, მაინც ეტყობოდა, მისი აზრით, თითქოს საიმედოდ შენიღბული მღელვარება. აველუმმა კი უცხო ბიჭის ეს განცხადებაც მშვიდად მოისმინა. თუმცა, კაცმა რომ თქვას, არაფერი იყო მისთვის ახალი და მოულოდნელი ამ განცხადებაში. ეგაა რომ, არ იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო ამ დროს. როგორ უნდა დაეჭირა "იმასთან" თავი. რა ეთქვა, რა არ ეთქვა, ეთქვა თუ არა საერთოდ რამე. ამის თაობაზე არასოდეს არავითარი "ინსტრუქცია" არ მიუღია შვილისგან. სხვათა შორის არც მელანიასგან. თვითონ კი (რასაკვირველია, ფიქრებსა და წარმოდგენებში), უაღრესად რთული, არაერთსახოვანი დამოკიდებულება ჰქონდა შვილიშვილის მამასთან - ხან ამტყუნებდა, ხან ამართლებდა. ხან მოსაკლავად დასდევდა ვითომ, ხან იმასთან ერთად იჯდა საბრალდებულო სკამზე უხილავი მსაჯულის წინაშე. უფრო მეტიც, ამ არანორმალური, მხოლოდ და მხოლოდ ფიქრისმიერი ურთიერთობის წყალობით, ძალაუნებურად გაიგივებული იყო იმასთან, რაც იგივე თვითგვემას, თვითკრიტიკას, თვითმკვლელობას ნიშნავდა და სხვა არაფერს. ამდენად, აღარც ეგონა მართლა თუ არსებობდა ბუნებაში ასეთი ადამიანი, მისგან დამოუკიდებლად - საკუთარი ცხოვრებით მცხოვრები, საკუთარი სახისა და სახელის მატარებელი. ახლა კი წინ ეჯდა და უტიფრად უღიმოდა. არათუ შეგნებულად უგულებელყოფდა უნებლიე უგულებელყოფის წილ, არამედ უკანონოდ და, ამავე დროს, აშკარად, მოურიდებლად იკავებდა მის ადგილს, როგორც მისი "კანონიერი მემკვიდრე", როგორც მისი "შემცვლელი".

"სხვათა შორის, მე ამ ბავშვის მამა ვარ და დროა ყველამ იცოდესო" - განაცხადა წარბის შეუხრელად, როცა აველუმი მთელი სიცოცხლე ცდილობდა ამის თქმის უფლების მოპოვებას, კედელს აქეთაც და კედელს იქითაც. იმას არ სჭირდებოდა ამგვარი უფლება, უფრო სწორად, თვითონვე აძლევდა თავს უფლებას, ასე იოლად, ასე მარტივად, "ამოეხსნა" ეს ურთულესი, უიდუმალესი გამოცანა თუ საიდუმლო ადამიანთა ურთიერთობისა, საფუძველთა საფუძველი საერთოდ სიცოცხლის მარადიულობისა. აველუმისათვის კიდევ უფრო გულსატკენი ის იყო, არავითარი მნიშვნელობა რომ არ ჰქონდა მის აზრს ამ საკითხთან დაკავშირებით, აღარც შინ და აღარც გარეთ. განსაკუთრებით, იმ ბიჭისათვის. იმ ბიჭის თვალში ალბათ ბევრი არაფერი მოეკითხებოდა და აქაც, საკუთარ სახლში, შემთხვევით შემოხეტებულს ჰგავდა, დაღლილი, დაბერებული, სიკვდილამდე ნებაზე მიშვებული ცხენი რომ შეეხეტება სადღაც და ან ჩიჩვირზე ჩამოუსვამენ სიბრალულით ხელს, ან დაუტატანებენ, სად მოდიხარ, რო დაგიღერებია თავიო... გაწუხებთ ხერხემლის დეფორმაცია? მოძრაობის შეზღუდვა? სახსრების ტკივილი? მაწუხებს, ძალიან მაწუხებს, ბატონო ვანთუთრი. აბა, წასულხართ ხელიდან და ეგ არის. მაგრამ მაინც მოგვმართეთ. ჩვენი კოოპერატივი ყველაფერს გააკეთებს, რათა... და ასე შემდეგ. თქვენც სცადეთ. რა გენაღვლებათ? ძღინკიანი თუმანი ვითომც არ გქონიათ. თქვენ არ დაგაკლდებათ, ჩვენ კი სულს მოვითქვამთ, ვიდრე დაგვხურავდნენ... თავისებურად "გაესაუბრა" გაზეთის კორესპონდენტს გუნებაში და მისთვისაც მოულოდნელად, მარი ლუიზას რუსი მეგობარი დაუდგა უცებ თვალწინ. თვითონაც რომ არ ელოდა, ისე

ღრმად, ისე მტკივნეულად შესძრა ამ მართლაც რომ მოულოდნელმა, თითქოს ყოვლად უსაფუძვლო ჩვენებამ, რამდენადაც არასოდეს გახსენებია ადრე და არც თავის დროზე მიუცია, მაინცდამაინც, დიდი მნიშვნელობა ტყვეობაგამოვლილი, ნაციმბირალი, ხელაკანკალებული და ყბაჩამოვარდნილი კაცისათვის, რომელსაც დაცინვით თუ დაუძახებდა ვინმე შეყვარებულს და რომელიც მაინც პაემანზე იდგა, სასტუმროს წინ, თუჯის მასიურ ლამპიონთან, პიჯაკის უბის ჯიბიდან ყვავილგამოჭყეტილი და ოცდახუთი წლის უნახავ სატრფოს ელოდებოდა, ოღონდ წარსულის აღსადგენად კი არა, წარსულთან სამუდამოდ გამოსამშვიდობებლად.

- როგორც საკუთარ სახლში - თქვა აველუმმა თავაზიანი ღიმილით და ხელი ჰაერში მოატარა.

მერე ბნელ ქუჩაში მიძუნძულებდა სიცივეს აყოლილი, აუცილებლად უნდა მოენახა ეკაეკატერინეკატო და აუცილებლად უნდა დაებრუნებინა შინ, მკვდარი ან ცოცხალი, ვიდრე მისი შვილიშვილი გაიღვიძებდა და ქვეყნისკენ გადმობრუნებულს, შამპანურის სმისგან სახედალაქავებული უცხო კაცი დახვდებოდა დედის ადგილზე. ქვეყნისკენ გადმობრუნებულ ბავშვს აუცილებლად დედა უნდა დახვდეს, თუნდაც მკვდარი, რადგან მკვდარი დედის დუმილი გაცილებით მეტის მთქმელიცაა და მნიშვნელოვანიც, ვიდრე უცხო კაცის (გინდაც მამად გეკუთვნოდეს) გაუთავებელი ლაქლაქი უფლებამოსილებაზე... გარდა ამისა, ეკაეკატერინეკატო იმიტომაც უნდა დაებრუნებინა შინ, მხოლოდ და მხოლოდ, მამისა და იმ "უცხო ბიჭის" ჯიბრით რომ აკეთებდა იმას, რისი გაკეთებაც არ უნდოდა, არც შეეძლო, რისი წინააღმდეგიც იყო თავად და არც არასდროს გააკეთებდა, თუკი ჩვეულებრივი, ადამიანური ურთიერთობა ექნებოდა ან ერთთან და ან მეორესთან. ირგვლივ კი სროლის ხმა ისმოდა მხოლოდ. მაგრამ საბედნიეროდ (თუ სამწუხაროდ), ეს საზეიმო, სადღესასწაულო სროლა გახლდათ და არაფერი ჰქონდა საერთო ძმათა ომთან. უფრო სწორად, მიუხედავად ძმათა ომისა, თბილისელები მაინც ვერ ღალატობდნენ წეს-ჩვეულებას და ლამის ძირს ჩამოეღოთ ტყვიებით დაცხრილული ცა.

თამარის ხიდზე რომ გადავიდა, უკვე ცხელოდა. ცირკისა და აკადემიის გორაკებს კიდევ უფრო ჩაემუქებინათ წყვდიადი. ვიდრე ხიდს გადავიდოდა, მოაჯირის რიკულებს შორის ერთი-ორჯერ მწვანედ იელვა მაშხალის შუქით განათებულმა, თითქოს შიშისაგან გაქვავებულმა მდინარემ. "საჭაშნიკომდე" არმისული უკვე ოფლად იყო გახვითქული, როგორც სიზმარში. გაუჭირდა პატარა, უმნიშვნელო აღმართის დაძლევა. ძლივსღა სუნთქავდა, თავისივე რომელიღაც გმირივით. ყველა მისი გმირი ერთი და იგივე პიროვნებაა, ოღონდ სხვადასხვა ეპოქაში მცხოვრები და დროის შესაფერისად ფერშეცვლილი. ხოლო ის "ერთიდაიგივე პიროვნება" თვითონვეა, რამდენადაც ყველა მწერალი, ყოფილიც და არსებულიც, როგორც არ უნდა მიუკიბ-მოუკიბოს ახალგამომცხვარ ინტერვიუერს თავისი შემოქმედებითი ბიოგრაფია, მაინც იმას აღწერს, რაც უნახავს და მაინც იმას ხატავს, ვისაც კარგად იცნობს. ერთი კია, ცხოვრებაშიც და წიგნშიც წინასწარვეა ბედს შეგუებული, ანუ, აქაც და იქაც ვერასოდეს გამოდის წყვდიადიდან, რასაც ავტორის პესიმისტობას აბრალებდნენ საბჭოთა კრიტიკოსები, სინამდვილეში კი ვერავინ შეძლებს შეუძლებელს, ვერც ცხოვრებაში, ვერც წიგნში - წყვდიადის შვილი, წყვდიადის ბინადარი, წყვდიადშივე უნდა გაქრეს ბოლოს. წყვდიადი ფეხმოუცვლელი მარადისობაა, სინათლე კი წასულ-მოსული ქერქეტა ქალია - მოეპრიანება მოვა, მოეპრიანება წავა - ჩვენ კი იმის ჭირვეულობასა ვართ მიჩერებულნი, მხოლოდ და მხოლოდ, წყვდიადისადმი თანდაყოლილი შიშის გამო, რომელიც დედის მუცელშივე გვეუფლება და რომელსაც ჩავყავართ სამარეშიც. ამიტომაცაა, ყველა ლიტერატურული

გმირი, ავტორივით, ყოველთვის მიუღწევლისკენ, არარსებულისკენ რომ მიისწრაფვის და წყვდიადიდან კი არ გამოდის (რაც მიზნად დაუსახავს), კიდევ უფრო ღრმად შედის წყვდიადში (რაც ცხოვრების კანონზომიერებაა). ცხოვრებისგან დაკნინებული, მაგრამ სიყვარულით ამაღლებული ნებისმიერ ცხოვრებაზე, იმ ზღაპრული მღვიმისკენ მიისწრაფვის, რომელიც მის ოცნებაში არსებობს მხოლოდ და რომელშიც მთელი კაცობრიობისათვის საკმარისი სიყვარულის მარაგი აქვს გადამალული ჯერ კიდევ უხსოვარ დროს, იმ ბედნიერი დღისათვის, როცა გაპირუტყვებული, საკუთარი ხორცის მჭამელი ადამიანი მოულოდნელად გამოფხიზლდება და ერთხელ კიდევ მიხვდება, ასე ცხოვრება რომ აღარ შეიძლება, უსიყვარულოდ აზრი რომ არა აქვს არაფერს - არც დაბადებას, არც სიკვდილს.

"საჭაშნიკეს" ვიტრინა ჩაუმტვრევიათ - მღვიმესავით იყურება სიბნელეში. აველუმის ფეხის ხმის გაგონებაზე, იქიდან ვიღაცები გამოხტებიან, დაფეთებულნი აირბენენ აღმართს ფიქრის გორისკენ და იქ ჩაწყნარდებიან, ჩაინთქმებიან უფრო დიდ წყვდიადში. ალბათ ბავშვები იყვნენ, დამწყები ვირთხები, თორემ რატომ უნდა შეშინებოდათ აველუმისა?! და საერთოდ, ვისი რა საქმეა, ვინ დაეპატრონება უპატრონო მაღაზიას, ღვინისა იქნება ის თუ რძისა?! ერთი მთავრობა ქვესკნელშია, მეორე ჯერ არ შექმნილა და, აქედან გამომდინარე, რაც მიწის ქვეშაა - მთავრობისაა, რაც მიწის ზემოთ - არავისი. მიდით, დალეწეთ, დაიტაცეთ, ვისაც რამდენი შეგიძლიათ! წყვდიადი გამდნარი ფისივით ლაპლაპებს (ალბათ სიცივისაგან). სხეულზე ეკვრის, ეტმასნება აველუმს, მართლა გამდნარი ფისივით. აბრკოლებს, არ უშვებს თითქოს. ის კი ჯიუტად მიიწევს წინ, გულამოვარდნილი, აქოშინებული, აგანგაშებული. ბავშვობაში ბნელოდა ასე. მაგრამ მაშინ პატარა იყო და ნაკლებად ეშინოდა. უფრო ზუსტად, სიბნელისა ეშინოდა მხოლოდ. მხოლოდ იმისი, რასაც ხედავდა. ახლა კი იმისი უფრო ეშინია, რაც არ ჩანს, რაც სიბნელეშია დანთქმული. ბავშვობაში შეიძლება უკეთესად ხედავდა, მაგრამ ახლა უკეთესად ესმის სიბნელისაც და სიჩუმისაც. წინ რაღაც გდია, წილკნის ასახვევთან, სამკერვალო ატელიეს წინ. შალითაჩამოცმული საკერავი მანქანები მოთმინებით ელოდებიან მაროდიორებს. ყველაფერი უცხოური უცებ ვრცელდება თბილისში. ანდა შეგნებულად ვავრცელებთ, ჩამორჩენილობა რომ არ დაგვწამოს ვინმემ. ჰმ, ჰმ. თუმცა, "საჭაშნიკეს" თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სადაც ჩვენი ღრმა რწმენით

ძირითადად ლოთებისგან წაქეზებული დამწყები ვირთხები ეუფლებიან მაროდიორობას, ამ თვალსაზრისით, აქეთ შედარებით წესრიგია. ტროტუარზე კი აშკარად რაღაც გდია, გვამივით. სიბნელეზე უფრო ბნელი. აზრი არა აქვს შეჩერებას, გეზის შეცვლას. თვალები თუ აქვს იმ "რაღაცას", უკვე ხედავს აველუმს. ან მთვრალია, ან მკვდარი. ღმერთმა იცის, რომელი უარესია. მთვრალმა შეიძლება ფეხში გტაცოს ხელი და თავი შინამდე გათრევინოს. მაგრამ არც ყველა მკვდარია უწყინარი. ვთქვათ, არ მიაქციე ყურადღება და წახვედი შენი გზით, ჩაუარე გვერდით - სამშვიდობოს რომ გეგონება უკვე თავი, მაშინ მოგაძახებს უკნიდან, შე უსინდისო, ეგ არის შენი კაცთმოყვარეობაო?! ნატამალიც აღარ დაგრჩა ჩემთვის ადამიანური სითბოსიო?! რაც მართალია, მართალია, არავის ეპატიება ამგვარი გულგრილობა მოყვასის მიმართ. ღვინითა და ზეთით თუ არ მობან დავრდომილ მოყვასს იარებს (თუნდაც იმ უბრალო მიზეზის გამო, ჩვენს დროში, აღარავინ რომ აღარ დაატარებს თან ღვინოს და ზეთს - რა ღვინო და ზეთი აუვა! - ვინძლო ნაგვემ-ნაცემი შემხვდეს ვინმე გზაშიო), ღვინისა და ზეთის ფული მაინც უნდა ჩაუკუჭო მუჭში. მით უფრო, ამ გაგანია ომის დროს, როცა არაფერი იშოვება და ყველაფერს ცეცხლი უკიდია. ყველა ომის მიზეზი ერთნაირად სასაცილოა შედეგთან შედარებით. ასე რომ, მნიშვნელობა არა აქვს, რისთვის ვომობთ, რა ვერ გაგვიყვია. მთავარია, ამ ომს ისიც არ გადავაყოლოთ, რაც არ იყოფა, ანდა განუყოფლად იყოფა მხოლოდ. შენიც იმდენია, რამდენიც ჩემია. ასე რომ, რასაკვირველია, აველუმიც გამოიჩენდა ყბადაღებულ კაცთმოყვარეობას (რომელსაც სიბრიყვისა თუ უკიდურესი გაჭირვების გამო, დროებით, ლოკალურ

მნიშვნელობას ვანიჭებთ და საერთოდ ვუკარგავთ მნიშვნელობას), მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ესეც ერთგვარი სისუსტეა, გნებავთ, სუსტი, ფუტურო ჯოხია, გამძვინვარებულ მხეცთაგან თავის დასაცავი. ერთი-ორი კაპიკი ალბათ აველუმსაც ედება ჯიბეში, მაგრამ ამოღება არ გინდა?! ხომ შეიძლება მწოლიარე მიცვალებულმა (თუ კიდევ უარესს არ გადააწყდი) ითაკილოს?! ანდა ეცოტავოს შენი წყალობა?! მერე სად მიდიხარ?! როგორღა უნდა იმართლო თავი?! ანდა, როდემდე უნდა იმართლო თავი საერთოდ?! თუ მიცემას არ აპირებდი, რატომ ამოიღე შენი ტილიანი მანეთი?! ხოლო, თუ გასაკითხად ამოიღე, ვინ არის შენი მათხოვარი?! შენი დაყვერილი მანეთის გულისთვის არავინ ჩასაფრდება დღეს ამ ჩაბინძურებულ სიბნელეში. დღეს ფულს აღარ თვლიან და თუ თვლიან, მხოლოდ ტომრობით. განვთავისუფლდით. გათავდა. მაგი პატრონი დედაც. თქვენ გადმობრძანდით, ჩვენ უნდა ჩავბრძანდეთ. ხელახლა უნდა გადანაწილდეს ყველაფერი. ის ამას სამასი იმას სამი ასი ისა. გინდა წაღმა წაიკითხე, გინდა უკუღმა. უცხო სხეული კი (საბედნიეროდ), წაქცეული ლამპიონი აღმოჩნდა. არქიტექტურული ზედმეტობა. ფულის წყარო. მთელი წელი ვდგამთ და ერთ დღეში იქცევა. სხვათა შორის, სწორედ დღეს წაიკითხა გაზეთში, ამ ერთი საათის წინ, ამა და ამ ქუჩაზე (ესე იგი ნებისმიერ ქუჩაზეა მოსალოდნელი), ელექტროლამპიონი აგდია ტროტუარზე და "ფეხით მოსიარულეებს" ხელს უშლისო. თითქოს "ხელით მოსიარულეებიც" არსებობენ ჩვენს ქალაქში და იმათთვის ცალკე კეთდება მსგავსი განცხადებები. მაგრამ ეს კი არ არის მთავარი, მთავარია სულ ბნელში რომ დავდივართ, გაჩენის დღიდან აღსასრულამდე, მაგრამ ან ვერ

ვამჩნევთ, ან ვამჩნევთ და არ ვიმჩნევთ, ვერ გვითქვამს, გვეშინია, რადგან არ ვიცით, რა სჯობს, ვამჩნევდეთ თუ არ ვამჩნევდეთ, რა უფრო მომგებიანია დროის ამა თუ იმ მონაკვეთში.

მაწანწალა ძაღლების საკმაოდ მრავალრიცხოვანმა ხროვამ საქმიანი ძუნძულით გადაჭრა ქუჩა ვერის ბაღისკენ. ორი ერთნაირი ცხოველი არ ერია ხროვაში და მაინც ყველანი ერთნაირად ძაღლები იყვნენ. ყურადღების ღირსადაც არ ჩაუთვლიათ მარტოხელა აქოშინებული კაცი. არც ერთს არ შეუღრენია, თუნდაც საკუთარი ძაღლობის გამოსახატავად ამ გაძაღლებულ ცხოვრებაში. ეტყობა, თავიანთი ძაღლური გუმანით იგრძნეს, არავითარ საშიშროებას, არავითარ დაბრკოლებას და არც არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა მათთვის, არც არავისთვის, ერთნაირად დავიწყებული, ერთნაირად მიტოვებული ღმერთისგანაც, კაცისგანაც და ძაღლისგანაც. თუმცა, ძაღლები - რაკი საშუალება მისცემოდათ, რაკი მაინც გადაჰყროდნენ შემთხვევით - თავიანთი მოჩვენებითი უყურადღებობითა და დაძაბული გულგრილობით, უმალ ამხნევებდნენ, უმალ გულს უკეთებდნენ ადამიანურ სიმარტოვეში გამომწყვდეულ ადამიანს, ვითომ, ჯერ საჩვენოდ არ გაგხდომია საქმეო. ვითომ, აქ ჯერ კიდევ ქვეყანაა, ხალხი ცხოვრობს და იქნებ რომელიმე მათგანმა შეგიფაროს კიდეც, თუკი ჩვენთან ერთად წანწალი, ჩვენი ხროვის წევრობა არ გირჩევნიაო. ისიც (აველუმი), გამხნევებული, გულმიცემული, ოფლისგან გაბრწყინებული სახით, კიდევ უფრო ჯიუტად მიაპობდა წყვდიადს, როგორც გუთანი - მიწას და აუღელვებლად გუნებაშიც არ შეეძლო აღენიშნა, თუ რა დიდი იყო მსგავსება რეალურად არსებულ ცარიელ ქუჩასა და წარმოდგენილი ლაბირინთის ტალანს შორის. თითქოს მინოტავრის ნეხვის სუნიც სცემდა საიდანღაც. დაღლილობისაგან ძლივსღა სუნთქავდა. თავფეხიანად გაწუწულიყო ოფლით. მაგრამ ახლა უფრო სჯეროდა,

მთლად ამაო, მთლად უაზრო, მთლად ჩვეულებრივი მოვლენა რომ არ იყო მისი სწრაფვა, მისი სულისკვეთება, თუნდაც მისი სიგიჟე. შეიძლება, წესიერად თვითონაც ვერ ერკვეოდა საკუთარ განზრახვაში, მაგრამ მთელი არსებით გრძნობდა, წინააღმდეგობა არ უნდა გაეწია ამ განზრახვისთვის, თუკი სურდა ადამიანად დარჩენილიყო ბოლომდე.

გამოვიდა თუ არა შინიდან, გააწნა თუ არა პირველივე სილა დეკემბრის ბოლო ღამის სიცივემ, მაშინვე გაუნათდა გონება (შეიძლება, უარესად დაუბნელდა), რადგან მაშინვე ერთხელ კიდევ ნათლად დაინახა ის პატარა ზღაპრული მღვიმე, სადაც ოდესღაც, უხსოვარ დროს, ბავშვობისას აფარებდა თავს (უფრო სწორად, სცადა თავის შეფარება) და ალბათ მაშინ უფრო ახლოს იყო საერთოდ მიზანთან, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ყალიბდებოდა და რომელიც დღეს, ადვილი შესაძლებელია, აღარც კი არსებობდეს, რადგან დღეს უსიყვარულოდაც იოლად გააქვს ხალხს თავი, ყოველ შემთხვევაში, ჰგონია რომ გააქვს, მაგრამ, საბედნიეროდ, მღვიმე მაინც არსებობს, სადღაც, თუშეთის მთებში, ანდა სულაც ერთი კაცის წარმოდგენაში, ზღაპრულ, არარსებულ სამყაროში (სხვებისათვის არარსებულ სამყაროში) - ბავშვის ნაფიქრალით გაუტანია თავი და როგორც ხელოვნურად (იაპონური მეთოდით) გაღიზიანებულ ნიჟარას, მარგალიტად უქცევია იმავე ბავშვის გულუბრყვილო რწმენა და ოცნება: დედაც დაბრუნდება, მამაც, დაც, შვილიც... წართმეულიც, გაჩუქებულიც, დაკარგულიც... და ისიც (აველუმი), ამდენი ხნის მერე, ისევ ბრმად, ისევ ალალბედზე მიიკვლევს გზას, ისევ საკუთარ წარსულში აპირებს შებრუნებას, თუნდაც იმიტომ, მხოლოდ იქ რომ არის შესაძლებელი ამგვარი რწმენისა და ოცნების არსებობა, მხოლოდ იქა აქვს ადგილი წართმეულსაც, გაჩუქებულსაც, დაკარგულსაც. მაგრამ წარსულის ქვიშა და ღორღი ვერაგულად, უხმაუროდ ეცლება ფეხქვეშ. წარსულის ეკლიანი, გაფარჩხული ტოტები დაუნდობლად სცემენ სახეში, თითქოს აფხიზლებენ, გონში აგდებენ, ახსენებენ დროის დინებას, აჩვენებენ

დროის მიმართულებას, ანდა, მისი სიჯიუტით, მიუხვედრელობითა და გულუბრყვილობით გაღიზიანებულნი, უმხედრდებიან, უკან დასახევ გზას უკეტავენ, სინამდვილეში უპირებენ დატოვებას, არსებულს სთავაზობენ არარსებულის ნაცვლად. ის კი ჯიუტად მაინც იმათკენ იშვერს ხელებს, მაინც წარსულის ტოტებს ებღაუჭება, რადგან მაღლა უნდა ასვლა. არც წინ, არც უკან. მხოლოდ მაღლა, რადგან მაღლაა, რაც სინამდვილეში არ არსებობს, ან აღარ არსებობს. ცაში იმარხება ოცნება, იმედი, სიყვარული და ცაშია მისი ოცნების, იმედის, სიყვარულის საფლავიც, იგივე საგანძური, განძთსაცავი და როგორმე უნდა მიაღწიოს იქამდე, მიაღწევს კიდეც, თუნდაც კიდევ ორმოცი საუკუნე მოანდომოს გზას, იმიტომ რომ, ადამიანია და სხვა გზა არა აქვს, თუკი ხვალაც ადამიანად აპირებს დარჩენას. უსასრულო გზებზე ნათრევი, ნაწანწალები, მრავალგზის ხელმოცარული, ათას განსაცდელში გამოვლილი, ათასი ყულფიდან ჩამოხსნილი, ყველანაირი ტყვეობიდან თავდაღწეული - იმ განძის მოსაძებნად მიდის, მისდაუნებურად რომ დამარხა ოდესღაც, ალბათ კიდევ უფრო შავი დღისთვის, და ის რომ ეგულებოდა, იმიტომაც არ ეთელვინებოდა, იმიტომაც არ ეკვლევინებოდა აქამდე ცხოვრებას. ახლა მთავარია, გზა არ დაებნას ამ მშობლიურად უცხო და უცხოდ მშობლიურ ქალაქში. ამაზე შავი დღე აღარ გათენდება. მთავარია, საფლავიც ხელუხლებელი დახვდეს - მაროდიორებს მიასწროს იმ საფლავამდე მისვლა. და აი, გამგელებული მიისწრაფვის ყველაზე დიდი განძისკენ, რისი მოპოვებაც საერთოდ შეუძლია ადამიანს, ყველაზე საპატიო ჯილდოსკენ, რაზეც ვერავინ ამბობს უარს, ვერც მაწანწალა, ვერც

გარეწარი, ვერც ლოთი, ვერც ქურდი, ვერც მკვლელი, ვერც კანონიერი და ვერც უკანონო. ეკუთვნის თუ არ ეკუთვნის, ყველა ერთნაირადაა დარწმუნებული, ყველაზე მეტად მას სჭირდება ის, ჰაერივით, ჰაერზე მეტადაც. საბედნიეროდ, მხოლოდ შენზეა დამოკიდებული, მიიღებ თუ უარს იტყვი ჯილდოზე, რომელიც არ დაგიმსახურებია და შეიძლება არც გეკუთვნის, მაგრამ გჭირდება და მხოლოდ იმიტომ გჭირდება, ადამიანობა რომ შეინარჩუნო, მიუხედავად ყველაფრისა, ძაღლივით არ იყეფო, გველივით არ იხოხო, თუთიყუშივით არ იმეორო ერთი და იგივე უაზრობა და ღორივით ყველგან არ შეჰყო დინგი. მაგრამ ჯილდოს აღებაცა და ჯილდოზე უარის თქმაც ერთნაირად ძნელია, მძიმეა, რამდენადაც, გარკვეული თვალსაზრისით, ასევე დიდი პატივია (თუნდაც ხელსაყრელია) ძაღლობაც, გველობაც, თუთიყუშობაცა და ღორობაც, როცა საერთოდ ადამიანობაა საფრთხეში. ამავე დროს, არც ისაა გამორიცხული, ადამიანობის შესანარჩუნებლად გამოვლენილი სიმტკიცე და სიჯიუტე, ერთ მშვენიერ დღეს, ჩვეულებრივი საარსებო საშუალება აღმოჩნდეს მხოლოდ, ვიღაცისთვის მაინც, ცხოვრების არსად კი არ ჩაითვალოს, არამედ წესად, რაც ყველაზე დიდი უბედურება იქნება შენთვის და უფრო მეტიც, საერთოდ დაეკარგება ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა შენს არსებობას. მართლაც, რიღათი უნდა იმართლო თავი, თუკი **ტკივილიც**, სიმტკიცისა და სიჯიუტის მარადიული თანამგზავრი, რომელსაც დაფარული, ბოლომდე გაურკვეველი სიამაყით, საკუთარ დამღად, ხელშეუხებლობის საბუთად და აველუმობის დროშად თვლიდი, ყალბი და ხელოვნური აღმოჩნდება. გამოვლილი საუკუნეები კი ახლა უკუსვლით

ენაცვლებიან ერთმანეთს. ირგვლივ დამწვარი კაცის სუნი დგას. მარადიულ სიმშვიდეს, მარადიულ კეთილდღეობას დახარბებული ადამიანი უკვე წყევლა-კრულვით დასდევს უკან შეყვარებულ გოგო-ბიჭს. უკვე ისევე ეშინია სიყვარულისა, როგორც მძიმედ სნეულს - ძლიერი, მაგრამ უცნობი წამლისა. და არც მთლად უსაფუძვლოდ. შეიძლება, უმალ მოკლას, ვიდრე უშველოს იმ წამალმა, თუკი ზუსტად ვერ დაიცვა მიღების წესი, თუკი დოზაზე ოდნავ მეტი ან ოდნავ ნაკლები მოუვიდა. სამოთხიდან გამოყოლილი შიში აკნინებს ადამიანს, თუმცა, თვითონ არ შეუძლია ამის შეტყობა. ამიტომაც კნინდება დღემდე, მახინჯდება, ჩლუნგდება, გინდა ოქროში ჩასვი, გინდა განავალში. შარვალჩახდილი დგას პარიზის ქუჩებში; უპარტნიორო სექსის გაკვეთილს ატარებს სცენაზე, მუსიკის თანხლებით; აუპატიურებს დავრდომილ მოხუცს; ობლების სახლში მოპარულ კარაქს კომერციულ მაღაზიაში ყიდის. ყიდის სამშობლოსაც, სხვებზე მეტი კარაქი რომ იყიდოს; საერთო ქვაბში ხარშავს დიკენსის "დიდ იმედებსა" თუ მარქსის "კაპიტალს", ერთი გამოხოცვა ქაღალდი რომ მიიღოს... ოღონდ, მარტო დღეს კი არ არის ასეთი, ასეთია საერთოდ, ასეთად შექმნა შემქმნელმა და თავად ნაკლებადაა დამნაშავე საკუთარ სიგლახეში. საკუთარ სიგლახეს, რა თქმა უნდა, თავადაც ამჩნევს, თავადაც განიცდის, მაგრამ ვერაფერი გაუწყვია, ვერაგულადაა მოწყობილი: გვიან ამჩნევს და მალე ივიწყებს. დღეს, შეიძლება, გუშინდელზე უარესი არ იყოს, მაგრამ უკეთესიც არასოდეს ყოფილა. არც აველუმია გამონაკლისი, ანუ, არც ისაა სხვებზე უკეთეს დღეში. ისიც მარტოა, ისიც ძალაუნებურადაა გამოყოფილი სხვებისგან, რადგან იმასაც სხვებივით ჰგონია, მაინცდამაინც, მე ვარ

ასეთიო, მარტო მე ვიცი, რატომ ხდება, რაც ხდებაო. ეს უკარგავს მოსვენებას, ამის გამოა გამოკეტილი თავის მტანჯველ სიმარტოვეში, რითაც, არათუ აღიზიანებს სხვებს, ანუ, დანარჩენებს, არამედ მათი დასაცინიც ხდება. დასაცინი კი ნამდვილად არის: დანარჩენებისთვის არარასებული, დანარჩენთა გადარჩენას ცდილობს, ანუ, ათვისებული წიაღისეულივით, ერთხელ და სამუდამოდ ამოწურული გრძნობების აღდგენას აპირებს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, ძალიანაც რომ მოინდომოს, მაინც ვერ მოიქცევა სხვებივით, დანარჩენებივით. მაგალითად, ვერც ბარიკადის აქეთ დადგება და ვერც იქით, რადგან არც აქეთ სჭირდება ვინმეს და არც იქით, აქეთაც და იქითაც ერთნაირად ჰგონიათ (ასე ჰგონია თვითონ), მაინცდამაინც, მათ გასამტყუნებლად, მათ დასანამუსებლად რომ არსებობს საერთოდ. ამიტომაც დგას შუაში, ბურიდანის ვირივით. არც აქეთ და არც იქით. და ყველა ტყვიამ, აქედან იქნება ნასროლი თუ იქიდან, ჯერ მის გულში უნდა გაიაროს, ვიდრე მიზანს მიაღწევდეს. აველუმს საკუთარი სიმართლე აქვს და ეს არის მისი მთავარი დანაშაული. შენი სიმართლე ვიღაცისთვისაც სიმართლე უნდა იყოს, ანდა, ვიღაცამაც უნდა იცოდეს მისი არსებობის შესახებ, სწორი წარმოდგენა რომ შეექმნას შენზე. მაგრამ ერთი კაცის სიმართლე გინდ ყოფილა, გინდ არა. სჯობს არ იყოს, რადგან ხელის შეშლის მეტს მაინც არაფერს აკეთებს. აბანოში ჩაცმული არავინ ბანაობს. და თუ ბანაობს, მხოლოდ აფრთხობს და აეჭვებს დანარჩენებს. ან რაღაცის გამოჩენა რცხვენია, ან რაღაცის გამოჩენა ეშინია. ერთიც და მეორეც სახიფათო თუ არა, საჩოთირო ნამდვილადაა სხვებისთვის, დანარჩენებისთვის, რომლებიც ერთნაირად

გატიტვლებულან და ერთნაირად გასაპნული თავები ქაფქაფა წყლისთვის შეუშვერიათ. შენც გაიხადე, კეთრი თუ არ გჭირს, ანდა ბებიის ბიბილოებიანად მოგლეჯილი ბრილიანტის საყურეებს არ მალავ უბეში. აველუმს კი ისეთი გრძნობა აქვს, თითქოს დიდი გარდაქმნის მიჯნაზე დგას მართლა და ერთი ნაბიჯიღაა საჭირო სრულიად ახალ, მისთვის სასურველ სამყაროში რომ აღმოჩნდეს უცებ და იმ სამყაროს კანონიერი ბინადარივით, ბოლოს და ბოლოს, თვითონაც მოიპოვოს მარადიული სიმშვიდისა და ყოველდღიური ცხოვრებით ტკბობის უფლება. თუმცა, არც ერთზე აქვს სწორი, სრული, დანარჩენებისთვისაც გასაგები წარმოდგენა და არც მეორეზე. მაგრამ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, არაფრით არ ადგება საშველი, არ ხერხდება ამ ერთი, ამ თითქმის უმნიშვნელო, მაგრამ ბევრი რამის გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა.. არადა მთელი მისი არსება მზადაა საამისოდ, საამისოდ იწვრთნებოდა საუკუნეთა მანძილზე - სარდაფშიც, ქუჩაშიც, სასტუმროშიც, რესტორანშიც, თვითმფრინავშიც, მატარებელშიც - მკაცრად და ჯიუტად, სპარტანელი აღმზრდელის დაუნდობლობითა და მიზანდასახულობით. და აი, ისევ აქოშინებული მიუყვება დაუსრულებელ გზას, ერთი ცივილიზაციიდან მეორეში, საუკუნეებზე გადავლით, სიძულვილის უდაბნოში, სიყვარულით დამწვარი გულების ფერფლში, თითქოს არარსებულ, თითქოს გამონაგონ დროსა და გარემოში, უკაცურობის, უგულობის, უგრძნობლობის თოვლით (არადა წელსაც უთოვლო ზამთარია) გადათეთრებულ სივრცეებში. მიუყვება გრძელსა და მომქანცველ გზას, რომელიც ებრაელის გზასავით, არც იქ დაწყებულა, საიდანაც

მოდის, და არც იქ დამთავრდება, სადაც მივა. ჯერ კიდევ შორსაა აღთქმული ქვეყანა, თუკი არის საერთოდ. შეიძლება იხილო, მაგრამ ვერ შეხვალ. ხსოვნა კი სინამდვილეს ძველებურად ვერ ურიგდება და ეს მარადიული უთანხმოება ყოფილსა და არსებულს შორის, მარადიული შეუსაბამობა ყოფილისა და არსებულისა, აიძულებს ებრაელ ემიგრანტს გზის გაგრძელებას. მაგრამ ამ ქვეყნად ყველა მაინც მომავლისკენ მიდის. აველუმი კი პირიქით, წარსულში შებრუნებას ცდილობს. დღეს კი არა, საერთოდ, მას შემდეგ, რაც სიღრმე იხილა. მომავალს კი არ უარყოფს, აწმყოს კი არ გაურბის, აწმყოსა და მომავლის გასარკვევად ეშვება წარსულში, როგორც მყვინთავი ოკეანის ფსკერზე, კოსმონავტი მთვარეზე, როგორც რიგითი სანტექნიკოსი - სახლის სარდაფში, რადგან მხოლოდ იქ შეუძლია გაარკვიოს, რატომ არ ამოდის, ვთქვათ, მეოთხე სართულზე წყალი. სარდაფშია თავმოყრილი ჩვენი ყველა სასიცოცხლო სისტემა - გაზსადენისა, წყალსადენისა, კანალიზაციისა. აგრეთვე, სატელეფონო თუ ელექტრო ხაზიც. რომელ სართულზეც არ უნდა დაზიანდეს რამე, მაინც სარდაფში მოგვიწევს ჩასვლა, გასარკვევად, გასასწორებლად, შესაკეთებლად. ამ მიზნით მიიწევს აველუმიც წარსულისკენ, წარსულში დაშვებული შეცდომა აწმყოსაც თრგუნავს და მომავალსაც სათუოს ხდის. ამიტომ, მაღლა (მომავალში) ასვლა თუ გინდა (ჩვენთვის მომავალი იგივეა, რაც ემიგრანტი ებრაელისათვის - ისრაელი), როგორც არ უნდა დაგვეზაროს, მაინც უნდა ჩავიცვათ ძველმანები, ავიღოთ ჯიბის ფანარი (ჯიბის ფანარი თუ არ გვაქვს, ჩვეულებრივი სანთელი, სულაც მარტო ასანთი) და ბუზღუნ-ბუზღუნით ჩავიდეთ სარდაფში, რა დროც არ

უნდა იყოს, დავუფრთხოთ ვირთხებს საიდუმლო სერობა, ფეხი ჩავდგათ აშმორებულ, კოღოდასეულ წუმპეში (ანდა სხვა სიბინძურეში), ავიტანოთ სიძველის, სიდამპლის, ვირთხის ცურცლის არასასიამოვნო სუნი, სახეზე აკრული აბლაბუდის ნაფლეთები, მოვითმინოთ ჟანგიან მილს მოწყვეტილი და ზუსტად კისერში ჩავარდნილი ყინულივით ცივი წვეთი და ქედმოხრილნი, პირში წყალჩაგუბებულნი გავძვრეთ ასევე მწვეთავი, ასევე ჟანგიანი და ასევე ბინძური ნაჭრის ნაკუწებით უშნოდ შეფუთვნილი მილების ქვეშ, ვიდრე არ მივაკვლევთ, არ დავადგენთ და, თუ შევძლებთ, არ შევასწორებთ, ზემოთ, მიწაზე, ნებისმიერ სართულზე მომხდარი ავარიის მიზეზს. მიკვლევის, დადგენის, შესწორების ჟინი მიერეკება აველუმსაც წინ, წარსულისკენ, ანუ სხეულით წინ და გონებით უკან. უკან შეცდომების ზღვაა, წინ ომია! ჰაერს უკვე დაჰკრავს დენთისა და სიდამწვრის სუნი. ცარიელი სადარბაზოები, შესახვევები, ჩიხები - სხვადასხვანაირად იმეორებენ ერთი და იგივე ავტომატის კაკანს. ზოგი უფრო ყრუდ, ზოგი უფრო მჭახედ. ზოგი შენელებულად, ზოგი აჩქარებულად. ზოგი უხალისოდ, ზოგი ხალისით. მაგრამ ხმა მაინც ერთია, ერთსა და იმავეს ამბობს. აველუმს ყურები უბზუის. თვალები ებლანდება - გაყინული, გაქვავებული ცრემლის კრისტალებით ამოვსებია. ირგვლივ ჯიუტად, მყარად დგას სიცარიელე - ხორკლიანი, მინასავით გამკვრივებული ჰაერით ამოვსებული. საცოდავად აქსუტუნებს ცხვირს, მღელვარების სურდოშეყრილი. ცხვირსახოცის ამოსაღებადაც ვერ შეჩერებულა, თითქოს სადღაც ელოდებიან, თითქოს დრო აქვს დათქმული და დაგვიანება შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს

იმისთვის, ვის გადასარჩენადაც მიიჩქარის თავისი ჭკუით. ესე იგი, ყველასთვის, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ, ბედითა თუ უბედობით მასთან დაუკავშირებია ცხოვრებას. თუმცა, უკვე დააგვიანა. უკვე გვიანია. უკვე კი არა - რახანია! მოსახდენი მოხდა. განგაშის ზარი უბრალოდ არ ისმის, იმიტომ რომ ვიღაცამ ენა ჩამოხსნა ხუმრობით (შეიძლება, თურქეთში გაიტანა გასაყიდად). მაგრამ აველუმი მაინც ვერ შეჩერდება ცხვირსახოცის ამოსაღებადაც, რაც არ უნდა შემაწუხებელი იყოს მკითხველისთვის მისი ცხვირის ქსუტუნი. ვერ შეჩერდება იმ მეტად საპატიო მიზეზის გამო, თვითონაც რომ აშველებს ხელს წარმოდგენილი გვამის მტვირთავებს - მისთვის სავსებით უცხო ადამიანებს - რომლებმაც დაუფიქრებლად, დაუყოვნებლივ მოირბინეს, როგორც კი მისი სისხლი და ხორცი მიწას დაენარცხა, როგორც კი მწიფე ლეღვივით დაეტყლაპნა ხორკლიან ლოდებს (კდელებს აქეთაც და კედელს იქეთაც). ვინ მიწას ხნავდა, ვინ ცხვარს მწყემსავდა, ვინ გაზეთის რიგში იდგა, ვინ ტრამვაის ელოდებოდა, ვინ ბაზრიდან ბრუნდებოდა და გუნებაში ზეპირად ანგარიშობდა დანახარჯს, მაგრამ ყველამ მაშინვე მიატოვა თავისი საქმე და აქეთ გამოიქცა. აველუმიც იძულებული გახდა, მიწაზე დაშვებულიყო, თუმცა, ჯერ კიდევ შეეძლო ფრენა. მაგრამ, სადღა უნდა გაფრენილიყო?! ღმერთებმა ორჯერ გამოსცადეს, ორჯერ დააყენეს არჩევანის წინაშე და იმანაც ორჯერვე შვილი ანაცვალა თავისუფლებას. თავისი გიჟური განზრახვა დააყენა მშობლის მოვალეობაზე მაღლა. ახლა კი თავისუფლებამაც ერთბაშად დაჰკარგა აზრი. ცარიელ, გაუგებარ, უაზრო სიტყვად იქცა. ვინმეს რომ გაეჩერებინა და ეკითხა, ნამდვილად ვერ უპასუხებდა,

რას გულისხმობდა ამ სიტყვაში ჯერ კიდევ გუშინ - მარადიულ სიმარტოვეს? მარადიულ მოლოდინს? მარადიულ სევდა-წუხილს? თუ რკინის წვეტიან კაუჭს, რომელზედაც მთელი სიცოცხლე ეკიდა თავად და უაზროდ ფართხალებდა, ვიდრე ორად არ გაიხლიჩა, ორად არ გაიყო, ორ ნაწილად, ორ ბანაკად, ბოლოს და ბოლოს, ორ მცნებად, ოღონდ, გაყოფისადმი გენეტიკური მიდრეკილების გამო კი არა, ისევ და ისევ მისი მოშურნე იმპერიის სისასტიკის წყალობით. ახლაც იმ კაუჭზე ჰკიდია და მისი ორივე ნაწილი ერთნაირად ფართხალებს, ერთი კედელს აქეთ, მეორე კედელს იქით. მართალია, ისინი ერთმანეთს არ იცნობენ, ერთი კედელს იქით დაიბადა, მეორე კედელს აქეთ, ერთი თავისუფლებისთვის, მეორე მონობისთვის, ერთი უკანონოდ, მეორე კი კანონიერად, მაგრამ საერთო მაინც მეტი აქვთ (იმავე იმპერიის ჯიბრზე), ვიდრე სხვაობა. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მოლოდინი აქვთ საერთო - ერთნაირად უღიმღამო და უაზრო - და, რაც მთავარია, სიკვდილიც! ერთი და იმავე კაცის ხელით არიან დაღუპულნი, ერთნაირად, და არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რომელი გადაჩეხა იმ კაცმა საკუთარი გულის ქარაფიდან თავისუფლების თვალუწვდენელ უფსკრულებში და რომელს მიამაგრა მხრებზე ხელოვნური ფრთები ცვილით, რომელი გააბრიყვა, საფრენად ხარ გაჩენილიო, თვითონ კი სოროში შეიმალა (საწოლიც ერთგვარი სოროა), თხუნელასავით, როცა მისგან გაბრიყვებულმა ნაწილმა მართლა სცადა გაფრენა და, როგორც მოსალოდნელი იყო, იმავე წამს ქვასავით დაენარცხა მიწაზე. და აი, ერთ არსებად, უფრო ზუსტად, ერთ მთლიანობად ქცეულან ისევ და გაორმაგებული სიმძიმით აწვებიან ქედზე ხელისმკვრელს,

წამქეზებელს, გამაბრიყვებელს, ანუ, ჩვეულებრივ მკვლელს. ძალიან ცხელა და გვამიც ყოველ წუთას უფრო და უფრო მძიმდება, მიწასავით, რომელსაც დაენარცხა და დააკვდა ზედ. აველუმი საფეთქლით ეხახუნება გვამის თეძოს და ნახევარი სახე სისხლში აქვს ამოსვრილი. ოფლი სისხლს ათხელებს და ნაწილ-ნაწილ ჩააქვს მის საყელოში. უცებ ყველაფერი აირევა (რისიც ყველაზე მეტად ეშინია აველუმს). გულისხმიერი, თუ უბრალოდ სეირის მოყვარული ხალხის დაუდგრომელი, შეუკავებელი ნიაღვარი წებოვან სითხესავით შემოადგება ოთხივე მხრიდან. არათუ განძრევა, სუნთქვაც ჭირს. მაგრამ აველუმი მაინც გვამსაა ჩაბღაუჭებული. არაფრის დიდებით არ უშვებს ხელს. პირიქით, ლამის ზედ ჩამოეკიდოს. თითქოს გვამს თუ მოშორდება, მხოლოდ მაშინ შეამჩნევენ და მაშინვე მიხვდებიან კიდეც მის კაიკაცობას. ჯერ კი, ვიდრე სხვებთან ერთად მოაქვს გვამი, არავის არა აქვს უფლება, ხელი აღმართოს მასზე, ანდა, დაუშალოს მადლის ქმნა, უკეთილშობილესი მოვალეობის აღსრულება - გვამის ზიდვა. გარეშე თვალისთვის ის გვამის მხარეზეა, გვამის პატრონია, ჭირისუფალია. რა თქმა უნდა, სინამდვილეშიც ასეა, მაგრამ მარტო სიტყვებით ამას ვერ დაამტკიცებ. სიტყვაზე თუ მიდგა საქმე, შეიძლება ვერცკი გააგებინოს სხვებს თავისი სიმართლე. მან არა მარტო ის იცის, რაც მოხდა (რასაც სხვებიც ხედავენ), არამედ ისიც ახსოვს, რაც იქამდე იყო, რამაც განაპირობა ის, რაც დღეს ხდება. საერთოდ, ყველაფერზე მეტად, მახსოვრობა ტანჯავს აველუმს - განუწყვეტლივ ახსოვს რაღაც, რასაც სიამოვნებით დაივიწყებდა სხვებივით, მასზე რომ იყოს დამოკიდებული. მაგრამ სხვებმაც მისი იმედით

დაივიწყეს, რაც დაივიწყეს. აველუმს ყველაფრის დამახსოვრება ევალება სწორედ. ამიტომაც ებღაუჭება ახლა გვამს და იდაყვებით იშორებს ყველას, ვინც შენაცვლებას უპირებს. უცებ, მის აფორიაქებულ, აფუტფუტებულ გონებას, ბასრი ცულივით, ორად გააპობს ქალის კივილი (შეიძლება მკვდარი მეუღლის, მიტოვებული საყვარლის, გაჩუქებული დის). არადა, მართლა კივის ვიღაცა. ქუჩა კი ცარიელია, სახლები - ერთნაირად ჩაბნელებული. ქალის კივილი კი აშკარად ისმის. ალბათ აუპატიურებენ, ანდა თან ძარცვავენ, თან აუპატიურებენ. შეიძლება სულაც იტაცებენ, ძალით აშორებენ თავისიანებს, აველუმის დასავით. თუმცა არა, ის თავისი ნებით წაჰყვა უცხოებს. თავისიანებზე გაბრაზდა, როგორ გამიმეტესო, და ხელი აღარ გაუშვია უცხო ქალისთვის, ვიდრე მანქანაში არ ჩაისვა იმან. მაგრამ გასაკვირი არ იქნება ახლა აკივლებულიყოს, დაგვიანებით, ახლა მოსწვოდეს გული ძმის უბედურებით. შენი სისხლი და ხორცი შენი სისხლი და ხორცია, გინდაც ერთმანეთის ნავალზე დადიოდეთ სულ და გინდაც საერთოდ არ გენახოთ ერთმანეთი. მაგრამ, ასეა თუ ისე, ვიღაცა ნამდვილად კივის. თანაც თავგანწირულად. ჯალათის ცულად ქცეული კივილის შეგრძნება იმდენად მტკივნეულია, აველუმი მაშინვე ფხიზლდება, ერკვევა. გვამს, რომელსაც აქამდე ეფარებოდა, როგორც მხდალი მეომარი ფარს, გამოეცლება, თუმცა, მთელი გზა ეშინოდა, არ დაგვივარდესო. გაიდეს თუ არა მხარზე დასახიჩრებული გვამი, მაშინვე აეკვიატა ეს შიში და ახლაც ეშინია. სისხლში არეულ ოფლს სახელოთი მოიწმენდს და შემზარავად აზმუვლებულ ბრბოში აკივლებულ ქალს (მეუღლეს, საყვარელს, დას, ანდა სამივეს ერთად) დაუწყებს ძებნას

თვალგაფაციცებული. "ეს რა მიყავიო" (რატომ დამამცირე, რატომ მიმატოვე, რატომ გამაჩუქეო) - კივის ქალი (მისი მეუღლე, მისი საყვარელი, მისი და, ანდა სამივე ერთად). რა თქმა უნდა, თვითონაც არ იცის, რას კივის, რას ამბობს კივილით, რადგან არ იცის და არც შეიძლება იცოდეს, ვინ არის მკვლელი, ვინ არის დამნაშავე, ვის უნდა მოეკითხოს საერთოდ პასუხი ყველაფრისთვის. მისი ენა უნებურად ამბობს სიმართლეს - უბედურებამ აუხილა გონების თვალი - მეუღლეა, საყვარელია თუ დაა, უპირველეს ყოვლისა, ქალია, მაგრამ ჯერ საკუთარ თავსაც არ უჯერებს, არ ენდობა. ჯერ მშველელს ეძებს მხოლოდ, მისი ჭირისა და უბედურების მოზიარეს. ჯერ დამნაშავეზე არ ფიქრობს, არც მსხვერპლზე ფიქრობს. ჯერ თვითონაა ყველაზე მძიმე დღეში. გაოგნებული, თავზარდაცემული ისვამს კეფაზე ხელს. ან, თითებათრთოლებულს, ახალი სიგარეტი ამოაქვს ტყავის პატარა ჩანთიდან. ან უცხო ქალის მსუქან მკლავს ებღაუჭება უარესად. ჯერ ყველაზე უბედურია და როგორც გაოგნებული, თავზარდაცემული ადამიანი, ისიც, ბუნებრივია, ყველაზე ახლობლისგან ელის ნუგეშსა და მხარდაჭერას და ამით კიდევ უფრო ამძაფრებს მომხდარის საშინელებასაც და უაზრობასაც. მხოლოდ ამას ნიშნავს მისი "ეს რა მიყავი". აველუმი კი დარწმუნებულია, იმან (მეუღლემ, საყვარელმა, დამ, ანდა სამივემ ერთად) უთქმელადაც გაიგო ყველაფერი, რადგან მოკლულიცა და მკვლელიც ერთნაირად ახლობელია მისთვის (მათთვის). ორივე სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანია. სისხლმა და ხორცმა მოუყვა იმასაც (იმათაც) უცებ, ერთი სიტყვით, უსიტყვოდ, რის მოსაყოლადაც აველუმს არც სიტყვა ეყოფოდა, არც სიცოცხლე. და

მაინც, ძალით იკაფავს გზას იმისკენ (იმათკენ), რომელიც (რომლებიც), ასევე ძალით, ბრძოლითა და კივილით მოიწევენ მისკენ, აველუმისკენ, და როცა ისინი ხალხის ზღვაში შეხვდებიან, მიუხედავად სივიწროვისა და განუწყვეტელი "წყალქვეშა" ბიძგებისა, აველუმი მაინც დაიჩოქებს, მუხლებზე მოეხვევა იმას (იმათ) და მღელვარებისგან უარესად დავიწროვებულ ხორხში ძლივს გამოტეული, დამშრალი, დამახინჯებული ხმით ეტყვის: მაპატიეო. აღიარებს დანაშაულს. თუმცა... თუმცა არასოდეს სდომებია, ასე რომ მომხდარიყო. უცებ ისეთი სიჩუმე ჩამოვარდება, აველუმს გაუკვირდება კიდეც და მაღლა აიხედავს. მაღლა, ძალიან მაღლა, სინათლის დამახინჯებულ წრეში, მტკივნეულად ნაცნობს, მტკივნეულად ახლობელს, მტკივნეულად ძვირფას სახეს დაინახავს (მეუღლის, საყვარლის, დის). თითქოს ის (სამივე ერთად) უძირო ჭაში იმზირება, თითქოს მას დაეძებს და თითქოს ვერ ხედავს, მაგრამ აველუმი უნებურად მაინც აიფარებს სახეზე ხელებს, უფრო შეუმჩნეველი რომ დარჩეს ჭის ფსკერის წყვდიადში. სამუდამოდ უნდა ამ უძირო ჭაში ჩარჩენა. მართალია, ის ერთადერთი სიტყვა, ძლივს რომ ამოღერღა წედან, თავისუფლად შეიძლებოდა საერთოდ ჩაკარგულიყო უთავბოლო ბზუილსა და ყაყანში, მაგრამ, ეტყობა გამგებმა მაინც გაიგო, გაიგო და შეიგნო კიდეც და ამ მოულოდნელმა, ყოვლად გაუთვალისწინებელმა ცნობამ, საკუთარი სისხლისა და ხორცის სიკვდილით გამოწვეული აღტკინება და სიგიჟე გამაშტერებელი დაბნეულობითა და აშკარა, ნათელი უძლურებით შეუცვალა. აღარც კივის და აღარც გვამისკენ მიიწევს. უბრალოდ, ცოცხალ ჭას ჩასცქერის, რომლის ფსკერზეც მისი ქმარი (საყვარელი, ძმა) თავს აფარებს,

მას ემალება. ჯიუტად ჩასცქერის, როგორც უდაბნოში გზააბნეული მგზავრი, რომელსაც არაფრით არ უნდა დაიჯეროს, ჭაში წყალი რომ დამშრალა. გზის გაგრძელებას კი აზრი არა აქვს - აღარც გაოგნებულ გონებას, აღარც დამბლადაცემულ გუმანსა და აღარც დაუძლურებულ ფეხებს აღარ შეუძლიათ მისი წარმართვა. ისეთ დაღლილობასა და სიცარიელეს გრძნობს, თითქოს ძლიერი ტუმბოთი ერთბაშად ამოქაჩეს მთელი სისხლი მისი სხეულიდან. კეფაზე ისვამს ხელს, თითქოს თმის სამაგრს ეძებს და, აი, აქ, რაღაცაო - ამბობს დაბნეულად, დარცხვენილად მომღიმარი (ანდა, ათრთოლებული თითებით, ბრაზიანად სრესს დაუმთავრებელ სიგარეტს - კმარა, აღარ შემიძლიაო. ანდა, მოსწავლის ჩანთას უღერებს ძმას - აღარ იკითხო ჩემი ამბავიო) და საყრდენგამოცლილი საგანივით, უცნაური ნეტარებისა და თავისუფლების შეგრძნებით სავსე, ეშვება სადღაც, ძალიან ღრმად, ბრბოს ფსკერზე ჩაჩოქილი ქმრისკენ (საყვარლისკენ, ძმისკენ). აველუმი კი, უნებურად, ახლა თავზე იფარებს ორივე ხელს.

"მუზის" ჯიშიან, უაღრესად მიწიერ ფეხებთან ზის, დამშრალი აუზის კიდეზე, და სულს ითქვამს - დაღლილი, აგანგაშებული, აღელვებული, მარტოდ დარჩენილი შემზარავი, ავი ჩვენებების ხროვაში. საიდანღაც ქალის კივილი ისმის, მაგრამ ახლა უფრო შორიდან, ვიდრე წედან ისმოდა. საერთოდ აქ, ამ ღია მუზეუმში, თითქოს მართლა სიმშვიდეა. პოეტების დიასახლისს პოეტებისთვის უხილავი, გამჭვირვალე კედლებით შემოუზღუდავს საიმედო თავშესაფარი. იჯექი შენთვის და გინდა იოცნებე, გინდა იშაირე - ხელს ვერავინ გახლებს. ბრინჯაოს ქალბატონს ლაღად, თამამად გაუშლია ხორციანი მკლავები სივრცეში - აქ მე ვარ ყველაფრის ბატონ-პატრონი. შეიძლება, საოცნებოდ და საშაიროდ ვერ განგაწყოს, მაგრამ ბევრ მიწიერ სიამეს გაგახსენებს თვალის ერთი შევლებითაც. აველუმიც სიამოვნებით ზის მის ფერხთით, ცოტა სულმოთქმული, ცოტა დამშვიდებული, მაგრამ ჩვეულებისამებრ, მოღუშული, მოწყენილი, ღრმად დანთქმული საკუთარ არსებაში, როგორც ზღვაში გასული პატრონის მომლოდინე ბებერი ძაღლი - ზღვის პირას. ოღონდ, ამჯერად ზღვა არ არის. წინ ქალაქია, ყრუდ მოგუგუნე, შემცბარი, შემკრთალი, შელახული, შეგინებული... შინაურთა მიერ. რის გამოც, რასაკვირველია, საგონებელშია ჩავარდნილი და, როცა მოულოდნელად განახლებულ სროლის ხმაზე ფიქრი უწყდება, ხვნეშით, ტაატით იცვლის გვერდს საწოლში. მოძრაობა უჭირს, ჩაცმული წევს და არა მარტო სიცივისგან თავის დასაცავად, არამედ განუწყვეტელი საფრთხისა თუ საფრთხის განუწყვეტელი მოლოდინის გამოც - არ იცის, როდის, რა წუთას მოუწევს საწოლიდან წამოვარდნა, პირველი რომ შეეგებოს (ესე იგი, შეაკვდეს, არ ნახოს შვილისა

თუ შვილიშვილის აბუჩად აგდება) შემთხვევით შემოხეტებულსა თუ შეგნებულად მოსულ მოძალადეს. თავისუფლება ჯერ მხოლოდ იწყება და გაურკვევლობის ბინდ-ბუნდში მოსრიალე პირველი მერცხლები, ადვილი შესაძლებელია, უკანასკნელი ნაძირალები აღმოჩნდნენ ბოლოს, ერთბაშად, თითქოს ერთ ღამეში გამრავლებულნი, სოკოებისა თუ მღრღნელების მსგავსად. ამ დღეში იყო აველუმიც, სულ რამდენიმე წუთის წინ. ისიც ასე იქცეოდა - ჩაცმული იწვა საწოლში - რადგან სულ რამდენიმე წუთის წინ ქალაქის "მერყევ" ნაწილს ეკუთვნოდა ისიც, ძალაუნებურად, ახლა კი ომის წინა ხაზზეა ლამის და ასევე ძალაუნებურად ქალაქის "მეომარ" ნაწილს ეკუთვნის უკვე. მშვიდად კი ზის "მუზის" ფერხთით, მაგრამ ჩასამუხლად შეყოვნებული ჯარისკაცივით, მოჩვენებითია მისი სიმშვიდეც. "რაღას უცდისო" - თქვა უცებ ვიღაცამ მის ზურგს უკან, მისი ხმით, ისე მკაფიოდ, ისე ცხადად, უნებლიეთ მიიხედა და, მართლაც, ვიღაცა კი არა, თავისი თავი დაინახა, ოღონდ, თორმეტი წლისა, "ყაჩაღად გავარდნილი" - რამდენიმე "თანამებრძოლთან" ერთად, გამოქვაბულის წინ ზის, თუშეთის მთებში, და მოუთმენლად ელოდება, როდის მოიკლავს თავს გამოქვაბულში მათი დარბეული რაზმის მეთაური, რათა ახლა სხვა გზა ეძიოს, სხვა გამოსავალი ნახოს თავისი პირადი და არც მთლად ბავშვური უბედურებიდან. ლოდზე ზის (როგორც დამშრალი აუზის კიდეზე) და სროლის ხმის გაგონებას ელოდება, რაც მათ საერთო ცხოვრებას ერთბაშად დაუსვამს წერტილს და იმავე წამს ყველა საკუთარ თავზე დაიწყებს ფიქრს, ანუ, ყველა საკუთარი კიდობნის გამოჭედვას შეუდგება. და რაკი სროლის ხმამ არ დააყოვნა, აველუმიც წამოდგა, თავს

ძალა დაატანა და, როგორც იქნა, გამოვიდა, გამოაღწია "მუზის" უნებლიე ტყვეობიდან.

ეპოქები კი, ტანსაცმელშემოხეულნი, ცხვირპირდაჩეჩქვილნი, კიდევ უფრო ზნეწამხდარნი ენაცვლებიან ერთმანეთს. ისიც მიდის - აველუმი - თავისუფალი, სრულუფლებიანი მოქალაქე არარსებული სახელმწიფოსი. მიდის საკუთარი სისხლისა და ხორცის გადასარჩენად. მაგრამ გააზრებული, მიზანდასახული საქციელი კი არ არის ეს, არამედ თანდაყოლილი, ღმერთისმიერი მოთხოვნილება შიშნაჭამი, დაღლილი, გაოგნებული სულისა, რომელსაც ადამის დროიდან კლავენ, მაგრამ ვერ მოუკლავთ და ვერც მოკლავენ, ვიდრე უყვარს საკუთარი სისხლი და ხორცი, ანდა, ვიდრე სწამს მაინც საკუთარი სისხლისა და ხორცისა. ამიტომაც მიდის სულ ბნელში, გაჩენიდან აღსასრულამდე, სიბნელიდან სიბნელემდე. სინათლე ოცნებაა, სიზმარია, გნებავთ, პოეზია - ნებისმიერი სახით გამოვლენილი - მაგრამ მისი დანახვა მხოლოდ სიბნელიდან შეიძლება. რამის დანახვა თუ გინდა, ბნელში უნდა იჯდე. ხოლო, სინათლეში ყოფნა თუ გირჩევნია, აღარ უნდა დაინტერესდე, რა ხდება სიბნელეში. რაც უფრო დიდ სინათლეში გადახვალ, მით უფრო გაგიჭირდება საერთოდ რამის გარჩევა. სინათლით მთავრდება ყველაფერი ამქვეყნიური - ცხოვრებაშიც და წიგნშიც - ოღონდ საბედნიეროდ, არავინ იცის, რამდენი დარჩა იქამდე, აღსასრულამდე, სინათლემდე - წამი თუ საუკუნე. წამები თუ საუკუნეები. არადა, ქრისტეშობიდან ჯერ მხოლოდ მეოცე საუკუნე იწურება და პომპიდუს მოედანზე საგანგებოდ საამისოდ შექმნილი ელექტროსაათი ოცდამეერთე საუკუნემდე დარჩენილ წამებს ითვლის. მოთმინება აღარ ყოფნის ადამიანს, ერთი სული აქვს, როდის ჩამოთავდება დრო, იგივე სიცოცხლე, იგივე აზრი

სიცოცხლისა. სული წინ უსწრებს. ან მობეზრდა ცხოვრება, ან ცხოვრების რცხვენია, მაგრამ ასეა თუ ისე, კეთილი უნდა ინებოს და მაინც ბოლომდე იცხოვროს, ბოლომდე მოიხადოს, ვალია თუ სასჯელი. ეს მისი ცხოვრებაა, მისი შესაფერია, მისგანაა დამსახურებული და სხვა არავინ იცხოვრებს მის მაგივრად. ცხოვრება თვითონვეა. ამიტომ, უნდა გაძლოს კიდეც ბოლომდე, ვიდრე მის შემდგომ მომავალთა ჯერი დადგებოდეს. ისინი (მომავალნი) თავიანთი ცხოვრებით მოვლენ, ოღონდ, ჩვენ ადგილი უნდა შევუნახოთ ქვეყანაზე. ქვეყანა უნდა დავახვედროთ ადგილზე. თუნდაც ძროხა და ფუტკარი უნდა გადავურჩინოთ როგორმე, თავიდან რომ არ დაჭირდეთ ყველაფრის დაწყება, ერთმანეთის სისხლის სმა და ერთმანეთის ღვიძლის წუწვნა. დანარჩენი თვითონ იციან - ან შეგვრისხავენ, ან შეგვინდობენ. მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დარჩებიან გულგრილნი ჩვენი გიჟური ვნებების, ძველმოდური გრძნობებისა თუ გულუბრყვილო განცდების მიმართ, რადგან სხვათა შერისხვაცა და შენდობაც მხოლოდ იმას ძალუძს, ვისაც თავადაც უწვნევია იმედის სიმწარეცა და შხამის სიტკბოც. ამიტომ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ნაადრევ სიკვდილს ყველაფერი სჯობს. გარდაიცვალეთ, ოღონდ ნუ მოკვდებით. მშვიდად მღელვარებისა არ იყოს, ესეც ძალიან ძნელია, მაგრამ შესაძლებელია. ბოლოს და ბოლოს, გარდაქმნა იგივე გარდაცვალებაა. ბუნებაშიც და ცხოვრებაშიც აუცილებლად დგება ჟამი, როცა რაღაცა უნდა გარდაიქმნას, ანუ, გარდაიცვალოს. აქედან გამომდინარე, უნდა თუ არ უნდა, მოსწონს თუ არ მოსწონს, აველუმიც დროისგან თავსმოხვეულ ცვლილებებს ექვემდებარება და არა მისგანვე

შემუშავებულსა და დაგეგმილს. დრო ჰქმნის შეგნებას. დრო სიცოცხლეა და ყოველი წამი ძვირფასი საჩუქარია, განუმეორებელი შემთხვევაა - მოიხედავ და აღარ დაგხვდება, სამუდამოდ გაგისხლტება ხელიდან. დაბეჯითებით ვეღარც იტყვი, მართლა იყო თუ არა, მაგალითად, ორმოცდათექვსმეტის ცხრა მარტი თუ ოთხმოცდაცხრის ცხრა აპრილი (მარტო აქედანაც ჩანს, ცხრა რომ ქართული ციფრია). მათ შორის ქრისტეს მთელი ცხოვრება ეტევა, მაგრამ დრო მაინც გადის! მაინც თავისას აკეთებს - უსასრულოდ ქმნის ახალ შეგნებებს. მისი წყალობაა, სიცოცხლე თუ გრძელდება, მიუხედავად ყველაფრისა, ზემოთ ნათქვამის ჩათვლით. მამალი მაინც ყივის, ძაღლი მაინც ყეფს, ცხენი მაინც ხვიხვინებს, კამეჩი მაინც ყოყინებს, საქართველო კი მაინც ომობს. მომიკიდე, თუ კაცი ხარ, ამ ჩემოდანს ხელი. ქვა ჩამიწყო, მგონი, ვიღაცამ. ნახა იმანაც ხუმრობის დრო. არაა ჩვენი საშველი. საით გაგიწევიათ, ბატონო, ამ დილა უთენია, ჯერ კონსტანტინეპოლსა და მერე პარიზს. სადაც უკეთესად ვიქნები. კი მაგრამ, რატომ ჩქარობთ ასე? იქნებ არ ვაგებთ ომს?! მაგ იმედზე იყოს ჩვენი ავადმახსენებელი. ბოლოს და ბოლოს, რამდენჯერ შეიძლება წააგოს ერთმა და იმავე ქვეყანამ ერთი და იგივე ომი, ყოველთვის გამოუცხადებელი და ყოველთვის წინასწარ ამოხსნილი, საჭადრაკო ეტიუდივით. თეთრები (იგივე წითლები) იწყებენ და იგებენ. დღესაც ეს ომი გრძელდება, ჩვენში რომ ვთქვათ. აველუმი კი უკვე ზემელს გასცდა, მეორე ძეგლი მოიტოვა უკან, ამჯერად პოეტისა. საინტერესოა, ჯერ მუზა იყო თუ პოეტი? მაგრამ ახლა ამის გასარკვევად არ სცალია აველუმს. ისიც არ იცის, სად უნდა ეძებოს ის, ვის საძებრადაც გამოვიდა შინიდან. არ იცის, მაგრამ

მიდის, რადგან არ შეუძლია არ წავიდეს. ალალბედზე მიდის. ბედნიერი შემთხვევის იმედით. როგორც მთელი სიცოცხლე დადიოდა. ცხოვრება ის არის, რაც შემთხვევით გარდაგვხდება თავს და არა ის, რაც წინასწარ ვიცით. წინასწარ მხოლოდ ერთი რამ იცის კაცმა - ადრე თუ გვიან, ისიც მოკვდება... ხან სამშობიაროს ეზოს ძაღლები მოსდევენ თითქოს ყეფით - დააბრუნე ბავშვიო - ხან პარიზის თოლიები სცემენ თითქოს სახეში სველი ფრთებით - რამ გაგახსენა ჩვენი თავი, რატომ წამოგვშალე ამ სიცივეშიო - მაგრამ ის მაინც მიდის, მაინც არაფერს ეპუება. ირგვლივ კი სრული სიბნელეა. კაციშვილი არ ჭაჭანებს. თითქოს მთელი ქალაქი ერთ დიდ ორმოში ჩავარდნილა და ხელის ჩამწოდებელიც არავინ დარჩენილა, მის მეტი. თუმცა, არა! ორი ბიჭი დგას წინ, სპორტულ მაღაზიასთან. სიცივისაგან აწურულნი, მოუთმენლად იყურებიან მისკენ. ყველაფერს უნდა ელოდოს კაცი მათგან. თავისუფლება მოძალადეებსაც ამრავლებს. "ასანთი ხომ არ გაქვსო" - შორიდანვე ეკითხება ერთი. "არა მაქვს... სამწუხაროდო" - ფეხს ანელებს აველუმი და უნებურად ხელს ირტყამს ჯიბეზე, თითქოს თავს ამოწმებს, ანდა, კიდევ უარესი, თითქოს იმათ უმტკიცებს, აი, მართლა არა მაქვსო. "აუ, წამო რა დეიდაშენთან, გავიყინე" - ამბობს მეორე ბიჭი. "რა დროს დეიდაჩემია, დებილო, ხო გაგიჟდა!" - პასუხობს პირველი.

ორი წუთის შემდეგ კი აველუმი ძლიერმა, მოულოდნელმა ბიძგმა შეაჩერა. ჯერ ეგონა, გაჭიმულ მავთულს გადავაწყდიო - უკან გადაქანდა მთელი ტანით და არა მარტო გაუკვირდა, რაღაცნაირად ეწყინა კიდეც, შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, ასე ვერაგულად რომ გააჩერეს მისიანებმა. - მახეში გააბეს მტრის მზვერავივით - როცა შეეძლოთ უბრალოდ ეთქვათ, ამის იქით აღარ შეიძლება წასვლაო და ისიც გაჩერდებოდა, გამობრუნდებოდა. მაგრამ ვის უნდა ეთქვა, როცა კაციშვილი არ შეხვედრია (იმ ორი ბიჭის მეტი, ასანთი რომ სთხოვეს თუ მოთხოვეს წელან), არც "იმელამდე" და არც "იმელთან", სადაც პირობითად მთავრდებოდა "მერყევთა" და იწყებოდა "მეომართა" ქალაქი. ბეტონის ლოდებით დატვირთული კამაზები სამ მწკრივად კი იდგნენ, მაგრამ არავის გაუჩერებია ის, არავინ მდგარა სიახლოვეს ხმისგამცემი, ანდა, ყველანი ისე მოხერხებულად ისხდნენ სამალავებში, ქაჯიც ვერ აღმოაჩენდათ, დაქირავებული სნაიპერებივით. იმანაც დაუკითხავად, უნებართვოდ შეაბიჯა ომის სამფლობელოში, მაგრამ უცებ (სწორედ მაშინ, როცა ცეცხლწაკიდებული "თბილისის" დანახვაზე უნებურად კიდევ უფრო აუჩქარა ფეხს), უჩინარ, შენიღბულ წინააღმდეგობას გადააწყდა და მთელი ტანით გადაქანდა უკან, ერთდროულად შეძრწუნებულიცა და გაოცებულ-შეურაცხყოფილიც. ეტყობა, გულის სიღრმეში, მაინც არ ელოდებოდა, მის მიმართაც თუ გამოიყენებდნენ მისიანები "გაჩერების" ასეთ ვერაგულ მეთოდს, თუნდაც იმიტომ... თუნდაც იმიტომ, ერთნაირად რომ თანაუგრძნობდა მეომარ მხარეებს, როგორც ადამიანი. ანუ, ერთნაირად ეკუთვნოდა ორივეს და არც ერთისა სჯეროდა ბოლომდე. მაგრამ არც ისაა გამორიცხული, ორივე

მეომარ მხარეს სწორედ ამის გამო შეერაცხა ის მტრად და ეს ომი, გარკვეული თვალსაზრისით, მის წინააღმდეგაც ყოფილიყო მიმართული, მის მოსასპობად, როგორც მესამისა და, ამდენად, ზედმეტისა.

ცალ ფეხზე სცადა თავის შემაგრება. ხელები თავისთავად გაეშალა, ფრთებივით, მაგრამ, ასე ფრთებგაშლილი და ცალფეხაწეული, თითქოს რაღაცას (რამაც შეაჩერა) უნდა გადააბიჯოსო, პირქვე დაენარცხა ცარიელი გილზებითა და შუშის ნამსხვრევებით დაფარულ ასფალტზე. "კიდევ კარგი თავში არ მომხვდაო" - გაიფიქრა გაუაზრებლად. უფრო სწორად, თავისთავად ამოუტივტივდა ერთ-ერთი უძველესი შიში, სულის ფსკერზე საგულდაგულოდ ჩამარხული, მაგრამ ვერდავიწყებული და არაერთხელ განცდილი პირველყოფილი ძალით, როგორც ბავშვმა განიცადა, დენთის სუნითა და ბოლით უარესად ჩახუთულ გამოქვაბულში, ტყვიით თავახდილი გვამის დანახვაზე. ჩვენების დასაფრთხობად, გადმობრუნება სცადა, თუმცა, ყველაფერს ერჩია ასე წოლა, გაუნძრევლად, პირქვე დამხობილს რკინასავით მკვრივსა და გათოშილ ასფალტზე. სხეულის რომელიღაც ნაწილი თანდათანობით უხურდებოდა და ესეც სიამოვნებდა. რაღაცა, თბილი და წებოვანი, ზანტად, მდორედ, უსასრულოდ და სამუდამოდ გამოდიოდა მისი არსებიდან. მერე უაღრესად ნაცნობი ხმა ჩაესმა - "მიშველეთ, ცოცხალიაო" - და გაუხარდა, გაურკვეველი, ძირფესვიანად შემარყეველი იმედი ჩაესახა და თვითონაც უნდოდა დაეყვირა: "მიშველეთ, ცოცხალი ვარო" მაგრამ ენა არ დამორჩილდა. დიდი ხანია იცოდა, რაღაც ამის მაგვარი უნდა მომხდარიყო, დაღუპვის წინათგრძნობა გიჟივით დაარბენინებდა წინ და უკან (პარიზშიც კი ჩააფრინა), მაგრამ ახლა, რაღაცნაირად ამშვიდებდა კიდეც წინათგრძნობის გამართლება და თავს ვალდებულად თვლიდა, მშვიდად, ღირსეულად დახვედროდა იმას, რასაც ამდენი ხანი შფოთვითა და მღელვარებით გაურბოდა.

როგორც იქნა, დადგა ჟამი სიმშვიდისა, ნეტარებისა, განცხრომისა, სინათლისა... და მადლობთ შენ უფალო! მაგრამ დას რა აკივლებს? ან საიდან გაჩნდა აქ, ასე მოულოდნელად? ახლა გაახსენდა, ძმა რომ ჰყავდა? სად იყო აქამდე? თუ ახლა გაიგო მხოლოდ, მის მეტი არავინ რომ დარჩა მის ძმას დამტირებელი? ჯერ მოიკვეთა, ახლა კი, მიშველეთო, კივის. თუმცა, განა ისიც არ მოიკვეთეს? სიმართლე თუ გინდათ, ჯერ ის მოიკვეთეს მისიანებმა, ანუ, გადაარჩინეს საბჭოურად. უფრო თუ დავაზუსტებთ, შიმშილისგან გადაარჩინეს, ოღონდ უკვე სხვა ადამიანად გარდაქმნილი. კატო იქცა ეკად. ანდა, ეკამ შეჭამა კატო, რის შედეგადაც თავისთავად გადაიჭრა შიმშილის პრობლემაც. კატოს აღარ შიოდა, რადგან აღარ არსებობდა. ხოლო კატოთი გამძღარ ეკას საჭმლისკენ გახედვაც აღარ უნდოდა. ასე რომ, უფრო მარტივად მოხდა ყველაფერი, ვიდრე ითქმის. ეს კი, უპირველეს ყოვლისა, ხელისუფლების დამსახურებაა, მან არ დაუშვა წონასწორობის დარღვევა, არც ცხოვრებაში და არც ბუნებაში. ვიღაცას კი დააკლდა, მაგრამ ვიღაცას მიემატა. ღრმა, ამოუვსებელი ორმო კი გაჩნდა, ვთქვათ, აველუმის გულში, მაგრამ ვიღაცის გულში ისეთივე ორმო ამოივსო შესაბამისად. და მაინც, როგორც არ უნდა გავიცინოთ, მართლაც ეს იყო ალბათ ერთადერთი გზა ხსნისა, ოღონდ, რასაკვირველია, ბავშვობაში, როცა ვერავინ გაბედავდა მშობლებგადასახლებული და-ძმის გამოქომაგებას, ვერავინ შეიფარებდათ, ბებიის მეტი, რომელსაც ვერც ხელისუფლება შეაშინებდა და ვერც მამაზეციერი, მაგრამ, როგორც არ უნდა ეომა, მაინც ვერ გასწვდებოდა დედ-მამიანი ობლების სიცოცხლეს კალიის გადაძოვილ ქვეყანაში, მაინც ვერაფერს გახდებოდა, ვერც ხელისუფლებასთან და, მით უფრო,

ვერც შიმშილთან, უბედურებისგან, უმწეობისგან, უიმედობისგან ჭკუიდან გადამცდარი დედაბერი. გაზაფხულზე ჭინჭარს კრეფდა ღობის ძირებში. სოფლის გიჟსა ჰგავდა, თავსაფრიდან თმაგამოჩეჩილი, დაძენძილი ხელთათმანიდან თითებგამოყრილი. ზამთარში კი ტყის ხილს აგროვებდა, ნადირს ართმევდა, ნადირივით დაბღორტნილ-დაკაწრული, ერთნაირად განწირული ღმერთისგანაც და კაცისგანაც. ისიც ერთნაირად წყევლიდა ღმერთსაც და კაცსაც. სასოწარკვეთილებისგან, მრისხანებისგან თვალებგადათეთრებული, ყბააცახცახებული. აღარ იყო საშველი, მოსვენება, ყურთასმენა... და ისიც, გაჩუქებული, წყალწაღებულივით წაეტანა თბილისიდან ჩამოსულ დეიდას, უშვილობით დახავსებულსა და მაინც დედობის ჟინით შეპყრობილ ქალბატონს, რომელსაც საკუთარი ჟინის მოკვლა სხვებისთვისაც მადლი ეგონა და ღვთისნიერ საქმედ თვლიდა სხვისი ნაოხრის საკუთარ ნაშიერად გარდასახვას, გადაკეთებას, გარდაქმნას. ასე ფიქრობდნენ სხვებიც. ყველა. თვითონაც. ბოლოწუთას უკვე მანქანიდან, ენაც კი გამოუყო ძმას, ნიშნი მოუგო, ვითომ, შენ იკითხე, თორემ მე გამომიჩნდა პატრონიო. ხელი არ გაუშვია იმ უცხო ქალისთვის, ვიდრე ის ბებიას "ურიგდებოდა" მის თაობაზე, უფრო სწორად, უკან უბრუნებდა პატარა ბოხჩად გამოკრულ მის "გამოსასვლელ" ნიფხავ-პერანგს, ვინ იცის, რამდენჯერ გარეცხილსა და დაკემსილს თვალგაწყალებული და თითებდაკრუნჩხული ბებიის ოხვრა-წუწუნით. იმ დღის მერე აველუმმა მხოლოდ ერთხელ ნახა საკუთარი და - ჩუმად ჩააკითხა თბილისში (ვიდრე ყაჩაღად გავარდებოდა) და სკოლასთან დახვდა დილით, მაგრამ გაჩუქებულმა დამ

მოსწავლის ჩანთით სცემა, ახლოს არ გაიკარა, და როცა მილიციაც ჩაერია საქმეში, არც მაშინ მოსწვია გული, არც მაშინ შეუწუხებია ჯიგარს, არც მაშინ წამოსცდენია, არ დაიჭიროთ, ჩემი ძმააო. რა თქმა უნდა, აველუმმაც შეუნახა ნამუსი, არ გასცა, არ ამხილა, სახალხოდ უარყო იმანაც მისი ძმობა. ის კი არ თქვა, ყაჩაღად ვაპირებ გავარდნას, მაგრამ მეშინია, არ მინდა, ყველანაირად ვითრევ ფეხს და დასაც იმიტომ ჩამოვაკითხე, იქნებ როგორმე შემაფერხოს, არ გამიშვას, სხვა გზა მასწავლოს რამეო, არამედ, პირველად ვხედავ საერთოდ და ჩანთა მინდოდა წამერთმიაო - განუცხადა მილიციას. ოღონდ, ამას რომ ამბობდა, ისე გულდათუთქული ტიროდა თან, მილიციაც დაეჭვდა, რაღაც სხვანაირად ტირის ეს შობელძაღლიო. იმის მერე აღარც უცდია დასთან შეხვედრა. პირიქით, ყველანაირად არიდებდა თავს (ახლა უკვე ნაყაჩაღარი). ეშინოდა, ჩემს გამო რაიმე უსიამოვნება არ შეხვდესო. ეგ იყო, რომ შვილს დაარქვა მისი სახელი, უფრო ზუსტად, კონსპირაციის მიზნით, ერთ სახელად გააერთიანა დის სახელის ყველა შესაძლებელი ვარიანტი. რაც მთავარია, აღარც დას გამოუჩენია მასთან შეხვედრის სურვილი. სამუდამოდ, უკანმოუხედავად, უკვალოდ წავიდა მისგან, სხვა ქალაქში, სხვა ქვეყანაში, სხვა კონტინენტზე, სხვა პლანეტაზე, სხვა გალაქტიკაში საერთოდ, ობლობასა და შიმშილს გადარჩენილი, მაგრამ სამუდამოდ გულმოკლული, სამუდამოდ დაკნინებული მისიანების თუნდაც იძულებითი დაუნდობლობითა და სისასტიკით. რამაც უჭკუობის ჟამს აღაფრთოვანა, იმანვე შეურაცხყო უკვე ჭკუაში ჩავარდნილი და თვითონაც იძულებითი დაუნდობლობითა და სისასტიკით გადაუხადა

მისიანებს - უსიტყვოდ, უცრემლოდ, უსაყვედუროდ შეაქცია ზურგი. გადამრჩენელს არ აპატია გადარჩენა გარდაქმნის საფასურად. ახლა კი შუა ქუჩაში გაშოტილ ძმას დასდგომია თავზე და კივის - მიშველეთ, ცოცხალიაო!

გონს რომ მოეგო, მანქანასთან იწვა, მანქანის ბორბალზე ჰქონდა თავი მიდებული. ირგვლივ დაფშხვნილი შუშა ეყარა. უნებურად მუჭით მობოჭა და სასიამოვნოდ დაესერა ხელისგული. იგრძნო, როგორ გამოჟონა სისხლმა სხვადასხვა ადგილას ერთდროულად. სისხლში არეული შუშა კანზე ეწებებოდა. თავზე კი ეკაეკატერინეკატო და ის ორი ბიჭი დასდგომოდა, სპორტის მაღაზიასთან რომ ნახა ოდესღაც, თითქოს სხვა ცხოვრებაში. კი არ იცნო, გაახსენდა, მიხვდა, ტანმა უაზრა, ისინი არიანო, თორემ არაფრით გამოირჩეოდნენ სხვა თბილისელი ბიჭებისგან, იმათაც გრძელ, ჩაფართხუნებულ სვიტრებზე თხელი კურტაკები შემოეცვათ და ნიკოლსონის ჩაჩები წარბებამდე ჩამოეფხატათ. ეკაეკატერინეკატოს ხელში ავტომატი ეჭირა. თავშიშველი იყო. ლაპარაკისას თბილი ჰაერის თეთრი ბოლქვები ამოსდიოდა პირიდან, ოღონდ, აველუმს არ ესმოდა მისი ლაპარაკი. იწვა და იღიმებოდა, არ შეეშინდესო. თუმცა წესიერად თვითონაც არ იცოდა, რისი არ უნდა შეშინებოდა ეკაეკატერინეკატოს, რატომ იწვა თავად აქ, ქუჩაში, და რატომ არ ესმოდა მაინცდამაინც შვილის ხმა, როცა საერთოდ ყველაფერი ესმოდა - დაფშხვნილი შუშის ხრაშა-ხრუშიც, ხანძრის გუგუნიც, მთავრობის სასახლის თავზე ტყვიებით დაფლეთილი დროშის მოულოდნელი შეფრთხიალებაც. სამაგიეროდ, შვილის თბილი ამონასუნთქი დამამშვიდებლად ელამუნებოდა სახეზე. შვილის ამონასუნთქს შიგადაშიგ სასმელის სუნიც დაჰკრავდა და მანქანის ბორბალთან მიწოლილი აველუმი სულელურად იღიმებოდა სიამოვნებისაგან. უცებ მელანიამ გამოხედა სათვალეს ზემოდან და მოგონილი სიმკაცრით დაუტატანა: ადექი,

სირცხვილია, რას გორაობ ქუჩაში ამხელა კაციო. იმდენად ცხადი, იმდენად ცოცხალი ჩვენება იყო - ალბათ მეც უკვე მკვდარი ვარო - გაიფიქრა უდრტვინველად, გულს გარეთ. მართლაც, ცოლის (მკვდრის) ხმა ესმოდა, შვილისა კი (ცოცხლის) არა. ცოლი ისე, სხვათა შორის დაელაპარაკა და მშვენივრად გააგებინა ყველაფერი, შვილს კი სახეზეც ეტყობოდა, მთელი ხმით რომ უყვიროდა რაღაცას, მაგრამ ამას მაინც არ ესმოდა. თუმცა, ვერ დაიჩემებდა, გინდა თუ არა, მოვკვდიო, რადგან ჯერ კიდევ სტკიოდა რაღაცა, ფეხები გასთოშვოდა სიცივისგან, სისხლში აზელილ შუშას კი ნელა ასორსოლებდა მუჭში. ისევ სცადა დალაპარაკება, მაგრამ ამჯერადაც არაფერი გამოუვიდა. სელექტორის ხრიალის მაგვარი ხმა გამოსცა მისმა არსებამ, მასთან შეუთანხმებლად, თითქოს ყელში გაჩხერილი ეკლიანი ბურთის მოშორებას ცდილობდა უნებურად. გამწარებულმა ეკაეკატერინეკატომ ავტომატი მოუქნია დამწვარ მანქანას და სასწაულად გადარჩენილი წინა ფარი ჩაუმსხვრია კონდახით. მინის ნამსხვრევები აველუმსაც შეეყარა სახეში, თუმცა, არავითარი ყურადღება არ მიუქცევია ამისთვის. ისედაც შუშაში იწვა. პირველად რომ გონს მოეგო, ერთი პირობა ეგონა, საავტომობილო კატასტროფაში მოხვედრილიყვნენ ისა და მელანია და იმ ცარიელი ბოცოების ნამსხვრევებში იწვნენ, რომლებითაც მათი მანქანა იყო გამოტენილი მათი ქორწინების დღეს (საღამოს). მაგრამ ეს შეგრძნება დიდხანს არ გაგრძელებულა. სამაგიეროდ, დიდხანს და შემაშფოთებლად გრძნობდა, როგორ ეთოშებოდა სხეული. ფეხებიდან დაძრული სიცივე ჯიუტად მიიწევდა მაღლა. გული გამალებით უცემდა, აქეთ-იქით აწყდებოდა მკერდში, გალიის ჩიტივით - თვალი რომ

მოუკრავს, შემთხვევით, მისკენ გამოცოცებული გველისთვის. თუმცა, თავისუფლად შეიძლებოდა, ეს სიცივე ჩვეულებრივი თბილისური დეკემბრის (თუნდაც, იანვრის) სიცივე ყოფილიყო და არა კარსმომდგარი სიკვდილისა. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, მელანიას ხმა ესმოდა, ეკაეკატერინეკატოსი კი არა. რაც მთავარია, თვითონ კი აღარ იყო თითქოს, არამედ ის ბიჭი, ორმოცდათექვსმეტში რომ გადაარჩინა, ანუ, უკვე ორჯერ რომ მოატყუა მწარედ - ორმოცდათექვსმეტში სადარბაზოში დასვა, დღეს კი - საკუთარ ბინაში, შვილიშვილის სასთუმალთან. და აი, ახლა თავად ქცეულიყო იმ ბიჭად, ფეხები სისხლის გუბეში ეწყო და ელოდებოდა, როდის მოაკითხავდა საკუთარ თავს, შეუმჩნევლად, უჩუმრად, უმტკივნეულოდ გარდაცვლილს ამ ხნის განმავლობაში. მისი ადგილი კი მკვდრეთით აღმდგარსა და ახლებურად წვერგაუპარსავ ბიჭად გარდაქმნილს დაეკავებინა ამჯერად. მშველელთა ახალი ცვლა გამოსულიყო ასპარეზზე, მაგრამ როგორც იმ შორეულ დღეს, ახლაც ვერ გაარკვევდი, ვინ იყო გადასარჩენი და ვინ გადამრჩენელი.

"გესმის ჩემი? მამა! გესმის ჩემი" - მაინც გამოარღვია მისი გამაოგნებელი სიყრუე ეკაეკატერინეკატოს ხმამ და, ქვეყნის დამაქცევარი ძალით დამუხტული, ორივე ყურში ერთდროულად გასკდა მეხივით, ყუმბარასავით. "წადი, შვილს მიხედე," - თქვა უცებ აველუმმა, თვითონაც რომ არ ელოდებოდა, ისე მკაფიოდ, ისე მშვიდად, ისე თავისუფლად, გეგონებოდათ, მომაკვდავმა რეზიდენტმა, ბოლო წუთას, მაინც მოასწრო და სახელმწიფო მნიშვნელობის საიდუმლო - ახალი იარაღის ფორმულა თუ სასწაულმოქმედი წამლის რეცეპტი - გადასცა თავისიანსო. "ნუ ლაპარაკობ, არ შეიძლება - გააჩუმა შვილმა. მის წინ ცალ მუხლზე ჩაჩოქილიყო, თან ათრთოლებულ ხელს ფრთხილად უსვამდა სახეზე - ახლავე მოვლენ ბიჭები. ნუ გეშინია" - გააგრძელა ყალბი არხეინობით და - გტკივაო? - ჩაეკითხა მაშინვე, გულწრფელი, შეუნიღბავი ცნობისმოყვარეობით. აველუმს სტკიოდა, მაგრამ შვილის ყურადღებამ უფრო აუჩუყა გული, მადლიერების ცრემლი თავისით ჩამოაცოცდა ლოყაზე, რამაც თვითონვე შეაწუხა - შერცხვა შვილისა. "გაყიდვაშია ნაფტალინი. სიარულშია ფეხები. ჭამაშია ღვეზელი" - გაიხუმრა თავისი ჭკუით, უნებურად გამომჟღავნებული სისუსტის მისაჩქმალად. შეიძლება, არც იცოდა, რას ამბობდა. ანდა, არ იცოდა, რატომ ამბობდა, მაინცდამაინც, იმას, რასაც ამბობდა. მისი არსება არავითარ კონტროლს აღარ ექვემდებარებოდა - განთავისუფლებულიყო ყველაფრისაგან, საკუთარი თავისგანაც - და ერთადერთი, რაც კიდევ უნარჩუნებდა აღქმისა და განსჯის უნარს, სასმელის სუნი იყო, რომელიც მის ქალიშვილს ამოსდიოდა პირიდან, როგორც ჩვეულებრივ რიგით ჯარისკაცს, და რომელიც ახლა უფრო მძაფრად სცემდა სახეში. მაგრამ შვილმა

ისევ რომ გააჩუმა, მისივე ცრემლით სველი თითები ისევ რომ დააფარა ტუჩებზე, გაბრაზდა, შვილის გულკეთილმა მიუხვედრელობამ გააბრაზა - შვილი ვითომ შველოდა, ვითომ უფრთხილდებოდა, არადა ლაპარაკს არ აცლიდა და, შეიძლება, უკანასკნელ სიტყვასაც უხშობდა ძალით, იმ უკანასკნელ სიტყვას, რომლის სათქმელადაც ემზადებოდა მთელი სიცოცხლე, სიზმარში თუ ცხადში. გარდა ამისა, თუ ვინმესთან ჰქონდა სალაპარაკო, შვილთან ჰქონდა სწორედ და, სახელმწიფოსგან განსხვავებით, ის მაინც თუ დააცლიდა, ბევრ რამეს ეტყოდა. უპირველეს ყოვლისა კი იმას ეტყოდა, თავისუფლების სურვილი სრულებითაც რომ არ ნიშნავს თავისუფლებისათვის მზადყოფნას, როგორც სქესობრივი სიმწიფე არ ნიშნავს, ოჯახისშექმნაც რომ შეგიძლია. თავისუფლების სურვილის მოკვლა ხელოვნური ფრთებითაც შეიძლება, თავისუფლების უფლება კი ძალიან პროზაულად, ძალიან არარომანტიკულად მოიპოვება მხოლოდ. ჯერ სწავლა და მერე გავლა - აი, უმარტივესი პასუხი ამ მარადიული რებუსისა, რომელსაც ადამიანი გაჩენის დღიდან დაათრევს თან, როგორც ლოკოკინა ნიჟარას, რომელიც, ერთსადაიმავე დროს თავშესაფარიცაა მისთვის და სატუსაღოც. დანარჩენი სისულელეა ყველაფერი. სისულელე. და გინდაც არ მოესმინა, გინდაც ბოდვად ჩაეთვალა მისი ნალაპარაკევი შვილს, ამას მაინც უნდა ეთქვა, რაც იცოდა, რაც მისი სიმართლე იყო, რაც სჯეროდა, რაც ცხოვრებამ ჩაუნერგა, რასაკვირველია, მისმა ცხოვრებამ, რის გამოც არასოდეს უცდია სხვისთვისაც მოეხვია თავზე საკუთარი ცოდნა-გამოცდილება. მაგრამ შვილი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს "სხვა" და, აქედან გამომდინარე, ევალებოდა

კიდეც, ახლა მაინც ეთქვა სწორედ შვილისთვის, რაც აქამდე ვერ თქვა თუ არ თქვა, და რასაც შვილის გარდა, სხვა მაინც ვერავინ გაიგებდა. ალბათ ამიტომაც შეახვედრა ისინი ღმერთმა, მართლაც რომ სასწაულად, და თავისუფლად შეიძლებოდა, აღარ მისცემოდათ ამის შესაძლებლობა. აველუმს უკვე ყველაფერი ტკიოდა. თუმცა, არა, ტკივილმა გადაუარა, ან რა სახსენებელი იყო ახლა ტკივილი - სიცოცხლის ცერბერი!- როცა აღარაფერი დარჩენილიყო თავად სიცოცხლისგან (რა თქმა უნდა, მისი სიცოცხლისგან), ამ ქეციანი დასკვნის მეტი. თუმცა "ქეციანი დასკვნა" სრულებითაც არ შეეფერებოდა მის თვალსაზრისს, არ გამოხატავდა მის ჭეშმარიტ შეხედულებას საკუთარ ცხოვრებაზე და უმალ მხატვრული სამკაული იყო წამიერი ფიქრისა, ვიდრე ფილოსოფიური კატეგორია. არადა, თავად კმაყოფილი დარჩა ამ მეტაფორით. "ქეციანი დასკვნაო" - კმაყოფილმა გაიმეორა გუნებაში. მაგრამ ეს მოჩვენებითი, ყალბი, სიზმრისმიერი კმაყოფილება გახლდათ, იმის ტყუპისცალი, მძინარეს რომ ეუფლებოდა ხოლმე, როცა მისი გამოთიშული გონება, უკვე ჩამქრალი, უკვე საღი აზროვნების კი არა, საერთოდ რამის შექმნის უნარს მოკლებული, უნებურად იმეორებდა აზროვნების, შექმნის პროცესს და არათუ ნამდვილის, არამედ შედევრის ელფერშიც ხვევდა მოზმანებულ ლექსსა თუ რომელიმე ცალკეულ გამონათქვამს, რაც სინამდვილეში ჩვეულებრივი აბრაკადაბრაა, გნებავთ, ინტელექტუალური ნაგავი, ფიქრის ჯართი, ოცნების შლამი თუ სურვილის ნეხვი - შეუმჩნევლად დაგროვილი ტვინის იდუმალი ლაბირინთის ხვრელებში.

"შვილის სისხლში ჩადგა ფეხი. ყველანი დავიღუპეთ" - თქვა აველუმმა უკვე ჩიფჩიფით, უკვე სიკვდილგამჯდარმა. სინამდვილეში ვერ თქვა, ვერ მოახერხა. ქვედა ყბა გაშეშებოდა და ეს მარტო სიცივის ბრალი არ უნდა ყოფილიყო. ნოკაუტიდან ძლივს გამორკვეულ მოკრივესავით, გაუბედავად სცადა ყბის განძრევა, მაგრამ არ გამოუვიდა. "გაუშვი ახლავე ხელი. გაუშვი მეთქი. გესვრი!" - იყვირა ეკაეკატერინეკატომ და იმავე წამს ახალწლის ღამის მოგუგუნე სიჩუმეში დამაფრთხობლად გაჩხაკუნდა ავტომატის საკეტი. იმდენად მოულოდნელი, უფრო ზუსტად კი, იმდენად მოსალოდნელი, იმდენად ბუნებრივი იყო ეს ხმა გარემოსთვის, უნებურად აველუმიც დაიძაბა, გაიტრუნა, გაილურსა, რაღაცის, მართალია ისევ გაურკვევლის, მაგრამ ამჯერად უეჭველად უარესის მოლოდინში.

ეკაეკატერინეკატო ფეხზე წამომდგარიყო. ერთ-ერთი ბიჭი უკნიდან ხვევდა ყელზე ხელებს. მეორე ავტომატის წართმევას უპირებდა. გამწარებული იბრძოდნენ სამივენი: უხმოდ, დაუნდობლად. ეკაეკატერინეკატო, ეტყობა, ვეღარ ყვიროდა, მაგრად ჰქონდა ხელები ყელში წაჭერილი, მაგრამ მაინც არ თმობდა ავტომატს. შიშისაგან სახეგადაშლილი, გონდახშული ბიჭებიც უმალ დაიხოცებოდნენ, ვიდრე განზრახვაზე აიღებდნენ ხელს. უცებ ავტომატი თითქოს თავისთავად შეხტა ჰაერში და ეკაეკატერინეკატოს ცხვირპირში დაეძგერა. იმავე წამს აველუმმაც მთელი ძალით მიახეთქა კეფა დამწვარი მანქანის ბორბალს და უფრო მიხვდა, ვიდრე იგრძნო, როგორ გაუარა ტყვიამ ტვინში. ბიჭებიც იმავე წამს გაიქცნენ. მოკუზულები, წინგადახრილები გარბოდნენ, თუმცა არავინ გაჰკიდებიათ. მეწინავეს ეკაეკატერინეკატოს ავტომატი ჩაეხუტებინა მკერდში და იმათმა წაგრძელებულმა მოცახცახე ლანდებმა უზარმაზარი ვირთხებივით გადაირბინეს ხანძრის გამონაშუქით განათებულ კედელზე. "მამა. მამა. მამა" - კიოდა ცხვირპირდასისხლიანებული ეკაეკატერინეკატო.

უცებ, მცხუნვარე მზემ გადააჩახჩახა იქაურობა. ჯერ კიდევ ნამიან ხეებზე ჩიტები აჟივჟივდნენ. ბალახში მასთან თამაშით დაქანცული ძაღლები ეყარნენ და ენაგადმოგდებულნი ქაქანებდნენ. "მამა. მამა. მამა" - კიოდა ეკაეკატერინეკატო, რომელიც ახლა უნდა დაბადებულიყო სწორედ: მელანია წუხელ მოიყვანეს აქ აველუმმა და დედამისმა და იმის მერე ფეხი არ მოუცვლიათ აქედან - დედა სამშობიაროს მოსაცდელში იჯდა მთელი ღამე, თვითონ კი უპატრონო ძაღლებს ეთამაშებოდა ეზოში, ძილი რომ არ მორეოდა და დროც გაეყვანა როგორმე. ამ დროს, დედა გამოჩნდა მოასფალტებულ ბილიკზე. ჩქარა მოდიოდა და იმასაც თვალისმომჭრელი ნათელი გადასდიოდა სახეზე. რაც მთავარია, იმანაც იცოდა, მისი შვილი მისი შვილი კი არ იყო, არამედ ორმოცდათექვსმეტის მარტში, შარდის სუნით აქოთებულ სადარბაზოში გარდაცვლილი ბიჭი. მაგრამ ესეც ისეთივე ბუნებრივ მოვლენად ითვლებოდა ახლა, როგორც სხვა ყველაფერი: მზით გაბრწყინებულ ხეებზე აჟივჟივებული ჩიტები, ენაგადმოგდებული, აქაქანებული ძაღლები და მოასფალტებულ ბილიკზე მომავალი დედა. აჩქარებულად მომავალი დედის დანახვაზე გული გაუჩერდა. მიხვდა, რაღაც დიადის, იდუმალის, ერთდროულად დამამშვიდებლისა და დამაფრთხობლის მაუწყებლად მოისწრაფოდა დედამისი, თუმცა, ამას რა დიდი მიხვედრა უნდოდა, ხელში ჩვილი ეჭირა და შორიდანვე დაუძახა ძაღლებთან მოთამაშე შვილს: "მომილოცავს, შვილი გეყოლა, დავიღუპეთო". "მეც მომილოცავსო" - უთხრა მელანიამ წყნარად. თვალი არ გაუხელია, ისევ ისე თვალდახუჭული იწვა, მძინარესავით, ოღონდ, სამშობიაროში კი არა, შინ, საკუთარ საწოლში. ის კი (აველუმი) ტელეფონთან იდგა, მელანიას საწოლთან,

საცვლების ამარა, ფეხშიშველი, საქალაქთაშორისო ტელეფონის ზარით დაფეთებული, ესწუთია წამოვარდნილი საწოლიდან, და ჯერ ისევ დაბნეული ბღუჯავდა გაოფლილ ყურმილს, რომელმაც, კეთილმოსურნეთა სახელით, ასევე ესწუთია, აუწყა მოსკოვიდან, ქალიშვილი რომ შესძენოდა პარიზში. ჯერ გაუხარდა, მერე დაფრთხა, მერე იფიქრა, იქნებ ვიღაცაში ვეშლებიო, რადგან თვითონ, თვითონ კი არ იყო, არამედ უცნობი ბიჭი, უსახო და უსახელო, მისი იმედით გარდაცვლილი ჯერ კიდევ ორმოცდათექვსმეტი წლის მარტში. მაგრამ დედამისი სრულებითაც არ შეუფერხებია ამ ამბავს. პირიქით, შორიდანვე დაუძახა, მომილოცავსო, როგორც კი დაინახა. თუმცა, აველუმიც სულ სხვა რამემ დააფრთხო მაშინ. მართალია, თავს უკვე კაცად თვლიდა, მაგრამ თავზარდამცემი სისასტიკითა და დაუნდობლობით, იმ წუთას იგრძნო პირველად, თუ რა მძიმე ტვირთია კაცობა, რა ძნელი სატარებელი. რამხელა პასუხისმგებლობას აკისრებდა, არა მარტო ახლახანს შობილი სიცოცხლის, არამედ ყველაფრის მიმართ, რაც მისი თანდასწრებით, მასთან ერთად, თუნდაც მისი სურვილის გარეშეც არსებობდა და არსებობის უფლებას ინარჩუნებდა, მიუხედავად ცხოვრების სისასტიკისა და დაუნდობლობისა - მოჟივჟივე, ბრიყვი ჩიტები იქნებოდა ეს, აცახცახებულ ფოთლებზე გულუხვად გადაღვრილი მზე, სრულიად უცხო ადამიანთან თამაშით დაქანცული ძაღლები თუ მოასფალტებულ ბილიკზე სულისშემძვრელად მომღიმარი დედა (აველუმს ასე მომღიმარი, ადრეული, არარსებული ბავშვობის მერე, აღარც უნახავს ის), რომელიც ადვილი შესაძლებელია, მართლა მისი დედა კი არ იყო, არამედ ქუჩაში მოკლული ბიჭისა. "ახლა რა

უნდა ვქნა? როგორ უნდა მოვიქცეო?" - ჰკითხა თავადაც მომღიმარმა, დედისგან ღიმილგადადებულმა. "დავიღუპეთ ყველანიო"- თქვა დედამ, ვითომ ხუმრობით, და გაოფლილი თმა შუბლიდან ფრთხილად გადაუწია ჩვილს, რომელიც ერთდროულად აველუმიცაა, აველუმის კანონიერი და უკანონო შვილიც, ორმოცდათექვსმეტში დაღუპული ბიჭიც და წვერგაუპარსავი სტუმარიც... მზით აბრიალებულ აკაციებზე კი ჩიტები ჟივჟივებენ. ირგვლივ, ნამიან ბალახში, ძაღლები ყრიან და უაღრესად ჭკვიანური, აზრიანი გამოხედვით მალავენ თავიანთ ბრიყვულ, სულელურ ფიქრებსა და სურვილებს. ბილიკზე დედა დგას, ერთდროულად ბედნიერიც და უბედურიც, ხალისიანიც და ფიქრიანიც - თვალგაშტერებული თავისი მარადიული, დაულეველი საფიქრალისთვის. მის ხელებში კი ახალი სიცოცხლე ფეთქავს, სუნთქავს, ჩხავის, იჭინთება, იბრძვის, სიბრაზისგან სახედაჭმუჭნული, დამდუღრულივით კანალაპლაპებული და პატარა, ლორწოვანი მუშტებით იგერიებს ერთბაშად მიქსეულ ცხოვრებას, ესწუთია სამოთხიდან გამოძევებული, დამცირებული, უგულებელყოფილი და მაინც უდიადესი, უკეთილშობილესი შედეგი აველუმის უაზრო, უმიზნო და უმნიშვნელო არსებობისა...

"მიშველეთ. მიშველეთ. მიშველეთ" - კივის ეკაეკატერინეკატო. მთავრობის სასახლის თავზე ხანძრის მოგუგუნე გამონაშუქით განათებული და ტყვიებით დაფლეთილი დროშა, კი არ ფრიალებს, ცდილობს იფრიალოს. აველუმს კი ჰგონია, ზღვის ხმა მესმისო. ცრემლებით თვალებდაბინდული ჯერ ვერაფერს ხედავს და - "აკი დიდი სინათლეაო", - უბრაზდება თუ საყვედურობს ვიღაცას. მაგრამ იმავე წამს ზღვის გაბრწყინებული ზედაპირიც გამოჩნდება. სიბნელის ზღვა იტალღება ძირს, თუნუქისა და შიფერის სახურავებით მოფენილი - სახურავების მთელი არქიპელაგი გადაჭიმულა ჰორიზონტამდე - სახურავებზე კი შიშველი ადამიანები დგანან, მაღლა იყურებიან, მისკენ, და თავგამოდებულნი უყვირიან რაღაცას. ტუჩების მოძრაობაზე ეტყობათ, ერთსა და იმავე სიტყვას ყვირის ყველა, მაგრამ თავად სიტყვა არ ისმის, ზღვისა თუ მოახლოვებული სინათლის კიდევ უფრო მძლავრი გუგუნი ახშობს ალბათ. რაც მთავარია "კუნძულელებსაც", დედამისივით, ახალშობილი ჩვილები უჭირავთ ხელში, მას აჩვენებენ, შეიძლება, აწვდიან კიდეც, მაგრამ სწორედ ამ დროს, ოთხივე მხრიდან, ენით უთქმელი სინათლე წამოვა და ერთბაშად, უთავბოლოდ გადაშლის ყველაფერს, როგორც უწმაწურ სიტყვასა თუ ნახატს გადაშლის ხოლმე დაფიდან მასწავლებელი, ნერვიული, ბრაზიანი სისწრაფით...